


ცონი მორისონი საყვარელი



Go on, and so on out the

ტონი მორისონი

საყვარელი

ინგლისურიდან თარგმნა
ეკატერინე მაჩიტიძემ

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტონი მორისონის „საყვარელი“ — ეს არ არის „პიძია ფოშის ერები“

ტონი მორისონის სახელი ქართულებრივ მკითხველს ბეჭრს ჯრაფერს აჩვენას, რაღაც თქვენი ახლა ქართულად თარგმნილი მიხი მხოლოდ მკორე წიგნი გიტარაჲი ხელში (ძირული — „წყალობა“ 2013 წელს გამოუკით). ასეულობა, იმის მიზე ხელმოვად, რომ ერთ-ერთ ინტერესიუმი მან თქვა: „ჩემს ცხოველებაზე ბეჭრად უყრო საინტერესო ჩემი წარმოსახვა“, წინასოტყ-ჯობისებების განკუთხვნილ ამ ირჩოდე გვერდში მის ბიოგრაფიაზეც უნდა ვიქტორ რამდენიმე სიტყვა: ტონი მორისონი აფრომერიკელი (თუმცა თეი-ორი არად დაგიდული „აოლიტქარუქტულობას“ და თუსაც და თეისტო-მებისაც ხშირად თავისუფლად მოახსენიებს „ზანგებად“) მწერალი ქალია.

იგი 1931 წელს დაიბადა იქაიოს შტატში, თუმცა მამინ ქლოა არღე-ლია დაარქის და გვარადაც უოფორდი იყო. ტონი 12 წლის ასაკში კა-ორიენტებულ მონათვლისას მიღებული ახალი სახელის შემოკლებული ფორ-მაა, ხოლო გვარი მეუღლისგან — იამაიკელი არქიტექტორისგან მიღო, რომელსაც 1964 წელს, მეორე გაუზე ორსულად ყოფნისას, შეიდწლიანი თანაკერუების შემდეგ გაჟურა.

23 წლისამ იქაიოში, პოვარდის უნიკურსიტეტი დაამთავრა. შემდევ კორნელის უნივერსიტეტში ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის წო-დებაც მიიღო კირჯინია უულფისა და უილიამ ფოლკნერის ნაწარმოებებ-ზე დაწერილი ნაშრომის წყალობით და ისვე პოვარდი დაბრუნდა. რო-გორც პროფესორი.

ქმართან გამორების შემდევ საგამომცემლო სფეროში გადაწყვეტა გა-დასელა — თვითონაც უკვე პქონდა ლიტერატურული ცდები და სხეის ნაწერებსაც დიდი ინტერესით რედაქტორობდა: საგამომცემლო ფირმა „რანდოშ პაუსში“ ისეთი ცნობილი აფრომერიკელების აუტობიოგრა-ფიები მოაშადა გამოსაცემად, როგორიც არიან მოკროვე მუქამედ აღი, უფლებადამცემლი და პოლიტიკური მოღვაწე ანუელა დევისი და მსახი-ობი და პროდიუსერი ენდრიუ იანგი. ამის პარალელურად თავისი პირვე-ლი რომანის („ყველაზე ცისფერი თვალები“) ხელნაწერებსაც გზავნიდა სხვადასხვა გამომცემლობაში. ეს რომანი იმ მოთხოვნიდან „გაიზარ-და“, რომელიც ერთ დროს უნივერსიტეტში, ახალგაზრდა მწერალთა (თუ მწერლობის მსურველთა) სემინარზე დაწერა. მასში მოთხოვნილი იყო შავკანიანი გოგონას შესახებ, რომელიც ცისფერ თვალებზე — თეორი ადამიანების „მთავარ უპირატესობაზე“ ოკნებობდა. მაგრამ ამ პირველ რომანშიც, ისვე როგორც „საყვარელში“, მთავარი თეორიების მიერ და-

ჩაგრული შავების ამბავი კი არა, არამედ თვით „შავ საზოგადოებაში“ არსებული პრობლემებია: როგორ კიცხავენ ცისფერ თვალებზე მეოცნებე გოგონას, ანდა რატომ არ აფრთხილებენ ბეიბი საგზს მეზობლები და მის სიკეთებე საპასუხოდ კვლავ მონობისათვის წირავენ მის შთამომავლებს („საყვარული“).

ამასთან დაკავშირებით საინტერუსოა თვით მწერლის ნათქვამი: „კველაზე ცისფერი თვალები“ სწორედ იმიტომაც დაუწერე, რომ რასიზმის შესახებ მე თვითონ გამუჯო მეტი, რადგან ბავშვობაში ეს თოთქმის არ მიგრძნია. მაშინ იმას უფრო განვიცდიდი, რომ ღარიბი ბავშვი ვიყავი, ვიდრე იმას, რომ შავი ბავშვი ვიყავი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, და იმის მიუხედავადაც, რომ ტონი მორისონი ხშირად მონაწილეობს როგორც ფემინისტების, ასევე ანტირასისტულ კონკრეტულ სებში, მკითხველი ნუ დაელოდება „საყვარულში“ ნურც ბიჩერ-სტოუსეული „ბიძია ტომის ქოხის“ (ჩიქოროთული თარგმანის გამო „ბიძია თომას ქოხად“ რომ მოიხსენიებდნენ) პათოსს („კველა თეთრი ცუდია, კველა ზანგი — კარგი“) და ნურც მარკ ტკენის ჯიმის გენიალურ მონოლოგებს „პეკლბერი ფინის თუგადასაკლიდან“, რომლებმაც ბკვრ ამერიკელს პირველად აფიქრებინა, რომ მათი და მათი მამა-პაპების ყოფილი მონებიც ადამიანები არიან; სხვათა შორის, ძალიან საინტერუსოა, რომ მწერალი დღემდე არ არის ნამყოფი აფრიკაში და მისი ფრაზაც: მძულს პატრიარქატი, მაგრამ არც მატრიარქატი მინდაო, მრავლისმეტყველია.

ასე რომ, „საყვარული“ არის „ჩვეულებრივი“ ამერიკული რომანი ამერიკელ საზოგადოებაზე და ამ თვალსაზრისით არაფერს ცვლის ის, რომ მას საფუძვლად უდევს ცნობილი ტრაგიკული ამბავი უბედური დედისა, რომელმაც საკუთარი ხელით მოკლა შეიღი, როდესაც დარწმუნდა, — ბავშვს კვლავ მონობა ელოდა.

„საყვარულმა“ ძალიან მაღე მოუტანა წარმატება აკტორს: რომანი 1987 წელს გამოქვეყნდა, შემდეგ წელსვე პულიცერის პრემია მიიღო, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ნობელის პრემიების კომიტეტის მკაცრი წევრებიც კი მოხიბლა. თანაც ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ნობელის პრემია აკტორს მისი მთლიანი შემოქმედებისთვის, ან ასეთი ფორმულირებით — „ესა და ეს რომანი და მისი სხვა ნაწარმოებები“ კი არ მიენიჭა, არამედ ამ კონკრეტული წიგნისთვის; ზეაუტორიტეტულმა უკრნალმა „თაიმმა“ კი მორისონის ეს რომანი 1923-2005 წლებში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული 100 საუკეთესო რომანის სიაში შეიყვანა — თუკი გონებაში თვალს

გადაკულებით ამ პერიოდის ამერიკულ, ინგლისულ თუ ირლანდიულ ბუძ-ბერაზ მწერალთა და მათ რომანთა სიას, ეს აღთარება ნობელის პრემიაზე არანაკლებად შეიძლება ჩაითვალოს.

„საყვარელის“ მიხედვით პოლიტიკული ფალმიკ გადაიღეს, მთავარ როლშიც ისეთი პოპულარული მსახიობი და ტელეწამყვანი ათაბაშეს, როგორიც ოპრა უინფირია და 80 მილიონის დახარჯეს, თუმცა ფილმიდან შემოსავლებმა ხარჯის შერთხედი ძლიერ ამოიღო და 1999 წლის „ოსკარზეც“ „მხოლოდ“ საუკეთესო კოსტიუმების ნომინაციაზე იყო წარდგენილი (ეს ორი კრიტერიუმი კი მთავარია ამერიკულ კინოინდუსტრიაში), მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს ფილმის ლიტერატურული პირველწყაროს ღირსებას — არის ბევრი რამ, რაც ეკრანზე ფრ გადადის, მით უმეტეს, თუ სკენარი ზუსტად არ შიპყვება წიგნს და ბევრი მნიშვნელოვანი პასაჟი საერთოდ ამოღებულია მასში.

2005 წელს ლიბრეტო დაიწერა და „საყვარელის“ მიხედვით ოპერაც დაიდგა ამერიკაში.

და კიდევ ერთი: კინო და ოპერა იქით იყოს, მაგრამ საყოფალოდ ცნობილია, რომ თარგმანში ბევრი რამ იკარგება ორიგინალიდან, მაგრამ არსებობენ აუტორუბი ან ნაწარმოებები, რომლებიც განსაკუთრებით „ზარალდებიან“ ამ მხრივ. ზემოხსენებული „ჯიმის მონოლოგები“ (მარკ ტევ-ნის „პეკლბერი ფინის თვეგადასაკლიდან“) ამის ერთ-ერთი მაგალითია: ინგლისური ენის საფუძვლიანად მკოდნები ამბობენ, რომ მსოფლიოს საუკეთესო მთარგმნელთა ასწეროვანი მკდელობის მიუხედავად, მათი ემოციის სრულად თარგმნა შეუძლებელია.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ტონი მორისონის შემთხვევაშიც ასე ყოფილა: ჩვენ ძალიან კარგ თარგმანს გთავაზობთ, მაგრამ XIX საუკუნის ამერიკული სამხრეთის ზანგური სლენგის მარგალიტების სრულყოფილად თარგმნა, სამწუხაროდ, შეუძლებელია.

ზემოთ „ჩვეულებროვი“ ამერიკული რომანი ვახსენეთ და ასეც არის: თემა და გარემო, რასაც ქება ამბავი და სადაც ვითარდება სიუჟეტი, ძალზე აქტუალურია დღემდე და ამიტომ მასთან შეხების უამრავი „სპეკულაციური“ თუ პროპაგანდისტული მკდელობა ყოფილა, ტონი მორისონის „საყვარელმა“ კი არა ამ მიზეზების გამო დაიმსახურა კრიტიკოსებისა და მკითხველთა აღიარება მთელ მსოფლიოში.

სასიხარულოა, რომ ამ მკითხველთა შორის ამიერიდან ქართველებიც ვიქნებით

ზეთად დოკომენტი

სამოც მილიონზე მეტი

„ხალხს, რომელიც ჩემი არ იყო, ჩემს ხალხს ვუწოდებ,
ხოლო იმას, ვინც არ მიყვარდა — საყვარელს“.
რომაულთა მიმართ, 9:25

შინასიტყვაობა

1983 წელს დაუკარგე სამსახური, ანდა წამოვედი სამსახურიდან. დაუკარგე თუ წამოვედი, თუ დაუკარგე და წამოვედი კიდეც, ვიღრე ეს ამბავი მოხდებოდა, ერთხანს არასრულ განაკვეთზე ვძუშაობდი — გამომცემლობაში კვირაში ერთხელ მივდიოდი და ჩემი სამუშაოს ფარგლებში სხვა საქმეებთან ერთად, მიწერ-მოწერასთან, სატელეფონო ზარუბსა და შეხვედრუბთან დაკავშირებულ საკითხებსაც ვაკარებდი, თან სახლში ხელნაწერებსაც ვასწორებდი.

ორი რამის გამო იყო სამსახურიდან წამოსვლა კარგი აზრი. ჯერ ერთი, ოთხი რომანი მქონდა დაწერილი და ყველასთვის ნათელი იყო, რომ ჩემი მთხვარი საქმე წერა გახლდათ პრიორიტეტებზე საუბარი, ლაპარაკი იმაზე, ერთდროულად მწერალიც და რედაქტორიც როგორ უნდა ვყოფილიყვაი, პროგნოზირებად ახირებად მეჩვენებოდა. იგივე იყო, რომ გეკითხათ როგორ უნდა იყო ერთდროულად მასწავლებელიც და შემოქმედიც? როგორ უნდა ემსახუროს მხატვარი, მოქანდაკე ან მსახიობი თვის საქმეს და თან სხვებსაც უხელმძღვანელოსო? არადა, ბეჭრი ადამიანისთვის რედაქტორობისა და მწერლობის ასეთი შეხამება შეუთვესებელი რამების შერწყმა გახლდათ

სამსახურიდან წამოსვლის მეორე მიზეზი ნაკლებად ორაზროვანი რამ იყო. ჩემ მიერ რედაქტირებულ წიგნებს დასტა-დასტა ფული იმ დროშიც კი არ მოჰქონდა, როცა სიტყვა „დასტა“ ახლანდელისგან განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებდა. ჩემთვის რომ გეკითხათ, ჩამონათვალი წიგნებისა, რომელთა რედაქტორი თვალ ვიდავი, შთამბეჭდავი გახლდათ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მწერლების ნაწარმოებებზე მიმუშავია (ტონი კეიდ ბამბარა, ჯუნ ჯორდანი, გეილ ჯონსი, ლუსილ კლიფტონი, ჰენრი დიუმასი), ისეთი სწავლულების ნაშრომებზე, ორიგინალური იდეები და პრაქ-

ტიკული კვლეუბი რომ პქონდათ (უილიამ პინტონის „შენტონი“, იგნ კან სერტიმას „ისინი მოვიდნენ კოლუმბამდე“, კარუნ დექროუს „სექსისტური სამართალი“, ჩინვეიზუს „დასავლეთი და ჩვენ ყველანი“), საზოგადო მოღვაწეების ნაწერუბზე, ყველაფრის ფურცელზე გულწრფელად გადატანა რომ უნდოდათ (ანჯელა დჯისი, მუპამედ ალი, პიუ ნიუტონი). მერუ, როცა ვთვლიდი, რომ რამე დაწერად ლორდა, სათანადო უტორსაც ვპოულობდი ხოლმე. ვიღაცები იზიარებდნენ ჩემს ენიუზიაზმს, ვიღაცები მის ჩახშობას ცდილობდნენ და გაყიდვებით მიღებული შემოსავლის ამსახველ ობიექტურ მონაცემებს იშველიებდნენ. შეიძლება, ვცდები, მაგრამ სამოცდაათანი წლების ბოლოსაც კი ისეთი უტორუბის მოხელოუბას, რომელთა წიგნები ხელიდან ხელში გადავიდოდა, მეტი ფასი პქონდა, ვიდრე ხელნაწერუბის რედაქტირუბას, ანდა ახალბედა თუ ხანში შესული უტორუბის მხარდაჭერას. იმის თქმაც კმარა, რომ თვით დაკაჯერებული დადგა დრო, როცა ზრდასრული მწერალოვით უნდა ვიცხოვო — არაუითარი პონორარი და მხოლოდ წერა-მეთქი. არ ვიცი, რომელი კომედიიდან მახსოვდა ეს სიტყვები, მაგრამ ჩავებლაუჭე კი. რამდენიმე დღე გასულიყო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიყავი სამსახურში. ვიჯექი ჩემი სახლის წინ პადხობ-როვერში შეჭრილ პირსზე და ნაცვლად სიმშვიდისა, რომლის დადგომასაც ველოდი, ვიგრძენი, რომ გავლიშიანდი. გონებაში გადაუაულე თვალი ჩემი პრობლემების ჩამონათვალს და მათ შორის ახალს ან გადაუდებელს ვერაფერს მიუგენი. ვერ ვხვდებოდი, ასე მოულოდნელად რამ შემაშფოთა, თანაც ასეთ შესანიშნავ დღეს და ისიც ასეთი წყნარი დინების ყურებისას. არანაირი გჯმა არ გამაჩნდა და ვერც ტვლეფონის ხმას გავიგონებდი, რომც დაერუეა. აი, ჩემს გულს კი ვუსმენდი, მჯრდში კვიცვით რომ დაბაკუნებდა. ცუდის წინათვრისნობა, თუვინდ, ძრწოლა რომ ამქსნა, შინ შევბრუნდი. შიში რაც იყო, ვიცოდი, ეს კი სხვა გრძნობა გახლდათ მერუ თვეში დამკრა — ბედნიერი ვიყავი, ისეთი თვისუფალი, არასოდეს რომ არ ვყოფილება, არასოდეს. ყველაზე უცნაური შევრძნება იყო. არც აღტყინება, არც კმაყოფილება, არც სიამოუნების ანდა მონაპორის მოყირჭება... უბრალო სიხარული იყო, თვით დაკაჯერებული ადამიანის სისხლსაჟსე მოლოდინი. ასე დაიწყო „საყვარელი“. ახლა ვფიქრობ, რომ შოკმა, უღლიდან თვის დახსნას რომ მოჰყა, დამაფიქრა იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავ-

დეს ქალებისთვის სიტყვა „თუ ისუფალი“. ოთხმოციან წლებში ჯერ კიდევ ცხარედ კამათობდნენ: თანაბარი გადასახადებიო, თანაბარი მოპყრობაო, პროფესიების ხელმისაწვდომობაო, სკოლებიო... არჩევნიო შერცხვენის გარეშე. გავთხოვდე თუ არა. მყავდეს ბაჟშვები თუ არა. გარდაუგალად ამჟების ბრალი იყო, ამ ქვეყნის მაუკანიანი ქალების ისტორიაზე რომ დაუფიქრდი, ისტორიაზე, რომელშიც ქორწინება შეუძლებელი იყო, რადგან ხელს უშლიდნენ, ანდა კანონგარეშე; ისტორიაზე, რომელშიც ბაჟშვების გაჩენას მოითხოვდნენ, მაგრამ ბაჟშვების ყოლაზე, მათზე პასუხისმგებლობის აღებაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ მშობლობაზე ისვევ, როგორც თვისუფლებაზე, ლაპარაკიც არ იყო. ინსტიტუციონალური მონობის ლოგიკისათვის დამახასიათებელ პირობებში მშობლის რაობაზე რაიმეს მტკიცება დანაშაული გახდათ

იდეამ გამიტაცა, მაგრამ ისტორიულმა ფონმა ერთიანად ამაუსო გრძნობებით ისეთი გმირების მოფიქრება, რომლებსაც ამგვარი ლოგიკით პროცესირებული ინტელექტისა და სიველურის გამომუღავნება შეეძლოთ, იქამდე იყო ჩემი წარმოსახვის ფარგლებს მიღმა, ვიდრე ერთ-ერთი წიგნი არ გამახსენდა, რომელიც იმ დროს გამოვაჭვება, როცა სამსახური მქონდა. „შე წიგნში“ ახალგაზრდა დედის ამბავს გაზეთიდან ამონაჭერი აჯამებს. მარგარეტ გარნერი მას შემდევ, რაც მონობას თვით დააღწია, პატრონის პლანტაციაში დაბრუნების ნაცვლად უმაღლ დააპატიმრეს შეიღებიდან ერთ-ერთის მკვლელობისა და დანარჩენების მკვლელობის მცდელობისათვის. მისმა სკანდალურმა საქმემ თვითი სიტყვა თქვა ბრძოლაში გაქცეული მონების შესახებ კანონების წინააღმდევ, რომლებიც გაქცეულების პატრონებთან დაბრუნების უფლებამოსილებას ითვალისწინებდა. მარგარეტის ნორმალურმა ფსიქიკურმა მდგომარეობამ და სინანულის უქონლობამ აბოლიციონისტებისა და გაზეთების ყურადღება მიიქცია. უდავოდ გულწრფელი იყო და თუ მისი კომენტარების მიხედვით ვიმსჯელებთ, ინტელექტიც პქონდა, სიველურუც და ყველაფრის გარისკვის სურვილიც იმისთვის, რაც მისთვის თვისუფლების აუცილებლობასთან გახდათ გაიგოვებული.

მომხიბლაურია ისტორიული მარგარეტ გარნერი, მაგრამ რომანისტს ჩარჩოებში აქცევს. მეტისმეტად მცირე გასაქანს უტოვებდა წარმოსახვას საიმისოდ, რომ ჩემი ჩანაფიქრი განმეორებისათვის.

მეც ჯდექი და გამოვივონე მისი ფიქრუბი, არსებითად ნამდვილ ისტორიულ ქვეტექსტში მოჟაქციე, მაგრამ ფაქტებით არ შემიძოჭავს, რათა მარგარუტის ამბავი თვითსუფლებასთან, პასუხისმგებლობასა და ქალის „აღვილობა“ დაკავშირუბულ თანამედროვე საკითხებთან დამეკავშირუბინა. გმირი ქალი ბოდიმების გარუშე იღებდა სირკე-ვილსა და ტერორს, ბაჟშვის მკვლელობაზე არჩევნის შეჩერუბის შედევებს და თვითსუფლებას ითხოვდა. უზარმაზარი და გაუკალი იყო სივრცე, მონობას რომ ეკავა. იმისთვის, რომ მკითხველი, ჩემი თავიც, საძაგელ, სრულად არა, მაგრამ მაინც მიჩქმალულ, განზრახ დამარხულ, მაგრამ დაუკიწყებელ სამყაროში შემცყანა, მეტისმეტად ხმაურიანი სულებით დასახლებულ სასაფლაოზე უნდა დამეცა კარავი.

ვიჯექი ვერანდაზე, სარწყველას აქეთ-იქით გაქანავებდი და თან მდინარისგან იშვიათად მოქნეული მუშტის მოსავერიებლად აღმართულ ბუმბერაზ ქვებს ვუყურებდი. ქვების ზემოთ ბილიკია. პატარა მდელოზე გადის და მაგარი ხის ბელვედერთან წყდება. დგას ჯგუფად ამოსული ხეების სქელი ჩრდილის ქვეშ.

მდინარიდან გამოვიდა, ქვებზე აცოცდა და ბელვედერისკენ დაიხარა. ლამაზი ქუდი ეხურა. თვიდანვე იქ იყო და ჩემ გარდა ყველამ, რომანის ყველა გმირმა, იცოდა ამის შესახებ. მოგვიანებით დაიწერა: „იცოდნენ ეს ამბავი ქალებმა, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობდნენ“. ის იყო ამ ამბის ცენტრალური ფიგურა, მოკლული და არა მკვლელი, ის, ვინც ყველაფერი დაკარგა და რამეზე ხმის ამოღვბის უფლებაც არ ჰქონდა. გარეთ ვერ დარჩებოდა და სახლში მოუწია შესვლამ, ნამდვილ სახლში და არა ქოხმახში, ისეთში, მისამართი რომ ჰქონდა და ყოფილი მონები თვის ჭკუაზე რომ ცხოვრობდნენ შიგ. არც სახლს ჰქონდა შესასვლელი, თუ „შესავალი“, და არც რომანს. მინდოდა, მკითხველი მოტაცებულოვით ულმობლად შემვადო უცხო გარემოში, პირველი ნაბიჯი გადაედგა, და წიგნში დახატული გმირების გამოცდილება გაეზიარებინა; გაეზიარებინა, როგორ იპარავდნენ ადამიანებს ერთგან და მიჰყავდათ მეორეულან, ნებისმიერი აღვილიდან სხვა აღვილას ისე, რომ ვერც მოშავდებას ასწრებდნენ, ვერც თვის დაცვას.

მნიშვნელოვანი იყო, რომ სახლს სახელი დარქმეოდა, მაგრამ „საყვარელი სახლის“ ან სხვა პლანტაციების სახლების მსგავსი

არა. არც ერთ ზედსართულს არ უნდა მიეკოიცონა მყვაროებაზე. დიდებულებაზე, ანდა წმიერ არასტოკრატულ წრისულზე. მარტო ნომრით უნდა გამოეცნოთ სახლი, თან მოვლი ქუჩისვან. ქალაქის-გან უნდა გაემიჯნათ ნომრით უნდა გამოერჩიათ სხვ შეკანანებს სახლებისვან, სამეზობლოში რომ იღვა. და ეს ნომერი ერთგვარი გადაკრული სიტყვაც უნდა ყოფილიყო უპირატესობაზე. ხომავებელი რომელსაც ყოფილი მონები განიცდიდნენ. რა კი საკუთარი მასამართი ექნებოდათ და მაინც, ამ სახლს. გადაუჭრობებლად რომ ვთქვაო ინდუიდუალურობა ჰქონდა, როგორც კაბობი „შვი მოჩვენებები სახლობდნენ“, რაც მის ინდუიდუალურობას ძევიანალას, თვალში აცემს ხდის.

კცდილობდი, მონების გამოცდილება უაღრესად პირადული კოფილიყო და იმედი მქონდა, რომ თვიდან ბოლომდე დამაჯერებელი იქნებოდა ისიც, რაც კონტროლს ექვემდებარებოდა. და ისიც. რაც არ ექვემდებარებოდა; იმედი მქონდა. რომ ყოველდღიურობის წესრიგსა და სიმშვიდეში გააფთრებით შეიჭრებოდა შეჭრვებული მიკ-კალებული; იმედი მქონდა, რომ შეუქმნიდა საფრთხეს დაიწყების უზარმაზარ მცდელობას მეხსიერება. რომელიც თვეგანწირულად ესწრაფოდა სიცოცხლეს. იმისთვის, რომ მაუნდა მონობა გაითავისოს, სხვანაირი უნდა გახდეს სამეტყველო ენაც.

კუტრიალებ პირსზე გატარებულ წუთებს. მაცდურ მდინარესაც კხედავ, ვიცი, რას ნიშნავს წამი, როცა ადამიანი ხვდება, რა შეიძლება მოხდეს და გულის ხმამაღალი ბრავაბრუებიც მესმის. შიში, მარტოობა... და აი, ისიც, გოგონა, ლამაზი ქუდი რომ ახურავს. ეს თუმაა.

აუტორისავან

ნატილი I

124 ნომერში გავებული ჩვილის გულისწყრომას და სადგურებინა. იცოდნენ ეს ამბავი ქალებმა, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობდნენ. იცოდნენ ბავშვებმაც. წლების განმავლობაში სახლში დაბუდებულ ბოლმას თითოეული მათგანი თვისებურად უწყობდა ფქს, მაგრამ 1873 წლისათვის აქაური სიბრაზის ტყვეობაში მხოლოდ სითუდა მისი ქალიშვილი დენეერი დარჩნენ. ბებია, ბები საგზი, მკვდარი იყო, ოჯახის გაუიშვილები პოვარდი და ბაგლერი კი ცამეტი წლისანი გაქცეულიყვნენ სახლიდან, მაშინვე, როგორც კი ბაგლერს სარყში ჩაუხედავს და ეს უკანასკნელი ნამსხვავებად ქცეულა, ხოლო პოვარდის თვალწინ ნამცხვარს ხელის პატარინა ანაბეჭდები დამჩნევია. მორიგი ნიშნისთვის არც ერთ ბიჭს მოუცდია, არც მეორეს: აღარც კარდლიდან იატაკზე გადმოპირქვაუებული ოხშოურავარდნილი თურქული ბარდის ნახვა უნდოდათ, არც კარის ზღურბლთან ზოლად დაყრილი დაფუშვნილი გალეტებისა. ბიჭები არც ნუგეშიანი, უშფოთველი ჟამის დადგომას დალოდებიან, რომელიც კვირების, თვეების განმავლობაშიც კი გრძელდებოდა ხოლმე. არა. ერთმაც და მეორემაც თვეს მაშინვე უშველეს, როგორც კი თითოეულ მათგანს სახლმა ისეთი გამოხდომა მოუწყო, რომლის მსგავსსაც ხელმეორედ ვეღარც აიტანდნენ და ვერც შეუსწრებოდნენ. ორ თვეში, შუაგულ ზამთარში, პოვარდმა და ბაგლერმა ბლუსთოუნ-როუდზე მდებარე სახლში ბებია, ბები საგზი, დედა, სითუ და პატარა დაიკო დენეერი მარტოდმარტო დატოვეს. მაშინ მათ სახლს ნომერი არ ჰქონდა — სად იყო მაშინ ამხელაზე გადაჭიმული ცინცინატი. მართლაც, იმ დროისათვის, როდესაც ჯერ ერთმა, მერე კი მეორე ძმამ გუდანაბადი გამოკრა, ფქსსაცმელს ხელი წამოავლო და აშკარად უკად განწყობილი სახლიდან მოუსვა, მხოლოდ სამოცდაათი წელი გახლდათ გასული მას შემდეგ, რაც ოპაიოს შტატად მოიხსენიებდნენ.

ბები საგზს თვისც არ აუწევია. ესმოდა უკადმყოფის სარეცლიდან, ბიჭები როგორ მიდიოდნენ, მაგრამ სულგაკმენდილი სხვა რამის გამო იწვა. უკვირდა, მის შეილიშვილებს ამდენი ხანი რატომ დასჭირდათ იმის მისახვედრად, რომ ყველა სახლი ბლუსთოუნ-როუდზე აშენებულ სახლს არ ჰგავდა. სიცოცხლის სისაძაგლესა და მკედრეთის უბადრუკობას შორის გამოკიდებულს არც ცხოვრები-

დან წასელია აინტერესულია, არა შიხი გამოიყენება, რომ არავერ-
რი ვთქვათ თუ დაფეხისულ ბიჭები, სახლიდან გაძარება რომ გადა-
შევიტათ ბეიბის წარსელი შიხი აქვთ პატივი, გაუსაძლოა იყო,
და რაკი იცოდა, რომ ხაკვდილი ეკულაფერის პატივი თევლავისუბის
გარდა, შერჩევის კერძალებულ დაღ-ლისხეს ღირებულების დრენის აჩარედა.

— თუ გაქვს, რამე ლია ლილისფერი მოიძრავ, თუ არა და, გარ-
დისფერი.

სითუსაც ბეიბის საამებლად ხან ნაირ-ნაირი ქსელიდი გამოიქვინ-
და, ხანაც ენას გამოყოფდა და იმას აჩვენებდა ხელმეუ. ვერადევ-
ნების მოუგარეულებისთვის ზამთარი თამათში განსაკუთრებულად
მკაცრი გახლდათ და სულ ერთხაირად მოღუმული კის ღორიშე კ-
რაუდი, რომ ცინცინატის პორიზონტი ცხევრების მთავრი საამებ
გამოგადგებოდათ მართლაც უგუნდურება იყო. პოდა, ბეიბისათვის
თვის ქალიშვილ დენკურთან ერთად სათური ისე ირჯებოდა, როგორც
შეეძლო და როგორც ამ სახლში შეიძლებოდა გარჯილიყო. ერთად
ებრძოდნენ გამძვინვარებულ სახლ-კარს, წუნწუხით საჯეო ამობრუ-
ნებულ ჭურჭელს, დროდადრო უკანალზე ხელის წამოტყაპუნებასა
და პაერში დატრიალებულ მწარუ-მწარუ სუნს, სახლის გამძვინვარე-
ბის მიზეზი კი მათთვის დღესავით ნათული იყო.

მას შემდეგ, რაც ძმებმა სახლი დატოვეს, ბეიბი საგზი მალევ
ისე მოკვდა, არც ბიჭების შინიდან წასელას აუღელვაბია, არც იმას,
რომ თავად მიდიოდა ამ ქვებიდან, ხოლო სითუმ და დენკურმა თვისთ
შეჭირვებული ყოფისთვის ბოლო რომ დაედოთ მაშინვე იმ სულის
გამოძახება გადაწყვიტეს, ასე რომ აწამებდათ ფიქრობდნენ, იქნებ
საუბრით, აზრთა გაცვლა-გამოცვლით თუ რაღაცით გვემცველოსო
რამე. ადგნენ, ერთმანეთს ხელები ჩაჟყიდეს და თქვეს: „გამოდი, ის-
ლა დაგრჩენია, გამოხვიდე“.

ჭურჭლის კარადა ოდნავ წინ მიიწია, სხვა არაფერი დაძრულა
ადგილიდან.

— ალბათ, ბებია ბეიბი უშლის ხელს, — თქვა დენკურმა. ათი
წლისა იყო და ჯერ კიდევ ბრაზობდა ბეიბი საგზზე იმისთვის, რომ
მოკვდა.

სითუმ თვალები გაახილა და თქვა:

— არა მკონია.

— აბა, რატომ არ გამოდის?

— გაუიწყდება, როგორი პატარაა, — უთხრა დენვერს დედამ, — ორი წლისაც არ იყო, როცა მოკვდა, მეტისმეტად პატარა იმისთვის, რომ რამეს მიმხვდარიყო. ლაპარაკითაც ბევრს ვერაფერს ლაპარაკობდა.

— იქნებ არ უნდა, რომ მიხვდეს, — თქვა დენვერმა.

— შეიძლება, მაგრამ ერთი რომ გამოსულიყო, ყველაფერს აუხსნიდი.

სითქმ ქალიშვილის ხელს ხელი გაუშვა და ერთად მიაწვნენ ყდლისკენ ჭურჭლის კარადას. ქუჩაში მეტლებ ცხენს მათრახი გადაუჭირა და დაოთხილი სწორედ ისე გააქანა, აქაურების აზრით, 124 ნომერთან გაულისას რომ იყო აუცილებელი.

— ბავშვის პირობაზე მაგრად ჯადოქრობს, — თქვა დენვერმა.

— მეც მაგრად მიყვარდა, — მიუგო ქალიშვილს სითქმ და ხელახლა დაუდგა ყველაფერი თვალწინ. საფლავის დაუმუშავებელი ქვების გულითადი სიგრილე; ქვა, მისაყუდებლად თვალ რომ შეარჩია... ფეხის წვერებზე დაბჯენილი ტერფები და სამარის პირვით განზე გაწეული მუხლებიც გაახსენდა... ფრჩხილით ვარდისფერი ქვა იყო და ზედ ნაქლიბის მბრწყინვა წერტილები ემჩნეოდა. ათი წუთი, — თქვა იმ კაცმა, — ათი წუთი გაქეს. უფასოდ გავაკეთებ.

ათი წუთი შვიდი ასოსთვის. კიდევ ათი წუთი რომ პქონოდა, დაამატებინებდა „სიყვარულით“? იმ კაცისათვის ამის თხოვნა არ უფიქრია და აქამდე ჯავრობდა, ვაითუ, მიწერა შესაძლებელი იყოო, ვაითუ, ოც წუთში, ვთქვათ, ნახევარ საათში, შეიძლებოდა მისი პატარის საფლავის ქვაზე ყველაფერი ამოეტვითრათ ყველა სიტყვა, რომელიც კი დაკრძალვაზე მღვდლისგან გაფლონა, თანაც ყველაფერი სათქმელი იყო: „საყვარელს სიყვარულით“. თუმცა, ერთადერთი სიტყვა, რომელიც დაუწერეს, რომელსაც დასჯერდა, სწორედ ის სიტყვა გახლდათ, რომელიც რაღაცას ნიშნავდა. ფიქრობდა სასაფლაოს ქვებს შორის აქაქის წადილს დანებებული, რომ ეს სიტყვა საკმარისი იქნებოდა, თან მამაკაცის ვაჟი, სახეზე ახალბედას უინით შეზავებული ოდინდელი სიბრაზე რომ ეტყობოდა, თვალს არ აშორებდა. ნამდვილად საკმარისი იქნებოდა, საკმარისი კიდევ ერთი მღვდლისათვის, კიდევ ერთი აბოლიციონისტისა და ზიზღით სავსე მთელი ქალაქისათვის პასუხის გასაცემად.

საკუთარი სულის უძრაობაზე დანდობილს მეორე სული და-

ვიწყებოდა, თვისი პატარა გოგონას სული. ვინ იფიქრებდა, რომ თთის სიგრძე ბაქშვი ამოდენა სიბრაზეს დაიტვიდა? აქაქის ვაჟის თვალწინ ქვებს შორის მამაკაცზე დანებება რაა — მთელი ცხოვრება მარტო იმ სახლში კი არ უნდა გაეტარებინა, რომელსაც ყელგამოჭრილი, გაშმაგებული ჩვილი აზანზარებდა, არამედ ის უსასრულო ათ წეთიც უნდა გაეტანა აისისფერი, ნაქლიბისგან აპრწყინებულ ქვაზე მიჭიჭყილს, სამარის პიროვით განზე ფართოდ გაწეული მუხლებით რომ გაატარა. ის ათ წეთი უფრო მჩქეფარე და მსუსე იყო, ვიდრე ბაქშვის სისხლი, ზეთოვით რომ მოუქონავდა თოთებს შორის.

— შევეიძლია, საცხოვრებლად სხვაგან გადაკიდეთ, — შესთავაზა ერთხელ სითემ დედამთილს.

— რა აზრი აქეს? — იკითხა ბეიბი საგზმა, — ერთი გადახულიც კი არ არის ამ ქვეყანაში, მოკლული ზანგების მწუხარებაზე რომ არ იდგეს. ჩვენი იღბალი, რომ ბაქშვის აჩრდილია. ჩემი ქმრის სული უნდა დაბრუნებულიყო? ანდა შენი ქმრის? ნუ მელაპარაკები. ბედმა გაგიღიმა. სამნი დაგრჩნენ. კალთაზე გექაჩებიან და მარტო ერთი ტეხს ერთ ამბავს იმ ქვეყნიდან. მაღლობა თქეი. რატომ არა ხარ მაღლობელი? მე რვა მყავდა. ყველას გარეშე დაკრჩი. ოთხი წაიყვანეს, ოთხი გაიქცა და ახლა, აღბათ, ყველანი ვიღაცის სახლში ასულობენ, — ბეიბი საგზმა წარბები ხელით მოისრისა, — უფროსი გოგონა... მასზე მარტო ის მახსოვს, რომ პურის მიმწვარი ძირი უყვარდა. წარმოვიდგენია? რვა შვილი და მარტო ეს მახსოვს.

— თვის მხოლოდ ამის გახსენების უფლებას აძლევ, — უთქვამს დედამთილისთვის სითეს, თუმცა თვადაც ერთი ბაქშეის, ერთი ცოცხალი შეიღლის ამარა დარჩენილიყო — ბიჭები მკვდარ გოგონას გაექცია, თან ბაგლერიც სწრაფად აკიწყდებოდა. სხვა თუ არაფერი, პოვარდს თვის ფორმა პქონდა ისეთი, ეერავინ დაოვიწყებდა. სხვა დანარჩენს რაც შექმნა, რაც ძალა და ღონე პქონდა, ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ცოტა ხსომებოდა — ასე უფრო შშვიდად იქნებოდა. სამწუხაროდ, მისი გონება ხან სად იყო, ხან სად. შეიძლებოდა ტუმბოსთან სწრაფად მისასვლელად და ფეხებიდან გვირილის წვენის ჩამოსარეცხად მინდორი გადაერბინა და სხვა არაფერი ხსომებოდა. მასთან თვის შესაქცევად მისული მამაკაცების მოგონება ისჯე მინავლებულიყო, როგორც ნერვული დაბოლოებები, სარეცხადო დაფასუით ოღროჩოლორო, გაძვალტყავებულ ზურგზე რომ პქონდა.

სხვა არაფერი ახსოვდა. ოდნავადაც არ ახსენდებოდა მელნის ან-და ალუბლის ხის ფისტისა თუ მუხის ქერქის სუნი, რომლისგანაც მელანი იყო გაკეთებული. არაფერი. მხოლოდ ნიაუი უგრილებდა წყლისკენ ფეხაჩქარებით მიმავალს სახეს. მერე ტუმბოთი დაქაჩული წყლითა და ძონძებით გვირილის წვენი ჩამოიბანა, თან სულ იმას ფიქრობდა, არსად არაფერი დარჩენოდა. დაუდევრად მარტო იმაზე ფიქრობდა, ნახევარი მიღით გზა როგორ შეემოკლებინა და ფეხები მუხლებამდე არ აექავა, კერც კი შენიშნა, რამხელაზე გაზრდილიყო სარუველები. რაღაც ხდება. წყლის ჩქაფუნი ესმის და ფეხსაცმელსა და წინდებს ხედავს, ბიღიკზე თავად რომ მოუსვრია; ახლა ძალლი, სახელად „ბიჭი“ მის ფეხებთან გუბიდან წყალს სვლეპს, მერე კი უეცრად „საყვარული სახლი“ გამოგორდება საიდანლაც, მოგორავს, მოგორავს მის თვალწინ და მიუხედავად იმისა, რომ იმ კარ-მიდამოში ფოთოლიც არ გვულება ისეთი, ყვირილი რომ არ მოანდომოს, მაინც წარმოუდგა იქაურობა მთელი თავისი უტიფარი სიშმვენიერით არასოდეს ყოფილა „საყვარული სახლი“ ასეთი საშინელი სანახავი და იფიქრა სითემ, ნეტავ ლამაზი ადგილი თუ არისო ჯოჯოხეთიც. კარგი, ჯოჯოხეთური ტანჯვა გასაგებია, მაგრამ მომაქმანებულ წარაფებში რომაა მემალული გოგირდიცა და ცეცხლიც? მსოფლიოში ულამაზეს ლელვსულელებზე ჩამოკიდებული ბიჭები გაახსენდა და შერცხვა, საოცარი მოშრიალე ხეები უკეთ რომ ახსოვდა, ვიდრე ბიჭები. პირიქით ვერაფრით ახერხებდა — ყოველ ჯერზე სჯობნიდნენ ლელვსულელები ჩამომხრჩვალი ბავშვების მოგონებას და სითე-საც ვერ ეპატიებინა ასეთი რამ საკუთარი მქნიერებისთვის.

გვირილის წვენი რომ ჩამოიბანა, სახლს უკნიდან შემოუარა, თან გზად ფეხსაცმელი და წინდებიც წამოკრიფა. თითქოს სითეს ისიც საშინელი მქნიერების გამო სჯისო, ასე ორმოცი ნაბიჯის მოშორებით ვერანდაზე ჩამომჯდარა პოლ-დი, უკანასკნელი მამაკაცი „საყ-ვარული სახლიდან“, და მიუხედავად იმისა, რომ მისი სახე ვერასდროს შეუშლებოდა სხვა სახეში, სითემ მაინც თქვა:

— შენ ხარ?

— ის, რაც ჩემგან დარჩა, — პოლი ადგა და გაიღიმა, — შენ რო-გორ ხარ, გოგონი? ფეხშიშველი რომ ხარ, ვხედავ.

სითეს გაეცინა. დაუოკებელი, ახალგაზრდული სიცილი იყო.

— აგე, იქ ფეხები დაუითხვარუ. გვირილებია.

პოლ-დიმ ისეთი სახე მიღო, თითქოს ჩაის კუჭით მწარე რამ გა-
ეხინჯოს.

— გაგონებაც არ მინდა. ყოველთვის მეზიზდებოდა.

სითუმ წინდები ხელში მოკუჭა და ჯიბეში ჩაიჩუროთ.

— შემოდი.

— კარგი ვერანდაა, სითუ. გრილა, — პოლ-დი ისე დაჯდა და
რა იცოდა, მის გულისწადილს თვალები გაამხელდა, მდელოს გა-
ხედა, გზის გადაღმა რომ იყო.

— თვრამეტი წელი, — ნაზად თქვა ქალმა.

— თვრამეტი, — გაიმეორა პოლ-დიმ, — გეფიცები, სულ სია-
რულში გაუტარე. წინააღმდეგი ხომ არა ხარ, მეც რომ დავიბანო?

— მამაკაცმა სითუს დაბანილი ფეხებისკენ გაიქნია თვი და ფეხსაც-
მლის თასმების შეხსნას შეუდგა.

— ჩაყრი? ტაშტით მოგიტან წყალს, — თქვა სითუმ და სახლში
რომ შესულიყო, სტუმარს მიუახლოვდა.

— არა, არა. კიდევ ბევრი აქვს ამ ფეხებს სალაყუნო.

— ასე უცებ ვერ წახალ, პოლ-დი. ცოტა ხანს უნდა დარჩე.

— ჰო, იმდენ ხანს მაინც, რომ ბეიბი საგზი ვნახო. სად არის?

— მოკვდა.

— ვაი, არა. როდის?

— უკვე რგა წელია. თითქმის ცხრაც.

— იწვალა? უწვალებლად მოკვდა?

სითუმ თვი გააქნია.

— სულ ადვილად. სიცოცხლე უფრო ძნელი იყო მისთვის. ვწუხ-
ვარ, რომ ვერ მოუსწარი. მის სანახავად მოხვედი?

— მისთვისაც, შენს სანახავადაც, მაგრამ რომ არ დაგიმალო,
ახლა ნებისმიერ ადგილას წავალ, ნებისმიერ ადგილას, სადაც და-
მაყენებენ.

— კარგად გამოიყერები.

— ეშმაკს შეუშალა რაღაცა. მისი დამსახურებაა, როცა თვის ცუ-
დად ვგრძნობ, კარგად რომ გამოიყერები, — პოლ-დიმ ქალს გადა-
ხედა და სიტყვამაც „ცუდად“ განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა.

სითუს გაეღიმა. ასე იყო, ასე იყვნენ „საყვარელი სახლის“ კაცები
პალემდეც და მის შემდეგაც — ცოტ-ცოტას, დაძმურად ეარმიყე-
ბოდნენ, ისე ოსტატურად, რომ თვისთვის ძალა უნდა დაგეტანები-
ნათ, განხრახვას რომ მიხვედროდით

მობულულებულ თმასა და რაღაცნაირ მოლოდინს თუ არ ჩა-
თვლით, თვალებში რომ ჩასდგომოდა, პოლ-დი ისეთოვე გახლდათ,
როგორიც ჭირუკიში ყოფნისას ბრძანდებოდა. ისეთოვე ქლორიტის
ფიქლისფერი კანი ჰქონდა, წელშიც ისეთოვე გაჯგიმული იყო.

გაგიკვირდებოდათ, უძრავი სახის პატრონს როგორ უცებ მო-
ფინებოდა ხოლმე ღიმილი, როგორ უცებ აფეთქდებოდა ან როგორ
თანაგიგრძნობდათ თოთქოს საკმარისი იყო, მისი ყურადღება მი-
გექციათ და ისიც უმაღლ გაითავისებდა იმას, რასაც თქვენ გრძნობ-
დით. თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებდით, ისე შეცვლებოდა
პოლ-დის გამომეტყველება, რომლის მიღმაც მისი სულის მოძრაო-
ბა იმაღლებოდა.

— მასზე არც უნდა გკითხო, არა? მომიყვებოდი, მოსაყოლი რომ
იყოს რამე, არა? — სითემ ფეხებზე დაიხედა და ისევ ლელვსულელე-
ბი დაუდგა თვალწინ.

— მოგიყვებოდი. რა თქმა უნდა, მოგიყვებოდი. იმაზე მეტი არც
ახლა ვიცი, ვიდრუ მაშინ ვიცოდი, — მიუგო ქალს პოლ-დიმ და გაი-
ფიქრა: „კარაქსადლვებში მომხდარი ამბის გარდა. არც უნდა იცოდე
ეს“, — უნდა გჯეროდეს, რომ ცოცხალია, — განაგრძო მამაკაცმა.

— არა. მე მგონია, მკვდარია. ჩემი რწმენა სიცოცხლეს ვერ გა-
უხანგრძლივებს.

— ბეიბი საგზი რას ფიქრობდა?

— იმავეს, მაგრამ მისთვის რომ გესმინა, ყველა შვილი მკვდარი
ჰყავდა. ამტკიცებდა, რომ ზუსტად გრძნობდა თითოეული მათგანის
გარდაცვალების დღესა და საათს.

— როდის თქვა, ჰალე მოკვდაო?

— ათას რვაას ორმოცდათხუთმეტში. იმ დღეს, როცა ბაჟშვი მე-
ყოლა.

— გააჩინე, ხო? არასოდეს მიფიქრია, რომ ამდენს მოახერხებდი,

— ჩაიცინა პოლ-დიმ, — ორსული ქალის გაქცევა.

— მომიწია. მეტს ვერ მოვიცდიდი, — თვი დახარა სითემ და
პოლ-დისა არ იყოს, თვალდაც გაიფიქრა, რა დაუჯერებელია, ეს რომ
მოვახერხეო. ხავერდის მაძებარი გოგო რომ არა, ვერასოდეს გაარ-
თმევდა ამ საქმეს თვის.

— თანაც სულ მარტომ, — თქვა პოლ-დიმ. თან ამაყობდა, თან
აღიზიანებდა სითე. ეამაყებოდა იმიტომ, რომ ქალს გაქცევა მოქერ-

ხებინა; აღიაშიანებდა ის, რომ სამისოდ სითეს არც ჰალე დასჭირ-
კება. არა; თუკად პოლ-დი.

— თითქმის მარტომ. სულ მარტომ არა. თეთრკანიანი გოგო მო-
მქმარა.

— ლძეროთმა დალოკოს. თუის თუსაც მიუხმარა.

— შეკიძლია, ღამე დარჩე, პოლ-დი.

— დაჯერებულად არ მოაწოდ.

სითეშ დახურულ კარს შეავლო თვალი, მამაკაცის ზურგს უკან
რომ მოჩანდა.

— ოქ. მე გულით გითხარი. იმის იმედი კი მაქვს, რომ აქაურო-
ბის გამო არ დაძმრახავ. შემოდი. დენვერს დაელაპარაკე, სანამ რა-
მეს მოიგიმზადებ.

პოლ-დიძ ფეხსაცმელები თასმებით ერთმანეთს გადააბა, მხარზე
გადაიკიდა და კარის გავლით სითეს ფეხდაფეხ პირდაპირ წითლად
შეუბებულ. ატორტმანებულ სინათლეში აღმოჩნდა. გაშეშდა.

— მარტო არა ხართ? — წარბმეკვრით დაიჩურჩულა პოლ-დიძ.

— ზოგჯერ

— ღმერთო ჩემო, — თქვა მამაკაცმა და უკან-უკან სიარულით
გუიდა ვერანდაზე. — რა ოხრობა გყავთ აქ?

— ოხრობა არ არის. უბრალოდ, სევდიანია. შემოდი. შემოდგი
ფეხი, რაღა.

პოლა, პოლ-დიმაც შეხედა სითეს. ახლოდან, იმაზე ახლოდან შე-
ხედა, ვიდრე მაშინ, როცა ქალი სველი, აბზინებული ფეხებით უვ-
ლიდა გარშემო სახლს, ცალ ხელში ფეხსაცმელი და წინდები ეკაცა,
მეორით კი — კაბის კალთა. ჰალეს გოგო — გოგო, მტკიცე გამო-
ხედვა და ანგარიშგასაწყვი ურყყვი ხასიათი რომ პქონდა. კენტუ-
კიში თვეშიშველი არასოდეს ენახა და მიუხედავად იმისა, ბოლოს
რომ ნახა, თვრამეტი წლისა იყო, ნაკვთები ახლა უფრო ნაზი პქონ-
და. თმის ბრალი იყო ყველაფერი. მეტისმეტად შშვიდი სახე პქონდა
იმისთვის, რომ მართლა უშფოთველი გგონებოდათ და ამ აუღელ-
ვებელ სახეზე იმავე ფერის თვალის გარსები მოუჩანდა, რა ფერისაც
კანი პქონდა. ასე უკონა ხოლმე, ნიღაბს უყურებდა, რომელზეც ვი-
ღლაცას თვალის გამოსახედი ადგილები გულმოწყალედ გაჭვრიტა.
ჰალეს ქალი. ყოველ წელს ორსულად იყო, მათ შორის იმ წელსაც,
როცა ცეცხლის პირას იჯდა და ეუბნებოდა, გაქცევას გაპირებო.

სამი ბავშვი უკვე გაეყოლებინა ზანგების ქარაუნისათვის, ახლა მდინარეზე რომ გადადიოდა. ბავშვები ცინცინატის მახლობლად, პალეს დედასთან უნდა დაეტოვებინათ იმ ციცქნა ქოხმახშიც კი, ცეცხლთან იმდენად ახლოს, რომ სიმხურვალისგან მის კაბას სუნი ასდიოდა, სითუს თვალები ოდნავადაც არ ირეკლავდა სინათლეს. ორ ჭას პგავდა, რომელში ჩახედვაც უძნელდებოდა პოლ-დის. ამოჩიჩქნილ თვალის გამოსახუდებსაც კი სჭირდებოდა დაფარვა, მოჭუტვა, ნიშანდება, აქაოდა, უფრთხილდით შიგ დაბუდებულ სიცარიელესო. პოლა, რაკი მისი ქმარი იქ არ იყო, „საყვარელი სახლის“ ამბებს სითუ თვალ უყვებოდა პოლ-დის, ის კი სითუს ნაცვლად ცეცხლს მისჩერებოდა. მისტერ გარნერი მკვდარი იყო, მის ცოლს კი კისერში ბატატისოდენა სიმსიუნე ჰქონდა და არავისთან შეეძლო ლაპარაკი. სითუ იმდენად ახლოს დაიხარა ცეცხლისკენ, რამდენადაც მუცელი უშვებდა და ყველაფერი უამბო პოლ-დის, მოუყვა უკანასკნელ მამაკაცს „საყვარელი სახლიდან“.

ფერმაში ექვსნი იყვნენ. სითუ ერთადერთი ქალი იყო. ბავშვიუით ტიროდა მისის გარნერი, პოლ-დის ძმას რომ უყიდდა ვალების გასასტუმრებლად, დაქვრივდა თუ არა, მაშინვე რომ ამოტიტოვდა. მერე ყველაფერი რიგზე რომ დაეყენებინა, სკოლის მასწავლებელიც ჩამოვიდა, მაგრამ მისი ნამოქმედარის გამოისობით იყო, „საყვარელი სახლიდან“ კიდევ სამი მამაკაცი რომ გატყდა და სითუს მოელგარე თვალებიდანაც სიმტკიცე ერთბაშად გაქრა, მათ ადგილას კი ორი თველია ჭა დარჩა, ცეცხლის აღსაც რომ აღარ ირეკლავდა.

სიმტკიცე ისუ ჩასდგომოდა ქალს თვალებში, მაგრამ თმის გამო დანაზებულ ნაკვთებს იმდენად მიენდო პოლ-დი, რომ სითუს კარის ტკაცანის მიუხედავად, წითლად შეგუბებულ, ათროთოლებულ სინათლეში შეჰყვა. მართალი გახლდათ სითუ. სუვდიანი სინათლე იყო. მასში რომ გადიოდა, ისე დარია დარდმა პოლ-დის ხელი, ტირილი მოუნდა. ჩვეულებრივ სინათლემდე, მაგიდის გარშემო რომ მოჩანდა, მანძილი ეშორა, მაგრამ საქმეს თუ მაინც გაართვა — მაგიდამდე ისე მიაღწია, რომ არც უტირია და თუს ბედნიერადაც გრძნობდა.

— თქვი, უწყვეტლებლად მოკვდაო, სულ ადვილადო, — გაახსენა პოლ-დიმ სითუს.

- ეს ბეიბი საგზი არ არის, — მიუგო ქალმა.
- აბა, ვინაა?

— ჩემი ქალიშვილია. ის, ბიჭებთან ერთად წინ რომ გვუშვი.

— არ უცოცხლია?

— არა. გოგონას გარდა, გაქცევისას მუცლით რომ გატარებდი, სხვა არაფერი დამრჩა. ბიჭებიც წარიდნენ. ორივე ზუსტად ბეიბი საგზის სიკვდილამდე გაიპარა.

პოლ-დიმ იმ ადგილს შექედა, სადაც დარღმა დარია ხელი. სიწითლე გამქრალიყო, თუმცა მის ადგილას პაერს რაღაცნაირი ტირილის ხმა შერჩენოდა.

„შეიძლება, ასე ჯობდეს კიდეც, — გაიფიქრა მამაკაცმა, — ზანგს თუ ფეხები აქვს, მათთვის გამოყენებაც უნდა იცოდეს. მეტისმეტად დიდხანს გაჩერდები ერთ ადგილზე და ვიღაც მოიფიქრებს, როგორ გამოგსკვანჩოს. და მაინც... თუკი ბიჭები წასული იყვნენ...“

— ერთი კაციც არ არის? სულ მარტო ხარ?

— მე და დენვერი ვართ, — უპასუხა პოლ-დის ქალმა.

— მერე არა ვიშავთ?

— მე არა მიშავს, — შენიშნა სითუმ პოლ-დის უნდობლობა და მოყოლა განაგრძო, — ქალაქში ერთ რესტორანში ვმუშაობ შზარუ-ულად. ჩუმ-ჩუმად ცოტას ვკერავ კიდეც.

ახლა კი გაიღიმა პოლ-დიმ — საქორწილო კაბა გაახსენდა. „საყვარულ სახლში“ რომ მივიდა, სითუ ცამეტი წლისა იყო და უკვე მტკიცე გამოხედვა პქონდა. მისის გარნერისათვის, რომელსაც საკუთარი ქმრის მაღალი პრინციპების გამო ბეიბი საგზი დაეკარგა, სითუ დროული საჩუქარი იყო. ხუთმა მამაკაცმა, „საყვარულ სახლში“ რომ იყვნენ, ახალი გოგო შეათვალიერა და გადაწყვიტა, იყოსო, დაე, აქ. ახალგაზრდები გახლდნენ და უქალობა ისე პქონდათ ყელში ამოსული, რომ საფურუ ხბორუბთან ერთობოდნენ. მართალია, თითოეული მათგანი შზად იყო, სითუს ხელში ჩასაგდებად დანარჩენები მიეთეთქვა, მაგრამ გოგოს, მტკიცე გამოხედვა რომ პქონდა, მაინც არ უმწარებდნენ სიცოცხლეს — უნდოდათ, არჩევანი თვალი გაეკეთებინა. ასარჩევად გოგოს მთელი წელი დასჭირდა, გრძელი და რთელი წელიწადი მასზე ოცნებით გაწამებულებმა ჩალის ლეიბებზე ბორგვაში რომ გაატარეს. ეს იყო ლტოლვის ერთი წელიწადი. მთელი წლის განმავლობაში სურვილი კლავდათ და მხოლოდ ძალადობა ესახებოდათ ერთადერთ გამოსავლად, თუმცა კი შეიძლება მხოლოდ იმიტომ იკავებდნენ, რომ „საყვარული სახლიდან“ იყვნენ,

ისინი გახლდნენ, ვის გამოც, ვიდრუ სხვა ფერმერები თავებს აკან-ტურებდნენ, მისტერ გარნერი იკვეჭნიდა ხოლმე:

— ყველას გყავო ბიჭები, — ეუბნებოდა მისტერ გარნერი დანარჩენებს, — ახალგაზრდები, ხანში შესულები, აზიზები, ბინძურები, „საყვარელ სახლში“ კი ჩემი ყველა ზანგი კაცია. ასე ვიყიდე და ასე გაჟზარდე. ყველა კაცია.

— ერ დაგეთანხმები, გარნერ. ყველა ზანგი კაცი არ არის.

— პო, თუ გეშინია მათი, მაშინ არ არიან, — ფართოდ იღიმოდა გარნერი, — მაგრამ შენ თვითონ თუ კაცი ხარ, ისიც გენდომება, რომ შენი ზანგებიც კაცები იყვნენ.

— ჩემი ცოლის სიახლოეს ერთ ზანგსაც არ გავაჭაჭანებდი, — და საწადელი პასუხით გახარებული გარნერიც მიუგებდა ხოლმე:

— არც მე. არც მე.

მერე კი, ვიდრუ მეზობელი იყო, უცნობი, ქუჩის მოვაჭრე თუ რომელიმე ნათესავი, ერთს დათიქრდებოდა ხოლმე და ატყდებოდა ცხარე კამათი, ზოგჯერ შეხლა-შემოხლაც და დალურჯებული გარნერიც ნაამები ბრუნდებოდა შინ, აქაოდა, ყველას ვაჩვენე, როგორი უნდა იყოს ნამდვილი კენტუკელი მამაკაცი, საკმაოდ მაგარი და ფხიანი იმისთვის, რომ თუისი ზანგები ნამდვილ მამაკაცებად აქციოს და კაცებად მოიხსენიოსო.

და იყვნენ: პოლ-დი გარნერი, პოლ-ეფ გარნერი, პოლ-ეი გარნერი, პალე საგზი და გადარეული სიქსო. ყველა ასე ოცი წლისა იყო, ქალი არც ერთს არ ჰყავდა, ძროხებს ხმარობდნენ, ყველგან გაუპატიურება ელანდებოდათ, ჩალის ლეიბებზე ბორჯავდნენ, ბარძაყებს იზელდნენ და ახალ გოგოს ელოდებოდნენ, გოგოს, რომელსაც ბეიბი საგზის ადგილი მას შემდეგ დაეკავებინა, რაც ხუთი წლის განმავლობაში კვირა დღეს მუშაობის წყალობით პალეს ეს უკანასკნელი გამოესყიდა. შეიძლება, სწორედ ამის გამო აერჩია კი-დეც გოგოს პალე. შესანიშნავად ახასიათებდა ოცი წლის მამაკაცს ის, რომ დედა ძალიან უყვარდა, რომ ხუთი წელიწადი დასვენებაზე უარს მხოლოდ იმისთვის ამბობდა, რათა სხვათა შორის უსაქმოდ ჩამომჯდარი დედა ენახა.

გოგომ ერთი წელი მოიცადა. იცდიდნენ მამაკაცებიც, „საყვარელ სახლში“ რომ ცხოვრობდნენ და ვიდრუ იცდიდნენ, ძროხებთან იქცვდნენ თუს. გოგომ პალე აირჩია და პირველი ჯერისთვის, როცა

ერთმანეთის სარეცელი უნდა გაეჩიარებინათ, მაღლად სათანადო სამოსიც შეიკერა.

— ცოტა ხანს არ დარჩები? ერთ დღეში თვრამეტი წლის უნახავ ადამიანთან ლაპარაკით გულს ვერავინ მოიჯერებს.

ულიმლამო ოთახიდან, რომელშიც ისხდნენ, მეორე სართულისკენ, სადაც კედელზე ლურჯსა და თეთრ ფერებში გადაწყვეტილი ქალალდი გაეცრათ, თეთრი კიბე ადიოდა. პოლ-დი შპალერის მხოლოდ ქვედა ნაწილს ხედავდა. ერთსავად ლურჯი ფერის ფონზე ენძელების კორიანტელში მოკრძალებული ყვითელი წინწკლები მოჩანდა, მამაკაცი კი ვერა და ვერ სწყვეტდა თვალს კიბის თეთრად აპრიალებულ საფეხურებსა და მოაჯირს. მთელი არსებით გრძნობდა, აულიდა თუ არა კიბეს, ზემოთ მოჯადოებული, კამკამა ჰაერი ელოდა, მაგრამ კოხტა პირისახის პუტკუნა, მუქკანიან გოგონას, რომელიც ამ კამკამა და მოჯადოებული ორთქლიდან ჩამოვიდა, შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა. პოლ-დიმ ჯერ გოგონას შეხედა, მეორე კი სითეს, რომელმაც ღიმილით უთხრა:

— აი, ჩემი დენვერი. ეს პოლ-დია, ჩემო კარგო, „საყვარელი სახლიდან“.

- დილა შშვიდობისა, მისტერ პოლ-დი.
- გარნერი, პატარავ. პოლ-დი გარნერი.
- დიახ, სერ.
- მიხარია, რომ გხედავ. დედაშენი ბოლოს რომ ვნახე, მუცელში ჰყავდი და იქიდან არ აძლევდი მოსვენებას.
- ახლაც მასეა, — გაეღიმა სითეს, — მარტო უკან შეძრომა აკლია.

დენვერს, ქვედა საფეხურზე რომ იდგა, ერთბაშად დასცხა და შერცხვა. დიდი ხანი იყო, რაც მავანი, იქნებოდა თეთრკანიანი მოწყალე ქალბატონი, მღვდელი, აღგილობრივი ავტორიტეტი თუ რეპორტიორი, მათ მაგიდას არ მისჯდომოდა და მისი მოჩვენებითი თანაგრძნობით გამთბარი ხმა ზიზლით სავსე გამოხედვას არ გაეცა. უკვე თორმეტი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ ბებია ბეიბის სიცოცხლეში, მათთან სიარული ყველანაირმა სტუმარმა შეწყვიტა, რა თქმა უნდა, მეგობრებმაც. მას შემდეგ მათთან ფერადკანიანი არავინ მისულა. ცხადია, არც გრძელთმიანი მამაკაცი გამოჩენილა, თხილის ნაჭუჭისფერი კანი რომ ჰქონდა და ხელში

უბის წიგნაკი ეჭირა. არც ნახშირი მოუტანია მათთვის ვინმეს, არც ფორმისალი და არც კითხვებით შეუწუხებიათ. სად იყო და სად არა, ეს კაციც გამოჩნდა, კაცი, რომელთანაც დედამისს არა-თუ საუბრის სურვილი პქონდა, ისიც კი არ ანაღვლებდა, ლა-პარაკისას ფეხშიშეკელი რომ იყო. აღუშფოთველი დედოფალით კი არა, როგორსაც დენერი დედას მოული ცხოვრება იცნობდა, სითუ ახლა პატარა გოგოსაჲით იცქირებოდა, იცქირებოდა კი არა და იქცეოდა. დედამისი ის ქალი იყო, რომელიც თვალს არასო-დეს არიდებდა ვინმეს ან რამეს, ქალი, რომელსაც არც ზედ სო-იერის რესტორნის წინ ფაშატისგან გაქელილი მომაკვდავისთვის აურიდებია თვალი და არც დედა ღორისთვის, საკუთარი ნაშენის თქვლეფას რომ შეუდგა. დენერის დედას თვალი არც მაშინ აური-დებია. როდესაც ბავშვის სულმა ძალლი, სახელად „ბიჭი“ აიღო და კედელს ისე მიანარცხა, რომ ორი ფეხი მოატეხა და თვალიც ამოუგდო, მერე კი ტკიფილისგან დაკრუნჩხულმა ცხოველმა ლამის ენა მოიკვნიტა. სითუს ჩაქუჩი აუღია, ძალლისთვის თავში გვარი-ანად უთავაზებია ისე, რომ ამ უკანასკნელს გონება დაკარგვია, მერე სისხლი და დორბლი მოუწმენდია, ბუდიდან ამოვარდნილი თვალი ადგილზე დაუბრუნებია და გადატეხილი ფეხის ძვლებიც ჩაუსწორებია. ძალლი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მას შემდეგ ხმა აღარ ამოუღდია. წონასწორობასაც ვერ იცავდა, თუმცა ეს უფრო დაზიანებული თვალის ბრალი იყო, ვიდრე გაღუნული ფეხების, თან ზამთარი იყო თუ ზაფხული, დარი თუ ავდარი, შინ ვერაფრით შე-იტყუებდით.

და აი, ქალი, რომელსაც შეუძლო გულგრილად მიეხედა ტკიფი-ლისგან გაცოფებული ძალლისთვის, ახლა ფეხზე ფეხშემოდებული იჯდა, ერთმანეთზე გადაჭდობილ კოჭებს აქეთ-იქით არწევდა და საკუთარ ქალიშვილს თვალს არიდებდა — თოთქოს დენერი ტანად იმხელა ყოფილიყო, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. ფეხსაც-მელი არც ქალს ეცვა ფეხზე, არც მამაკაცს. დასიცხული და დარ-ცხენილი დენერი თავს ეულად გრძნობდა. ჯერ ძმები წავიდნენ, მერე ბებიამ მიატოვა, ეს კი მისთვის დიდი დანაკარგი იყო, რადგან მასთან ერთად თამაში ან ვერანდის მოაჯირზე მუხლის საღუნავებით თავქვე ჩამოკიდება არც ერთ ბავშვს არ უნდოდა. ამასაც არა უშავ-და, ვიდრე დედა ისე არ იბრუნებდა პირს მისგან, როგორც იმწუთას

და არ ანატრუბინებდა დენვერის. აშკარად არ ანატრუბინებდა, ნეტავი
ბუშეის აჩრდილმა რამე ბოროტება მოიმოქმედოს.

— ლამაზი ახალგაზრდა ქალბატონია, — თქვა პოლ-დიმ, — ლა-
მაზი. მამამისოვით სასიამოვნო სახე აქვს.

— მამაჩის იცნობთ?

— ვიცნობდი. კარგად ვიცნობდი.

— იცნობდა, დე? — რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა
დენვერი, საკუთარი გრძნობები სხვა ყაიდაზე გადაწყვო.

— რა თქმა უნდა, მამაშენს იცნობდა. უკვე გითხარი, რომ „საყ-
ვარული სახლიდანაა“.

დენვერი ბოლო საფეხურზე ჩამოვდა. მოხდებილად თავის დაძ-
რენა სხვანაირად არ გამოუვიდოდა. სითუ და სტუმარი სიტყვებს „მა-
მაშენი“ და „საყვარული სახლი“ ისე წარმოთქამდნენ, გასაგები იყო,

მამაც და „საყვარული სახლიც“ მათ ეკუთვნოდათ და არა დენვერის. მამა რომ არ ჰყავდა, ესეც მათი საკუთრება იყო და არა დენვერის.

მამამისის არყოფნა ოდესლაც ბებია ბების განკარგულებაში იყო

— მთელი გულით დასტიროდა კაჟს, რომელსაც იქიდან წამოვა-
ნა. ამის მერე მამამისი დედამისის არყოფნი ქმარი გახლდათ, ახლა

კი უცნობის არდამსწრუ მჯობარიც გამხდარიყო, თხილის ნაჭეჭის-
ფერი კანი რომ ჰქონდა. მხოლოდ მათ, ვინც იცნობდა, კარგად იც-

ნობდა მამამისს, შეუძლოთ მისი არყოფნა თავისად მიეთვალათ ანა-
ლოგიურად, მხოლოდ მათ, ვინც „საყვარულ სახლში“ ცხოვრობდა,

შეუძლოთ იქაურობა ხსომებოდათ, ერთობელათ აქაურობაზე და თან

აქეთ-იქით ერთმანეთისთვის შხერაც ესროლათ ისევ ინატრა ბავშ-
ვის აჩრდილის გამოჩენა — მისი სიბრაზის წარმოდგენაზე ამჯერად

გული სიხარულით უფანცქალებდა დენვერის, არადა, ჩვეულებრივ
აჩრდილის გამოხდომები ქანცავდა და ძალას ართმუვდა.

— სახლში აჩრდილია, — დაიწყო დენვერმა და ამ ნათქვამშა გაჭ-

რა კიდეც. ორის ერთობა დაირღვა და დედამისიც მოჩას ტერთვების
რწყას და ბავშვობანას. გაქრა „საყვარული სახლის“ მოგონებები

იმ მამაკაცის თვალთახედვიდანაც, რომლისთვისაც იქცეოდა გოგო-
ნას დედა ბავშვურად. სასწრაფოდ ახედა პოლ-დიმ ჭახჭახა თუთო
კიბეს, დენვერის ზურგს უკან რომ მოჩანდა.

— ვიცი, — თქვა სტუმარმა, — მაგრამ დედაშენმა თქვა, სულია-
ნია, რაღაცა ოხრობა არ არისო.

— არა, სერ, — მიუგო მამაკაცს დენვერმა, — ოხრობა არ არის, მაგრამ არც სულიანია.

— აბა, როგორია?

— დამდურებული. მარტოსული და დამდურებული.

— ასეა? — მიუბრუნდა პოლ-დი სითუს.

— მარტოსულობის რა ვიცი, — თქვა დენვერის დედაშ, — შეშლილია, შეიძლება, მაგრამ ვერ ვხვდები, მარტოსული როგორ უნდა იყოს, როცა ყოველ წუთს ჩეენთანაა.

— ალბათ, რაღაც უნდა თქვენგან.

სითუმ მხრები აიჩეჩა.

— უბრალოდ ბაჟშვია.

— ჩემი და, — დაიწყო დენვერმა, — ამ სახლში მოკვედა.

პოლ-დიმ თმიანი ყელი მოიქექა და სითუს მიმართა:

— უთავო პატარძალს მაგონებს, „საყვარელ სახლში“ რომ იყო. გახსოვს, სითუ? სულ ტყე-ტყე რომ დაწანწალებდა.

— რა დამავიწყებს? აბეზარი ვინმე იყო...

— რატომაა, რომ ყველა, ვინც კი „საყვარელი სახლიდან“ გაქცეულა, მასზე ლაპარაკს თუს ვერ ანებებს? გვერდება, იქაურობა ისე გიყვარდათ, რომ დარჩენაზეც არ იტყოდით უარს, — ჩაერია დენვერი.

— ვის უბედავ ასე ლაპარაკს? — გაუჯურდა შვილს სითუ.

— ასეა, ასეა, — გაეცინა პოლ-დის, — მართალს ამბობს, სითუ. იქაურობას არც საყვარელი პქონდა რამე და არც ჩვენი სახლი ყოფილა ოდესმე, — უარყოფის ნიშნად მამაკაცმა თუი გააქნია.

— მაგრამ იქ ვიყავით და, — შეეპასუხა სტუმარს სითუ, — ყველა ერთად ვიყავით და გვინდა თუ არა, იქაურობა გვახსოვს, — ქალს ოდნავ გააურეოლა და ბუსუსებდაყრილი მკლავი რომ დაეამებინა, ზედ ხელი გადაისვა, მერე კი ისვე ქალიშვილს მიუბრუნდა, — დენვერ, ღუმელი აანთუ. მეგობარს გაუმასპინძლებლად ხომ არ გაუშვებთ?

— ჩემ გამო ნუ წუხდებით, — თქვა პოლ-დიმ.

— პურის გამოცხობა რა შეწუხებაა. დანარჩენი სამსახურიდან მოვიტანე. გამთენიდან შუადღემდე სამზარეულოში რომ ვარ, სახლში სადილი მაინც შემიძლია, მოვიტანო. ქარიყლაპიას ხომ არ დაიწუნებ?

— არა, თვითონ თუ არ დამიწუნებს.

„აი, კიდევ“, — გაიფიქრა დენვერმა, თან სითხსა და პოლ-დისაკენ ზურგშექცეულმა იმდენი შეშა შეტენა გაჩაღებულ ცეცხლში, რომ ღუმელი ლამის ჩაუქრა.

— ლამით რატომ არ რჩებით ჩვენთან, მისტერ გარნერ? თქვენ და დედას შევიძლიათ, მთელი დამე „საყვარელ სახლზე“ საუბარში გაატაროთ.

სითქმ სწრაფად გაიწია ორიოდე ნაბიჯით ღუმლისაკენ, მაგრამ ვიდრე დენვერს საყელოში მოქაჩადა, გოგონა წინ გადაიხარა და ტირილს მოჰყვა.

— რა გჭირს? ასე არასოდეს მოქცეულხარ.

— შეეშვი, — თქვა პოლ-დიმ, — მისთვის უცხო ვარ.

— საქმეც ეგა. უცხო ადამიანთან ცუდად მოქცევის არავითარი მიზეზი არა აქვს. რაშია საქმე, პატარავ? მოხდა რამე? — ჰეი-თხა სითქმ ქალიშვილს, მაგრამ გულამომჯდარი დენვერი უკვე ისე ტირიდა და კანკალებდა, რომ ლაპარაკის თვი არ ჰქონდა. ცხრა წლის განმავლობაში შეუბებული ცრუმლები გოგონას თვალში საცემად მომწიფებულ მკერდს უსველებდა.

— მეტი არ შემიძლია, მეტი არ შემიძლია! — ქვითინებდა დენვერი.

— რა არ შევიძლია? რა არ შევიძლია?

— აქ ცხოვრება. არ ვიცი, სად უნდა წავიდე ან რა უნდა გაუკეთო, მაგრამ აქ ცხოვრება არ შემიძლია. არავინ გველაპარაკება. ჩვენთან არავინ მოდის. ბიჭებს არ მოუწონეარ, არც გოგოებს.

— ძვირფასო, ძვირფასო...

— რას ნიშნავს არავინ გელაპარაკებათ? — იკითხა პოლ-დიმ.

— სახლის ბრალია. ხალხი...

— არა, სახლის ბრალი არ არის! ჩვენ გამო და შენ გამო ხდება!

— დენვერ!

— გყოფა, სითუ. სულებით სავსე სახლში ცხოვრება პატარა გოგოსთვის ძნელია. იოლი როგორ იქნება?

— რაღაც-რაღაცებზე იოლია.

— დაფიქრდი, სითუ. მე ზრდასრული მამაკაცი ვარ, რა არ მინახავს და მეც კი გეუბნები, რომ აღვილი არ არის. იქნებ თქვენი აქედან გადასვლა ჯობდეს? ვისია ეს სახლი?

დენვერის მხარს მიღმა სითემ პოლ-დის გამყინვი შეერა ესროლა
და კითხვაზე კითხვა მიაგება:

- რას დაეძებ?
- არ გაგიშვებენ?
- არა.
- სითე.

— არავითარი გადასვლა. არავითარი წასვლა. აქაურობას არა-
ფერი სჭირს.

— გინდა მითხრა, რომ ნახევრად ჰქუიდან შეშლილი ბუშვიც
ჩვეულებრივი ამბავია?

სახლში პაერი რაღაცნაირად შეჯუბდა, მერუ კი ჩამოწოლილი
სიჩუმე ისევ სითემ დაარღვია:

— ზურგზე ხე მაქვს, სახლში მოჩვენება მყავს, ჩვენ ორს შორის
კი მხოლოდ ჩემი ქალიშვილია, რომელსაც ახლა ვტკვევი. აღარა-
სოდეს გაუექცევი რამეს. ქვეყნად აღარაფერს გაუექცევი. ერთხელ
წვედი და ამისთვისაც ვზღე. აი, რას გეტყვი, პოლ-დი გარნერ: მე-
ტისმეტად ძვირი ჯდება! გესძის? მეტისმეტად ძვირი. ახლა კი ან
დაჯუქი და ჩვენთან ერთად ჭამე, ან თუვი დაგვანებე.

თამბაქოს ქისის ამოსალებად პოლ-დიმ უილეტის ჯიბეში ხელი
ჩაიყო და ვიდრუ სითეს დენვერი დიდი ოთახიდან სასტუმრო ოთახ-
ში გაპყავდა, ქისის შიგთვესსა და შესაკრავის ნასკვს დააკვირდა.
რაკი თუთუნის შესახვევი ქაღალდი არ მოეპოვებოდა, მამაკაცმა
ქისის წვალება განაგრძო, თან სითეს მიაყურადა, ღია კარს მიღმა
ქალიშვილს რომ ამშვიდებდა. დიდ ოთახში დაბრუნებულმა ქალმა
სტუმარს თვალი აარიდა და პირდაპირ მომცრო მაგიდისკენ წავიდა,
ღუმლის გვერდით რომ იდგა. სითე ზურგშექცევით იდგა და პოლ-
დისაც შეეძლო, ისე ეცქირა ქალის თმისთვის, რომ ამ უკანასკნე-
ლის სახის ნაკვთებს მისი ყურადღება არ გაეფანტა.

— რა ხე გაქვს ზურგზე?
— ჰო, — თქვა სითემ, მაგიდაზე თასი შემოდგა და ფქვილის ასა-
ლებად დაიხარა.

— რა ხე გაქვს ზურგზე? გამოგოვიდა რამე? ზურგზე ვერაფერს
გამჩნვა.

- მაქვს და...
- ვინ გითხრა.

— ერთმა თუთრკანიანმა გოგომ. მან დაარქვა ასე. მე თვითონ არც დამინახავს ოდესმე და არც დავინახავ, თუმცა იმან კი თქვა, ხეს ჰგავსო, შოთხვსო. შოთხეის პაწაწინა ფოთლები აქვს, ოლონდ ეს თვრამეტი წლის წინ იყო. რა ვიცი, შეიძლება, უკვე ნაყოფიც პქონდეს.

სითუმ საჩვენებელი თითო ენის წვერთან მიიტანა, ცოტაოდენი ფურთხით დაისველა და ხელის მსუბუქი, სწრაფი მოძრაობით შეეხო ღუმელს. მერე თითუბი ფქვილში მიატარ-მოატარა, მისწი-მოსწია და ნაწილ-ნაწილ მოსინჯა, ტკიპა ხომ არ შემყოლიაო. რაკი ფქვილში ასეთს ვერაფერს მიაგნო, პეშეზე სოდა და მარილი დაიყარა და ერთიანად ჩაუშვა ფქვილში. ამის შემდეგ ქალმა ხელი თუნუქელაში ჩაყო, რომელშიც ღორის ქონი უგულებოდა და იქიდან ნახევარი მუჭა ცხიმი ამოხაპა. მარჯვედ შეაზილა ფქვილს ღორის ქონი, მერე მარცხენა ხელით წყალი დააპკურა და ცომიც მოზილა.

— რძე მქონდა, — განაგრძო მოყოლა სითუმ, — დენვერზე ვიყავი ორსულად, მაგრამ ჩემი გოგონასთვის რომ მეჭმია, რძე მაინც მქონდა. მაშინაც ძუძუზე მყავდა, როცა პოვარდსა და ბაგლერთან ერთად გაუუშეი, — ქალმა ეს თქვა და თასიდან ცომი ხის საბრტყელებლით გააბრტყელა, — ჯერ ჩემი რძის სუნი მიღიოდა და მერე მე მოყვებოდი. კაბა სულ რძით მქონდა დაწინწელული. ვერაფერს ვუხერხებდი. ერთი ის ვიცოდი, ჩემი პატარისთვის უნდა მეჭმია. ჩემსავით ვერავინ გამოკვებავდა. არც დროზე მიუსწრუბდა მოშოუბულს ვინმე და არც ძუძუს წაართმევდა ძლომაზე დანაყრებულს. ბავშვი ხომ არ იტყოდა რამეს. არავინ იცოდა, რომ მხარზე მიწვენილი გაზებზე ვერ გადიოდა და ამას მხოლოდ მაშინ ახერხებდა, როცა მუხლებზე მეწვინა. არც ეს იცოდა ჩემ გარდა ვინმემ და არც სამისო რძე პქონდა ვინმეს ჩემ გარდა. იმ ქალებს კი ვუთხარი, მატარუბელში რომ იყვნენ. ვუთხარი, ჩეარი შაქრიან ჩყარში დაესველებინათ და ისე მოწირვებინათ, რომ რამდენიმე დღეში, ვიდრე მეც ჩავიდოდი, არ დავვიწყებოდი. მერე რძეც ექნებოდა და მეც კუოლებოდი.

— კაცებმა ამეებზე ბევრი არაფერი იციან, — თქვა პოლ-დიმ, თან ქისა ისევ უილეტის ჯიბეში ჩაიჩურთა, — მაგრამ ის კი იციან, რომ ძუძუთა ბავშვი უდედოდ დიდხანს ვერ იქნება.

— აბა, ისიც ეცოდინებათ, როგორია, შენ მკურდი რძით რომ გაქვს სავსე და შვილებს სხვაგან უშვებ.

— ხეზე ვლაპარაკობდით, სითუ.

— მას შემდეგ, რაც შენგან წავედი, ის ბიჭუბი მოუიდნენ და რძე წამართვეს. სწორედ ამისთვის მოუიდნენ. დამიჭირეს და წამართვეს. მისის გარნერს მოუტანე ენა. მართალია, სიმსონე პქონდა და ცერ ლაპარაკობდა, მაგრამ თვალებიდან ცრუმლი გადმოუგორდა. იმ ბიჭუბმა გაიგეს, რომ დავასძინე. სკოლის მასწავლებელმა ერთ-ერთ მათგანს უბრძანა, ჩემთვის ზურგი დაესერათ შეხორცებული იარები ხეს ჰგავდა. ახლაც მაქვს ზურგზე.

— ხარის ტყავებით გცემეს?

— და რძე წამართვეს!

ერთმანეთის მიყოლებით ზოლებად გამწიროვდა ტაფაზე ცომის მსუქან-მსუქანი გუნდები. კიდევ ერთხელ შეახო სითუმ ღუმელს ნერწყვით დასველებული თითო. ღუმლის კარი გამოაღო და კურუბიანი ტაფა შიგნით შეაცურა. ასწია თუ არა თუ გახურუბული ღუმლიდან, ქალმა იგრძნო, რომ ზურგს უკან პოლ-დი ედგა. მკურდქვეშ შეცურუბინა მისთვის მამაკაცს ორივე ხელი. სითუ წელში გასწორდა. იცოდა, რომ პოლ-დის ღოჯა მის ზურგზე ამოსული შოთხვის ტოტებისთვის მიეჭირა, მაგრამ გრძნობით ვერაფერს გრძნობდა.

ყოველგვარი მეცადინეობის გარეშე, პოლ-დი ისეთ კაცად ქცეულიყო, რომელსაც საკმარისი იყო, მავანის სახლში ფეხი შეუდგა, რომ იქაური ქალები ატირუბულიყვნენ და ეს იმიტომ, რომ შეუძლოთ მის თვალწინ, მის გვერდით ეტირათ იყო რაღაც მადლიანი ამ კაცის ქცევაში. მის დანახვაზე ქალებს გულის ამოჯდომამდე ტირილი უნდებოდათ — უნდებოდათ, ეთქვათ მისთვის, რომ გულმკურდსა და მუხლებში ტკოვილს გრძნობდნენ. ძლიერი, კუთილგონიერი ქალები პოლ-დის დანახვისას ისეთ რამებს ჰყვებოდნენ, რასაც მხოლოდ ერთმანეთს უმხელდნენ, ეუბნებოდნენ, რომ კრიტიკულ ასაკს გადასულები უეცრად უზარმაზარ, დაუკმაყოფილებელსა და იმაზე უფრო დაუოკებელ სურვილს შეუპყრო, ვიდრე თხუთმეტი წლის ასაკში განეცადათ ეუბნებოდნენ, რომ რცხვენოდათ და დარდობდნენ ამის გამო, რომ ასეთი სურვილისაგან მოსასვენებლად ჩუმ-ჩუმად სიკვდილს ნატრობდნენ და რომ ღვიძილს ძილი ერჩივნათ გოგონები იმისთვის მიუცუცქდებოდნენ ხოლმე პოლ-დის, რომ გაემხილათ, რაოდენ ელამაზებოდათ სიზმრად ნახული ფათურაკებიდან გამოყოლილი შეგრძნებები. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც არ

იკოდა, რატომ ხდებოდა ასე, პოლ-დის სულაკ არ გაჰკვირვებია, როცა დენცერმა პირდაპირ ანთებულ ღუმელს დააყარა ცრუბლი. არც ის გაჰკვირვებია, თხუთმეტ წუთში, მას შემდეგ, რაც გაძქრალი რძის შესახებ უამბო, გოგონას დედაც რომ ატირდა. სიკეთის თაღივით შემოსალტვოდა მისი სხეული სითეს სხეულს, ხელისგულებში კი მისი ძუძუები მოექცია, ღაწვით ზურგზე ეხებოდა და ასე სწვდებოდა მის ჯაკრს, მისი მწუხარუბის ფესვებს, სითეს სატკიურის სქელ ტანსა და ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს. აპქონდა თითები პოლ-დის ქალის კაბის ლილ-კილოებამდე და ისე, რომ არც არაფერი გაუგონია, არც არაფერი დაუნახავს, იცოდა, რამდენი ცრუმლი იღვრუბოდა სითეს თვალებიდან. მერე, როცა კაბის გული ქალს ბარძაყებამდე ჩამოუვიდა და ქანდაკებადქცეული ზურგი დაინახა, ტრაბახს მოწყურუბული მჭედლის დეკორატიულ ნახელავს რომ პგავდა, ხმამაღლა ვერაფერი თქვა, მაგრამ გაიფიქრა: „ვაიმე, ლმერთო, პატარავ“. და ვერ პოვა სიშმვიდე, ვიდრე ბაგე არ შეახონახატის ყოველ შვერილსა და ფოთოლს, თუმცა სითეს ამ შეხებათაგან არც ერთი არ უგრძნია, რადგან ზურგზე კანი დიდი ხნის მკვდარი პქონდა. ერთი ის იცოდა, რომ ახლა მისი მკურდის ბედი ბოლოს და ბოლოს სხვა ადამიანის ხელში იყო.

ფიქრობდა სითე, ნეტავ თუ არისო ცოტაოდენი დრო, ცოტა ადგილი იმისთვის, რომ ყველა ამბავი განზე გაიწიოს, მოუცლელობა კუთხეში მოისროლო და ერთი-ორი წუთი უბრალოდ ასე, ბეჭებიდან წელამდე გაშიშვლებული იდგე, საკუთარი მკურდის სიმძიმეს ვეღარ გრძნობდე და გეჩვენებოდეს, რომ ღუმელში გამოსაცხობად შედებული პურის საამურ სურნელთან ერთად ოდესლაც გამშრალი რძის სუნიც უწინდებურად გცემსო. იქნებ ამ ერთხელ შეუძლო გაგანია საჭმლის კეთებაში ისე, რომ ღუმელს არც მოსცილებოდა, ის ტკივილი უგრძნო, ზურგის არეში რომ უნდა უგრძნო. რაკი უკანასკნელი მამაკაცი „საყვარელი სახლიდან“ მასთან იყო და წაქცევას თუ დააპირებდა, დაიჭერდა კიდეც, იქნებ შეუძლო, რაღაცები ერწმუნა და რაღაცები გაეხსენებინა.

ერთიანად გახურუბული ღუმელიც გაყუჩდა, არც დენცერის ჩამიჩუმი ისმოდა მეორე ოთახში, აღარც წითელი ათრთოლებული სინათლე გამოჩენილა და არც პოლ-დის უკანკალია ასე ათას რვაას ორმოცდათუქვსმეტი წლის შემდეგ, როცა ზედიზედ ოთხმოცდასამი

დღის განმაჟლობაში კანკალებდა. მაშინ დაწწყვედეულსა და ბორკილდადებულს ხელები ისე ძალიან უკახცახებდა, რომ ხეირიანად ვერც მოწევას ახერხებდა, ვერც მოფხანას. დრო დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ფქნები აღელვებისგან კი არ უძაგმავებდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აჭრიალებული, ადგილიდან დაძრული იატაკის ფიცრუბის გამო. მთელი სახლი ჭრიალებდა. სითუ იატაკზე ჩასრიალდა და შეეცადა, კაბა ისევ ჩაეცვა. დაოთხილი, თოთქოს ცდილობს, სახლი მიწიდან ზემოთ არ გაუშვასო, თვალებდაფეთუბული დენვერი, სახეზე გაუგებარი ღიმილი რომ ეფინა, სასტუმრო ოთხიდან გამოვარდა.

— ეშმაკმა დალახეროს! გაჩუმდით! — ყვიროდა წაქცეული პოლ-დი, თან ხელის მოსაჭიდს ეძებდა, — დაანებე აქაურობას თვი! ჯანდაბამდე გზა გქონია! — ამის თქმა იყო, მამაკაცისკენ მაგიდა გაექანა, თუმცა ამ უკანასკნელმა მოასწრო და ფქნში წავლო ხელი. როგორდაც მოახერხა და ნახევრად მოღრუცილი ფქნზე წამოდგა, თან მაგიდის ორ ფქნს ჩაჰურებინდა. მერე ხან აქეთ მიანარცხა, ხან იქით და ირგვლივ რაც კი იყო, ყველაფერი დალესა, თან აწივლებულ სახლს თავადაც უკიოდა, — ჩხუბი გინდა? მოდი! ეშმაკმა წაიღოს! უშენოდაც საკმარისად მოხვდა, საკმარისად!

სახლმა რყევა შეწყვიტა და მხოლოდ აქა-იქ თუ შეტორტმანლებოდა, მაგრამ პოლ-დის მაგიდის შოლტივით ქნევა იქამდე არ შეუწყვეტია, ვიდრე ყველაფერი არ მიყუჩდა. ოფლი ასხამდა და სუნთქვა უჭირდა. კუდელს იმ ადგილას მიეყრდნო, სადაც ოდესლაც ჭურჭლის კარადა მდგარიყო. სითუ ისევ ღუმლის გვერდით, იატაკზე მოკუნტულიყო და ამ ორომტრიალში უვნებლად გადარჩენილ ფქნსაცმელებს გულში იკრავდა. სამოე, სითუც, დენვერიცა და პოლ-დიც ისე შეწყობილად სუნთქავდნენ, ერთი დაღლილი ადამიანის შესუნთქვა-ამოსუნთქვა გეგონებოდათ დაღლილი იყო ისიც, მათ გარდა რომ სუნთქავდა ოთხში.

წარმეში დენვერი ღუმლისკენ წაბანცალდა. ცეცხლს ნაცარი მიაყარა და კვერუბიანი ტაფა გამოილო. ერთიანად გაწებილი ბუფეტი იატაკზე უდო, ხოლო ყველაფერს, რაც მანამდე შიგნით ელაგა, ქვედა თაროს კუთხეში მოეყარა თავი. დენვერმა კარადიდან ქილა გამოილო და როცა თეთქმის მოსაძებნად იქაურობას თვალი მო-

უკლო, დაინახა, რომ ერთი თუფიშის ნახევარი კართან უდღო. ქილაცა
და თუფიშის ნატეხიც კურანდის კიბესთან გაიტანა და იქვე ჩამოჯდა.

ისინი, ვინც სახლში დარჩნენ, მეორე სართულზე ასულიყვნენ. მსუბუქი, ძალდაუტანებული ნაბიჯებით აკელოთ თეთრი საფეხურები, დენვერი კი დაბლა დაეტოვებინათ გოგონამ ქილას ჯერ შემოჭურილი მავთული შეხსნა, მერე კი ხუფიც ახადა. ხუფის ქვეშ ნაჭერი იყო, ნაჭრის ქვეშ კი ცვილის თხელი ფენა. დენვერმა ქილას ნაჭრიცა და ცვილის ენაც მოაშორა, ცოტაოდენი ჯემი ძლიერდეობით გადმოიტანა თუფის ნატეხზე და ერთ გამომცხარ პურს მომწვარი თვეი მოაგლიჯა. ფუმფუულა თეთრი პურის გულიდან ბოლქვებად აკარდა პაერში ორთქლი.

მმები ენატრებოდა. ბაგლერი და პოვარდი უკვე ოცდაორი-ოცდასამი წლისანი იქნებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უშფოთველობის ჟამს ბიჭები გოგონას კარგად ექცეოდნენ და საწოლის თვეშიც უთმობდნენ ხოლმე ადგილს, ახსოვდა, როგორ მოიყრიდნენ თვეს თეთრ კიბეზე, როგორ მოიმწყედვდა პოვარდი ან ბაგლერი მუხლებს შორის და ამ საქმეში დახელოვნებულები, როგორ თხზავდნენ მისთვის გულის გასახეთქად ამბებს კუდიანებზე. ახსენდებოდა, როგორ უყვებოდა სასტუმრო ოთახში ბეიბი საგზი რაღაცებს. რაკი მმების გაქცევის შემდეგ დენვერს თვეის ძველ ოთახში აღარ დაუძინია, იცოდა, რომ ბეიბის, რომლის გარშემოც დღისით მერქნის სუნი ტრიალებდა, ლამით ფოთლების სუნი პქონდა ხოლმე.

ახლა დედამისი ზემოთ იყო მამაკაცთან ერთად, რომელმაც ერთადერთი მეუობარი, რომელიც გოგონას აქამდე პყოლია, თვეიდან მოიშორა. დენვერმა პურის ნატეხი ჯემში ჩააწო და გასაცოდავებული ნელა, აუჩქარებლად შეექცა.

სითხსა და პოლ-დის დიდად არ უჩქარიათ, მაგრამ დროც არ დაუკარგავთ, ისე აძვრნენ თეთრ კიბეზე. ერთნაირად გულსავსე იმით, რომ გაუმართლა, სითხს სახლსაც მიაგნო, თვად სითხსაც და იმისც, რომ ახლა მას საკუთარ მამაკაცურ ღირსებასაც აზიარებდა, პოლ-დიმ ოცდახუთი წელიწადი ერთიანად ამოიშალა მეხსიერებიდან. კიბის სულ ერთი საფეხურით უსწრებდა ის, ვისაც თვეის დროზე ბეიბი საგზი შეუცვალა, გოგო, რომლის გადაწყვეტილების მოლოდინში ლამებს ოცნებაში ატარებდნენ, გამთენისას კი ძროხებს

ჟიმავდნენ. მის ზურგზე ნათური ხის უბრალო კოცნაშ მთელი სახლი შეაზანდა და იძულებული გახადა, იქაურობა მიეღწი-მოეღწი. მეტსაც იზამდა ახლა პოლ-დი.

ქალი მამაკაცს კიბის თავამდე გაუძლვა, იქამდე, სადაც სინათლე პირდაპირ ციდან ეშვებოდა — მეორე სართულის ფანჯრები კედლებში კი არა, დაფერდებულ ჭერში დაეტანებინათ ზედა სართულში ორი ოთახი გახლდათ და სითუმაც პოლ-დი ერთ-ერთ მათგანში შეიყვანა, თან იმედი ჰქონდა, რომ არ დაძრახავდნენ, რაკი მოუმზადებელი იყო, რაკი ახსოვდა, რა იყო სურვილი, მაგრამ სრულიად დაუიწყებოდა მისი ყოველგვარი მანქანება, რაკი მისი ხელები უმწეობას შეებორება; არ დაძრახავდნენ სიბრძანისთვის, რომლის გამოისობითაც თვალში მხოლოდ ის ადგილები ხვდებოდა, სადაც დაწოლა შეიძლებოდა, ხოლო სხვა დანარჩენი, კარის სახელურები, თაშები, ლილ-კილოები, სახლის კუთხე-კუნჭულში მიკუჭული სკვდა და დროის მდინარება ხელს უშლიდა და მეტი არაფერი.

ყველაფერი იქამდე დამთავრდა, ვიდრე ტანისამოსს გაიხდიდნენ. იწვენენ ერთმანეთის გვერდით ნახვრად ჩაცმულები და აქოშინებულები და ერთმანეთსაც უწყრებოდნენ და შემინულ სახურავსაც, ზემოდან რომ დასცექეროდათ მეტისმეტად დიდი ხნის წინ მეტისმეტად დიდხანს ოცნებობდა პოლ-დი სითუზე, ხოლო ურთიერთობათა უკმარისობას, რომელსაც სითუ განიცდიდა, სულაც არაფერი ჰქონდა საერთო მისოვე ოცნებებთან. ახლა ორივე წუხდა და მეტისმეტად დარცხვენილი იყო იმისთვის, რომ რამეზე ელაპარაკათ

სითუ გულალმა იწვა და თავი მამაკაცისგან მიებრუნებინა. ცალი თვალით ხედავდა პოლ-დი და არ მოსწონდა, როგორ ირხეოდა ქალის გათხაპნილი, ბრტყელ-ბრტყელი, ოდნავ ამობურცული მკურნი. აშკარად შეეძლო ამ მკურნის გარეშე ცხოვრება და მერე რა, რომ ქვემოთ ისე ეჭირა სითუს ძუძუები ხელში, თითქოს მათზე ძვირფასი არაფერი ჰქონდა. მის ზურგზე ნათური ლაბირინთიც, რომელსაც სამხარულოში ისე აკვირდებოდა, თითქოს მდიდარ ძარღვზე დამჯდარი ოქროს მაძიებელი ყოფილიყო, სინამდვილეში ნაიარუვების საძაგელი ბარდი აღმოჩნდა. ხე სულაც არ იყო, როგორც სითუ ამბობდა. შეიძლება, ჰქონდა კიდეც ხის ფორმა, მაგრამ არაფრით ჰგავდა რომელიმე ხეს, რომელიც პოლ-დის ოდესმე ენახა — ხეები იზიდავდნენ, მათთან სიახლოეს ესწრაფოდა და ენდობოდა მათ თუ

მოუნდებოდა, შეეძლო, დალაპარაკებოდა კიდეც ხეებს ისევე, როგორც „საყვარელი სახლის“ მინდვრებში სადილობის შემდეგ შვრებოდა ხოლმე ხშირად. ცდილობდა, სულ ერთსა და იმავე ადგილას მისულიყო. ძლივძლივობით აერჩია ეს ადგილი, რადგან იმ არემარეში ყველაზე ბევრი ლამაზი ხე სწორედ „საყვარელ სახლში“ ხარობდა. ამორჩეულ ხეს ძამიას ეძახდა. ჯდებოდა ხოლმე მის ქვეშ, ხან მარტო, ხან ჰალესა თუ რომელიმე პოლთან ერთად, მაგრამ ყველაზე ხშირად ხის ქვეშ უწყინარ სიქსოსთან ერთად იყო, ჯერ კიდევ რომ ლაპარაკობდა ინგლისურად. ინდიგოსფერი სიქსო, ალისფერი ენა რომ ჰქონდა, სულ იმის ცდაში გახლდათ, ზუსტად დაედგინა, როდის უნდა ჩაელაგებინათ მიწაში ამოჭრილ ხვრელში გაუარვარებული ქვები, ქვებს ზემოთ კარტოფილი, კარტოფილის თავზე კი წნელები, რომ სადილობისთვის, როცა მინდვრებიდან პირუტყვს მორუკავდნენ და ძამია ხესთან მოვიდოდნენ, კარტოფილი, რასაც ჰქვია, თითების ჩასკვნეტი ყოფილიყო. სიქსოს შეეძლო, ამის გამო შუაღამით ამდგარიყო, იმოდენა გზა გაფლო და ვარსკვლავების შუქზე ამოელო კარტოფილის მოსაშადებელი ორმო, ხანაც სადილის შემდეგ შვრილებულ ქვებს მეორე დღისთვის დააყრიდა ხოლმე კარტოფილს და მიუხედავად იმისა, რომ ისე არასოდეს გამოსდიოდა, როგორც საჭირო იყო, დანარჩენები შეუწყვე, დამწვარ, გამოშმრალსა თუ უმკარტოფილს მაინც შეექცეოდნენ, თან იცინოდნენ, იფურთხებოდნენ და რჩეუებსაც აძლევდნენ.

დროში სიქსო ყოველთვის ტყუვდებოდა, არასოდეს გამოსდიოდა დროის ისე გათვლა, როგორც საჭირო იყო. ერთხელ ერთ ქალთან შესახვედრად ოცდაათი მილის გავლა წუთი-წუთზე დაგვამა. სახლიდან შაბათ დღეს გავიდა, სწორედ მაშინ, როცა ცარუკალზე მთვარე მისთვის სასურველ ადგილზე იყო, კვირას იმ ქალის ქოხმახთან ეკლესიაში ღვთისმსახურების დაწყებამდე მოვიდა და ვიდრეუკან გამობრუნდებოდა, ორშაბათ დილით მინდორში რომ გამოცხადებულიყო, გამარჯობის მეტი ვერაფერი მოასწრო. ჩვიდმეტ საათს მიდიოდა ფქნით, ერთი საათით ჩამოჯდა კიდეც, მერე კი ადგა და ისევ ჩვიდმეტი საათი იარა. ჰალემაც და ყველა პოლმა მთელი დღე იმის ცდაში გაატარეს, როგორმე მისტერ გარნერს სიქსოსთვის ჩაღლილობა არ შეემჩნია. იმ დღეს არც ბატატი უჭამიათ, არც ჩვეულებროვი კარტოფილი. ვიდრე დანარჩენები სადილობდნენ, ძამია

ხის სიახლოების გაშეღართულ სიქსოს პირი მაგრად მოეკუმა, ინდიგოსფერ სახეზე ხელები აეფარებინა და მკვდაროვით ეძინა. აი, ის იყო მამაკაცი და ის იყო ხე და ვერც ლოგინში გაწოლილი პოლ-დი და ვერც „ხე“, მის გვერდით რომ იდო, ვერც ერთს მიედრებოდნენ, ვერც მეორეს.

პოლ-დიმ ფანჯარაში გაიხედა, ჭურში ზუსტად მისი ფეხების თავზე რომ იყო, ხელები თავქვეშ ამოიდო და იდაყვი ოდნავ წაჲკრა სითუს მხარზე. ქსოვილის შექებამ ქალი შეაკრთო. აღარც ახსოვდა, რომ მამაკაცს პერანგი არ გაქადა. „ძაღლი“, — გაიფიქრა სითუმ და მოაგონდა, რომ თავად არ მიეცა პოლ-დისათვის პერანგის გასახდელი ჩრო, ვერც თავად მოეცალა ქვედაკაბის გასახდელად, არადა, ტანზე გახდა იქამდე დაწყო, ვიდრე ვერანდაზე სტუმარს დაინახავდა — წინდები და ფეხსაცმელი უკვე ხელში ეჭირა და აღარც ჩაუცვამს; მან კი შექედა სითუს სველ შიშველ ფეხებს და იკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, მეც რომ დავიბანოო; მერე კი, როცა სითუ ადგა და სამშარულოში ტრიალი დაიწყო, მან უფრო მეტად გააშიშვლა. იმის გათვალისწინებით, გაშიშვლება რამდენად სწრაფად დაწყოთ, იფიქრებდით, რომ საბოლოოდ ტანზე არაფერი არ უნდა სცმოდათ მაგრამ იქნებ ეს კაციც კაცი იყო და მეტი არაფერი, როგორც ბეიბი საგზი იტყოდა ხოლმე. წაგაქეზებდნენ, რომ საკუთარი ტვირთი მათთვის გაგეზიარებინათ და როგორც კი ამსუბუქდებოდით და ეშხში შექვიდოდით, ჯერ თქვენი იარებითა და დარდ-ვარამით დაინტერესდებოდნენ, მერე კი იმას იზამდნენ, რაც პოლ-დიმ ქნა: ბავშვებს გაგიგდებდნენ და სახლს მიღწე-მოღწეულნენ.

უნდა ამდგარიყო სითუ, ქვემოთ ჩასულიყო და ყველაფერი თავთვის ადგილზე შეეკრწინებინა. ამ სახლზე ეუბნებოდა პოლ-დი, უნდა დატოვოო, თითქოს სახლი უმნიშვნელო საგანი ყოფილიყო, ინგლისური ბლუზა ანდა საკერავიანი კალათა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა თავიდან მოგეშორებინათ და ეს მას უთხრა პოლ-დიმ, ქალს, რომელსაც სხვა სახლი არასოდეს პქონია, რომელიც თვისი ბინძური სადგომიდან აიყარა და აქ მოვიდა, რომელსაც მისის გარნერის სამშარულოში ყოველდღე ფამტარების თაიგული მხოლოდ იმისთვის უნდა მიეტანა, რომ მუშაობა შესძლებოდა, იქაურობა ოდნავ მაინც ჩაეთვალა თვისისად, თვისი სამუშაო პყვარუბოდა და საკუთარი ყოფის უგვანობა დაუვიწყებინა. ერთადერთი გზა

იმისთვის. რომ სითუს გარნერების კარ-მიდამოში თავი საკუთარ სახლში ჟღრძნო, ლამაზ-ლამაზი მცენარეების დაკრეფასა და სამუშაოზე მიტანაში მდგომარეობდა. იმ დღეს, როცა ყველილების დაკრეფა დაავიწყდებოდა, სითუს კარაქი არ ედღვიბებოდა, ანდა კასრში დაყენებული მარილწყლისგან ხელებზე ბებერები უჩნდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, მაშინ ჟონა, რომ საქმე სწორედ თაიგულები იყო. მაგიდაზე წყალში ჩადებული ერთი-ორი ყვითელი ყველი, ოთახში სუფთა პაერის შემოსაშვებად გაღებულ კარზე მიდგმული, უთოს ტარზე შემოხვეული მირტი და სითუც წყნარდებოდა და თავს შმვენოურად გრძნობდა, როცა მისის გარნერთან ერთად ჯაგრის სარჩევად ანდა მელნის გასაკეთებლად ჩამოჯდებოდა. შმვენოურად. არც იმ კაცების ემინოდა, იმ ხუთი კაცის, მისი სადგომის სიახლოეს რომ დაედოთ ბინა, მაგრამ ლამით არასოდეს აკითხავდნენ. მხოლოდ დაკონკილ ქუდებზე მიიდებდნენ ხოლმე ხელს და მიაჩერდებოდნენ, ხოლო თუკი მათთვის მინდვრად საჭმელი მიპქონდა, სუფთა ტილოში გახვეული გამოჟვანილი ლორის ხორცი და პური იყო, მისი ხელიდან საჭმელს არასოდეს იღებდნენ, თავი შორს ეჭირათ და ელოდებოდნენ, როდის დადებდა სითე მიწაზე ბოხჩას, ხის ქვეშ როდის დადებდა და წავიდოდა. ან მისგან არ უნდოდათ რამე აეღოთ, ანდა არ უნდოდათ ენახა, როგორ ჭამდნენ. ორჯერ თუ სამჯერ სითემ დააგვიანა — იდგა ცხრატყაფას უკან და უყურებდა მამაკაცებს. უმისოდ როგორი სხვანაირები იყვნენ, როგორ იცინოდნენ, ყბედობდნენ, შარდავდნენ და მღეროდნენ. დანარჩენებისგან მხოლოდ სიქსოგანსხვავდებოდა — ცხოვრებაში ერთადერთხელ გაიცინა და ისიც სულ ბოლოს. რა თქმა უნდა, ყველაზე სანდომიანი პალე გახლდათ, ბეიბი საგზის რიგით მერვე და უკანასკნელი შეილი, რომელიც ვის არ უდგებოდა მთელ ოლქში მოჯამაგირედ, ოღონდ კი „საყვარელი სახლიდან“ დედა გამოესყიდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ისიც კაცი იყო და მეტი არაფერი.

„კაცი კაცია და მეტი არაფერი, — ამბობდა ბეიბი საგზი, — მაგრამ ვაჟიშვილი? ვაჟიშვილი უკვე რაღაცას ნიშნავს“.

გასაგებიც იყო, რატომ ფიქრობდა ბეიბი საგზი ასე. მის ცხოვრებაში, ისვევე, როგორც სითუს ცხოვრებაში, ვიღაცის უხილავი ხელი მამაკაცებსაც და ქალებსაც ჭადრაკის ფიგურებით დაატარებდა აქეთ-იქით ყველას, ვისაც ბეიბი საგზი იცნობდა, რომ არაფერი

ვთქმათ მათხე, კინკ უყრარდა, თუ არ გაიქცეოდა ან არ ჩამოახრ-ჩობდნენ. აქირაცებდესენ, აგირაცებდესენ, ყიდულობდესენ, ძელ პატ-რონის უბრუჯებდესენ, ხაშობულოდ უკურათხოლდებოდესენ, თუდებში დებდნენ, თამაშში იგებდესენ, იპარაცებდესენ, ანდა დაყაღაღებული ხილ-თვითი უსასყიდლოდ მისდევდათ პერდა, ბეიბის რეა შეიღსაც ექვები სხვადასხვა მამა ჟყავდა. ბეიბი კბელურების ხისაძაგლებს მაშინ ჩას-წევდა, როცა თუჭარაცემული მიხვდა, დატაზე სისუს შვილებიც არიან, შაშის თამაშები თავის დანებების არავინ აპირებს. საკუთარ შეიღლებს შორის ყველაზე დიდხანს პალე შეინარჩუნა, ოც წელი-წადს, მოული კბელურება. პალეს თავი უიჭირელად იმიტომ დაუთმეს, რომ მისთვის ორ ქალიშვილთან განმორების ტკიფილი აუნაზღაუ-რებინათ ჯერაც კბილშოუცვლელი გოგონები ისე გაყიდეს და გა-ისტუმრეს, რომ ბეიბის გამოსაშვილობებლად ხელის დაქნევაც კურ მოესწრო. ოსტატის თანაშემწევთან ოთხთვიანი კაუშირის საკომპენ-საციოდ მესამე ბავშვის, ბიჭი იყო, დატოუებას დაპპირდნენ, მაგრამ მომდვერო წელს ისიც ხეტყეზე გადაცემალეს, ბეიბიმ კი აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო კაცისგან, რომელიც დაპპირდა, შვილს არ გა-გიყიდიო და მაინც გაუყიდა. არ შეეძლო ბეიბის ამ ბავშვის შეუგ-რება, დანარჩენები კი არ შეიყვარა. ამბობდა, ღმერთს რაც უნდა, ის მიაქვსო. და მიპქონდა კიდეც ღმერთს, მიპქონდა, მიპქონდა, მერე პალეც აჩუქა ბეიბის, მერე კი, როცა ბეიბის თვისეუფლება არაფ-რად უღირდა, ამ პალემ მას სწორედ თვისეუფლება აჩუქა.

სისუს საოცრად გაუმართლა — მოული ექვი წელი იყო გათხოვი-ლი ბეიბის გაუიშვილზე, რომელიც „რაღაცას ნიშნავდა“ და რომე-ლიც მისი ყველა შვილის მამა გახლდათ ჩათვალა სისუმაც, რომ ამ სიკეთუს ვერავინ წაართმევდა, და ისე უგუნურად მიენდო „საყვარელ სახლს“, თითქოს იქაურობა მართლაც მისი ყოფილიყო, თითქოს კარზე შებიჯებული სამკურვალო უთოს ტარში გაყრილი მირტის ბლუჯას შეეძლო, თეთრკანიანი ქალბატონის სამზარეულო მისად ექცია, თითქოს პირში გარჭობილ პიტნის ღვვს არა მარტო პირის გამოკეთება, ადამიანის გაჯანმრთელებაც შეეძლო. ამაზე ბრიყვული ქვეყნად არავის არაფერი მოუკიდოდა თვეში.

სისუმ პირქვე გადაბრუნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. არ უნდოდა, ისევ მიექცია პოლ-დის ყურადღება და ამიტომაც კოჭის კაჭზე შემოდება იკმარა. პოლ-დის არც ქალის მოძრაობა გამოკ-

პარვია, არც მისი შეცვლილი სუნთქვა. თუ გალდებულად ჩათვალა, ხელახლა ეცადა, ამჯერად უფრო ნელა, მაგრამ ლტოლვას ვეღარ გრძნობდა. სინამდვილეში მოსწონდა კიდეც, სითუსთვის გული რომ არ უთქვამდა. ოცდახუთი წელი და წამის ერთი გაელვება! სიქსოსაც ასე დაემართა, როცა პეტსის შეზვედრაზე შეუთანხმდა, ქალს „ოცდამეათუ მილიდან“. სამი თვე და ოცდათოთხმეტ მილზე ორჯერ მისვლა-მოსვლა დასჭირდა, ვიდრე დაარწმუნებდა, რომ სიქსოსთან იმ ადგილას შესახვედრად, რომელიც მამაკაცს წინდაწინ შეუთვალიერებინა, ქალსაც გამოვლო გზის ერთი-მესამედი. ქვის მიტოვებული ნაგებობა გახლდათ, რომელსაც წითელკანიანები დიდი ხნის წინ იყენებდნენ, მაშინ, როცა ფიქრობდნენ, რომ ეს მიწები მათ ეკუთვნოდათ სიქსოს იქაურობა მორიგი ლამეული გაძრომისას აღმოეჩინა და ეკითხა, შემოსვლა თუ შეიძლებაო. შიგნით შესულს უმაღლ აულია ქვის სახლისთვის ალლო და ინდიელთა სულებისთვის ქალის მიყვანის ნებართვა უთხოვია. იღუმაღლ ძალას სიქსოს თხოვნა შეუწყნარებია და სიქსოსაც დაწვრილებით აუხსნია თვისი რჩეულისთვის, იმ ადგილამდე როგორ უნდა მისულიყო, შინიდან ზუსტად რა დროს უნდა გამოსულიყო და როგორ უნდა გაერჩია სხვა ხმებისგან სატრფოს სტვენა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი შეიძლებოდა ყოფილიყო, ზოგჯერ კი — გულითადი სალამი. რაკი არც ერთს, არც მეორეს სადმე საკუთარ საქმეზე წასვლა არ შეეძლო, ხოლო ქალი „ოცდამეათუ მილიდან“ უკვე თოთხმეტი წლისა ბრძანდებოდა, ანუ გადაწყვეტილი იყო, თუ ვინ უნდა დაუფლებოდა მას, ისიც და სიქსოც ნამდვილად საფრთხეში გახლდნენ. დანიშნულ ადგილას მისულ სიქსოს ქალი იქ არ დაუხვდა. დაუსტვინა, მაგრამ არც მის სტვენას გამოხმაურებია ვინმე. მიჯნური ვერც წითელკანიანების მიერ მიტოვებულ სადგომში აღმოაჩინა. ადგა და ისევ დათქმულ ადგილას დაბრუნდა. ქალი არც იქ იყო. მოიცადა. მაინც არ მოვიდა. შეეშინდა, ვაითუ, რამე მოუვიდაო და გზას იმ მხარეს დაადგა, საიდანაც მისი რჩეული უნდა მოსულიყო. სამი თუ ოთხი მილი გაიარა და გაჩერდა. აზრი არ ჰქონდა ასე სიარულს. იდგა ქარში და შველას იხვეწებოდა. რაღაც მოესმა, მიაყურადა და ფშლუკუნი გაარჩია. იქით მიბრუნდა, საიდანაც ხმა ესმოდა, დაელოდა და ისევ გაიგონა, როგორ ტიროდა ვიღაც. ამჯერად უკვე გაუფრთხილებლად დაიკოვლა ქალის სახელი და მანაც

უპასუხა. ხელახლა დაბადების ტოლფასი იყო სიქსონთვის ამ ხბის გაგონება. არაუკარი პქონდა საერთო ახლა მის გრძნობებს ხელიდღილიან.

— არ გაინძრე! — იყვირა სიქსონი, — ღრმად ისუნთქე, რომ მოგდებნო.

მოძებნა კიდეც.

გოგონა დარწმუნებული იყო, რომ უკვე შეხვედრის აღვილას მისულიყო და ტიროდა, რაკი თველიდა, რომ სიქსონი სიტყვა გაეტენა. წითელკანიანების სახლში პაემნის გამართვა უკვე მეტისმეტად დაგვიანებული გახლდათ და ამიტომ იქვე დაჯარინენ მიწაზე. მოგვიანებით სიქსონ გოგოს ისე უჩხველიტა, გჟონებოდათ გველმა უპბინაო — ასე თავს მაინც გაიძართლებდა, უხსენებელმა მიკბინა და თამბაქოს ფოთლებიდან მატლების ჩამოსაბერტყად მოსვლაც ამიტომ დამიგვიანდაო. სიქსონ დაწერილებით დაარიგა გულის სწორი, გზის შესამოკლებლად პატარა მდინარის კალაპოტს როგორ უნდა გაჰყოლოდა და გააცილა კიდეც. გზაზე რომ გავიდა, მშე ბოლომდე ამოსულიყო, სიქსონ კი ტანისამოსი ჯერაც ხელით მოჰქონდა. უეცრად მისკენ შესახვევიდან გამოსული ურემი წამოუიდა. ვიდრე მის გვერდით მჯდომი ქალი სახეზე აფარებულ ხელებს დაბლა დაუშვებდა, თვალებდაჭუეტილმა მეურმემ მათრახი პაერში ასწია, თუმცა სანამ შოლტი ინდიგოსფერ ზურგზე გაიძლებოდა, ზანგმა ტყეში შეასწრო.

მერე სიქსონ ეს ამბავი პოლ-ეფს, პალეს, პოლ-ეისა და პოლდის ისე თავისებურად უამბო, რომ ბიჭები სიცილისგან ტიროდნენ. ღამლამობით სიქსონ კორომს მიამურებდა ხოლმე საცეკვაოდ, როგორც თავად ამბობდა, იმისთვის, რომ საკუთარ გვარტომობასთან კავშირი არ დაეკარგა. ხელში განმარტოვდებოდა და მისტერ გარნერის ზანგებიდან არც ერთს არ ენახა, იქ ყოფნისას რას აკეთებდა, წარმოდგენით კი წარმოედგინათ, რასაც სჩადიოდა და ერთი სული პქონდათ, მისთვის დაეცინათ, ოღონდ დღისით, ანუ მაშინ, როცა უსაფრთხოდ შეეძლოთ, ეცინათ

ეს ყველაფერი იქამდე იყო, ვიდრე სიქსონ ინგლისურად ლაპარაკზე ხელს აიღებდა, აზრს კერ ხედავდა ინგლისურად ლაპარაკში და იმიტომ. იმ ქალის წყალობით, „ოცდამეათუ მიღიდან“ რომ იყო, სიქსონ ერთადერთი გახლდათ მათ შორის, ვინც სითეს სურვილს არ

დაეძაბუნებინა. ოცდახუთი წლის განმავლობაში პოლ-დის ზოგჯერ წარმოედგინა, რომ სითუსთან სექსზე უკუთუსი არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. გულუბრყვილოდ გაეღიმა, ასეთი ტუტუცი რომ იყო და სახით ქალისკენ გადაბრუნდა. სითუს თვალები დაეხუჭა და თმა არუოდა. გვერდიდან დანახულს, თანაც ისე, რომ მოელვარუ თვალები არ მოუჩანდა, არც ისეთი მიშჩიდველი ნაკვთები ჰქონდა. ალბათ, მისი თვალები იყო, მამაკაცს რომ აფრთხობდა და აფორიაქებდა. რომ არა ეს თვალები, სითუს საუსებით თვინიერი სახე ჰქონდა, ისეთი, პოლ-დი ადვილად რომ გაუმკლავდებოდა. სულ ასე თვალდახუჭული რომ ყოფილიყო სითუ... მაგრამ არა, პირს სადღა დამალავდა. ლამაზი პირი ჰქონდა. არასოდეს იცოდა ჰალემ, რისი პატრონი იყო.

თვალები დახუჭული კი ჰქონდა, მაგრამ იცოდა სითუმ, რომ პოლ-დი სახეში მისჩერებოდა და მეხსიერებაში გაზეთში ნანახი ისევ ის სურათი ამოუტუტუდა, რომელზეც ცუდად გამოიყურებოდა. არ დასცინოდნენ მამაკაცის თვალები სითუს. ნაზად უყურებდნენ. გრძნობდა, რომ პოლ-დის თვალები ნაზად უყურებდნენ და თითქოს ელოდებოდნენ. არა, არ ძრახვდა პოლ-დი სითუს. შეიძლება, ძრახვდა კიდეც, მაგრამ არავის ადარებდა. ჰალეს მერე ერთ კაცსაც არ შექმნდა მისთვის ასე. პოლ-დის შეერაში არც სიყვარული იგრძნობოდა, არც გზნება, მაგრამ იყო ინტერესი. ისე უყურებდა ეს კაცი სითუს, თითქოს სიმინდის ტაროს აკვირდებოდა, ვარგა თუ არაო. ჰალე სითუსთვის ძმა უფრო იყო, ვიდრე ქმარი. ჰალესგან ცოლზე ზრუნვა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მოვლას უფრო ჰგავდა, ვიდრე მამაკაცის მიერ უფლებების გაცხადებას იმაზე, რაც ეკუთვნოდა. წლების განმავლობაში ერთმანეთს დღის სინათლეზე მხოლოდ კვირა დღეს ხედავდნენ ხოლმე, დანარჩენ დროს კი, აისამდე ან შიის ჩასვლის შემდეგ, სიბნელეში უწევდათ ლაპარაკი იქნებოდა, ერთმანეთის შეხება თუ ჭამა. პოდა, ერთმანეთის დაჟინებით ცქერაც კვირა დიღის სიამეთა რიგს მიეკუთვნებოდა და ჰალეც ისე ათვალიერებდა ხოლმე ცოლს, თითქოს ცდილობდა, შიის შუქზე ნანახი მთელი კვირის განმავლობაში ბინდბუნდში დასანახისათვის შემოენახა, თან ისე ცოტა დრო ჰქონდა ჰალეს. „საყვარული სახლის“ საქმეებს რომ მოისტუმრებდა ხოლმე, ასევე კვირაობით, შუადღეზე, დედამისის გამოსასყიდად უნდა ემუშავა. როცა სითუს ცოლობა სთხოვა, გოგო სიხარულით დათანხმდა და ჩიხშიც აღმოჩნდა — არ

იცოდა, მერუ რა უნდა ექნა. მათი შეუღლება უნდა აღენიშნათ, არა? მღვდელი, ცეკვა, წვეულება, რამე მაინც. სახლში ორად ორი ქალი იყო, სითე და მისის გარნერი, პოდა, გოგონამაც გადაწყვიტა, კითხვით დიასახლისისთვის მიემართა:

- მე და პალეს გვინდა, დაქორწინდეთ, მისის გარნერ.
- გაუიგე, გაუიგე, — გაიღიმა ქალბატონმა, — მისტერ გარნერს ლაელაპარაკა. უკვე ორსულად ხარ?
- არა, მემ.
- მაშინ იქნები. იცი, არა?
- დიახ, მემ.
- პალე გულიანია, სითე. გამოგადგება.
- პო, მაგრამ იმას გამბობდი, რომ დაქორწინება გვინდა.
- ეს-ეს არის, მითხარი, მეც კარგი-მეთქი...
- ქორწილი იქნება?

მისის გარნერმა დიდი კუზი დადო, ოდნავ გაეცინა კიდეც, სითეს თავზე ხელი დაადო და უთხრა, ერთი საყვარელი ბაჟშვი ხარო და ამას დასჯერდა.

სითემ მალულად შეიკერა კაბა, პალემ კი თავისი ქამანდი მისი ქოხმახის კედელზე ჩამოკიდა ლურსმანზე. და აი, იქ, ჭუჭუიან იატაკზე დაგეხულ ლეიბზე მესამედ შეჯვარდნენ, პირველ ორ ჯერზე კი სიმინდის ერთი ციცქნა ყანაში იყვნენ, რომელსაც მისტერ გარნერი იმისთვის თესავდა, რომ იქაური მოსაყალი პირუტყვისთვისაც მოქმარებინა და ადამიანებისთვისაც. ორივეს, პალესაც და სითესაც უონათ, შეუძლოთ, ყანაში დამალულიყვნენ. სიმინდის ღეროებს შორის ჩაჭუჭუილები ვერაფერს ხედავდნენ, მათ შორის მათ თავზე თვალში საცემად მობიბინე სიმინდის ცოცხებსაც.

გაეღიმა სითეს პალესა და საკუთარ სისულელეზე. ყვავებმაც კი იცოდნენ, რა ხდებოდა და მოფრუნილიყვნენ მათ საცეკვად. ისე, რომ ერთმანეთზე გადაჭდობილი კოჭები ერთმანეთისთვის არ მოუშორებია, სითემ თავს ძალა დაატანა და როგორდაც მოახერხა, რომ ხმამაღლა არ გაეცინა.

საფურუ ხბოდან პირდაპირ გოგოზე მიხტომა, პოლ-დის აზრით, არც ისე მაგარი რამე იყო, პალეს კი ასეთი ცვლილება არც ისე სახითათ ნაბიჯად ეჩვენებოდა და მისთვე ქოხმახის ნაცვლად სითეს სიმინდის ყანაში დაუფლება, ერთი მილის მანძილზე იმათგან, ვისაც

ხელი მოსცარვოდა, გულისხმიერების ნიშანი იყო. პალეს უნდოდა, ყველაფერს საიდუმლოს ელფერი ჰქონდა, არადა, საყოველთაო სანახაობა გამოუვიდა. აბა, ვინ გამოაკლდებოდა უღრუბლო შშვიდ ამინდში სიმინდის ყანაში ატებილ ჩქრიალს? ისხდნენ პოლ-დი, სიქ-სო და კიდევ ორი პოლი ძამია ხის ქვეშ, ხაპიდან თავებზე წყალს ისხამდნენ და მიუხედავად იმისა, რომ სახეზე ჭის წყალი ჩამოსდიოდათ, იქვე სიმინდის ყანაში არუც ჯილა-გვირგვინებს თვალს არ აშორებდნენ. ძნელი იყო, ძნელი, ძნელი ასე ძალლებით გაჭიმული ჯდომა და შუადლისას აცეკვებული სიმინდის ღეროების ყურება. წყალი, თავზე რომ ისხამდნენ, საქმეს კიდევ უფრო აფეჭქებდა.

პოლ-დიმ ამოიოხრა და გადაბრუნდა, სითუმაც დრო იხელთა და თავადაც ამოძრავდა. უყურებდა პოლ-დის ზურგს და ახსენდებოდა, რომ სიმინდის ზოგიერთი ღერო მოტყდა, ზედ პალეს ზურგზე მოიკეცა და სხვა რამეებს შორის, რასაც ებლაუჭებოდა, სიმინდის ულვაშიც იყო.

როგორ ნებიერად ირხეოდა ოქროსფერი ძაფები, როგორ შეებოჭა მარცვლებს მიწიდან ამოქაჩული წევნი.

მოთვალთვალეთა ეჭვნარუვი აღტაცება იმ ღამით მირთმეულმა ჰყინტმა სიმინდმა გააქარწყლა. ტაროები დალწილ ღეროებს და-ატებეს, რასაც მისტერ გარნერი აუცილებლად ენოტებს დააბრალებდა. პოლ-დის უნდოდა, თავისი წილი ტარო შეწვა; პოლ-ეის უნდოდა, მოქარშა, პოლ-დი კი ვერაფრით იხსენებდა, ბოლოს და ბოლოს, რა უქნეს ტაროებს, საჭმელად მეტისმეტად ჰყინტი რომ იყო. სამაგიეროდ ნამდვილად ახსოვდა, წვეროს გასაშიშვლებლად როგორ აშორებდა ტაროებს ულვაშს და ცდილობდა, ფრჩხილით ერთ მარცვალსაც არ წამოსდებოდა.

ყოველთვის, როცა სითე სიმინდს მჭიდრო გარსს ახვედა და ფუჩქის ჩქამი ჩაესმოდა, ფიქრობდა, რომ ნაყოფს რაღაცას სტკუნდა.

რაკი ტაროს ზედ შემოხვეული ერთი ფოთოლი მოაშორა, დანარჩენებიც დაემორჩილნენ და ნაყოფმაც, აქამდე რომ უძალიანდებოდა, ბოლოს და ბოლოს, გამოაჩინა მორცხვად ჩაწიკწიკებული მარცვლები. როგორ ნებიერად ირხეოდა ოქროსფერი ძაფები, როგორ სწრაფად გაითვისუფლა თავი მათ ქვეშ დაბუდებულმა სურნელებამ.

მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას ელოდნენ კბილები და სველ-სველი თითები, ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდა, როცა ასეთი უბრალო სიხარულით იყვნენ ადამიანები შეძრული.

როგორ ნებიერად ირჩეოდა ოქროსფერი ძაფები. როგორ მოხდენილად, თავისუფლად და ნებიერად.

ვიდრე ოდეკოლონს აღმოაჩენდა, დენვერი ველური ვერონიკის ლერის გარეშე არავის ენახა, მერე კი ფრიად სურნელოვანი ნამალავის პატრონი გახდა. ოდეკოლონის პირველი შუშა გოგონას აჩუქეს, მეორე დედამისს მოჰკარა და ბზის ბუჩქში მანამდე ინახავდა, ვიდრე ყინუამ არ მოუსწრო და გაუბზარა. იმ წელს ნაადრუებდ დაზამთრდა. ერთხელ სალამო უამს გაავდრდა და მთელი რვა თვე ციოდა. ომიანობა იყო და თეთრკანიანმა ქალმაც, მის ბოდუინი რომ ერქვა, საშობაოდ სითესა და დენვერს ოდეკოლონი, ბიჭებს — ფორთოხალი, ბეიბი საგზს კი შალის მოსახული მოუტანა. ლაპარაკობდა ეს ქალი ოშე, რომელშიც ადამიანები პანტაპუნტით იხოცებოდნენ, და წამოწითლებულ სახეზე ბედნიერი გამომეტყველება ეფინა. მამაკაცივით ბოხი ხმა კი ჰქონდა, მაგრამ ისეთ სურნელებას აფრქვევდა, თავი ყვავილებით სავსე ოთხში გვეონებოდათ მოგვიანებით ბზებს შორის განმარტოებული დენვერი ისვე და ისვე მიეცემოდა ხოლმე იმ სუნამოს არომატით მოგვრილ მღელვარებას. 124 ნომრის უკან ვიწრო მინდორი იყო, რომელიც ტყით მთავრდებოდა. ტყის იქით პატარა მდინარე ჩამოდიოდა. და აი, მინდორსა და მდინარეს შორის მოქცეულ ამ ტყეში, თეთრი მუხების მიღმა, წრეში დარგულ ბზის ხუთ ბუჩქს მიწიდან ოთხი ფუტის სიმაღლეზე ტოტები ერთომეორისკენ წაელო და შუაგულში შვიდი ფუტი სიმაღლის სიცარიელეც წარმოექმნა, რომლის მოშრიალე კუდლებიც ორმოცდაათ დუიმამდე ადიოდა.

დაიხრებოდა დენვერი, შეძვრუბოდა სიცარიელეში და როგორც კი ზურმუხტისფრად განათებულ სინათლეში აღმოჩნდებოდა, უმაღწელში გაიმართებოდა ხოლმე.

პატარა დენვერი თავიდან ტყეში სახლობანას სათამაშოდ დადიოდა, მაგრამ მერე სურვილებიც სხვა ჰქონდა და თამაშითც სხვა თამაშებს თამაშობდა. წყნარი, განმარტოებული და სრულიად გასაიდუმლოებული ადგილის შესახებ არავინ იცოდა ბოცვრუების გარდა, ოდეკოლონის საძაგელ სუნზე აცახცახებულები თავგზას რომ კარგავდნენ. უხმაურო და ჩვეულებრივზე უფრო მყუდრო სათამაშო ადგილი ჯერ საფრთხოებულა ძმებისგან გასქცევ სახიზნავად იქცა,

სულ მაღვე კი სამალავად, რომლისკენაც გაუთვებლად მიუწვდა დენვერს გული. ტკიფილიანი სამყაროს ტკიფილისაგან მოწყვეტილ ბზის ტოტების თალარში ძერწევდა გოგონას წარმოსახვა საკუთარ შიმშილსაც, წყურვილსაც და საკვებსაც, რომელიც ძალიან სჭირდებოდა მარტოობისგან ძალღონევამოლეულ დენვერს. ძალღონეგამოლეულს... მწვანე ფოთლების ცოცხალ ფარდას ამოფარებულს თვი ზრდასრული და სუფთა, თუისუფალი ადამიანი ჰონა, რომელიც ინატრუბდა თუ არა, უმაღლ პოვებდა ხსნას.

ერთხელ შემოდგომით, დიდი ხნით ადრე იქამდე, ვიდრე პოლდი სითესთან ერთად საცხოვრებლად მათთან გადავიდოდა, დენვერი ბზებში იყო და ერთბაშად შესცუდა — კანზე სუნამო ჯერაც არ შეშრობოდა, ქარმა რომ დაუბერა. ტანზე ჩაიცვა და ბუჩქებიდან გამოსაძრომად დაიხარა, წელში გამართულმა კი აღმოაჩინა, რომ თოვდა: სულ წვრილ-წვრილ ფიფქს ყრიდა. ძალიან პგავდა ეს სურათი დედამისის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ დაბადებულიყო დენვერი კანოეში. მენიჩე ვიღაც თუთოკანიანი გოგო ყოფილა და ბავშვისთვისაც სწორედ მისი სახელი დაურქმევიათ

აკანკალებული დენვერი სახლს მიუახლოვდა, სახლს, რომელიც ყოველთვის ადამიანად უფრო მიაჩნდა, ვიდრე შენობად, ადამიანად, რომელიც ტიროდა, ოხრავდა, ცახცახებდა და კრუნჩხვაც ემართებოდა. ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, ისე იხედებოდა, თითქოს პატარა ბავშვი იყო და რომელიღაც ნერვიულ და უქნარა ნათესავთან მიდიოდა, ისეთთან, თან სხვაზე რომ იყო დამოკიდებული და თან გულზვიადობას არ იშლიდა. მორკინული საომარი საცმელოით გადაეცვა სახლს სიბნელე. ერთადერთ ფანჯარაში მოჩანდა სინათლე. ბეიბი საგზის ოთახში ელგარებდა რაღაცა მქრქალად. როცა დენვერმა შიგნით შეიხედა, დაინახა, რომ დედამისი მუხლებზე იდგა და ლოცულობდა — ჩვეულებრივი ამბავი იყო. გოგონასთვისაც კი, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიცვალებულთა ცხოვრების წესით გაჯერებულ სახლში გაეტარებინა, უჩვეულო მხოლოდ ის გახლდათ, რომ დედამისის გვერდით თუთო კაბასაც დაეჩოქა, თან სახელოც შემოქვია ქალისთვის წელზე. ნაზად ჭვეოდა კაბის სახელო სითეს და დენვერსაც თვისი დაბადების წვრილმანები გაახსენდა. ისიც გაახსენდა, რომ იდგა და ზემოდან წვრილ-წვრილი ფიფქი უბრალო ყვავილებივით ეყრებოდა. ასე გვერდიგვერდ კაბა და დედამისი ერ-

თმანეთთან შეზრდილ მეგობრებს ჰგავდნენ, თან ერთ-ერთი მათგანი, კაბა, მეორეს შველოდა, ხოლო თავად დენვერის დაბადების ჯადოსნობა, ნამდვილი სასწაული, მათი მეგობრობის ისეთოვე დასტური გახლდათ, როგორიც გოგონას სახელი.

ვიდრე ფანჯრიდან კარამდე მივიდოდა, თვალწინ სითქ საამბობი დაუდგა, ამბავი, რომლის გათვისებაც დენვერისთვის სულაც არ იყო ძნელი. 124 ნომერს ერთადერთი შესასვლელი ჰქონდა და უკანა ეზოდან შიგნით რომ მოხვედრილიყავით, მთელი სახლისთვის უნდა შემოგვლოთ, ციუად შესანახი და ჩვეულებრივი პროდუქტების საკუჭნაოები გაგვლოთ, საპირფარუშოც, ფარდულიც და ისე მიგეღწიათ ცერანდამდე. ყველაზე მეტად დენვერს სითქ სავგადასაცლის ერთი ნაწილი მოსწონდა და მასზე რომ ეფიქრა, უკან დაბრუნება მოუხდა — უნდოდა, ხშირ ტყეში მოჭიკჭიკ ჩიტებისთვის მოესმინა, ფეხქვეშ მოყოლილი ფოთლების ჭრაჭუნი გაევონა, წარმოედგინა, როგორ მიუყვებოდა დედამისი გორაკებს, სადაც სახლების ჭუჭანებაც არ იყო. უნდა წარმოედგინა, როგორ მიდიოდა სითქ, როგორ უჭირდა ფეხების დამორჩილება, იმდენად რომ შეშუპებოდა, აღარც ტერფის თაღები მოუჩანდა, აღარც კოჭები. გევონებოდათ, ფეხის ძვლებზე ბოლოში თითო-თითო ფუნთუშა გამობმოდა, საიდანაც ხუთ-ხუთი პატარა ფრჩხილი კუწუბებივით იმშირებოდა. მიუხედავად ამისა, კერ გაჩერდებოდა, არ გაჩერდებოდა, რადგან გაჩერებულს პატარა სულწასული ანტილოპა შიგნიდან რქებით აწყდებოდა და მუცელში ჩლიქებსაც უშენდა. ასე ევონა, სიარულს თუ გააგრძელებდა, ანტილოპაც შშვიდად გააგრძელებდა ძოვას. ჰოდა, იმის მაგივრად, რომ ერთ ადგილზე გაჩერებულიყო და არ განძრულიყო, ექვსი თვის ორსული სითქ ისევ მიაბიჯებდა. მიაბიჯებდა ნაცვლად იმისა, რომ კარდალასთან, სადღვებელთან, გეჯასთან ან საუთოო დაფასთან წყნარად მდგარიყო, ამძალებული რძით გაპოხილი მისი კაბა კი, კოლოებით დაწყებული, კუტკალიებით დამთურებული, ყველანაირ წვრილ-წვრილ მფრინავს იზიდავდა. ბორცვის კიდეს რომ მიაღწია, ხელის აქნევითაც აღარ ცდილობდა დასეული მწერების თვეიდან მოშორებას. თვეიდან თთქოს შორიდან ეკლესიის ზარების ხმა ესმისო, ისე დაუწყო რაღაცამ თვეში უღარუნი, მერე ხმაური გაძლიერდა და ზარების რეკვა ახლა უკვე ზედ ყურებთან ესმოდა. წაიქცა. ძირს დაიხედა, ორმოში ვარ თუ მუხლებზე

ვდგაურო. ვერაფერს გრძნობდა, მარტო ძუძუს თავებსა და პატარა ანტილოპას. ბოლოს დაწვა და მიხვდა, რომ მიწაზე იყო გაშხლარ-თელი — ცალ მხარეს საფეთქელსა და ლოფას ჭლაკვის ფოთლები უკაწრავდა და მიუხედავად იმისა, რომ ჯავრობდა, შვილები უდე-ლოდ არ დამირჩნენო, როგორც დენვერს უთხრა, ახსოვდა, როგორ გაიფიქრა: „სხვა თუ არაფერი, სიარულის გაგრძელება მაინც აღარ მომიწვევსო“. ის იყო, თავში სიკვდილზე ფიქრმა გაუელვა, თუკი მართლაც ფიქრობდა ამაზე, რომ უმაღლ პატარა ანტილოპას მი-აყურადა, აბა, უკმაყოფილებას როდის გამოხატავსო. თავადაც არ იცოდა სითუმ, რატომ აღიქვამდა ამ ბავშვს ანტილოპად. მას ხომ არასოდეს ენახა ანტილოპა. ეგონა, სიყრმიდან გამოყოლილი მო-გონებების, „საყვარელ სახლამდე“ განვლილი ცხოვრების გამოი-სობით იყო, ასე რომ წარმოედგინა შვილი. შეიძლება იმ ადგილების ბრალი იყო, სადაც თავად დაიბადა. კაროლინაში თუ ლუიზიანაში, არ ახსოვდა. მის მეხსიერებას მარტო იქაურების ცეკვა და სიმღერა შემოენახა. საკუთარი დედაც არ ახსოვდა, ქალი, რვა წლის ბავშვმა რომ დაანახვა, რომელსაც უმცროს დედმამიშვილებზე თვალყურის დევნება ჰქონდა დავალებული. სხვა ქალებიცით, დატბორილ მინ-დორში რომ იდგნენ, დედასაც შეექცია მისთვის ზურგი. მოთმინე-ბით ელოდა სითუ, როდის გავიდოდა ეს ზურგი კვალის ბოლოში და როდის გაიმართუბოდა. ხედავდა ფეტრის შლაპასაც, გარშემო მოღულუნე ქალების ჩალის ქუდებისგან საკმაოდ რომ განსხვავ-დებოდა. კიდევ ერთი საერთო ჰქონდათ ამ ქალებს — თითოეულ მათგანს „მემ“-ს ეძახდნენ.

- სითუ...
- მემ.
- ბავშვს არ მოშორდე.
- დიახ, მემ.
- ნაფოტები შემოიტანე.
- დიახ, მემ.

ეს კი, მაგრამ როცა მღეროდნენ, ან როცა ცეკვავდნენ... თანაც ზოგჯერ იმ ცეკვას, „ანტილოპა“ რომ ერქვა. კაცებიც ისუე როკავ-დნენ, როგორც მემები, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ რომ მისი მემი იყო. ერთთავად თავისუფალ და მომთხოვნ აღამიანებად გარდა-ისახებოდნენ ხოლმე ცეკვისას და სითუსაც ეგონა, რომ მის სტომაქ-

ში შეუული პატარა ანტილოპას დარად მისი მაჯისკება თითოეული შათგანისათვის უფრო საცნაური იყო, ვიდრე თუად მისთვის.

„მე მგონი, ამ ბავშვის დედა მდინარუ ოპაიოს საზიზლარ ნაპირზე, ჭლაკვში დაღვეს სულს“, — უტრიალებდა იმ წუთებში სითუს თუში. დენვერთან საუბრისასაც ზედმიწვნით გაქმსენებინა საკუთარი ნაფიქრალი. იმის გათვალისწინებით, რისი გაკეთებაც აღარ მოუწვდა, იდეა არც ისე ცუდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც კი წარმოიდგინა, რომ მიწაზე გაშხლართულ მის უსიცოცხლო სხეულში პატარა ანტილოპა ერთხანს, ერთი საათი იქნებოდა თუ ერთი დღელამე, იცოცხლებდა, გულზე ისეთი დარდი შემოაწვა და ისე ამოიკვნესა, რომ ადამიანი, ასე ათი მილის მოშორებით ბილიკს რომ მიუყვებოდა, გაჩერდა და გაირინდა. ფეხის ხმა სითუს არ გაუგონია, მაგრამ უეცრად უმოძრაოდ გაშეშებული ადამიანის არსებობა იგრძნო, მერე კი მის ყნოსვას ვიღაცის თმის სურნელებაც მისწვდა. ხმაც ჩაესმა: „რომელი ხარ?“ გასაგები იყო, რომ სადაც იყო, რომელიღაც თეთრკანიანი ბიჭი წაადგებოდა თუს, ჩაშავებული კბილები და მოძალებული ჟინი რომ ჰქონდა. მიხვდა, შეილებისაკენ მიმავალს, რომელთაგან ერთ-ერთი შშიერი ჰყავდა, იმიტომ, რომ დედის რძის გარდა ვერაფერს შეჭამდა, მას შემდეგ, რაც ჰალე გაუჩინარდა, რძე მოპპარეს, ზურგი დაუჩეჩქვეს და შეილები დაუობლეს, მდინარუ ოპაიოს ნაპირებთან გადაჭიმულ ფიჭვიან გორაქზეც არ ელოდა ადვილი სიკვდილი. არამც და არამც.

უყვებოდა სითუ დენვერს, რომ მიწიდან რაღაც შეუჩნდა, თან სისხლს უყინავდა, თან ფუთფუთს არ ეშვებოდა — ისე ანადგურებდა შიგნიდან, თითქოს აღვირმოჭურილი ცხენი აჩანავებდა საკვებს. ერთბაშად მოუნდა სითუს იმ ბიჭის თვალების დანახვა. მოუნდა, კბილებით ზედ თვალებში ჩაპორუნოდა და მისთვის ლოყა ამოეჭამა.

„შშიოდა, — ეუბნებოდა სითუ დენვერს, — სხვა ვერაფერი მომინდებოდა ისე, როგორც მისი თვალების შეჭმა. მოცდა არ შემეძლო“.

ჰოდა, იდაყვს დაყრდნობილი სითუ წამოიწია, ერთი გაიბრძოლა, იქით გასაღოლებლად, საიდანაც თეთრკანიანი ჭაბუკის ხმა მოდიოდა, ორი, სამი, ოთხი, ის კი იძახდა: „ვინ არის მანდ?“

„ვფიქრობდი, მოდი და ნახე-მეთქი, — იხსენებდა სითუ, — შენს დღეში მეტს ვეღარაფერს ნახავ. თვითდან მისი ფეხები დაუინახე. ვიფიქრე, დაე, იყოს ღმერთის ნება-მეთქი — ჯერ ფეხები უნდა მომეჭამა. ახლა კი ვიცინი, მაგრამ ასე იყო. უბრალოდ მზად კი არ

ვიყავი, რომ შემეჭამა, ერთი სული მქონდა, როდის შევჭამდი. პირ-დაღებულ, დაშშეულ გველს ვგავდი, მაგრამ სად იყო თეთრკანიანი ჭაბუკი? გოგო იყო. იდგა ჭუჭყიანზე ჭუჭყიან ძონძებში გამოხვეული და ამბობდა: „შეხე, ზანგი. მაგარი თუ არ იყოს“.

ამის მერე ამბის ის ნაწილი მოდის, რომელიც დენვერს ყველაზე მეტად უყვარდა.

გოგონას ემი ერქვა. თუ ვინმეს სჭირდებოდა ამქვეყნად საქონლის ხორცი და ნახარში, სწორედ ის იყო. მკლავები ლერწმის ლეროებს მიუგავდა, თავზე კი იმდენი თმა ჰქონდა, ოთხ-ხუთ მისნაირ თავს ეყოფოდა. თვალებს ნელა ატარებდა აქეთ-იქით ნაჩქარუვად შეერა არაფერზე გადაჰქონდა, მაგრამ იმდენს ლაპარაკობდა, ვერ მიხვდებოდით, სუნთქვას როდისლა ახერხებდა. მერედა ნუ იტყვით, ლერწმის სიმსხო მკლავებში რკინის ლონე აღმოაჩნდა.

— შენსავით დაფეთქებული არასოდეს არავინ მინახავს. აქ რას აკეთებ?

ბალახებში განრთხმულმა სითქმ, თავი გველად რომ წარმოედგინა, პირი დააფრინა და იმის ნაცვლად, რომ შხამიანი კბილები და ორკაპი ენა გამოეჩინა, სიმართლე გადმოანთხა:

— გავრბოვარ, — ძლივს მოიტრიალა პირში მტკოვანი ენა სითქმ, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში სიტყვაც არ ეთქვა.

— ამ ფეხებით? ღმერთო ჩემო, — თქვა ემიმ, ჩაცუცქდა და სითქს ტერფებზე დააჩერდა, — საჭმლისნაირი თუ გაქვს რამე?

— არა, — მიუგო სითქმ და წამოჯდომა სცადა, თუმცა არაფერი გამოუვიდა.

— შიშმილით ვკვდები, — თქვა გოგომ და ამწვანებული არემარე ნელ-ნელა მოათვალიერა, — ვიფიქრე, აქ მოცვი იქნებოდა. მკლავი. ამიტომაც მოვედი. არ ველოდი, ზანგის ქალს თუ ვიპოვიდი. მოცვი თუ იყო, ალბათ, ჩიტებმა შეჭამეს. მოცვი გიყვარს?

— ბავშვს ვაჩენ, მის.

ემიმ სითქს შეხედა და ჰკითხა:

— ესე იგი, მადა საერთოდ არა გაქვს? რამე უნდა შევჭამო.

ემიმ თმა თითქბით ჩამოიტარება ხნა და იქაურობა კიდევ ერთხელ ემიმ თმა თითქბით ჩამოიტარება ხნა და იქაურობა კიდევ ერთხელ ფურადლებით მოათვალიერა. დარწმუნებული, რომ ირგვლივ საჭმელად ვარგისი არაფერი იყო, წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. ლად ვარგისი არაფერი იყო, წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. სიმის გაფიქრებაზე, რომ არც გველი იყო, არც ეშვები ჰქონდა და სა-

დაც იყო, ბალახში მწოდიარეს სულ მარტო დატოვებდნენ, სითქაც
აძლეუჯდა გული და იკითხა:

— საით მიდიხარო, მის?

გოგონა შემობრუნდა, ერთბაშად აელვარუბული თვალები სითქე
შეანათა და უპასუხა:

— ბოსტონში. ხავერდი მინდა ვიყიდო. მაღაზიაა, „უილსონი“ ჰქ-
ვია. სურათები მაქვს ნანახი. ულამაზესი ხავერდები აქვთ არ სჯე-
რათ, რომ ვიყიდი, მაგრამ ასე იქნება.

სითქმ ემის თუი დაუქნია და იდაყვი მოინაცვლა:

— დედათქვენმა იცის, ხავერდის საშონელად რომ ხართ წამო-
სული?

თეთრკანიანმა გოგონამ თუი გააქნია, სახიდან თმა მოიშორა და
მიუგო:

— მგზავრობის საფასური რომ გადაეხადა, დედაჩემი ჩემს ბატო-
ნებს ეძსახურებოდა, მაგრამ მერე მე გამაჩინა და მალევე მოკვდა.
ჰოდა, იმათაც თქვეს, რომ დედაჩემის მაგირად მე უნდა მემუშავა.
ვიმუშავე კიდეც, მაგრამ ახლა ხავერდი მინდა ჩემთვის.

ლაპარაკობდნენ ორნი ისე, რომ ერთმანეთს არც უყურებდნენ,
არც თვალს უსწორებდნენ და თუადაც ვერ მიხვდნენ, ძალდაუტანე-
ბელი კითხვა-პასუხი მუსაიფში როგორ გადაიზარდა. ერთი ის იყო,
რომ ერთ-ერთი მათგანი მიწაზე იწყო.

— ბოსტონი, — თქვა სითქმ, — შორსა?

— ორო, კი. იქამდე ასი მილია. შეიძლება, მეტიც.

— ახლომახლოსაც ექნება ვინმეს გასაყიდი ხავერდი.

— ბოსტონში რომ აქვთ, ისეთი არა. ბოსტონში საუკუთესო ხა-
ვერდია. ისე მომიხდება. ოდესმე ხავერდისთვის ხელი თუ გიხლია?

— არა, მის. ხავერდს არასოდეს შევხებოვარ

თუადაც არ იცოდა სითქმ, რისთვის უნდა მიეწერა, თეთრკანიანი
გოგოს ხმისთვის, ბოსტონისთვის თუ ხავერდისთვის, მაგრამ ფაქტი
იყო, ვიდრე ემი ლაპარაკობდა, მისი პატარა მუცელში გაყუჩებული
იჯდა — ქრთხელაც არ უწევენია მისთვის, ერთი წიხლიც არ უთ-
ვაზებია. ჰოდა, სითქმაც ჩათვალა, იღბალი ჩემკენ შემოტრიალდა.

— ოდესმე თუ გინახვას? — გააგრძელა გოგონამ, — სანაძლევს
ჩამოვალ, რომ თვალითაც არ გინახვას.

— თუ მინახავს კიდეც, ის მაინც არ ვიცოდი, ხავერდი თუ იყო. როგორია?

ემი სითქ სახეში ისე მიაჩერდა, თოთქოს სრულიად უცხო ადა-მიანს ასეთ კონფიდენციალურ ინფორმაციას არასოდეს გაანდობდა და ჰქითხა:

— რა გქვია?

რამდენად შორსაც უნდა ყოფილიყო სით „საყვარელი სახლი-დან“, პირველივე შემხვედრისთვის ნამდვილი სახელის გამხელა უაზრობად მოეჩვენა და უპასუხა:

— ლუ. ლუს მეძახიან.

— მოკლედ, ლუ, ხავერდი პირვანდელ სამყაროს პგავს. სუთთა, ქორფა და სრიალა. მე რომ ვნახე, ის ხავერდი ყავისფერი იყო, მაგრამ ბოსტონში ყველა ფერი აქვთ ჭიაფერი. ანუ წითელი, მაგრამ წითელ ხავერდზე ჭიაფერს იტყვიან, — ემიმ თვალები ცისკენ აღაპყრო, მერე ისე დაფუცურდა, აქაოდა, წასვლა საკმაოდ დამიგვიანდაო, — უნდა წავიდე, — თქვა თუთოკანიანმა გოგომ, მაგრამ ბუჩქნარში შესულმა ისევ მიაძახა სითქ, — რას აპირებ, ცხენოვით მანდუნდა მოიგო?

— ადგომა არ შემიძლია, — გამოეპასუხა სითქც.

— რა? — ჩაეკითხა ემი და მისკენ მიბრუნდა.

— ადგომა არ შემიძლია-მეთქი.

ემიმ ცხვირი სახელოთი მოიწმინდა და ნელ-ნელა ისევ იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც სითქ იწვა და უთხრა:

— იქით, უკან სახლია.

— სახლი?

— ჰოო. გამოვიარე ის ადგილი. თუმცა, ჩვეულებროვი სახლი არ არის. ჩამოხურულოვით რაღაცაა.

— რამდენად შორსაა?

— რა მნიშვნელობა აქვს, რაღა? ღამე აქ თუ დარჩები, გველი გიკბენს.

— მიკბენს და უ იქნება. ფეხზე ვერ ვდგები, სიარულს რომ თავი დავანებო და, ღმერთო, შენ მიშველე, მის, ფორთხვაც არ შემიძლია.

— რა თქმა უნდა, შევიძლია, ლუ, მიდი, — შეუძახა სითქ ემიმ და თავი, ზედ ხუთი ადამიანის სამყოფი თმა რომ პქონდა, გვერდზე გააქნია, მერე კი ბილიკისკენ დაიძრა. ჰოდა, მიხოხავდა სითქ, ემი

კი მის გვერდით მიაბიჯებდა და როგორ პირების დასკუნება სჭირდებოდა, იხილ ჩერდებოდა და ბოსტონის, საქართველოსა და გერმანიის რამერუმებზე უკვებოდა. გოგონას გუვარდებული, ლამაზავისგან, ხმა თუქისმეტი წლის ბიჭისას რომ მიუკუდა, პატარა ანტიაღია წყნარდებოდა და უმომთველებელი „გრიფელი“ დედის მუკულში ბალახობას. ერთხელაც არ აუკრია ტლის ქინი, ვიდრე განამეტები ხოთ ჩამოხურულამდე არ მიღოღდა.

როცა ჩამოხურულამდე მიაღწიეს, ხითეს ტანხე გველაფერი შემოფლეოთადა, თბაზე მოხუცეული ქსეულის გარდა. დასისხლიანგული მუხლების ქვემოთ ფქრებს საერთოდ ვერ გრძნობდა, მკრდი კი ისეთ დღეში პქონდა, კარნა, მის აღვილზე ორი ბალიში იყო, ზედ უამრავი ქინძისთვი რომ დაესოი სწორედ ეძის ხავერდოუნი ხმა, ბოსტონსა და გემრიელ რამერუმებზე რომ ელაპარაკებოდა, აგრძელებინებდა გზას და აიძულებდა, ეფიქრა, იქნებ ჩემი ექვსი თვის პატარისთვის, უკანასკნელ საათებს რომ ითვლის, სულაც არა გარ მცოცავი სასაფლაოო.

ჩამოხურული ფოთლებით იყო საუსე. ემიმ ფოთლები ერთად მოაქუჩა და სითეს დასაწილი მოუწყო. მერე ქვები მოაგროვა, ზემოდან კიდევ უფრო მეტი ფოთლი დააყარა, სითეს ფქრები ზედ შეაწყობინა და უთხრა:

— ერთი ქალი ვიცი, ფქრები იმხელაზე გაუსოდა, რომ მოაჭრეს, — ემიმ სითეს კოჭუბთან ხელი პაერში ისე გაატარ-გამოატარა, თითქოს რაღაცას ხერხავდა, — ხრ-ხრ. კარგ ზომაზე ვიყავი. მკლავებიც და ყველაფერი ლამაზი მქონდა. ვერ იფიქრებდი, არა? ვა იქამდე იყო, ვიდრე ბოსტნეულის შესანახ სარდაფში ჩამიშვებდნენ. ერთხელ ბოვერზე¹ ვთუვზაობდი. უბრალოდ ვთუვზაობდი და ამ დროს ზუსტად ჩემ გვერდით ზანგის ცხედარი ამოტოტოვდა. დამხრჩალი ხალხის ყურება არ მიყვარს, შენ? შენი ფქრებიც მას მავონებს. ისიც ასე იყო დაბიუვინებული, — ეს თქვა და ემიმ ჯადოქრობას მიჰყო ხელი: სითეს ფქრები აწევინა და იქამდე უზელდა, ვიდრე ცხარე ცრუმლით არ ატირა, — გეტკინება ახლა, — დაამშვიდა ემიმ, — რაც ცოცხლდება, ყველაფერს სტკოუ.

„სამარადეამო ჭეშმარიტებაა“, — გაიფიქრა დენვერმა. იქნებ

¹ მდინარე აშშ-ში ენსილუანის შტატის დასაუღეთოთ მდინარე ოქაოს მარჯვენა შესართული.

თუთრ კაბასაც, დედამისისთვის წელზე მკლავი რომ შემოქმდა, სტკიოდა რამე? იქნებ ეს ტკოილი იმის ნიშანი იყო, რომ ბავშვის აჩრდილს ჰქონდა ჩაფიქრებული რაღაც. როცა დენვერმა კარი გააღო, სითე ის-ის იყო, სასტუმრო ოთახიდან გადიოდა.

— თუთრი კაბა დავინახე, შენ რომ გებლაუჭებოდა, — თქვა დენვერმა.

— თუთრი? შეიძლება საქორწილო კაბა იყო. როგორი იყო?

— მაღალყელიანი, ზურგზე ძალიან ბევრი ღილით

— ღილები. პო, ჩემი საქორწინო კაბა ვერ იქნება. არასოდეს მქონია რამეზე ღილი.

— ბებია ბების?

სითემ თავი გააქნია.

— ვერასოდეს იკრავდა. ფქნსაცმლის ღილებსაც კი ვერაფერს უხერხებდა. კიდევ რა ჰქონდა იმ კაბას?

— წელს ქვემოთ, საჯდომთან ნაოჭები ჰქონდა.

— ტურნური? ტურნურიანი კაბა იყო?

— არ ვიცი, რა ჰქვია.

— თითქოს მოქუჩებული იყო? წელს ქვემოთ, უკანა მხარეს?

— პო.

— მდიდარ ქალებს რომ აცვიათ ისეთი. აბრეშუმის იყო?

— ბამბისას ჰგავდა.

— ფილდეკოსის, ალბათ თუთრი ფერის ბამბის ფილდეკოსის. ამბობ, რომ მებლაუჭებოდა. როგორ?

— შენ გგავდა. ზუსტად შენნაირი იყო. ვიდრე ლოცულობდი, შენ გვერდით იდგა დაჩოქილი და ხელი ჰქონდა შენთვის წელზე შემოხვეული.

— ღმერთო ჩემო!

— რაზე ლოცულობდი, დე?

— არც არაფერზე. აღარ ვლოცულობ. უბრალოდ, ვლაპარაკობ.

— რაზე ლაპარაკობდი?

— შენ ვერ გაიგებ, ჰატარავ.

— კი, გავიგებ.

— ღროზე ვლაპარაკობდი. ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ დრო არსებობს. რაღაცები მთავრდება, გაივლის, რაღაცები კი უბრალოდ რჩება და რჩება. ჯერ ყველაფერი ჩემი მექსიერების ბრალი

მეურნა — რაღაც ები გაუიწყდება, რაღაც ებს კურასოდეს ოუიწყებ, მაგრამ ასე არ არის. ადგილები, ადგილები არასოდეს იცვლის ფქს. სახლი დაიწყება და გაქრება, მაგრამ ადგილი, სადაც ის იდგა, არემარჯ რჩება, თან მარტო მექსიერებაში კი არა, რეალურ სამყაროშიც. ის, რაც მახსოუს, ჩემი მექსიერების მიღმა მომხდარის ანარეკლია, ანუ რომც არ ვითიქრო, რომც მოუკვდე კიდეც, ხატი იმისა, რასაც ვაკეთებდი, რაც ვიკოდი, ანდა რასაც ვხედავდი, არსად წა — იქვე დარჩება, სადაც გამიკეთებია, მცოდნია ან დამინახავს.

— სხვებიც ხედავენ? — იკითხა დენკერმა.

— აბა, აბა. მიღიხარ შენთვის გზაზე და რაღაცა გესმის, ანდა რაღაცას ხედავ. ისე აშკარად. მერე გგონია, რომ ყველაფერი შენი წარმოსახვის ნაყოფია, ხატებაა, მაგრამ არა. ასე მაშინ ხდება, როცა სხვის მოგონებებს გადაუყრები. ადგილი, სადაც აქამდე ვიყავი, საიდანაც მოუედი, სინამდვილეში არსებობს და მთელი კარ-მიღამო რომ განადგურდეს, ყველა ხე და ბალახის ყველა ღეროც რომ გახმეს, იქაურობა არასოდეს გაქრება. ძველის ზმანება ისვე იქ არის და თუ მიხვალ, შენც კი, ადამიანი, რომელიც იქ ერთხელაც არ ყოფილხარ, და იმ ადგილას დადგები, სადაც ყველაფერი მოხდა, წარსული ისე განმეორდება, თითქოს ელოდა, როდის მიხვიდოდი. ჰოდა, დენკერ, შენ იქ კურასოდეს წახვალ, კურასოდეს, რადგან მართალია, ყველაფერი მორჩა და გათვადა, შენთვის ყოველთვის ხელახლა გაცოცხლდება ის, რაც იყო. ამიტომაც უნდა წამომეყვანა იქიდან შვილები. რაც უნდა ყოფილიყო, უნდა წამომეყვანა.

— თუ ისვე იქ არის, გამოდის, არასოდეს არაფერი კვდება, — ფრჩხილების კვნეტით მიუგო დედას დენკერმა.

სითემ ქალიშვილს თვალი გაუსწორა და დაუდასტურა:

— არასოდეს.

— თუ იდან ბოლომდე ჩემთვის არასოდეს მოგიყოლია, რა მოხდა. მარტო ის ვიცი, რომ გაგშოლტეს, შენ კი გაიქეცი, თან ორსულად იყავი. მე მელოდებოდი.

— მოსაყოლი არაფერია, სკოლის მასწავლებლის ამბის გარდა. პატარა კაცი იყო. დაბალი. საყელო სულ ეკეთა, მინდორშიც კი. სკოლის მასწავლებელიაო, გვითხრა მისის გარნერმა. უხაროდა, რომ მისი მულის ქმარი წიგნიერი კაცი იყო და მისტერ გარნერის გარდაცვალების შემდეგ სიამოუნებით ჩამოუიდოდა „საყვარელი სახ-

ლის” მისახედად. იქაურ კაცებსაც შეეძლოთ ამის გაცემა, მაშინაც კი, როცა პოლ-ეფი გაყიდეს, მაგრამ როგორც პალემ თქვა, ქალბატონს არ უნდოდა, ერთადერთი თეთრებანიანი ყოფილიყო მთელ მეურნეობაში, თანაც ქალი იყო. ისე უხაროდა, როცა სკოლის მასწავლებელი ჩამოსვლაზე დათანხმდა. თან ორი ბიჭი ჩამოიყვანა. არ ვიცი, მისი შვილები იყვნენ თუ ძმისშვილები. მასწავლებელს ონკას ეძახდნენ და კარგი მანერები ჰქონდა. სამოეს კარგი მანერები ჰქონდა. შშვიდად ლაპარაკობდნენ და ცხვირსახოცებში აპურჭყებდნენ. წარჩინებულები რომ იყვნენ, ბევრ რამეში ეტყობოდათ იცი, როგორები იყვნენ, კაცი იესოს დიდი ხნის ნაცნობი რომ იქნება და ზრდილობის გამო პირისპირაც რომ ვერასოდეს მიმართავს სახელით პალე ამბობდა, სკოლის მასწავლებელი საკმაოდ კარგი მეურნეაო, მისტერ გარნერისთანა არა, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანიო. ჩემი გაცემული მელანი მოსწონდა. მისის გარნერის რეცეპტით ვამზადებდი, მაგრამ ჩემი შეზავებული მოსწონდა. მელანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ღამით ჯდებოდა და თავის წიგნში რაღაცას წერდა. ის წიგნი ჩვენ შესახებ იყო, მაგრამ მაშინ არ ვიცოდით, ასე თუ იყო. უბრალოდ, გვევონა, რომ ჩვენთვის რაღაცების შეკითხვა ჩვეუბი ჰქონდა. უბის წიგნაკით დაიწყო სიარული და ჩვენს ნათქვამს შიგნით იწერდა. ახლაც ვფიქრობ, რომ მაგ კითხვებმა დაღუპა სიქსო. სამუდამოდ დაღუპა.

სითე გაჩუმდა.

იცოდა დენვერმა, რომ დედამისი მეტს არაფერს იტყოდა, ყოველ შემთხვევაში, ამ ჯერზე. სითემ ერთადერთხელ დინჯად დაათახულა თვალები, ქვედა ტუჩი ცხვირისკენ ისე აიტანა, რომ ზედა აღარ უჩანდა და ისე დაიქმინა, თითქოს ამოსუნთქული პაერის ნაკადით სანთლის ჩაქრობა უნდოდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ სითეს ნაამბობი უკვე ნათქვამს აღარ გასცდებოდა.

— მგონი, პატარას რაღაც აქვს ჩაფიქრებული, — თქვა დენვერმა.

— მაინც რა?

— არ ვიცი, მაგრამ შენზე ჩაბლაუჭებული კაბა რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

— შეიძლება, — არ უარყო სითემ, — შეიძლება, მართლაც აქვს გუნებაში რაღაც.

ვინც იყვნენ და რანიც იყვნენ 124 ნომერში დაბუდებული აჩრ-

დილები, პოლ-დიმ ისინი სამუდამოდ დააზიანა — მაგიდის ქნევით და მამაკაცური ღრიალით გაასუვისუფლა იქაურობა იმ არემარეში ატენილი მითქმა-მოთქმისგან. დენევერს უკვე ესწავლა, როგორ უნდა ეამაყა, როცა მას და დედამისს ზანგები კიცხავდნენ და ვარაუდობდნენ, რომ მათ სახლში ბოროტ ძალას დაესადგურებინა, რომელიც მარტო სითუსა და დენევერს არ დასჯერდებოდა. არც ერთ მათგანს არასოდეს პქონია პატოი, პირადად გამოეცადა გრძნობა, როცა კი არ ეჭვობ, არამედ ზუსტად იცი, რომ არსებობს ამიერიც და იმიერიც. დენევერის ძმებმა კი იცოდნენ, მაგრამ ეშინოდათ; ბებია ბებიმაც იცოდა, მაგრამ ამის გამო სუვდა დარუვდა ხოლმე ხელს, სათანადოდ კი ვერც ერთი მათგანი ვერ აფასებდა, რამდენად უსაფრთხო შეიძლებოდა ყოფილიყო აჩრდილთან ერთად ცხოვრება. სითუსაც არ მოსწონდა ეს ამბავი და ისიც, რაც მის სახლში ხდებოდა, ამინდის უეცარი ცვალებადობასაც ჩვეულებროვ რამედ მიაჩნდა.

არადა, აჩრდილი ხომ წავიდა. ერთი დაიღრიალა მამაკაცმა, თხილის ნაჭუჭისფერი კანი რომ პქონდა, და ისიც წუილ-წუილით გაყარდა სახლიდან, დენევერის სამყაროში კი მოწყენილობამ დაისადგურა, ზურმუხტისფერ საკუჭნაოს თუ არ ჩავთვლით, შვიდი ფუტის მოშორებით ტყეში რომ იდგა. დედამისი რაღაცებს არ უმხელდა. არც გაუმხელდა იმას, რაზეც მხოლოდ სანახუროდ უშლიდა გულს. მერედა, საიდუმლო დენევერსაც ხომ პქონდა, ოღონდ მისი საიდუმლო სურნელოვანი გახლდათ, შროშანის ოდეკოლონის სურნელება პქონდა.

პოლ-დის მოსვლამდე სითუმ ერთხანს კიდევ იფიქრა თეთრ კაბაზე, მერე კი დენევერისეული ინტერპრეტაცია გაახსენდა, ჩაფიქრებული ექნებაო რამე. პოლ-დისთან ერთად გატარებული პირველი ღამე რომ გათუნდა, სითუმ იაზრა, საკარაუდოდ, რასაც ნიშნავდა მისი ქალიშვილის ნათქვამი და გაელიმა. მსგავსი ფუფუნება თვრამეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ ერთხელ პქონდა. მანამდე მთელ ძალისხმეულის ტკიფილის თავიდან აცილებას კი არა, მასთან რაც შეიძლება სწრაფად გამკლავებას ახმარდა. „საყვარელი სახლიდან“ წასვლა ერთადერთი ჩანაფიქრი იყო, რომელიც ოდესმე პქონია და მაშინაც ისე აერ-დაერია ყველაფერი, რომ მერე გჯმის დაწყობა აღარასოდეს გაუბედავს.

და მაინც, მეორუ დილით პოლ-დის გვერდით გაღვიძებულს სწორედ ის სიტყვა ამოუტოტოდა თუში, რამდენიმე წლის წინ მის ქალიშვილს რომ ქმარა, და გაიფიქრა, ნეტავ რა იყო ის, რაც დენვერმა ჩემ გვერდით მუხლებზე დაჩოქილი დაინახაო. კიდევ დაჯერებისა და დახსომების ცდუნებაზე დაფიქრდა. გაახსენდა, როგორ უჭირდა მკლავებს პოლ-დი სამხარეულო ღუმლის წინ გაჩერებულს. იქნება სეც უნდა ყოფილიყო? იქნება ცხოვრება მისთვისაც გრძელდებოდა და მასაც შეეძლო, რამე გვრძნო? იქნება შეეძლო ეცხოვრა და რაღაცის იმედი ჰქონოდა?

რაკი პოლ-დის გვერდით, მის სუნთქვას მიყურადებული აზრებს თუს კერ უყრიდა, საწოლიდან ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ადგა.

იდგა მუხლმოყრილი სასტუმრო ოთახში, სადაც ჩვეულებრივ ლოცულობდა თუ ლაპარაკობდა, და ერთბაშად მიხვდა, რატომ იყო ბეიბი საგზი ასე დახარბებული ფერებს. ორად ორი ნარინჯისფერი კვადრატის გარდა, დალიანდაგებულ საბანზე რომ მოჩანდა, ოთახში სხვა ყველაფერი უფერული იყო, ამიტომაც ეს კვადრატები კიდევ უფრო გამოკვეთდა იქაურობის უფერულობას. ოთახში კედლები ნაცრისფერად შეეღებათ, იატაკი მიწისფერი იყო, სარკიანი ხის კამოდი — ხის ფერი, ფარდები — თეთრი, ხოლო ის, რაც ყველაზე მეტად თვალში საცემი გახლდათ, ანუ რკინის საწოლზე გადაფარებული დალიანდაგებული საბანი ღურუჯი სარუის, შავი, ყავისფერი და რუხი შალის ნაკუწებისგან შეეცრათ მოკლედ, ოთახში სრულად იყო წარმოდგენილი მუქი, ჩახშობილი ფერების სპექტრი, დიასახლისის მომჭირნეობისა და თავმდაბლობის დასტური. ფერების ასეთ სიმშვიდეში ორი ნარინჯისფერი საკურებელი ისეთოვე ახირებულ სანახაობას ქმნიდა, როგორსაც თუად ცხოვრება ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

სითუმ ხელებზე, ბოთლისფერ სახელოებზე დაიხედა და გაიფიქრა, რა ცოტა ფერია ამ სახლში და რა უცნაურია, რომ ბეიბოით ფერები მეც არ მომნატრებიაო. გაიფიქრა, რომ ამასაც უნდა ჰქონოდა თავისებური ახსნა — მის მეტსიერებას პატარა გოგონას საფლავზე დადგმული ქაში მოელვარე ნაქლიბის გარდისფერილა შემორჩენოდა. მას შემდეგ ფერებს ისევე აღიქვამდა, როგორც ქათმები აღიქ-

ვამენ. ყოველდღე, გამთენისას, ხილის ღვეზელებს, კარტოფილის კერძებსა და ბოსტნეულს დასტრიალებდა, ამასობაში კი შჩარუელი წენიანს, ხორცეულსა და სხვა რამებს ამზადებდა. არადა, ვერც იმას იხსენებდა, ოდესმე თუ დაქსომებინა, ხასხასა კანი ჰქონდა თუ არა გაშლებს ან რამდენად კარგი ყვითელი იყო მასთან მოსამზადებლად მიტანილი გოგრა. ყოველ გარიფრაუზე უყურებდა გარიფრაჟს და ვერასოდეს ამჩნევდა, რა ფვრი იყო. რაღაცაში იყო საქმე. თითქოს ერთ დღეს ბავშვის წითელ სისხლს ხედავდა ხოლმე, მეორე დღეს კი საფლავის ქვის ვარდისფერ წინწკლებს. ეს იყო და ეს.

124 ნომერი იქნებ იმადაც იყო ასე გაუღენთილი ძლიერი გრძნობებით, რომ თუად სითე გულთან არაფრის დაკარგვას არ იკარუბდა. იყო დრო, როცა ყოველ დილა-საღამოს ბიჭების დანახვის იმედით გაფაციცებით ათვალიერებდა მინდვრებს ისე, რომ ბუზებს ვერ ამჩნევდა, იდგა ხოლმე ღია ფანჯარაში, თუკი მარცხნივ გადაევდო და თვალებით ბიჭებს ეძებდა. გზაზე დაცემული ღრუბლის ჩრდილი იქნებოდა, ხანში შესული დედაკაცი თუ ვიღაცის აშვებული თხა, მაყვალს რომ წიწკნიდა, ჯერ პოვარდი უონა ხოლმე, მერე პოვარდი კი არა, ბაგლერი. თანდათან ასეთი რამები სულ უფრო იშვიათად ემართებოდა, მერე კი მის მებსიერებაში ცამეტი წლის მოზარდების სახეები თანდათან გახუნდა და მათი ადგილი იმავე პოვარდისა და ბაგლერის ბავშვობის დროინდელმა სახეებმა დაიკავა, რომლებსაც სითე მხოლოდ სიზმარში ხედავდა. მერე კი, როცა მისი სიზმრები საკუთარი შეხედულებისამებრ 124 ნომრის კედლებს მიღმა იწყებდა ხეტიალს, ზოგჯერ სითე ვაჟიშვილებს, ფოთლებში ჩაკარუელ მათ ციცქნა ფეხებს, ლამაზ-ლამაზ ხეებს შორის მოჰკრავდა ხოლმე თვალს. ზოგჯერ ბიჭები სიცილით გარბოდნენ მატარებლის ლიანდაგზე. აშკარად მეტისმეტად ხმამაღლა იცინოდნენ საიმისოდ, რომ სითეს ხმა გაფონათ — მის დაძახილზე ერთხელაც არ შემობრუნებულან. გაიღვიძებდა თუ არა, მაშინვე უხუთავდა სახლი სულს: კართან ზოლად დაყრილი დაფშვნილი გალეტები; თეთრი კიბე, რომელზეც ასე უყვარდა ძრომიალი მის პატარა გოგონას; აღავი, სადაც ბეიბი საგზი საკუჭნაოში დღემდე შემონახული ფეხსაცმლის გროვიდან რომელილაცას აკერებდა ხოლმე, და ადგილი ღუმელზე, რომელზეც დენვერს თითები მიედო და დაწინვა. რა თქმა უნდა, სულს უხუთავდა ღვარძლიც, ამ სახლში რომ დაბუდებულიყო და იქამდე

არაუის და არაფერს უთმობდა ადგილს, ვიდრე პოლ-დი არ ჩამოვიდა, იქაურობა არ მიღწე-მოღწეს, ადგილი არ გაითვისუფლა, ყედლებს შორის დაბუდებული სიბრაზე არ ჩააჩოჩა, სადღაც სხვაგან არ გაისტუმრა და ამ გზით გამოთვისუფლებული სოვრცეც არ დაიკავა.

იდგა სითუ სასტუმრო ოთახში მუხლებზე პოლ-დის ჩამოსვლიდან მეორე დღეს და გული სწყდებოდა, 124 ნომერში დამკვიდრუბულ უშინაარსობაზე, რომელსაც დალიანდაგებულ საბაზე და კურუბული ორი ნარინჯისფერი კუდრატი კიდევ უფრო გამოკვეთდა. ყველაფერი პოლ-დის ბრალი იყო. მის გვერდით ადამიანის გრძნობები ზედაპირისკენ მოისწრაფოდნენ და ყველაფერი ისეთად გესახებოდა, როგორიც სინამდვილეში იყო: ულიმლამობა — ულიმლამო, სიმცხენვარე — მცხენვარე. ერთბაშად მოხვდა სითუს თვალში ხედიც, მისი სახლის ფანჯრუბიდან რომ იშლებოდა და, ერთი, ამას დამიხედეთ, პოლ-დის სიმღერაც სცოდნია...

ლობიო და ბრინჯი,
ტყუილად ეძებ ბორცა.
სამუშაო როული,
სულ გამხმარი პური...

პოლ-დი უკვე ამდგარიყო და წინადღით მიღწე-მოღწეილი ნივთების შეკეთებას შესდგომოდა. ციხის მეურნეობაში თუ მოგვიანებით ოშში ნასწავლი რომელილაც ძველი სიმღერიდან მღეროდა ნაწყვეტებს. არაფრით ჰგავდა ეს სიმღერა „საყვარელ სახლში“ მოსმენილ სიმღერებს, ყველა ბგერას სურვილის ელფერი რომ დაჰყვებოდა.

პოლ-დის ჯორჯიიდან გამოყოლილი სიმღერები ბრტყელთვალურსმნებს ჰგავდა და ისიც აჭედებდა და აჭედებდა.

ლიანდაგზე დავდებ თუხ,
ვუსმენ მატარებლის ჩქამს.
ვიცი, შვება მოაქვს თან.
დრო რომ მქონდეს, ამ ჩემს უფროსს,
ზურგზე იმდენ მოლტს ვურტყამდი...
ხუთი ცენტი, ათი ცენტი,
თუვის მოკვლა რად ვების.

მაგრამ რომ არ უხდებოდა ეს სიმღერები იქაურობას? საშინაო საქმეებისთვის მეტისმეტად ხმამაღლა და ღონისურად მღეროდა მაგიდის ფეხების გამაგრებასა და გაპრიალებაში გართული პოლ-დი. „ქარიშხალი ზღვაზე“ ის სიმღერა გახლდათ, რომელსაც „საყვარელ სახლში“ ხუბის ჩრდილს შეფარუბულები მღეროდნენ ხოლმე, მაგრამ რაკი ახლა ამ სიმღერას კერ იმღერებდა, ერთი და იმავე ბერების კრუჭუნით ღილინს სჯერდებოდა ან იმას, რაც თუში მოსდიოდა, ჩუმ-ჩუმად ღილინებდა. თუში კი სულ ერთი და იგივე უტრიალებდა: „შიშველ ფეხებზე გვირილის წვენი... ფეხსაცმელს ვიხდი და ვიხდი ქუდსაც...“

ერთი სული პქონდა, სიტყვები შეეცვალა და ემღერა: „თუ დამიბრუნებ, მითხარი, ფეხზე; თუ დამიბრუნებ, მითხარი, ქუდსაცო“. არ ჰონა, რომ ქალთან, ვინც უნდა ყოფილიყო ის, სამიდან ორ თვეზე დიდხანს ცხოვრება შეეძლო. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენ ხანს გაძლებდა ერთ ადგილას. დელავერიდან ალფრუდამდე, ჯორჯიის შტატში რომ იყო, სადაც ღამეს მიწის ქვეშ ათევდა, ხოლო დღის სინათლეზე მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გამოძვრებოდა ხოლმე, რომ ქვა ეტეხა და როგორც კი შეძლებდა, სხვა ადგილას წასულიყო, თუს ირწმუნებდა, მხოლოდ ასე თუ აღარ მომიწვს ბორკილდადებული დაძინება, შარდვა, ჭამა თუ უროს ქნევაო.

სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, ამჯერად პოლ-დის საქმე არც ჩვეულებრივ სახლთან პქონდა და არც ქალი იყო ჩვეულებრივი. როგორც კი წითელ სინათლეში გაიარა, მაშინვე მიხვდა, რომ 124 ნომერთან შედარებით, მთელი სამყარო ერთი უფერული ადგილი იყო. ალფრუდიდან წამოსულს საკუთარი გონების გვარიანი ნაწილი დავმანა და ტვინის მხოლოდ იმ ნაწილს ამუშავებდა, რომელიც სიარულზე, ჭამაზე, ძილსა და სიმღერაზე აგებდა პასუხს. თუ ამეუბის თვი ექნებოდა, თანაც ცოტ-ცოტას თუ იმუშავებდა და ცოტ-ცოტას ხორცსაც დაიცხობდა, მეტს არც არაფერს მოითხოვდა, მაგრამ როგორც კი ამაზე მეტს მოინდომებდა, უმაღლ პალე და სიქსოს სიცილი ამოუტივტივდებოდა მეხსიერებაში. გაახსენდებოდა, როგორცახახებდა მიწაში მოწყობილ სოროში და როგორი მაღლიერი იყო დღის სინათლის, რადგან ვიდრე მზე ჩავიდოდა, შეეძლო, ქვის სატეხში ვირულად ეშრომა და ასე გამობარიყო. მიწურში გატარებულმა დრომ ის უყო, რაც „საყვარელ სახლს“ კერ ექნა მისთვის,

რაც ვირული შრომითა და ძაღლური ცხოვრებით არ დამართოდა: ისე გააგიჟა, რომ ამის მეტად ჭკუიდან ვეღარ გადაჯიდოდა.

თუ იდან ოპაიოს შტატში, შემდეგ ცინკინატიში, ბოლოს კი ქალე საგზის დედის სახლში ჩასულს ვვონა, რომ ქვეყნად ყველაფერი გრძნო და ენახა. ახლაც კი, როცა თუ ისოვე ხელით დამტკრუელ ფანჯრის ჩარჩოს ადგილზე აბრუნებდა, ვერაფრით აქსნა, ასე რატომ ეამა, როცა აღმოაჩინა, რომ ჰალეს ცოლი ცოცხალი იყო, როცა დაინახა, როგორ გამოდიოდა ფეხშიშველი და თავშიშველი სითუ სახლის კუთხიდან და თან ხელში ფეხსაცმელი და წინდები ეჭირა. პოლ-დის გონების საგანგებოდ დაგმანული ნაწილის კარი შეზეთლი საკუტთით გაღებულიყო.

— ვიფიქრე, ახლომახლო სამუშაოს მოუძებნი-მეთქი. შენ რა აზრის ხარ?

— ბევრი სამუშაო არ არის. ძირითადად, მდინარეზე სჭირდებათ ხალხი და საღორუებში.

— ჰო, მდინარეზე არასოდეს მიმუშავია, მაგრამ ჩემი წონის თუ იქნება, რასაც გინდა, იმას მოუერუვი, მათ შორის — ლორსაც.

— აქაური თეთრკანიანები კენტუკელებს სჯობნიან, მაგრამ შეიძლება, ვიღაცებთან ჩხუბმა მოგიწიოს.

— შენ ის მითხარი, სამუშაო სად ვიშოვო, თორუმ ჩხუბი რაა. ესე იგი, თუ ვიჩხუბებ, კარგი იქნება.

— კარგზე უკეთესიც.

— შენი ქალიშვილი, დენვერი... მგონი, სხვა აზრისაა.

— ასე რატომ ამბობ?

— რაღაცას ელოდება, მოელის, ოლონდ მე არა.

— არ ვიცი, რა შეიძლება იყოს.

— ჰო, მაგრამ რაც უნდა იყოს, დარწმუნებულია, რომ მის მოლოდინს მე ხელს ვუშლი.

— მაგაზე ნუ ჯავრობ. მონუსხულია. თუ იდანვე.

— მართლა?

— აბა. ცუდი არაფერი მოუვა. ნახე, ყველა, ვისაც ვიცნობდი და მოკვდა, ან წავიდა, ანდა წავიდა და მოკვდა, ის კი ცოცხალია. ჩემი დენვერი. მაშინაც კი, როცა მუცლით ვატარებდი, როცა გასაგები გახდა, რომ ვერ ვიშმობიარებდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისიც ვერ დაიბადებოდა, გორაკს იქიდან თეთრკანიანი გოგო მოიზიდა თუ ის-

კენ. ასეთ საშველს ყველაზე ნაკლებად წარმოიდგენდა კაცი. მერუ კი, როცა სკოლის მასწავლებელმა გვიპოვა და კანონით და საფანტის თოფით შეიარაღებული მოგვიყარდა...

- მასწავლებელმა გიპოვათ?
- მაშინვე ვერა, მაგრამ ბოლოს მაინც.
- და უკან არ წაგასხათ?

— ო, არა. არ წავიდოდი. სულერთი იყო, ვინ ვინ იპოვა. რასაც გინდა, იმას ავიტანდი, ოღონდ იქ არ წავსულიყავი. ციხეში ყოფნა ვარჩიე. დენვერი სულ პატარა იყო და მასაც ჩემთან ერთად მოუწია ციხეში ყოფნამ. ვირთხები ყველაფერს ჭამდნენ, მას კი არ ეხებოდნენ.

პოლ-დიმ სითეს ზურგი შეაქცია. უნდოდა, მეტი სცოდნოდა იმის შესახებ, რაც ამ ქალს გადახდენოდა თავს, მაგრამ როგორც კი სიტყვა ციხეზე ჩამოვარდა, უმაღლ აღფურული და ჯორჯიის შტატი გაახსენდა.

— ლურსმნები მჭირდება. ვინმესგან შეიძლება ვისესხო თუ ქალაქში წავიდე?

— ქალაქში წასვლაც შეიძლება. სხვა რამებიც დაგჭირდება.

სითემ და პოლ-დიმ ერთი ღამე წყვილოვით საუბარში გაატარეს, თუმცა არც სიყვარულზე ულაპარაკიათ, არც დაპირებებზე. პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ: „ესე იგი, თუ ვიჩხუბებ, კარგი იქნება“.

სითესთვის მომავალი წარსულის კუთხეში მომწყველეობასთან იყო გაიგოებული. დარწმუნებული იყო, რომ „უკეთესი ცხოვრება“, რომელიც მას და დენვერს ჰქონდათ, სინამდვილეში უბრალოდ განსხვავდებოდა უწინდლისგან და მეტი არაფერი. უკეთესობა იყო ისიც, რომ წინა ცხოვრებიდან მოსულ პოლ-დის მისი სარეცელი გაეზიარებინა, თან მასთან საერთო ანდა უმისო მომავალზე ფიქრიც თანდათან უფორიაქებდა გონებას. რაც შეეხება დენვერს, მისთვის მნიშვნელობა მხოლოდ სითეს მეცადინეობას ჰქონდა, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, თავისი გოგონა როგორმე დაეცვა ჩასაფრებული წარსულისგან.

დენვერის ალმაცერ გამოხედვას რომ არ წასწყდომოდა, სითემ გადაწყვიტა, სასტუმრო ოთახში აღარ შესულიყო, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც გამოცდილება კარნახობდა, მის

მცდელობას ნაყოფი არ გამოუღია. დენვერი მაგრად კრეოდა მათ საქმეში და მესამე დღეს პოლ-დის პირდაპირ მიახალა კიდევ, რამდენ ხანს აპირებ, აქ რომ უდღო.

მამაკაცს ეს სიტყვები გულზე ისე მოხვდა, რომ ყავის ფინჯანი მაგიდას ააცილა და ხელიდან გაუგარდა. გორგა-გორგით დაეშვა ფინჯანი შემოსასვლელი კარისკენ დაცერებული იატაკის ფიცრებზე.

— კუდო? — იკითხა პოლ-დიმ ისე, რომ ძირს დაღვრილი ყავის-თვის არც კი შეუხედავს.

— დენვერ! რა შეგიჩნდა ასეთი? — მიახალა ქალიშვილს სითქმ, რომელიც შეცემუნებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაბრაზებულს.

პოლ-დიმ ნიკაზზე ამოსული თმა მოიქექა და დაიწყო:

— იქნებ უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი.

— არა! — არ დააცადა სითქმ, თან თვითონაც გაუკვირდა, იმდენად ხმამაღლა გამოუვიდა.

— თვითონ იცის, რაც უნდა გააკეთოს, — არ იშლიდა დენვერი.

— აი, შენ კი არ იცი, — გააჩუმა გოგონა დედამ, — ისიც არ იცი, თვითონ რა გინდა. სიტყვაც აღარ გამაგონო.

— უბრალოდ, ვიკითხე, თუ...

— ჩუმად! გუდა-ნაბადი აიკარი და სადმე შენთვის დაჯექი.

დენვერმა მართლაც აიღო თუფში და მაგიდას მოშორდა, ოლონდ მანამდე ჯერ ქათმის ზურგი გადაიღო, მერე კი თუფშე წასაღებად დახვეუბულ საჭმლის გორას ზედ პურიც დაადო და იქაურობას ისე გაეცალა. პოლ-დი დაიხარა და იატაკზე დაღვრილი ყავის ლურჯი ცხვირსახოცით აწმენდა დააპირა.

— მე მოუწენდ, — წამოხტა სითე და ღუმელს მიაშურა. ღუმლის უკან გასაშრობად ათასნაირი ტილო მიეკიდათ ზოგი მეტად იყო სველი, ზოგიც ნაკლებად. სითქმ უხმოდ მოაშმრალა იატაკი, კარისკენ გაგორებული ფინჯანიც მოძებნა, ხელახლა დაასხა ყავა და პოლ-დის ფრთხილად დაუდო მაგიდაზე. მამაკაცი ფინჯანს კიდეზე შექო, მაგრამ არაფერი უთქვამს. ისე ღუმდა, თითქოს მაღლობის თქმასაც ვერ გაართმევდა თავს, ყავა კი საჩუქარი გახლდათ, რომლის მიღებაც არ შეეძლო.

სითე ისევ თავის სკამზე დაჯდა. ღუმდნენ. ბოლოს ისევ ქალმა იაზრა, სიჩუმე მაინც თუ უნდა დაერღვიათ ჯობდა, პირველს თავად დაწყო ლაპარაკი.

— ასე არ გამიზრდია.

პოლ-დიმ ფინჯნის კიდეზე მოატარა ხელი.

— მისი საქციელით მეც ისვეუ გარ გაოგნებული, როგორც შენ გულნატყნი.

პოლ-დიმ სითუს შეტედა და პკითხა:

— რამე დგას ამ კითხვის უკან?

— დგას? რას გულისხმობ?

— იმას. თუ რატომ მოუნდა ამ კითხვის დასმა, რატომ ჩათვალა საჭიროდ, რომ ეკითხა. ჩემამდეც იყო ვინმე?

სითუმ ხელები მუშტად შეკრა და თუძოზე შემოიწყო:

— ორჯე ერთნაირი უგარებისი ხართ

— კარგი რა, სითუ.

— კარგი ვარ, კარგი!

— იცი, რაზეც გელაპარაკები.

— ვიცი და არ მომწონს.

— ღმერთო, — დაიჩურჩულა პოლ-დიმ.

— ვინო? — ისვე აუწია ხმას სითუმ.

— ღმერთო, ღმერთო-მეთქი! უბრალოდ, ვახშმად დაუკეტი და ორჯერ გამომთათხეს — ჯერ იმისთვის, რომ აქა ვარ, მეორედ კი იმისთვის, რომ ვიკითხე, პირველად რას მერჩოდით-მეთქი!

— არ გაულანდავხარ.

— არა? მე კი მასე მუშონა.

— მომხედე, მე გიხდი ბოდიშს მის მაგივრად. მართლა...

— შენ ვერ მომიხდი ბოდიშს. ვერავის მაგივრად ვერ მომიხდი ბოდიშს. თვითონ უნდა მოიხადოს ბოდიში.

— მაშინ ვეცდები, რომ ბოდიში ვათქმევინო, — ამოიოხრა სითუმ.

— მინდა ვიცოდე, იმას ხომ არ მეკითხება, რაც შენც გაქვს გულ-ში?

— არა. არა, პოლ-დი. არა.

— მაშ, ის სხვა ჭკუაზე ყოფილა, შენ კი სხვა ჭკუაზე? თუ შეიძლება ჭკუა დაარქვა იმას, რაც თავში აქვს.

— მაპატიე, მაგრამ მის საწინააღმდევოდ ნათქვამ ერთ სიტყვა-საც ვერ მოვისმენ. მე დაუსჯი, მაგრამ შენ თავი დაანებე.

„სარისკოა, — გაიფიქრა პოლ-დიმ, — ძალიან სარისკოა“.

ჭალისთვის, წარსულში მონა რომ იყო, რაიმეს ასე ძალიან შეუპა-

რება სახიფათო გახლდათ, მით უფრო, როცა საქმე შეიღების სიყვარულს შეუხებოდა. პოლ-დის აზრით, ყველაფერს ის აჯობებდა, თუ ყოფილ მონას ყველაფერი სულ ცოტათო ყვარებოდა, რადგან შეიძლება სიყვარულის ობიექტის გარეშე დარჩენილს ასე მაინც შერჩენოდა სხვა რამეს ან ვინმეს შეყვარების ძალა.

— რატომ? — იკითხა პოლ-დიმ, — რატომ გგონია, რომ უნდა დაიცვა? მის მაგივრად უნდა მოიხადო ბოდიში? უკვე დიდია.

— არ მენაღვლება, დიდია თუ პატარა. დიდი არ ნიშნავს იმას, რომ დედისთვის აღარაფერს უნდა ნიშნავდეს. შეილი შვილია. ბავშვები იზრდებიან, ასაკი ემატებათ, მაგრამ სიდიდე რაღაა? რას ნიშნავს დიდი? ჩემთვის არაფერს.

— დიდი იმას ნიშნავს, რომ ცუდად თუ იქცევა, პასუხიც უნდა აგოს. ყოველ წუთს მის დაცვას ვერ შეძლებ. რა მოხდება, შენ რომ მოკვდები, მერე?

— არაფერი! მანამდე დავიცავ, სანამ ცოცხალი ვარ და მერეც დავიცავ, როცა აღარ ვიქნები.

— გასაგებია. მე დავამთავრუ ლაპარაკი, — თქვა პოლ-დიმ, — მოვდოვარ.

— ასეა, პოლ-დი. ამაზე მეტად ვერ აგიხსნი, მაგრამ ასეა. არჩევა თუ მომიწვევს, რა გაწწყობა — ასარჩევიც არაფერია.

— საქმეც ვგაა. ვგაა თვიც და ბოლოც. არჩევნის გაკეთებას არ გთხოვ. არც არავინ გთხოვდა ასეთ რამეს. მეგონა, პო, მეგონა, რომ შეძლებდი, მეგონა, ჩემთვისაც მოიძებნებოდა შენ გვერდით პატარა ადგილი.

— მთხოვს.

— მერე რა. უნდა უთხრა, აუხსნა, რომ ვიღაცის არჩევა კი არაა საქმე, არამედ კიდევ ვიღაც უნდა მიუშვა შენთან ისე, რომ თვითონაც შენ გვერდით იყოს. ეს უნდა უთხრა და თუ გულით ეტყვი, ისიც უნდა იცოდე, რომ პირში სიტყვას ვეღარ ჩამჩრი. არანაირად არ ვაპირებ მისთვის გულის ტყნას, ვიზრუნებ კიდეც მასზე, როგორც შემეძლება, მაგრამ საზიზლრად თუ მოიქცევა, ვერავინ მეტყვის, აბა, ხმა ჩაიწყვიტეო. თუ გინდა, რომ დაურჩე, პირს ნუ ამომიკურავ.

— იქნებ ყველაფერი ისე უნდა დავტოვო, როგორც არის? — თქვა სითემ.

— მერედა, როგორ არის?

- ვერცხლით ერთმანეთს.
- მაგრამ?
- მაგრამზე არ ვფიქრობ.

— სითუ, როცა მე შენთან და დენვერთან ვარ, რაზეც გინდა, იმაზე შევიძლია იფიქრო. ახტი, თუ გინდა, ახტე, გოგონი, იმიტომ, რომ მე დაგიჭურ. იქამდე დაგიჭურ, ვიდრე დაეცემი. იმდენად ღრმად წადი შენს ფიქრებში, რამდენადაც შენს გულს უნდა, მე კი კაჭებში მოგეკიდები, ნაფიქრალში რომ არ დაიკარგო. ამას იმისთვის არ გეუბნები, რომ ღამის გასათუვს ვეძებ. ეს ყველაზე ნაკლებად მჭირდება. გითხარი, მოხეტიალე რომ ვარ, მაგრამ შვიდ წელიწადს მოუდიოდი აქეთ აქაურობა თავიდან ბოლომდე მაქვს შემოულილი. შტატის ჩრდილოეთითაც ვიყავი, სამხრეთითაც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. ისეთ ადგილებშიც ვიყავი, სახელიც რომ არა აქვს, დიდხანს კი არსად არასოდეს დავრჩენილვარ, მაგრამ როცა აქ მოუედი და შენს მოლოდინში ვერანდაზე დავჯექი, მოხვედი, რომ რომელი-ღაც სახლს კი არ ვეძებდი, შენკუნ მოუიწევდი. შეგვიძლია, ერთად ვიცხოვოთ, ჩემო კარგო. ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვოთ

- არ ვიცი, არ ვიცი.
- ეს საქმე მე მომანდე. აი, ნახავ. თუ არ გინდა, ნურაფერს დაპირდები. უბრალოდ, ნახე, კარგი?

- კარგი.
- მენდობი?
- რა ვიცი. რაღაცებში.

— რაღაცებში? — გაელიმა პოლ-დის, — კარგი. იყოს რაღაცები. ქალაქში კარნავალია. ხუთშაბათს, ხვალ ფერადკანიანების დღეა, თან ორი დოლარიც მაქვს. ბოლო ცენტამდე დავხარჯოთ მე, შენ და დენვერმა. რას იტყვი?

— არა, — თქვა პასუხად სითუმ, ყოველ შემთხვევაში დააპირა, ეთქვა. აბა, რას იტყოდა მისი პატრონი, დასასვენებელი დღე რომ აეღო სითუს? არადა, მაშინაც კი, როცა პოლ-დის წინადაღებაზე უარს ამბობდა, იმაზე ფიქრობდა, ამ კაცის სახის ცქერა როგორ მომწონსო.

დადგა ხუთშაბათიც. გაუთვებლად ჭრიჭინებდნენ იმ დღეს ჭრიჭინები. დილის თერთმეტი საათი იყო და უკვე სითუთუმდე გუარ-

გარებულ ცას სილურჯის ნასახი აღარ შეკჩენოდა. სითუს ცხელი ამინდისთვის შეუფერებლად კი ეკვა, მაგრამ რაკი თვრამეტი წლის განმავლობაში ხალხში პირველად უნდა გასულიყო, თუმცა ვალდებულად თვლიდა, თუვისი ერთადერთი ხეირიანი, თუმცა კი მძიმე, კაბა სკომოდა და თუზე ქუდიც დაეხურა. დიახ, ქუდი. არ უნდოდათ, ლე-დი ჯოუნზე ანდა ელას თუწაკრული ენახათ, თითქოს სამსახურში მიდიოდა. კარგი ხარისხის შალის ქსოვილისაგან შეკურილი გამონაცვალი კაბა, თუთოკანიან ქალბატონს, მისის ბოდუინს, ბეიბი საგზი რომ უყვარდა, ამ უკანასკნელისთვის საშობაოდ უჩუქებია. დენ-ვერი და პოლ-დი ამ პაპანაქებაში თუ უკეთ გრძნობდნენ, რადგან არც ერთი და არც მეორე არ თვლიდა, რომ მოცემული შემთხვევა მათგან განსაკუთრებულ ჩაცმულობას მოითხოვდა. დენვერს კაპორი ბეჭებზე მოვადო, პოლ-დის კი ჟილეტი გაქსნა, არც ქურთუეკი ეც-ვა და პერანგის სახელოებიც იდაყვს ზემოთ აეკაპიწებინა. თვითონ ხელგაშვებულები მიდიოდნენ, მაგრამ მათი ჩრდილები მიჰყვებოდნენ ერთიმეორეს ხელჩაჭიდებული. სითუმ მარცხნივ გაიხედა და დაინახა, როგორ გასრიალდა სამი ხელჩაჭიდებული ჩრდილი პაერში აკარდნილ მტკერში. იქნებ მართალი იყო პოლ-დი. იქნებ შეეძლოთ, ნამდვილი ცხოვრებით ეცხოვრათ უყურებდა სითუ მიწაზე არეკლილ ხელჩაჭიდებულ სილუეტებს და ეუხერხულებოდა, აქაოდა, ისე მაცვია, თითქოს ეკლესიაში მივდიოდეო. ისინი, ვინც მათ წინ უსწრებდნენ, ანდა უკან მიჰყვებოდნენ, ჩათვლიდნენ, რომ სითუ თუ იფასებდა, აკებინებდა, მე ახლა სხვა ვარ, რადგან ახლა ორსართულიან სახლში ვცხოვრობო; მაგარი ვარ, რადგან ისეთების გაკეთება და გადატანა შემიძლია, თქვენი აზრით, რომ ვერც გაუკეთებდი და ვერც გადავიტანდიო. უხაროდა, დენვერმა რომ არ დაუჯერა, არც გამოიპრანჭა და არც თმა დაიწნა ახლიდან. თუმცა, დენვერი ხომ არაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იმდღევანდელი გასეირნება სასიამოვნო ყოფილიყო. შუბლშეკრული წასვლაზე კი დათანხმდა, მაგრამ დამოკიდებულება ასეთი პქონდა: „მიდით, სცადეთ და გამახალისეთო“. აი, პოლ-დი კი ნამდვილად ხარობდა. ოც ნაბიჯზე თუ ვინმე მიუახლოვდებოდა, ყველას მჯობრულად ესალმებოდა, ხუმრობდა ცხელ ამინდზე, იმაზეც, რომ თავადაც სცხელოდა, ყვავებს ყვირილით ქმიანებოდა და პირველი ყნოსავდა გასახმობად გამზადებულ ვარდებს. მიუხედავად იმისა, თუ რას აკეთებდნენ, დენვერი

იშმრალებდა შუბლზე გამოსულ ოფლს თუ ფეხსაცმლის გახსნილი თასმის შესაკრავად იხრუბოდა, პოლ-დი ამოპკრავდა ქვას ფეხს თუ დედის მხარზე მიკრული უცნობი პატარას მოსაფერუბლად იწყვდა, ფეხებიდან ამოზრდილი, მარცხნივ წაქანებული ჩრდილები წამითაც არ უშვებდნენ ერთმანეთს ხელს. სითეს გარდა ეს არავის შეუნიშნავს და მანაც, როგორც კი გადაწყვიტა, რომ ხელჩაკიდებული ჩრდილები კარგის ნიშანი იყო, უმაღლ შეწყვიტა მათი თვალთვალი. ნამდვილი ცხოვრუბით ცხოვრება. ვინძლო!

ჭკნებოდა ხეტყის მასალის საწყობის ღობეს მოდებული გარდები. მხერხავს, თორმეტი წლის წინ სამხერხაოს გასალამაზებლად გარდები ისე რომ დაერგო, თოთქოს უნდოდა ხების ფიცარ-ფიცარ დახერხვის ცოდვა გამოისყიდოს, უკვირდა, რამდენი გარდია, როგორ სწრაფად მოედვნენ სარებისა და ბოძებისაგან შეკრულ ღობეს, ერთმანეთისგან სამხერხაოს და შემოუღობავ მინდორს რომ ყოფს, სადაც უსახლკაროები ღამეს ათვეუნ, ბაჟვები დარბიან და წელიწადში ერთხელ კარნავალის მონაწილეები კარვებს შლიანო. რაც უფრო გამხმარი იყო გარდი, მით უფრო მძაფრი სუნი პქონდა და ყველას, ვინც კი კარნავალს ესწრუბოდა, დამპალი გარდის სუნს აგონებდა. გარდების სურნელებისგან ცოტათო თვაბრუც კი ქვეოდათ და ძალიან სწყუროდათ, მაგრამ ეს სუნი ვერაფერს აკლებდა ფერადკანიანების გზნებას, აღტაცებულები რომ მოსდებოდნენ ქუჩას. ზოგი ბალახიან გზისპირს მიუყვებოდა, ზოგიც შუაგულ გზაზე მიაჭრიალებდა ოთხთვალას. პოლ-დისა არ იყოს, ყველა კარგ გუნებაზე იყო და ამას გამხმარი გარდების სუნი, პოლ-დი ყველას რომ ანახვებდა, ვერაფერს დააკლებდა. აწვებოდნენ ერთმანეთს ბაწრით გადაღობილ შესასვლელთან სახეაღაუღაუებული ადამიანები და მღელვარუბისგან სული ქუთუბოდათ — შეეძლოთ თვისუფლად ეცქირათ თეთრკანიანებისთვის, რომლებიც მათ თვალწინ ჯადოქრობდნენ, ტაკიმასხარაობდნენ, ხან უთავოდ ჩნდებოდნენ და ხანაც მეორე თავსაც გამოიბამდნენ. ზოგი მსახიობი ოცი ფუტი სიმაღლისა იყო, ზოგიც ორის, ზოგი ერთ ტონას იწონიდა. იყვნენ ისეთუბიც, მთელი სხეული სვირინგებით რომ პქონდათ დაფარული. ვიღაც მინას ჭამდა, ცეცხლს ყლაპავდა და პირიდან ბაფითის ქსოვილის გრძელ-გრძელ ნაჭრებს ექაჩებოდა. ვიღაცებს საკუთარი სხეულის ნასკვითი გამოკვრა შეეძლოთ, ვიღაცები ერთმანეთს ისე ადგებოდნენ, რომ პი-

რამიდა გამოდიოდა, ვიღაც გველებს ათამაშებდა, ვიღაც-ვიღაცები კი ერთმანეთს თავ-პირს ამტკვრულდნენ.

ყველაფერი წერა რეკლამაში, რომელიც მხოლოდ იმათ წაეკითხათ, ვისაც კითხვა შეეძლოთ, ვისაც არა და სხვებისგან პქონდა გაგონილი, ხოლო ფაქტი, რომ წინასწარ გაცხადებულიდან სინამდვილეს არაფერი შესაბამებოდა, ცქერის ეინს ოდნავადაც არ უნელებდა მაყურებელს. მათც და მათ შეიღებსაც მოპატიუე აუგად მოიხსენიებდა, ზანგუჭებს უფასოდ ვუშვებოთ, მაგრამ უილეტზე შერჩენილი საჭმლის ნარჩენებისა და გამოხეული შარვლის გამომისი სიტყვები საკმაოდ უწყინარ ნათქვამად ესახებოდათ ასე იყო თუ ისე, არც ისე ძვირად უჯდებოდათ თუშესაქცევი, რომელიც შეიძლებოდა მეორედ აღარც პქონოდათ ორი პენი და შეურაცხყოფა კარგ ფასად ითვლებოდა, თუ სანაცვლოდ თუთუკანიანების მასხარობას უყურებდნენ. პოდა, მიუხედავად იმისა, რომ კარნავალი ჩვეულებრივზე ბეჭრად უფერული გახლდათ და ამით ფერადკანიანების ხუთშაბათის რაობას ამართლებდა, აღფრთხოებული შავკანიანების ოთხასკაციან აუდიტორიას ყოველი წვრილმანის გამო სიხარულით უფანცქალებდა გული.

ვიღაც ტონიანი ქალი ზედ აფურთხებდა, მაგრამ მეტისმეტად მსუქანი იყო და მიზანს აცილებდა, ისინი კი უზარმაზარ სიამოუნებას იღებდნენ, როცა ამ საძაგელ ქალს ჭუტალა თვალებში უსუსურობა უდგებოდა. „მოცეკვავემ ათას ერთი ლამიდან“ ნომერი, რომელსაც ჩვეულებრივ თხუთმეტი წუთის განმავლობაში ასრულებდა ხოლმე, სამ წუთამდე შეამოკლა, თან ბაჟშვების გულიც მოიგო, რომლებსაც ერთი სული პქონდათ, მომდევნო გამოსვლას როდის ნახავდნენ. მოცეკვავის შემდეგ მაყურებლის წინაშე გველების მოგადოებელი აბუ უნდა წარმდგარიყო.

დენვერმა ფოლორცების ბალახი, ძირტკბილა, პიტნის კანფეტი და ლიმონათი ქალთვით მაღალქუსლიან ფქბსაცმელებში გამოწყობილი გოგონასგან შეიძინა. რაკი ამდენ ხალხში არავისთვის გამხდარიყო მთავარი სალაპარაკო თემა, თანაც ტკბილეულითც პქონდა გული დაამებული და ყოველ წუთსაც ხან ვინ ესალმებოდა, ხან ვინ, დენვერი იმდენად კმაყოფილი გახლდათ, რომ თვლიდა, პოლ-დი შეიძლება არც ისეთი ცუდი კაცი იყოს. მართლაც იყო რაღაც ამ ადამიანში. როდესაც სამოულილიპუტის ცეკვას აღვენებდა თვალს,

დანარჩენი ზანგები კეთილი, უწყისარი სახეებით უფრუქებდნენ პოლ-ლის. ასეთი რამ შათ გამომეტყველებაში არახოდეს ამოუკითხა დენ-ჭერის. რამდენიმე შათგანმა თავიც კი დაუკრა და გაუღიმა კიდეც დე-დასისს, თან აშკარად კური ერთი შათგანი ჯერ უძლებდა პოლ-ლის გადამდებ ხიხარულს. როცა გოლიათი ქონდრისკაცს ეცვავებოდა, ანდა თრთავიანი კაცი საკუთარ თავს ემუსაიფებოდა, პოლ-ლი მუხ-ლებზე იტყაპუნებდა ხელებს. ყველაფერი იყიდა, რაც კი დენერმა ხოხოვა, ბეჭრიც ისეთი რამ, რაც გოგონას არ უთხოვია. ისეთ კარ-გაბში ექანებოდა სითქს, სადაც ამ უკანასკნელს გული არაურით მი-უწევდა. ძალით ტენიდა ტკბილეულს პირში, ხოლო როცა გალიაში დამწყვდებულმა აფრიკულმა კულურმა გისოსები შეაჯანჯლარა და ყრუდ დაიგძინა, პოლ-ლიმ გამოაკადა, ეს კაცი როანოკში გავიცა-ნიო. პოლ-ლიმ კიდაცებიც გაიცნო, საშსახურის შესახებ ელაპარაკა კიდეც. ლიმილზე ლიმილით პასუხობდა ადამიანებს სითქ, დენვერი კი აღტაცებისგან ფეხზე კულარ იდგა. შინ რომ მიდიოდნენ, წინ ისევ სამი ადამიანის ხელჩაკიდებული ჩრდილი შიუძლოდათ

თუთ ფეხებამდე ჩაკმულ-დახურული ქალი მდინარიდან გამო-ვიდა და როგორც კი შპრალზე აღმოჩნდა, მაშინვე ჩამოჯდა, თან თუთის ხეს მიეყუდა. მთელი დღე და მთელი ღამე იჯდა იქ, თუთ ხის ტანზე მიედო და ეტყობოდა, სულაც არ ანაღვდებდა, გაუტყდებო-და თუ არა ჩალის ქუდზე ფართვლი. ყველაფერი სტკიოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ფალტვები აწუხებდა. ქალი ერთიანად გალუმპული-ყო და მძიმედ სუნთქვადა. მთელი დღე და მთელი ღამე კდილობდა, როგორმე გაეხილა დამძიმებული ქუთუთოები. დილის ნიავმა კაბა გაუშრო, ღამის ქარმა კი ტანზე შემოაჭმუჭნა. არც ის დაუნახავს ვინძეს, როგორ გამოვიდა წყლიდან, არც ვინძე შემთხვევით გამვ-ლელი გამოჩენილა. რომც დაეხახათ, ახლოს მისვლამდე, ალბათ, ერთხანს იორჭოთვებდნენ. არა, განა იმიტომ, რომ ტანზე სველი იყო, ან თელებდა, ან ასთმიანოვით სუნთქვადა, არამედ იმიტომ, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფს სახეზე ლიმილი ეფინა. მეორე დღეს მთელი დილა ებრძოდა საკუთარ თავს — როგორმე მიწიდან ამდგა-რიეთ, ტყე გაევლო, ერთმანეთში გადახლართული ბზებისგან შეკ-რული უზარმაზარი ტაძაროვით სამყოფელი უკან მოვტოვებინა და მინდვრამდე მიეღწია, იქიდან კი ნაცრისფერი სახლის ეზოში ამოე-

ფო თავი. ღონიშვამი (კლიენტი) პირულით მოსახურებულ ადგილის ჩა-
მოჯდა. ძირკვი იყო, 124 ნომრის კიბის მახლობლიდად ამომცემილიყო
მიწიდან. თვალების გახელა ისე ძალიან აღარ უჭირდა და მოქლი
ორი წუთი, და შეიძლება მეტიც, ისე გაეძლო, რომ კროხელაც არ
დაჭრა. ისეთი წვრილი კისერი ჰქონდა, კაფებში რომ აქვთ ფინ-
ჯნები, იმათ მოგავონებდათ თავს კური იძაგრუბდა და ნიკაპით კაბის
საყელოზე მოყოლებულ მაქმანს ჭრიდა.

იმ ქალებს პგავდა, განსაკუთრებული მიზეზის გარეშე მირომეუ-
ლი შამპანურის გამო კიდევაზნექილი ჩალის ქუდები ხშირად გვერ-
დზე რომ აქვთ მოქცეული, საზოგადოებრივი თავშეკრის ადგილებში
თვალზე რული რომ ერუყათ და გახსნილ ფქასაცმელებსაც კურ ამზ-
ნევენ, მაგრამ მათ სხვანაირი კანი აქვთ ქალს, 124 ნომრის კიბესთან
სულის მოთქმას რომ ცდილობდა, ქორფა, უნაოჭი, გლუვი კანი
ჰქონდა სახეზეც და თოთის სახსრებთანაც კი.

დღის მეორე ნახევარში, როცა კარნაუალი დამთვრებული გახ-
ლდათ და იღბლიანი ზანგებიც სახლებისკენ მიემგზავრებოდნენ,
ხოლო ისინი, ვისთვისაც ბედს არ გაეღიმა, ფქათ მიუყვებოდნენ
შინისკენ მიმავალ გზას, მდინარიდან გამოსულ ქალს ისევ ჩაეძინა.
პირდაპირ სახეზე ეცემოდა მხის სხვები და ამიტომ, როდესაც ხი-
თუმ, დენვერმა და პოლ-ლიმ 124 ნომრისკენ შემოუხვიეს, შავი კაბის
ორი თასმაშქასნილი ფქასაცმლის მეტი, ამ კაბის ქვეშიდან რომ მო-
ჩანდა, კერაფერი დაინახეს. არსად ჩანდა ძაღლიც, სახელად „ბიჭი“.

— შეხედეთ, — თქვა დენვერმა, — ის რა არის?

რატომდაც მაშინვე კურ მიხვდა, მაგრამ როგორც კი უცნობს იმ-
დენად მიუახლოედა, რომ მისი სახის გარჩევა შესძლებოდა, ხითუმ
იგრძნო, რომ შარდის ბუმტი გასკდომაზე ჰქონდა, ბოდიში მოიხადა
და 124 ნომრის უკან გავარდა. მას შემდეგ, რაც პატარას ასევე პატა-
რა რვა წლის გოგონა უვლიდა, რომელმაც დედა დაანახა, ერთხე-
ლაც არ გამოეცადა მომარდვის ასეთი უმართვი აუცილებლობა.
კარში ხომ ასეთი რამე არასოდეს გაუკრიუბია. საპირფარეშოს კა-
რამდეც კურ მიაღწია, ისე მოუწია ქვედაკაბის აწეუამ. შარდავდა და
შარდავდა. ცხენოვით ვშვრუბიო, ფიქრობდა, მაგრამ ამ ამბავს ბოლო
არ უჩანდა და ხითუსაც დენვერის დაბადება გაახსენდა, გაახსენდა,
ნავში დამდგარი სანაყოფე წყლების გამო კინაღამ რომ ჩაიძირნენ.
ემისაც გაკკავირებია. უთქვამს: „რამე ქენი, ლუ. ასე თუ გააგრძელე,

ჩავყვინთავთო“, მაგრამ სითხის ნაკადი ახლაც ისევე არ ჩერდებოდა, როგორც მაშინ არ წყდებოდა გამოხეთქილი წიაღიძან წამოსული ნიაღვარი. იმედი პქონდა, რომ სახლის უკან გაუჩინარებული ქალის დახედვას პოლ-დი თუვის თუზე არ აიღებდა და იძულებული არ იქნებოდა, საკუთარი საპირფარუშოს წინ დაცუცქული სითუ დაენახა, რომელიც იმხელაზე ათხლიშინებდა, რომ სირცხვილი იყო. საქმე სწორედ მაშინ მოითავა, როცა გაიფიქრა, ნეტავ კარნავალისთვის კიდევ ერთ სიმახინჯეს თუ აიყვანდნენო. მერე თუვი მოიწესრიგა და სახლის ვერანდისკენ გაიქცა. იქ არავინ დახვდა. სამოე სახლში იყო. პოლ-დი და დენვერი უცნობის წინ იდგნენ და უყურებდნენ, წყლით სავსე ფინჯანს ფინჯანზე როგორ ცლიდა.

— თქვა, მწყურიაო, — შენიშნა პოლ-დიმ და ქუდი მოიხადა, — ძალიან უნდა სწყუროდეს.

ქალმა თუნუქის დაწინწკლული ჭიქით წყალი გადაყლურწა და ხელი ისევ გაიშვირა. კიდევ ითხოვდა წყალს. ოთხჯერ შეუკსო დენვერმა უცნობს ჭიქა და მანაც წყალი ოთხჯერვე ისე გადახუხა, თოთქოს უდაბნოდან მოდიოდა. წყლის სმით გული რომ იჯერა, იმის ნაცვლად, რომ ნიკაპზე შერჩენილი წვეთუბი მოწმინდა, ძილმორული თვალებით სითეს მიაჩერდა. „უჭმელ-უსმელია, — გაიფიქრა სითემ, — იმაზე ახალგაზრდაა, ვიდრე ტანსაცმლის მიხედვით შეიძლება გეგონოს. საყელოზე კარგი მაქმანი აქვს და მდიდარი ქალბატონის ქუდიც ახურავს“. თუ არ ჩავთვლით ნაკაწროვით წვრილ სამ ვერტიკალურ ნაიარევს, შუბლზე რომ ემჩნეოდა, უზადო კანი პქონდა. ისეთი წვრილი, წმინდა ნაჭრილობევები იყო, თვიდან ბაჟშვის თმის ლერები გეგონებოდათ, არადა, ქუდის ქვეშ უცნობი შავად გაბუჩქულ გრუზა კულულებს მაღავდა.

— აქაური ხარ? — პკითხა სითემ.

მას შემდეგ, რაც უარის ნიშნად თუვი გააქნია, ახალგაზრდა ქალი ფეხსაცმლის გასახდელად დაიხარა. კაბა მუხლებამდე აიწია, მერე წინდები ჩამოიგორგოლავა და როცა ფეხსაცმელში ჩაჩურთა, სითემ დაინახა, რომ ფეხებიც ხელებით ნაზი და ნორჩი პქონდა. ალბათ, ვინმეს ოთხთვალას გამოპყვაო, გაიფიქრა სითემ. შეიძლება დასაულეთ ვირჯინიდანაა, იქაური გოგოები თამბაქოში ან სორგოში სამუშაოს საშოუნელად ხშირად ჩამოდიანო. სითუ უცნობის ფეხსაცმელების ასაღებად დაიხარა.

— ნეტავ რა უნდა გერქვას? — იკითხა პოლ-დიმ.

— საყვარელი, — ისეთი დაბალი და ხრინწიანი ხმით მიუგო ახალგაზრდა ქალმა, რომ დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს. ჯერ ხმა ამოუვიდა პირიდან, მერე კი სიტყვა.

— საყვარელი. მეტსახელია? — ხელახლა დასვა კითხვა პოლ-დიმ.

— მეტსახელი? — თითქოს შეცბა ახალგაზრდა ქალი, მერე „არაო“ გამოაცხადა და თუვისი სახელი ნელ-ნელა ასო-ასო ისე წარმოთქვა, თითქოს მის ბაგეს მოწყვეტილი ასო-ნიშნები ჰაერში უნდა გაფანტულიყო.

სითქოს წამოკრუფილი ფეხსაცმელები ხელიდან გაუვარდა, დენვერი ჩამოჯდა, პოლ-დის კი გაეღიმა. საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ასოებს ასე გულმოდგინედ ისინი ასახელებდნენ, ვინც კითხვა არ იცოდა, მაგრამ საკუთარი სახელის ასო-ნიშნები დაემახსოვრებინა. დააპირა, ეკითხა, ვისი რა ხარო, მაგრამ გადაიფიქრა. ახალგაზრდა ფერადკანიანი ქალი თუ გაიქცეოდა, დაღუპვას გაექცეოდა, მეტს რას. ოთხი წლის წინ პოლ-დი როჩესტერში ყოფილიყო და იქ შესწრებოდა მდედრობითი სქესის თოთხმეტ ბავშვთან ერთად ხუთი ქალის ქალაქში ჩამოსვლას. ყველა მამაკაცი, რომელსაც ამ ქალებთან რაიმე სახის კავშირი ჰქონდა, — ძმა იყო, ბიძა, მამა, ქმარი თუ შვილი, — ერთიმეორის მიყოლებით დაიხოცა. ქალებს თან ერთადერთი ფურცელი ჰქონდათ, რომელზეც დევორუს ქუჩაზე მცხოვრები მღვდლის მისამართი იყო მითითებული. იმ დროისთვის ომი ოთხი თუ ხუთი წლის დამთურებული გახლდათ, მაგრამ მისი დამთურება არავის ეტყობოდა, არც თეთრკანიანებს, არც შავკანიანებს. სკნეკტადიდან ჯექსონამდე ზანგების ნაწილი უცნაურ ჯგუფებად, ნაწილი კი ნახირს ჩამორჩენილი საქონელივით თითო-თითოდ დაქუტებოდა სოფლის თეშმარებსა და პირუტყვისგან გათულილ ბილიკებზე. თუზარდაცემული კი იყვნენ, მაგრამ რაკი ერთმანეთის გატანა იცოდნენ, მომენტს არ უშვებდნენ ხელიდან, რამე არ გაუჭოთ ბიძაშვილ-მამიდაშვილების, ბიძია-დეიდების ანდა მუჯობრის შესახებ, რომელსაც ოდესლაც ეთქვა: „გამომიარე. ჩიკაგოში როცა უნდა მოხვდე, ერთი გამომიარეო“. ზოგიერთი ოჯახიდან გარბოდა, რადგან ოჯახს მათი რჩენა არ შევძლო, ზოგიც ოჯახთან რომ ყოფილიყო, იმისთვის გახლდათ გაქცეული; ზოგიერთი იმისთვის გარბოდა,

რომ მოსაუალი ვერ აეღო, სანათუსაუო ამოუწყდა, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ადგილს იცვლიდა. ბიჭები ბაგლერსა და პოვარდზე უმცროსები იყვნენ, ოჯახებში ქალებისა და ბავშვების მეტი არაუინ დარჩენილიყო და ამ დროს სადღაც სხვაგან ეულად იყვნენ დევნილი და მაღვარი მა-მა-კა-ცე-ბი. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა აკრძალული პქონდათ და რაკი მეტალუები და ყველგან გაკრული ფურცლები კუდში დასდევდნენ, ისინიც მიჰყებოდნენ შემოვლით გზებს, გაფაციცებული აკეირდებოდნენ არემარეს და ერთმანეთის დიდი იმედი პქონდათ. მხოლოდ მაშინ არღვევდნენ დუმილს, როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ და თუაზიანობის გამო რაღაც უნდა ეთქვათ, თორუმ ისე არც საკუთარ გარაშე ჰყვებოდნენ რამეს, არც სხვისას კითხულობდნენ. არ ლაპარაკობდნენ დარდზე, ერთი ადგილიდან მეორეზე რომ მიერეკებოდათ იცოდნენ, რომ თურკანიანებს ასეთი ამბების ატანა არ პქონდათ ყველამ იცოდა.

პოდა, არც პოლ-დის დაუძალებია ახალგაზრდა ქალისთვის, თუმცე კიდევატებილი ქუდი რომ ქურა, მოგვიყევი, საიდან ხარ და აქ როგორ მოხვედიო. მოყოლას თუ მოისურვებდა და თან სამისოდ ძალაც ეყოფოდა, თვითონ მოჰყებოდა, იმწუთას კი სამივე იმაზე ფიქრობდა, აქ რისთვის მოსულაო და ამ მთვარი კითხვის უკან თითოეული მათგანის გულში სხვადასხვა კითხვა იმაღლებოდა. პოლ-დის სტუმრის ახალთახალი ფეხსაცმელი აოცებდა; სითე მის მელოდიურ სახელს შეეძრა, საფლავის მოელვარუ ქვას რომ აგონებდა და აიძულებდა, განსაკუთრებული სიკეთე გამოეჩინა ამ ქალის მიმართ აი, დენვერი კი კანკალებდა. უყურებდა ძილმორუელ მზეთუნახავს და უნდოდა, მისთვის კიდევ უფრო დიდხანს ეცქირა.

სითემ ქუდი ტანსაცმლის საკიდზე ჩამოკიდა და სტუმარს თუაზიანად მიუბრუნდა:

— საყვარელი... ლამაზი სახელია. ქუდი მოგეხადა, მე კი რამეს მოუამზადებ. ეს-ეს არის, ცინცინატის ახლოს გამართული კარნავალიდან დაუბრუნდით. იმდენი რამე იყო სანახავი.

ვიდრე სითე მისასალმებელ სიტყვას ნახევრამდე წარმოთქვამდა, საყარძელში სარგადაყლაპულივით გაჭიმულ საყვარელს ისევ ჩასძინებოდა.

— მის, მის, — ნაზად შეარხია პოლ-დიმ გოგონა, — გინდა, ცოტა ხანს დაწვე?

საყვარელმა თვალები ოდნავ გაახილა, თუმცი ნაზსა და ნორჩი ფეხებს დაეყრდნო, ძლიერ რომ იჭირდნენ პატრონს, და სასტუმრო ოთხისკენ ნელ-ნელა წალასლასდა. როგორც კი შეაბიჯა, უმაღლ ბეიბი საგზის საწოლზე დაემხო. ორთქლის ძრავასუით სუნთქვავდა. დენვერმა გოგონას ქუდი მოხადა და დალიანდაგებული საბანი, ზედ ორი ფერადი კუადრატი რომ ჰქონდა დაკერებული, ფეხებზე ჩაგდო.

— კრუპიანთვით სუნთქვას, — თქვა პოლ-დიმ და თან კარი მიხურა.

— ცხელია, დენვერ?

— არა, ცოდი.

— ესე იგი, ციებ-ცხელება აქვს. ხან ცხელი იქნება, ხან ცოდი.

— შეიძლება, ქოლერა იყოს, — შენიშნა პოლ-დიმ.

— გგონია?

— იმდენი წყალი დალია და... უტყუარი ნიშანია.

— საბრალო. სახლში სამაგისო არაფერი გვაქვს. თვისისთ უნდა გამოძვრეს. ყველაზე საზიზღარი უადმყოფობაა იმათ შორის, რასაც კი ოდესმე უარსებია.

— უად არ არის! — ისე თქვა გაჯურებულმა დენვერმა, რომ სითესა და პოლ-დის გაეღიმათ

ოთხი დღის განმავლობაში ეძინა. მხოლოდ წყლის დასალევად თუ გაიღვიძებდა და წამოჯდებოდა. მასზე დენვერი ზრუნავდა, ღრმა ძილში წასულს თვალს არ აშორებდა და მის ღრმა სუნთქვასაც აყურადებდა. ამას სიყვარულისა და სახიფათო მესაკუთრული გრძნობის გამო აკეთებდა, რომლების გამოც თავს გალდებულად გრძნობდა, როგორც ნაკლი, ისე დაემალა, რომ საყვარელს შარდის შეუკავებლობა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც სითუ რესტორანში, ხოლო პოლ-დი ბარუების გადმოსატვირთად წავიდოდა, იქნებ რამეს გამოუკრა ხელიო, დენვერი ზეწრებს ჩუმ-ჩუმად ავლებდა და ისეთი მონდომებით უვლიდა გოგონას, რომ ჭამა და ზურმუხტისფერ საკუჭნაოში წასვლაც კი აკიწყდებოდა.

„საყვარელო, — დაიჩურჩულებდა დენვერი, — საყვარელო?“ — და როცა მძინარეც შავ თვალებს სულ ოდნავ გაახელდა, ერთსადერთი იმის თქმას ახერხებდა, აქა ვარ, მე ისვე აქა ვარო.

ზოგჯერ, როდესაც საყვარელი ძალიან დიდხანს იწყა არაამქუც-

ნიური გამომეტყველებით, არაფერს ამბობდა, ტუჩებს ილოკაცია და მძიმედ ოხრავდა, დენვერს შიში იპყრობდა.

— რა იყო? — კითხულობდა დენვერი.

— მნელია, — ჩურჩულით ჩიოდა გოგონა, — მნელია აქ ყოფნა.

— წამოჯდომა გინდა?

— არა, — პასუხობდა დენვერს ჟღრიალა ხმა.

სამი დღე გუვიდა იქამდე, ვიდრე საყვარელი ჩაჟამებულ დალიან-დაგებულ საბანზე ნარინჯისფერ კვადრატებს შენიშნავდა. დენვერიც კმაყოფილი იყო — კვადრატების გამო მის პაციენტს შედარებით დიდხანს ეღვიძა. გვერდობოდათ, გოგონა ერთთავად მოქმიბლა გახუნებულ ნარინჯისფერ ნაკუწებს. ისიც კი სცადა, იდაყვს დაპყრ-დნობოდა და ზედ ხელი გადაესვა, მაგრამ მალევე დაიღალა და დენ-ვერმაც საბანი ისე მოაწყო, რომ მისი ყველაზე ხალისიანი ნაწილი პირდაპირ გოგონას მხედველობის არუში ყოფილიყო.

მოთმინებამ, თვისებამ, რომელიც დენვერს მანამდე არასოდეს შეუცნია, ერთბაშად შეაღწია მის არსებაში. მანამდე, ვიდრე აუდმ-ყოფის მოვლაში სითუ არ ერეოდა, მისი ქალიშვილის ქცევა თანაგრ-ძნობის ნამდვილი ნიმუში გახლდათ, მაგრამ როდესაც დედა ხელის წაშველებას ცდილობდა, დენვერი მაშინვე იწყებდა ფხუკიანობას.

— დღეს ერთი კუზი მაინც თუ შეჭამა რამე? — როგორლაც იკითხა სითუმ.

— ქოლერიანმა არ უნდა ჭამოს.

— დარწმუნებული ხარ, რომ ქოლერაა? პოლ-დიმ უბრალოდ იეჭვა.

— არ ვიცი, მაგრამ ჯერ მაინც არ უნდა ჭამოს.

— მგონი, ქოლერიანები სულ ასაქმებენ.

— მით უმეტეს, არ უნდა ჭამოს, არა?

— შიშილითაც არ უნდა მოკვდეს, დენვერ.

— თვი დაგვანებე, დედა. მე ვუკლი.

— რამეს ამბობს?

— გეტყოდი, რომ ეთქვა.

სითუმ ქალიშვილს შეხედა და გაიფიქრა, დიახ, თვის ეულად, ძა-ლიან ეულად გრძნობსო. მერე საჭიროდ ჩათვალა, საუბრის თუმა შეცვალა და იკითხა, ნეტავ ძალლი, სახელად „ბიჭი“, სად წავიდა?

— აღარ დაბრუნდება, — თქვა დენვერმა.

— საიდან იცი? — დაინტერესდა სითქ.

— უბრალოდ ვიცი, — მიუგო ქალს შეიღმა და თუთშიდან ოთხ-კუთხა ტკბილი კვერი აიღო. ის იყო, სასტუმრო ოთხში დაბრუნებული დენვერი სკამზე უნდა დამჯდარიყო, რომ საყვარელმა თვალები ფართოდ დააჭირა. გრძნობდა, როგორ გამალებით უცემდა გული. არა, განა პირველად უყურებდა დენვერი ამ სახეს, ზედ ძილის კვალიც რომ არ შერჩენოდა, არც სტუმრის დიდრონსა და შავ თვალებს ხედავდა პირველად, არც მის თვალის მოთეთრო-მოცისფრო გარსები იყო საქმე. საქმე ის გახლდათ, რომ ამ დიდრონსა და შავ თვალებში აზრის ნიშანწყალიც არ იკითხებოდა.

— მოგიტანო რამე? — ჰკითხა დენვერმა.

საყვარელმა ტკბილ კვერს შეხედა, დენვერს ხელში რომ ეჭირა, და მანაც მიაწოდა ახალგაღვიძებულს ტკბილეული. საყვარელმა გაიღიმა და დენვერსაც ჩაუდგა გული საგულეში, ისე მოუკლო ფართხალს და მიწყნარდა, თითქოს შინ დაბრუნებული მოგზაური ყოფილიყო.

ამ წუთიდან ტკბილეულით ყოველთვის შეიძლებოდა საყვარელის გულის მოგება — თითქოს სასუსნავისთვის ყოფილიყოს დაბადებული: ფიჭიანი თაფლი, შაქრიანი სენდვიჩები, თუნუქის ქილაში ყლარტმოდებული და ჩაქვავებული ბადაგი, ლიმონათი, ირისი, ნებისმიერი დესერტი, სითქ რესტორნიდან შინ მოჰკონდა. სელის ტილოს ამსგავსებდა საყვარელი პირში შაქრის ლერწმის ჩხირებს და მას შემდეგაც დიდხანს არ ეშვებოდა, რაც მოულ სიტკბოს გამოაცლიდა. ამაზე დენვერი იცინოდა, სითქ იღიმებოდა, პოლ-დი კი ამბობდა, გული მერვაო.

სითქ ტკბილეულის ასეთ მოთხოვნილებას ნაჯადმყოფარი ორგანიზმის მიერ ძალის სწრაფად აღდგენის საშუალებად მიიჩნევდა, თუმცა საყვარელი ტკბილეულს სრული გამოჯანმრთელების შემდეგაც არ ეშვებოდა და არც წასვლას აპირებდა სადმე. როგორც ჩანს, წასასვლელი არ ჰქონდა. სახლი არასოდეს უხსენებია, მაინცდამაინც კარგად არც ის იცოდა, ამ მხარეში რას აკეთებდა, ანდა მანამდე სად იყო. სითქ, დენვერი და პოლ-დი მექსიერების ასეთ ჩავარდნას ციებ-ცხელებას ისევე მიაწერდნენ, როგორც იმას, რომ ავადმყოფობის შემდეგ საყვარელი ჩვეულებრივზე ნელა მოძრაობდა. ასე ცხრა-მეტი-ოცი წლის თხელ-თხელი ქალი ისე დადიოდა, გუგონებოდათ,

წერა ის ასეთი უქმდობის ხელს. სიარუელისას აკეჯს კურდნობოდა და ხილაშეცემი ხელისხმულის ისე იღებდა, თითქოს მეტისძეტად მძიმე თვეს მარტის კიბერი კერძო დაიჭირდა.

— ასე უნდა ასეთ და აჭაბი? — კითხულობდა პოლ-დი, თან სა-კუთხის სისტემაზე აკვიტუებდა და გრძნობდა, რომ გაღიზიანებას უკარისია.

— დექტექტის მოსწონის. სინამდვილეში არჯ გვაწუხებს. სჯობს, მო-იყიდოს. მაინც არ მომწონის მაგისი სუნთქვა.

— რადა კუნაური გოგოა, — უფრო თავის თვეს უთხრა პოლ-დი, კიდევ სისტემა.

— მაინც რატომ?

— უჩვეულოურით იქცევა, აკადმიკოფურით ლაპარაკობს, მაგრამ უცალებელი არ პგავს. კარგი კანი და კრიალა თვალები აქვს, თან ხა-რევის კრისის ძალა.

— ძალა არა აქვს. ძლივს დადის, რამეს თუ არ მოეჭიდა.

— მერ მაგას კამბობ. სიარუელი არ შეუძლია, მაგრამ დავინახე, სარწყელის კალი ხელით როგორ დასწრედა.

— არ დაგინახავს!

— ზღაპრუების მორჩი. დენგურს პეიტე. ისიც იქ იყო.

— დექტექტ! ერთი წუთით შემოდი.

დენგურმა, კერანდას რომ რეცხავდა, საქმეს თვეი მიანება და ფან-ჯარიაში შევით თვეი.

— პოლ-დი ამბობს, რომ დაინახეთ, როგორ დასწრედა საყვარელი კალი ხელით სარწყელის. ასეა?

გრძელი ხშირი წამწამების ქვეშ დენგურის ისედაც მოძრავი თვა-ლები კიდევ უფრო მოუსკენარი ჩანდა. მაშინაც კი მაცდურად იხე-ლებოდნენ, როცა გოგონამ ერთობ მტკიცე მშერა მიაჰყორო პოლ-დის და თქვა:

— არა. მასეთი არაფერი დამინახავს.

პოლ-დის წარბები ერთი კი შეიკრა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. დენ-გურისა და პოლ-დის ისე დაიძაბნენ, მათ შორის ვინმეს ახლა კარი რომ დაეკიდა, რაზა ხელის წაუშველებლადაც მოძებნიდა კოჭაკს.

რაც ძალა და ღონე პქონდათ, ეტანებოდნენ თვეის გადასარჩე-ნად წევიძის წევიძი ფიჭვის წიწვებს. სითუმ ჯერ ღუმლის გამწოვი

შეაჯანჯდარა, მერე ცეცხლის გასაჩაღებლად ფიჩხი დატეხა, საყვარელი კი თვალებით ეზმანებოდა, სინჯაუდა სითუს, ლაპის იყო, შეუჭამა. ოჯახის წევროვით ტრიალებდა მის გარშემო და საჭიროების გარეშე ანდა უთქმელად, არასოდეს გადიოდა ოთახიდან, სადაც ეს უკანასკნელი იყო ხოლმე. უთუნია დგებოდა, ოღონდ კი სამჩარულოში დახვედროდა სითუს, რომელსაც სამსახურში წასელამდე სახელდახელოდ პურიც უნდა დაეცხო. ლამპის შუქზე შავ-შავი ხმლებით ქალებოდნენ და გარდიგარდმო ეჭდობოდნენ ერთმანეთს ჭურში, მოგიზგიზე ღუმლის თავზე მათი ჩრდილები. ორი საათისთვის, როცა სითუ შინ ბრუნდებოდა, გოგონა ან ფანჯარაში იდგა ხოლმე, ანდა შესასვლელში. მერე სითუს დასახვედრად ვერანდაზე გასვლა დაიწყო, მერე ბილიკზე, მთავარ გზაზე, სულ ბოლოს კი ახალ ჩუქვას დანებებული ბლუსთოუნ-როუდსაც დაადგა, ყოველდღე სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა სითუს დასახვედრად, მერე კი მასთან ერთად ბრუნდებოდა 124 ნომერში. ისე იქცეოდა, თითქოს ყოველ შუადღეს კვლავ და კვლავ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ასაკით მასზე უფროსი ქალი შინ მოიდოდა.

სითუს სიამოუნებდა გულდია და დაუტარავი თავდადება, რომელსაც საყვარელი მის მიმართ ამჟღავნებოდა. ასე დენვერს რომ გაეღმერთებინა, სითუ გაღიზიანდებოდა და გული დაუმძიმდებოდა, აქაოდა, შვილი ისე გავზარდე, სასაცილოდ არის ჩემზე მოწებებულიო. აი, ამ ალერსიან, თუმცალა თავისებურ სტუმართან ერთად ყოფნა კი ისევე სიამოუნებდა, როგორც მასწავლებელს შეიძლება თავისი ფანატიკოსი მიძღვნის საზოგადოება ეამოს.

და აი, დადგა დრო, როცა ადრიანად უწევდათ ლამპების ანთება — სულ უფრო ადრე ღამდებოდა. სიბნელეში გადიოდა სახლიდან სამსახურში წასული სითუ; დაღამებულზე ბრუნდებოდა შინ პოლიც. ერთხელაც, ერთ ცოვსა და ბნელ საღამოს, სითუმ თაღვამურა ოთხად გაჭრა და მოსაშუშად დადგა. მერე დენვერს გასარჩევად და დასალბობად ბლომად ბარდა გადმოუყარა, თვითონ კი დასასვენებლად ჩამოჯდა. სითბოში რული მოეკიდა და ის იყო, უნდა ჩასძინებოდა, საყვარელის შეხებაც იგრძნო. ბუმბულოვით მსუბუქი შეხების მიღმა სათხოვარი იმაღლებოდა. სითუ ადგილზე შვინძრა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ჯერ ნაზსა და ნორჩ ხელს წაწყდა, გოგონას მის მხარზე რომ დაედო, მერე კი საყვარელს თვალებშიც ჩახედა და იქ

უძირო ნატვრა აღმოაჩინა. რაღაცას უკედრუბოდა ხითქმის საყურელი, თუ ს ძლიერ ერეოდა. ქალმა გოგონას თითქმის ხელი გადაუსწევა და დენვერის კუნ გააპარა თვალი, რომელიც ამასთაში გასინჯის ბირდას ჩაჰკირკიტებდა.

— ბრილიანტები სადა გაქვს? — დააცემოდა ხითქმის სახეები საყურელი.

— ბრილიანტები? ბრილიანტები რად მინდა? — გაიკვირება ხითქმი.

— საყურელ.

— ნეტავ კი მქონოდა. ერთხელ ბრილის საყურელ მქონდა. დიასახლისის საჩუქარი იყო.

— მომიყვი, — თქვა სიხარულით გაბადრულმა საყვარულმა, — მომიყვი შენს ბრილიანტებზე.

უყვებოდა ხოლმე ხითქმი საყვარულს ნაირ-ნაირ ამბავს და ისე აჭ-მევდა საჭმელს. ისევე, როგორც დენვერს არ ეპარუბოდა უჭივი იშაში, რომ ტკბილეულს გოგონაზე შესანიშნავი გულება პქონდა, ხითქმი მიმხვდარიყო, რომ რაღაც-რაღაცების მოყოლა საყვარულს უდიდეს სიამოუნებას ანიჭებდა. რამდენადაც კმაყოფილი იყო საყვარული, იმდენად უკვირდა სითქმა, რომელსაც წარსულზე ნათქეჭმი ყოფილი ხიტყვა გულს სტკენდა. ყველაფერი, რაც წარსულში დაუტოვებითა, ტკუილით იყო სავსე, ბევრი რამეც უბრალოდ ხელიდან გამოისულოდა. ის და ბეიბი საგზი ხიტყვის უთქმელად გარიგებულიყვანები, რომ წარსულზე არ ელაპარაკათ დენვერის კითხვებსაც კი მოკლე-მოკლედ, ზოგჯერ კი უთუბოლო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ტყუილეულით პასუხობდა. პოლ-დისთანაც კი, რომელიც გარკვეულწილად მიხი წარსულის მოზიარე იყო და ვისთანაც, ასე თუ ისე, შმვიდად მა-ინც შეეძლო გარდასულ ამბებზე ლაპარაკი, წარსულის გახსენება ყოველთვის მტკუნეული იყო — თითქოს გამიზეზებულ ტუჩის კუთხემი ფუფხი მოსკლოდა და ლაპარაკისას წნევოდა. თუმცა, როცა საყურებზე დაიწყო მოყოლა, მიხვდა, რომ თაქადაც უნდოდა და მოსწონდა ამაზე საუბარი. შეიძლება ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ საყვარული და წარსულის ამბები ერთმანეთისგან შორი-შორს იყვნენ, შეიძლება იმის, რომ გოგონას ასე სწადდა ამ ამბების მოხ-მენა. ასე იყო თუ ისე, ანაზღეულად წამოადგა თუ მოგონებებით მოგვრილი სიამე.

ჟუგუბოდა სითუ დარჩეული ბარდის ჩხრიალისა და ცეცხლზე შემოდგმული თაღგამურას მძაფრი სურნელის ფონზე, როგორი იყო ბროლის საყურეუბი, ერთ დროს რომ ატარებდა.

— ვისთანაც კუნტუკიში ვმუშაობდი, იმ ქალმა მომცა, როდესაც გავთხოვდი, იქაური გაგებით მგონი, მიხვდა, რამდენად ცუდად ვიყავი, როდესაც აღმოუაჩინე, რომ არც ქორწილი იქნებოდა, არც მღვდელი. არაფერი. მეგონა, რამე მაინც მოხდებოდა, რამე ისეთი, რომ ეთქმათ, სითუ ნამდვილად გათხოვდა და სწორადაც მოიქცაო. არ მინდოდა, ფუჩქით გატენილ ლეიბზე ჩაჩოჩებით დამთავრებულიყო ყველაფერი, ანდა უბრალოდ მე მივდგომოდი ქმარს თავის ქოხმახში ხელში დამის ქოთნით ვთვლიდი, რომ რაღაცით მაინც უნდა აღგვენიშნა. შეიძლება ცეკვებით მინდოდა, თმაში პატარა სურნელოვანი ჩუტყყვავილაც მქონოდა ჩამაგრებული, — გაიხსენა სითუმ და გაიღიმა, — ქორწილში ნამყოფი არ ვიყავი, მაგრამ კარადაში მისის გარნერის საქორწილო კაბა მქონდა ნანახი და მის მონაყოლსაც ვუსმენდი ხოლმე. ამბობდა, ტორტი გვქონდა, ზედ ორი გირვანქა მოცხარით და კიდევ ოთხი ცხვარი თავიან-ფეხიანადო. ხალხი მეორე დღესაც ჭამდაო. მეც ჯეთი რამე მინდოდა, სადილივით, რომლის დროსაც მე, პალე და ყველა, ვინც „საყვარელ სახლში“ მსახურობდა, დავსხდებოდით და რამეს განსაკუთრებულს მივირთმევდით კუინგტონიდან ან პაი-თოიშიდანაც დავპატიუებდით სხვა ფერადკანიანებს. სიქსო დაძერებოდა ხოლმე იმათთან. თუმცა დღესასწაულის ხსენებაც არ ყოფილა. გვითხრუს, კარგი, იყავით ცოლ-ქმარით და ჯ იყო და ჯ. მეტი არაფერი. პოდა, მეც გადაუწყვიტე, ჯვალოს კაბის ნაცვლად, რომელშიც ვმუშაობდი, ნამდვილი კაბა მაინც მცმოდა. ავდექი და ნაჭრების მოპარვა დავიწყე. არ დამიჯერებ, ისეთი კაბა გამოვიდა: ზედატანი მისის გარნერის საკუმშვის კალათიდან ამოღებული ორი ბალიშისპირისგან იყო შეკრილი. ქვედაკაბა წინიდან ბუფეტზე გადასაფარებელი ვიწრო სუფრისგან გამოუჭური — ზედ სანთელი დაეცა და ამომწვარი იყო. წინა მხარეს დიასახლისის სარტყელიც გამოვიყენე, რომელსაც ცხელი უთოს შესამოწმებლად ვხმარობდით ხოლმე. დიდხანს ვერ მოვიფიქრე, ქვედაკაბის უკანა კალთა რისგან უნდა შემეცერა. ვერაფრით ვპოულობდი ისეთ რამეს, ურომლისობაც მაშინვე არ მოხვდებოდათ თვალში, თანაც მერე ყველაფერი უნდა დამერლვია და თავ-თავის

ავითარებულ დასტურობით. პალი კიდევ ითმენდა, მელოდებოდა, კაბას რო-
გოს დაკრიტიკულებით. იცოდა, რომ კაბის გარეშე აღარაფერს ვიზამ-
დო. მოვას სახითხეში კილოებისგან დაბრკავი ბადე ლურსმნიდან
ჩიტყებული. ლაბას კატერიულით ხელმე შიგნით როგორც შემეძლო,
დაკალებულ და კატერიული. მერე კი ქაჯდაკაბას უკნიდან მიუაღადებ. და
ას. ისეც. კატერიულ ხასიათებით კაბა. როგორიც კი შეკიძლია, წარმო-
იდგინ. შევის მოხასხადი რომ არა, მაწანწალა მოჟაჭრის ლანდს
კატერიულებით. სულ თოთხმეტი წლის ეიყავი და, ალბათ, ასე მაგი-
ტორი; კაბაყობით ჩემი თავით ასე იყო თუ ისე, მისის გარნერმა იმ
კაბაში. აღიარა დამინახა. მევონა, ნაჭრებს მოხერხებულად ვიპა-
რევდო. მაგრამ კატერიული იცოდა, რასაც ვაკეთებდი. ჩვენი თაფ-
ლობის თვის შესახებაც კი იცოდა. იცოდა, როგორ წავყვევი ჰალეს
ხასიათის ყანაში. პირკულად იქ ვიყავით შაბათი იყო, ნაშეადლვი.
პალი (კულად კოფნა მოიმიშება და სამუშაოდან თავი გაითავისუფ-
ლა. მაბათ-კვირას ჩვეულებრივ ბეიბი საგზის გამოსასყიდი ფულის
ხამურნებულად მუშაობდა ქალაქში. რაკი თავი გაითავისუფლა, მეც
ჩვიცვი ჩემი კაბა და ხელჩაკიდებულმა მიუშურეთ სიმინდის ყა-
ნას. ახლაც მახსოვეს სიმინდის ტაროების სუნი, იქით პოლები და
ხეჭვო რომ წვავდნენ. მეორე დღეს მისის გარნერმა თითოთ მომიხმო
და ზემოთ თავის საძინებელში ამიყვანა. ხის ყუთი გახსნა და იქი-
დან წყვილი ბროლის საყურე ამოილო. მითხრა: „მინდა, შენი იყოს,
ხით“. მე კი ვუპასუხე, დიახ, მემ-მეთქი. მკითხა, ყურები გახვრუ-
ტილი გაქვხო? მე კი ვუთხარი, არა, მემ-მეთქი. აბა, გაიხვრიტე,
რომ ატაროთ. მინდა შენი იყოს და მინდა, შენ და ჰალე ბედნიერი
იყოთ. მადლობა გადავუხადე, მაგრამ სანამ იქიდან არ წამოვედი,
ის საყურები არახოდეს მეტებია. ამ სახლში რომ მოვედი, მეორე
დღეს ბეიბი საგზმა გამიხსნა შიგნითა ქვედაკაბაში გამოკრული სა-
ურუები. ზუსტად ამ ადგილას ვიჯექი, ღუმელთან. ხელში დენვერი
მყავდა. საყურები რომ მეტარებინა, ბეიბის ყურები გაუახვრუტინე.

— საყურეთი არახოდეს მინახუხარ, — თქვა დენვერმა, — ახლა
ხდეთ ის საყურე?

— აღარ მაქვს. დიდი ხანია, აღარ მაქვს, — უპასუხა ქალიშვილს
ხითუმ და ამაზე ერთი ხიტყვაც აღარ უთქვამს მანამდე, სანამ ერთ
დღესც არ გაავდროდა და წვიმისგან დასველებულ ზეწრები და ქვე-
დაკაბები სამოვემ ერთად არ შემოიტანა სახლში. აქოშინებულებმა

სიცილ-სიცილით გადაფინეს სარეცხი სკამებსა და მაგიდაზე. საყ-
ვარული სათლიდან ამოღებულ წყალს სვამდა და სვამდა, თან სითუს
უყურებდა, ის კი პირსახოცის ნაჭრით თმას უშშრალებდა დენვერს.

— იქნებ ნაწნავები დაგვეშალა? — იკითხა ქალიშვილს სითუმ.

— უპ-უპ. ხყალე, — იუარა დენვერმა და ერთბაშად მოიკუნტა,
როგორც კი წარმოიდგინა, როგორ აწიწენიდა თმას წვრილკბილა
საყარცხელი.

— დღვეული დღე შენია, — თქვა სითუმ, — გადადებული საქმე
— ეშმაკის.

— მტკოუა, — მიუგო დედას დენვერმა.

— ყოველდღე დაიკარცხნე და არ გეტკინება.

— უიმე!

— ის ქალი თმას არასოდეს გიწესრიგებდა? — იკითხა საყვა-
რულმა და სითუმ და დენვერმა ერთდროულად ახედეს. ოთხი კვირა
გასულიყო, ისინი კი ჯერაც ვერ შესჩვეოდნენ გოგონას მჭახე ხმას,
ხანდახან თითქოს სიძლერისმაგვარი რაღაც რომ დაპყვებოდა და
ბოლოშიც სულ სხვანაირად რომ მოუქცევდა ხოლმე.

„ის ქალი თმას არასოდეს გიწესრიგებდა?“ — აშკარად სითუს
ეკითხებოდნენ, რადგან საყვარული სწორედ მას უყურებდა.

— ის ქალი? დედაჩემს გულისხმობ? თუ მცარცხნიდა კიდეც, მე არ
მახსოვს. მარტო მინდოოში მყავს რამდენჯერმე ნანახი, ერთხელაც
ინდიგოსგან საღებავს რომ აკეთებდა, მაშინ. დილით, იმ დროს, რო-
ცა მე ვიღვიძებდი, უკვე კვალში იყო ჩამდგარი. თუ მთვარიანი ღამე
იყო, მთვარის შუქწეც მუშაობდნენ. კვირაობით მკვდაროვით ეძინა.
ალბათ, ორი ან სამი კვირა მაჭმევდა ძუძუს — სხვებიც ასე აკეთებ-
დნენ. მერე ისვე ბრინჯის ყანებში სამუშაოდ დაბრუნდა და მეც სხვა
ქალი მაწოვებდა, რომელსაც ეს საქმე პქონდა ჩაბარებული. ასე რომ,
ალბათ, არა-მეთქი, უნდა გითხრა. არც თმას მიწესრიგებდა ოდეს-
მე და არც არაფერს. რამდენადაც მახსოვს, ღამეს უმეტესად ჩვენს
ქოხმახში არც კი ათვედა. ალბათ, მეტისმეტად შორს უწევდა ჩვენგან
დაძინება. ერთი რამე კი ნამდვილად გააკეთა: საშაშხის უკან გამიყვა-
ნა, კაბა გაიხსნა, ცალი ძუძუ აიწია, ზედ ნეკნთან კანზე ამოშანთული
წრეში ჩასმული ჯვარი დამანახვა და მითხრა: „მე დედაშენი ვარ. ეს,
— დაღზე მიმითითა, — მარტო მე დაურჩი ასეთი ნიშნით დანარჩენები
დაიხოცნენ. რამე თუ მომოუა და სახეზე ვერ მიცნობ, ამ დაღით მიხვ-

დები, რომ მე ვარ“. ისე შემაშინა. მარტო იმაზე ვფიქრობდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ამბავი და რამდენად საჭირო, რომ რამე მნიშვნელოვანი მეც მეთქვა მისთვის, მაგრამ ვერაფერი მოუიფიქრუ და ის ვუთხარი, რაც გულში მქონდა: „დიახ, მემ, მაგრამ თქვენ როგორ მიცნობთ? როგორ მიცნობთ? მეც დამადეთ ნიშანი. ასეთი ნიშანი მეც დამადეთ“, — სითქმ ჩაიხითხით.

- ასეც მოიქცა? — იკითხა დენვერმა.
- სილა გამაწნა.
- რისთვის?
- მაშინ ვერ მოვხვდი. ვერც მანამდე მოვხვდი, სანამ თვითონაც არ დამდალეს.
- რა მოუვიდა?

— ჩამოახრჩვეს. როცა სახრჩობელადან ჩამოხსნეს, ვერავინ გეტყოდათ, პქონდა თუ არა წრეში ჩასმული ჯვარი. ყველაზე ნაკლებად ამის თქმა მე შემეძლო, თან მე მართლა ვუყურე, — სითქმ სავარცხელზე შერჩენილი თმა ერთად მოაგროვა, უკან გადაიწია და თმის ბლუჯა ცეცხლში შეუძახა. ერთმა მუჭა ცეცხლმოდებულმა თმამ ვარსკვლავებივით ნაპერწკლები გაყარა და საშინელი სუნი დააყენა, — ღმერთო ჩემო, — თქვა სითქმ და ისე ერთბაშად წამოდგა, რომ დენვერის თმაში ჩასობილი სავარცხელი იატაკზე ჩამოვარდა.

— დე? რა მოგივიდა, დე?

სითუ სკამთან მოვიდა, ერთ-ერთ ზეწარს დასწვდა და მკლავის სიგანეზე გაშალა. მოკეცა, ისევ მოკეცა, კიდევ ორჯერ მოკეცა. მერე მეორე ზეწარი აიღო. ზეწრები ჯერ კიდევ სველი იყო, მაგრამ მათი კუცა მეტისმეტად საამო აღმოჩნდა იმისთვის, რომ სითუ გაჩერუბულიყო. ხელები სადღაც უნდა წაეღო — რაღაც ისეთი ახსენდებოდა, აღარც რომ ახსოვდა, იცოდა თუ არა. რაღაც ისეთი, მხოლოდ მისი სირცხვილი რომ იყო და უმაღლ რომ გამოჟონა მექსიერებაში გაჩენილი ნაპრალიდან, როგორც კი წრეში ჩასმული ჯვრისა და ალიფურის ამბავი აღიდგინა.

— რატომ ჩამოახრჩვეს დედაშენი? — იკითხა დენვერმა. მანამდე დედამისის დედაზე არაფერი სმენოდა. ბეიბი საგზი ერთადერთი ბებია იყო, რომელსაც დენვერი იცნობდა.

— ვერ გავიგე. ბევრნი იყვნენ, — თქვა სითქმ, თან ნესტიან თეთრულს კუცავდა და კუცავდა. სულ უფრო მკაფიოდ ახსენდებოდა

ქალი, რომელსაც ნანი ერქვა, რომელმაც ხელში ხელი მოჰკიდა, მოქაჩა და მკვდრუბის გროვას იქამდე მოაშორა, ვიდრე სითუ დამღას დაინახავდა. ყველაზე კარგად ნანს იცნობდა. დღის ნებისმიერ დროს ეს ქალი ყოველთვის ახლოს იყო, ბაჟშვებს უვლიდა, მზარულობდა, ცალი ხელი საღი ჰქონდა, მეორისგან კი მხოლოდ ნახვარი შერჩენოდა. სხვანაირი სიტყვებით იცოდა ლაპარაკი. მაშინ კი ესმოდა სითუს, რასაც ამბობდა, მაგრამ ახლა იმ სიტყვების არც გახსენება შეეძლო, არც გამეორება. სჯეროდა, აღბათ, ცეკვა-სიმღერის და ხალხმრაულობის გარდა ამიტომაც მახსოვს ასე ცოტა რამ „საყვარელი სახლიდანო“. აღარც ის ახსოვდა, რასაც ნანი უყვებოდა, აღარც იმ ქალის ენა. დედამისიც იმავე, სამუდამოდ დაუიწყებულ ენაზე მეტყველებდა. აი, მთავარი კი სულ მუდამ ახსოვდა. იდგა სითუ გულში ჩაკრული ნესტიანი ზეწრუბით ხელში და ცდილობდა, მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა იდუმალი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა აღარ ესმოდა. ღამეა. ნანს ჯანსაღი ხელი სითუსთვის შემოუხვევია, მონაჭურ ხელს კი პაერში იქნევს. „მომისმინე, მომისმინე, პატარა სითუ...“ — და მოუყვა ნანი, რომ ის და დედამისი ორივე ზღვით ჩამოეყვანათ. ორივეზე ბევრჯერ ქმარა ძალა გემის ეკიპაჟს. „შენ გარდა ყველა გადაყარა. მეზღვაურისგან რომ ეყოლა, ის კუნძულზე გადააგდო. ისე გადაყარა, რომ სახელებიც არ დაურუქმევია. შენ შავკანიანი კაცის სახელი დაგარქვა. იმას ჩაქუტა. სხვებს არ ჩახუტებია. არასოდეს. არასოდეს. მომისმინე, მომისმინე, პატარა სითუ“. —

პატარა სითუზე ამ ამბავს დიდად არ უმოქმედია, როცა გაიზარდა, გაბრაზდა, ოღონდ ზუსტად არ იცოდა, რაზე, ახლა კი აზვირთებულ ტალღასავით დაატყდა თვეს ბეიბი საგზის ნახვის სურვილი. მერე მიწყნარდა და ორ გოგონას, ღუმელთან ჩამომსხდარ არცთუ ჯანმრთელ, მჩატე მდგმურსა და თვეის ფხუკიან, მარტოსულ ქალიშვილს შეხედა. შორიდან ერთი ბეწოები ჩანდნენ.

— ერთ წუთში პოლ-დიც მოვა, — თქვა სითუმ.

დენვერმა შვებით ამოისუნთქა. ერთი წუთის განმაჟლობაში, ვიდრე ფიქრუბში წასული სითუ იდგა და სარუცხს ჲცცავდა, დენვერს კბილი კბილზე დაეჭირა და ლოცულობდა, რომ ეს ყველაფერი გათვებულიყო. ეჯავრუბოდა დედამისის მოყოლილი ამბები, რომლებიც მას არ ქებოდა და ამიტომაც იყო, ემის ამბის გარდა არასოდეს უთხოვია მისთვის სხვა რამის მოყოლა. თვლიდა, რომ სხვა

დანარჩენი ბრწყინვალე, გასხვოსნებული სამყაროს კუთვნილება იყო, სამყაროსი, რომელსაც უმისობა კიდევ უფრო აბრწყინებდა და ასხვოსნებდა. და რაკი თავად ამ სამყაროს ნაწილი არ გახლდათ, სძულდა იგი, უნდოდა, საყვარელსაც შესძულებოდა, თუმცა არაკი-თარი გზა ამისთვის არ არსებობდა. საყვარელი უცნაური კითხვის დასმისა და სითხეს ალაპარაკების ერთ შესაძლებლობასაც არ უშ-ვებდა ხელიდან. ამჩნევდა დენვერი, როგორ ხარბად ისმენდა ხოლმე სტუმარი სითხეს ნაამბობს. მეტიც, კითხვებსაც დააკვირდა, საყვა-რელი დედამისს რომ აძლევდა: „ბრილიანტები სად გაქვს?“ „ის ქა-ლი თმას არასოდეს გიწესრიგებდა?“ ყველაზე მეტად მაინც კრთმა კითხვამ ჩააგდო საგონებელში დენვერი: საყურებე მომიყვაიო.

საიდან იცოდა?

დადიოდა სახლში საყვარელი და ერთიანად ბრწყინავდა. არ მოს-წონდა პოლ-დის ეს ამბავი. თვლიდა, რომ ქალები მარწყეის მწვანე ნაყაროით იყვნენ — ჯერ ფერს შეიცვლიდნენ, ულვაშს გამოიტან-დნენ, ულვაშს კეირტს მოაყოლებდნენ, მერუ გაშლილი კვირტე-ბის თეთრი ფურცლები დასაცვენად მოემზადებოდნენ და პიტნის-ფერი ჭუკრებიც გამოყოფდნენ თვეებს, ამასობაში კი აბრიალებულ ფოთლებსაც ცვილივით დაედებოდა ოქროს თვალშეუგალი ვარაყი. პოდა, მარწყვის მოოქრული ფოთლებოვით ბრიალებდა საყვარე-ლიც. დილაობით, ახალგაღვიძებულზე დაიწყო პოლ-დიმ სითხესთან აღერსობა, რომ მოგვიანებით, უკვე გონებადაწმენდილი ჩასულიყო თეთრი კიბით ქვედა სართულში, სადაც სითე საყვარელის თვალჩა-ციებული მხერის თანხლებით აცხობდა ხოლმე პურს.

საღამოობით, როცა შინ დაბრუნებულს ქალები გახშმისთვის სუფრის გაშლით დაკავებული ხვდებოდნენ, საყვარელის გუნება-განწყობა იმდენად ხვდებოდა თვალში, რომ უკვირდა, დენვერი და სითე რატომ ვერაფერს ამჩნევენო. იქნებ ამჩნევდნენ კიდეც. ქალები ისვევ, როგორც მამაკაცები, რა თქმა უნდა, კრძნობდნენ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი აწრიალებული იყო. ყურადღებით დააკვირდა პოლ-დი საყვარელს, თვითონ თუ იცის, მის თვეს რა ხდებაო, მაგ-რამ გოგონა საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, ხშირად არც კი პასუხობდა მამაკაცის პირდაპირ დასმულ კითხვას. ერთს შექედავ-და ხოლმე და პასუხის გაცემა კი არა, პირსაც არ გააღებდა. უკვე

ხუთი კვირა იყო, რაც მათთან გახლდათ და მის შესახებ არაფერი იცოდნენ გარდა იმისა, რომ მძინარე ძირკვზე მიყუდებული ეპოვათ.

ისხდნენ მაგიდის გარშემო, პოლ-დის 124 ნომერში მისვლის დღეს რომ დაემტვრია და შეკეთებულ ფქვებზე იმაზე მყარად იდგა, ვიდრე მანამდე. კომბოსტო გაეთავებინათ, შებოლილი ლორის პრიალა ჯოჭები კი გროვებად დაწვავებინათ თავ-თავიანთ თეთვებზე. სითუ პურის პუდინგს არიგებდა, თან გამოცდილი მზარულების ყაიდაზე ბოდიშობდა და ჩურჩულებდა, იქნებ ივარგოს კიდეცო. ამ დროს პოლ-დიმაც ვეღარ მოითმინა, ერთგული ძალლოვით რომ შესციცინებდა საყვარელი სითუს და იკითხა:

— არც დები გყავს, არც ძმები?

საყვარელმა კოუზი პაერში ისე გააყანყალა, რომ პოლ-დისთვის არ შეუხედავს და თქვა:

— მე არავინ მყავს.

— აქ რას ეძებდი? — ისევ დასვა კითხვა პოლ-დიმ.

— აქაურობას. დასარჩენად ვეძებდი აქაურობას.

— ვინმემ გიამბო ამ სახლზე?

— იმ ქალმა. ხიდზე.

— ძველი ნაცნობი იქნებოდა, — თქვა სითუმ. იმდროინდელ ნაცნობებს გულისხმობდა, როდესაც 124 ნომერი პატარა სადგუროვით იყო, უწყებაც ბევრი მიღიოდა და მათი გამომგზავნებიც უხვად იყრიდნენ თავს. აქ ერთი ბეჭო ახალი ამბავიც კი წყაროს წყალში ჩამბალი ხმელი ლობიოს მარცვლებივით იქამდე ფიუვინდებოდა, ვიდრე საკმარისად არ დარბილდებოდა საიმისოდ, რომ მავანის კუჭს მოენელებინა.

— როგორ მოხვედი? ვინ მოგიყვანა?

ახლა კი შექედა პოლ-დის გაკერპებულმა საყვარელმა, თუმცა პასუხი ისევ არ გაუცია.

გრძნობდა პოლ-დი, როგორ იკავებდნენ თავს სითუცა და დენვერიც, როგორ დასჭიმოდა ორივეს დაძაბულობისგან მუცლის კუნთუბი და როგორ აბამდნენ ობობას წებოვან ქსელს. გადაწყვიტა, რაც უნდა ყოფილიყო, აელაპარაკებინა სტუმარი.

— აქ ვინ მოგიყვანა-მეთქი?

— ფქნით მოვედი, — თქვა საყვარელმა, — გრძელი, გრძელი, გრძელი გზა გამოვიარე. არავის მოვუყვანოვარ არავინ დამხმარებია.

— ახალი ფქნებისაცმელები გეცვა. აშხელა გზა თუ გამოიარე, ფქნებისაცმელზე რატომ არ გეტყობოდა?

— ნუ ჩააციდი, პოლ-დი.

— მინდა, ვიცოდე, — თქვა მამაკაცმა, თან მუჭმი დანა ისე ჩაებლუჯა, თითქოს პალო ყოფილიყო.

— ფქნებისაცმელებიც აუიღე! კაბაც აუიღე! ფქნებისაცმელები არ იკერუბოდა! — იყვირა საყვარელმა და ისე ლვარძლიანად შეტედა პოლ-დის, რომ დენვერმა საჭიროდ ჩათვალა, სტუმარს მკლავზე შეხებოდა.

— მე გასწავლი, ფქნებისაცმელები როგორ უნდა შეიკრა, — თქვა დენვერმა და ჯილდოდ საყვარელმაც უმალ გაულიმა.

პოლ-დი თავს ისე გრძნობდა, თითქოს ის-ის იყო, კუდით დაჭურილი ზორბა-ზორბა ტარპონი გასხლტომოდა ფსკერისკენ და თან წყალში კაშკაშა ნაკვალვს ტოვებდა. პოლ-დისთვის თუ არა, მაშ, ვისთვის დადიოდა ასე გაბადრული საყვარელი? არასოდეს ენახა ქალი, რომელსაც შეიძლებოდა ვნების ცეცხლი ისე მოსდებოდა, საამისოდ კონკრეტული მიზეზი არ პქონოდა და ისე დაეჭირა თუი, რომ მის გულისწადილს ყველა მიმხვდარიყო. საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ქალებს თვალები ასე მაშინ უელავდათ, როცა ვიღაც მათი ყურადღების ცენტრში ექცეოდა. „ოცდამეათე მილიდან“ რომ იყო, იმ ქალის ამბავიც ახსოვდა: იჯდა არხში პოლ-დისთან ერთად და მოწვაც კი ეზარებოდა, მაგრამ დაინახა თუ არა სიქსო, ერთბაშად გაუბრწყინდა სახე. ასეთი რამები არასოდეს ეშლებოდა პოლ-დის. ახლა სითუს მაგალითიც. ამ ქალის სველი ფქნები რომ არა, იმ დღეს მის მკლავებში მოქცვასა და ზურგზე სახემიდებული რაღაცების ჩურჩულს ვერაფრით გაბედავდა.

არადა, ეს უსახლკარო და უთვისტომო გოგო, საყვარელი რომ ერქვა, მოლოდინს აჭარბებდა. ვერაფრით აეხსნა პოლ-დის, რა ხდებოდა და თავში სულ იმ ფერადკანიანების სახეები უტრიალებდა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში რომ შეხვედროდა. ომაძეეც, ომის დროსაც და მის შემდეგაც ისეთი თავზარდაცემული, გინდა, ისეთი დამშეული, დაღლილი თუ დაბეჩავებული ზანგები ენახა, რომ გაგიკვირდებოდათ, როგორ ახერხებდნენ რაიმეს გახსენებას ან მოყოლას. ისინიც მასავით გამოქვაბულებს აფარებდნენ თავს, მასავით ბუზე ნადირობდნენ, რამე რომ ეჭამათ, მასავით ღორის საჭმელს იპარავდნენ, დღისით მასავით ტყვებში ეძინათ და

მასავით მხოლოდ ღამით აგრძელებდნენ გზას, მასავით წუმპეში წვებოდნენ და ჭებში ხტებოდნენ, ოღონდ კი სამართალდამცავებს, მოთარეშეებს, ძებნილებს, ომგამოულილ ჯარისკაცებს, პატრონებს თუ სანახაობის მოყვარულებს არ შეენიშნათ. ერთხელ ასე თოთხმეტი წლის ზანგს გადაეყარა. ტყეში მარტო ცხოვრობდა და ამბობდა, რომ არ ახსოვდა, ოდესმე სხვა სახლი თუ ჰქონდა. ერთ გამოტვინებულ ფერადკანიან ქალსაც იცნობდა, რომელიც ციხეში იმისთვის ჩასვეს და ჩამოახრჩვეს, რომ იხვებს იპარავდა და ამტკიცებდა, ჩემი შვილები არიანო.

გაუთავებელი წადი-მოდი, გაიქეცი, დაიმალე, იქურდე და ისვე გააგრძელე გზა. მხოლოდ ერთხელ შეძლო ერთ მქსოველ ქალთან თუ ოჯახთან ერთად ერთ ადგილას რამდენიმე თვეზე დიდი ხნით გაჩერება. ეს ერთხელ დელავერში იყო და თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა. ზანგებისთვის დელავერი ყველაზე საძაგელი ადგილი გახლდათ და ყველაფერი იმათ გარდა, რაც კენტუკის შტატის პულასის ოლქსა და, რა თქმა უნდა, ჯორჯიის საპატიმრო ბანაკში ენახა.

რაც კი პოლ-დის თავის დღეში ზანგები ენახა, საყვარელი არც ერთს არ ჰგავდა. ისე ბრწყინავდა და ისეთი ახალი ფეხსაცმელები ეცვა. შფოთავდა მამაკაცი და შეიძლება მისი შფოთვის მიზეზი ის იყო, რომ თავად გოგონა არ შფოთავდა მის გამო. შეიძლება, უბრალოდ უდროო იყო საყვარელის გამოჩენა. სწორედ იმ დღეს გამოჩნდა და შეიფარეს, როცა პოლ-დის მეცადინეობით სითუსთან კინკლაობა დამთავრდა, ერთად გავიდნენ ხალხში და ნამდვილი ოჯახით კარგადაც გაატარეს დრო. დენვერი, ასე ვთქვათ, უკვე სხვა აზრზე იყო, სითუ იცინოდა, თავად პოლ-დის მუდმივ სამუშაოს დაპირებოდნენ, 124 ნომერში კი სულები აღარ სახლობდნენ. მათი ყოფა ნელ-ნელა ადამიანურ ცხოვრებას ემსგავსებოდა, და აჲა! ქალი, წყლის სმით რომ იგუდებოდა, აკად გახდა, შეიფარეს და იმ დღიდან მოყოლებული თითოც არ გაუნძღვია.

უნდოდა, პოლ-დის საყვარელი რომ წასულიყო, მაგრამ გოგონა შინ სითუს შეეშვა, მას კი სხეისი სახლიდან ადამიანის მიბრძანება არ შეეძლო. ერთი იყო სახლიდან აჩრდილის გამევება, მაგრამ სულ სხვა გახლდათ უსუსური ფერადკანიანი გოგოს მოფრიალება, თანაც იმ მხარეში, სადაც კუ-კლუქს-კლანი ბოგინობდა. თავის ნებაზე

დანაურდობდა მდინარე ოპაიოზე შავკანიანების სისხლს საშინლად მოწყურებული ფრთოსანი ურჩხული.

იჯდა მამაკაცი ნაუახშმევს მაგიდასთან, ღეჭველა (კოცხის ღერს და ფიქრობდა, საყვარული სადმე უნდა დაკაბინავო, ქალაქში ზანგებს რჩება ვკითხო და თავისი კუთხე მოვუძებნოთ.

ამის გაფიქრება ვერ მოასწრო, რომ საყვარულს პურის პუდინგიდან ამოცლილი ქიშმიში ყელში გაეჩხირა. უკან გადაქარდა, ყელზე ხელი წაიკლო და იატაკზე გაგორუებული აქეთ-იქით აწყდებოდა. ვიდრე დენვერი ყელიდან ხელებს მოაშორებინებდა, სითუმ ზურგში ხელის ჩარტყმა მოასწრო. დაოთხილმა გოგონამ ნაჭამი ამოაღებინა და კინაღამ გაიგუდა. როცა ჩაწყნარდა, დენვერს ნარწყვი უკვე აწმენდილი ჰქონდა.

— დავიძინებ, — თქვა საყვარულმა.

— ჩემს ოთახში წამოდი, — უთხრა გოგოს დენვერმა, — იქ მოგხედავ.

უკუთხს მომენტს ვერ ინატრუბდა დენვერი. სულ იმას ჯავრობდა, საყვარული ჩემს ოთახში როგორ გადმოვიყვანოო. უმისოდ ზემოთ ვერ იძინებდა, ფიქრობდა, ისევ უად ხომ არ გახდა, ნეტავ ჩაეძინა თუ ღვიძავს, ანდა, ღმერთო, დაგვითარე და ხომ არ ადგა და ისევე ხომ არ წაეხუტა ეზოდან, როგორც მოვიდაო. დენვერის ოთახში უფრო თავისუფლად ილაპარაკებდნენ კიდეც. ღამითაც ილაპარაკებდნენ, მას შემდეგ, რაც სითესა და პოლ-დის დაეძინებოდათ, და დღისითაც, ვიდრე ეს უკანასკნელები შინ დაბრუნდებოდნენ. საამური, გადარუებული მუსაიფი... დაუმთავრუებელი წინადაღებები, ოცნებები და მცდარი შეხედულებები უფრო მეტად სწვდებოდათ გულში, ვიდრე ცხადი და სწორი შეიძლებოდა ოდესშე ჩასწვდომოდათ.

წავიდნენ თუ არა გოგონები, სითუმ მაგიდის აღაგებას მიჰყო ხელი. თეფვები წყლით სავსე ტაშტან დაახვავა.

— ასე რატომ გაღიზიანებს? — ჰკითხა ქალმა პოლ-დის.

მამაკაცმა კოპი შეიკრა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— დენვერის გამო ერთი გვარიანი დავიდარაბა გვეკონდა. ახლაც ასე უნდა ვქნათ? — გააგრძელა სითუმი.

— უბრალოდ ვერ ვხვდები, ამის უკან რა იმალება. გასაგებია, თვითონ რატომაც გებლაუჭება, მაგრამ ვერ ვიგებ, შენ რატომ ეპოტინები.

სითუმ თევზებს თავი მიანება და პოლ-დის შიუბრუნდა:

— რას დაეძებ, ვინ ვის ეპოტინება? მაგისი ჭამა პრობლემა არ არის. ცოტა მეტი მომაქვს რესტორნიდან და მორჩა. დენერისთვის კარგია თავის ტოლ გოგოსთან ერთად ყოფინა და შენ ეს იცი. მეც ვიცი, რომ იცი... პოდა, რამ გაგამწარა ასე?

— ვერ ვამბობ. უბრალოდ, ვგრძნობ.

— პოდა, მიდი, იგრძენი. იგრძენი, როგორია, როცა დასაწელი გაქვს და არავის მიჰყავხარ სიკვდილის პირას იმისთვის, რომ ეს დასაწელი დაიმსახურო. მიდი, იგრძენი და მერე უგევ თუ არ გაყოფა, ადექი და წარმოიდგინე, როგორია, როცა ფერადი კანი გაქვს, ქალი ხარ, გზა-გზა დაწანწალებ და რაც გინდა, ყველაფერი შეიძლება დაგაცხრეს თავზე. მიდი, იგრძენი.

— ვე ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი, სითუ. გუშინ არ დავბალებულვარ, არც ქალს მოუქცევოუარ ცხოვრუბაში ოდესმე ცუდად.

— შენ ხარ ერთი ვერთო, — მიახალა სითუმ.

— ორი არა?

— არა. ორი არა.

— რა დაუშავებია პალეს შენთვის? გვერდში გედგა. არასოდეს მიუტოვებიხარ.

— მე თუ არა, ვინ მიატოვა, აბა?

— არ ვიცი, მაგრამ შენ არ მიუტოვებიხარ. ასეა.

— მაშინ უარესი ქნა: შვილები მიატოვა.

— შენ არ იცი.

— იქ არ იყო. არ იყო იქ, სადაც თქვა, რომ იქნებოდა.

— იყო.

— მაშინ რატომ არ გამოჩნდა? რატომ მომიწია ბაუშვების გაშვებამ და მის საძებნელადაც დარჩენამ?

— სხვენიდან ვერ ჩამოვიდა.

— სხვენიდან? რომელი სხვენიდან?

— შენს თავზე რომ იყო. საძროხეში.

ნელა, რამდენადაც შეეძლო ნელა წავიდა სითუ მაგიდისკენ, მერე კი იკითხა:

— დაინახა?

— დაინახა.

— გითხრა?

— შენ მითხარი.

— რა?

— აქ რომ მოვედი, იმ დღეს. მითხარი, რომ რძე მოგპარუს. არ ვიცოდი, რას განიცდიდა ასე. ალბათ, მაგ ამბავს. მარტო ის ვიცოდი, რომ რაღაცამ გატეხა. შაბათ-კვირას მუშაობასა და ლამის თევაში გატარებული წლების გამო არასოდეს ჩიოდა, იმ დღეს საჯინიბოში ნანახმა წნელოვით გატეხა.

— დაინახა? — გაიმეორა სითემ, თან თითებით იდაყვებს ისე ებლაუჭებოდა, თითქოს სხვანაირად ხელებს გაშლიდა და გაფრინდებოდა.

— დაინახა. დაინახავდა.

— დაინახა, ის ბიჭები რასაც მიშვრუბოდნენ და ცოცხლები გაუშვა? დაინახა? დაინახა? დაინახა?

— მოიცა! მოიცა! მომისმინე. რაღაცას გეტყვი: ადამიანი, ვს ოხერი, ცული არაა, რომ ყოველ ოხერ-ტიალ წუთს შეშის ჭრაში, პობასა და ჩეხაში ატარებდეს. რაღაცები მის გულსაც სწერდება, ისეთი რამეები, რასაც ვერ ჩამოიჩეხს იმიტომ, რომ შიგნით აქვს.

ლამპის შექმენების წინ და უკან ბოლთას სცემდა სითუ.

— იმან, ვინც ერთმანეთთან ფარულად გვაკაუშირებდა, თქვა, კვირადლისთვისო. რძე წამართვეს, ის კი ხედავდა ამას და ძირს არ ჩამოვიდა? კვირადლე დადგა, ის კი არ ჩანდა. ორშაბათოც დადგა, მაგრამ სად იყო ჰალე. ვიფიქრუ კიდეც, მოკვდა და ამიტომ არ მოვიდა-მეთქი. მერუ ვიფიქრუ, დაიჭირუს და ამიტომ არ მოვიდა-მეთქი. მერუ ვიფიქრუ, არა, არ მომკვდარა, მკვდარი რომ იყოს, გავიგებდი-მეთქი. მერუ ამდენი ხნის შემდეგ შენც მოხვედი და არ გითქვამს, რომ მკვდარი იყო, იმიტომ, რომ არც შენ იცოდი. ჰოდა, მეც ვიფიქრუ, კეთილი, უბრალოდ უკეთესი ცხოვრება უნახავს და უვ არის-მეთქი — სადმე ახლომახლო რომ ყოფილიყო, ჩემთან თუ არა, ბეიბი საგზაურო მაინც მოვიდოდა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ყველაფერი დაინახა.

— ახლა მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს?

— თუ ცოცხალია და რაც იქ იყო, დაინახა, ჩემს ზღურბლზე ფეხს ვერ გადმოადგამს. ჰალე ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოდგამს.

— ნანახმა გატეხა, სითუ, — თქვა ჰოლ-დიმ, ქალს ახედა და ამოიოხრა, — იმის უფლებაც გაქვს, რომ ყველაფერი იცოდე. ბოლოს

რომ ვნახე, კარაქის სადღვებთან იჯდა და მთელ სახეზე კარაქი ესვა.

მადლიერი იყო სითუ იმისთვის, რომ პოლ-დისთან ასეთ საუბარს არაფერი მოჰყოლია. ჩვეულებრივ სულ ადვილად წარმოიდგენდა ხოლმე იმას, რასაც უყვებოდნენ, მაგრამ იმის წარმოდგენა, რასაც პოლ-დი ამბობდა, არ შეეძლო. თავში არაფერი მოსდიოდა, მერე კი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დასვა ერთი სამართლიანი კითხვა:

- რა თქვა?
- არაფერი.
- ერთი სიტყვაც არა?
- ერთი სიტყვაც არა.
- ელაპარაკე? მისთვის არაფერი გითქვამს? რამე მაინც თუ უთხარი?
- ვერ ვუთხარი, სითუ. უბრალოდ ვერ ვუთხარი...
- როგორ!
- პირში ლაგამი მქონდა ამოდებული.

სითუმ შემოსასვლელი კარი გააღო და ვერანდის საფეხურებზე ჩამოჯდა. იმ დღეს ისე შებინდდა, რომ მზე ერთხელაც არ გამოჩენილა ცარგვალზე, მაგრამ მოშორებით მინდორში გაზრდილი ხეების შავ სილუეტებს ჯერ კიდევ არჩევდა სითუ. თავს აქეთ-იქით აქნევდა და ნელ-ნელა თავის მეამბოხე გონებას ემორჩილებოდა. რატომ არ შეუძლო ამ გონებას რაიმეს უარყოფა? რატომ არ იყო მიუღებელი მისთვის არც ტანჯვა-წამება, არც მწუხარება და არც მეტისმეტად დიდი უზნეობები, რომლებიც შეუძლებელი იყო, არ უკუგებო? გაუმაძლარი ბავშვით ეტანებოდა სითუს გონება ყველაფერს. ნუთუ ერთხელ მაინც არ შეუძლო მის გონებას ეთქვა, არა, გმადლობთ, ეს-ეს არის, გეახელით და მეტად ლუკმასაც ვერ გადავყლაპაკო? ჯანდაბა, ყელში მყავს ეს ორი ბიჭი და მათი ჩაშავებული კბილები... ერთი ძუძუს მწოვს, მეორე მაკავებს, მათი მწიგნობარი მასწავლებელი კი გვიყურებს და ყველაფერს იწერს. ჯერაც ყელში მყვანან და მეტის გახსენება აღარ მინდა. ახლა კიდევ ჩემი ქმარი... სულ ახლოსაა, ზის სხვენში ჩემს თავზე და ყველაფერს უყურებს, თან ფიქრობს, ერთადერთი აქ თუ არავინ მომძებნისო... ზის და დასჩერებია იმას, რასაც მეც კი ვერ ვუყურებდი. ხელს არ უშლის. ამ ამბის გაგრძელების უფლებას აძლევს, მაგრამ ჩემი გაუმაძლარი გონება

ამბობს, გმადლობთ გმადლობთ, კიდევ მინდა. და აი, ისიც... კიდევ. დაიწყება და გაჩერებას საშუალი არ ადგება. აგერ ჩემი ქმარიც ლარენისტულა სადლვებელთან და კარაქიან, ჩუმა-მაწვნიანად ყველაფერს მოუღლ სახეზე ითხაპნის... რძე რომ წამართვეს, თუში ის უტრიალებს და იძიტომ. რადგან ასე ჯურობს, ცასა და ქვეყანას ეცოდინება ეს ამბავი. მაშინ ასე თუ გატყდა, ახლა უეჭველად მკვდარი იქნება. და თუ პოლ-დიმაც ნახა და ვერც უშველა, ვერც ანუგეშა, რადგან პირში ლაგამი ჰქონდა, მაშინ არის კიდევ რაღაც, რაც მეც ვერ შითხრა პოლ-დიმ, ჩემი გონება კი ძველებურად გააგრძელებს, კიდევ და კიდევ მოიმარაგებს საზრდოს და ერთხელაც არ იტყვის, არა, გმადლობთო. არც რამის ცოდნა მინდა, არც ის მინდა, გასახსენებელი მქონდეს რამე. სხვა საქმეებიც მაქვს, მაგალითად, დარღიხულინდელ დღეზე, დენვერზე, საყვარელზე, ასაკსა და აუდმყოფობაზე, სიყვარელზე რომ არაფერი ვთქვა.

არადა, რომ არ ჰქონდა სითხეს გონებას მომავლის ჯური. წარსულით დამძიმებულსა და მოგონებებს დახარბებულ ტვინში იმის ადგილიც აღარ იყო, რომ სითხეს მეორე დღის სურათი წარმოედგინა, ვეგმის დაწყობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ახლაც ზუსტად ისე იყო, როგორც მაშინ, შუადღისას ჭლაკვში რომ აღმოჩნდა და ეჩვენებოდა, რომ მთელი მომავალი კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯით თუ შემოიფარგლებოდა. ვიღაცები ასეთ დროს გიჟდებოდნენ. მაშ, სითხეს რა სჭირდა? ვიღაცის ტვინი ამ დროს გაჩერდებოდა, მერე ადგებოდა და ახალ სანახებს მიაშურებდა, აღბათ, როგორც ჰალეს დაემართა, ისე. თან რა საამო იქნებოდა: უწინდებურად ჩაცუცქდებოდნენ ორნი სადლვებელთან საქონლის საწველი ჩამოხურულის უკან და ცვე, კოშტებიან კარაქს ისე წაიგლესდნენ სახეზე, რომ ქვეყნის გულზე არავინ და არაფერი გაახსენდებოდათ ხელით მოსრულდნენ სლიპინა, წებოუნ კარაქს და თმაში შეიზელდნენ. არც ის გამორჩებოდათ, თითებს შორის როგორ გაასხამდა ცხიმიანი მასა. რამოდენა შვება იქნება, ყველაფერი ახლავე რომ დამთავრდეს, დაიხუროს, ჩაიკეტოს. კარაქს მოვჭყლეტო... არადა, თპაიოსკენ მიმავალი მისი სამი პატარა საბნის ქვეშ შაქრიან წყალში დასველებულ ჩვარს ძუძუსთვის ლოღნის და ამას ვერანაირი კარაქით თვის შექცევა ვერ შეცვლის.

კარში პოლ-დიც გაუიდა და მხარზე შეჭრ სითხეს.

- შენთვის ამის მოყოლა არ მიუიქრია.
- მე ამის მოსმენა არ მიუიქრია.
- ნათქვამს უკან ვეღარ წავიდებ, მაგრამ შემიძლია, ამაზე აღარ ვიღაპარაკო, — თქვა პოლ-დიმ.

„უნდა, რომ მომიყვეს, — გაიფიქრა ქალბა, — უნდა, რომ ვკითხო, როგორია, როცა ენაზე რკინის ლაგამი გადევს და გადაფურთხება ისე ძალიან გინდა, რომ გეტირება“. წინასწარ იცოდა სითქმ, რასაც უპასუხებდა პოლ-დი. იქ, სადაც „საყვარელ სახლამდე“ ჰყავდათ, არაერთხელ ენახა პირში ლაგამამოდებული კაცები, ბიჭები, პატარა გოგონებიც და ქალებიც. დაქაჩივდნენ თუ არა ტუჩებზე, მაშინვე ჩაუდგებოდათ ხოლმე თვალებში ენით აუწერული სიგიუე. მერჯ ლაგამს რომ მოხსნიდნენ, გადიოდა რაღაც დრო და ტუჩის კუთხეებში ბატის ქონს იზელდნენ ხოლმე, მაგრამ მტკიცან ენას ვერაფერი აამებდა, ვერც თვალებში ჩამდგარ სიგიუეს მოუხერხებდი რამეს.

სითქმ პოლ-დის ახედა. უნდოდა, დაენახა, შერჩენოდა თუ არა ამ კაცს თვალებში განცდილის რაიმე კვალი.

— ხალხს, რომელიც პატარაობაში ლაგმით მინახავს, მერჯ ყოველთვის შეშინებული გამომეტყველება ჰქონდა. რისთვისაც უნდა დაესაჯათ ადამიანი ასე, მიზანს ვერ მიაღწევდნენ იმიტომ, რომ იმათაც კი შეუძლებოდათ ხოლმე სახე, ვისაც მანამდე ასეთი არაფერი სჭირდა. გიყურებ და მსგავსს ვერაფერს ვხედავ სიგიუე საერთოდ არ არის შენს თვალებში.

— თვალებში სიგიუე შეიძლება ჩადგეს. შეიძლება გაქრეს კიდეც თვალებიდან. ერთიც გამოცდილი მაქვს, მეორეც და ჯერაც ვერ გამირჩევია, რომელი რომელზე უარესია, — მიუგო სითქმ პოლ-დიმ და მის გვერდით ჩამოჯდა. სითქმაც შექვედა პოლ-დის. უყურებდა გაუნათებლად დაღამებული დღის სინათლეში მამაკაცის ბრინჯაოსფრად გარუჯულ, გაღეულ სახეს და იგრძნო, რომ გული მოულბა.

— გინდა მომიყვე? — ჰკითხა სითქმ პოლ-დის.

— არ ვიცი. არასოდეს მომიყოლია. არც ერთი სულიერისთვის. ზოგჯერ ვმღეროდი, მაგრამ თქმით არავისთვის მითქვამს.

— მიდი. მოგისმენ.

— შეიძლება. შეიძლება, მომისმინო, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ მოყოლას შევძლებ, ისე მოყოლას, როგორც იყო, რადგან მთავარი ამ ამბავში ლაგამი არ ყოფილა. არა.

— აბა, რა იყო? — იკითხა სიოუმ.

— მამლები, — მიუგო პოლ-დიმ, — ჩავუვლიდი ხოლმე მამლებს და ეჯყურუბდი, როგორ მიყურუბდნენ.

სიოუ კაელიძა.

— ფაჭვზე შემომსხდრუბი?

— ჰო. — გაელიძა პოლ-დისაც. — ასე ხუთნი შემოსხდებოდნენ ხოლმე ტოტებზე მათ გარდა, სულ ცოტა, თხუთმეტი დედალიც იყო.

— მისტერიც?

— მაშინვე არა, მაგრამ სანამ მაგასაც დავინახავდი, ოცი ნაბიჯიც არ მექნებოდა გადადგმული. ლობის სარიდან ჩამოფრინდა და გეჯაზე ჩამოჯდა.

— მოსწონდა ეს გეჯა, — თქვა სიოუმ და თან გაიფიქრა, ახლა კი მოგონებებს საშველი დიდხანს არ დაადგებაო.

— მართლა? სამეფო ტახტით იჯდა ხოლმე ზედ? იცი, მე გამოვიყვანე ნაჭეჭიდან. მე რომ არა, მკედარი იქნებოდა. კრუხს გამოჩეკილი წინილები კუდში გამოება და საბუდარი მიეტოვებინა. ერთადერთი კვერცხი იყო დარჩენილი. გალავებულს პგავდა, მაგრამ შევნიშნე, რომ შიგნით რაღაც მოძრაობდა, დაკაკაკუნე, გამოვტოვ და მისტერიც დაიბადა. არც ფეხი უვარებოდა, არც თვი. ეხედავდი, როგორ იზრდებოდა ის ძალლიშვილი და ყველაფერს ჩაგრავდა, რაც კი ეზოში დადიოდა.

— ყოველთვის საზიზლარი იყო, — თქვა სიოუმ.

— ჰო, გვარიანი საზიზლარი ვინმე იყო, სასტიკიც და ბოროტიც. დაყანყალებდა მოკაკულ ფეხებზე. ჩემი ხელისოდენა ბიბილო პქონდა, თან რაღაცნაირი წითელი. იჯდა იმ გეჯაზე და მიყურუბდა. გეფიცები, ილიმებოდა. ცოტა ხნის წინ მყავდა ნანახი პალე და თუში სულ მასზე ფიქრი მიტრიალებდა. ლაგმის დარღიც კი არ მქონდა. ჯერ სიქსო... მერე პალე... მერე ის მამალიც დავინახე და მოვხედი, რომ მეც მათნაირი ვიყავი. მარტო ისინი კი არ იყენენ ერთ ბედქვეშ. მეც მათნაირი ბედი მქონდა. ერთი შეიშალა, მეორე გაყიდეს, მესამე დაიკარგა, მეოთხე დაწვეს, ჩემთვის კი, უკანასკნელი მამაკაცისთვის „საყვარელი სახლიდან“, ხელები ზურგს უკან გაეკოჭათ და ისლა დამრჩენოდა, პირში გაჩრიდი რეინა ენით მელოკა. ისეთი თვისუფალი ჩანდა მისტერი, ჩემზე უფრო თვისუფალი, ჩემზე

ძლიერიცა და უფრო ამტანიცა. ძაღლიშვილი თავისით ნაჭუჭიდანაც კი კურ გამოძერა, მაგრამ მაინც მეფე იყო, მე კი..., — პოლ-დი გაჩუმდა და მარცხენა ხელი მარჯვენაზე მოიჭირა. კარგა ხანს ასე იჯდა, მერე კი, როცა აშლილი გრძნობები დაცხრა, მოყოლა ისევ შეძლო, — მისტერს უფლება ჰქონდა, იმად დარჩენილიყო, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა, სამაგიეროდ მე არ მქონდა უფლება, ვყოფილიყავი ის, რაც ვიყავი. მისთვის ხელიც რომ დამვალო და ქვაბში ჩამეძახებინა, ცეცხლზე შემოდგმულიც ძველებურად მისტერ მამალი იქნებოდა, აი, მე კი, ცოცხალი თუ მკვდარი, კურაფრით გუხდებოდი ოდესმე უწინდევლი პოლ-დი. სკოლის მასწავლებელმა შემცვალა ასე. სხვა ვინმე გუხდი და ეს სხვა გაცილებით უსუსური იყო, ვიდრე შეისგულზე გეჯაზე შემომჯდარი ყვინჩილა.

სითუმ მამაკაცს მუხლზე ხელი გადაუსვა.

მხოლოდ დაწყეო პოლ-დის მოყოლა, ის, რაც უკვე ეთქვა, სათქმელის მხოლოდ დასაწყისი იყო, როცა სითუ თითუბით მუხლზე ნაზად შევხო და გააჩერა. მით უკუთესი. მით უკუთესი. მეტის თქმით შეიძლებოდა, ორივენი მოუსავლეთში დაკარგულიყვნენ. იმას, რაც უთქმელი დარჩა, პოლ-დი იქ შეინახავდა, სადაც ჯერი იყო, მკერდში ჩამალულ თუნუქის სათუთუნეში, სადაც ოდესლაც მისი აგიზგიზებული გული ძგერდა. ჩაუანგული ხუფი ჰქონდა თუნუქის სათუთუნეს. არა, ახლა, ამ სანდომიანი და შეუპოვარი ქალის თვალწინ არ ჩაყოფდა შიგნით პოლ-დი ცხვირს — შერცხვებოდა, მისი შიგთავსის სუნი რომ სცემოდა სითეს. ესეც რომ არა, გული ეტკინებოდა სითეს, თუკი მიხვდებოდა, რომ პოლ-დის მკერდში სულაც არ ძგერდა მისტერის ბიბილოსავით გიზგიზა წითელი გული.

სითუ კი უზელდა და უზელდა მუხლს, მაგრად აწვებოდა გაქვავებულ ოღროჩოლრო მუხლებზე შემოკრული სამუშაო ტანსაცმლის ქსოვილს. იმედი ჰქონდა, რომ პოლ-დისაც ისე გაუადვილდებოდა ამით დამშვიდება, როგორც თავად უადვილდებოდა. ისე უზელდა მუხლს პოლ-დის, როგორც რესტორნის ნახევრად განათებულ სამზარეულოში დიდრონი სარძევების უკან, ოდნავ მარცხნივ, ცომავდა ხოლმე შეარეულის მოსვლამდე პურს. ვიწრო ოთახი იყო. სიგანეზე ერთ მერხი თუ გაიმართებოდა, მეტი არა. სითუ კი ზელდა ცომს. ზელდა და ზელდა. უკეთესს რას მოიფიქრებდი მძიმე სამუშაო დღის დაწყებამდე საკუთარი წარსულის მოსაგერიებლად.

საყვარელი ზემოთ იყო და ცეკვუდა. მოკლი ტუსტეპი, ტუსტეპი, კიდევ ერთი ნაბიჯი, სრიალი, სრიალი და ბოლოს მეღილური გულა-გამრევლა.

ამასობაში დენვერი საწოლზე იჯდა და საცეკვაო ნომერს მუსიკალურად აფორშებდა.

არასოდეს ენახა საყვარელი ასეთი ბედნიერი. ბევრჯერ ენახა, როგორ დაატეჩენდა ხოლმე დიდრონ პირს ტკბილეულით თუ დენვერის ნაამბობი რაიმე ახალი ამბით ნაამები საყვარელი. გრძნობდა ხოლმე, როგორ ასხოვებდა გოგონას სხეული უსაზღვრო კმაყოფილებას, როცა დედამისი ძველ-ძველ ამბებზე ელაპარაკებოდა, მაგრამ მხიარულება არასოდეს შეენიშნა დენვერს საყვარელის სახეზე. ათი წუთიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც თვალებდაკარკლული გოგონა იატაკზე გადაჭარდა, ყელზე ხელებს იჭრდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. მერე რამდენიმე წამი დენვერის ოთახშიც იწვა, ახლა კი ფეხზე წამომხტარიყო და ცეკვუდა.

— ცეკვა სად ისწავლე? — ჰკითხა საყვარელს დენვერმა.

— არსად. შემხედე, როგორ ვაკეთებ, — საყვარელმა მჯიდები თუ-ძოებზე შემოიწყო და ფეხშიშველა კუნტრუშს მოპყა, მისი შემყურე დენვერი კი იცინოდა.

— ახლა შენი ჯერია. მიდი. მიდი. შენც შევიძლია, — თქვა საყვარელმა, თან ოთახში დახტოდა და შავ ქვედაკაბას აქეთ-იქით და-აფრიალებდა.

დენვერი საწოლიდან წამოდგა და ხელ-ფეხი ყინულით გაუციდა. იცოდა, რომ ორი საყვარელისხელა იყო, მაგრამ მაინც აიმჩატა თვეი. თოვლის ფანტელით ციფი და ფარატინა იყო იმწუთას დენვერი.

გოგონამ ცალი ხელით დენვერის ხელი აიღო, მეორე კი მხარზე დაადო და ასე ცეკვაუდნენ და ცეკვაუდნენ პაწაწინა ოთახში. არ ვიცი, თვებრუსხვევის თუ ერთმანეთზე გადაბმული სიცოვისა და სიმსუბუქის ბრალი იყო, მაგრამ დენვერი კი გიურით იცინოდა და იცინოდა. მის გადამდებ სიცილს საყვარელიც უმაღლ აპყა. თამაშს შეყოლიებული კნუტებით წინ და უკან იქამდე ტრიალებდნენ, ვიდრე ქანცგაცლილები იატაკზე არ დაეჭარნენ. სანამ სულს მოითქვამდა, საყვარელმა თვეი უკან გადააგდო და საწოლის კიდეს მიეყრდნო, დენვერმა კი ისეთი რამის ბოლო დაინახა, რასაც თვეიდან ბოლომ-

დე ყოველთვის მაშინ ხედავდა, როცა გოგონა ძილის წინ ტანხეე
იხდიდა ხოლმე. ისე, რომ სტუმრისთვის თვალი არ მოუკიდებია,
დენვერმა პკითხა:

— რატომ ეძახი შენს თუ საყვარელს?

საყვარელმა თვალები დახუჭა და უთხრა:

— წყვდიადში მქვია საყვარელი.

დენვერი ერთბაშად მიუჩოჩდა საყვარელს და ისევ პკითხა:

— როგორია ის ადგილი, სადაც აქამდე იყავი? შეჯიძლია, მო-
მიყვე?

— ბნელა. იქ აი, ასეთი პატარა ვარ, — თქვა საყვარელმა, საწო-
ლიდან თუ აიღო, იატაკზე გვერდულად დაწეს და მოიკუნტა. დენ-
ვერმა კი პირზე ხელი აიტარა.

— გციოდა?

საყვარელი კიდევ უფრო მოიკუნტა და თუ გააქნია.

— მცხელოდა. არც პაერი იყო, რომ მესუნთქა, არც გასანძრევი
ადგილი.

— ვინმე ნახე?

— ბევრი. იქ უთვალავი ხალხია. ზოგი მკვდარია.

— იქსო ნახე? ბეიბი საგზი?

— არ ვიცი. სახელები არ ვიცი, — თქვა საყვარელმა და წამოჯდა.

— მითხარი, აქ როგორ აღმოჩნდი?

— ვიცდიდი. მერე ხიდზე ამოვყავი თუ დღედაღამ იქ ვიყავი.
დიდხანს იყო ასე.

— ამდენ ხანს სულ ხიდზე იყავი?

— არა. მერე. როცა გამოვაღწიე.

— რისთვის დაბრუნდი?

საყვარელმა გაიღიმა.

— მისი სახე რომ დამენახა.

— დედას სახე? სითესი?

— ჰო, სითესი.

ცოტათი ქწყინა დენვერს, არაფრად რომ არ ჩააგდეს. ქწყინა, საყ-
ვარელის დაბრუნების მთავარი მიზეზი თვალი რომ არ გახლდათ

— არ გახსოვს, ერთად რომ ვთამაშობდით მდინარესთან?

— მე ხიდზე ვიყავი, — თქვა საყვარელმა, — ხიდზე დამინახე?

— არა, მდინარესთან, უკან რომ ჩამოდის, ტყეში.

— თორ, წყალში ვიყვავი. იქიდან დაკინახე მაგიხი ბრილიანტები, ხელიც შემეძლო მოძევიდა.

— რამ დაგიძალა?

— არ წამიყვანა. დამტოვა. — თქვა ხადვარულმა და დენვერისთვის თვალი თვალში რომ გაეცარა, ზემოთ აიხედა. კოპიც შეკრა. შეიძლება, შეკრა. შეიძლება არც შეცკრავს. შეიძლება ასე ციცქანა ნაიარევების გამო ჩანდა, შებლზე რომ პქრინდა.

დენვერმა ნერწყვი გადაყლაპა და თქვა:

— არა. არა. არ მიგვატრუკებ, არა?

— არა. არასოდეს. მე აქა ვარ.

უკრად ფეხმორთხმული დენვერი წინ დაიხარა და საყვარულს მაჯაში წაუკლო ხელი:

— არ უთხრა. არ გააგებინო დედას, ვინ ხარ. გთხოვ. გესმის?

— ჭკუას ნუ მასწავლი. არასოდეს, არასოდეს მასწავლი ჭკუა.

— მაგრამ მე ხომ შენს მხარეზე ვარ, საყვარულო.

— მარტო ის. მარტო ის მჭირდება. შენ თუ გინდა, წადი, მაგრამ ის მე უნდა მყავდეს, — უსაშველოდ გაუფართოვდა უკუნ ღამესაუით შავი თვალები საყვარულს.

— შენთვის არაფერი დამიშავებია. არასოდეს მიწყენინებია. არასოდეს მიწყენინებია ვინმესთვის, — თქვა დენვერმა.

— არც მე. არც მე.

— რას აპირებ?

— აქ დარჩენას. მე აქაური ვარ.

— მეც აქაური ვარ.

— დარჩი მერე, მაგრამ ჭკუა არასოდეს მასწავლო. არასოდეს მოიქცე ასე.

— მე და შენ ვცეკვავდით სულ ერთი წუთის წინ ერთად ვცეკვავდით მოდი...

— არ მინდა, — მოუჭრა დენვერს საყვარულმა, მერე ფეხზე წამოდგა და საწოლზე დაწვა. შეშინებული ჩიტებივით ხმაურით აწყდებოდა ოთახის კედლებს ჩამოწოლილი სიჩუმე. ბოლოს, როცა აუტანელი დანაკლისის მოლოდინში აქოშინებულ დენვერს სუნთქვა ჩაუწყინარდა, საყვარულმა თავად წამოიწყო:

— მომიყვავი. მომიყვავი, როგორ გაგაჩინა ნაკში სითუმ.

— თავიდან ბოლომდე ჩემთვის არასოდეს მოუყოლია.

— მომიყვავი.

დენგური თავადაც აბობლდა საწოლზე და წინსაფრის ქვეშ ხელები ერთმანეთს გადააჭდო. ბზებს შორის ძიგნებულ თავშესაფარში მას შემდგა არ ყოფილიყო, რაც კარნაჟალიდან დაბრუნებულებს ძირკვზე მიყუდებული საყვარელი ეპოქათ ამ დრომდე იქაურობა არც გახსენებია. არაფერი შუღლებოდა იქ ისეთი, რასაც ახალი დაქალისგან დაუნანებლად იღებდა. საყვარელის გვერდით აქამდე არც გულის აჩქროლება და ფაცაფუცი დაპკლებია, არც ოცნებებში ფრუნა. არც თანატოლის საზოგადოება, არც ფათურაკები და არც სილამაზე. კიდევ ორჯერ გადაყლაპა ნერწყვი სასოწარკეეთოლმა დენგერმა და მოსაყოლად მოემზადა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბებისგან, მთელი ცხოვრება რომ ესმოდა, საყვარელის დასაჭური ბადის მოსაქსოვად მოემზადა.

— ამბობდა, მარჯვე ხელები ჰქონდაო. ამბობდა, თეთრკანიან გოგოს წერილი მკლავები ჰქონდა, მაგრამ ხელები — მარჯვეო. მაშინვე შეუამჩნიეო, ამბობდა. ამბობდა, მარჯვე ხელები ჰქონდა და თავზე ხუთი ადამიანის სამყოფი თმა ეზრდებოდაო. მგონი, ამ ხელებმა აფიქრებინა, რომ შეეძლო ჩემთან ერთად მდინარეზე გადასულიყო. შიში რომ არ ჰქონდა, იმ გოგოს პირის ბრალი იყო. ამბობდა, თეთრკანიანებთან საქმის დაჭურა არაფრის გამო არ შეიძლებაო. არ იცი, რაზე ახტებიან და დახტებიან. ამბობენ ერთს და მეორეს აკეთებენ, მაგრამ ზოგჯერ ადამიანს პირზე თუ შეხედავ, შეიძლება მიხვდე, ვინ არის. ამბობდა, გაუთავებლად ლაპარაკობდა, მაგრამ პირი უნამუსო ადამიანისას არ უგავდაო. დედა ჩამოხურულში მიიყვანა და ფეხები დაუზილა. ასე... თან დედა დარწმუნებული იყო, რომ ის გოგო არ გასცემდა. გაქცეულს თავის პატრონს თუ გადასცემდი, შევეძლო, ფული გაგეკეთებინა და დედასაც, განსაკუთრებით იმ ყველაფრის შემდგა, რაც ემიმ ხავერდის შეძენაზე უთხრა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იმ გოგოს, ემის, თუ რამე სჭირდებოდა, ეს ყველაზე მეტად ფული იყო.

— ხავერდი რა არის?

— სქელი, რბილი ქსოვილია.

— გააგრძელე.

— ასე იყო თუ ისე, დედა ამბობდა, იმ გოგოს მისთვის ფეხები მდენ ხანს უზელია, სანამ შევრძნება არ დაპბრუნებია და ტკოი-

ლისგან ტირილი არ დაუწევია. ისიც კი უფრიქრია, რომ გზის გაგრძელებას და იქამდე მისვლას შეძლებდა, სადაც ბებია ბები საგზი იყო და....

- ვა ვინ არის?
- ამწუთას ვთქვი. ბებიაჩემი.
- სითუს დედა?
- არა. მამაჩემის.
- გააგრძელე.

— დანარჩენებიც იქ იყვნენ. ჩემი ძმები და... პატარა გოგონა. ჯერ ისინი გაგზავნა, რომ ბებია ბებისთან დალოდებოდნენ. ყველაფრისთვის უნდა გაეძლო, ოლონდ კი იქამდე მიეღწია. პოდა, ეს გოგო, ემი ქმარუბოდა.

დენვერმა მოყოლა შეწყვიტა და ამოიოხრა. ის, რაც ახლა უნდა მოეყოლა, დედამისის თავგადასაცლიდან ყველაზე მეტად მოსწონდა. მოსწონდა იმიტომ, რომ მას ქებოდა, თუმცა ეჯავრუბოდა კიდეც, რადგან ამ ამბების გამო თავს ისე გრძნობდა, თითქოს სადღაც თამასუქი იყო ჩასასესხებელი და ეს მას, მხოლოდ დენვერს ქებოდა. არადა, ვერაფრით გავვო, ვისი მართებდა, რითი უნდა გაესტუმრებინა. უყურუბდა დენვერი საყვარულის ხარბსა და განგაშიან სახეს, ხედავდა, როგორ ისრუტავდა საყვარული ყოველ სიტყვას, როგორ იძიებდა სხვადასხვა საგნის ფერსა და ზომას, როგორ დაუფარავად ცდილობდა ყველაფრის გაგებას და ცხადად დაუდგა თვალწინ, ყველაფერი, რასაც თავად უყენებოდა. აი, თვისებე ერთი წლით უფროსი, ცხრამეტი წლის მონა ქალიც წარმოიდგინა, შორს, შვილებთან მისასელელად ულრან ტყეში რომ მიიკვლევს გზას. შეიძლება, დალლილია, ეშინია, შეიძლება, შეიძლება გზაც აებნა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ სულ მარტოა, სხეულით კი კიდევ ერთ პატარას ატარებს, რომელზეც ასევე უნდა იფიქროს. უკან ძალლები მოჰყენებიან, ალბათ, ალბათ, — თოფიანებიც. რა თქმა უნდა, ისინიც იქნებიან, ჩაშავებული კბილები რომ აქვთ ღამე ისე ძალიან არ ეშინია, ღამისფერია თვითონაც და იმიტომ, მაგრამ დღისით ყველანაირი ხმაური სროლის ხმა ან მდევრის ჩუმი ნაბიჯები პგონია.

საყვარულში ხედავდა და გრძნობდა ახლა ყველაფერს დენვერი. ისე გრძნობდა, როგორც დედამისის უნდა ურმნო, ისე აღიქვამდა, როგორც დედამისის უნდა აღექვა და რაც უფრო მეტი წერილმანი

აგონდებოდა, რაც უფრო მეტს ჰყვებოდა წვრილმანებზე, მით უფრო მოსწონდა საყვარელს მისი ნამბობი. წინასწარ ხედებოდა დენვერი, რასაც პკითხავდა საყვარელი და უნთებდა და უნთებდა ცეცხლს, გზნებას უმატებდა დედისა და ბების მონაყოლს. სინამდვილეში მონოლოგი დუეტად იქცა. იწვნენ ორნი ერთ საწოლზე და დენვერიც ისე კვებავდა საყვარელის ცხოველ ინტერუსს, როგორც მიჯნური, რომელიც ერთ სიამოუნებას ნახულობს, თუკი სატრფოს ძალზე გამოაძლებს. ჩაუამებული დალიანდაგებული საბანიც აქვე იყო, ზედ ორი ნარინჯისფერი ნაკუწი რომ დაეკურებინათ — საყვარელს უნდოდა, ძილში ახლოს პქონდა ეს საბანი. ბალახის სუნი პქონდა საბანს, შეხებისას კი ხელებს მოგაგონებდათ, მოუცლელი ქალის ნაჯაფ-ნაშრომ ხელებს, გამომშრალს, თბილსა და ჩხვლეტიას. დენვერი ლაპარაკობდა, საყვარელი კი ისმენდა და ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ, რომ აღედგინათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა, ის, რაც სინამდვილეში იყო, ის, რაც მხოლოდ სითემ იცოდა, მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა და გადაესხვაფერებინა. მხოლოდ მან იცოდა, როგორი ხმა ამოსდიოდა ემის, როგორ პგავდა მისი სუნთქვა ცეცხლმოდებული ხეების ტკაცატკუცს. მარტო სითემ იცოდა, როგორ ხშირად იცვლებოდა დარი იმ გორაკებში, როგორ გრილოდა ღამით, დღისით როგორ გრილოდა და როგორ ჩამოწვებოდა ხოლმე უცაბედი ნისლი. მარტო მან იცოდა, რამდენად უგუნურად მოიქცა იმ თეთრკანიან გოგოსთან. უიმედობისგან იყო წარმომდგარი უგუნურება, რომელიც ჯერ ემის მკვირცხლმა თვალებმა, მერე კი მისმა კეთილმა პირმაც წააქეზა.

— ამ გორაკებში არაფერი გესაქმებათ, მის.

— დახეთ ერთი, ვინ ლაპარაკობს. შენზე უფრო მეტად მე მესაქმება. დაგიჭურენ და თავსაც მოგაჭრიან. მე არავინ მომდევს, მაგრამ ვიცი, რომ შენ მოგდევენ, — თქვა ემიმ და თან მონა ქალს ფეხისგულებზე თითებით მაგრად დააწევა, — ევ ბავშვი ვისია? — სითეს პასუხი არ გაუცია, — არც კი იცი. ღმერთო, გადმოგვზედე, — ამოიოხრა ემიმ და თავი გადააქნია, — გტკვა?

— ოდნავ.

— მასე ჯობია. რაც უფრო გტკვა, მით უკუთუსი. ტკოვილის გარეშე არაფერი იკურნება. რას ცმუკავ?

სითუ იდაყვებს დაუყრდნო და წამოიწია. ამდენ ხანს გულალმა წოლისგან ბეჭებს შორის ცეცხლი ედებოდა. ტერფები და ზურგი უკარგარებდა და ოფლი ასხამდა.

— ზურგი მტკოუა, — თქვა სითუმ.

— ზურგი? გადავირიე. აქეთ გადმობრუნდი და შემახედე.

მარჯვენა გვერდზე ძლივძლივობით გადაბრუნებულ სითუს გული აერია. ემიმ ზურგზე კაბის შესაკრავები გაუხსნა, ნანახისგან, ღმერთო, გადმოგვხედეო, აღმოხდა და დადუმდა. სითუ მიხვდა, რომ საქმე ცუდად უნდა ყოფილიყო, რადგან ემის ერთხანს ხმა არ ამოულია. იდგა უცწაურად დამუნჯებული და სითუც, ადგილიდან რომ ვერ იძვროდა, მისი მარჯვე ხელის თითების მსუბუქ შეხებას გრძნობდა ზურგზე. ესმოდა სითუს ემის სუნთქვის ჩქამი, მაგრამ თქმით არა-ფერს ამბობდა თუთოკანიანი გოგო. არც მუცელზე შეეძლო დაწილა სითუს, არც ზურგზე, გვერდულად გაჩერება კი კიდევ უფრო სტკენდა ისედაც მტკოუან ფეხებს. ბოლოს და ბოლოს, ამოილო ემიმ ხმა, გრძნეულს რომ მიუგავდა.

— ხე არის, ლუ. შოთხვია. ნახე, ტანი. წითელია და დიდზე იშლება. ცოცხალია. აგე, ტოტები საიდან წაყება. ბლომად ტოტები გაქვს. ფოთლებიც, ჰვავს ფოთლებს და ჯანდაბა ჩემს თვეს, ეს თუ ყვავილები არ იყოს. შოთხვის ერთი ციცქნა ყვავილები, ისეთოვე თუთოი. ზურგზე მთელი ხე გაქვს, აყვავებული ხე. ნეტავ რას ფიქრობდა ღმერთი. მე თვითონაც მამათრახებდნენ, მაგრამ ასეთი არა-ფერი მახსენდება. მისტერ ბადისაც გვარიანი მწარე ხელი ჰქონდა, გაგშოლტავდა, თვალს თუ გაუსწორებდი, აუცილებლად გაგშოლტავდა. ერთხელ გავუსწორე თვალი და რომ მომიტრიალდა, ცეცხლის საჩხრეკი მესროლა. ალბათ, მიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

სითუმ ამოიგმინა და ემიმაც რაღაცების თხზვას ერთბაშად მიანება თვეი, ამასობაში კი ფოთლებით დაფარულ ქვებზე სითუსთვის ფეხები ისე დაელაგებინა, რომ მთელი სიმძიმე მუხლებს ზემოთ ყოფილიყო გადატანილი.

— ასე ჯობია? უფალო, სიკვდილიც ასეთი უნდა. იცი, მოკვდები აქ. სხვა გზა არაა. მადლობა უთხარი შემოქმედს, მე რომ გამოუნდი და გარეთ, სარუველებში სიკვდილმა რომ არ მოგიწია. გველი გამოვიდოდა და დაგკბენდა. დათვი შეგჭამდა. იქნებ უნდა დარჩენილიყავი, საღაც იყავი, ლუ. შენი ზურგით ვხვდები, რატომაც არ

დარჩი. ჰა-ჰა-ჰა! ვისი დარგულიც უნდა იყოს ეს ხე, მისტერ ბადი რას შეუდრუბა. კიდევ კარგი, მე არა ვარ შენს ადგილზე. კარგი, შემიძლია, ობობას ქსელი დაგადო. მეტი არაფერი შემიძლია. აქ რაც არის, საკმარისი არაა. გარეთ მოუძებნი. ხავსიც შეიძლებოდა, მაგრამ ზოგჯერ შიგნით ბალლინჯოები და რაღაცებია. იქნებ ყუვილები უნდა გამეტეთქა. გვინდია, ჩირქი გამოირწყვებოდა? ნეტავ რას ფიქრობდა ლმერთი? რაღაცას ჩაიდენდი. ახლა მაინც არსად გაიქცე.

ესმოდა სითქ, როგორ ზუზუნებდა თეთრკანიანი გოგო, ზუზუნებდა და თან ობობას ქსელებს ეძებდა. გაფაციცებული უსმენდა ამ ზუზუნს, რადგან როგორც კი ემი ჩამოხურულიდან გასულიყო, სითქ პატარასაც დაუწყია ზმორუბა დედის მუცელში. კარგი კითხვაო, ფიქრობდა სითქ. ნეტავ რას ფიქრობდა ლმერთი? ემი ჩამოხურულიდან ისე გასულიყო, რომ სითქსთვის კაბა არ შეეკრა, პოდა, ზურგიდან მონაბერი ქარიც ტანზე ედებოდა და ოდნავ უყუჩებდა გაქცეულს ტკივილს. ზურგი რომ დაუამდა, იგრძნო, დასერილი ენაც რომ სტკიოდა, ზურგოვით არა, მაგრამ მაინც. უკან დაბრუნებულ ემის ხელში ორი ბლუჯა ობობას ქსელი ეჭირა. გოგომ ქსელებს ჯერ ნანადირუვი მწერუბი მოაშორა, მერუ კი სითქს ზურგზე დააფინა და უთხრა, ასე მგონია, ზონრუბით საშობაო ნაძვის ხესაც ასე რთავენო.

— ჩვენთან ერთი ბებერი ზანგის ქალია. არაფერი იცის. რაღაცებს უკერავს მისის ბადის ნამდევილი თხელი მაქმანებით, მაგრამ სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამს. შენსავით არაფერი იცის. შენც არაფერი იცი. მოკვდები და კვ იქნება. მე კი არა. მე ბოსტონში ჩავალ და ჩემს თავს ხავერდს ვუყიდი. ჭიაფერს. ხავერდიც არ გავიგია რა არის, ხო? ახლა რაღას გაიგებ. სანაძლეოს ჩამოუალ, მზეზეც არასოდეს დაგიძინია. მე ორჯერ საქონელს უმეტესად იქამდე ვაჭმვა, ვიდრე ინათებს და რომ დაღამდება, მერეც კარგა ხანს არ ვიძინებ, მაგრამ ერთხელ ოთხთვალას უკან ვიყავი და ჩამეძინა. არაფერია იმაზე უკეთესი, რომ დაგეძინება და სახეში მზე განათებს. ორჯერ მეძინა ასე. ერთხელ პატარაობაში. მაშინ არავის შეუშლია ხელი. მეორედ, ოთხთვალას უკან და, ჯანდაბა მაგათ თავს, ქათმები არ გაიქცნენ? მომცხოვრები და მომცხოვრები მისტერ ბადიმ. კუნტუკი რა საცხოვებელია. აი, ბოსტონია, თუ არის. დედაჩემი იქ ცხოვრობდა, ვიდრე

მის თავს მისტერ ბადის არ მისცემდნენ. ჯო ნათანი ამბობდა, მისტერ ბადი მამაშენიაო, მაგრამ არ მჯერა. შენ გჯერა?

სითუმ არ მჯერა, რომ მისტერ ბადი მამაშენიაო და ემიმაც ისვე დაუსკა კითხვა:

— მამაშენს იცნობ, ხო?

— არა, — მიუგო სითუმ.

— არც მე. მარტო ის ეიცი, რომ ის არ არის, — თქვა თუთრკანიანმა გოგომ და რაკი აქიმობას მორჩენილიყო, ჩამოხურულში ბორიალს მოჰყვა. შეის სინათლეზე თმა უბრწყინავდა, თვალები, ნება-ნება რომ ამოძრავებდა, ჩაუქრა და ამღერდა:

დამთარდება მძიმე დღე,
დაუიღლებით მეც და შენც.
მე შენ აკანს დაგირწევ,
ნაზი ქარიც გაგვიგებს.
ჭრაჭაჭრუჭი გაუდის
ჭრიჭინების ღარტაფებს,
მოჯადოებულ ტყე-ვალს
დედოფალი სტუმრობს დღეს.
უერიები ელიან,
ცეკვით ჯებებიან
ნიხლიანი ზეციდან
ძირს დაშეებულ ლამაზმანს,
დიდრონი ღილებუით
თვალები რომ უეღავს.

მერე ემი ერთბაშად მოეშვა აქეთ-იქით რწევასა და ყანყალს, ჩამოჯდა, გაძვალტყავებული მკლავები მუხლებზე შემოიხვია და მარჯვე, მარჯვე ხელისგულები იდაყვებზე შემოიწყო, თვალები კი, ნება-ნება რომ ამოძრავებდა, გაუშტერდა. ფეხები ტალახში ედგა და იმას დასჩერუბოდა.

— დედაჩემი მღეროდა ამ სიმღერას. იმან მასწავლა:

ბინდტენდს გამოიულის და
მოადგება ჩვენს კურას,

დაბალ ხმაზე იძღვერუბს
 შენს აკანთან სიმღერას.
 და საათიც წიკწიკებს —
 უკვე დაღამებულა...
 მთვარის შუქი დაპნათოს
 ძირს დაგდებულ თოჯინას,
 ამ ოთახში იძინებ
 შენც, ჩემო პაწაწინავ.
 დიდრონი ლილებით
 თვალები რომ უეღაუს,
 მრა, თუთო ხელს დაგადებს —
 აბრუშუმის კულულებს
 ნაზად მოეფერუბა;
 დაიხრუბა, დახედავს
 ორ წაბლისფერ შუქურას.
 დიდრონი ლილებით
 თვალები რომ უეღაუს...

სიმღერა რომ დაამთავრა, კიდრუ ფეხზე წამოდგებოდა, ემიმ ბოლო სტრიქონი კიდვა ერთხელ გაიმეორა, მერუ ჩამოხურულიდან გავიდა, მცირუ მანძილი გაიარა და ნორჩ მურყანს მიეყუდა. უკან რომ დაბრუნდა, მხე უკვე ხეობისკენ გადაწვერილიყო, მათ თავზე კი მხოლოდ კენტუკის ლურჯი ცა მოჩანდა.

— ჯერ არ მომკვდარხარ, ლუ? ლუ?

— ჯერ არა.

— აბა, დავნაძლევდეთ! ლამე თუ გაატან, ბოლომდე გაუძლებ, — თქვა ემიმ, მერუ სითეს ფეხებქვეშ ამოგებული ფოთლები მიუსწორ-მოუსწორა და ორსულისთვის შეშუპებული კიდურები ისევ რომ და-ეზილა, იქვე ჩაიმუხლა, — ერთი კიდვა კარგად დავზილოთ, — თქვა თეთრკანიანმა გოგომ, ხოლო როცა სითემ სიმწრისგან კბილები დაკრიჭა და პაერი სისინით შეისრუტა, დატუქსა, — მოკეტე. პირი არ უნდა გააღო.

ფრთხილად, ენა უფრო მეტად არ მეტკინოსო, სითემ ტუჩები მაგრად მოკუმა და მარჯვე ხელები სამუშაოდ მიუშვა. უზელდა სი-თეს ფეხებს ემი და თან მღეროდა: „ხმაშეწყობით ფუტკარიც ნაზად

აზუზუნდება...“ — მერე ემი ჩამოხურულის მეორე ბოლოსკენ წავიღა და ჩამოჯდა. თუმ მხართან მიეტანა, თან თმას იწნავდა და თან სითქმა აფრთხილებდა:

— ღამე არ ადგე და ზედ არ დამაკვდე, გესმის? არ მინდა დავინახო, როგორ დამაცხრება ეს საზიზღარი შავი სახე. მართლა თუ მოკვდები, ეს ამბავი სადმე სხვაგან ქენი, სადაც მე ვერ დაგინახავ, გესმის?

— მესმის, — დაუდასტურა სითქმა, — რაც შემიძლია, გაუკეთებ, მის.

რაკი აღარც ფიქრობდა, რომ ამქვეყნად კიდევ რაიმეს დაინახვდა, თუმომე ფეხის თითქმის წაკვრა რომ იგრძნო, ძილ-ბურანიდან გამოსასვლელად, მანამდე სიკვდილი რომ უონა, სითქმა ცოტა დრო დასჭირდა, მერე კი იჯდა გაფიჩხებული და აცახცახებული, ვიდრე ემი ხორციან ზურგს უთვალიერებდა.

— საშინელი სანახვია, — თქვა ემიმ, — მაგრამ გაუძელი. ღმერთო, გაუძლო ლუმ. ჩემ გამო. მკურნალობა მეტერხება. გგონია, სიარული შევიძლია?

— რამენაირად უნდა მოვშარდო.

— მოდი, ვნახოთ, თუ გაივლი.

კარგად ვერ გამოუვიდა, მაგრამ წამოდგომა კი მოახერხა სითქმა. ჯერ ემის მკლავზე დაყრდნობილმა გადადგა კოჭლობა-კოჭლობით ნაბიჯი, მერე ნორჩ ხეს მოეჭიდა.

— მე გაუკეთე. მკურნალობა მეტერხება, არა? — ხარობდა ემი.

— პო, — პასუხობდა სითქმა, — გეტერხება.

— ამ გორაკს უნდა მოვშორდეთ. წავედით მდინარესთან ჩაგიყვან. ალბათ, გაწყობს. მე პაიკში წავალ. იქიდან პირდაპირ ბოსტონში. კაბაზე რა გაქვს?

— რძე.

— გადავირიე.

სითქმა მუცელზე დაიხედა და ზედ ჟელი დაიდო. ბავშვი მკვდარი იყო. ღამით თვითონ არ მომკვდარიყო, აი, ბავშვი — კი. თუ ასე იყო, ახლა კი ვერაფერი დაუდგებოდა წინ — მდინარეზე ცურვით გადასვლაც რომ დასჭირვებოდა, მაინც მიიტანდა რძეს თვის პატარა გოგონამდე.

— არ გშია? — პკითხა ემიმ სითქმას.

— ახლა ვერაფერს ვგრძნობ, მის. მარტო მეჩქარება.

— მოიცა. ნუ გარბიხარ. ფეხსაცმელები გინდა?

— რაო?

— მოუიფიქრუ, — თქვა ემიმ, რომელსაც მართლაც მოეფიქრუ-ბინა რაღაც. სითუს თავსახვევს ორი ნაგლეჯი მოახია, ფოთლებით გავსო და ტერფებზე შემოახვია, თან ენას არ აჩერებდა, — რამდენი წლის ხარ, ლუ? ოთხი წელია, მომივიდა, მაგრამ ბაჟშვი არავისგან გამიჩენია. რა მერძევება, მე ხომ...

— ვიცი, — თქვა სითუმ, — შენ ბოსტონში მიდიხარ

შუადღისას დაინახეს, მერუ კი იმდენად ახლო მივიღნენ, რომ მისი ხმაც ესმოდათ ნაშუადღევს შეეძლოთ მის წყალსაც დასწავებოდნენ. ცაზე ოთხი ვარსკვლავი მოჩანდა, როდესაც ნავს მიადგნენ. ნავი რომ იპოვეს, ცაზე უკვე ოთხი ვარსკვლავი მოჩანდა. სულაც არ ყოფილა პატარა ნავი ისეთი, სითუ შიგნით რომ მოკუნტულიყო და გაპარულიყო, ანდა ისეთი როგორითაც გადამყვანებს გაქცეულები გადაჰყავდათ ხოლმე ერთი ნაპირიდან მეორეზე. არა, ნამდვილი ნავი იყო, მოსაპარად გამზადებული ნავი ცალი ნიჩბით, უამრავი ნახვრე-ტითა და ჩიტის ორი ბუდით.

— აბა, ლუ. ღმერთმა გადმოგხედა.

გაჰყურებდა სითუ ერთ მილზე გადაჭიმულ მღვრიე წყალს, ცალ-ნიჩბა გამოუსადევარი ნავით რომ უნდა გაეპო დინების წინააღმდევ, ასობით მილის იქით მისისიპის რომ უნდა შერწყმოდა და ეჩვენებოდა, რომ ეს წყალი სახლი იყო მისი და, ალბათ, ასე ფიქრობდა ბაჟშვიც, მუცლით რომ ატარებდა და მკვდარი სულაც არ იყო. როგორც კი სითუ მდინარეს მიუახლოვდა, წყლის ნაკადთან შესაერთებლად მისი სხეულიდანაც ლგარად გამოხეთქა წყლებმა. წყლების დაღვრას მეტისმეტად ძლიერი სამშობიარო ტკიფილიც მოჰყვა და სითუც წელში მოიკუნტა.

— რისთვის აკუთხბ ამას, — თავს დააცხრა სითუს ემი, — თავში ტვინი არა გაქვს?! ახლავე შეწყვიტე. გითხარი, შეწყვიტე-მეთქი, ლუ. ამქვეყნად ყველაზე დიდი ყეყეჩი რამე ხარ. ლუ! ლუ!

ნავში ჩაძრომის მეტი ვერაფერი მოიფიქრა სითუმ. დაელოდა, ძლიერი ტკიფილი როდის გადაუვლიდა, მერუ კი უწინდებურად მუხ-ლებზე დამხობილი ნავში გადაბობდა. შეტორტმანდა ნავი. ერთი ის მოასწრო, რომ ფოთლებიან ტომრუბში გახვეული ფეხები სკამზე

შემოაწყო, მერუ კი ისევ გაერღვა მუცელში რაღაც და სუნთქვა შე-ეკრა. აქოშინებულმა ზაფხულის ცაზე აკიაფებული ოთხი გარსეკე-ლავის ქვეშ მაშინვე ნავის კიდევბზე შემოალაგა ფეხები, რადგან თუმ მოდიოდა. ამის შესახებ ემიმაც ისე გააფრთხილა, თითქოს თუმად არ სცოდნოდა, რა ხდებოდა, თითქოს მას კი არ გალიჯებოდა სხეული, კაკლის ხის ბიჯები წაქცეულიყო, ანდა ელგას გაეჩინა დაკბილუ-ლი ნახეთქი ტყავის ნაჭეროვით გაწელილ ცაზე.

გაიჭიდა. სახე ზემოთ პქონდა და დედის სისხლში იხრჩობოდა. ემი იესოს ხვეწია-მუდარას მოეშვა და მამამისის შეჩენებას მიჰყო ხელი, მერუ კი დაიწივლა:

— გაიჭინთ!

— მოქაჩე, — დაიჩურჩულა სითემ.

და აი, ღონიერი ხელები მეოთხედ შეუდგა საქმეს. ძლივს მიუს-წრო ემიმ სითეს — რაც კი რამ ნახვრუტი პქონდა ნავს, ყველაში უონავდა მდინარის წყალი და ბარძაყებზე ეღვრუბოდა შმობიარეს. სითემ ცალი ხელი უკან წაიღო და თოქს მოეჭიდა, ამასობაში კი ემი ერთი გვარიანად ჩააფრინდა ჩვილს თვეში. მერუ ნავი იქით, საი-თაც შმობიარეს ზურგი პქონდა მიშვერილი წყლიდან ისე ამოიწია, თითქოს ვიღაცამ ქვემოდან ფეხი ამოკერა. მიხვდა სითე, რომ ყვე-ლაფერი დამთავრებულიყო და თვეს ცოტა ხნით გულის შეღონე-ბის უფლება მისცა. გონს მოსულს, ტირილის ხმა არ გაუგონია, მხოლოდ ემის ხმა ჩაესმოდა, ღუღუნით რომ ამხნევებდა ვიღაცას. იმდენ ხანს არ ამოუღია ხმა ახალშობილს, რომ სითეცა და ემიც დარწმუნებული იყვნენ, ბავშვი დაკარგეთო. უეცრად სითე მოიკუზა და მომყოლიც გამოაგდო. მერუ ბავშვმაც დაისლუკუნა და სითე-მაც მისკენ გაიხედა. სიგრძეში ოცი დუიმი იქნებოდა, მუცლიდან დაპროწიალებული ჭიპლარი მოუჩანდა და საღამოს გრილ ჰაერში მოხვედრილი კანკალებდა. ემიმ ჰატარას თავისი ქვედაკაბა შემოახ-ვია და გალუმპული ქალები ნაპირზე ცოცვით ავიდნენ. ხომ უნდა ენახათ, სინამდვილეში რას ფიქრობდა ღმერთი?!

მდინარის ნაპირზე დაბალ-დაბალ ადგილებში ამოსული გვიძ-რის სპორუბი მოვერცხლისფრო-მოლურჯო ზოლებად მიტოტიკებს წყლის ნაკადისკენ. ძლივს მოჩანან, თუ ახლოს არ მიხვედი ან ძალი-ან ახლოს, წყლის პირთან არ დაწექი, როცა გადაწვერილი შეის სხი-ვები ზედ წრიოტება. ხშირად მწერებში ეშლებათ, არადა, თუსლებია,

რომლებშიც საკუთარ მომავალში დაჯერებულ შთელ თაობას ხდინავს. წუთით შეიძლება ირწმუნო, რომ თითოეულ მათგანს მართლაც ექნება მომავალი, მართლაც გადაიქცევა იმად, რაც სპორაშია მოქცეული და წუთისოფელს ისე გაღვენს, როგორც დაგჭმილია, მაგრამ ასეთი გულდაჯერება ერთ წუთზე დიდხანს არ გასტანს ხოლმე, თან თავად სპორას შეიძლება წუთზე ხანძოკლე სიკოცხლე წარის.

პოდა, ზაფხულის ღამის სიგრილეში თავებამოდებით იბრძოდა ორი ქალი მოვერცხლისფრო სილურჯის თავს ხმაში. ამ კეთურებაში ერთმანეთის ხელმეორედ ნახვას არც კი ფიქრობდნენ და იმწუთას ყველაზე ნაკლებად აღელვებდათ, შეხვდებოდნენ თუ არა ოდესმე ისევ ერთმანეთს. თუმცა კი ზაფხულის ღამეში გვიმრიანს შეფარუბულებმა ერთად გაართვეს რაღაცას თავი, კარგად გაისარჯნენ. ბევრს იხითხითებდა პატრული, რომ დაენახა, ორი მიუსაფარი, კანონგარეშე გამოცხადებული, ორი დაუმორჩილებელი ქალი, მონა და თმაგაწმილი ფეხშიშველი თეთრკანიანი, როგორ ახვევდნენ ათი წუთის დაბადებულ ჩვილს ჭინჭებში, თვითონ რომ ეცვათ მაგრამ არც პატრული გამოჩენილა, არც მღვდელი. მიედინებოდა და მიედინებოდა წყალი მათ ფეხქვეშ, მათ კი ვერაფერი უშლიდა ხელს, ამიტომაც გაართვეს საქმეს თავი, კარგად ამიტომაც გაისარჯნენ.

შებინდდა და ემიმაც თქვა, უნდა წავიდეო, მირჩვნია, მოუკვდე, ვიდრე დღისით-შეისით გაქცეულ მონასთან ერთად მჩქეფარე მდინარეში შევიდეო. მერე მდინარის წყლით ხელ-პირი ჩამოიბანა, წამოდგა და სითეს მკერდზე რაღაცა ჩვრით მიკრულ ძონძებში გახვეულ ბავშვს დახედა.

— ვერასოდეს გაიგებს, ვინ ვარ მოუყვები? ვინ გამოათრია ამ ქვეყანაზე, ეტყვი? — იკითხა ემიმ, მერე ნიკაპი ასწია და იქით გაიხედა, საითაც შე გვულებოდა, — ჯობია, უთხრა. გესმის? უთხარი, მის ემი დენვერი იყო-თქო, ბოსტონიდან.

იგრძნო სითემ, როგორ ერეოდა ძილი. იცოდა, ღვიძილს ღრმა ძილი შეცვლიდა, თუმცა გაფიქრება მაინც მოასწრო:

„ლამაზი სახელია. დენვერი. მართლა ლამაზია“.

დრო იყო, ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა. იქამდე, ვიდრე პოლ-დი არ მოვიდა და მისი ვერანდის კიბეზე არ ჩამოჯდა, სითეცხოვერებას იმ სიტყვების წყალობით აგრძელებდა, ოდესღაც ბეი-

ბი საგზს ჩურჩულით რომ ეთქვა სასტუმრო ოთახში. ამ სიტყვების დამსახურება იყო, აჩრდილს რომ უძლებდა, რომელიც გაუთვებლად სჯიდა; მათი დამსახურება იყო, პოვარდისა და ბაგლერის ბაჟ-შვერი სახეები ნათლად რომ ახსოვდა, ზოგჯერ კი სულაც თუით ფეხებამდე აღიდგენდა ხოლმე შვილებს მექსიერებაში, არადა, სიჩ-მარში სულ ნაწილ-ნაწილ ეზმანებოდნენ ხეებს ამოფარებული ბიჭუბი. ბეიბის სიტყვების დამსახურება იყო, სადღაც შორს ბუნდოუნად რომ წარმოედგინა ქმარიც. ახლა კი სულ უფრო სულებოდა და სულებოდა მის წარმოსახვაში კარაქის სადღვებსა და საწნებს შორის მოქცეული სახე, ყველაფერს ფარავდა, რაც კი თვალწინ ედგა სითეს და თუს ატკოვებდა. ინატრა, ნეტაუ ახლა ბეიბი საგზი კუჭაზე უწინდებურად დამისვამდეს თითებს, გონჩე მომიყვანდეს და მეტყოდეს: „ფარ-ხმალი დაყარე, სითე. დაყარე, დატოვე, დატოვე მდინარის ნაპირთან. აღარ იფიქრო ოშე. მიატოვე ამჟებზე ფიქრი. დაყარე ფარ-ხმალი“. პოდა, ბეიბის თითებისა და დამრიგებლური ხმის ნებას დაჰყვებოდა სითეც. ერთმანეთის მიყოლებით დაალაგებდა ტანჯვა-წამების, მწუხარების, ნაღველისა და ტკიფილისაგან თუის დასაცაუ მძიმე-მძიმე დანებს ნაპირზე, მდინარის კრიალა წყალი კი ძირს გამოურეცხავდა ამ დანებს.

ცხრა წელიწადი მეტისმეტად დიდი დრო იყო იმისთვის, რომ აღარც ბეიბი საგზის თითების შეხება უკრძნო, აღარც მისი ხმა გაეგონა, თუმცა მეტისმეტად მცირე იყო იმ სიტყვების მნიშვნელობაც, რომლებიც ამ ქალს მისთვის სასტუმრო ოთახში ჩურჩულით ეთქვა. ღვთის ნება იყო, რომ ვერაფრით იზიდაუდა მამაკაცის კარაქით მოთხუპნილი სახე, მაგრამ მოთხოვნით კი უკვე ჩვეულებროვზე მეტს მოითხოვდა მისგან: თაღი დაედგა ან სამგლოვიარო კაბა შეუცრა სითეს. ანდა იქნებ რამე რიტუალის დღე უნდა დაეთქვა. გადაწყვიტა, სახლის უკან, მდელოზე გასულიყო, საღაც შზის შუქზე ცეკვავდა ხოლმე ბეიბი საგზი.

ვიდრე 124 ნომერი და ყველა მისი ბინადარი საკუთარ ნაჭუჭში გამოიყეტებოდნენ, პირბადეს მოიდებდნენ და დაიმალებოდნენ, ვიდრე იქაურობა სულების სათამაშოდ და გულმოსულთა ბინად გადაიქცეოდა, მანამდე ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანი, ამ სახლში ხალისიანად და ხმაურიანად ცხოვრობდა: უყვარდა ადამიანები, ჭკუას არიგებდა მათ, აჭმვედა, საყვედურობდა და ამშვიდებდა.

ამ სახლში ერთის ნაკველად ორ-ორი ქვაბი ბუყბუყებდა ხოლმე ქურაზე და ლამპაც მთელი ღამე ენთო. უკრობები აქ თავს მოსკენების უფლებას აძლევდნენ ხოლმე, ამასობაში კი ბაჟშვები მათ ფქებსაც-მელებს იზომებდნენ ფეხზე. წერილებსაც იქ ტოკებდნენ, რაღაც მათი ადრესატი, ადრე თუ გვიან, ნამდვილად გაჩერდებოდა ბეიბი საგზთან. ამ სახლში ხმადაბლა ლაპარაკობდნენ ხოლმე, თან საქმესთან ახლოს — არ უყვარდა ბეიბი საგზს ზედმეტი ლაპარაკი. ამბობდა: „მთვარია, ზომა იცოდე. კარგია, როცა იცი, როდის უნდა გაჩერდე“.

ამ 124 ნომრის წინ იყო, გულზე მიკონილ ახალშობილთან ერთად სიუჟეტურალადან რომ ჩამობობლდა და პირველად იგრძნოდედამთილის ფართოდ გაშლილი მკლავების ჩახურება, კინკინატიში ჩასვლა რძლისთვის რომ დაესწრო. გადაწყვიტა ბეიბი საგზს, მონობაში ცხოვრებამ ფეხებიც წამიხდინა, ზურგიც, თვიც, თვალებიც, ხელებიც, თირკმლებიც, საშვილოსნოც, ენაც და გულის მეტი არაფერი დამრჩენიაო და უმაღლ ჩაურთავს საქმეში ეს გული. არ უყვარდა, როცა განსაკუთრებული პატოით მოიხსენიებდნენ, თუმცა ცოტას თუ მოეფერებოდნენ, ამისთვის არაუის დატუჭსავდა. ეკლესიიდან განკვეთილ მღვდელს დაემსგავსა — ქადაგებდა და თავის დიდ გულს უღებდა ყველას, ვისაც კი მასში შებიჯება შეეძლო. ზამთარსა და შემოდგომაზე ბეიბის დიდი გული აფრიკულ მეთოდისტთა საეპისკოპოსო სიონისტურ ეკლესიაში და ბაპტისტებთან, უწმინდესებსა და წმინდანად შერაცხილებთან იყო ხოლმე, მაც ცხოვრისა და ცხონებულთა ეკლესიაში. და ძგერდა ხოლმე მისი, დაუპატიჟებლად მისული, შეუმოსავი და მირონუცხები ქალის დიდი გული მათი თანდასწრებით როცა დათბებოდა, დიდი გულის პატრონი ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანი, ტყის სილრმეში მდელოზე გადიოდა. უკან ყველა შავკანიანი მამაკაცი, ქალი და ბავშვი მიჰყვებოდა, ვისაც კი სიარული შეეძლო და არაუინ, ირმების და, რა თქმა უნდა, ტყისმჭრულების გარდა, იცოდა, რისთვის გაეჭრათ ამ ადგილას თვიდან ტყე. ყოველ შაბათ დღეს, გაგანია შუადღეზე დაჯდებოდა ხოლმე ბეიბი საგზი მდელოზე, ხალხი კი მის მოლოდინში ხეებს აფარებდა თავს.

მოიკალათებდა ბეიბი უზარმაზარ ბრტყელ ქვაზე, დახრიდა თავს და გულში ლოცულობდა, დანარჩენები კი ტყვრიდან ადგვნებდნენ

თვალს. ჯონს რომ დადებდა, იცოდნენ, შზად იყო, მერუ იყვირუბდა: „ბავშვები გამოუშვითო!“ ისინიც გამოვიდოდნენ ხეებიდან და გარბოდნენ მისკენ.

„გააგონეთ დედებს თქვენი სიცილი“, — ეტყოდა ბეიბი ბავშვებს და მათი წერიალა ხმებიც მოედებოდა ტყეს.

მერუ დაიყვირუბდა, მამაკაცები მოვიდნენო და ისინიც ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ ხეებიდან.

„აჩვენეთ თქვენს ცოლ-შვილს, როგორ ცეკვავთ“, — ეტყოდა მამაკაცებს და აცახცახდებოდა ჭიალუა მათ ფეხქვეშ.

ბოლოს ქალებს მოიხმობდა.

„იტირეთ ცოცხლების და მკვდრუბის გამო იტირეთ უბრალოდ იტირეთ“.

და ქალებიც თვალზე ხელის აუფარუბლად აძლევდნენ გზას ცრუმლებს.

მოცინარი ბავშვები, აცეკვებული მამაკაცები და მტირალი ქალები — ყოველთვის ასე იწყებოდა ხოლმე. მერუ ყველაფერი ერთმანეთში აირ-დაირეოდა, ქალები ტირილს თუს ანებებდნენ და ცეკვას იწყებდნენ, მამაკაცები კი ჩამოსხდებოდნენ და ტიროდნენ. იქამდე ცეკვავდნენ და ტიროდნენ ბავშვები, იქამდე იცინოდნენ ქალები, ვიდრე ძალ-ღონე გამოლეულები და ქანცგაწყვეტილები ქოშინით არ გაიშხლართებოდნენ ნოტიო მდელოზე. მერუ სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე და ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანი, მსხვერპლად სწირავდა მათ თუვის დიდსა და დიად გულს.

სულის განწმენდას ანდა შეუცდომლად ცხოვრებას არავისგან ითხოვდა. არავის ეუბნებოდა, კურთხეულნი ხართ მოკვდავთა შორის, თვემდაბლობისა და დიდებული უმანკოების განსახიერება ხართო.

ეუბნებოდა, რომ ერთადერთი წყალობა, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდათ, იყო წყალობა, რომელსაც თვალი წარმოიდგენდნენ, რადგან ვერ ექნებოდათ ის, რის წარმოსახვასაც ვერ მოახერხებდნენ.

„აქ, ამ ადგილას, — ამბობდა ბეიბი საგზი, — ჩვენ ხორცი ვართ, ხორცი, რომელიც ტირის, იცინის, ხორცი, რომელიც ბალახზე შიშველი ფეხებით ცეკვავს. გიყვარდეთ! ძალიან გიყვარდეთ ეს ხორცი! იმათ კი არ უყვართ, ეზიზლებათ. მათ თქვენი თვალებიც არ უყვართ — უმაღლ დაგთხრიდნენ თვალებს. თვალებზე მეტად არც ტყავი უჭ-

კართ ზურგზე რომ გაქვთ გადაკრული. გატყავებენ, ჩემო ხალხო, და თან არც თქვენი ხელები უყვართ მარტო იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ ხელებით გამუშაონ, გაგჟოჭონ, მიგაკრან, მოგაჭრან და ხელკარიელი დაგტოვონ. გიყვარდეთ თქვენი ხელები! გიყვარდეთ. ასწიეთ ეს ხელები და დაიკოცნეთ სხვებს შექეთ ხელით, ხელი ხელს გადაუსვით სახეზე მოისვით ხელები იმიტომ, რომ მათ თქვენი სახეებიც არ უყვართ თქვენ კი უნდა გიყვარდეთ! არა, ისინი არც თქვენი პირების სიყვარულით გიფდებიან. დაინახავენ, რომ პირი გაქვთ გაზული და უფრო მეტად გავიხუყენ. ყურადღებას არ მიაქციებენ სიტყვებს, პირიდან რომ ამოგივათ ყურს არ ათხოვებენ ყვირილს, პირიდან რომ ამოუშვებთ იმას, რასაც სხეულის გამოსაკვებად პირში იდებთ, ხელიდან გამოგტაცებენ და სანაცვლოდ ნარჩენებს მოგცემენ. არა, არ უყვართ მათ თქვენი პირები, თქვენ კი უნდა გიყვარდეთ ხორცზე გელაპარაკებით, ხორცზე, რომელსაც სიყვარული სჭირდება; ფეხებზე, მოსვენება და ცეკვა რომ სჭირდებათ, ზურგებზე, საყრდენი რომ სჭირდებათ, მხრებზე, მკლავები რომ უნდათ, ძლიერი მკლავები. გეუბნებით, მომისმინეთ, ჩემო ხალხო, არ უყვართ იმათ, კისერზე ქამანდი რომ არა გაქვთ ჩამოცმული და თავაღერუბული დადიხართ პოდა, თქვენც გიყვარდეთ თქვენი კისრები, ხელი დაიდეთ ზედ, დააფასეთ ეს კისრები, მოეალერსეთ და მოიღერეთ თქვენი შინაგანი ორგანოები, უმაღლორებს რომ დაუყრიდნენ, ისინიც უნდა გიყვარდეთ შავ-შავი ღვიძლი... ისიც გიყვარდეთ მერედა თქვენი გულები, გატეხილი რომაა და მაინც ძგერს — ისინიც გიყვარდეთ თვალებსა და ფეხებზე მეტად გიყვარდეთ გული. ფილტვებზე მეტადაც გიყვარდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პაერის შესასუნთქად გჭირდებათ გული მუცელზე მეტად გიყვარდეთ, რომლითაც ახალ სიცოცხლეს ატარებთ, და სასირცხვოებზე მეტად, რომლითაც ახალ სიცოცხლეს ქმნით მომისმინეთ გიყვარდეთ გული, რადგან ის არის ნამდვილი ჯილდო“.

მეტს არაფერს იტყოდა ხოლმე ბეიბი საგზი. წამოდგებოდა და ვიდრე დანარჩენები პირებს აღებდნენ და მღეროდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თუძო მოღრუცილი პქონდა, გულში დარჩენილ სათქმელს ცეკვით გამოთქვამდა.

იმ მდელოზე უნდოდა ახლა ყოფნა სითუსაც. თუნდაც იმისთვის უნდა წასულიყო, რომ დიდი ხნის წინ ნამღერი სიმღერებით გაჯე-

რუბული ადგილებისთვის მოესმინა. ყველაზე მეტი, რაც სითე იქ წასვლისგან მოელოდა, საკუთარი ქმრის მკვდარი დედისაგან მიღებული ნიშანი იყო. ელოდა, რომ ანიშნებდა ბეიბი, რა უნდა ექნა თავისი ფარ-ხმლისათვის. ღმერთო დიდებულო, ცხრა წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ბეიბი საგზს, ღვთისმოსავ ადამიანს, მატყუარას სახელი მოქმედებს, თავისი დიდი გული „სამსახურიდან“ დაეთხოვა და სასტუმრო ოთახში ლოგინად ჩავარდნილიყო. ათასში ერთხელ თუ ადგებოდა საწოლიდან და ისიც იმიტომ, რომ ფერუბის ყურება სწადდა, სხვა არაფერი.

„თუთოკანიანებმა ყველაფერი წამართვეს, რაც მქონდა, ანდა რაზეც კოცნებობდი. ყველაზე სანუკველი რაც იყო, ისიც დამიმსხვრიეს. თუთო ხალხშე დიდი უბედურუბა ქვეყნად არ არსებობს“, — თქვა ბეიბი საგზმა და 124 ნომრის კარიც დაიკუტა. შეჯუა სახლი იქაური აჩრდილის ღვარძლს. აღარც ლამპა ენთოთ ღამდამობით, აღარც მეზობლები მიდი-მოდიოდნენ. აღარც ნაკახშმევს ლაპარაკიბდა ვინმე დაბალ ხმაზე და არც ფეხშიშველა ბავშვები ერთობოდნენ უცნობების ფეხსაცმელებით, ბეიბი საგზი, ღვთისნიერი ადამიანი კი ფიქ-რობდა, რომ მატყუარა იყო. არ არსებობდა არანაირი წყალობა, არც გამოგონილი, არც ნამდვილი და ამას შისგულზე მდელოზე ნაცეკვები ვერანაირი ცეკვა ვერ შეცვლიდა. რძლის ჩამოსვლიდან ოცდარვა დღეში ბეიბის რწმენამ, სიყვარულმა, წარმოსახვამ და მისმა ბებერმა დიდმა და დიადმა გულმა მსხვრება დაიწყო.

და მაინც, იმისთვის, რომ ჰალესთვის ჰატივი მიუვო, სწორედ მდელოზე გადაწყვიტა წასვლა სითემ. იქამდე უნდა წასულიყო, ვიდრე მშე გადავიდოდა, იქამდე, ვიდრე იქაურობას ისეთოვე დალოცვილი მწვანე ფერი ჰქონდა, როგორიც ახსოვდა, თან მცენარეებისგან ასული ოხშორითა და დამპალი კენკრის სუნით უნდა ყოფილიყო გაუღენთილი ჰაერი.

სითემ თავშალი მოიხვია და დენვერსა და საყვარელსაც იმავეს გაკუთება სთხოვა. კვირადლე იდგა. კარგა ხნის გათუნებულზე სამიე ერთად გაუიდა სახლიდან. წინ სითე მიდიოდა, გოგონები ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ უკან. სულიერის ჭაჭანებაც არ იყო ირგვლივ. მიადგნენ თუ არა ტყეს, უმალ იპოვა სითემ მდელოსკენ მიმავალი ბილიკი — ახლა უკვე სისტემატურად იმართებოდა ხოლმე ქალაქელების თავყრილობები სუფრის გაშლებით, ბანჯოებითა და

კარვებით ძველი ბილიკი გზად გადაქცეულიყო, თუმცა ზემოდან უწინდებურად თაღოვით ედგა ხეები, საიდანაც პანტაპუნტით ცვიოდა ბალახზე ცხენისწაბლები.

გარდა იმისა, რასაც აკუთხებდა, სხვას ვერაფერს იზამდა სითუ, მაგრამ ბეიბი საგზი რომ გატყდა, ამაში თუს მაინც იდანაშაულებდა. რამდენჯერაც უნდა ეუარა ბეიბის, იცოდა სითუმ, რომ დარდსა და ვარამს 124 ნომერში მას შემდეგ შეებიჯებინა ფეხი, რაც ბოსტონში მიმავალი თეთრკანიანი გოგოს საცვლებში გამოკრულ, გულზე მიკონილ ახალშობილთან ერთად ოთხთვალადან ჩამოხტა.

მიღიოდა სითუ ხასხასა მუხებისა და ცხენისწაბლების ქვეშ და ოფლი სწორედ ისე ასხამდა, როგორც მაშინ, ტალახში ამოსვრილი მდინარე ოპაიოს ნაპირზე რომ მოვიდა გონს.

ემი აღარ ჰყავდა გვერდით თუს სუსტად გრძნობდა, მაგრამ ცოცხალი იყო, თან ცოცხალი, თან პატარა. სანაპიროს დაუყვა, მცირე მანძილი გაიარა და გაჩერდა. თვალს არ აშორებდა მოკამკამე წყალს. თანდათან გამოიკვეთა ჰორიზონტზე ბრტყელძირა ნავი, თუმცა ვერ არჩევდა, ადამიანები შიგნით რომ ისხდნენ, თეთრკანიანები იყვნენ თუ არა. მაღალი სიცხისგან ოფლმა დაასხა და მადლობა შესწირა ღმერთს, რადგან დედის სიცხიან სხეულზე მიკრულ პატარას ნამდვილად არ შესცვდებოდა. წაიბორძიკა, როცა ბრტყელძირა ნავი თვალს მოეფარა და ახლომახლო სამი ფერადკანიანიც დაინახა. თუმცაობდნენ. ორი ბიჭი იყო, ერთიც ასაკიანი მამაკაცი. გაჩერდა. დაელოდა, როდის გამოელაპარაკებოდნენ. ერთ-ერთმა ბიჭუნამ მისკენ ხელი გაიშვირა და მამაკაცმაც უმაღმიაბრუნა უკან თვეი. თვალის შევლებაც საკმარისი იყო, ყველაფერს რომ მიმხვდარიყო. ერთხანს არავის უთქვამს რამე. მერე მამაკაცმა წამოიწყო:

- მდინარეზე უნდა გადახვიდე?
- დიახ, სერ, — მიუგო სითუმ.
- გელოდება ვინმე?
- დიახ, სერ.

მამაკაცმა ისევ შეჭედა და თავით დიდრონი ქვისკენ ანიშნა, უზარმაზარი ქვედა ტუჩით რომ ამოჩრილიყო მის გვერდით მიწიდან. სითუ ქვასთან მოვიდა და ზედ ჩამოჯდა. შეის სხუებისგან ერთიანად გავარვარებული ქვის სიმხურვალეც კი ვერ შეედრებოდა,

სითეს ალმურაკრული სხეულის სიმხურვალეს. მეტისმეტად დაღლილი იყო იმისთვის, რომ ადგილიდან დაძრულიყო. პოდა, იჯდა ერთ ადგილას და მზის სხივებისგან, პირდაპირ თვალებში რომ ანათებდა, თავბრუ ქვეოდა. დედის ტანზე წურწურით ჩამოსულ ოფლს ბავშვიც ერთიანად დაესველებინა. ალბათ ასე ქაზე დამჯდარს თუ დაეძინა — თვალები რომ გაახილა, ფერადკანიანი მამაკაცი ბავშვებთან ერთად რომ თუშაობდა, ცხვირწინ ედგა და ხელში შემწყარი გველთუვზას ცხელ-ცხელი ნაჭერი ეჭირა. საჭმლისკენ ხელის წალება გაუჭირდა, უფრო ძნელი შემწყარი გველთუვზას სუნით გაჟღენთილი ჰაერის სუნთქვა იყო, ჭამით ხომ საერთოდ ვერ შეჭამდა. სითემ მამაკაცს წყალი სთხოვა და მანაც გაუწოდა მდინარე ოპაიოს წყლით სავსე ტოლჩა. სითემ ტოლჩა გამოცალა და კიდევ ითხოვა წყალი. ისევ აუჟღარუნდა თავში რაღაც, მაგრამ არაფრისდიდებით არ უნდოდა დაეჯერებინა, ამხელა გზა იმისთვის გამოველო, ამდენი რამ იმისთვის აეტანა, რომ ბოლოს აქ, მდინარუსთან ისე მომკვდარიყო, რომ მეორე ნაპირამდე ვერ მიეღწია.

ცოტა ხანს უყურა მამაკაცმა, როგორ ჩამოსდიოდა ქალს სახეზე ღვარად ოფლი. მერე ერთ-ერთ ბიჭს დაუძახა და უთხრა:

- სერთუკი გაიხადე.
- ბატონო?
- გაიგე, რაც გითხარი.

ბიჭი სერთუკიდან ამოძვრა, თან წკმუტუნებდა:

- რას აპირებ? რა უნდა ჩავიცვა?

ხანში შესულმა მამაკაცმა მყრდზე მიკონილი ახალშობილი დედას მოაშორა, ბიჭის სერთუკში გაახვია და სახელოები წინ გაუნასკვა.

- რა უნდა ჩავიცვა? — აგრძელებდა ბიჭი.

ხანში შესულმა მამაკაცმა ამოიოხრა, ისევ გაჩუმდა, მერე კი მიუგო ბიჭს:

— შენი სერთუკი გინდა? მიდი, მოხსენი ბავშვს. შიშველი ბალახებში დაწვინე და სერთუკი ისევ ჩაიცვი ტანზე. და თუ ამის გაკეთება შევიძლია, მაშინ სადმე სხვაგან წადი და აღარ დაბრუნდე.

ბიჭმა თვალები დახარა, მიტრიალდა და მეორე ბიჭისკენ წავიდა. იჯდა პირგამშრალი, ოფლში გაწუწული სითე ქაზე, ხელში გველთუვზას ნაჭერი ეჭირა, ფეხებთან კი თავისი ახალშობილი შვილი

ჟეკულა დაგორუებული. მერე მოსალამოუდა და ხანძი შექვეცმა მაგა-
კაცმაც მხარზე დაადო ხელი.

ხითეს მოლოდინის საპირისპიროდ, მეოჯებელი დინებას აღიძა
აუკუნენ. ძალიან შორის იყვნენ იმ ადგილისგან, ხალაკ ეძის ხიჩიახი
ნავი ეპოუ. ის იყო, ხითებ გაიტიქრა, აღმართ იხევ დეტრიუმი მოვა-
გრო, რომ მამაკაცმა ბრტყელირა ნავი შოაბრუნა და ტევიასაუით
გადაცურა მდინარე. მერე, კიდრე ხითეს ოქაოთს კიცაბო ხაპირზე
ასელაში ეხმარებოდა, სეროტექში გახვეული პატარა ხახუჭრად შიშ-
ველ ბიჭს დაჭურინა ხელში. მამაკაცმა მგზაური ნაყარით დაყრარულ
ქოხამდე მიაკიდა, მიწური იატაკი რომ პქონდა.

— აქ მოიცადე. მალე ვინმე მოუ. ფეხი არ მოიცალო. თვითონ
გიპოვიან.

— გმადლობთ — თქვა ხითებ, — ნეტავ თქვენი სახელი ვიციოდე,
კარგად რომ დაგიმახსოვროთ

— სტემპი მქეია, სტემპ პეიდი. ბავშვს მიხედე, გესმის?

— მესმის, მესმის, — თქვა ხითებ, მაგრამ არაფერიც არ ესმოდა.
რამდენიმე საათში ვიღაც ქალი ისე წაადგა თუს, რომ არაფერი გა-
უგონია.

— ცოტა ხნის წინ ნიშანი დაუინახე, — შიესალმა ხითეს ახალ-
გაზრდა ტანდაბალი ქალი, თან ჯუთის ტომარა რომ მოეტანა.

— რა ნიშანი? — იყითხა ხითებ.

— სტემპი ძველ სალორეს ლიას ტოუებს ხოლმე, როკა მდინარეზე
ვინმე გადმოდის. სარზე თეთრ ჩვარსაც აბამს, თუ ბავშვიც მოჰყუთ,

— ქალმა ჩაიმუხლა და გააგრძელა, თან ტომრიდან მარტყლის ჩუ-
ლო, პატარა ბამბის ქსოვილი, ორი გამომცხვარი ბატატი და მამა-
კაცის წყვილი ფეხსაცმელი ამოალაგა, — მე ელა გარ ჩემს ქმარს
ჯონი პქეია. სხვაგანაა. შენ საით მიდიხარ?

ხითებ ქალს ბეიბი საგზი უხსენა, რომელთანაც სამი შვილი უკვ
გაეჭავნა.

ელა ქსოვილის ნაგლეჯს ბავშვს თან ჭიპს გარშემო ახვევდა, თან
ცდილობდა, სიტყვებს შორის ამოეკითხა ის, რაზეც სხვა გაქცეუ-
ლებოით ხითესაც დუმილი ერჩია, რაზეც სხვებოით ისიც დუმდა.
ცდილობდა, გამოეცნო, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ამ ქალს მდინარის
მეორე ნაპირზე დაეტოვებინა, ვის სახელებსაც არ ახსენებდა. ელამ
მამაკაცის ფეხსაცმელებიდან კენჭები ჩამობერტყა და შეცადა, რო-

გორმე სითუსთვის ჩაეკვეტებინა ფეხზე. არ ერგებოდა სითუს ეს ფეხ-საცმელი და მორჩა. ადგნენ და გულისწყვეტით, მაგრამ მაინც გაარ-ლეის ფეხსაცმელები ქუსლებთან. მართლაც ენანებოდათ ესოდენ ფასეული ნიჟთების გაფუჭება. სითუმ, რომელიც ვერა და ვერ ბე-დავდა თავის შვილებზე რაიმეს შეკითხვას, მეოუვზე ბიჭის სეროუკი ტანზე მოისხა.

— გადმოუიდნენ, — თქვა ელამ, — იმ ნაკადიდან ვიღაც-ვიღაცე-ბი სტემპმა გადმოიყვანა. ბლუსთოუნ-როუდზე დატოვეს. არც ისე შორსაა.

უსაზღვრო მადლიერუებისგან აღარ იცოდა სითუმ, რა უნდა ექნა. ადგა, კარტოფილს კანი შემოაცალა, შეჭამა, იქვე ამოაღებინა, მერე კი, მართალია, უჩუმრად, მაგრამ როგორც მოზეიმე ადამიანს შეშ-ვენის, უფრო მეტი კარტოფილი მიირთვა.

— გაუხარდებათ, რომ დაგინახავენ, — თქვა ელამ, — ეს როდის დაიბადა?

— გუშინ, — უპასუხა სითუმ, თან ნიკაპქვეშ ჩამოსულ ოფლს იხოცავდა, — იმედი მაქვს, გაუძლებს.

შეხედა ელამ ნამცეცა ჭუჭყიან სახეს, შალის ჩულოდან რომ იჭყიტებოდა და თავი გადააქნია.

— ძნელი სათქმელია. მე რომ მკითხო, არავინ უნდა გიყვარდეს კაცს, — თქვა ტანდაბალმა ქალმა და ამ განცხადების შესარბილებ-ლად სითუს გაუღიმა, — შენით გააჩინე?

— არა. თეთრკანიანი გოგო მექმარუებოდა.

— აბა, ჯობია გზას გაუუდგეთ.

ბეიბი საგზმა რძალი პირზე კოცნით მიიღო, მაგრამ შვილების ნახვა არ დაანება. სძინავთო, უთხრა, თანაც სითუ მეტისმეტად სა-ზიზღარი სანახავი იყო იმისთვის, რომ შუაღამით ბავშვები გაეღ-ვიძებინა. ბეიბიმ ახალშობილი ახალგაზრდა ქალს მიაწოდა, თავზე კაპორი რომ ეხურა, და უთხრა, თვალები იქამდე არ ამოუწმინდო, ვიდრე დედამისი არ მოშარდავსო.

— თუ წამოიტირა? — იკითხა ბეიბიმ.

— ოდნავ, — მიუგო სითუმ.

— დროა უკვე. აბა, დედას მოჲედოთ, — თქვა ბეიბი საგზმა და სითუ სასტუმრო ოთახში გაიყვანა, სადაც სპირტქურის შუქზე სახი-დან მოჰყვა და სულ ნაწილ-ნაწილ დაბანა. სახის დაბანას რომ მორ-

ჩა, ვიდრე კიდევ ერთი ქვაბი წყალი გათბებოდა, რძალს გვერდით ეჯდა და ნაცრისფერი ბამბის ქსოვილისგან რაღაცას კერავდა. სი-თუს ჩასთვლიმა და სწორედ მაშინ გაეღვიძა, როცა ხელის მტკვნებსა და მკლავებს პბანდნენ. დაბანდა თუ არა სითუს სხეულის რომელიმე ნაწილს, ბეიბი რძალს დალიანდაგებულ საბანში ხვევდა, თვითონ კი საშარეულოში წყლით სავსე მორიგ ქვაბს დგამდა ცეცხლზე. ხუდა ბეიბი საგზი ნაჭრებს, კერავდა ბამბის ნაცრისფერი ქსოვილისგან რაღაცას და თან განკარგულებებს აძლევდა კაპორიან ქალს, ერთ-დროულად ჩვილსაც რომ ელოლიავებოდა და ქურაზე შემოდგმულ კერძმიც რომ აპკურებდა ცრემლებს. სითუს ფეხები რომ დაბანა, ბეიბიმ რძალს ტერფები დაუთვალიერა და ოდნავ შეუშმრალა. ორი ქვაბი ცხელი წყლით მოაწესრიგა სითუ ფეხებს შორის, მერე კი მუ-ცელი და საშო ნაჭრებით გაუკრა. როგორც იქნა, გადაგვარებამდე მისული ტერფების ჯერიც დადგა.

- გრძნობ? — პკითხა რძალს დედამთილმა.
- რას? — კითხვაზე კითხვით უპასუხა სითუმ.
- არაფერს. წამოდექი.

ბეიბი სითუს სარწველამდე მისვლაში დაეხმარა, მერე ფეხები მარილიანი წყლით სავსე სათლში ჩააყრევინა, რომელშიც ღვიის ფოთლებიც ჩაეყარა. მთელი ღამე წყალში ფეხებჩაყრილმა გაატარა სითუმ. ძუძუს თავებზე მოდებული ფუფუნი ბეიბიმ ღორის ქონით და-ურბილა და ჩამოპბანა. გამთუნიისას მიყუჩებულ ბავშვსაც გაეღვიძა და ძუძუ მოწოვა.

— ღმერთს ეცედრე, რომ ცუდად არ გახდეს, — თქვა ბეიბიმ, — ჭმევას რომ მორჩები, დამიძახე.

ის იყო, წასასვლელად შებრუნდა, რომ ბეიბი საგზმა საწოლზე გადაფარებულ ზეწარზე მუქ ლაქას მოპკრა თვალი. წარბშეკრულმა შეხედა ბავშვისკენ დახრილ რძალს. ერთბაშად აფეთქებულიყო სის-ხლისფერი ვარდები საბანზე, მხრებზე რომ პქონდა მოსხმული სი-თუს. ბეიბი საგზმა პირზე აიფარა ხელი. დანაყრებულ ჩვილს ჩაეძინა. თვალები ნახევრად მიეღლულა და სიზმარშიც ისე აწკლაპუნებდა ენას, თოთქოს რაღაცას წოვდა. ხანში შესულმა ქალმა უსიტყვოდ წაუსვა ახალგაზრდას კოკორაშლილ ზურგზე მაღამო და ახალშე-კერილ კაბაზე ორად მოყეცილი ნაჭერი შიგნიდან ქინძისთვებით მიუმაგრა.

კურ წარმოედგინა სითქს, ეს ყველაფერი სინამდვილეში თუ ხდებოდა. არა, ჯერ კურ გაეაზრებინა, რა ხდებოდა მის თავს, მაგრამ როდესაც ძილმორული ვაჟები და გოგონა, დაფორთხავდა უკვე, მოუყვანეს, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, სიზმარი იყო მისი ხილვა თუ სინამდვილე, ხოლო როცა პატარა გოგონამ სახეში დუჟი მიაყარა, გახარებულ სითქს ისეთი სიცილი წასკდა რომ ბავშვმა, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა, თვალები მოჭეტა. ბაგლერი და პოვარდი ჯერ ერთმანეთს აქეზებდნენ, არა შენ იყავი პირველი, არა შენო, მერე კი გათამამდნენ და დედას დაუშნოებულ ფეხებზე ეთამაშებოდნენ, ის კი კოცნიდა და კოცნიდა შვილებს. ზურგს, კისერს, კინკრიხოს და ხელისგულებს უკოცნიდა, მაგრამ როცა სითქმ პერანგებში გატიკნული მუცლების სკოცნელად გაიწია, ბავშვებმა აღარ დაანებეს, თან იკითხეს:

— მამა მოვა?

გაჩერდა სითქ. არ უტირია, ისე უპასუხა, მალეო და გაიღიმა, რომ ბავშვებს მის აბრჭყვიალებულ თვალებში სიყვარულის მეტი ვერაფერი ამოეკითხათ. ცოტა ხანში ბეიბი საგზმა ბიჭები დაიფრინა და სითქმაც ჩაიცვა ნაცრისფერი კაბა, რომლის აკინძგაც წინა ღამით დაწყო მის დედამთილს. ბოლოს სარწყელაზე გადაწვა და მკლავებში მოქცეულ გოგონას, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა, დაუნანავა. მერე მარჯვენა ხელით მარცხენა ძუძუსთავი მოიხელთა და ბავშვმაც პირი გაუღო. უშეცდომოდ იცოდა დედა-შვილმა, რასაც აკეთებდა.

ბეიბი საგზი ოთახში შემოვიდა და გაეცინა. მოუყვა სითქს, როგორი ძლიერი და საზრიანი იყო მისი გოგონა, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა. მერე ერთად დაგუნდავებული ძონძების ასაღებად დაიხარა, ცოტა ხნის წინ მის რძალს ტანზე რომ ეცვა.

— შესანახი არაფერია, — თქვა ბეიბიმ.

სითქმ თავი აიღო და დედამთილს დაუქახა:

— მოიცა. ნახე, ისევ თუ არის შიგნითა ქვედაკაბაში რამე გამონასკვული.

ბეიბი საგზმა თავიდან ბოლომდე გასინჯა თითებით უკარგისი ქსოვილი და მიადგა კიდეც ჰენჭებით რაღაცას. ნაპოვნი სითქს გაუწოდა და ჰკითხა:

— წამოსვლის წინ გაჩუქეს?

— საქორწილო საჩუქარია.

— კარგი იქნებოდა, სასიძოც რომ ახლდეს. როგორ გვინია, რა მოუვიდა? — ჩაილაპარაკა ბეიბი საგზმა, თან სითუსკინ გაწვდილ ხელს არ აშორებდა თვალს.

— არ ვიცი. იქ არ დამხვდა, სადაც დამიბარა, მე კი უნდა წამოვსულიყავი. უნდა წამოვსულიყავი, — მიუგო სითუმ, რომელიც ერთი წუთის განმავლობაში ჯერ ძუძუთა ბაჟშეის ძილმორუელ თვალებს დასჩერებოდა, მერე კი ბეიბის შეხედა და უთხრა, — შეძლებს. მე თუ შევძელი, ჰალეც ნამდვილად შეძლებს.

— აბა, გაიკეთუ. იქნებ შენმა საყურებ გაუნათოს გზა, — თქვა ბეიბი საგზმა და სითუს კენჭებოვით საყურები მისცა, თუმცა თვალ დარწმუნებული გახლდათ, რომ ჰალე ცოცხალი აღარ იყო.

— ყურები მაქვს გასახერუტი, — იუარა სითუმ.

— მე გაგიხვრუტ. მალე სამაგისოდაც ოურგებ, — უთხრა ბეიბიმ.

ჰატარა გოგონას გასახარებლად, უკვე ფორთხვაც რომ ესწავლა, სითუმ საყურებ ხელში ააჩხარუნა, ის კი იწევდა და იწევდა ძვირფასი საჩუქრისკენ.

მდელოზე სითუ იმ ქვას მიადგა, დიდი ხნის წინ ბეიბი საგზი რომ ჩამოჯდებოდა ხოლმე ზედ და ქადაგებას იწყებდა. გაახსენდა სითუს შეზე ამიშხინებული ფორთლების სუნი. გაახსენდა, როგორ თელავ-დნენ მოცეკვავები ფეხქვეშ მიწას და როგორ ატანდა მათი შეძახილები წაბლის ხშირ-ხშირ ტოტებში. იცოდნენ, ყველაფერს ბეიბი საგზის გული იტვირთებდა და ამით გულდამშვიდებული ადამიანები თავს მოდუნების უფლებას აძლევდნენ.

ოცდარვა — სწორედ ამდენი დღე გაეტარებინა მონობისგან თუ-გამოხსნილ სითუს თვისუფლად, რამდენიც ახალმთვარეობიდან ახალმთვარეობამდე სჭირდება ცის სხეულს. ოცდარვა დღე გასუ-ლიყო მას შემდეგ, რაც ჰატარა გოგოს სითუსთვის სახეში კრიალა, კამკამა დუჟი მიეყარა იქამდე, ვიდრე მის ზეთოვით ბლანტ სისხლს დაინახავდა. წამლობაში, სიმშვიდესა და გულახდილ საუბრებში გა-ტარებული ოცდარვა დღე. დღეები, როცა მარტოობა არ უგრძნია — ორმოცი-ორმოცდაათი ზანგი გაიცნო, გაიგო, რას ფიქრობდნენ, როგორ ცხოვრობდნენ, ადრე სად იყვნენ და რას აკეთებდნენ. ზე-დავდა, რომ ისინიც მასთან ერთად ხარობდნენ, წუხდნენ და თავს

უკეთ გრძნობდა. ერთ-ერთმა მათგანმა ანბანი ასწავლა, მეორემ — კერვა. ყველა ერთად ასწავლიდა, რას ნიშნავდა, გარიერაუზე გაღვიძებულს, თავად რომ უნდა გადაწყვიტა, იმ დღეს რას გააკეთებდა. ჰალეს ლოდინიც ასე ისწავლა. 124 ნომერში იყო თუ მდელოზე, სხვა ადამიანების გვერდით ცოტა-ცოტა სითუმაც ისწავლა, რომ რაღაცას წარმოადგენდა. მონობიდან გათავისუფლება ერთი იყო, მაგრამ გათავისუფლებული თავის ბატონპატრონობა — მეორე.

პოდა, იჯდა სითუ ბეიბი საგზის ქვაზე, დენკერი და საყვარული კი ხუებიდან უყურებდნენ. ფიქრობდა სითუ, არასოდეს დადგება დღე, როცა ჰალე ჩემს კარზე დაკაკუნებსო. ამის არცოდნა ძნელი იყო, ცოდნა — უძნელესი.

მარტო თითებიო, — ფიქრობდა სითუ, — მარტო შენი თითების შეხება მაგრძნობინე ხელახლა კუთაზე და სულერთია, დაუყრი ფარხმალს, რამეს მოვიფიქრებ, რომ ამ აუტანელ მდგომარეობას თავი დავაღწიოო. სითუმ თავი დახარა და აი, ისინიც. ჩვეულებრივზე ზერელედ, ჩიტის ფრთასავით მსუბუქად შეეხნენ უცილობლად მოალერსე თითები. ოდნავ მოეშვა, თითები მიუშვა, თავისი საქმე რომ ეკეთებინათ ისე მსუბუქად ქებოდნენ, ლამის ბავშვის თითები პგონებოდა. უფრო უკოცნიდნენ, ვიდრე უზელდნენ ეს თითები სხეულს. მაინც ემადლიერებოდა სითუ ბეიბი საგზს, რომლის შორეული სიყვარული სხეულზე ნებისმიერ შეხებას უტოლდებოდა, რომელიც სითუს ოდესმე გამოეცადა. ხელების მოძრაობას თავი რომ დავანებოთ, საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების სურვილიც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ გუნება გამოპყეთებოდა და მომდევნო ნაბიჯი გადაედგა, რჩეუა ეთხოვა, მითითება, როგორ უნდა გაევრდელებინა ცხოვრება, როცა მისი გაუმაძლარი გონება ისეთი რამის ცოდნას ესწრაფოდა, მთელ დუნიაზე კერავინ რომ ვერ გაუძლებდა.

იცოდა, პოლ-დი მის ცხოვრებას რაღაცას ისეთს პმატებდა, რისი იმედიც უნდოდა, პქონოდა, თუმცა კი ასეთი იმედის ამარა ყოფნა ემინოდა. ახლაც პოლ-დის დამსახურება იყო, ახალმა წარმოსახვებმა და ძველმა მოგონებებმა გული რომ გაუტქა. ჰალეზე არაფერი იცოდა და ამ არცოდნით გამოწყეული სიცარიელე, ხანდახან ქმრის სიბედალეზე, სიბრიყვეზე თუ უიღბლობაზე აღალი გულისწყრომა რომ აფერადებდა, სიცარიელე, საღაც ერთი ამბავიც არ მოიძებნებოდა ისეთი, ნათელი რომ პქონოდა მოფენილი, ახლა სულ

ცინცხალი ნაღველით შევსებულიყო, თანაც ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამე უნდა გაევო სითეს. წლების წინ, მაშინ, როცა 124 ნომერი ცოცხალი იყო, სითეს მეგობრები ჰყავდა, ქალებიც, მამაკაცებიც, აქეთურებიც, იქითურებიც. მათ უზიარებდა დარდსა და ვარაძს. მერე ირგვლივ აღარავინ დარჩა — არავინ მთიდოდა, ვიდრე ჩვილის სული დაპპატრონებოდა მის სახლს. ასეთ შერისხვას უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანის სიამაყეს აგებებდა პასუხად სითე, თუმცა ახლა ჰყავდა ადამიანი, რომელსაც თვის ჯავრს გაუზიარებდა, კაცი, რომელსაც მოჩვენება იმ დღესვე გაევდო, როგორც კი სითეს სახლში შეედგა ფეხი. ნიშანწყალიც არ ყოფილა მას შემდეგ მათთან მოჩვენებისა, მაგრამ პოლ-დის, იმ დალოცვილს, სხვანაირი მოუსვენრობა მოეტანა: სულ პალეს კარაქითა და ჩუმა-მაწვნით მოთხუპნილი, პირში ლაგამგაჩრილი სახე ედგა სითეს თვალწინ, თან ღმერთმა უწყის, რომ ნდომოდა, კიდევ რისი მოყოლა შეეძლო პოლ-დის.

უფრო და უფრო ღონიერად ეჭებოდნენ უხილავი ხელები კუთაზე. ისე ძალუმად უტყაპუნებდნენ, თითქოს ბეიბი საგზი ძალას იკრებდა. ცერებს კუთაზე აჭურდნენ, დანარჩენ თითებს კი აქეთ-იქიდან აჭდობდნენ კისერზე. უფრო, უფრო მაგრად შემოესალტა უხილავი თითები ყელზე და ასე ნელ-ნელა მიუახლოვდა სასულეს. რომ ახრჩობდნენ, სითეს ეს სინამდვილეში უფრო აოცებდა, ვიდრე აშინებდა. შეიძლება უბრალოდ ასე ჩანდა. ასე იყო თუ ისე, ისე წაეჭირა ბეიბი საგზს მისთვის თითები ყელში, რომ სუნთქვა შეუძლებელი იყო. ქვაზე ჩამომჯდარი სითე წინ წაქანდა და ხელებით უხილავ თითებს მოებლაუჭრა. ჯერ დენვერი, მერე კი საყვარელი რომ მიუახლოვდნენ, სითე უკვე ფეხებს აფხარკალებდა.

— დე! დე! დედიქ! — დაიყვირა დენვერმა და სითე ზურგზე გადაბრუნა.

ყელზე მოჭურილი უხილავი თითები მოეშვა. სითემ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და პაერი რამდენჯერმე ხარბად ჩაისუნთქა, მერე კი გვერდით დენვერის სახეც დაინახა და საყვარელისაც, ზემოდან რომ წამოსდგომოდათ თვაზე.

— კარგად ხარ?

— ვიღაც მახრჩობდა, — თქვა სითემ.

— ვინ?

სითემ კისერზე ხელი მოისვა და წამოჯდომა სცადა.

— ბებია ბები, მკონი. მარტო კისრის დაზელა კოხოვი. როგორც
მიზელდა ხოლმე. კარგადაც დაიწყო. მაგრამ შერუ. ალბათ გადაი-
რია.

— ამას არ იზამდა, დე. ბებია ბები? არა. კაცო.

— შეხე, — სითუს კისრისკენ გაიძიორა ხელი საყვარელმა.

— რა არის? რა მეტყობა? — იკითხა სითუმ.

— ჩაღურჯებული გაქვს, — მიუგო დენვერმა.

— კისერი?

— აი, აქ. აქაც და აქაც. — ისევ ჩაერია საყვარელი და სითუს შვე-
ულზე კიდევ უფრო მეტად ჩაშავებულ დიდორონი ლაქებისკენ გაი-
წოდა ხელი. თითები ძალიან ცოტი პქონდა.

— მაგით ვერსაფერს უშველი, — თქვა დენვერმა, მაგრამ სითუსკენ
დახრილი საყვარელი მაინც აგრძელებდა, ნატოვით რბილ და თუთ-
სავით მბზინავ კანს უსვამდა და უსვამდა ორივე ხელს.

დაიკვნესა სითუმ. ისეთი გრილი და მარჯვე თითები პქონდა საყ-
ვარელს. აქამდე მარტოობაში ცხოვრობდა სითუ, ახლა, კი როცა
მის დახლართულ ბედისწერას. წყალზე დაუსრულებელ სიარულს
რომ პგავდა, ოდნავ უკან დაეჭია. ოდნავ მომლბარიყო, თითქოს მარ-
თლაც დაეჭირა ბედნიერების გაელვება პოლ-დისა და დენვერთან
ერთად კარნავალზე მიმავალს, როცა წინ ხელჩაკიდებული ჩრდილე-
ბი რწყეით მიუძღვოდნენ. ოღონდ კი გაეძლო იმისთვის, რაც პოლ-
დიმ უთხრა და იმისთვის, რაც კიდევ დარჩენოდა ამ კაცს სათქმელი.
ოღონდ კი გაეძლო, ოღონდ არ გატეხილიყო, არ დაცემულიყო ან
არ ეტირა, როცა კი ის საძაგელი სურათი დაუდგებოდა თვალწინ.
ოღონდ კი რაღაცნაირ გაუთავებელ სიგიურეს არ დაერია მისთვის
ხელი, როგორიც ბეიბი საგზის მეგობარს, კაპორიან ახალგაზრდა
ქალს სჭირდა, ცრუმლით რომ აჭუპჭუპებდა საჭმელს. ოღონდ კი
დეიდა ფილისთვით არ დამართოდა, ფართოდ გახელილი თვალებით
რომ ეძინა, ანდა ჯექსონ ტილივით, საწოლქვეშ რომ იძინებდა ხოლ-
მე. სითუს მარტო ის უნდოდა, რომ ცხოვრება გაეკრძელებინა. ისევ
გაეგრძელებინა ცხოვრება, როგორც აქამდე აგრძელებდა — მარ-
ტოს თუის ქალიშვილთან ერთად სახლში, სადაც მოჩვენებები სახ-
ლობდნენ და სადაც ყველანაირ ოხრობას ართმეუდა თუს. რატომ
ვერ უძლებდა ცხოვრებას აჩრდილისაგან გათავისუფლებული სითუ
პოლ-დის გვერდით? ეშინოდა? ბეიბი საგზი სჭირდებოდა? განა ის,

საც ყველაზე ცუდი იყო, უკან არ მოეტოვებინა? ვიდრე 124 ნოტერში
ის აჩრდილი ბუღობდა, ყველაფერს იტანდა, აკეთებდა, აგვარებდა,
ახლა კი ერთი გადაკრული სიტყვა იძახე, რაკ ქალებს შეჯითხვა და
დედის მაძებარი კურდლელივით მოკურებდა.

ღვთებრივი იყო საყვარელის თითქმის შეჭება. ისევ თანაბარი გა-
უხდა სუნთქვა სითუს და ნელ-ნელა მის არსებას ხიმშვიდეი შექა-
რა, რომლისთვისაც მდელოსა და ბეიბი საგზის საქადაგო ქვისთვის
მიეკითხა.

რა სანახუები ვიქნებით, — გაიფიქრა სითქმ და თვალები და-
ხუჭა. სცადა, წარმოედგინა სამი ქალი, ქვის ძირში, შუაგულ მდე-
ლოზე, რომ იყვნენ, იქ, სადაც ბეიბი საგზი, ღვთისმოსაც აღამიანი
სიყვარულს არიგებდა ხოლმე. ერთი იჯდა და კისერი მის წინ დაჩო-
ქილი ორიდან ერთ-ერთის კუთილი ხელებისთვის მიეშვირა.

უყურებდა დენვერი სითუსა და საყვარელის ხელებს, თვალ საყვა-
რელი კი საკუთარი ცერების მოძრაობას არ აშორებდა თვალს და,
ალბათ, უყვარდა ის, რასაც ხედავდა, რადგან დაიხარა და აკოცა
სირბილეს, სითუს ნიკაპეკვეშ რომ პქონდა.

ერთხანს იყვნენ ასე დენვერი და სითუ. არც ერთმა იკოდა, სხვა
რა უნდა ექნა, არც მეორემ. არ იკოდნენ, როგორ უნდა გაეჩირები-
ნათ, ანდა როგორ არ უნდა მოხიბლულიყვნენ ალერსით, ხვენა-
კოცნით, რომლის მოწმებიც იყვნენ. მერე სითქმ საყვარელს თმაში
ხელი წავლო, თვალები ჩქარ-ჩქარა დაახამხამა და მოიშორა გო-
გონა. მოგვიანებით ფიქრობდა, რომ ასეთი რამე ახალი რძის სუნის
გამო დაუშვა, საყვარელის სუნთქვას რომ დაპყვებოდა, იმწუთას კი
წარბშეკრულმა მკაცრად უთხრა გოგონას:

— მეტისმეტად დიდი ხარ ასეთი რამებისთვის.

სითქმ დენვერს შეხედა და დაინახა, რომ ამ უკანასკნელს შიში,
სადაც იყო, სხვა, უფრო სერიოზულ რამეში გადაეზრდებოდა. ქალი
სწრაფად წამოდგა და მოული სურათიც ერთბაშად დაირღვა.

— მიდით, წავედით, წავედით! — ხელის ქნევით წამოყარა სითქმ
დაჩოქილი გოგონები ფეხზე. ტოვებდნენ მდელოს და ისეთოვე დასა-
ნახუები იყვნენ, როგორიც მაშინ, როცა აქეთ მოემართებოდნენ: წინ
სითუ მიდიოდა, გოგონები ოდნავ უკან მიპყვებოდნენ. ისევ დუმდნენ,
ოღონდ ამჯერად სხვანაირად. შეჭირუებული იყო სითუ. არა, იმიტომ
არა, რომ საყვარელმა აკოცა, არამედ იმიტომ, რომ იქამდე, ვიდრე

გოგონა ყელს დაუკუნიდა. როცა ტკიფილის მოსახსნელად ყელს უზელდა და ისიც თავს ისე კარგად გრიმობდა, თითებმა. რომლებიც ვიდრე დახრჩობას დაუპირუბდნენ. უყვარდა და სიაშეს პკრიდნენ, რაღაც მოაგონა, რაღაც, ახლა ხელიდან რომ უსხლტებოდა.

თუმცა, ქრისტი რამე დანამდეილებით შევძლო ეთქა. ბეიბი საგზი არ ახრჩობდა, თავიდან როგორც ჟონა. დენვერი მართალი იყო. ხის ტოტებს მორის გამოღწეული მხის სხვებს ხალებივით აეჭრულებინათ მიწა. პოდა, მიაბიჯებდა ამ ხალებზე ჯადოსნურ მდელოს მომრუბული, უკვე გონიერად აწმენდილი სითუ და ახსენდებოდა, როგორ ქუბოდნენ თითები, საკუთარ თითებზე უკეთ რომ იცნობდა. ოდეს-ლაც ნაწილ-ნაწილ დაებანათ იმ თითებს, მისთვის მუცელი გაეკრათ, თმა დაუკარუხნათ, ძებუსთავებზე ქონი წაესვათ, მისთვის კაბა შეუკრათ, ფეხები მოწერესრიგებინათ და ზურგზე მალამო წაეცხოთ ეს თითები ანებებდნენ თავს თითქმის ყველანაირ საქმეს, სითუსთვის კუთხა რომ დაეზილათ, როცა, მით უფრო პირველ დღეებში, ვეღარც იმის ტვირთს უძლებდა, რაც ახსოვდა, ვერც იმისას, რაც აღარ ახსოვდა და ერთბაშად წახდებოდა ხოლმე — სკოლის მასწავლებელი სითუს გაჭოუბული მელნით რომ წერდა, ვიდრე მისი მმისწულები სითუსთან ერთობოდნენ; ფეტრის ქუდიანი ქალის სახე, მინდორში წელში რომ იმართებოდა. გარშემო მთელი ქვეყნის ხელები რომ პქონოდა, ბეიბი საგზის ხელებს ისვეუ ამოიცნობდა, როგორც მარჯვე ხელებს თუთრკანიანი გოგოსი, ხავერდის საშოუნელად რომ მიდიოდა. თვრა-მეტი წელიწადი ეცხოვრა სახლში, რომელშიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჭუბოდა იმიერიდან ვიღაც. პოდა, სწორედ იმ ვიღაცისნაირ ცერებს აჭურდნენ მდელოზეც კუთხაში. იქნებ იქაურობისთვის შეუფარებინა თავი სახლიდან გაქცეულ აჩრდილს. იქნებ მას შემდეგ, რაც პოლ-დიმ 124 ნომრიდან მიაბრძანა, ადგა და მდელოზე მოიკრიბა ლონე. ეს აზრი ჭკუასთან ახლოსააო, გაიფიქრა სითქმ.

მიზეზი, რომლის გამოც დენვერი და საყვარელი თან წამოეყვანა, უკვე გამოეცნო, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, იმპულსი ხომ არ იყო, რომელსაც დამცველის ძიების ბუნდოვანი სურვილი ახლდაო თან. თანაც გოგოებმა გადაარჩინეს. ისე ღელავდა საყვარელი, რომ ორი წლის ბავშვოვით იქცეოდა.

ეჭვი, რომ გოგონას შეხებაც ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ბავშვის აჩრდილისა, ისვეუ გაიფანტა, როგორც დამწვრის სუნი გაი-

ფანტება ხოლმე, როგორც კი ცეცხლს ჩააქრობ ანდა ფანჯარას გამოაღებ და ოთახში სუფთა პაერს შემოუშვებ. ერთი ბეჭო შფოთვა მაინც დარჩა გულში სითქს, თუმცა ისე ძალიანაც არ ღელავდა, რომ დავიწყებოდა ის, რაც ახლა ყველაზე მეტად უნდოდა. უნდოდა, გვერდით პყოლოდა პოლ-დი და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას ამბობდა ეს კაცი და რა იცოდა. უნდოდა სითქს, რომ მისი ცხოვრების ნაწილი ყოფილიყო პოლ-დი. იმდენად პალეს მოსავონებლად არა, რამდენადაც პასუხის მისაღებად მისულიყო სითქ მდელოზე და აი, ისიც პასუხი — ნდობა და მოვონებები, დიახ, სწორედ ასე-თად ესახებოდა პოლ-დისთან ცხოვრება, როცა ეს უკანასკნელი სამხარუელო ქურასთან გულში იკრავდა... პოლ-დის სხეულის წონა, მოხრილი ზურგი და ნაკარჯიშები ხელები, მისი ნამდვილი წვერი, მომლოდინე თვალები და შიშის მომგვრული ძალა, რომელიც ამ ადამიანის სხეულს ჰქონდა, პოლ-დის გონება, რომელიც მის გონებას იცნობდა... გასაძლისი გახლდათ პოლ-დის გვერდით სითქსთვის საკუთარი თავგადასავალი, რადგან მისი ამბავი პოლ-დის ამბავიც იყო. შეეძლოთ მოყვოლათ ერთმანეთისთვის რაღაც, მერე რაღაცები დაეზუსტებინათ და ისევ მოყვოლათ, ხოლო იმას, რაც არც ერთმა არ იცოდა მეორის შესახებ, ის, რისთვისაც ჯერ სიტყვები ვერ მოეძებნათ, დროთა განმავლობაში ითქმებოდა. ითქმებოდა, სად მოუწია პოლ-დის პირში გაჩრილი ლაგმის ლორნა; ითქმებოდა, უმფოთველ სიკვდილზეც, სითქს პატარა გოგონას რომ ხვდა წილად, რომელსაც ფოფუხა უკვე ესწავლა.

უნდოდა სითქს, დაბრუნებულიყო, სწრაფად დაბრუნებულიყო უკან. უნდოდა, ამ უმაჭვისი გოგოებისთვის საქმე მიეჩინა, რომ გონების საზრდო გასჩენოდათ მზე გადასულიყო და შედარებით გრილოდა. მიქროდა სითქ მწვანე დერუფანში და იაზრა, რომ დებოით ჰგავდნენ დენვერი და საყვარელი ერთმანეთს. გაგიკვირდებოდათ ოროვე ისეთი დამჯერი და სრულიად სანდო იყო. უგებდა დენვერს სითქ. მარტოობას გულჩათხრობილ ადამიანად ექცია გოგონა, რომელსაც სხვები არ სჭირდებოდა. წლების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდნენ და ამან ისე დააჩლუნგა, რომ ვერც კი დაიჯერებდით, მაგრამ თან ისე მოიპირა, რომ ამასაც ვერ დაიჯერებდით შედეგად ის მოხდა, რომ გოგონა, რომლის დასაცავადაც სითქ უმაღლ მოკვდებოდა, მორიდებული, მაგრამ ჯიუტი ვინმე გაიზარდა. მეორეს, საყვა-

რელს ნაკლებად იცნობდა სითუ. ერთი ის იცოდა, რომ არაფერი იყო ისეთი, რასაც ეს უკანასკნელი მისი გულისთვის არ გააკეთებდა და მას და დენვერს ერთად ყოფნა მოსწონდათ ფიქრობდა სითუ, ახლა კი ვიცი, რაც არისო საქმე. შექმატებილებულად ამჟღაუნებდნენ და მალაუდნენ გოგონები თავიანთ გრძნობებს. რასაც გასკემდა ერთი, სიხარულით იღებდა მეორე. მდელოს გარშემო შემორკალულ ტყეში დარჩნენ, მერე კი, როცა სითუ იხრჩობოდა, წილილ-კილილით გაიქცნენ მისკუნ და დაკოცნეს. ყოველ შემთხვევაში, რაკი გოგონებს შორის ვერც მეტოქეობას ხედაუდა, ვერც რომელიმე მათგანის უპირატესობას, მათ მეუბრობას ასე ხსნიდა სითუ. ფიქრი აეკვიატა კახშამზე, პოლ-დისთვის რომ უნდოდა მოემზადებინა. უნდოდა, ამ სათუთ მამაკაცთან ერთად ახალი, უფრო მტკიცე ცხოვრების დასაწყებად რამე როთული კურძი მოემზადებინა, რამე ისეთი, უწყალებლად რომ არ გამოუვიდოდა. აი, ყველა მხრიდან დაბრაწული წვრილ-წვრილი კარტოფილები ბლომად პილპილმოყრილი; მწვანე ლობიო, შიგ შერული ლორის ანათალებით; ძმარმოსხმული და შაქარმოყრილი გოგრა. იქნებ მწვანე ხახვთან ერთად შევწა კარაქში ტაროს მოშორებული სიმინდის მარცვლები. იქნებ პურიც ამოუყვანა.

ვიდრე სამზარეულომდე მიაღწევდა, თავში სულ ნაირ-ნაირი მისართმევები უტრიალებდა და მაშინვე ვერ შენიშნა თეთრი კიბის ქვეშ დადგმული ხის გეჯა, შიგნით პოლ-დი რომ იჯდა. სითუმ გაუღიმა მამაკაცს. მანაც ლიმილით უპასუხა.

- მგონი, დამთავრდა ზაფხული, — თქვა ქალმა.
- შენც ჩამოდი.
- აპ-აპ. გოგოები მომყვებიან.
- არაუის ხმა არ მესმის.
- საჭმელი უნდა მოუმზადო, პოლ-დი.
- მეც, — თქვა მამაკაცმა, ფეხზე წამოდგა, სითუს მკლავები შემოახვია და ერთხანს არსად უშვებდა. მისი ტანიდან ჩამოსული წყლით გაელუმპა კაბა სითუს. ყურთან გრძნობდა პოლ-დის ყბის შეზებას, თავად კი ნიკაპს აბჯენდა მხარზე.
- რა უნდა მოამზადო?
- მწვანე ლობიო ვითიქრე.
- კარგია.
- ცოტა სიმინდი შევწა?

— აბა.

ეჭვი არ იყო, რომ სითუ სადიღს თვეს გაართმევდა. სწორედ ისე, როგორც იმ დღეს, რძით მკერდგაუსებული 124 ნომერში რომ მოიდა, სითუ ახლაც დარწმუნებული იყო, საჭმელი ყველასთვის ჟოფოდა.

საყვარელი კარში შევიდა. უნდა გაუგონათ სითუსა და პოლ-დის მისი ნაბიჯების ხმა, მაგრამ არაფერი გაუგიათ ჩურჩულებდნენ და ხმაურით სუნთქვადნენ, ისევ ჩურჩულებდნენ და ისევ სუნთქვადნენ ხმაურით საყვარელმა მაშინვე გაიგონა ეს ხმები, როგორც კი კარი ზურგს უკან ხმაურით მიიხურა. კარის მიჯახუნებაზე გოგონა შეხტა, მერე კი სახე თუთრი კიბისკენ მიაბრუნა, რომლის უკნიდანაც ისმოდა ჩურჩული. საყვარელმა ერთი ნაბიჯი გადადგა და ტირილი მოუნდა. ისე ახლოს იყო, მერე კიდევ უფრო ახლოს. ტირილი კი უნდოდა, მაგრამ ასე ბევრად სჯობდა სიბრაზეს, რომელიც მაშინ მოერუოდა ხოლმე, როდესაც სითუ რამეს ისეთს აკეთებდა ანდა ისეთ რამეზე ფიქრობდა, რასაც მასთან, საყვარელთან, საერთო არაფერი ჰქონდა. შეეძლო, საათობით ეთმინა, სითუ სახლში რომ არ იყო, შეეძლო კვირაში ექვსი დღე ცხრა, ათი საათის განმავლობაში ეთმინა. შეეძლო ღამითაც მოეთმინა, როცა კედლებსა და კარუბს მიღმა ვერ ხედავდა სითუს, რომელიც იმ კაცის გვერდით იწყა, მაგრამ საყვარელთანაც ახლოს იყო. თუმცა, ახლა, დღის სინათლეზეც აღარ აცდიდნენ. არ აცდიდნენ მაშინ, როდესაც გულდამშვიდებული იყო, როდესაც საკუთარი თვეისთვის ჩაენერგა, ამას უნდა დასჯერდეო. ახლა დრო, მას რომ ეკუთვნოდა, შეეკვეცათ — სხვა რამეებზე უნდოდა თვეისი ყურადღების მიქცევა სითუს, უმეტესად იმ კაცზე, მასზე, ვისაც ქალისთვის ისეთი რამ ეთქა, რის გამოც ეს უკანასკნელი ტყეში გაიქცა და ქვაზე ჩამომჯდარმა საკუთარ თვეს გაუბა ღაპარაკი, მასზე, ვისაც დახურულ კარს მიღმა ჰყაუდა ხოლმე ღამდამობით სითუ, მასზე, ვისაც ახლა კიბის უკან მკლავებში მოემწყვდია სითუ და ეჩურჩულებოდა, თანაც მას შემდეგ, რაც საყვარელს დახრჩობას გადაერჩინა სითუ და შზად იყო, მაგრად ჩაევლო ამ ქალისთვის ხელი.

საყვარელი შემობრუნდა და იქაურობას გაეცალა. დენვერი ჯერაც არ დაბრუნებულიყო შინ, ანდა სადმე გარეთ იცდიდა. საყვარელი დენვერის მოსაძებნად წავიდა. გზაში გაჩერდა და უყურა, რო-

გორ დახტოდა დიდი ტოტიდან შედარებით პატარაზე ჩიტი კარ-
ლინალი. იქამდე უყურა სისხლისფერ წერტილს, ფოთლებს შორის
რომ მისხლტებოდა, ვიდრე თვალთხედვიდან არ დაეკარგა. გზა კი
გააგრძელა მაინც საყვარელმა. უკან-უკან მიღიოდა და ისვე ერთი
სული ჰქონდა, ხელახლა როდის გაიელვებდა ტოტებში ჩიტი.

ბოლოს გოგონა შემობრუნდა და ტყის გავლით პატარა მდინა-
რისკენ გაიქცა. იდგა ნაპირის ახლოს და დასცემეროდა საკუთარ
ანარეკლს. მერე მის გვერდით წყლის ზედაპირმა დენვერის სახე
აირეკლა და ოროვენი ერთმანეთის გამოსახულებას დააჩერდნენ.

— შენ ქენი, დაგინახე, — თქვა დენვერმა.

— რა?

— შენი სახე დაუინახე. შენ გამო ეხუთებოდა სული.

— მე არ მიქნია.

— მითხარი, მიყვარსო.

— განა მე არ ვუშველე? განა მე არ გაუუთავისუფლე კისერი?

— მერე. მას შემდეგ, რაც კისერში უჭირდი.

— მე ვკოცნიდი კისერში. არ მომიჭირია. რკინის რგოლი უჭირდა.

— დაგინახე, — მკლავში წავლო საყვარელს ხელი დენვერმა.

— ფრთხილად, გოგონი, — თქვა საყვარელმა, დენვერს ხელი წა-
ართვა და რაც შეუძლო სწრაფად აუყვა სირბილით მდინარეს, ტყის
გადაღმა რომ ხმაურობდა.

ნეტავ მართლა თუ კუდებიო, გაიფიქრა მარტო დარჩენილმა დენ-
ვერმა. ვიდრე სითუ ქვაზე იჯდა, ის და საყვარელი ხეებს შორის იდ-
გნენ და ჩურჩულებდნენ. იცოდა, დენვერმა, რომ მდელო ის ადგილი
გახლდათ, სადაც ბეიბი საგზი ქადაგებდა ხოლმე, მაგრამ ეს მის პა-
ტარაობაში იყო. ისეთ ასაკში არასოდეს ყოფილა ამ ადგილას, რომ
რაიმე ხსომებოდა. 124 ნომრით და მის უკან გამლილი მინდვრით
შემოიფარგლებოდა მთელი სამყარო, რომელსაც დენვერი იცნობდა
და მის გარდა სხვა სამყაროს შესახებ არც უნდოდა გაუვო.

იყო და არა იყო რა, იყო დრო, როდესაც გოგონამ იცოდა კიდეც
იმაზე მეტი, რაც ამ სახლსა და მინდორში ხდებოდა და კიდევ უფ-
რო მეტის ცოდნის სურვილიც ჰქონდა, მაგალითად, ფეხით აკვლო
ბილიკი, რომელსაც მეორე ნამდვილ სახლთან მიჰყავდა, ფანჯრის
გარეთაც დამდგარა და მიუყურადებია. თვეისი ნებით ოთხჯერ გა-
ერისკა, ოთხჯერ გაპარულიყო 124 ნომრიდან ნაშუადლევს, მაშინ

როდესაც კახშმობის წინ ყოველდღიური საქმეებისგან დაღლილი დედა და ბებია ყურადღებას აღუნებდნენ და ვიდრე საღამოს საქმეებს შეუდგებოდნენ, ერთი საათით ისვენებდნენ. იმ სახლის საძებნელად იპარუბოდა დენვერი, სხვა ბავშვები რომ სტუმრობდნენ ხოლმე, ის კი არა, სადაც მეტისმეტი მორიდებულობის გამო შესასვლელ კართან ვერ მიდიოდა და ამის გამო ფანჯარაში იჭვრიტებოდა. სწორსაზურუან სკამზე დაბრძანებულიყო ლედი ჯონსი. რამდენიმე ბავშვი მის წინ ფეხმორთხმით იჯდა იატაკზე. ლედი ჯონსს წიგნი ეჭირა, ბავშვებს — ასპიდის დაფები. ძალიან ხმადაბლა ამბობდა ლედი ჯონსი რაღაცას იმისთვის, რომ დენვერს გაეგონა. ბავშვებიც იმეორებდნენ მის ნათელად. ოთხჯერ წაუიდა დენვერი მათ სანახავად. მეტუთედ ლედი ჯონსმა დაიჭირა და უთხრა: „შემოსასვლელი კარუბიდან შემოდით, მის დენვერ აქ საცირკო წარმოდგენა არა გვაქვს“.

პოდა, თითქმის მთელი წელი ისწავლა დენვერმაც თანატოლებთან ერთად სიტყვების დამარცვლა და დათვლა. შვიდი წლის იყო და შეუადლისას ლედი ჯონსთან ერთად გატარუბული ორ-ორი საათი ეძვირფასებოდა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ საკუთარი სურვილით მისულიყო იმ სახლში, თანაც ისიც უკვირდა და ახარუბდა, რომ მისი ეს საქციელი დედასა და ძმებს გაუკვირდათ და გაუხარდათ თვეში ხუთ ცენტად ლედი ჯონსი თვეის პატარა სახლს ფერადკანიანი ბავშვებით ავსებდა, რომლებსაც წიგნი აინტერუსებდათ და ეცალათ წიგნებისთვის — აკეთებდა იმას, რასაც თუთოკანიანები უკანონობად თუ არა, ზედმეტობად მაინც თვლიდნენ. გულის ფანცქალით მიჰქონდა ხოლმე ლედი ჯონსთან ცხვირსახოცში გამოკრული ხუთცენტიანი, თვეის ცხვირსახოციანად მისთვის ქამარზე რომ გამოებათ მერუდა, როგორ ცდილობდა დენვერი საქმეში გამოცდილი ადამიანიუით დაეჭირა ხელში ცარცი და დაფაზე ისე დაწერა, რომ ჭრიალის ხმა არ ყოფილიყო, როგორ ცდილობდა ლამაზად გამოეყვანა ასოები, მით უფრო, როდესაც თვეისი სახლის დაწერაზე მიდგებოდა საქმე, როგორი სუდა შემოაწვებოდა ხოლმე გულზე, როდესაც მისის ჯონსი წინადადებას წინადადებაზე კითხულობდა ბიბლიიდან, სახელმძღვანელო წიგნად რომ იყენებდა. ყოველ დილით მეცადინეობდა დენვერი, ყოველ გაკვეთილზე ბრწყინავდა ნაშუადღვეს. იმდენად ბედნიერი იყო, ვერც ამჩნევდა,

თანაკლასელები თუმ რომ არიდებდნენ. ბაჟშვები მოიბოდიშებდნენ და ოღონდაკ მასთან ერთად არ ეცლოთ, ხან ფქს აუჩქარუბდნენ, ხანაკ ნაბიჯს მოუკლებდნენ. დენვერის ასეთ მდგომარეობას წერტილი ნელსონ ლორდმა დაუსვა. ბიჭი იყო. ისეთვე გონიერი, როგორიც თუმად დენვერი გახლდათ პოდა, ამ ბიჭმა დედამისზე გოგონას ისეთი რამე ჰკითხა, კარციც, ლამაზად გამოყვანილი ასოებიც და სხვა დანარჩენიც, რასაც ნაშუადლევს გამართული გაკვეთილები გულისხმობდა, დენვერისთვის სამუდამოდ მიუწვდომელი გახდა. სხვა დროს მისთვის ასეთი რამ რომ ეკითხათ, დენვერი ან გაიცინებდა, ანდა თანამოსაუბრეს ძირს მოადენინებდა ტყაპანს, მაგრამ ნელსონ ლორდს არც სახეზე ეტყობოდა და არც ხმაში ემჩნეოდა, რომ რამე საძაგლობა ჰქონდა ჩაფიქრუბული. უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გამო ეკითხებოდა დენვერს, არადა, გოგონას გულში ისეთმა რამემ დაიწყო ფორიაქი, მანამდე გაუღვიძებლად რომ ეძინა.

სკოლაში აღარასოდეს წასულა. ნელსონ ლორდთან ლაპარაკის მეორე დღეს სითუმ ქალიშვილს გაკვეთილზე წაუსვლელობის მიზეზი ჰკითხა. პასუხი არ გაუცია დენვერს. მეტისმეტად დამფრთხალი იყო საიმისოდ, რომ ახლა თუმად დაუსვა ნელსონის შეკითხვა ძმებისთვის — უცნაური ძრწოლა აიტანდა ხოლმე, როდესაც აფორიაქებული დედაზე იწყებდა ფიქრს. მოგვიანებით, მას შემდევ, რაც ბეიბი საგზი გარდაიცვალა, არც კი უკითხავს, რატომ გაიქცნენ სახლიდან ჰოფარდი და ბაგლერი. აი, სითუს კი არ ეთანხმებოდა, რომ ბიჭები ასე მოჩვენების გამო მოქცეულიყვნენ. თუ ასე იყო, ამდენ ხანს რა აჩერებდათ მის ძმებს სახლში? მოჩვენებასთან ერთად მათც იმდენი დრო გაეტარუბინათ, რამდენიც დენვერს, თუმცა, თუკი ნელსონ ლორდი მართალი გახლდათ, გასაკვირი არაფერი იყო იმაში, რომ ერთსაუდ მოღუშული ჰოფარდი და ბაგლერი სულ იმის ცდაში იყვნენ, რაც შეიძლებოდა ნაკლებად ყოფილიყვნენ შინ.

ამასობაში სითუს შესახებ ყოვლად წარმოუდგენელმა და საზარელმა ზმანებებმა გზა ნახა და დენვერიც მთელი არსებით გადაერთო პატარა ბაჟშვის აჩრდილზე. ვიდრე ნელსონ ლორდი რამეს ჰკითხავდა, პატარა სულის თუზე ხელაღებული გამოხდომები გოგონას თითქმის არ აინტერესებდა. აჩრდილის თანდასწრებით დედამისი და ბებიამისი იმდენად შშვიდად იყვნენ, რომ ამ ამბებისადმი დენვერიც გულგრილი გახდა. მერე მათ სახლში დასახლებული სუ-

ლის ონაურობა ახელებდა და ძალ-ღონეს აცლიდა. ადგა დენვერი და ლელი ჯონსის საშინაო სკოლაში მოსიარულე ბავშვებს შეუერთდა. ეს იყო და, აჩრდილმაც ისე ერთბაშად დაატეხა თვეს მთელი თვი-სი სიბრაზე, სიყვარული და შიში, რომ დენვერმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა. მაშინაც კი, როცა გამბედაობა მოიკრიბა, რომ სითესთვის იგოვე ეკითხა, რაც ნელსონ ლორდმა პკითხა, სითესგან პასუხი ვერ მოისმინა. ბეიბი საგზს სიტყვა არ უთქვამს არც მაშინ, არც მერჯ. ორი წელი თითქმის დაურღვეველ სიჩუმეში გაატარა, თუმცა ამ სიჩუმის დამსახურება იყო, თვალი ისე რომ გაუმახვილდა, თავადაც ძლივს იჯერუბდა. მაგალითად, შეეძლო, ექვსი ფუტის სიმაღლეზე ხის ტოტზე შემოსკუპებული ბელურის ნესტოები გაერჩია. ორი წლის განმავლობაში საერთოდ არაფერი გაუგონია, მერჯ კი ჩაესმა, როგორ მიღოლავდა გრგვინვა-გრიგალივით ხმაურით კიბეზე რაღაც. ბეიბი საგზმა ჩათვალა, რომ ძალლი, სახელად „ბიჭი“, დაძვრებოდა სახლის კუთხე-კუნჭულში და ასე ითვისებდა ახალ-ახალ ადგილებს, სითემ კი გაიფიქრა, რომ ბიჭების სათამაშო კაუჩუკის ბურთი ეშვებოდა ხტუნვა-ხტუნვით კიბეზე.

- გაგიჟდა ეს ოხერი ძალლი? — დაიყვირა ბეიბი საგზმა.
- ვერანდაზეა, — მიუგო დედამთილს სითემ, — თვითონ ნახე.
- აბა, მაშინ რა ისმის?

სითემ ღუმელს ხმაურით დაახურა თვეი და ბაგლერს გასძახა:

- ბაგლერ! ბაგლერ! გითხარი, სახლში მაგ ბურთით არ იარო-მეთქი, — თუმცა, თეთრ კიბეს რომ შეხედა, კიბის თვეში სითეს ბაგ-ლერი კი არა, დენვერი დახვდა.

- ზემოთ ამოსვლას ცდილობდა.
- რა? — იკითხა სითემ, თან ჩვარს, რომლითც ღუმლის ცხელ სახურავს პკიდებდა ხელს, ჩქარ-ჩქარა ჭმუჭნიდა.

- ბავშვი, — უპასუხა დენვერმა, — არ გაგიგია, როგორ მობობლავდა.

ვერ გაუვო სითეს, თვეში პირველად რა უნდა ჭალა, — ის, რომ დენვერს ქვეყანაზე ყველაფრის გაგონება შეეძლო, თუ ის, რომ პატარა გოგონა, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა, ისევ ცუდად იქცეოდა.

დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხის გამო, რომლის მოსმენაც არ შეეძლო, დენვერს ჯერ სმენა წაერთვა, ახლა კი კიბეზე აფორ-თხებული მკვდარი დის ბრაგაბრუებმა ისევ დაუბრუნა დაკარგული

სძენა. ეს ნიშანი გახდედათ ნიშანი იმისა, რომ 124 ნომრის ბინადართა ბეჭ-ილბაღი კიდევ ერთხელ უნდა შეიცვლილიყო. იმ დღიდან ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამჟღავნებდა პატარა მოჩვენება თუკის გულ-ლერძლიანობისას. დროიდადრო ამოხვნებისა და წვრილ-წვრილი ფოთქრს კების გარდა, რომლითაც ცოკხლებს უძასპინძლდებოდა, აჩრდილი ადამიანების წინასწარ მოიხიქნებულ წამებაზე გადავიდა. ბაგლერი და პერარდი ჭიკუილან გადასცავდა ქალების საქციელს და კუმტი სახუბით ზედ გაუთავებლად საყვედური რომ წერათ დღიური სამუშაოდან თუკისუფალ დროს სახლის გარეთ ატარებდნენ. ბიჭები ქალაქში საჯინიბოში მუშაობდნენ ხოლმე — წყალსა და საკვებს უზიდავდნენ ცხენებს. ლერძლიანმა აჩრდილმა 124 ნომრის ყველა ბინადარს სათითოდ გაუხადა გასაქცევად საქმე. ბეიბი საგზი დაიღალა, ლოგინში ჩაწერა და იქამდე არ ამღვარა, ვიდრე დიდი, ბებერი გული არ გაუჩერდა. აქა-იქ თუ მოითხოვდა, რამე ფერადი მაჩვენეოთ, თორუმ ისე თუკის ცხოვრების უკანასკნელი დღის დადგომამდე თითქმის არაფერს ამბობდა. ნაშეადლევი იყო, საწოლიდან რომ წამოდგა, ნელა გაიპარა სასტუმრო ოთახის კარისკენ და სითუსა და დენვერს იმის შესახებ მოახსენა. რაც სამოცწილიან მონობასა და ათწლიან თუკისუფალ ცხოვრებას ესწავლებინა მისთვის. უთხრა, არ არსებობს ქვეყნად უბედურება, გარდა თეორებისანებისაო. „არ იციან, როდის უნდა გაჩერდნენ“, — თქვა ბეიბი საგზმა, ისევ საწოლს მიაშერა, დალიანდავებული საბანიც წაიხურა და რძალსა და შეიღლიშვილს სამუდამო საფიქრალი დაუტოვა.

ამ ამბიდან ცოტა ხანში ბავშვის აჩრდილის გამოძახება და მისი ჭიკუაზე მოყვანა სცადეს. საამისოდ მამაკაცი გახდა საჭირო, პოლდი, რომელმაც მოჩვენება ჯერ წიკილ-ეკვილითა და ლაწალუწით გააძევა სახლიდან, მერე კი მისი ადგილიც დაიკავა. პოდა, იყო კარნავალი თუ არ იყო, პოლ-დის თუ დენვერს მაინც თუკისი გესლიანი მოჩვენება ერჩია. იმ დღეს, როცა პოლ-დი საცხოვრებლად მათთან გადავიდა, მთასავით მარტოსული და თითქმის მთასავით დიდი გოგონა რაც შევძლო დიდხანს გაჩერდა თუკის ზურმუხტისფერ საკუჭნაოში. დარწმუნებული იყო, რომ მის გარდა ყველას პყავდა ვიღაც და ფიქრობდა, მე აჩრდილთან ერთად ყოფნაზეც უარი მეთქვაო. ამიტომაც იყო, ათრთოლებული გულში ღმერთს მაღლობას რომ სწირავდა, როცა საყვარელის შავი კაბა და თასმებგახსნილი

ფეხსაცმელები დაინახა. როგორი ძალაც უნდა ყოფილიყო საყვარელის ხელში და როგორც უნდა გამოყენებინა თვეისი ძალა, ის მას ეკუთვნოდა. ღელავდა დენვერი, როცა ფიქრობდა, რომ საყვარელს სითესოვის ზიანის მიყენება პქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ისე უსაზღვროდ სჭირდებოდა, რომ ვინმე ჰყვარებოდა, გრძნობდა, ძალა არ შესწევდა, ხელი შეუშალა საყვარელისთვის. რცხვენოდა იმის, რასაც მდელოზე შესწრებოდა, რადგან ყოველგვარი შინაგანი დავიდარაბის გარეშე გაეკეთებინა არჩევანი სითესა და საყვარელს შორის.

მიდიოდა დენვერი პატარა მდინარისკენ, უკან მოეტოვებინა მწვანე ბუჩქების სახლი და ფიქრობდა, ნეტავ რა მოხდებოდა, საყვარელს მართლაც რომ გადაწყვიტა დედაჩემის დახრჩობაო. დაუშვებდა ამას დენვერი? მკვლელობას, როგორც ნელსონ ლორდი ამბობდა. „დედაშენი ციხეში მკვლელობისთვის არ გამოამწყვდიეს? შენც მასთან ერთად არ იყავი?“

ეს უკვე მეორე კითხვა იყო, რომლის გამოც ამდენი წნის განმავლობაში სითესოვის პირველი ვერ დაესვა. ამ კითხვამ აუბორება სულის ხვეულები... სიბნელე, ქვის კედლები და რაღაც ისეთი, თვისისით რომ მოძრაობდა. რაკი უმაღლ დაყრუვდებოდა, ვიდრე პასუხს მოისმენდა, პატარა გულისაბებივით¹ დაუფარავად რომ ელტვოდნენ შეის სხვებს, შეის ჩასვლის შემდეგ მჭიდროდ ხურავდნენ ფურცლებს, დენვერმაც ბაჟშეის აჩრდილის დარაჯობა გადაწყვიტა და მის მეტი სხვა არაფერი ახსოვდა. პოლ-დის მოსვლამდე იყო ასე, მაგრამ ბოლომდე არ გამოუვიდა ამ კაცს მათვის ვნების მიყენება, რადგან სასწაულებრივად აღმდგარიყო მკვდრეთით საყვარელი.

წინ, მდინარის კიდესთან დენვერმა მისი სილუეტი დაინახა. იდგა წყალში საყვარელი ფეხშიშველი, შავი ქვედაკაბა კანჭს ზემოთ აუტანა და სულგანაბულს ლამაზი თვი ძირს დაეხარა.

თვალები აუცრუმლდა დენვერს, უნდოდა მიტვების ნიშნად სიტყვა მაინც ეთქვათ მისთვის. მერე ფეხზე გაიხადა და საყვარელივით შევიდა წყალში. ძლივძლოვობით მოსწყვიტა შეერა საყვარელის თვეს და თვითონაც დააცქერდა წყალს.

კუ, ნაპირის გასწვრივ რომ მიიჩლაზნებოდა, შემობრუნდა და

¹გელისაბა — მცენარე.

მარსლ მიწაზე გადაღოდნდა. ოდნავ ჩამორჩიებოდა კუს მეორუ კუ. ისიც იმავე მხარეს წყვიდა. საითაც პირველი. პაერში უძრავიად გამოკიდებული ჯამის ქვეშ მოქცეულ ორ წყვილ თუთუშს პგაუდნენ. უკან, ბალახებში მეორუ კუ ჩქარ-ჩქარა მოაჯდა დედალს. კურაფერი დაუდგებოდა წინ ლონიერ მამრს. მდედრის მხრებთან რომ აჭარიდა ფეხებს მიწას. ყელი ყელზე გადაეჭიდოთ მდედრი ზემოთ იშვერდა კისერს. მამრი კი ძირს დახრილიყო და ასე უთათუნებდნენ ერთმანეთს თავებს. და აღარ იყო არაფერი ამქვეყნად მდედრის მოღერუბულ კისერზე მაღლა. გაშვერილი თითოებით რომ მიიწვედა მამრისკენ და ყველაფერს რომ დებდა სათუოზე, რაც კი მათ გარშემო არსებობდა, ლონდ კი მას შეხებოდა სახეზე. იზიდავდა მათი საფარები ერთმანეთს, გაუდიოდათ რაკარუკი და ისინიც ხან აგებებდნენ, ხანაც აცდენდნენ ერთმანეთს მოუელყელავე თავებს.

საყვარელმა აკუცილი კაბა ჩამოუშვა და ქსოვილიც უმალ გაიშალა მის გარშემო. შავად იხედებოდა წყლიდან ფართო ქობა.

მას შემდეგ, რაც მასტერის თვალს მოეფარა, მას შემდეგ, რაც მოშორდა მამლაყინწების მოღიმარ მეფე მისტერს, ღმერთო, შენს სახელს ვწაცალე, პოლ-დი კანკალმა აიტანა. არა, ერთბაშად კი არ აცახცახებულა, ანდა ვინმეს კი არ შეუნიშნავს, თანაც, როცა ძამიკო ხის უკანასკნელად დასანახად თავი მიაბრუნა, იმდენად მიაბრუნა, რამდენადაც ორთვალას ღერძზე გამობმულმა თოქმა გაუშვა, კანკალისა არაფერი ეტყობოდა. არც მაშინ ეტყობოდა რამე, მოგვიანებით კაჭები რომ დაუბორეს და მაჯებზეც ბორკილები დაადეს. არც მაშინ უკანკალია, როცა თვრამეტი დღის შემდეგ ათასი კვადრატული ფუტი ფართობის თხრილებში ამოყო თავი, სიღრმესიგანით ხუთ-ხუთ ფუტს რომ ითვლიდა და შიგნით ხისგან შეჭუდილი საკნები მოჩანდა. გისოსებიანი კარის გავლით გალიის კარვით ანჯამებზე რომ იწეოდა, სამი კუდლითა და წითელი მიწით შელესილი ხის სახურავით შემოსაზღვრულ სივრცეში შედიოდით ორი ფუტით მაღალი იყო ჭური პოლ-დიზე. კარში შესვლისთანავე გადაეშალა თვალწინ სამი ფუტი სიგრძის ღია ნათხარი, შიგნით სა გინდა, რომ არ დაცოცავდა და ფუთფუთებდა. ასე ცოცვა-ფუთფუთით შეჯებნენ პოლ-დისა და კიდვე ორმოცდახუთ მისთანას ყაზარმად წოდებული სამარის ბინადრუბი. თავად პოლ-დისთვის თავი

აქეთ მას შემდეგ იკრათ, რაც ბრუნდიუაინის მოკველა ეცადა, კაცისა, რომლისთვისაც შისი თავი სკოლის მასწავლებელს მიეყიდა. ჯაჭვზე ერთმანეთის მიყოლებით გამობმულ ათ კაცთან ერთად მიპყავდა ბრუნდიუაინის პოლ-დი კენტუკის გავლით ვირჯინიაში. თავადაც არ იცოდა პოლ-დიმ, რამ უბიძგა ასეთი რამისკენ, გარდა იმისა, რომ მოგონებები ჰალეს, სიქსოს, პოლ-ეის, პოლ-ეფისა და მისტერის შესახებ თავს არ ანებებდნენ. აი, კანკალი კი, ზუსტად იცოდა, რომ მაშინ დაწარეო. ასე იყო თუ ისე, არაუის შეუმჩნევია, რომ კანკალებდა — შიგნიდან გაუდიოდა კანკალი. ჯერ მკერდში გრძნობდა რაღაც-ნაირ ფრთხიალს, მერე — ბეჭებში. მორაკრაკე წყალოვით შევრძნება იყო, ჯერ წყნარად რომ მოჩუხჩუხებს, მერე კი გაშმაგდება. თითქოს რაც უფრო შორს მიპყავდათ სამხრეთით, მით უფრო ულხვებოდა, ემსხვრეოდა ოცი წლის განმავლობაში გაყინული ტბოროვით გაქვა-ვებული სისხლი, რომელსაც, რაკი დამდნარიყო, მორუვში ბრუნვა-ტრიალის გარდა სხვა არაფერი დარჩენოდა. ხან ფეხში გრძნობდა ამ ამბავს, მერე ისვე ზურგში დაუვლიდა ურუანტელი, ხოლო როცა ოთხთვალადან ჩამოხსნეს და თვალი მჩისგან აშიშხინებულ ბალახზე გაშლილი ძალლებისა და ორი ქოხის გარდა ვერაფერს მოჰკრა, სისხლი ისე ჰქონდა ამღვრუელი, რომ კი არ კანკალებდა, ლამის იყო, ქარტუნა. მაინც არაუის შეუმჩნევია რამე. იმ საღამოს ხელხუნ-დების დასადებად მაჯებიც მტკიცედ გაიშვირა და ფეხზეც მყარად იდგა, როცა კოჭთან შებმულ რკინის რგოლებზე ბორკილები დაა-დეს, თუმცა, როცა იმ ახორში შეჩუროუს და გალიის კარიც ჩამო-უშვეს, ხელები ვეღარ დაიმორჩილა. თავის ნებაზე მიღი-მოდიოდნენ პოლ-დის ხელები და ვერაფერი გააჩერებდათ, ვერაფერზე გადაერ-თვებოდნენ. ვერც ასოს დააჭურინებდნენ მოსაშარდად და ვერც ლი-მური ლობიოთი სავსე კოუზს ჩაუდებდნენ პირში. ჯადოსნური მორ-ჩილება გამოუნისას დაუბრუნდა პოლ-დის ხელებს, მაშინ, სანგი რომ მიაჩეჩეს.

ორმოცდაექვსოვეს შაშხანის გასროლის ხმაზე გაეღვიძა. სამი თეთრკანიანი მამაკაცი ნათხარში დადიოდა და ერთმანეთის მიყო-ლებით აღებდა კარებს. სადგომებში ფეხი არც ერთ მათგანს არ შე-უდგამს. ბოლოც რომ გახსნეს, სამოვე უკან დაბრუნდა და სათითაოდ ასწიეს ყველა საღვომის გიხოსებიანი კარი. სათითაოდ გამოდიოდ-ნენ გარეთ შავკანიანები. ისინი, ვისაც აქ ერთ დღეზე მეტი დრო

გაეტარებინა, შარდად მიღიოდნენ — შაშხანის კონდახის წაკვრა არ სჭირდებოდათ, მარდად მიღიოდნენ ისეთებიც, ვინც პოლ-დევით ახალბერა გახლდათ, ოღონდ მათ შაშხანის კონდახით უბიძგებდნენ. როცა ორმოცდაექვსი ნათხარში ერთ ხაზზე გამწკროვდა, შაშხანა ხელახლა გაისროლეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზემოთ, მიწის ზედაპირზე უნდა ასულიყვნენ, სადაც ათასი მეტრის სიგრძის, ჯორჯიაში საუკუთესო ხელით ნაჭედი ჯაჭვი იყო გაჭიმული. ყველა დაიხარა და ისე ელოდა თვეის რიგს. იმან, პირველი რომ იდგა, ჯაჭვის ბოლო ხელში აიღო და ფეხზე წამოცმული რკინის რეოლის მარყუეში გაიტარა. მერე წამოდგა და ოდნავი ფლასტაფლუსტით ჯაჭვის წვერი მომდევნო ტუსალს მიუტანა, რომელიც ზუსტად მასავით მოიქცა. გადადიოდა ჯაჭვი ხელიდან ხელში, სათითაოდ იკავებდნენ ტუსალები ერთიმეორის ადგილს, ტრიალებდნენ მწკროვში ჩამდგარი და პირით დგებოდნენ საკნებისკენ, საიდანაც გამოსულიყვნენ. ერთმანეთს არავინ ელაპარაკებოდა, ყოველ შემთხვევაში, სიტყვას არავინ ძრავდა, სათქმელს კი თვალებით ამბობდნენ: „მომებმარე ამ დილით, ცუდად გარო“; „შევძლებო“; „ახალბედაო“; „აბა, შევიდალო, შშვიდად“.

დასრულდა თუ არა შებორკვა, ტუსალებმა დაიჩოქეს. იქაურობას ცვარი კი არა, ფოშფოში დასდებოდა უკვე. ხშირად ფოშფოში კი არა, სქელი ნისლი იყო და თუ ძაღლები ჩუმად იყენენ, მათი სუნთქვის ფონზე მტრედების ღულუნსაც გამოარჩევდით იდგნენ ნისლში მუხლებზე დაჩოქილები და ელოდებოდნენ, რას აიხირებდა ერთი ან ორი, ანდა სამი მცველი. შეიძლებოდა, ყველას ერთად აეჩემებინა რაღაც. შეიძლებოდა, გამორჩეულად ერთი ტუსალისაგან მოეთხოვათ რამე, ანდა არც ერთისგან, ანდა ყველასგან ერთად.

- საუზმე? საუზმე გინდა, ზანგო?
- დიახ, სერ
- გშია, ზანგო?
- დიახ, სერ
- აჟა.

დროდადრო მუხლებზე დამდგარი რომელიმე ტუსალი კვერცხების ჩალქწვას თვეში ტყვიას ამჯობინებდა და ისე მიღიოდა მამაზეციერთან. ასე თუ იყო, მაშინ პოლ-დიმ არ იცოდა. დაპყურებდა თვეის აცახცახებულ ხელებს და გრძნობდა, როგორი სუნი ასდიოდა

მცველს, თავისგან მარჯვნივ ნიხლში დაჩოქილი მამაკაცის გვერდით რომ იდგა. აყურადებდა მცველის მტრუდის ღუღუნზე უფრო შშვიდ ტუხუნს და დარწმუნებული იყო, მომდევნო თავად იქნებოდა. პოლ-ლიმ დააბოყინა, რწყვეით კი არაფერი ამოუღებინებია. ზედამხედ-კულმა მხარში შაშხანა უთავაზა, იმან კი, შშვიდად რომ ტუხუნებდა, განზე გახტომა არჩია, გაითუ, შარვალი და ფეხსაცმელი ზანგის ნარ-წყვით დამესვაროსო.

— გაუმარჯოს.

„დიახ, სერ“ და „გაუმარჯოს“, — აი, რისი თქმის ნება პქონდათ ფლულ დილით შავკანიანებს, თანაც როგორ აქსოუდნენ ყველაფერს, რაც გულში პქონდათ ტყვიის ჯაჭვდადებული ტუსალები ამ სიტყ-ვებში. გაუმარჯოს... ერთხელაც ვერ მიხვდა პოლ-დი, საიდან იცო-და იმ ადამიანმა, „სალმიანს“ რომ ეძახდნენ, როდის უნდა დაეძახა დალოცვილი მისალმება. თავიდან პოლ-დის უგონა, მცველები თუ აძლევენ ნიშანს, რომ დაჩოქილი ტუსალები ფეხზე წამოდგნენ და ხე-ლით ნაჭედი ხუნდების უღარუნს ტუსტეპის მოცეკვაუებოვით ფეხი ააყოლონო. მოგვიანებით საკუთარი მსჯელობის სისწორეში ეჭვი შეეპარა პოლ-დის და იქიდან მოყოლებული თველიდა, რომ დილა-საღამოს აბა-ჰე და აბა-ჰოსავით პატიმრების შეძახება „სალმიანის“ მოყალეობა იყო, რადგან მხოლოდ მან იცოდა, რა იყო ზედმეტი, რა კმაროდა, როდის იყო საქმე მოთვებული და როდის იყო მუშაობის დრო.

მინდვრუბისა და ტყვების გაულით ცეკვა-ცეკვით მიიკლაკნებოდა ერთი ბილიკისკენ ხელით ნაჭედი ჯაჭვი. ბილიკის ბოლოში გა-საოცარი სილამაზის მინდვრის შპატი მოჩანდა. პოდა, აღარ დაე-მორჩილა პოლ-დის ხელებიც სისხლს, გამალებით რომ მიჩუხჩუ-ხებდა მის ძარღვებში და მანაც შეძლო, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. მიუძლოდა „სალმიანი“ სანგმომარჯვებულ ტუსალებს და ისინიც სიმღერ-სიმღერით უხათქუნებდნენ ქვებს. სიტყვებს ისე ამახინჯებდნენ, ვერაფერს გაიგებდით — გვარნებოდათ, მათ მიერ წარმოთქმულ ყველა მარცვალს, რაღაც სხვა მნიშვნელობა პქონდა. მღეროდნენ ქალებზე, რომლებსაც იცნობდნენ, საკუთარ ბავშვობა-ზე, ცხოველებზე თავად რომ მოეშინაურებინათ, ანდა ენახათ, სხვები როგორ იშინაურებდნენ. მღეროდნენ თავიანთ პატრონებზე, ბატო-ნებსა და ქალბატონებზე, ჯორუბზე, ძალლებსა და წუთისოფლის

უსირკცხვილობაზე. სიყვარულით მოიხსენიებდნენ სიმღერაში სა-საფლაოებს და ამ ცხოვრებიდან დიდი ხნის წინ წასულ დებს. კიდევ ტყემი მირთმეულ ღორის ხორცზე, ტაფაზე დარჩენილ სადილზე, ან კუსზე წამოგებულ თუჭზებზე, ლელქაშზე, წეიმასა და სარწყველებზე მღეროდნენ.

უხათქუნებდნენ და უხათქუნებდნენ ქალების გამო, რომლებსაც იცნობდნენ და მეტი არა, ბაჟშვილის გამო, ვერასოდეს რომ ვერ და-იბრუნებდნენ. ისე ხშირად ხოცავდნენ უფროსობას თუიანთ სიმ-ღერუბში, მერუ კი ისე მოიხსენიებდნენ ცოცხლებს შორის, ვითომც არაფერი და ესეც იმისთვის, ნამღერში კიდევ ერთხელ რომ დაეძ-კალრბილებინათ აგემოუნებდნენ ფიჭვებს შორის ცხელ-ცხელ ღვე-ზელს და უმალ იგდებდნენ თუიდან, ასეთი რამ ოდესმე რომ ეჭამათ უმღეროდნენ სატრფიალო სიმღერებს ბატონ სიკვდილს და მაშინვე თვესაც უტქედნენ ამ ვაჟბატონს. ყველაზე ხშირად ტყუილებისთვის კეკლუც ქალბატონს უსწორდებოდნენ, ხალხი სიცოცხლეს რომ ეძახდა. უსწორდებოდნენ იმისთვის, რომ აჯერუბდათ, ხვალინდე-ლი მშის ამოსვლა ამოსვლად ეღირებაო, დრო მოვა და მოსახლენი ბოლოს და ბოლოს მოხდებაო. მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ უსაფრ-თხოდ, როცა ეს კეკლუცი, სიცოცხლეს რომ ეძახდნენ, მოკვდებო-და. წარჩინებულები, ისინი, ვისაც ამ ადგილას საკმარისად ბევრი წელი გაეტარებინა იმისთვის, რომ ქალბატონი დაესახიჩრუბინათ, დაეშავებინათ, ვინძლო დაესამარებინათ კიდეც, დანარჩენებს დარა-ჯობდნენ, იმათ, ვისაც ჯერაც ვერ დაქსნათ თუი წაწალივით შეჩე-ნილი სიცოცხლის ალერსისგან, ვისაც უწინდებურად ანაღვლებდა მომავალი, ვინც წინაც იყურებოდა, წარსულიც ახსოვდა და უკან მიხედვაც შეუძლო. მათთ თვალები იყო, რომ ამბობდნენ: „მიშველე, ცუდად ვარო“, ანდა „ფრთხილადო“, ანუ შეიძლება დღეს ის დღეა, როცა ან უნდა გუვიქცე, ანდა ჩემოვე ნაქნარი მოვირთვაო. სწორედ ეს არ უნდა დაეშვათ, რადგან თუკი ერთი გაიწევდა და გაიქცეოდა, ჯაჭვზე გამობმული დანარჩენ ორმოცდახუთსაც თან გაიყოლებდა და ვერავინ გეტყოდათ მერე, ვის ან რამდენს დახოცავდნენ. საკუ-თარ სიცოცხლეს კი შეაგდებდი სასწორზე, მაგრამ თანამოძმისას ვერა. პოდა, თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „დამშვიდდიო“, „არ მოშმორდეო“.

ოთხმოცდაექვსი დღე და მორჩა. მოკვდა სიცოცხლე. ყოველდღე,

დოლიდან დაღამებამდე იქამდე არტყმუინებდა პოლ-დი ამ ქალბატონს თავს, ვიდრე საბოლოოდ არ ჩააგდებინა ხმა. გავიდა ოთხმოც-დაექვსი დღე და აღარც ხელები უკანკალებდა. იჯდა ღამის სიჩუ-მეში, ვირთხების შარიშური რომ არღვევდა და ელოდებოდა, რო-დის დაიძახებდნენ განთიადზე „გაუმარჯოს“. ერთი სული პქონდა, როდის წამოავლებდა ტარში ხელს სანგს. სიკვდილმა იმარჯვა სი-ცოცხლეზე, ანდა პოლ-დის ეკონა ასე.

წვიმდა.

მოკლესიწყიანი ფიჭვებიდან და კონიოებიდან გველები დაბლა ჩამოდიოდნენ.

წვიმდა.

კვიპაროსები, ტიტას ხეები, მურყნები და პალმეტოები უქა-რო ხუთდღიანი წვიმის წყლის სიმძიმისგან იღრიყებოდნენ. მერვე დღისთვის ვერსად მოკურავდი თვალს მტრუდებს, მეცხრე დღისთვის სალამანდრუბიც გაქრნენ. ძალლებმა ყურუბი კუთაზე დაიღავეს და საკუთარ თათებს დააშტერდნენ. ადამიანები ვერ მუშაობდნენ. ჯაჭ-ვში ზლაზვნით ებმებოდნენ, სუზმობა მიატოვეს, ჩვეული ტუსტეპი კი ნამიან ბალახსა და მცურავ მიწაზე ფქნების ნელმა თრუამ მეც-ვალა.

გადაწყდა, ვიდრე წვიმა არ გადაიღებდა, ანდა იმდენად არ გამო-იდარებდა, რომ თეთრკანიანები გარეთ გამოსვლას შეძლებდნენ ისე, რომ იარაღში წყალი არ ჩასვლოდათ და ძალლებიც კანკალს არ მორჩიებოდნენ, ყველა მიწისქვეშა საკნებში გამოეყუტათ ადგნენ და ჯაჭვი ჯორჯიაში საუკეთესო ოსტატების ხელით ნაჭედ ორმოცდა-ექვს რკინის ხუნდში გაატარეს.

წვიმდა.

ესმოდათ საკნებში, როგორ იწვდა წყალი ნათხარში და შიშობ-დნენ, გაითქ, ბამბისპირა გველები გამოჩნდნენ. შიგ ტალახიან წყალში ისხდნენ, ლამის იწვნენ კიდეც შიგნით და შიგვე შარდავ-დნენ. ეკონა პოლ-დის, მე თუ ვყვირიო, პირი დამიღია და იმისთა-ნა ხმა ამომდის, ყელი მეტლიჩებაო, თუმცა, შეიძლება სხვისი ხმაც კი იყო. მერე იფიქრა, რომ ტიროდა. სახეზე რაღაც ჩამოსდიოდა. ცრუმლი რომ მოწმინდა, ხელები ასწია, მაგრამ მუქი ყავისფერი ლია შერჩა. მის თავს ზემოთ ტალახის პატარ-პატარა ნაკადულები მიკვლევდა გზას. ჭური ჩამოინგრუვა და ბაღლინჯოსუით გავის-

რისებით, ფიქრობდა პოლ-დი, მერუ კი ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, გააზრუბაც ვერ მოასწრო. ვიღაცამ ჯაჭვს მოქაჩა. ერთხელ მოქაჩა, თანაც საკმარისად ღონივრად საიმისოდ, რომ პოლ-დის ფეხები ერთმანეთში გადახლართოდა და ტალახში მოედინა ზღარ-თანი. ვერც კი მიხვდა, საიდან იცოდა, ანდა დანარჩენებმა საიდან იცოდნენ, რომ ორივე ხელი ჯაჭვზე უნდა ჩავვლოთ და მარკებნივ გაექაჩათ, მომდევნო ტუსალსაც რომ სცოდნოდა, რა იყო საქმე. ვერ მიხვდა, საიდან იცოდა, რა უნდა ექნა, არადა, ცოდნით იცოდა. წყალი კაჭუბს ზემოთ უწყდა და ზედ გადადიოდა დაფაზე, რომელზეც პოლ-დის მიწის ქვეშ ეძინა. მერუ წყალი გაქრა. თხრილმა დაჯდომა დაიწყო, ტალახი კი ლარტყებს შორის წვეთ-წვეთად ჟონაუდა.

იცდიდნენ. ორმოცდაექვსიდან სათთაოდ ყველა იცდიდა. არც ყვიროდნენ, თუმცა, ზოგიერთ მათგანს ჯოჯოხეთური ძალისხმეული სჭირდებოდა იმისთვის, რომ არ ჰყვირა. ბარძაყებამდე უწყდა ტალახი პოლ-დის და ისიც გისოსებს ეჭიდებოდა. და აი, კიდევ ერთხელ მოქაჩეს ჯაჭვს, ამჯერად მარცხნიდან, თანაც პირველ ცდაზე ნაკლებად ღონივრად, რადგან ტალახს ჯაჭვის რგოლებშიც შეუღწია.

ყველაფერი ისევე დაიწყო, როგორც ჯაჭვში შებმის დროს ხდებოდა ხოლმე, ოღონდ ჯაჭვი იყო სხვანაირი. „სალმიანიდან“ დაწყებული ერთმანეთის მიყოლებით ყველა ყვინთავდა ტალახში, გისოსების ქვეშ რომ გამძვრალიყო და თვალდავსილს ხელების ფათურით გაუკრძელებინა გზა. ზოგიერთს იმოდენა ჭკუა-გონება შერჩენოდა, რომ თავზე პერანგი წამოეცვა, სახე ჭინჭებით შევხვია და ფეხსაცმელიც ჩაეცვა. სხვები პირდაპირ ყვინთავდნენ, უბრალოდ ჩაყურყუმელავდებოდნენ, მერუ კი ერთბაშად ამოყოფდნენ ტალახიდან თვეს, როგორმე პაერი რომ ჩაეყლაპათ ზოგიერთს მხარი ეცვალა და მეზობლებიც, ჯაჭვის დაბნეულ მისვლა-მოსვლას რომ გრძნობდნენ, ქაჩა-ქაჩით ცდილობდნენ მათ შემობრუნებას. წახდებოდა ერთი, წახდებოდა ყველა. ჯაჭვი, ერთმანეთთან რომ აკაუშირუბდათ, ან ყველას გადაარჩენდა, ან არც ერთს, ხოლო მათი გათვისუფლება „სალმიან“ კაცზე იყო დამოკიდებული. გვარიანად ელაპარაკებოდნენ ამ ჯაჭვის საშუალებით სემ მორჩესაუით და, ღმერთო დიდებულო, ზემოთ ყველა ამოვიდა. ჯაჭვს ხელს არ უშვებდნენ და უზიარესელი მიცვალებულებით, ნებაზე მიშვებული ზომბებით წვიმასა

ეს ხინჯულის მინდობოდნენ, დას, მაგრამ კულაზე მეტად „სალმა-
ხის“ და ერთმანეთის იმედი პქრინდათ.

ფრჩხულებს იქნით დიდად დაღვრუმილი ძლილები იწვნენ; მცვ-
ლების ორი ქონის იქნით მითკელუვდნენ გზას, საჯინიბოს იქნით, რო-
მელმაც ცხენებს ეძინათ, ქაომების იქნით, ნისკარტები ბუმბულში
რომ ჩაეჭრო მოვარუ კურათუერში შველოდათ — არ იყო ცაბე და
იძირდო. მინდვრის აღვილზე ჭაობი გახლდათ, ბილიკის აღვილზე
— წელით საუსე ღარი. თითქოს მოული ჯორჯია იღვენთებოდა და
საღლაც მიცურავდა. გრძაბეჭდილ ღონიერი მუხების ტოტებს
რომ ქალებოდნენ, ხუსზე ხახები ქაბებოდათ რაკი მაშინ ჯორჯი-
აში მოული აღაბაძე და მიხისიპის მიწები შედიოდა, არც საზღვრის
გადალახვა უწევდათ და არათერთ. მაშინ ეს რომ სკოდნოდათ, არა
მარტო აღფრულსა და შეკუნიერ შესტეს აართდებდნენ თავს, არამედ
ხერხისაც და მდინარეზე ბლუ-რიჯის მოუბიდან რომ ეშვებოდა, სი-
აღლენდხის ფენ აიღებდნენ გებს, მაგრამ არ იცოდნენ.

იმათა. არღაუნის ქორომში შექუჩიდნენ. დაღამდა და შემაღლე-
ბელზე აბობლებდნენ, თან ლოცულობდნენ, წვიმაშ არ გადაიღოს, იწ-
ვიმოს, ჩვენ ფარად დაგვეტაროს, სხვები კი სახლებიდან ვერ გამო-
ვიდნენთ. ნატრობდნენ, იქნებ საღმე, ციხისგან შორის, რამე ქოხმანს ს
გადაუკუროთ, რომელშიც მონა თოკის დაგრუქაში იქნება გაროველი,
ანდა ბეხარში კარტოფილი ექნება შეკრილით. ასე კი ნატრობდნენ, მაგრამ დასნუულებული ჩეროჟების ბანაკს წააღვნენ თავს, ინდიე-
ლების ტომისას, ვისი სახლიც გარდა დაარქვეს.

კულ მეათეს გაუსწორდნენ, მაგრამ ვერ გატეხს — ოკლაპო-
მაში ცხოვრებას დევნილოს ყოფა არჩიეს. კადმეოფობა, რომელ-
საც ახლა დაერთა მათთვის ხელი, იმ სენს პგავდა, რომელსაც ორი
ახეული წლით ადრე აპაჩების ნახევარი გაწწყვიტა. მაშინდელსა და
ახლად თავს დატეხილ უბრძოებებს შორის ჯორჯ მესამეს სწე-
ოდნენ ღონიერობი, გაზეთი გამოეკათ, კალათების მოწნა ესწავლათ,
ოულოროპი ტყე-ტყე ეტარებინათ, ენდრიუ ჯექსონს კრიკის ტომ-
თან ბრძოლაში დახმარებოდნენ, სიმინდს ხარშავდნენ, კონსტიტუ-
ცია შეკვინათ, ესაანეთის მეფისათვის პეტიციით მიემართათ, დარ-
ტმუთის ექსაერომენტი საკუთარ ტყავზე გამოეკადათ, თავშესაფრუბი
დაეკრისებინათ, დამწერლობა შეექმნათ, ახალმოსახლეებს ეწინააღ-
მდეგებოდნენ, დათვებზე ნადირობდნენ და წმინდა წერილის თარჯ-

მანზედაც ცდა არ დაუკლიათ მერუდა, რა ჩარა იყო — მდინარუ არ-კანზასისკენ იძულებითმა გადაადგილებამ, რაც იმავე პრეზიდენტს დაეჟინებინა, კრიკების წინააღმდეგ რომ ქმარუბოდნენ, ისედაც შემცირებული ტომი კიდევ ერთხელ გაანახუარა.

საქმეც ეს არისო, ფიქრობდნენ ჩეროკები. ადგნენ და თანატო-მელების იმ ნაწილს გამოეყვნენ, რომელთაც შეთანხმებისთვის მო-წერათ ხელი, ტყეებს მიაშურეს, აქაოდა, ქვეყნის ბოლოს აქ უნდა დაუელოდოთ. დაავადება, რომელიც ახლა გაურცელებულიყო მათ შორის, ერთი უბრალო უხერხულობა გახლდათ აკლება-აწიოკებას-თან შედარებით, გონებაში რომ აღბეჭდოდათ და მაინც, ცდილობ-დნენ, რაც შეიძლებოდა მეტად დაეცვათ ერთომეორე. ისინი, ვინც ჯანზე იყო, რამდენიმე მიღზე გაგზავნეს, დაავადებულები კი დახო-ცილებთან დარჩნენ, რომ გადარჩენილიყვნენ, ანდა თუადაც მათსა-ვით დახოცილიყვნენ.

ალფრედიდან, ჯორჯის შტატიდან წამოსული ტუსაღები ბანა-კის მახლობლად ნახევარწრეში დასხდნენ. არავინ ჩანდა, ისინი კი ისხდნენ და ისხდნენ. რამდენიმე საათი გავიდა ასე. მერე წვიმამაც იკლო და ბოლოს და ბოლოს ვიღაც ქალმაც გამოყო სახლიდან თვი. ისე დაღამდა, არაფერი მომხდარა. გამოუნიისას ორი მამაკა-ცი მიუახლოვდათ. შესანიშნავ კანზე ორივეს სიმსიცნეები ეტყობოდა. ერთხანს არავის ამოუღია ხმა, მერე „სალმიანმა“ ხელი ასწია. ჯაჭ-ვის დანახვაზე ჩეროკები იქაურობას გაეცალნენ. უკან დაბრუნე-ბულებს ხელში პატარ-პატარა ნაჯახები ეჭირათ. უკან ორი ბავშვი მოჰყვებოდათ თან წვიმისგან გაგრილებული და გაზაფებული სიმინ-დის ფაფით სავსე ქვაბი მოჰქონდათ.

გაქცეულებს, „ბიზონებს“ რომ ეძახდნენ, ნელა ელაპარაკებოდ-ნენ და ბორკილებს ნაჯახებით ამტკრევდნენ. არავის მათ შორის, ვისაც ალფრედში, ჯორჯის შტატში საკნებში ყოფნა გამოეცადა, ანაღვლებდა ავადმყოფობა, რომლის შესახებაც ჩეროკებმა გააფრ-თხილეს. პოდა, დარჩნენ, ორმოცდაექვსოვე დარჩა. ისვენებდნენ და გვემავდნენ, მერე რა უნდა გაეკეთებინათ პოლ-დის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ექნა და ეტყობოდა, ისედაც დანარჩენებზე ნაკლე-ბად იყო გათვითცნობიერუბული. ესმოდა, როგორ დალაგებულად ლაპარაკობდნენ მასავით მსჯავრდადებულები მდინარეებზე, შტა-ტებზე, ქალაქებსა და მიწებზე. ესმოდა, რას ჰყვებოდნენ ჩეროკები

სამყაროს დასაბამსა და დასასრულზე. უსმენდა, რას პყვებოდნენ მათი ნაცნობი სხვა „ბიზონების“ შესახებ, რომელთაგან სამი რამდენიმე მიღის მოშორებით ჯანმრთელთა ბანაკში გახლდათ „სალმიანს“ მათთან ერთად უნდოდა ყოფნა, დანარჩენ ტუსალებს კი — „სალმიანთან“ ერთად. ვიღაცას წასვლა უნდოდა, ვიღაცას — დარჩენა. რამდენიმე კვირის შემდევ პოლ-დი ერთადერთი „ბიზონი“ იყო, რომელსაც გეგმა არ გააჩნდა. მარტო იმაზე ფიქრობდა, რომ ძალები მათ კვალს დაადგებოდნენ, არადა, „სალმიანი“ ამბობდა, ასეთ წვიმაში კულის აღება შეუძლებელიათ. სნეულ ჩეროკებს შორის მარტო დარჩენილი „ბიზონი“, პოლ-დი, როგორც იქნა, გონს მოეგო, საკუთარი უმეცრება აღიარა და იკითხა, ჩრდილოეთში როგორ მოჟვედებიო. თვისუფალ ჩრდილოეთში. ჯადოსნურ ჩრდილოეთში. სტუმართმოყვარე, კეთილგანწყობილ ჩრდილოეთში. ჩეროკებმა გაიღიმეს და მიიხედ-მოიხედეს. ერთი თვის წინანდელი თვესხმა წვიმის გამო ყველაფერი დუღდა და ყვაოდა.

— იქით, — ხელის გაშვერით უთხრუს პოლ-დის, — მოყვავილე ხეებს გაჰყევი. მარტო მოყვავილე ხეებს. სადაც მოყვავილე ზე იქნება, შენც იქ უნდა იყო. დამთვრდება მოყვავილე ხეები და შენც იქ იქნები, სადაც გინდა, რომ იყო.

პოდა, პოლ-დიც გაქანდა შინდებიდან მოყვავილე ატმებისკენ. ატმის ხეები რომ შეთხელდა, აყვავებულ ალუბლებს მიაშურა, მერე მაგნოლიებს, მელიებს, პეკანებს, კაკლებსა და ოპუნციებს. ბოლოს ერთ მინდორს მიაღწია, სადაც ვაშლის ხეები ხარობდა. ის-ის იყო, ინასკვებოდა ციცქანა ნაყოფებად ხის ტოტებზე გამოსული ყვავილები. მისეირნობდა ჩრდილოეთისკენ გაზაფხული, პოლ-დის კი რაც ძალა და ღონე პქონდა, უნდა ერბინა, როგორმე მეგზურს რომ არ ჩამორჩენოდა. თებერვლიდან მოყოლებული ოვლისამდე დარაჯობდა ყვავილებს. ყვავილები თვალთახედებიდან რომ დაკარგა, მიხედა, გზის მაჩვენებლად ერთი ფურცელიც აღარ პქონდა. გაჩერდა, ერთ ბორცვზე ხეზე აცოცდა და გარს შემოჯარულ სიმწვანეში გამომკრთალი ვარდისფერი ანდა თეთრი რომ შეუნიშნა, პორიზონტს მოავლო თვალი. ყვავილებს ხელს არ აკარებდა, არც იმისთვის ჩერდებოდა, რომ ჟუნოსა მათთვის. უბრალოდ მათი გამოღვიძების ფეხდაფეხ მიღიოდა. მიჰყვებოდა გასავათებული შავკანიანი მამაკაცი აყვავებული ქლიაუების მარშრუტს.

ალმოჩნდა, რომ მინდორი, ზედ ვაშლები რომ ხარობდა, დელაური იყო, შტატი, სადაც ის მქსოველი ქალი ცხოვრობდა. როგორც კი მიწოდებული ძებვის ჭამა მოათვა პოლ-დიმ, ქალი ჩაფრინდა და ისიც ტირილ-ტირილით შეუძვრა მასპინძელს ლოგინში. ქალი პოლ-დის სირაკუზელ ძმისწულად ასაღებდა, რისთვისაც უბრალოდ თვეისი ძმისწულის სახელს ეძახდა. ასე გავიდა თვრამეტი თვე და პოლ-დიმაც ისევ მოყვავილე ხეებს დაუწყო ძებნა, ოლონდ ამჯერად საზიდარზე იჯდა.

ეს ამბავი იმაზე ოდნავ ადრე მოხდა, ვიდრე პოლ-დი ალფრედსაც, ჯორჯიასაც, სიქსოსაც, სკოლის მასწავლებელსაც, პალესა და მის ძმებსაც, სითუსაც, მისტერსაც, რკინის გემოსაც, კარაქთან დაკაუშირებულ მოგონებებსაც, პიკორის სუნსაც და უბის წიგნაკის ფურცლებსაც სათთაოდ ჩაწყობდა თუნუქის სათუთუნეში, მკერდში რომ პქონდა გაჭექილი. 124 ნომერს რომ მიაღწია, ქვეყნის გულზე ვერაფერი გახსნიდა ამ სათუთუნეს.

აგდებდა საფვარული პოლ-დის.

ისეთი ბრაგაბრუგით, წიფილ-კუილით, ფანჯრების მტერუვისა და ჯემიანი ქილების დახოხოლავებით არა, როგორც თვად პოლ-დის მიებრძანებინა ბავშვის აჩრდილი, მაგრამ მაინც აგდებდა და პოლ-დიმაც არ იცოდა, როგორ უნდა შეეჩერებინა იგი. თითქოს თვადაც ერეკებოდა სადღაც საკუთარ თვეს. შეუმჩნევლად, სრულიად გააზრებულად შორდებოდა პოლ-დი 124 ნომერს.

ყველაფერი ისე მარტივად დაიწყო. ერთ დღეს, ნავახშმევს, მდინარესთან ჭიდილით ქანცგაწყვეტილი, დალლილ-დაკრეფილი პოლ-დი ღუმელთან მიღვმჟღლ სარწყელაში ჩაჯდა და ჩაეძინა.

სითეს ფეხის ხმამ გააღვიძა. საუზმის მოსამზადებლად ჩამოდიოდა თეთრი კიბით ქვემოთ ქალი.

— მეგონა, სადღაც წახვედი, — თქვა სითემ.

გაოცებულმა იმით, რომ ისევ იმავე ადგილას იჯდა, სადაც ჩაძინებამდე გახლდათ, პოლ-დიმ ერთი ამოიკვნესა.

— არ მითხრა, რომ მთელი ღამე ამ სკამზე მეძინა.

გაიცინა სითემ.

— მე? არაფერსაც არ გეტყვი.

— რატომ არ გამაღვიძე?

— გაგაღვიძე. ორჯერ თუ სამჯერ დაგიძახე. ასე შუალამე იქნებოდა, მერუ კი ვიფიქრუ, სადღაც წყიდა-მეთქი.

წამოდგა სარწყველადან პოლ-დი. უონა, ზურგი არ გაუშვებდა. შენც არ მომიკვდე — ერთი გაჭედილი სახსარიც არ ასჭრიალებია. თუ ს ჩიტოვით გრძნობდა. მართლა. „ხდება ხოლმეო, — ფიქრობდა მამაკაცი, — სულ საწოლში ხომ არ დაგეძინება ადამიანს. ზოგჯერ სადღაც, ხის ძირში, ნავსაბელზე, მერხზე, იქნებ სანიჩბოსნო ნავში ანდა, როგორც ყოველთვის, თუის ზვინზე დაგეძინება, მერუ კი ჩიტოვით წამოხტები ფეხზე“. ეუცხოებოდა, სარწყველაში ჩამჯდარს გამოძინება, რადგან საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ტკბილი ძილი და აუჯი ერთმანეთს ყველაზე ნაკლებად ქამებოდა.

მომდევნო საღამოსაც სარწყველაში ჩაჯდა პოლ-დი, იმის მომდევნო საღამოსაც. სითუსთან თთქმის ყოველდღე სექსს ნაჩვევი იყო და გაბრწყინებულ საყვარელთან შეხვედრით გამოწყეული უხერხულობისთვის თუ რომ აერიდებინა, უწინდებურად აჰყავდა დილაობით ძირს ჩამოსული ქალი ზედა სართულში, ანდა ნავახშმევს წვებოდა ხოლმე მასთან, თუმცა თუად გზაც გამოეძებნა და მიზეზიც საიმისოდ, რომ ღამის უდიდესი ნაწილი სარწყველაში გაეტარებინა. ყველაფერს ზურგ ს აბრალებდა, ჯორჯიაში, საკანში გათუული ღამების გამოისობით სისუსტე რომ დასჩემებოდა და საყრდენი სჭირდებოდა.

ასე იყო და ასე იქნებოდა, მაგრამ ერთ საღამოსაც, ნავახშმევს, სითუსთან ალერსობის შემდეგ, პოლ-დი ქვემოთ ჩამოვიდა, სარწყველაში ჩაჯდა და იქ ყოფნა აღარ მოუნდა. წამოდგა თუ არა, იმასაც მიხვდა, ზემოთ რომ არ უნდოდა ასვლა. გაღიზიანებულმა და მოსვენებას დანატრუბულმა ბეიბი საგზის ოთახის კარი გააღო და იმავე საწოლზე ჩაეძინა, რომელზეც მოხუცს დაელია სული. ასე ჯობდა — ჩანდა, რომ ასე ჯობდა. ბეიბი საგზის ოთახი პოლ-დის ოთახი გახდა და სითუსაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რადგან პოლ-დის გამოჩენამდე თვრამეტი წლის განმავლობაში თუის ორადგილიან საწოლზე სულ მარტო წოლილიყო. იქნებ მართლაც ჯობდა ასე — სახლში მათ გარდა კიდევ ორი გოგონა იყო და არც პოლ-დი გახლდათ სითუს ნამდვილი ქმარი. ასე იყო თუ ისე, რაკი მამაკაცის უის ერთხელაც არ დასტყობია განელება, საუზმემდე იქნებოდა თუ ნავახშმევს, მის გასაგონად სითუსაც არასოდეს დაუჩივლია.

ასე იყო და ასე იქნებოდა, მაგრამ ერთ საღამოსაც, ნავახშმუეს, სითესთან ალერსობის შემდეგ, პოლ-დი ქვემოთ ჩამოვიდა, ბეიბი საგზის საწოლზე დაწეული და იქ ყოფნა აღარ მოუნდა.

უონა, სახლს თუ კეღარ ვიტანო, იმ უემოციო მამაკაცების დარად, მაშინ რომ ლიზიანდებიან, როცა ოჯახი, რომელსაც ქალი უძღვება, მათ შებოჭვას იწყებს, როცა ყვირილი და რაღაცების ლაწალუწი, ანდა სხვა თუ არაფერი, გაქცევა უნდებათ ყველაფერი იცოდა პოლ-დიმ ამეების შესახებ, თვადაც ბევრჯერ გამოეცადა ასეთი რამ, მაგალითად, დელავერული მქსოველის სახლში, მაგრამ მავანი თუ რომელიმე სახლს ვერ იტანდა, პოლ-დი ამას ყოველთვის იმ სახლში მობინადრე ქალს უკავშირებდა. აი, თვად რომ დელავდა, ამას კი არაფერი პქონდა საერთო ქალთან, რომლის სიყვარულიც დღითო დღე ემატებოდა. უყვარდა, როგორ არიალებდა ეს ქალი ხელებს ნაირ-ნაირ ბოსტნეულში, როგორ იტარუბდა პირში ძაფის ბოლოს, ვიდრე ამ უკანასკნელს ნემსში გაუყრიდა. ისიც უყვარდა, ნაკერს რომ მოათვებდა, ძაფს ორად როგორ გადალრღნიდა. უყვარდა, როგორ მოაწვებოდა ხოლმე ამ ქალს სისხლი თვალებში, როცა მის გოგონებს, ახლა საყვარულიც მისი გოგონა გამხდარიყო, ანდა ნებისმიერ ფერადკანიან ქალს ჩირქს სცხებდნენ, ის კი იცავდა. სახლს ვერ იტანდა პოლ-დი, მაგრამ არც სიბრაზეს გრძნობდა, არც სული ეხუთებოდა, არც სადმე სხვაგან ყოფნის სურვილი პქონდა. უბრალოდ არ შეეძლო, ვერ დაიძინებდა ვერც ზედა სართელში, ვერც სარწყველაში, ახლა კი ბეიბი საგზის ლოგინშიც კეღარ იძინებდა. ადგა და საკუჭნაოს მიაშურა.

ასე იყო და ასე იქნებოდა, მაგრამ ერთ საღამოსაც, ნავახშმუეს, სითესთან ალერსობის შემდეგ პოლ-დი საკუჭნაოში ჩალის ლეიბზე გაწეული და მიხვდა, რომ იქ ყოფნა აღარ უნდოდა. მერე ცოვად შესანახი პროდუქტების საკუჭნაოში გადაინაცვლა. პოლა, 124 ნომრის მთავარ შენობას მოშორებულმა, ბატატით სავსე ჯუთის ორ ტომარაზე მორგოლილმა პოლ-დიმ იაზრა, რომ იქაურობას თუისდა უნებურად ეცლებოდა. არ ნერვიულობდა პოლ-დი. თუიდან იცილებდნენ, ხელს უშლიდნენ მას.

იცდიდა. დილაობით სითეს სტუმრობდა, ღამით ცოვად შესანახი პროდუქტების საკუჭნაოში ეძინა და იცდიდა.

ისიც მოვიდა, პოლ-დის კი მისი შუაზე გაგლეჯა მოუნდა.

რაღაცნაირი დრომატული ზამთარ-ზაფხული იცის ოპაიოში. წელის თითოეული დრო ისე დგება, თითქოს პრიმადონა შემოდიოდეს სკენაზე, აქაოდა. მე კარ და ჩემი ნაბადიო.

როგორ პოლ-დი 124 ნომრიდან უკან, ფარდულში მიაბრძანეს, ზაფხული უკვე ჭიერი-ყიუინით გაეცილებინა მაყურებელს კულიხებში და საყოველთაო ყურადღებაც სისხლსავსესა და ოქროცურ-კულ შემოდგომას ეკუთვნოდა. ღამითც კი, მაშინ, როცა შშვიდი ინტერესის დრო იყო, მომაკვდავი ლანდშაფტის ხმამალალი, მიღვა ხმაურის გამო სიმშვიდეს პირი არ უჩანდა. თხელი საბანი ეფარს პოლ-დის და იმისთვის, რომ ეს ამბავი როგორმე გამოესწორებინა, ვკლა მხრიდან გაზეთუბით შემოიფუთნა. მერე ზურგს უკან კარის გაღების ხმაც გაიგონა. თუმცა შემობრუნება არც უფიქრია.

— აქ რა გინდა? რა გინდა? — სწერდებოდა მის სმენას სტუმრის ხეხოები.

— მინდა, რომ შიგნიდან შემქო და სახელით დამიძახო.

აღარ ანაღველებდა პოლ-დის თვეის თუნუქის პატარა საოუთუნე — საოუთუნეს ხუფი ჩაუნგული ჰქონდა. პოლა, ვიდრე გოგონა ქვედაკაბას იწყვდა და კუსავით თვეს უკან იღერებდა, მამაკაცი უბრალოდ ლორის ქონით სავსე თუნუქელას უცქერდა, მთვარის შუქშე კუკცხლისფერი რომ დაკურავდა, თან ჩუმად ლაპარაკობდა:

— როცა კარგი ადამიანი შევიტარებს და კუთილად მოგექცევა, უნდა კცადო, სიკეთისთვის სიკეთით გადაუხადო. შენ არ ცდილობ... ხითეს უყვარხარ საკუთარი ქალიშვილოვით უყვარხარ შენ ეს იცი.

ლაპარაკობდა პოლ-დი, საყვარელმა კი ქვედაკაბას ხელი გაუშვა და უგანაჩენო თვალებით შეპყურებდა მამაკაცს. უხმაუროდ გადადგა ნაბიჯი და უკნიდან ახლოს დაუდგა.

— ისე არ ვუყვარვარ, მე როგორც მიყვარს. მის გარდა არავინ მიყვარს.

— მაშინ აქ რისთვის მოხვედი?

— მინდა, რომ შიგნიდან შემქო.

— მინ დაბრუნდი და დაიძინე.

— უნდა შემქო. შიგნიდან. და სახელით უნდა დამიძახო.

არაუკრი ემუქრებოდა პოლ-დის, ვიდრე მისი შხერა ლორის ქონით სავსე თუნუქელაზე გახლდათ მიჯაჭვული. ლოტის ცოლოვით რომ ეკანკალა და ქალივით სულს წაეძლია, აქაოდა, ჩემს ზურგს ეკანკალა და ქალივით

უკან რა ცოდვა იმაღებაო; იმ შეჩვენებულისთვის თანაუგრძო, ანდა იმის ხათრით, მათ შორის რომ იდგა, მისთვისაც მკლავების მოხუცების ნდომებოდა, თავადაც დაიღუპებოდა.

— სახელით დამიძახე.

— არა.

— გთხოვ, თქვი ჩემი სახელი. წავალ, თუ იტყვი.

— საყვარელი, — თქვა პოლ-დიმ, ის კი არ წასულა. უხმაურო ნაბიჯებით მიუახლოვდა მამაკაცს, რომელსაც არც თვისი თუნუქის სათუთენის ნაკერუბზე მოდებული ჟანგის ქიცვებიდან ასული ჩემი გაუგონია. როცა იმას შევხო, რაც შიგნით იყო, ყურში საკუთარი ხმა ესმოდა: „გიზგიზა წითელი გული. გიზგიზა წითელი გულიო“ — იმეორებდა და იმეორებდა ამ სიტყვებს, თვიდან ხმადაბლა, მერე კი ისე ხმამაღლა, რომ მისმა ხმამ ჯერ დენვერი გამოაღვიძა, მერე კი თავად პოლ-დიც. „გიზგიზა წითელი გული. გიზგიზა წითელი გული...“

ერთად ფოფნისჭერ უწინდელი ლტოლვის ხელახლა განცდა შეუძლებელი იყო. დენვერის იღბალი, თვის გასატანად მარტოოდენ საყვარელის ცქერაც რომ პყოფნიდა. სულ სხვა საქმე იყო, როცა საპასუხო მხერით აჯილდოებდნენ, ძვალ-რბილში რომ ატანდა და იმ ადგილამდე სწვდებოდა, სადაც საყვარელთან ურთიერთობის სურვილს ჯერ არ ეჩინა თვი. ასეთი რამ ხშირად არ ხდებოდა, რადგან იშვიათად უყურებდა საყვარელი პირდაპირ დენვერს, ანდა როცა უყურებდა, ამ უკანასკნელს შეუძლო ეთქვა, უბრალოდ სახეში მომაჩერდება, გონებით კი სხვაგან არისო. თუმცა, ზოგჯერ როცა დენვერს არც წინათვრძნობისთვის სცხელოდა, არც ფორიაქისთვის, საყვარელი ლოყის ქვეშ მუშტებს ამოიდებდა და ყურადღებით ადგვნებდა თვალს.

შესანიშნავი გრძნობა იყო. არა, ის კი არ მოსწონდა დენვერს, დაუინებით რომ უცქერდნენ, არამედ ის, რომ მეორე, შეცნობის სურვილით შეპყრობილი და მისით უპირობოდ მოხიბლული ადამიანის თვალსაწიერში ექცეოდა. აკვირდებოდა ხოლმე საყვარელი დენვერის თმას, როგორც მისი არსების, მისი ბუნების ნაწილს და არც იმას დაგიდვედათ, უვლიდა თუ არა თმას დენვერი, არც იმას, როგორ ყაიდაზე პქონდა დაყარცხნილი. ისე ელამუნებოდა დენვერის

ტურქებს, ცხვირსა და ნიკაპს, თითქოს გოგონა ასფურცელა გარდი ფოფილიყოს, რომლის სილამაზით დასატკბობად თავად მებაღეც შეიცდიდა ხოლმე. ამ შეერთისგან ერთიანად ულხვებოდა, ურბილ-ლებოდა და ფილდექოსის კაბასავით აუკამყამდებოდა ხოლმე კანი დენვერს, დედამისისთვის რომ შემოქმვია ხელი წელზე. საკუთარი სხეულის შორიახლოს დალოვლოვებდა და ერთდროულად დაბნეუ-ლობასა და დაძაბულობას გრძნობდა. არაფერი სჭირდებოდა. ისეთი იყო, როგორიც იყო.

ერვნებოდა ხოლმე ასეთ დროს, რომ საყვარელს რაღაც სჭირდე-ბოდა, რაღაც უნდოდა. თითქოს მისი შავ-შავი, ფართოდ გახელილი უქოტყველო თვალების მიღმა ცენტიანი მონეტის სათხოვნად მისკენ გაწვდილი ხელი იმაღლებოდა, ფულისა, რომელსაც დენვერი სიხა-რულით გაიღებდა, ოღონდ კი სცოდნოდა, ეს როგორ უნდა გაეკე-თებინა, ანდა საჯმარისად ბევრი სცოდნოდა საყვარელის შესახებ, სცოდნოდა ის, რასაც სითესგან დროდადრო დასმულ შეკითხვებ-ზე გაცემული პასუხებიდან ვერაფრით შეიტყობდა: „არაფერი გახ-სოუს? მეც არასოდეს ვიცნობდი დედაჩემს, მაგრამ დანახული მყავს ქროი-ორჯერ დედაშენი არასოდეს გინახავს? თეთრკანიანები იქ როგორი იყვნენ? არც ერთი არ გახსოუს?“

მაშინ კი მოჰყვებოდა საყვარელი თითების ფხანას და იტყოდა, რომ ვიღაც ქალი ახსოუდა, ახსოუდა, როგორ მოაშორეს მისი თავი იმ ქალს. ამას თუ არ ჩავთვლით, ყველაზე ნათლად ხიდი ახსოუდა, ხმირად იხსენებდა, როგორ იდგა ხიდზე და იყურებოდა ქვემოთ კი-დევ ქროი თეთრკანიანი კაციც ახსოუდა.

სითეხოვის ეს საუცხოო ამბავი იყო, დამატებითი დასტური დას-კვნებისა, დენვერს რომ გაუზიარა.

— კაბა და ფქსაცმელები საიდან მოიტანე?

საყვარელი ამბობდა, ავიღეო.

— ვისგან?

პასუხად სითე მხოლოდ დუმილს და ხელების გამალებულ ფხა-ნას იღებდა. არ იცოდა საყვარელმა — კაბაცა და ფქსაცმელებიც დაქნახა და უბრალოდ აეღო.

— კარგი ერთი, — თქვა სითემ და უთხრა დენვერს, რომ მისი ახრით საყვარელი ვიღაც თეთრკანიანს უნდა პყოლოდა საკუთარი მიზნებისთვის გამოყეტილი და გარეთ არასოდეს უშვებდა. ალბათ,

გოქვა, ხილმრი თუ ნადავამდე მოაღწია და ხეკა კულტური გონიერებს აძირებულ ხილი. მაგდაგვარი ამხავი კლასიკ გადახდებისა თუ ს. ორთხდ მის შემთხვევაში რჩნი იყენებს. მამა-შვილი, თუ კლას კულტური მისხალ-მისხალ ახსოვდა. ერთ წელზე მეტხანს ჰყულდათ თასხის გამოყენები და კრიოსტოდნენ.

„კრი ნარმოდგენ, — კოქა კლას, — რა გამიჭიო იმ ორმა“.

ამით ხსნდა საყვარელის ქავას, დაკუშირებულს პოლ-დისონ, რომელიც ასე ეჯავრებოდა.

სიუს გონიერის ვარჯიშისა დენცენს არც სუკროდა, არც რამეს ამბობდა მასზე. თვალები დაბლა მიკერნდა და სიტყვაც არასოდეს უთქამს ცოდნ შესანახი პროდუქტების საკუჭნაოზე. დარწმუნებული იყო, რომ სასტუმრო თასხმი დედამისის გვერდით დაწინებით თეთრი კაბა საყვარელი გახლდათ, ბაჟშვი, რომელიც მოუღი ცხელებისა თან ახლდა. და როგორი ხანმოკლევი უნდა ყოფილიყო ამ ბაჟშვის შექმა, მაღლიერი გახლდათ დენცენი იმისთვის, რომ დანარჩენ დროს უბრალოდ მაყურებელი ბრძანდებოდა, თანაც თავადაც დაელაგებინა რამდენიმე კითხვა, ისეთი, ნარსულთან საერთო რომ არაფერი პქონდა. მხოლოდ აწმყო აინტერესებდა დენცენს, თემცა ფრთხილობდა, აქაოდა, არ იფიქროს საყვარელმა, ის არ მაღელვებს, რთხ ცოდნის წაღილიც მკლავს — მეტისმეტად თუ ჩაცვდებოდა საყვარელს, შეიძლებოდა, ერთცემტიანი დაეკარგა, მისკენ გაწვდილ ხელს რომ უნდოდა, შეიძლებოდა, დაეკარგა ადგილი, სულ სხვა საქმე რომ გახლდათ ჯობდა, ყურების ნება პქონდა და კლხინა, რადგან ერთად ყოფნისკენ უწინდელ ლტოლებზე, საყვარელამდე ლტოლებზე, რომელსაც ბზებში დაჟყავდა და მარტოოდენ სიცოცხლის გემოს გასაგებად, მისი ოღროჩოლრობის შესაგრძნებად ოდეკლონს აყნოსვინებდა, ლაპარაკიც კი ზედმეტი გახლდათ ცეკრას მოემწყვდია ლტოლება.

პოდა, არ უკითხავს საყვარელისთვის, საყურებე საიდან იცოდა. არც ცოდნ შესანახი პროდუქტების საკუჭნაოში დამეულ მისკელამოსვლას და იმ რაღაცის წვეროზე უკითხავს, მაშინ რომ ხედავდა, როდესაც საყვარელი იწვა ანდა მძინარეს ტანზე გადაეხდებოდა.

უყურებდა საყვარელი დენცენს, როცა ეს უკანასკნელი ფრთხილობდა, როცა ცდილობდა, რაღაცები აქსნა მისთვის, რაღაცებში ჩართულიყო, ანდა როგორმე შეჲცია, ვიდრე სიუსტორანში

გახლდათ, რაღაცები ეამბა მისთვის. არანაირი დაწესებული სამუშაო არ კმარიდა ცეცხლის ენების ჩასაქრობად, სულს რომ ულოკუდა. და არ ქრებოდა ცეცხლი არჯ მაშინ, როცა გოგონები ზეწრებს ისე მაგრად წურავდნენ, რომ გამოწურული ნარეცხი წყალი მკლავებში ჩასდიოდათ, არჯ მაშინ, როცა ეზოში, საპირფარეშომდე მისასვლელ ბილიკს თოვლისგან ნიჩბებით წმენდდნენ, არჯ მაშინ, როცა ნაწვიმარი წყლით საუსე კასრს სამი დუიმის სისქის ყინულს მოატეხდნენ, არჯ მაშინ, როცა გასული ზაფხულის დროინდელ ჭრისერვის ქილებს წმენდდნენ და ხარშავდნენ, საქათმის ბზარებს ტალახით ავსებდნენ და შემცონულ წიწილებს გასათბობად კაბის კალთუბში იფარუბდნენ. ამასობაში დენვერს იმ საქმეზე უნდა ელაპარაკა, რომელსაც აკეთუბდნენ, უნდა აქსნა, ასე და ამიტომ ვმკრებით. უნდა ელაპარაკა ადამიანებზეც, რომლებსაც ოდესლაც იცნობდა ანდა ენახა. ცხადზე ცხადად უნდა დაქატა მათთ სახუები. უნდა ელაპარაკა თეთრკანიან ქალბატონზე, კარგი სუნი რომ ასდიოდა და მათთან ფორთოხლები, ოდეკოლონი და კარგი შალის მოსახვევი მოეტანა. ლედი ჯონსზე უნდა ელაპარაკა, რომელიც ბაჟშვებს დათვლასა და სიტყვების დამარცვლას სიმღერ-სიმღერით ასწავლიდა. უნდა ელაპარაკა მასვით საზრიან პირშვენიერ ბიჭზე, ლოკაზე ხუთცენტიანის ოდენა ხალი რომ პქონდა. თეთრკანიან მღვდელზეც უნდა ელაპარაკა, რომელიც მათთ სულებისთვის ლოცულობდა, ვიდრე სითუ კარტოფილს ფცქვნიდა, ბებია ბები კი ხროტინებდა. და უამბო დენვერმა პოუარდსა და ბაგლერზეც, იმაზე, თუ რომელი სით წვებოდა ლოგინში და იმაზეც, რომ საწოლის თავი პირადად მისი გახლდათ უამბო, რომ ვიდრე ბები საგზის ლოგინზე გადაბარებებიდა, არასედეს ენახა, ძმებს ხელჩაუკიდებლად დაეძინათ საყვარელის ყურადღება რომ მიექცია, ნელა, აუჩქარებლად პყვებოდა პოუარდსა და ბაგლერზე, დიდხანს ლაპარაკობდა მათ ჩვევებსა და თამაშებზე, მას რომ ასწავლიდნენ, თუმცა არათერს ამბობდა მიშზე, სულ უფრო მეტად რომ ერეცებოდა ბიჭებს სახლიდან საჭლაც, ბოლოს კი ძალიან შორს მიაბრძანა.

დღეს კარში არიან. ცოჭა და თოვლიც შემკვრივებულ გრუნტს ჰყავს. დენვერი ლედი ჯონსის ნასწავლებ სიმღერ-სიმღერით დათვლას მორჩიენილა. საყვარელს ხელები წინ გაუშვერია, გაუნძრუვლად დგას, დენვერი კი გაყინულ თეთრულსა და პირსახოცებს თოკი-

დან ხსნის. იქამდე ულაგებს წინ გაშვერილ ხელებზე საყვარელს სარეცხს დენვერი, ვიდრე თეოტუულისა და პირსახოცების გროვა ბანქოს უზარმაზარ დასტას არ დაემსგავსება და საყვარელს ნიკა-პამდე არ მოუწვეს. დანარჩენი სარეცხი, წინსაფრები და ყავისფერი წინდები დენვერს თავად მოაქვს. სიცოისგან თავბრუდახვეულები ბრუნდებიან შინ. ნელ-ნელა გალლვება გაყინული ტანსაცმელი და ნესტიან საუთოებელსაც ჩინებულად დააუთოებენ. ისეთი სუნი დადგება, ცხელ წვიმაში ჯონებათ თავი. საყვარელს სითუს წინსაფარი მოურგია და მთელ ოთახში ცეკვას, თან კითხულობს, თუ არის სიბნელეში ყვავილები. დენვერი ღუმელში წვრილ-წვრილ შეშას ამატებს და არწმუნებს, არისო. ტრიალებს საყვარელი, სახე ძლივს მოუჩანს ზედატანის საყელოში, წელზე წინსაფრის შესაკრავები შემოსჭდობია და ამბობს, რომ სწყურია.

სიღრის შეთბობას სთავაზობს დენვერი, თავად კი იმაზე ფიქრობს, აცეკვებული საყვარელის გასართობად რა ვთქვა ან რა გაუაკეთოო. სტრატეგია ახლა დენვერი — საყვარელი სულ გვერდით უნდა ჰყავდეს მოყოლებული იმ წუთიდან, როცა სითუ სამსახურში წავა, მის დაბრუნებამდე, ანუ იქამდე, როცა საყვარელი ჯერ ფანჯარას არ შორდება, მერე გარეთ გადის, საფეხურებს ჩაიღლის და გზისკენ გასწვეს. სტრატეგობას შესამჩნევად შეუცვლია დენვერი. ადრე თუ ყველაფერი ეზარუბოდა, ყველაფერზე ფხუკიანობდა, ახლა გამოცოცხლებულია, მარდად ასრულებს ყველაფერს, რასაც სითუ დააჭალებთ, მეტსაც კი აკეთებს. და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ შეუძლოს, თქვას: „უნდა გაუაკეთოო“, ანდა „დედამ დაგვიბარაო“. სხვანაირად საყვარელი თავის თავში ჩაიყტება ხოლმე და სადღაც დაფრინავს, ანდა მიყუჩდება და დაიღვრიმება, მერე კი აღარც დენვერს რჩება რაიმე შანსი, რომ გოგონა მას შექედავს. სადაცები ხელიდან უსხლტება საღამოობით დენვერს. როცა დედამისი სადმე ახლოსაა, საყვარელს სითუს მეტი არავინ უნდა. ღამით, როცა ლოგინში წვანან, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეიძლება, სიბნელეს ამოფარუბულ საყვარელს მოუნდეს, რომ დენვერმა რამე უამბოს. შეიძლება, ადგეს და ცივად შესანახი პროდუქტების საკუჭნაოში შვაიდეს, საღაც პოლ-დის დასჩემდა დაძინება. შეიძლება იტიროს კიდეც, ოღონდ ჩუმად. ისიც შეიძლება, რომ დაბანგულოვით ეძინოს და ბადაგითა და ხრაშუნა ნამცხვრით ყელჩაკოკლოზინებულს პირიდან დათაფ-

ლული სუნთქვა ამოსდიოდეს. მაშინ გადაბრუნდება დენვერი მისკენ და თუ საყვარელსაც მისკენ აქვს მიქცეული სახე, ღრმად შეისუნთქვს ამ უკანასკნელის პირიდან ამოსულ დამტკბარ ჰაერს. თუ არა და, ზოგჯერ საყვარელის ამოქშენა რომ არ გამოეპაროს, დენვერს მძინარებელ ზემოდან გადაყუდებაც უწის. რადგან ყველაფერი ჯობია უწინდელ ლტოლუს, ყველაფერი ჯობია დროს, როცა ერთი წლის თვეზე მას შემდეგ, რაც ასოები ლამაზად გამოჰყავდა, ღვეზელზე ჯარდნილი სურნელოვანი ოხშოუროვით ძალდაუტანებლად მორაკრაკებდა წინადადება წინადადებაზე და თანატოლებთანაც იქცვდა თვეს, ყველაფერი ერთბაშად შეწყდა. ყველაფერი ჯობია სიჩუმეს, როცა ხელის მოძრაობებს პასუხობდა და ჩირადაც არ უღირდა, როგორ მოძრაობდნენ თვისი თანამოსაუბრის ტუჩები. როცა ხედავდა, ფერები და ყველაზე უმნიშვნელო რამებიც კი როგორ იბჟუტებოდნენ. უარს იტყვის დენვერი მზის ყველაზე ფერადოვან ჩასვლაზეც, თეფშისოდენა დიდრონ გარსკვლავებზეც, სისხლსაცსე, მჩქეფარე შემოდგომაზეც და ყველაზე ფერმკრთალ სიყვითლეს დასჯერდება, თუკი იგი მისი საყვარელისა.

მძიმეა სიდრის ბოთლი, მაგრამ სულ მძიმე არაა, მაშინაც კი, როცა ცარიელია?! თვისეუფლად შეუძლია მისი წამოღება დენვერს, თუმცა საყვარელს მაინც სთხოვს დახმარებას. ცოდნა შესანახი პროდუქტების საკუჭნაოში დევს სიდრის ბოთლი, ბადაგისა და ექვსი გირვანქა გაქვავებული ჩედერის გვერდით შუაგულ საკუჭნაოში, იატაკზე, გაზეთების ქვეშ ჩალის ლეიბი გდია, საფეხუში კი საბანიც მოჩანს. თითქმის ერთი თვეა, ამ ლეიბზე ადამიანს სძინავს, თუმცა თულიც მოსულა და ნამდვილი ზამთარიც მოუყოლებია თან.

გარეთ შუადღეა. საკმაოდ ნათული დღე დგას, შიგნით კი ბნელა. რამდენიმე ადგილზე სახურავსა და კედლებში მზის შუქი აღწევს, მაგრამ რაკი სხივები მეტისმეტად სუსტია, არ კმარა იქაურობის გასანათებლად. სიბნელე ძალავს და წვრილ-წვრილი ჭიჭიყინებივით ყლაპავს სხივებს.

ხმაურით იყეტება კარი. ვერ ხედავს დენვერი, საყვარელი სად დგას.

- სად ხარ? — სად ხარ თითქოს სიცილით ჩურჩულებს დენვერი.
- აქ, — ამბობს საყვარელი.
- სად? — კითხულობს დენვერი.

— მოდი და მნახე, — პასუხობს საყვარელი.

წინ იწვდის მარჯვენა ხელს დენვერი და ერთი-ორ ნაბიჯს დგამს. წაიფორხილებს და ლეიბზე ეცემა. ტკაცატკუცს იწყებს მისი სხეულის წონის ქვეშ გაზეთის ქაღალდი. ისევ იცინის დენვერი.

— ჯანდაბა. საყვარელო?

არაუინ პასუხობს დენვერს, ის კი ხელებს იქნევს და თვალებს ჭუტაჟს, კარტოფილიანი ტომრუბი, ღორის ქონით საუსე თუნუქის ქილა და შებოლილი ღორის ნახევარი როგორმე იმისგან რომ გაარჩიოს, რაც ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს.

— მორჩი სისულელებს, — ამბობს დენვერი და იქით იხედება, საიდანაც სათავსში სინათლე შემოდის — აქაოდა, ისევ საკუჭნაოში ვარ, თუ ყველაფერი მესიზმრებაო. წვრილ-წვრილი ჭიჭყინებით ნაფლეთ-ნაფლეთი სინათლე ისევ ბოინობს საკუჭნაოში, მაგრამ იმ ადგილს ვერ ეცემა, სადაც საყვარელია დამალული.

— შენ არ გწყურია? შენ გინდოდა სიდრი თუ არა? — საყვედური ეპარება დენვერს ხმაში. მხოლოდ ეპარება. არ უნდა, საყვარელს რომ აწყენინოს, არც ის უნდა, შიში გასცეს, ბალანოვით რომ ედება მთელ მის სხეულს. საყვარელის არც ხმა ისმის, არც ჩანს სადმე. ძლიერებულით დგება ატკაცუნებულ გაზეთებს შორის ფეხზე დენვერი. ცალი ხელი წინ გაუშვერია და ნელ-ნელა ისე მიიწევს კარისკუნ. კარს არც რაზა აქვს, არც სახელური. მარტო მავთულის მარყუება ზედ, ლურსმანზე წამოსაცმელად. ერთბაშად აღებს დენვერი კარს და გაცვებული შზის შუქი წყვდიადს ცვლის. ოთახში ყველაფერი ისეუეა, როგორც მაშინ იყო, როცა გოგონები შიგნით შევიდნენ, თუმცა საყვარელი აღარ არის შიგნით ძებნას აზრი აღარ აქვს, რადგან ყველაფერი, რაც საკუჭნაოში შეუნახავთ, შეხვალთ თუ არა შიგნით, მაშინვე ჩანს. მაინც ეძებს დენვერი, რადგან დანაკარგი არ აძლევს მოსვენებას. ისევ ბრუნდება სათავსში, თან ზურგს უკან სწრაფად დახურვის საშუალებას აძლევს კარს. მიუხედავად სიბნელისა, სწრაფად დათვლის იქაურობას დენვერი, ხელებს აქეთ-იქით იშვერს, ობობას ქსელებს, ყველს, დაქანებულ თაროებს ქება, თან ყოველ ნაბიჯში ედება ფეხებში ჩალის ლეიბი. ვერც ამჩნევს, თუ წაიბორძისებს. არ იცის, სად წწყება და უმთავრდება სხეული და იმიტომ, არც ხელი იცის, სად აქეს, არც ტერფი, არც მუხლი. ასე ჰგონია, თითქოს მდინარის გაყინულ ზედაპირს მოშორუბული ყინულის სქელი

ნატები იცის, სიბრუნვები რომ დაწყევლილები და იზრდებოდ ხას რას
წარეცდება კიდევთე, ხას რას, მსხვერებლი, ლათინადი და კუთხი.

სეჭისქმა უქიმის და ხატეტხარიში სიბრუნვები რომ იცის, კერაფერის
დაინახვეს, ტირის და ილიტის, სწორები ისე სისხლი, როგორიც უფა-
რობდა, ისეთი ძლიერებად, თოვების ერთი თოახიდის შეიცვები შედიო-
და ადამიანი. ძირკუთხი ჯადოსნური გაიცემა, მხის შუქისგან წარ-
ხოული ხახე და ჯადოსნური გაუქიმიანება საკუჭნაობი, კორელაც
დანოქმა სიბრუნვები.

— არა, — ძლიერ ყლაპაკის ნერწყებ დენეკერი, — არა, უკან არ
დაბრუნდე.

იმაზე უარესია ეს ამბავი, 124 ნოიერში პოლ-დის გამოჩენის გა-
მო უილაჯოლ რომ დახტიროდა ღუმელს დენეკერი. უარესია. თავისი
თვეის გამო ტიროლი მაშინ, ახლა კი იმისთვის ტირის, რომ თავისი
თვეი არ გააჩნია. ამასთან შედარებით სიკვდილი ერთი ჩაგდებული
გახდამია. გრძნობს, როგორ ყრის ხერკებს, როგორ იქცევა რაღა-
ციდან არაფრად. საფეხოქლებოს თმაში ხელს თვლებს. თმა უნდა
დაიგლიჯოს, ლხობა რომ შეაჩეროს კოტა ხნით. კრიჭა შეუკრავს
დენეკერს და ცდილობს, არ აქვითონდეს. არკი კი იძერის აღგილი-
დან კარის გასაღებად. არ არსებობს გარეთ არანაირი ქვეყანა და
იმიტომ. გადაწყვეტის, გრილად შესანახი პროდუქტების საკუჭნაობი
დარჩეს. დაე, ისიც ისე, წკრილ-წკრილი ჭიჭიინებულით გადაყლაპოს
სიბრუნვები, როგორკი კოტა ხნის წინ სინათლე შთანთქა. კერ აიტანს
მორიგ სიცოცხლეს, მორიგ მოლორებას. იმისთვის გაიღვიძო, რომ
ჯერ ერთი ძმა არ დაგიხვდეს, მერე მეორე ლოგინში, სადაც, რო-
გორც წესი, ზურგში ჭიტლაყებს გკრავდნენ. იჯდე მაგიდასთან, თან
თალგამს შეუქცეოდე, თან ბებიაშენს სასმელს უნახავდე, დედაშენს
კი ცალი ხელი სასტუმრო ოთახის კარზე პქონდეს მიღებული და
გეუბნებოდეს: „დენეკერ, ბები საგზი აღარაა“. როცა იმაზე საფიქ-
რალი დროც გამოძებნა, რა იქნება, სითუ თუ მოკვდება, ანდა პოლ-
დი წაიყვანსო, ნანატრიკ უცხადდება, თან მხოლოდ იმისთვის, რომ
მიხვდეს, სიბრუნვეშია გაზეთების გროვაზე.

ფქის ხმაც კი არ ამხელს, რომ იქ არის საყვარელი, მაგრამ იქაა
— იქ დგას, სადაც არავინ იყო, როცა დენეკერი ეძებდა, და იღიმება.
ქვედაკაბის ქობაში აკლებს დენეკერი საყვარელს ხელს.
— მკონა, მიმატოვე. უკან დაბრუნდი, მკონა.

— იქაურობა არ მინდა. მე აქა ვარ — იღიძება საყვარელი, მეტე
ხავილით ჩაღის ღებიშე ჯდება. უკან გადაიხრება და თან სახურა-
ვისა და ფეხლის ნაპრალებში შემოახრულ სინათლის სხვებს შე-
უკრებს.

მაღვით მოიქცეს ქრისტინი თოთებს შორის დენვერი საყვარელის
ქუდაკაბას და ასე უჭირავს. კარგია, ასე რომ შვერება, რადგან უცა-
ბელად საყვარელი ღებიშე ჯდება.

— რა მოხდა? — ეკითხება დენვერი.

— შეხე, — ხელს იშვირს საყვარელი მწით განათებული ნაპრა-
ლების გენ.

— რა? ვერსაფერს ვხედავ — თვალს აყოლებს საყვარელის გაშვე-
რილ თითს დენვერი.

ქრისტიანდ უშვებს საყვარელი დაბლა ხელს.

— მეც მაგასვით ვარ

ხედავს დენვერი, როგორ იხრება საყვარელი, ირგოლება და აქეთ-
იქით იწყებს რწყებას. თვალები ღია აქვს, მაგრამ არაფერს უყერებს,
თან ისეთი დაბალი ხმით ჩივის, რომ ძლივს არჩევს დენვერი, რას
ამბობს.

— კარგად ხარ, საყვარელო?

რაღაცას აჩერდება საყვარელი. ამბობს: „იქ, მისი სახეა“.

თვალს აყოლებს დენვერი საყვარელის მწერას. არაფერია სიბნე-
ლის მეტი იქით

— ვისი სახე? ვინ არის?

— მე. მე ვარ — ისევ იღიძის საყვარელი.

სჯეროდა უკანასკნელ მამაკაცს „საყვარელი სახლიდან“, რომ
მართალი იყო კაცურკაცობაში გამოცდილი მისი პატრონი, კაცად
რომ თველიდა. სჯეროდა დანარჩენ ოთხ მონასაც. ოდესლაც სჯერო-
დათ, მაგრამ პოლ-დის გარდა ყველა დიდი ხნის წინ გამქრალიყო.
ვინც გაყიდეს, არასოდეს დაბრუნებულა; ვინც დაიკარგა, არასო-
დეს უპოვიათ იცოდა პოლ-დიმ, რომ ერთ-ერთი მათგანი ნამდვი-
ლად მოკვედა. იმედი პქონდა, რომ მკვდარი იყო, რადგან კარაქისა
და ჩუმა-მაწვნის ამარა ცხოვრებას არ შეიძლება ცხოვრება ერქ-
ვას. იზრდებოდა პოლ-დი და ფიქრობდა, რომ კენტუკის მთელ ზან-
გებს შორის მაინცდამაინც ზუთი ზანგი იყო ნამდვილი კაცი, თანაც

უფლება და ხელშეწყობაც პქონდათ, რომ შენიშვნა მიეცათ გარნერისთვის. დაუმორჩილებლობის უფლებაც კი პქონდათ უფლება პქონდათ, თავად მოეფიქრებინათ, რა და როგორ გაეჭირებინათ და საჭიროების შემთხვევაშიც ნებართვის გარეშე შეტიათ საქმისთვის. შეეძლოთ, ვიღაცის დედა გამოესყიდათ, ვიღაცისთვის ცხენი შეუჩიათ, ვიღაცისთვის — ცოლი, შეეძლოთ იარაღი ქმარათ, კითხვის სწავლაც შეეძლოთ, თუკი მოისურვებდნენ, ოღონდ ასეთი სურვილი არ პქონდათ, რადგან მათთვის მნიშვნელოვანს ფურცელზე ვერავინ ვრაფერს დაწერდა.

იყო კი ასე? ნუთუ კაცობა იმაში მდგომარეობდა, რომ კაცურკაცობაში გამოცდილი თეთრკანიანი კაცებს ეძახდა, თეთრკანიანი, რომელიც მარტოოდენ კი არ ამუშავებდა, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო თავისუფლებასაც აძლევდა? არა, უფრო მტკიცერამებს ემყარებოდა მათი ურთიერთობა გარნერთან — სჯეროდათ მათი და ენდობოდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ უსმენდნენ.

ფიქრობდა გარნერი, რომ მათი ნაფიქრალი რაღაცად ღირდა, მათ გრძნობებს კი სერიოზულად აღიქვამდა. ანგარიშს უწევდა საკუთარი მონების აზრს და ამით არც ავტორიტეტს კარგადა მათ შორის, არც ძალაუფლებას. აი, სკოლის მასწავლებელი კი სხვანაირად ასწავლიდა. ჭკვის ყანაში დადგმულ საფრთხობელასავით ირხეოდა ჰაერში მისი სიმართლე. უნერგავდა, „საყვარელი სახლის“ მამაკაცები მხოლოდ „საყვარელ სახლში“ ხართო კაცები. ერთი ნაბიჯით გასცდებით ამ მიწას და ადამიანის მოდგმა სამართალდამრღვებოით დაგიწყებოთ დევნას. უკბილო მოდარაჯე ძალლებად იქცვით, რქამოტქმილ მოზვრებად, დაკოდილ მუშა ცხენებად, რომელთა ხვიხვინსა და დაჭიხვინებას სანდობარი ხალხის ენაზე ვერავინ გადათარგმნისო.

იცოდა პოლ-დიმ, სკოლის მასწავლებელი მართალი რომ არ იყო და ძალასაც ეს აძლევდა, მაგრამ ახლა ეჭვი ეპარებოდა. ალფრედის ამბები ახსოვდა, ჯორჯის შტატში რომ იყო, დელავერის ამბები, სიქსო ახსოვდა და მაინც ეჭვი ეპარებოდა. თუკი სკოლის მასწავლებელი არ ტყუეოდა, მაშინ გასაგები იყო, როგორ მოხდა, რომ პოლ-დი ნაჭრის ტიკინად ქცეულიყო, რომელსაც ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერ დროს წამოავლებდა ხელს და ისევ ძირს დადებ-

და გოგონა, ასაკით შეიღლად რომ ერჯებოდა. როგორ მოხდა, რომ ეიძულდა ამ გოგოს, მაშინ, როცა დარწმუნებული იყო, ეს ამბავი არ უნდოდა. როცა კი უკანალს მიუმჯურდა საყვარელი, ახალგაზრდობის დროინდელი საფურუ ხბორები აგონდებოდა და ლაქალუნით იმსხვერეოდა მისი სიმტკიცეც. კაცობა... იყო კი ასე? სურვილზე შეტი იყო ის, რაც ლირსებას ულახავდა პოლ-დის და აფიქრუებინებდა, ნეტავ სკოლის მასწავლებელი მართალი თუ იყოო. თუ კაც დამკირუებულად გრძნობდა პოლ-დი, რადგან შეიღლისტოლა გოგო თუ კაც აზე დაატარებდა, თუ კაც კი უღონო გახლდათ ვერაფრისდიდებით ვერ ავიდოდა საღამოს კაშკაშა თუთო კიბეზე; ვერაფრისდიდებით ვერ გაჩერდებოდა სამხარეულოში ან სასტუმრო ოთახში. არც ლამით საკუჭნაოში დადგომა შეუძლო. პოდა, დაიღალა. სუნთქვა ისე შეიკავა, გაქცევისას ტალახში ჩაყურყუმელავებამდე რომ შეიკავა და გულიც ისე მოიფოლადა, როგორც მაშინ, კანკალმა პირველად რომ აიტანა, მაგრამ ახლა უარესი იყო, უარესი ვიდრე მაშინ, მორუშმი დატრიალებულ სისხლს სანგმომარჯვებული რომ აჩერებდა. 124 ნომერში საკაშმოდ გამლილი სუფრიდან რომ ადგა, კიბისკენ მიბრუნდა და ჯერ გულისრუქა, მერე კი ზიზღი იგრძნო. მას, პოლ-დის, უმართებოდა ასე, ადამიანს, ლამის ჯერაც ცოცხალი ნანადირუქი უმად რომ ეჭვმა, ადამიანს, აყვავებული ქლიავების ძირში იქამდე რომ ჩაქრამუნებინა მტრედის მკერდის ხორცი, ვიდრე ფრინველის გულისცემა შეწყდებოდა. კაცი იყო და იმიტომ, კაცს კი შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, რასაც მოინდომებს. შეუძლია, ლამის დადგომამდე ექვსი საათის განმავლობაში დაშრალ ჭაში იჯდეს; შეუძლია, ენოტს შიშველი ხელებით შეებრძოლოს და მოერიოს; შეუძლია, ისე უყუროს, როგორ წვავენ მისთვის ძმაზე უსაყვარლეს ადამიანს, რომ თვალიდან ცრუმლიც არ გადმოუვარდეს და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გაიგონ ჯალათებმა, რას ნიშნავს, როცა კაცი ხარ პოდა, ის კაცი, რომელიც ჯორჯიდან დელავერამდე ფეხით ჩასულიყო, ვერ ახერხებდა 124 ნომერში სადაც მოუნდებოდა, იქ დარჩენილიყო, ანდა წასულიყო. სირცხვილი პოლ-დის თუ კაც!

ფეხებს ვერ იმორჩილებდა პოლ-დი, მაგრამ უკონა, ლაპარაკის უნარი ჯერაც შესწევდა და გადაწყვიტა, ლაპარაკით გასულიყო ფონს. მოუყვებოდა სითეს იმის შესახებ, რაც ბოლო სამი კვირის განმავლობაში ხდებოდა; დაიმარტოხელებდა სამუშაოდან დაბრუ-

ნებულს ბაღთან, ლუდქანასთან რომ იყო, რომელსაც სითე რესტორანს ეძახდა, და ყველაფერს ეტყოდა.

იდგა ზამთარში პოლ-დი ხეოვანში სოიერის რესტორნის უკან და ელოდებოდა სითეს. მიმწუხროვით შუადღე იდგა. იმეორებდა და იმეორებდა პოლ-დი სათქმელს. ხელმძღვანელის კულდაკულ გასაყოლად შექუჩებული ბაჟშვებივით უყრიდა თუ გონიერი სიტყვებს, თან სულ სითეს სახე ედგა თვალწინ.

— მოკლედ, პოლა... კაცს არ შეუძლია... იცი, მომისმინე... ასე არ არის, მართლა არ არის... პოლ გარნერი... იმის თქმა მინდოდა, რომ ეს სისუსტე არ არის, ისეთი სისუსტე, რომელსაც შემიძლია, წინააღმდევობა გაუუწიო იმიტომ, იმიტომ, რომ რაღაც მემართება. ის გოგო შვრუბა ამას. ვიცი, ფიქრობ, რომ არასოდეს მომწონდა, მაგრამ ასე შვრუბა. გასაქანს არ მაძლევს. სითე, ბორკილებში ვყავარ, მე კი მათი დამსხვრება არ შემიძლია.

რაო? გოგო არ აძლევს გასაქანს ზრდასრულ მამაკაცსო? მერუდა, თუ გოგო, სულაც არ იყო გოგო, არამედ რაღაც სხვა გახლდათ, რაღაც შენიღბული? შეიძლება საყვარული გოგონას მიღმა ერთი გათახსირუბული რამ იმაღლებოდა, რომლისთვისაც სულერთი იყო, გაუიმავდა თუ არა პოლ-დი. მთავარი იყო, პოლ-დის 124 ნომერში, საღაც მოუნდებოდა, ვერც დარჩენილიყო, ვერც წასვლა მოქმერხებინა. და რადგან პოლ-დი არც ისეთი მაგარი კაცი იყო, რომ დადებული ბორკილები დაემსხვრია და სითე არ დაეკარგა, შშველელად სწორედ სითე სჭირდებოდა. სჭირდებოდა, რომ სცოდნოდა სითეს ეს ამბავი და ერც ხვინებოდა, რომ ქალისთვის, რომლის დაცვაც უნდოდა, შველა უნდა ეთხოვა. ჯანდაბამდე გზა პქონია ყველაფერს.

პირიდან ამონასუნთქი ჰაერით გაითბო ხელისგულები პოლ-დიმ. ისე სწრაფად დაქროდა ხეოვანში ქარი, რომ ნარჩენების მომლოდინე ოთხ შემოჩვეულ ძალლს ბეჭვი აულოკა. ძალლებს შეხედა პოლ-დიმ. ძალლებმაც შეხედეს. ბოლოს და ბოლოს, გაიღო უკანა კარი და სითუც გამოუიდა. ცალი ხელი ნარჩენებით საუსე ქვაბისთვის შემოქვეია და ისე მოპქონდა. მამაკაცის დანახვაზე ერთი შესძახა და გაეღიმა. ერთდროულად კმაყოფილებასაც გამოხატავდა ეს ღიმილი და გაოცებასაც.

ფიქრობდა პოლ-დი, პასუხად, ალბათ მეც გაუუღიმეო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, სახეზე ისე სციოდა.

— პატარა გოგო მგონია, ადამიანი, თუკი, სამხახურიში რომ მაკითხავ წასაყენად. ადრე არახელლებს არაუგის მიექცეველა ახლ. ჯობია, ფრთხილად იყო. შეიძლება, შეკიფებული, — ყველაზე ლილი ქველები სითქმ სწრაფად მოისროლა ტალახში, აქაცია, მიხედვებს ძაღლები, საკმარისი საჭმელი რომ არის და ერთმანეთს არ ეჩხუბისხი. მერე შორიახლოს ახრჩოლებული ნარჩენების გრიფაზე კანები, თუკები, შიგნეულობა და სხვა რამჯები დაყარა, რომლებსაც კურა რესტორანში გამოიყენებდნენ და არც თურად წაიღებდა შინ. — ქაბი უნდა გამოურუცხო და მაშინვე შენთან გაუჩნდები, — თქვა ხითქმ და სამხარუულოში შებრუნდა, პოლ-დიმ კი თანხმობის ნიშნად თუკი დაუკანია.

უხმაუროდ ჭამდნენ ძალლები და პოლ-დიმაც გაიფაქრა, სხვა თუ არაფერი, ის მაინც მიიღეს, რისთვისაც მოუიდნენო. გაიფაქრა, ძალლებისთვის თუ პყოფნისო სითქმ...

ქარისგან დასაცავად შალის ყავისფერი ნაჭერი წაეკრა სითქმ შუბლზე.

- ადრე დაამთავრუ სამუშაო თუ რა არის?
- ადრე წამოვედი.
- რამე მოხდა?
- შეიძლება, — თქვა პოლ-დიმ და ტუჩები მოიწმინდა.
- ხომ არ შეუმცირებიხარ?
- არა, არა. სამუშაო ბევრი აქვთ მე უბრალოდ...
- პო...
- სითქმ, რის თქმასაც გაპირუბ, არ მოგწერნება.

მაშინ კი გაჩერდა სითქმ. პირით შებრუნდა პოლ-დიმისა და საძაგელი ქარისკენ, რომელიც ისე უტყვლაშუნებდა სახეში, რომ მის ადგილას სხვა ქალი გვერდულად ყურებას თუ არ დაიწყებდა, თვალებიდან ცრუმლი მაინც წამოუვიდოდა. სხვა ქალი პოლ-დის შიშით, ვედრუბით, თუგინდ სიბრაზით საუსე თვალებით შექედავდა, რადგან ის, რაც პოლ-დიმ თქვა, ნამდვილად პგავდა პირველ ნაწილს ამბისა, „მე წავედი, კარგად მეყოლეო“.

მტკიცე, შშეიდი მშერა შეაგება პოლ-დის სითქმ, აქაოდა, შზად კარ, მოვილო, გუვუშვა ან გაუმართლო კაცი, რომელსაც რაღაც უჰირსო. თითქოს წინასწარ ეთანხმებოდა პოლ-დის სითქმ, ამბობდა, კიო, კარგიო, რადგან გრძელი ცხოვრუბისეული გზა გავვლო და არ სჯეროდა, რომ რომელიმე მამაკაცს იმედის ბოლომდე გამართლება

შეკვლო. რა მიზეზიც უნდა პქონოდა პოლ-დის, არა უშავდა. ბრალი არაუისი იყო. არაუინ იყო დამნაშავე.

იცოდა პოლ-დიმ, რასაც ფიქრობდა სითუ და მიუხედავად იმისა, რომ ქალი ცდებოდა, მის მიტოვებას არ აპირებდა. ის, რის თქმასაც პოლ-დი აპირებდა, კიდევ უფრო უარესი იყო. პოლა, როცა სითუს თვალებში დაკნინებული მოლოდინი და საყვედურისაგან დაცლილი ნაღველი ამოიკითხა, ვერაფერი თქვა. არ შეეძლო ეთქმა ქალისთვის, ქარს სახეს რომ არ არიდებდა, არაკაცი ვარო.

— ჰე, მითხარი, პოლ-დი, მომწირნება თუ არა.

რაკი იმას ვერ ამბობდა, რისი თქმაც უნდოდა, მამაკაცმა ისეთი რამ თქვა, რომ არც კი იცოდა, გუნებაში თუ პქონდა:

— მინდა, დაორსულდე, სითუ. იზამდი ამას ჩემთვის?

ახლა კი გაეცინა სითუს. იცინოდა პოლ-დიც.

— მაგის სათხოვნელად შემომიარე? დიდი გადარეული კაცი ხარ მართალი ხარ არ მომწონს ეს აზრი. არ ფიქრობ, რომ მეტისმეტად ბებერი ვარ მასეთუბის ხელახლა დასაწყებად? — თქვა სითუმ და თოთუბი ზუსტად ისე ჩაუცურა პოლ-დის ხელში, როგორც მაშინ, ხელ-ჩუკიდებული ჩრდილები გზისპირს რომ მიუყვებოდა.

— მოიფიქრე, — თქვა მამაკაცმა. ერთბაშად მიხვდა, რომ ასე ურთდროულად ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა. შეიძლებოდა, სითუსაც ჩაპბლაუჭებოდა, საკუთარი ვაჟაცობაც დაესაბუთუბინა და იმ გოგოს ჯადოქრობისგანაც დაქსნა თვი. ლოჟასთან მიიტანა პოლ-დიმ სითუს თითოს წვერები. სიცილით მოაშორა ქალმა ხელი პოლ-დის, ვაითუ, ხელანში ვინმემ გაიაროს და დაინახოს დღისით, შეისით, ყველას თვალწინ, ქარში, სათანადოდ რომ არ ვიქცევითო.

და მაინც, ცოტა დრო კიდევ პქონდა პოლ-დის. ყვიდა ეს დრო სინამდვილეში და იმედი პქონდა, გადახდილი ფასი მისი დაღუპვის მიზეზი არ გახდებოდა, მთელი ცხოვრებით არ ზღავდა კიდევ ერთი შეადლისთვის.

ანცობა-ანცობით გაიარეს ხელანი, თან ხელებს იქნევდნენ და ქარისგან მხრებში იხრებოდნენ. ქუჩაზე ნაკლებად უბერავდა ქარი, მაგრამ ზამთრის ტანსაცმელში გამოწყობილი გაფშეკილი ფეხით მოსიარულები მაინც ჩქარ-ჩქარა მიდი-მოდიოდნენ — შშრალი სიცოვე ერუკებოდათ ვერც კარის ჩარჩოზე მიყუდებულს დაინახავდით ქუჩაში ვინმეს, ვერც მაღაზიის ვიტრინასთან. საკვებითა და შეშით

დატვირთული ოთხთვალების ბორბლები ისე ჭრიალებდა, თითქოს სრულიდათ რაღაც. კანკალებდნენ და თვალებს ნაბავდნენ სამიკიტ-ნოების წინ დატოვებულ ოთხთვალებში შებმული ცხენები. პოლ-დისა და სითუს ოთხი ქალი მიუახლოვდა. ხმაურით მოაბიჯებდნენ თრ-ორად ფიცრის ბილიკზე. ქალებისთვის გზა რომ დაეთმო, ტალახზე გადებული კიპორჭიდან ჩამოვიდნენ და პოლ-დიც შექმიდაყვზე სითუს.

ნახუკარ საათში, ქალაქის გარუებნებს რომ მიაღწიეს, ისევ მოჰყვნენ ხელის ხელზე წაულებასა და ზურგზე თითუბის თათუნს. ხარობდნენ და ქამუშებოდათ, ერთდროულად ასეთი მოწიფულები და ასეთი ახალგაზრდები რომ იყვნენ.

მოგვარდებაო, ფიქრობდა პოლ-დი. სითუს ორსულობის მეტი სხვა არაფერია საჭირო და ვერც ერთი უპატრონო გოგო ვრ შეცვლისო რამეს. ვერც ერთი უსახლკარო უქნარა ლაწირაკი ვრ გადაახვევინებს გზიდან პოლ-დის, ვერავინ ჩაუნერგავს ეჭვს, ბოდიშის ან აღსარების თქმას ვერავინ აიძულებს. საკუთარ ძალაში დარწმუნებულმა შემოხვია სითუს მხრებზე ხელი და ტანზე მიიკრა, გულზე მიადო სითუმაც თვი და რაკი ეს წუთუბი ორივესთვის ძვირ-ფასი იყო, გაჩერდნენ და იდგნენ ერთხანს ასე. არც კი დაეძებდნენ, ვინმე გამვლელი თუ ჩაუკლიდა გვერდით ზამთარი იყო და უკვე მიმქრალიყო დღის შუქი. შეხედა პოლ-დიმ გზის პირზე გამწყრი-ვებულ ჩაშავებულ ხეებს, თვის დასაცავად რომ აეშვირათ მაღლა მკლავები. უეცრად დაიწყო ნელი თოვა. ციდან ჩამოსულ საჩუქარს ჰგავდა თოვლი. სითუმ თვალები გაახილა, შეხედა თოვას და წყალო-ბააო, თქვა.

და ეს პოლ-დის, რომ ეს მცირედი წყალობა თუ რაღაცა იმის-თვის მიეცათ, რომ რასაც ახლა გრძნობდნენ, დაქსომებინათ, მერე კი მაშინ, როცა საჭირო იქნებოდა, გახსენება შესძლებოდათ

მძიმედ ედებოდა ქაფენილს ციდან წამოსული ხუთცენტიანით დიდრონი შმრალი ფანტელები. ყოველთვის უკვირდა პოლ-დის, როგორ შეუძლიათ თოვლს ასე ჩუმად თოვა. ფიქრობდა, წვიმას კა არ ჰგავს, საიდუმლოს ჰგავს თოვლი.

— გაიქეცი! — თქვა მამაკაცმა.

— მენ გაიქეცი, — უპასუხა სითუმ, — მთელი დღე ფქზე გაუ-ტარე.

— მე რას ვაკეთუბდი? ვიჯექი? — არ მოეშვა პოლ-დი და ხელზე მოქანა.

— გაჩერდი! გაჩერდი! — ამბობდა სითუ, — სად შეუძლია ჩემს ფეხებს მაგდენი!

— მაშინ მე მომანდე შენი ფეხები! — მიუგო პოლ-დიმ და ვიდრე მიხვდებოდა, რომ ზურგზე იკიდებდნენ, მანამდე აღმოჩნდა სითუ ჰა-ერში. თუქვე გარბოდა გზაზე პოლ-დი და უკან იტოვებდა სანახვ-როდ გადათეთრებულ რუხ-წითელ მინდვრუბს.

ბოლოს სუნთქვა შეეკრა, გაჩერდა და ძირს ჩამოაცურა სიცი-ლისგან ქანცგარებული სითუ.

— თუვლში სათამაშოდ შენ მართლა გჭირდება ბავშვები, — თქვა სითუმ და თუზე წაკრული ნაჭერი გაისწორა.

იღიმებოდა პოლ-დი და ხელებს იორთქლებდა.

— მართლა ვცდიდი, მაგრამ მონდომებული ჰარტნიორი მჭირ-დება.

— მე ვიტყოდი, — გააგრძელა სითუმ, — ძალიან, ძალიან მონდო-მებული ჰარტნიორი.

დაახლოებით ოთხი საათი იყო. ნახუჭარი მიღი დარჩენოდათ 124 ნომრამდე.

ქარისგან ჰაერში დატრიალებული ფიფქების მიღმა ძლივს გა-არჩევდით მოლივლივე სილუეტს, სითუსა და პოლ-დის რომ უახ-ლოვდებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ ოთხი თვის განმავლობაში ხედავდა სითუ მის შესახვედრად წამოსულ იმავე გამოსახულებას, ის და პოლ-დი იმდენად გადართულიყვნენ საკუთარ თუზე, რომ ახლოს მოსული გოგონას დანახვამ ორთვე შეაჯანჯლარა.

პოლ-დისთვის საყვარელს არ შეუხედავს. გამომცდელი თვალით აკვირდებოდა სითუს. არც ეცვა და არც მოსხმული ჰქონდა რამე, თუზეც არაფერი ქურა, თუმცა ხელში გრძელ-გრძელი თუშალი ეჭირა, ხელებით სითუსკენ მიიწვედა და ცდილობდა, როგორმე შე-მოეხვია თუშალი მისთვის.

— გიჟი გოგო ხარ, — თქვა სითუმ, — ვინ დადის ახლა შენ გარდა შიშველი, — ქალი პოლ-დის მოშორდა, საყვარელს თუშალი გა-მოართვა და თუვი და მხრები მოუფუთნა, მერუ კი მარცხენა ხელით ჩაიხუტა, თან ეუბნებოდა, ჭკუით უნდა იყოო.

სველი თუვლი წამოუიდა. გაეყინა პოლ-დის გვერდი, საყვარელის

მოსვლამდე სითუ რომ უთბობდა. ასე ერთი იარღით უკან მიჰყვებოდა ფეხების თრუვით ქალებს და ცდილობდა, მორუოდა სიბრაზეს, შინ მისვლამდე მთელი გზა გულგვამს რომ უწრიალებდა. მერე ფანჯარაში ლამპის შუქშე დენვერის სილუეტი დაინახა და უნებურად გაიფიქრა: „ნეტავ შენ ვის მხარეს ხარ?“

ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა ყველაფერი გულდაჯერუბულმა სითუმ:

— ვიცი, დღეს გარეთ არ იძინებ, არა, პოლ-დი? — შესცინა მამაკაცს ქალმა და გაჭირვებაში შეცნობილი მეგობაროვით ააყოლა სიცოვენაყლაპმა საკვამურმაც ხრინწიანი ხველა. თრთოლა-ურიალით შემოუშვეს ოთახში ზამთრის ცივი პაერიც ფანჯრის ალათებმა.

პოლ-დიმ ჩაშუშულ ხორცს თვალი მოაშორა და ზემოთ აიხედა.

— ზემოთ ამოდი. შენი ადგილი იქ არის, — თქვა სითუმ, — ზემოთ დარჩი.

ვერაფერს აკლებდა სითუს თბილ ღიმილს ღვარძლიანი ძაფები, საყვარელი მაგიდის მეორე მხრიდან რომ უშვებდა.

აქამდე ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გამოეცადა პოლ-დის მადლიერება ქალის მიმართ.

შიმშილისა და სიმარტოვისგან დაელმებული ტყიდან რომ მოიპარებოდა, უილმინგტონის ფერადკანიანებით დასახლებულ ნაწილში მისულმა პირველივე სახლის უკანა კარზე დააკაკუნა და ქალს, კარი რომ გაულო, უთხრა, მადლიერი დაგრჩებით, შეშის მთელი ხორაც რომ დამაჩეხინოთ, თუ სანაცვლოდ რამე საჭმელს გამოიმეტებთო.

ქალმა პოლ-დი აათვალიერ-ჩაათვალიერა, უთხრა, ცოტა ხნის მერეო და უფრო ფართოდ გააღო კარი. ღორის ხორცის ძეხვი აჭამა, ამქვეყნად ყველაზე ცუდი რამ, რაც კი შეიძლება დაშვეულ ადამიანს აჭამო, მაგრამ საჭმელი არც პოლ-დის დაუწუნებია, არც მის კუჭს. მოგვიანებით, მასპინძლის საძინებელში ბამბის მკრთალი ზეწრებისა და ორი ბალიშის დანახვაზე, პოლ-დიმ ჩქარა-ჩქარა მოიწმინდა თვალები, აქაოდა, არ დაინახო იმ კაცის ცრუმლი, მადლიერებას პირველად რომ განიცდისო. მიწაზე, ბალახზე, ტალახში, კილზე, ფოთლებზე, თვეაზე, ნახშირის გროვაზე, ნიუარებზეც კი დაუძინია პოლ-დის, აი, ბამბის თეთრ ზეწრებზე დაძინება კი არასოდეს მოხვლია თვეში. კვნესით დაეცა საწოლზე და ქალმაც წარმოადგენია,

რომ თუთაუელს კი არა, ადამიანს ეაღვრსებოდა. დაიფიცა იმ ღა-
მით ფუფუნებაში ჩაფლულმა, ღორის ხორცით გამაძლარმა პოლ-
დიმ, რომ იმ ქალს არასოდეს მიატოვებდა. თუ მოკლავდა ის ქალი
პოლ-დის, თორებ ისე ვერაფერით მიაბრძანებდა თუისი საწოლიდან.
თვრამეტი თვის შემდგე, როცა პოლ-დი ნორთპოინტის ბანკმა და
სარკინიგზო კომპანიამ იყიდა, უწინდებურად მადლიერი იყო იმის-
თვის, რომ ზენარზე წოლის საიდუმლოს აზიარეს.

ახლა მეორედ გრძნობდა მადლიერებას პოლ-დი. ასე ჟონა,
ფრიალო კლდიდან აიყვანეს და მიწაზე გადასვეს, რომელიც ფჭქ-
ვეშ არ გამოეცლებოდა. რაკი სითეს თუისი სურვილები გაეცხადე-
ბინა, იცოდა პოლ-დიმ, აღმოჩნდებოდა თუ არა მის ლოგინში, მა-
შინვე გაუმკლავდებოდა ორ გადარეულ გოგოს. იწვა მთელ სიგრძეზე
გაშხლართელი, თვალს არ აშორებდა თოვლის ფანტელებს, ჭურში,
ზუსტად მისი ფეხების თვზე გაჭრილი ფანჯრიდან რომ მოჩანდა და
ეადვილებოდა ყველა ეჭვის გაფანტვა, რომლის გამოც მისულიყო
რესტორნის უკან, ხეოვანში. დიდ იმედს ამყარებდა საკუთარ თვზე,
ძალიან დიდს. საღ აზრს ეძებდნენ სხვები იმაში, რაც პოლ-დისთვის
სიმხდალე იყო.

იხსენებდა მამაკაცის მკლავქვეშ თუით შერგული სითე, როგორი
სხე პქონდა პოლ-დის, როცა სიხოვა, შვილი გამიჩინეო. მიუხედა-
ვად იმისა, რომ მაშინ გაეცინა და ხელშიც ჩაპკიდა პოლ-დის ხე-
ლი, მაინც შეუშინდა. მაშინვე იფიქრა, რა კარგი იქნებოდა სექსი, ამ
კაცს სხვა რომ არაფერი უნდოდეს. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა,
რომ კიდვე ერთხელ უნდა გაეჩინა ბავშვი. ისვე საკმარისად კეთილი
უნდა ყოფილიყო, საკმარისად ფხიზელი, საკმარისად ძლიერი და
უწინდებურად შხრუნველი. ისე დიდხანს უნდა ეცოცხლა. „ღმერ-
თო, დამიტარე“, — გაიფიქრა სითემ. მარტო ქარაფშუტა დედებისთ-
ვის არ არის სასიკვდილო შვილის სიყვარული. რაში სჭირდებოდა
პოლ-დის სითეს ორსულობა? მასზე ჩასაბლაუჭვებლად? ადგილის
მოსანიშნად, აქაოდა, ამ მხარეშიც გამოვლიაო? შეიძლება პყავს კი-
დეც შვილები ყველგან, საღაც კი ფეხი დაუდგამს. თვრამეტი წელი
ჭუტიალა და გაუჩნდებოდა სადმე ერთი-ორი. არა. გული მოსდიო-
და პოლ-დის, სითეს სხვა შვილები რომ პყავდა. აი, რაში იყო საქმე.
შვილი, თვად შეუსწორა ქალმა საკუთარ თვეს. შვილი და მასზე
დამატებული საყვარელი, რომელსაც ღვიძლ შვილად მიიჩნევდა და

ამაზე მოსდიოდა კიდევ გული პრელ-დის. გული ძისხილი. გოგონებთან რომ უნდა გაჭო ხითე. ესმოდა ხოლოშე. როგორი იქინოდნენ? სამნი ისეთ რამეზე, რაზეც თვითონ წარმოდგენაც არ პქინდა და გული მოსდიოდა. ვერაფრით გაჭო ენა, რომელშეც ქალუბი ჯრობანეთს ელაპარაკებოდნენ. თავიანთ საქმეებზე რომ ხარჯავდნენ დროს და მისაზე არა, იქნებ ამაზეც მოსდიოდა გული. თათქოს ერთი თჯანი იყვნენ და პოლ-დი კი არ იყო ამ თჯანის უფროსი.

— შევიძლია, ეს მომიკერო, პატარავ?

— პოო. მალე მოურჩები ამ ქვედაკაბას. რითც მოვიდა, იმის მეტი არაფერი აქვს, გამოსაცელელი კი ყველას უნდა.

— ღვეზელი დარჩა?

— მკონი, დენკერმა აიღო ბოლო.

და პოლ-დიც არც დაიწუნუნებდა, არც კი იტყოდა, ხან სად მძინავს, ხან სადაო. თუმცა, თავაზიანობის გამო იმ საღამოს ამასც ბოლო მოუღო ხითემ.

ამოიოხრა და მამაკაცს მკერდზე დაადო ხელი. იცოდა, ორსულობისგან თავის დასაცავად პოლ-დისგან თავის დასაცავ სამხილებს რომ აგროვებდა და ცოტათო რცხვენოდა. არადა, ხითეს სწორედ იძღენი შევილი ჰყავდა, რამდენიც სჭირდებოდა. ერთ დღეს მისი ბიჭუბი რომ დაბრუნებულიყვნენ, დენკერი და საყვარელი კი შინ დარჩენილიყვნენ... მოკლედ, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული, არა?

განა მაშინვე არ იგრძნო განგაში, როგორც კი გზისპირზე მიმაკლი ხელჩაკიდებული ჩრდილები დაინახა? მერე იმწამს, როგორც კი ეზოს წინ ჩამომჯდარი კაბა და ფეხსაცმელები დაინახა, წყლებიც დაღვარა. მზისგან ალმურმოდებული უცნობის სახის დანახვა არც უნდოდა — წლების განმავლობაში ნატრობდა ამ სახეს.

აუდიოდა და ჩაუდიოდა მკერდი პოლ-დის, ზემოდან კი ხითეს ხელი ედო.

დენკერი ჭურჭლის რეცხვას მორჩის და მაგიდასთან ჩამოვდა.

საყვარელიც იჯდა და საჩვენებელ თითს წუნწიდა. მას შემდევ არ განძრუულიყო აღგილიდან, რაც ხითე და პოლ-დი გასულიყვნენ ოთხიდან. ერთხანს უყურა დენკერმა გოგონას სახეზე, მერე კი თქვა:

— დედას უნდა, აქ რომ იყოს.

— გაიძულებ, წავიდეს, — მიუგო საყვარელმა, რომელიც პირის
ლრუს თითოთ, როგორც ზონდით, ისე ისინჯუდა.

— შეიძლება, ძალიან გაგიბრაზდეს, ის კაცი თუ წყა.

საყვარელმა საჩვენებელთან ერთად პირში ცერიც ჩაიყო და უკანა
კბილი ამოიძრო. სისხლი თითქმის არ წამოსვლია, მაგრამ დენვერმა
მაინც ჰქითხა:

— ო, არ გეტკინა?

საყვარელმა ამოძრობილ კბილს შექედა და გაიფიქრა, ესეც
ასეო. კბილს მკლავი მიჰყვებოდა, მკლავს ხელის მტკანი, ხელის
მტკანს ფეხის თითები. ნაწილ-ნაწილ დასძვრებოდა სხეულის ნა-
წილები, ან ყველაფერი ერთბაშად დაიშლებოდა, ანდა ერთ შშვე-
ნიერ დილას, დენვერის გაღვიძებამდე, მას შემდეგ, რაც სითუ სა-
მუშაოზე წავიდოდა, მისი ყველა ნაკვთი აქეთ-იქით გაიფანტებოდა.
როცა საკუთარ თავში იყეტება, თავსაც ძლივს იჭერს და თითქოს
მუხლს ქვემოთ ფეხებიც შორდება ბარძაყებს. სხვა რამეებს შორის,
რომელსაც ვერ იხსენებდა, ვერც იმას იხსენებდა საყვარელი, პირ-
ველად როდის გაიგო, რომ ერთხელაც შეიძლებოდა გაღვიძებულს
საკუთარი თავი დაშლილ-დანაწვერებული დახვედროდა. ორი სიზ-
მარი ენახა. ერთში ფეთქდებოდა, მეორეში ყლაპავდნენ. როცა პი-
რიდან უცნაური ნამსხვრევი ამოიღო, ბოლო კბილს რომ პგადა,
ჩათვალა, ეს დასაწყისიაო.

— სიბრძნის კბილი უნდა იყოს, — თქვა დენვერმა, — არ გტკოუ?

— კი.

— მაშინ რატომ არ ტირი?

— რა?

— რატომ არ ტირი, თუ გტკოუ?

და ატირდა საყვარელიც. იჯდა, ედო პრიალა, გლუვ ხელისგულ-
ზე პატარა თუთრი კბილი და ისე ტიროდა, როგორც მაშინ უნდოდა,
რომ ეტირა, როცა ერთმანეთის მიყოლებით წყლიდან ორი კუ ამო-
ვიდა, მაშინ, როცა ხელახლა გაუჩინარდა ფოთლებში სისხლისფე-
რი ჩიტი. ისე ტიროდა, როგორც მაშინ უნდოდა, რომ ეტირა, როცა
სითუ პოლ-დისთან ერთად იყო კიბის ქვეშ გეჯაში. ენის წვერით
მოილოკა ტუჩის კუთხესთან ჩამოსული მარილიანი წყალი და იფიქ-
რა, იქნებ მხრებში არ დავიშალო, რაკი დენვერს აქვს შემოხვეულიო
ჩემზე ხელი.

ზედა სართულში შეკრიუბულ წყვილს არაფერო ესმოდა, მაგრამ ქვემოთ გარეთ 124 ნომრის გარშემო დებდა და დებდა თოვლა. ეძტებოდა და ემატებოდა, ეფლობოდა თოვლში თოვლი და რაც უფრო მეტი თოვლი იდო მიწაზე, მით უფრო ღრმად იძარხებოდა პირველი ფანტელები.

სადღაც, გულის კანჭულში შეიძლება ფაქტობდა ბები საგზა. ჰალემ გაქცევა თუ მოახერხა, ყველაფერი ღვთის ნებაა, საქმე საზეიმოდ გვექნებაო. ოღონდ კი საკუთარი თავისთვისაც და თავისი სამი შვილისთვისაც, ჯონსა და ელას ზაფხულის ერთ საღამოს რომ მიუყვანათ ბების სახლის კართან, გამოსვლოდა იგოვე, რაც დედამისის გამო გაეკეთებინა, ყოფილი მონა ქალის უკანასკნელ შვილს. სითუს გარეშე რომ ჩამოსულიყვნენ ბავშვები, ამის გამო ბები საგზა ერთდროულად შიშაც გრძნობდა და მაღლიერებასაც. მაღლიერებას იმიტომ, რომ ისინი, ვინც ოჯახიდან გადარჩენილიყვნენ, მის სიცოცხლეში დაბადებული პირველი და უკანასკნელი შვილიშვილები გახლდნენ — ორი ბიჭი და ერთიც გოგონა, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა. მაგრამ სითუსა და ჰალეს რა მოუვიდათ? რატომ აფლენებდნენ გამოჩენას? რატომ არ გამოჰყო ბავშვებს მატარებლით სითუც? ამებზე რომ არ ეფიქრა, ბები საგზი ცდილობდა, როგორმე გული გაუმაგრებინა. იცოდა, დაუხმარებლად ვერავინ გადმოლასაცდა მდინარეს. მარტო იმიტომ კი არა, რომ გაქცეულ მონებს, როგორც სვავებს, ისე იღებდნენ მიზანში ანდა ისე უგებდნენ მახეს, თითქოს ბოცვრები ყოფილიყვნენ, არამედ იმიტომ, რომ გზის უცოდნელად ვერსად გაიქცეოდი. შეიძლებოდა, სამუდამოდ წაგებდინა თავი, თუკი გზის მასწავლებელი არ გყავდა გვერდით.

პოდა, როცა ერთთავად გაწამებული და ტანდასერილი სითუ ჩამოვიდა, თან ხელში ბების კიდევ ერთი შვილიშვილი ეჭირა, კიდევ უფრო მკაფიო გახდა დაფსა და ნაღარაზე დაკვრის წადილი, აქაოდა, საქმე საზეიმოდ გჭაქვსო. თუმცა, რადგან ჰალე ჯერაც არ ჩანდა, სითუმ კი მისი არაფერი იცოდა, გასაქანი არ მისცა ბების საგზმა საკუთარ სურვილს — არ უნდოდა, დროზე ადრე შეჯირა ღვთისთვის მაღლობა და ამით ჰალეს უვნებლად გადარჩენის შანსი შეუმცირებინა.

ყველაფერი სტემპ პეიდმა წამოიწყო. 124 ნომერში სითუს მისე-

ლიდან ოც დღეში სტემპ პეიდმა ბეიბი საგზთან შეიარა. ჯერ ჩეილს დახედა, ცოტა ხნის წინ საკუთარი ძმისწულის სერიუკში რომ გა-
ქვია, მერე ბავშვის დედას, შემწვარი გველოუზას ნაჭრით რომ გა-
მასპინძლებოდა და რაღაც მიზეზით, მის გარდა სხვამ რომ არავინ
იცოდა, მდინარის ნაპირისკენ გაურდნილიყო, იქით, სადაც მაყვალი
ხარობდა. არავინ იცოდა სტემპ პეიდის გარდა, სად იმაღლებოდა მაყ-
ვლის ბუჩქები, ისეთ გემრიულ კენკრას რომ ისხამდა, ჩაიდებდი თუ
არა პირში, თუვი სამოთხეში გვიონებოდა. ერთადერთი მარცვალი და
მირონცხებული გვიონებოდა თუვი.

ექვსი მილი გაიარა სტემპ პეიდმა, ვიდრე მდინარის ნაპირს მი-
აღწევდა, მერე ნახვერად სირბილით, ნახვერად სრიალით დაეშვა
ეკალბარდებისგან ლამის გაუვალ ხევში. აფათურუბდა მაყვლიანში
ხელებს, ატანდა დანის სიმსხო ბასრი ეკლები პერანგის სახელოებ-
სა თუ შარვალში და სხეულს უსერავდა, თან კოლოები, ფუტკრუბი,
ონაურუბი, კრაზანები და მთელ შტატში უსაბაგლესი მდედრი ობო-
ბები არ აძლევდნენ გასაქანს. დაკაწრულ-დაფხაჭნილმა და დაკბე-
ნილმა მამაკაცმა მაინც გაიკვლია ბარდებში გზა, სათთაოდ ყველა
კენკრას შექმო თთის წვერუბით, თან ისე ნაზად, რომ ერთიც არ
მოუჭილებია. ნაშუადლევს დაბრუნდა სტემპ პეიდი 124 ნომერში და
ორი სავსე ვედრო ვერანდაზე დადგა. მისი დაფხრუნვილი ტანისამო-
სის, სისხლმდინარი ხელების, დასერილი თუ-პირისა და კისრის
დანახვაზე, ბეიბი საგზი ჩამოჯდა და გულიანად იხარხარა.

ხმაურზე ბაგლერი, პოვარდი, კაპორიანი ქალი და სიოუ გარუთ
გამოუიდნენ, მერე კი მოხერხებული და ფოლადივით მტკიცე ხანში
შესული ზანგი რომ დაინახეს, ბეიბი საგზთან ერთად იცინეს მათც. კაცი ერთდროულად ადამიანებსაც რომ აკავშირუბდა ერთმანეთ-
თან ფარულად, მეოუზეც რომ იყო, მენავეც, მონადირუც, მეკვლეც, მხსნელიც და ჯაშუშიც, იდგა ახლა მათ თვალწინ დღისით-მზისით
და იმდენი მაყვალი დაეკრიფა, რომ ქანცი გამოსცლოდა. ისე, რომ
დანარჩენებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მამაკაცმა ერთი კენ-
კრა აიღო და სამი კვირის დენგურს პირში ჩაუდო. იყვირეს ქალებმა:

— ძალიან პატარაა, სტემპ.

— კუჭი აეშლება.

— მეცხლს ატკენს.

თუმცა, როცა ბავშვის გახარუბული თვალები და აწკლაპუნებუ-

ლი ტუჩები დაინახეს, მის მაგალითს სხვებიც მიჰყენენ — სათითოდ სინჯავდნენ კენკრებს, სამოთხის გემო რომ პქონდა. ბოლოს ბეიბი საგზმა სტკიცა ბიჭებს ხელებში, აქაოდა, ვედროს მოშორდითო, სტემპი კი წყლის ტუმბოსთან გაუშვა, ტანი რომ ჩამოებანა. მერე გადაწყვიტა ხილეულით ამ კაცის შრომისა და სიყვარულის ფასი რომ პქონდა, რამე მოემზადებინა. ასე დაიწყო ყველაფერი.

ბეიბი საგზმა ნამცხერის ცომი მოზილა და გაითიქრა, ელასა და ჯონს უნდა ვუთხრა, შემოგვიარონო — სამი თუ ოთხი ღვეზელი მეტისმეტად ბევრი იყო და მარტო ვერ მოერუოდნენ. სითემ ჩათვალა, შეიძლება, სუფრას ერთი-ორი წიწილაც მიუმატოთო, სტემპმა კი გამოაცხადა, ქორჭილები და ღლავები თვითონ ისე მიხტებიან ნაუში, ან კუსის გადაგდებაც არ მჭირდებაო.

დენვერის გახარუბული თვალებით დაიწყეს და ცხრამეტკაციანი სუფრით დაამთავრეს. გვიან ღამემდე აზანზარუბდა 124 ნომერს მათი ხმები. ცხრამეტოვემ იმდენი ჭამა და იმდენი იცინა, რომ ბოლოს გაბრაზდნენ კიდეც. გაბრაზდნენ, მეორე დილით გაღვიძებულებს წინადღის სადილი რომ გაახსენდათ გაახსენდათ ქორჭილები, სტემპ პეიდს მაგიდასთან პიკორის წნელებზე წამოცმული რომ მიჰქონდა, თან შამფურს მარცხენა ხელისგულს უშვერდა, მდუღარე ცხიმით ყველაფერი არ მოუწუწოო. ნაღებიანი სიმინდის პუდინგიც გაახსენდათ და დაღლილი, გახეთქამდე ნაჭამი ბავშვებიც, პირდაპირ ბალახში რომ ეძინათ შემწვარი ბაჭიას ციცქნა ძელებიც ახსოვდათ, ხელში კარგა ხანს რომ ეჭირათ

ბეიბი საგზის სამ-ოთხ ღვეზელს ებარტყა და ათი თუ თორმეტი გამხდარიყო; ორი ქათამი, რომელზეც სითე ღაპარაკობდა, ხუთინდაურად ქცეულიყო; ცინცინატიდან ჩამოტანილი ყინულის ერთადერთი მოზრდილი ნატები, პუნშის მოსამზადებლად ზედ საზამთროს დაქუცმაცებული, დაშაქრული გული და პიტნის ფოთლები რომ დააყარეს, ნაყინით საუსე ურიკად იქცა, თან მთელი გობი მარწყვი ჲწყო. გაბრაზდნენ, როცა გაახსენდათ, რომ ცხრამეტოვე გუნებაზე გახლდათ კარგად გეახლებოდნენ და 124 ნომერსაც აზანზარუბდნენ სიცილით მეტისმეტი მოგვიფილაო, ფიქრობდნენ. ფიქრობდნენ, საიდან ახერხებსო ამდენს ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანი? რატომ არიანო ის და მისიანები ყოველთვის ყველაფრის თავში? როგორ ხდება, რომ ყოველთვის ზუსტად იცის, როდის რა

უნდა ქნას, როგორი მისკენს ადამიანს რჩება, კის და როდის გადასცეს წერილი, როგორი და როგორ უძლებულნალოს აკადმეოფის, დამალოს გასტარლი, უკარლები და აჭამის, აჭამოს და უყვარლების, იქადაგოს, იძლევოს, იციდავის და ყველა ისე უყვარლების, თთქოს ხიყვარული მიხი ხამუშაო იყოხო, თანაც მხოლოდ მისი?

გაგიუღდნენ, როგორ ძიხუდნენ, რომ ორი ვედრო მაყვლისგან ათ, შეიძლება თორმეტი ღვეზელიც კი გამოეცხო ბეიბი საგზს; როცა მიხედნენ, რომ ლამის მოელი ქალაქის სამყოფი ინდაურის ხორცი პქონდა, სუქტექმბერი იყო და ახალი ბარდაც პქონდა, ძროხა არ ჰყავდა და ახალისახალი ნაღები პქონდა, ყინულიც პქონდა, შაქარიც. უსაფუფრო პურიც, პურის პულინგიც, ამოსული პურიც და ფხვიერი ცოძისგან გამომცხარიც.

მათთვის რომ გეკითხათ პური და თუვზი ღვთისგან იყო ნაბოძები და არაფერი პქონდა საერთო ყოფილ მონასთან, რომელსაც, აღმართ გირკანქაც არასოდეს მიეტანა სასწორთან, არც ბამი ეკრიფა ზურგში მოკიდებულ ბავშვთან ერთად და არც ათი წლის თეთრკანიანს გაეშოლტა. ისე, როგორც ღმერთმა უწყის, მათ შოლტავდნენ. მათთვის რომ გეკითხათ ბეიბი საგზს, მონობიდანაც არ დაუხსნია თვი, სინამდვილეში მოსიყვარულე გაუს გამოესყიდა იგი და მდინარე ოპაიომდე ოთხთვალათი მიეყვანა. მათთვის რომ გეკითხათ გზაში, ვიდრე ამ ქალის ძველ პატრონს, სახელად გარნერს, რომელსაც მისი გადაყვანაც აენაზღაურებინა, ოთხთვალა მიპყავდა, ძუძუებს შორის პქონდა ბეიბი საგზს ჩაკუცილი გათავისუფლების დამადასტურებელი საბუთი. მათთვის რომ გეკითხათ, გარნერს დაექირსავებინა ბეიბისათვის ორსართულიანი სახლი, ჭაც რომ პქონდა, ბოდუინებისგან, თეთრკანიანი და-მმისგან, რომლებსაც მონებზე მეტად მონობა ეჯავრებოდათ და ამიტომაც მიეცათ სტემპ პეილის, კლასა და ჯონისთვის, გაქცეულებისთვის, ტანსაცმელიც, საჭმელიც და ფულიც.

ახელებდათ ყველაფერი, რაც ბეიბი საგზს პქონდა. იქეიფეს, მომდევნო დღეს კი 124 ნომერში ნანახი გულუხვობისა და უგუნური ხელგამლილობის მოსანელებლად პურის სოდას ყლაპავდნენ. ეზოებო ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ჩასუქებულ ვირთხებზე, ბედ-იღბალსა და უადგილო კუდაბზიკობაზე.

დატრიალდა პაერში გაკიცხვის მძიმე სუნი. გრძნობდა ამ სუნს

ბეიბი საგზი, უხარშავდა შვილიშვილებს ლომს და ფიქრობდა, ნეტა
რატომ უნდა მკიცხავდნენო. მოგვიანებით, როცა ბალში იდგა და წი-
ნის კების ძირში მიწას უბაყუნებდა, ისევ მისწვდა მის ყნოსვას გაკიცხ-
ვის სუნი. თუ ასწია და იქაურობა მოათვალიერა. მის ზურგს უკან,
რამდენიმე იარღის მომორუბით, სარის ლობიოებში სითე იყო ჩაცუც-
ქული. კაბის ქვეშ ზურგის მოსაშუშებლად დადებული ქონწასმული
ფანელის ნაჭრის გამო უშნოდ მოუჩანდა მხრები. იქვე ბუშელიან კა-
ლათაში სამი კვირის ჩვილი იწვა. ბეიბი საგზმა, ღვთისმოსუმა ადა-
მიანმა, ზემოთ აიხედა. ცა ლურჯი იყო და მოწმენდილი. ხასხას
ფოთლების სიმწვანეს არსად ეტყობოდა სიკვდილის იოტისოდენა
კვალიც. ესმოდა ბეიბი საგზს ჩიტების ხმა. მოდიოდა მდელოდან პა-
ტარა მდინარის შორუული, სუსტი ხმაური. ლეკვი, სახელად „ბიჭი“,
მიწაში გუშინდელი წვეულებიდან დარჩენილ ბოლო ძვლებს ფლავ-
და. სადღაც სახლთან ხმაურობდნენ ბაგლერი, პოვარდი და გოგო-
ნა, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო,
არადა, ისე მძაფრად იგრძნობოდა გაკიცხვის სუნი. ბოსტნის უკან,
მდინარესთან ახლოს, მზიან აღგილზე დაეთვა ბეიბი საგზს სიმინდი.
ბლომად სიმინდი კი მოეტქათ წვეულებისთვის, მაგრამ მაინც მო-
ჩანდა ღეროებზე დასამწიფებლად დატოვებული ტაროები. ერთხანს
უყურა სიმინდებს ბეიბი საგზმა, მერე თოხით ისევ წიწაკებსა და
გოგრის კავებს მიუბრუნდა. ფრთხილად, სათანადოდ მომარჯვებუ-
ლი თოხის პირით ჭრიდა გაკურპებული უჭურველის ღეროს. უჭურ-
ველის რამდენიმე ყვავილი გარღვეულ ქუდში გაერჭო, დანარჩენი
გვერდით მოესროლა. ხეზე ნელმა ჩახაჩუხმა გაახსენა, რომ სტემპი
წინა საღამოს დაპირებულ საქმეს უკეთებდა. ამოიოხრა სამუშაოზე
დაჩერებულმა ბეიბი საგზმა, ერთი წუთის შემდევ კი წელში გაიმარ-
თა და ისევ შეისუნთქა პაერი, გაკიცხვის სუნი რომ პქონდა. თოხის
ტარს დაკურდნო ბეიბი საგზი, გონება მოიკრიბა. უკვე იცოდა და
მიჩვეულიც იყო, მისთვის რომ არაუინ ლოცულობდა, მაგრამ პაერში
თვალისწილები და მოლოდინი სიძულვილი სიახლე გახლდათ.

თვალები დახუჭა. იქნებ მართლები იყვნენ მოძულენი. გაკიცხვის
სიმყრალის მიღმა, ძალიან, ძალიან შორიდან კიდევ რაღაც იუწყე-
ბოდა საკუთარ არსებობას. მოახლოებული სიბნელის სუნი იგრძნო
ბეიბი საგზმა. მყრალი სუნი იყო, სიმართლის შეცნობაში რომ უშ-
ლიდა იმწუთას ხელს, ისეთი.

მაგრამ მოჭუტა თვალები უცხო საგნის დასანახად, მაგრამ კურსფერი გაარჩია მაღალყელიანი ფქსაცმელების გარდა. ცუდი სანახვი ეჩვენა ბეიბის ეს ფქსაცმელები.

ისევ დაჭკრა დაბნეულმა და გაკეირვებულმა თოხი უჭურველს და ამოძირკვა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო? მოახლოებული სიბნელე. რაღას უნდა ეტკინა ახლა მისთვის გული? პალეს სიკვდილის ამბავს? არა. პალეს სიკვდილისთვის უფრო მთად იყო ბეიბი საგზი, ვიდრე მისი სიცოცხლისთვის. დაბადებისას თვისი უკანასკნელი შვილისთვის თითქმის არც შეუხედავს — არ ღირდა იმ ნაკვთების დახსომებით თვის შეწუხება, ზრდასრულ ასაკში რომ ვკლარასოდეს ნახავდა. შეიდგერ აკლო ბეიბი საგზს პატარა ტკრიფი ხელში; შეიდგერ მოესინჯა ხელით მსუქან-მსუქანი თითოს წვერები, თითობი, არასოდეს რომ არ ენახა, მამაკაცის თუ ქალის თითობი გახდა. დედა ყველგან რომ შეიცნობდა. დღესაც არ იცოდა, როგორი მუდმივი კბილები პქონდათ, ანდა სიარულისას თვი როგორ ეჭრავი დაანება პატიმ ჩლიფინს თვი? რა ფერზე დაუდგა კანი ბოლოს ფეიმოსს? ორად პქონდა ჯონის გაყოფილი ნიკაპი, თუ უბრალოდ პატარა ორმო ემჩნეოდა, რომელიც გაქრებოდა, როგორც კი ყის ძალი ფორმას შეიცვლიდა. თოხი გოგონა ჰყავდა. ბოლოს რომ ნახა, იღლიაში ჯერაც არ ეტყობოდათ ღინდელი. ნეტაც ძვრებულებულ თუ ეფექტს არდეკლიას პურის მიმწვრი ძირი? წასულიდო ანდა დახოცილიდო შეიძოვე. ამა, რა აზრი პქონდა ნაბოლარას გულდასმით თვალიერებას? მაგრამ რატომდაც ნაბოლარას დატოვების უფლება მისცეს და ისოც სულ თან ახლდა, ყველგან თან ახლდა.

კალიფორნიაში თები რომ დაიზიანა, ბეიბი საგზი, რომელიც ათი წლის პალეზე ნაკლები ღირდა, იაფად ნაფიდი შესანიშნავი ნაუჭრი გახლდათ მისტერ გარნერისთვის. ორუე ჟნტუქიძი წაიყვანა, კარ-მიდამოში. თუად „სადვარულ სახლს“ რომ ეძახდა. ამ თების გამო იცი, ხარულისას ცალი ფქბის გარეშე დარჩენილი ძალისათვის ბორიუ-ბორიუ კით რომ ღარისებულ ბეიბი საგზი, მაგრამ „სადვარულ სახლში“ არც ბრინჯის განა ჩანდეს ხადე. არც თამბაქოს პლანტაცია, თანაც არავის, საკრიტიკო არავის დაუბარუ ხებია მიწაზე. ერთხელაც არ ყოფილა ასეთი რამ. ღილაკ გარნერი რატომდაც ჯენის ეძახდა, მაგრამ მუჯლეულენებს არახოდეს პკრავდა, არახოდეს ურ-ტომდა, ხასაგლობებს არახოდეს ეძახდა. მამინაც კი, როგორ ბეიბი

საგზის ძრობის ფუნქციები და წინსაღარში მოგროვილი კვერცხები პირწმინდად დაქმტკრა. არავის უთქვაშის, რა გჭირს, შე შევკანიანო ძექნაო. არავის, არავის დაუნარცხებია მიწაზე.

ერთი ციცქა იყო „საყვარელი სახლის“ კარ-მიდამო იმ ადგილებთან შედარებით, ბეიბი საგზის რომ ენახა. მისტერ გარნერის, მისის გარნერის, თვითონ ბეიბი საგზის, ჰალესა და ოთხი ბიჭის გარდა, რომელთაგან სამს პოლი ერქვა. არავინ ცხოვრობდა „საყვარელ სახლში“. ლილინ-ლილინით იცოდა მისის გარნერმა საქმის კუთხისა, მისტერ გარნერი კი ისე იქცეოდა, თოთქოს სათამაშო ყოფილიყო მთელი სამყარო მის ხელში. არც მინდორში იყო საჭირო ბეიბი საგზი — მისტერ გარნერის ბიჭუბი, მათ შორის — ჰალუც, აკეთებდნენ ასეთ საქმეებს და ეს ნამდვილი ნეტარება გახსლდათ — ვერაფრით იმუშავებდა ყანაში ბეიბი საგზი. მისი საქმე მოღილინე ლილიან გარნერის გვერდით ყოფნა იყო. ერთად ამზადებდნენ საჭმელს, ერთად ინახავდნენ სანოუგეს, რუცხავდნენ, აუთოებდნენ, სანთლებს ქნიდნენ, ტანსაცმელს ჟურავდნენ, სიღრსა და საპონს ამზადებდნენ, ქათმებს, ღორუბს, ძალლებსა და ბატებს აჭმულდნენ; ერთად წველიდნენ ძროხებს, დღვებდნენ კარაქს, ქონს აღნობდნენ და აჩაღებდნენ ცეცხლს... ისეთი არაფერი გვალებოდა ბეიბი საგზის და მიწაზეც არავის დაუნარცხებია.

დღე არ იყო, თებო რომ არ სტკოუბოდა, მაგრამ ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა. მარტო ჰალემ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყურადღებით რომ აკვირდებოდა მის ყველა მოძრაობას, იცოდა, რომ საწოლში დასაწოლად და ასადგომად ბეიბის ორივე ხელი უნდა მოეკიდა და ისე აქწია და დაქწია ბარძაყი. ამიტომაც დაელაპარაკა ჰალე მისტერ გარნერს ბეიბის გამოსყიდვის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელს უსაქმოდ ჩამოჯდომა შესძლებოდა. საყვარელი ბიჭი იყო, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ასე გარჯილიყო მისთვის. მუშაობდა ჰალე ბეიბი საგზისთვის, მისთვის ცოცხლობდა და ახლა საკუთარი შვილებიც მისთვის მიენდო. იდგა ბეიბი საგზი ბოსტანში, აყურადებდა მოახლოებულ სიბნელეს, გაკიცხვის სუნის მიღმა რომ იმალებოდა და ძლივს ჩაესმოდა ჰალეს შვილების ხმები. „საყვარელ სახლში“ მოხვედრა აშეარა გაუმჯობესება იყო მის ცხოვრებაში. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ რა — გატებილი, უდაბური გულით ბეიბი დარდს ატარებდა, გულით, რომელშიც უმეობო მეს და-

ედო ბინა. დარღობდა ბეიბი, რადგან შეიღების საფლავები არ იკოლა, რადგან არ იცოდა, როგორი იყვნენ, თუკი კოკხლებს შორის დარჩენა მოქმერხებინათ, მაგრამ მაინც იმაზე მეტი იცოდა მათხე. ვიდრე საკუთარ თავზე, რადგან არასოდეს პქონია რუკა, რომელზეც საკუთარ თავთან მისასვლელი გზა იქნებოდა გამოსახული.

იცოდა სიმღერა ბეიბი საგზმა? კარგი მოსახმენი იყო მისი სიძლერა? ლამაზი იყო? მუშობრობა თუ იცოდა? ნეტავ მოხიყვარულებედა თუ იქნებოდა, ანდა ერთგული ცოლი? ეკითხებოდა საკუთარ თავს, და თუ მყავს და თუ მიყურუბსო მოწყალე თვალით, ანდა დედას რომ ვცნობოდი, ნეტავ თუ მოუწონებოდიო?

ლილიან გარნერთან მინდორში მუშაობა არ ჰყალებოდა. სწორედ მინდორში დაეზიანებინა თები. მინდორში მუშაობის გამო იყო, დაღლილობისგან აზროვნება რომ უჭირდა. აქ კი არც მიწაზე ანარცხებდა ვინმე, არც ფეხზე წამოუგდიათ ოდესმე. უსმენდა ხოლმე საქმეში გართული თეთრკანიანი ქალის ღილინს, ხედავდა, როგორ უნათდებოდა ხოლმე მისტერ გარნერის მოსვლისას მის ცოლს სახე და ფიქრობდა, აქ უკეთესია, მაგრამ მე არა ვარო უკეთესად. უწვენებოდა, რომ გარნერები რაღაცნაირ განსაკუთრებული მონათმფლობელები იყვნენ, მონებს ისე ექცეოდნენ, როგორც დაქირსვებულ მუშებს, ყურს უგდებდნენ მათ ნათქვამს და ასწავლიდნენ, რის სწავლასაც მოინდომებდნენ. არ აიძულებდა მისტერ გარნერი თავის ბიჭებს მდედრებთან ულაყებოვით შეჯარებას. არასოდეს მიუყვანია ისინი ბეიბის ქოხმახთან და არასოდეს უბრძანებია, როგორც კალიფორნიაში აკეთებდნენ, „მასთან დაწექით“. არასოდეს მიუქროვებია ისინი საჯიშე ცხენებოვით სხვა ფერმერებისთვის. უკვირდა და მოსწონდა, ასე რომ იყო, ბეიბი საგზს, მაგრამ შფოთვედა მაინც. თავად შეურჩევდა მისტერ გარნერი ბიჭებს ქალებს, ანდა რა ჟონა, მერუ რა იქნებოდა, როცა საკუთარ ბუნებას შეასკდებოდნენ ბიჭები თავით? საფრთხის წინაშე იყო მისტერ გარნერი და, რა თქმა უნდა, თავადაც იცოდა ამ საფრთხის შესახებ. სინამდვილეში, იმისთვის კი არ ებრძანებინა, „საყვარელი სახლიდან“ ფეხი არ გაადგათო, რომ კანონს უწევდა ანგარიშს, არამედ საფრთხის გამო, კაცებში გაზრდილი მონების განაურდებას რომ შეიძლებოდა მოჰყოლობა.

რაც შეიძლებოდა ცოტას ლაპარაკობდა ბეიბი საგზი — რა პქონდა სათქმელი? რაზე უნდა მოეტრიალებინა ენა? პოდა, რაკი

მიხვდა. რომ ხშის აძლეულებლად ჩანგბულად ირჯებოდა მისი ახალი პრინცი, თუთხა კანიანი ქალიც ღიღინებდა და ისე საქმიანობდა ხოლმე.

როცა ძისტერ გარჩერო და ჟალე ყველაფერზე შეთანხმდნენ, როცა ჟალე ისეთი სანახავი იყო, გაქონებოდათ ბეიბი საგზის გამოსყიდვაზე მნიშვნელოვანი ძისთვის ქვეყნად არაფერია, ბეიბიმაც თვის მდინარეზე გადაყვანის უფლება მისკა შეიღს. ორ რამეს შორის უნდა გაეჭირებინა არჩევანი — ან მოული დღეები ფეხზე უნდა ყრიფილიყო, კიდრუ არ წაიქცეოდა, რაც ძნელი იყო მისთვის, ანდა თვის ნაბოლარია და შესაძლოა ერთადერთ ცოცხალ შვილს უნდა მოშორებოდა, რაც ასეუ ეძნელებოდა. ორ ვაის შორის ის აირჩია, რაც ჟალეს გაახარებდა. არასოდეს უკითხავს მისთვის ის, რასაც საკუთარ თვის ეკითხებოდა: რისთვის? რაში სჭირდება სამოცი წლის მონა ქალს, ცალი ფეხის გარეშე დარჩენილი ძალლოვით რომ დაბორძიკობს, თვისუფლებაო? მერე, როცა თვისუფლალ მიწაზე დადგა ფეხი, ვერ იჯერებდა, რომ ჟალებ ის იცოდა, რაც თვად ბეიბი საგზმა არ უწყოდა. ჟალებ, თვისუფლად ერთხელაც რომ არ ჩაესუნოთქა, იცოდა, რომ ქვეყნად არაფერი შეედრება თვისუფლებას. შეეშინდა ბეიბის.

რაღაც ხდება. რა? რა? — ეკითხებოდა თვის თვის ბეიბი საგზი. არ იცოდა, როგორი სანახავი გახლდათ და არც ანაღვდებდა ეს ამბავი, მაგრამ უეცრად საკუთარი ხელები დაინახა და თვალისმომჭრული სიცხადით წარმოუდგა ყველაფერი თვალწინ. „ეს ჩემი ხელებია, ჩემი ხელები“, — გაიფიქრა ბეიბი საგზმა, მერე კი მკურდში კაკუნი გაიგონა და კიდევ ერთ სიახლეს ეზიარა. ეს კაკუნი მისი გულისცემა იყო. ნეტავ სულ ასე ბრაგაბრუეგით თუ უძგერდა გული? რა ტუტუცი გარო, — გაიფიქრა და სიცილს მოპყვა. მერე მისტერ გარნერმაც მიხედა თვისი დიდრონი წაბლისფერი თვალებით, თვადაც გაეღიმა და ჰკითხა: „რა გაცინებს, ჯენი?“

იცინოდა და იცინოდა ბეიბი საგზი, ბოლოს კი თქვა:

— ძვერს ჩემი გული.

მართალი იყო.

მისტერ გარნერსაც გაეცინა.

— საშიში არაფერია, ჯენი. ასე გააგრძელე და კარგად იქნები.

აქაოდა, მეტისმეტად ხმამაღლა ვიცინიო, პირზე ხელი აიფარა ბეიბიმ.

— ეისთანაც მიმყავხარ, ის ხალხი ყველაფერში დაგეხმარება. ბოდუინები არიან გუარად. და-ძმაა. შოტლანდიელები. ოცი წელია, შეიძლება მეტიც, რაც ვიცნობ.

ბეიბი საგზმა ჩათვალა, რომ ახლა შესაფერისი დრო იყო იმის საკითხავად, რისი კითხვაც დიდი ხანი იყო, უნდოდა და თქვა:

— მისტერ გარნერ, ყველანი ჯენის რატომ მეძახით?

— შენს ნასყიდობის ქალალდში წერია ასე, გოგონი. არ გქვია ასე? თვითონ რას ეძახი შენს თვეს?

— არაფერს, — მიუგო გათვისუფლებულმა მონამ, — არაფერს არ ვეძახი ჩემს თვეს.

აჭარბლდა მისტერ გარნერი, იმდენი იცინა.

— კალიფორნიიდან რომ წამოგიყვანე, უიტლოუ გეძახდა ჯენის და ჯენი უიტლოუ მწერა შენი ნასყიდობის სიგელშიც. ჯენის არ გეძახდა?

— არა, სერ. თუ მეძახდა კიდეც, მე არ გამიგონია.

— აბა, რომელ სახელზე აგონებდი?

— ნებისმიერზე, საგზი, ჩემი ქმრის გვარი საგზია.

— გათხოვილი ხარ, ჯენი? არ ვიცოდი.

— ასე ვთქვათ.

— იცი ეგ შენი ქმარი სად არის?

— არა, სერ.

— ჰალეს მამაა?

— არა, სერ.

— აბა, რატომ ამბობ, ისიც საგზიაო? მისი ნასყიდობის სიგელ-შიც, როგორც შენსაში, უიტლოუ წერია.

— საგზი ჩემი გვარია, სერ. ჩემი ქმრის გვარი. ის ჯენის არ მე-ძახდა.

— რას გეძახდა?

— ბეიბის.

— ჰო, — თქვა მისტერ გარნერმა და ისევ გაწითლდა, — მე რომ შენი ვიყო, ჯენი უიტლოუს ავირჩევდი. აბა, რა სახელია გათვი-სუფლებული ზანგისთვის მისის ბეიბი საგზი?

„შეიძლება ასეცაა“, — ფიქრობდა ბეიბი საგზი, მაგრამ სახელი-სა და გვარის მეტი სხვა არაფერი დარჩენოდა ადამიანისგან, ქმარს რომ ეძახდა. სერიოზული, დაღვრუმილი კაცი იყო. სწორედ მან ას-

წყლა ფქლსაკმლის კურვა ბეიბის. შეთანხმებულიყვნენ, გაიქცეოდა, მათ შორის რომელსაც მიეკემოდა გაქცევის შანსი; თუ შესაძლებელი იქნებოდა, ერთად გაიქცეოდნენ. თუ არა და უკანმოუხდებად გაიქცეოდა ერთი. მამაკაცმა თავისი შანსი გამოიყენა და მას შეძლება არასოდეს არაფერი სტენოდა ქალს მასზე. სჯეროდა, რომ მოხერხა მისმა ქმარშა გაქცევა, ახლა კი როგორ მოძებნიდა, როგორ მის-კედებოდა, რომ თავის ცოლზე ელაპარაკებოდნენ, თუ ნასყიდობის სიგელში ჩაწერილ სახელს დაირქმევდა ბეიბი საგზი?

ძნელი იყო ბეიბისთვის ქალაქში გაულა. აქ იმაზე მეტი ხალხი ტრიალებდა, კიდრუ კაროლინაში, თან თეთრკანიანებიც საქმარე იყვნენ იმისთვის, რომ მათ დანახვაზე სუნთქვა შეპკვროდა. ყველგან ორსართულიანი შენობები იდგა, ფეხით მოსიარულებისთვის კი უზადოდ დახერხილი ხის კიპორჭები გაედოთ გარნერის მოედი სახლის სიგანე იყო გზები.

— ეს წყლის ქალაქია, — თქვა გარნერმა, — ყველაფერი წყლით გადაადგილდება. წყალი, რომელსაც მდინარეები ვერ იტკვს, არხებში გადადის. ქალაქთა ქალაქია, ჯენი. ყველაფერი, რაც გინატრია, სწორედ აქ კეთდება: რკინის ქურები, ღილები, გემები, ბლუზები, თმის ჯაგრისები, საღებავი, ორთქლის ძრავები. წიგნებსაც აქ ბეჭდავენ, ჯენი. თვალები წამოგცევდება, ისეთი საკანალიზაციო სისტემაა. აი, ეს არის ქალაქი. თუ ქალაქში უნდა იცხოვორო, აი, ისიც.

ბოლუინები სახლებითა და ხეებით გადაჭრდილი ქუჩის შუაგულში ცხოვრობდნენ. მისტერ გარნერი ოთხთვალადან ჩამოხტა და ცხენი რკინის მაგარ ბოძე მიაბა.

— მოვედით, — თქვა მისტერ გარნერმა.

ძლიერდიულით აიღო ბეიბიმ თავისი ბოხჩა და ძირს ჩაბობდნა. რამდენიმე საათის განმავლობაში ოთხთვალაში ჯდომისგან კიდვე უფრო მეტად აწესებდა თემო. კიდრუ ბეიბი საგზი მიწას დაადგამდა ფეხს, მისტერ გარნერი ტროტუარზეც ასულიყო და უკვე სახლის კურანდაზეც იდგა. კიდრუ სახლის უკან მიმავალ ბილიკს გაუყვებოდა, უმაღლ შენიშნა ღია კარში ბეიბიმ ზანგის გოგოს სახე. მოეჩვენა, რომ დიდხანს იცდიდა, კიდრუ იმავე გოგომ სამხარულოს კარი არ გაუღო და ფანჯარასთან ჩამოჯდომა არ შესთავაზა.

— შეჭამთ რამეს, მემ? — იკითხა გოგომ.

— არა, ძვირფასო. აი, ცოტა წყალი კი კარგი იქნებოდა.

გოგო ნიუარასთან მოყიდა და ფინჯანში ჩაასხა წყალი, მერე ბეი-
ბი საგზს მიაჩერა ხელში და უთხრა:

— მე ჯეინი ვარ, მემ.

ნიუარით გაოცებულმა ბეიბიმ ფინჯანი ბოლომდე გამოყლურჭა,
არადა, წყალს რომელიღაც ძლიერი წამლის გემი პქონდა.

— საგზი. ბეიბი საგზი, — თქვა ახალმოსულმა, თან ტუჩები ხე-
ლის ზურგით შეიმშრალა.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, მისის საგზ. აქ უნდა დარ-
ჩეთ?

— არ ვიცი, სად ვიქნები. მისტერ გარნერი, აი, ის, აქ რომ მო-
მიყვანა, ამბობს, რომ რაღაცას გამიხერხებს, — მიუგო გოგონას
ბეიბიმ, მერე კი დასძინა, — იკი, მე თვისუფალი ვარ.

— დიახ, მემ, — გაელიმა ჯეინის.

— შენები ახლოს ცხოვრობენ? — იკითხა სტუმარმა.

— დიახ, მემ. ყველანი ბლუსთოუნშე ვცხოვრობთ.

— ჩვენ გაფანტულები ვართ, — თქვა ბეიბი საგზმა, — მაგრამ იქ-
ნებ დიდხანს არ გაგრძელდეს ასე.

ღმერთო, დიდებულო, ძებნა საიდან უნდა დაუიწყოო, გაიფიქრა
ბეიბიმ. იქნებ ვინმე ვნახო, ვინც მოხუც უიტლოუს მისწერს და
გაუიგო, ვინ წაიყვანა პატი და როზა-ლი. გაახსენდა, როგორ მოჰ-
კრა ყური, რომ მავანი, სახელად დანი, არღელიასთან ერთად და-
საულეთში წასულიყო. აზრი არ ჰქონდა ტაირისა და ჯონის ძებ-
ნას. ოცდაათი წლის წინ მოეშორებინათ ისინი დედისთვის და ახ-
ლა, ძალიან თუ შეუცდებოდა მათ მოძებნას, ისინი კი იმაღებოდნენ,
პონით უფრო უნებდა, ვიდრე არგებდა რამეს. ნენსი და ფეიმოსი
იქამდე დახოცილიყვნენ ვირჯინიის სანაპიროდან მიმავალ გემშე,
ვიდრე ეს უკანასკნელი საუნასკენ აიღებდა გეზს. ეს მაინც იცოდა
ბეიბიმ. უიტლოუს სახლში ზედამხედველმა, უფრო იმისთვის, რომ
სწადელისთვის მიეღწია და არა იმიტომ, რომ გულკეთოლი კაცი
ბრძანდებოდა, მიუტანა ეს ამბავი. გამგზაურებამდე სრულად რომ
დატვირთულიყო, სამ კვირას იცდიდა პორტში კაპიტანი. ტრიუმში
ჩაყრილ მონებს შორის სხვებთან ერთად ცოცხალმა უიტლოუს ორ-
მა პატარა ზანგმაც ვერ გაატანაო, ამბობდა ზედამხედველი, და ვიდ-
რე ბავშვების სახელებს ახსენებდა, მუშტებით დაიცო ბეიბი საგზმა
ყურები. არ უნდოდა გაეგონა ის, რაც ზედამხედველს ამოუვიდოდა
პირიდან. ისედაც იცოდა, დახოცილი პატარა ზანგების სახელები.

ჯეინიმ ცოტაოდენი რძე შეაცხელა და ჯამში ჩაასხა, სიმინდის ხმიადიანი თევზის გვერდით რომ იდო და ბეიბი საგზიც მაგიდას-თან დაჯდომაზე დაიყოლია. ბეიბიმ პური ცხელ რძეში ჩაფშხვნა და მიხვდა, ასე თუვის დღეში არასოდეს მოშოუბოდა. ტყუილად არ მოშოდებოდა ბეიბი საგზს ასე.

— კურ შეამჩნევენ? — იკითხა სტუმარმა.

— კურა, — თქვა ჯეინიმ, — რამდენიც გინდათ, ჭამეთ ჩვენია.

— აქ კიდვე ცხოვრობს ვინმე?

— მარტო მე და მისტერ კუდრაფი. ის გარუ-გარუ მუშაობს. კვი-რაში ორი-სამი დღით მოდის ხოლმე.

— მარტო თქვენ ორნი?

— დიახ, მემ. საჭმელსაც მე გაკეთებ და ვრუცხავ კიდეც.

— იქნებ თქვენებმა იცოდნენ, ვინმეს დამხმარე თუ სჭირდება.

— აუცილებლად ვკითხავ, მაგრამ ვიცი, რომ სასაკლაოზე სჭირდებათ ქალები.

— რას აკეთებენ?

— არ ვიცი.

— ალბათ, ისეთ რამეს, რისი გაკეთებაც კაცებს არ უნდათ

— ჩემი ბიძაშვილი ამბობს, რამდენიც გინდა, იმდენი ხორცი შე-გიძლია წამოიღო, თან საათში ოცდახუთ ცენტსაც გიხდიანო. თვი-თონ ნახევრად შებოლილ ძებულებს აკეთებს.

კინკრიხომდე აიტანა ბეიბი საგზმა ხელი. ფულს? ფულს? ფულს გადაუხდიდნენ ყოველ ცისძარუ დღეს? ფულს?

— სად არის ეს სასაკლაო? — დაინტერესდა სტუმარი.

ვიდრე ჯეინი პასუხის გაცემას მოასწრებდა, სამხარუულოში ბო-დუინები შემოვიდნენ. უკან გალიმებული მისტერ გარნერიც მოპყვათ უდავოდ და-ძმა იყო. ორივეს რუხი ტანსაცმელი ეცვა და თოვლივით ქათქათა თმისთვის შეუფერებლად ახალგაზრდა სახუბი ჰქონდა.

— აჭამე რამე, ჯეინი? — იკითხა ძმამ.

— დიახ, სერ.

— იჯექი, ჯენი, — თქვა დამ და კიდვე უფრო მოეშვა ბეიბი საგზს გულზე, მერე კი, როცა პკითხეს, რისი კეთება შევიძლიაო, ნაცვლად იმისა, რომ სხაპასხუპით ჩამოეთვალა ათასნაირი საქმე, თვალ რომ ასრულებდა ხოლმე, სასაკლაოზე მუშაობა ითხოვა, მათ კი შენიშნეს, ამისთვის მეტისმეტად ხნიერიაო.

— საუკეთესო მწარებელი მათ შორის, ვინც კი ოდესმე გინახავთ, — თქვა მისტერ გარნერმა.

— მწარებელი? — ზემოთ ასწია ქალბატონმა ბოდუინმა ხშირი, შავი წარპები, — ეს ხელობა ვინ გასწავლა?

— მონა იყო, — მიუგო ბეიბი საგზმა.

— ახალ წაღებს კერავ თუ მარტო შეკეთება შევიძლია?

— ახალს, ძველს, ყველანაირს.

— კუთილი, — თქვა ბატონმა ბოდუინმა, — რაღაცას მაგ ხელობითაც იშოუი, მაგრამ არ გჟოფა.

— სარეცხის სახლში რეცხვაზე რას იტყვი? — იკითხა დამ.

— დიახ, მემ.

— ოცი ცენტი ერთ გირვანქაში.

— დიახ, მემ, მაგრამ სად?

— რაო?

— სახლში რეცხვაო, თქვით რომელ სახლში? სად უნდა ვიყო?

— მომისმინე, ჯენი, — ჩაერია მისტერ გარნერი, — ამ ორ ანგელოზს სახლი აქვს შენთვის. მოშორებითაა. მათია.

ვიდრე საცხოვრებლად ქალაქში გადმოუიდოდნენ, სახლი ბოდუინების ბებია-ბაბუას ეკუთვნოდა. ბოლო დროს ზანგების მთელ ჯგროზე პქონიათ მიქირავებული, რომლებიც შტატიდან წასულიყვნენ. ამბობდნენ, მარტო ჯენისთვის მეტისმეტად დიდი სახლიაო, ორ-ორი ოთახიაო ზემოთაც და ქვემოთაც, მაგრამ ამის მეტს და ამაზე უკეთესს ბოდუინები ვერაფერს შესთავაზებდნენ ბეიბი საგზს, რომელსაც სახლში გაჩერუების უფლების სანაცვლოდ უნდა ერუცხა, ეჭერა, ცოტ-ცოტა კონსერვებიც ეკეთებინა და, რა თქმა უნდა, მათთვესაცმლისთვისაც უნდა მიეწედა, თანაც იმ პირობით, რომ სახლში სისუფთავეს დაიცავდა. ზანგები, ბოლოს ჯგროდ რომ ეცხოვრათ სახლში, ფეთხუმები ყოფილან. დათანხმდა საქმის ასეთ ვითარებას ბეიბი საგზი, თან გული სწყდებოდა, სასაკლაოზე ფულს რომ ვერ აიღებდა, თან ფორიაქობდა, კიბიან სახლში რომ უნდა ეცხოვრა და სულაც არ დაგიდევდათ იმას, რომ ვერაფრით აბობლდებოდა ამ კიბეზე. მისტერ გარნერმა ბოდუინებს მასზე უთხრა, ისეთივე შესანიშნავი შხარუულია, როგორიც მწარებელ და დასტურად საკუთარი ღიპი და ფეხსაცმელები აჩვენა. გაეცინა ყველას.

— რამე თუ დაგჭირდა, გაგვაგებინე, — თქვა ქალბატონმა ბო-

დუინმა. — მონობას არ ვემხრობით, ისეთსაც კი, გარნერის სახლში
რომ არის.

— უთხარი, ჯენი, გიცხოვრია სადმე იმაზე უკეთ ვიდრე ჩემთან?

— სთხოვა ბეიბი საგზს მისტერ გარნერმა.

— არა, სერ არხად.

— რამდენ ხანს იყავი „საყვარელ სახლში“?

— მეონი, ათ წელიწადს.

— ოდესძე მოგშოვებია?

— არა, სერ

— შეგცოვებია?

— არა, სერ

— ვინმეს დაუკარებია შენთვის ხელი?

— არა, სერ

— მოვეცი თუ არა ჰალეს შენი ყიდვის უფლება?

— დიახ, სერ, მიეცით, — თქვა ბეიბი საგზმა, თან ფიქრობდა, ჩე-
მი ბიჭი თქვენთან არის, მე კი გაუტყდიო; ჩემი სიკვდილის შემდგაც
კარგა ხანს გაავრძელებთ მის გაქირავებას ჩემს გამოსასყიდადო.

ვუდრაფი წაიყვანსო, თქვეს და სამხარეულოს კარში სამივე გა-
უჩინარდა.

— ახლა ვახშამი უნდა მოვამხადო, — თქვა ჯეინიმ.

— მოგეხმარები, — შესთავაზა ბეიბი საგზმა, — ძალიან დაბალი
ხარ იმისთვის, რომ ქურას მისწვდე.

ბნელოდა, როცა ვუდრაფი ცხენს მათრახი გადაუტყდაშუნა და
ჩორთით წაიყვანა. ახალგაზრდა კაცი იყო. ხშირი წელის მიუხედა-
ვად მაინც ეტყობოდა სახეზე დამწვრობის კვალი.

— აქა ხარ დაბადებული? — პკითხა ბეიბი საგზმა.

— არა, მემ, ვირჯინიაში. ერთ-ორი წელია, რაც აქა ვარ

— გასაგებია.

— ლამაზ სახლში მიდიხართ. დიდიცაა. მღვდელი ცხოვრობდა
შიგ ოჯახთან ერთად. თერამეტი ბავშვი ჰყავდათ

— ღმერთო მოწყალეო, სად წავიდნენ?

— იღინოისში. კონგრეგაცია უბოძა ეპისკოპოსმა ალენმა. დიდი
კონგრეგაციაა.

— ახლომახლო რომელი ეკლესიებია? ათი წელია, არ შემიღვამს
ფეხი ეკლესიაში.

— ვ როგორ?

— არ იყო და... მეზიზლება ის ადგილი, სადაც ბოლოს წინ ვი-
ყუი, მაგრამ ეკლესიაში მისვლას ყოველ კვირადღეს ვახერხებდი.
სანაძლეოს ჩამოვალ, უფალს აღარც ახსოუს, ვინ ვარ.

— ლირს პაიკთან მიდით, მემ. თუ იდან მიგაახლებთ ღმერთთან.

— მაგისთვის ეგ კაცი არ მჭირდება. მე თვითონაც მოვეახლები.
იმისთვის კი მჭირდება, ჩემს შვილებთან რომ მიმაახლოს. წერა-
კითხვა იცის, არა?

— რა თქმა უნდა.

— კარგია იმიტომ, რომ ბევრი რამე უნდა გამოვჩიჩქნო, — თქვა
ბეიბი საგზმა, მაგრამ ახალი ამბავი, რომელიც გამოჩიჩქნეს, იმ-
დენად ცუდი გახლდათ ყველაფერს შეეშვა ბეიბი. ორ წელიწადს
იწერებოდა წერილები მღვდლის ხელით, ორ წელიწადს რეცხავდა,
კურავდა, კონსერვებს ინახავდა, ფეხსაცმელებს აკეთებდა, ბალში
ფუსფუსებდა და ეკლესიებში დადიოდა ბეიბი საგზი, ბოლოს კი
მხოლოდ ის გაარკვია, რომ უიტლოუს სახლი აღარ არსებობდა,
ხოლო მავანს, სახელად დანი რომ ერქვა, წერილს ვერ მისწერდით,
თუ კი მის შესახებ მხოლოდ ის იცოდით, რომ ოდესლაც დასავლეთში
წასულიყო. მიუხედავად ამისა, კარგი ამბავიც ჰქონდა — ჰალეს ცო-
ლი შეურთო და მალე შვილი ყოოლებოდა. ჰოდა, ამ ამბავზე გადაერ-
თო ბეიბი საგზიც, და კიდევ მისებურ ქადაგებებზეც. მოფიქრებული
ჰქონდა, რა უნდა მოქმერხებინა გულისთვის, რომელიც იმწუთას
აძგერდა, როგორც კი მდინარე ოპაიო გადალახა. ამართლებდა ბე-
იბის გეგმა, შევენოვრად იყო ყველაფერი, ვიდრე არ გადიდგულდა
და თვეს უფლება არ მისცა, რძლისა და ჰალეს შვილების, რომელ-
თან ერთი გზაში დაბადებულიყო, შემხედვარე თვით ფეხებამდე
გადაშვებულიყო გრძნობებში და ორი ვედრო მაყვლით ისეთი ზეიმი
მოქწყო, შობას რომ ჩამოიტოვებდა უკან. ახლა კი იდგა ბოსტანში,
სწვდებოდა მის ყნოსვას გაკიცხვის სუნი, გრძნობდა მოახლოებულ
სიბნელეს და ხედავდა მაღალყელიან ფეხსაცმელებს, ცუდი სანახა-
ვი რომ ეჩვენებოდა, ცუდი სანახავი.

როდესაც ოთხი ცხენოსანი, სკოლის მასწავლებელი, მისი ძმის-
შვილებიდან ერთ-ერთი, მონებზე მონადირე და შერიფი იქაურობას
მიადგნენ, ბლუსთოუნ-როუდზე აშენებულ სახლში ისეთი სიჩუმე
იყო, ჩათვალეს, დაგვაგვიანდაო. სამი მათვანი ცხენებიდან ჩამოქ-

ვეითდა, ერთ-ერთი კი უნაგირზე დარჩა. შაშხანამოლერუბული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს, რაღაც სავსებით შესაძლებელი გახლდათ, რომელიმე გაქცეულს სასწრაფოდ სახლისთვის მიეშურებინა. ვინ განსაზღვრავდა წინასწარ მათ ადგილსამყოფელს?! ხან სად პოულობდნენ შეუუულებს, ხან სად: იატაკის ფიცრუბქვეშ, კულლის კარადაში, ერთხელ კი ბუხარშიც ენახათ გაქცეული მონა. და მაინც, მონებთან სიფრთხილეს იჩენდნენ — ყველაზე მშვიდები, ისინი, ვინც წნების ქვეშიდან, სათვიდან, ანდა როგორც იმ ჯერზე, ბუხრიდან გამოჰყავდათ, მხოლოდ ორი-სამი წუთის განმავლობაში იქცეოდნენ კარგად. წაუსწრუბდნენ თუ არა, ასე ვთქვათ, თითქოს გაითვისებდნენ თუთოკანიანის ჭკუაში მოტყუების უსარგებლობასა და შაშხანის ტყვიისგან გაქცევის შესაძლებლობის განწირულობას. იღიმებოდნენ კიდეც, ბავშვით, მურაბის ქილით ხელში რომ წააღებიან თავს, ხოლო როცა დაჭურილი მონის გასაკოჭად თოვისკენ წაიღებდით ხელს, პო, მაშინაც კი ვერაფერს განსაზღვრავდით წინასწარ. იმავე თავჩაქინდრულ ზანგს, სახეზე მურაბის ქურდი ბავშვით ღიმილი რომ დასთამაშებდა, შეუძლო სრულიად მოულოდნელად, ხარივით ან რამე უეთვით დაებლავლა და დაუჯერუბელი რამები გაეკეთებინა. შეიძლებოდა, შაშხანის ლულას ჩაჰატურუნოდა; დასტაკებოდა იმას, ვისაც ხელში იარაღი ეჭირა. ყველაფერი შეიძლებოდა მოემოქმედებინა. პოდა, თქვენც ფეხის ათრუა გიწვდათ, სხვას უთმობდით ბურთსა და მოედანს. სხვაგვარად ყველაფერი იმით დამთავრდებოდა, რომ შემოგაკვდებოდათ ის, ვისი ცოცხლად დაბრუნებისთვისაც გიხდიდნენ. გველისა და დათვისაგან განსხვავდით, მოგების სანახავად მკვდარ ზანგს ვერ გაატყავებდით, არც მისი დაკლული წონა ეღირუბოდა რამე.

ექვსი თუ შვიდი ზანგი მიუყვებოდა სახლისკენ მიმავალ გზას. მონებზე მონადირისგან მარჯვნივ ორი ბიჭი მოდიოდა, მისგან მარცხნივ კი ვიღაც ქალები. შაშხანის მოძრაობით ანიშნა მონებზე მონადირუმ ფეხით მოსიარულებს, გაჩერდითო და ისინიც შედგნენ. სკოლის მასწავლებლის ძმისშვილი, სახლში მოსაშარდად რომ შესულიყო, გარუთ გამოვიდა, ჯერ ტუჩებზე მიიდო თათთ, აქაოდა, ხმა არ ამოიღოთო, მერუ კი ცერიც გაიშვირა. თითქოს დანარჩენებს ანიშნებდა, რასაც ეძებდნენ, სახლის უკან არისო. მონებზე მონადირუც ჩამოხტა ცხენიდან და სხვებს შეუერთდა. სკოლის მასწავლე-

ბეჭმა და მისმა ძმისშეიღმა სახლის მარკენა მხარეს მიაშურეს, თუმცა მონებზე მონადირე და შერიფი კი მარჯვნისაკენ წყვიდნენ.

შეშის ხორაზე მოხუცი შემლილი ზანგი იდგა ნაჯახით ხელში. მაშინვე შეატყობდით გიუი რომ იყო — ტუხუნებდა, კარასაუით გამოსცემდა ხმადაბალ ბგერებს. მის უკან ასე იკვი იარდის მომორებით კიდევ ერთი ვიღაც ჩანდა. ქალი იყო. ქუდში ყველილი ჰქონდა გარჭობილი. ალბათ ისიც შეშლილი იყო. ისიც გაშემებულიყით იდგა, თუმცა თან ხელებს იქნევდა აქეთ-იქით, თითქოს ობობას ქსელებს იშორებდა გზიდან. ასე იყო თუ ისე, ერთიც და მეორეც ერთსა და იმავე ნაგებობას, ფარდულს მისჩერებოდნენ. სკოლის მასწავლებლის ძმისშვილი ზანგის ხნიერ მამაკაცთან მოვიდა და ნაჯახი გამოართვა. მერე ოთხოვე ერთად გაემართა ფარდულისკენ.

ნახერხსა და ტალახში ორი ბიჭუნა იცლებოდა სისხლისგან ზანგი ქალის ფეხებთან, ფარდულში რომ იდგა, ცალი ხელით ერთიანად გასისხლიანებული ბავშვი მკერდზე მიეკრა, მეორე ხელში კი ქუსლებით ეკავა ჩვილი. მათთვის არ შეუხედავს. უბრალოდ ჩვილი მოიქნია შემოფიცრული კედლისკენ, ააცილა და ხელმეორედ სცადა. ყველა წუთი ძვირფასი იყო, ოთხი მამაკაცი კი გაუნძრევლად იდგა და მისჩერებოდა იმას, რაც ფარდულში ხდებოდა. სად იყო და სად არა, ხნიერი ზანგი, კნავილს ჯერაც რომ არ მოშვებოდა, კარში შეკარდა, მათ ზურგს უკან რომ იყო, და გაქანებული ბავშვი ჰაერში გამოსტაცა დედას.

მაშინვე ნათელი გახდა, მით უფრო სკოლის მასწავლებლისთვის, რომ უფლებას ვერაფერზე განაცხადებდნენ. სამი, უფრო სწორად, ოთხი ჰატარა ზანგი, გაქცეული ქალი ხომ თვეში იდგა, იმედი რომ ჰქონდათ, ცოცხალიც იქნება და საკმაოდ ჯანმრთელიც, რომ ჭრიუკიში დავაბრუნოთ, დავაბრუნოთ და სათანადოდ გავზარდოთ, „საყვარელ სახლში“ მეტისმეტად საჭირო საქმეები გააკეთონ, აღარ იყო. ორი მათგანი თვალითა იწვა ნახერხში, მესამეს — სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა კაბაზე, ძებნილთა შორის მთავრს, ქალს, რომლითაც სკოლის მასწავლებელი ტრაპახობდა, რომელიც, მისი თქმით, შესანიშნავ მელანსა და საუკუთხოს წვნიანს ამხადებდა, ისე უუთოებდა საყელოებს, თუმცა რომ მოსწონდა და თან, სულ ცოტა, კიდევ ათი წლის განმავლობაში შეეძლო თუისნაირების მოჯიშება. ახლა კი სკოლის მასწავლებლის ძმისშვილის წყალობით,

რომელიც ცუდად მოქცეოდა, მეტისმეტად გაელახა და გაექცა. ეს ქალი გაცოფებულიყო. დაესაჯა სკოლის მასწავლებელს თუის ძმისშვილი, ეთქვა, აბა, დაფიქრდი, უბრალოდ დაფიქრდი. შენი საკუთარი ცხენი რას იზამდა, ჭკუის სწავლების ნაცვლად ზღვარგადასულად რომ გეცემაო; გინდა ჩიპერი თქვი, გინდა სამსონი, ვთქვათ და მაგ მონადირუ ძალლებთანაც ასე გადახვედი ზღვარს, ვეღარასოდეს ენდობი მათ ვერც ტყეში და ვერც სხვაგანო. შეიძლება აჭამო, კურდღლის ნაჭერი გაუწოდო, ცხოველს კი გაახსენდეს, რაც უყავი და ხელი ძირში მოგაჭამოსო. ჰოდა, სასჯელიც ის იყო, რომ სკოლის მასწავლებელს ის ძმისშვილი გაქცეულ მონაზე სანადიროდ არ წაუყვანია. შინ დატოვა, პირუტყვისთვის რომ ეჭმია, თვითონაც ეჭამა, ლილიანიც დაეპურებინა და მარცვლეულისთვისაც მოვალო. ფიქრობდა სკოლის მასწავლებელი, ნახოს, როგორ მოეწონებაო, ნახოს, რა ხდება, როცა იმათ ეხები, ვისზეც პასუხისმგებლობა ღმერთს შენთვის დაუკისრებიაო. უსიამოვნო ამბავი იყო, მარტო ამბავი კი არა, დანაკარგიც. ერთდროულად რამდენიმე ზანგი გამოსცლოდათ ხელიდან. ხუთი ზანგი. შეუძლო სკოლის მასწავლებელს, იმ ჩვილის თავი მოეთხოვა, აკნავლებული მოხუცის ხელში რომ ბორგავდა, მაგრამ ვინ მიხედავდა? ქალს რაღაც სჭირდა. იდგა და უყურებდა სკოლის მასწავლებელს და ამ კაცის მეორე ძმისშვილს ქალის გამოხედვა რომ დაენახა, ნამდვილად დაახსომდებოდა: უბრალოდ არ შეიძლება ცუდად მოექცა ვინმეს ან რამეს და ელოდო, რომ გაიმარჯვებ.

სკოლის მასწავლებლის ძმისშვილმა, აი, იმან, ქალს რძეს რომ სწორდა, ვიდრე ამ უკანასკნელს მისი ძმა აკავებდა, არ იცოდა, რომ კანკალებდა. ბიძამისს გაეფრთხილებინა, შეიძლება ყველაფერი ჩაგვეშალოსო, მაგრამ სარწმუნოდ არ მოსჩვენებია ყმაწვილს ეს გაფრთხილება. რისთვის წავიდა და რისთვის მოიქცა ასე? იმიტომ, რომ სცემეს? ჯანდაბა, მილიონჯერ ეცემათ თვითონაც, თან თეთრკანიანი იყო. ერთხელ ისე ძალიან ეტკინა, რომ ტკიფილისგან ჭკუიდან გადასულმა ჭის ვედრო დაამტვრია. მეორედ სამსონზე იყარა ჯავრი — ერთი-ორი ქა ესროლა და ევ იყო, მაგრამ ვერავითარი ცემა ვერ აიძულებდა... შეუძლებელი იყო, რომ მას... რისთვის წავიდა და რისთვის მოიქცა ასე? იგოვე პკითხა შერიფსაც, დანარჩენებოით გაოცემული რომ იდგა, მაგრამ არ კანკალებდა. ძლიერ

ყლაპუდა ნერწყვს შერიფი, არადა, წარამარა (კლილობდა ნერწყვის გადაყლაპვას.

— რისთვის უნდოდა წასკლა და ამის გაცემუბა?

შერიფი ჯერ შემობრუნდა, მერე კი სამეცელს მიძაროა:

— ჯობია, ყველანი წახელიდეთ როგორი ჩანს, აქ აღარაფერი გე-
საქმებათ ახლა მე უნდა მოვკიდო საქმეს ხელი.

სკოლის მასწავლებელმა ქული ბარძაყზე დაიკრა და კიდრე ფიც-
რის ფარდულიდან გავიდოდა, ერთი გადააფერთხა კიდეც. მასწავ-
ლებელთან ერთად გავიდნენ ფარდულიდან მისი ძმისწულიც და
მონებზე მონადირუც. არც კი შეუხედავთ ქალისთვის, წიწაკის ჩი-
თილებს შორის რომ იდგა და ქულში ყვაუილი პქონდა გარჭობილი.
არც შვიდიოდე ადამიანისთვის შეუხედავთ სახეზე, მონებზე მონა-
დირისგან იარაღით დამუქრების მიუხედავად, ახლოს რომ მოწე-
ულიყვნენ. საკმარისად ბეჭრი ზანგის თვალი ენახათ ამჯერად —
ნახერხში დაყრილი პატარა ზანგის ბიჭების თვალები, პატარა ზან-
გი გოგონას თვალები, გამტერებით რომ იმშირუბოდა სახეზე სველ
თითებს შორის, ისე რომ შემოსჭდობოდა სახეზე, აქაოდა, თვი არ
მოსძვრესო ბაჟშვს; სატირლად გამშაღებული, მოწეურული თვალე-
ბი ჩეილი ზანგისა, ხელში ხნიერ შავკანიან მამაკაცს რომ ეჭირა,
რომელსაც თვადაც თვალების აღგილზე სხვა არაფერი პქონდა,
საკუთარ ფეხებზე დაჩერუბული წყვილი ნაფოტის გარდა. აი, ყვე-
ლაზე საშინელი კი ზანგი ქალის თვალები გახლდათ — გვერდი-
დათ, საერთოდ არ პქონდა თვალები ამ ქალს. ბრმას პგაუდა, რაკი
კანიუით ერთოუგად შავად შეღებილ თვალებში თეთრი გარსები აღარ
მოუჩანდა.

მოაშორეს სკოლის მასწავლებლის ცხენს ზედ გამობმული
ნათხოვარი ჯორი, გაქცეული ქალის უკან დასაბრუნებლად რომ
უნდოდათ, და ლობეს მიაბეს. მერე, გაგანია შუადლეზე იქაურობას
ჩორთით გაეცალნენ, შერიფი კი ყველაზე ვერანა ზანგებს შეატოვეს,
რომელთა მსგავსიც ოდესშე ენახათ. მათთვის რომ გეკითხათ, ყვე-
ლაფერი იმას მოწმობდა, თუ რა შეიძლებოდა მოპყოლოდა მათთვის
მინიჭებულ ცოტაოდენ თვისუფლებას, ვინც საკუთარი კანიბალუ-
რი მიდრეკილებებისგან დასაცავად ყველაფერში ზედამხედველობა-
სა და ხელმძღვანელობას საჭიროებდა.

შერიფსაც უნდოდა წასკლა. შეისგულზე დგომა უნდოდა. ოპი-

ოსთვის ჩამორჩე ფიქრობდა და უნდოდა, საგანგებოდ მოძარავებული შეშის, ნახშირისა და ნაუთის შესანახი აღიღლიდან გასულიყო, თან ცდილობდა, როგორმე მორეოდა აგვისტოს შეში გაკარგინის სურვილს. არა, განა ეშინოდა. სულაც არა. უბრალოდ სციონიდა. უნდოდა, არაფერს შეხებოდა. ტიროდა ხნიერი მამაკაცის მკლავებში მოქცეული ჩვილი, ქალი კი, თვალის თეთრი გარსები რომ აღარ მოუჩანდა, სადღაც პირდაპირ იყერებოდა. ასე გაქცეუ-ბულები კიდევ დიდხანს დარჩებოდნენ, იატაკზე ერთ-ერთ ბიჭს რომ არ ამოეოხნა. მაშინვე დაფაცურდა შერიფი.

— შენი დაპატიმრება მომიწვეს. იცოდე, ზედმეტების გარეშე. ისაც კმარა, რაც გააკეთე. წავედით, ჰე.

არ განძრეულა ქალი.

— წყნარად, გესმის? და აღარ გაგკოჭუ.

ის კი ისევ გაუნძრეულად იდგა და შერიფმაც გადაწყვიტა, ახლოს მისულიყო, რომ რამენაირად შევკრა მისთვის წითლად შეღებილი სველი ხელები. ეს იყო და კარის ზღურბლზე გამოჩენილი ჩრდილის დანახვაზე უკან შემობრუნდა შერიფი. ფარდულში ზანგის ქალი შემოვიდა, ქუდში ყვავილი რომ პქონდა გარჭობილი.

უმაღ გაარჩია ბეიბი საგზმა, რომელი ბავშვი სუნთქავდა და რომელი არა. პირდაპირ ტალახში დაყრილი ბიჭებისკენ წავიდა ბეიბი. ხნიერი მამაკაცი ქალისკენ დაიძრა, თვალგაშტერუბული რომ უყუ-რებდა რაღაცას და უთხრა:

— სითუ, მომეცი, რაც ხელში გაქვს და მე რაც მიჭირავს, ის და-იტოვე.

მოპერა თუ არა მამაკაცის ხელში ჩვილს თვალი, მოხუცისკენ შემობრუნებულმა სითუმ ერთი ისეთი ამოიხრიალა, თითქოს რაღაც შეშლოდა, თითქოს პურის ცომში მარილის ჩაყრა ანდა სხვა რამე გამორჩენოდა.

— წავალ, ოთხთვალას მოვაყვანინებ, — თქვა შერიფმა და, როგორც იქნა, შეეხე გააღწია.

ვერც სტემპ პეიდმა, ვერც ბეიბი საგზმა გააშვებინეს სითუს ხელიდან თვეისი გოგონა, უკვე ფორთხვა რომ ესწავლა. ფარდულიდანაც გაუიდა, სახლშიც შებრუნდა, ბავშვს კი ისევ ისე ებლაუჭებოდა. ბეიბი საგზსაც შეჭყვანა ბიჭები შინ, თვეებს პბანდა, ხელებს უზელ-

და, ქუთუთოებს ზემოთ უწყდა და სულ ჩურჩულებდა: „მომიტება- მომიტება“. ვიდრე სითხს მიაქცევდა ყურადღებას, ბავშვებს ჭრილო- ბები გადაუხვია და ქაფური ასუნთქებინა. სტემპ პეიდს ატირუბული ბავშვი გამოართვა, მოული ორი წუთი მხარზე მიწვენილს აქეთ-იქით დატარებდა, მერე კი დედამისს დაუდგა წინ და უთხრა:

— დროა, ნაბოლარას მოაწოვ.

ისე გაიწია სითხმ ჩვილისკენ, რომ მკვდარი ბავშვი ხელიდან არ გაუშვია.

ბეიბი საგზმა თავი გადააქნია, სათითაოდო, უთხრა რძალს, მკვდა- რი ბავშვი ცოცხალში გაუცვალა და სასტუმრო ოთხში გაიყვანა.

უკან რომ დაბრუნდა, სითუ ცდილობდა, გასისხლიანებული ძუ- ძუსაუი როგორმე ჩვილისთვის ჩაეჩარა პირში. დაპკრა მაგიდას მუშტი ბეიბი საგზმა და დაიყვირა:

— დაიბანე! დაიბანე!

მერე ქალები ერთმანეთს დაეტაკნენ. ძვირფასი ადამიანის გუ- ლის მოსაგებად მომართული მოქიშპებოვით ეძგერნენ ერთმანეთს. ძუძუთა ბავშვის გამო ჩხუბობდა ორივე. წააგო ბეიბი საგზმა — წი- თულ გუბეზე მოუცურდა ფეხი და წაიქცა. პოდა, დენვერმაც დედის რძესთან ერთად მიიღო საკუთარი დის სისხლი. ჯერ კიდევ წოვ- და გოგონა ძუძუს, შერიფი რომ დაბრუნდა. იძულებით წამოეყვანა რომელიდაც მეზობლისგან ორთვალა. მეურმეობა უბრძანა სტემპ პეიდს.

ზანგებმა, გარეთ უკვე ბრბოდ რომ შეყრილიყვნენ, ზუზუნი შეწყვი- ტეს. ცოცხალი ბავშვით ხელში უხმოდ მოიტოვა უკან დადუმებული ზანგები სითხმ და ორთვალაზე ავიდა. დანის პიროვით ლაპლაპებდა მისი პროფილი ხასხასა ლურჯი ცის ფონზე. შეარყია მნახველე- ბი მისი სახის კონტურის მკაფიოობამ. მეტისმეტად მაღლა პქონდა აღერებული თავი? მეტისმეტად იყო გამართული წელში? შეიძლება. სხვა შემთხვევაში მაშინვე შემოსძახებდნენ სიმღერას, როგორც კი სითე ბლუსთოუნ-როუდზე აშენებული კარის ზღურბლზე გამოჩნდა. უმალ შემოქვია ლაბადასავით მის არსებას ხმები, შემოქვია მკლა- ვებოვით, გზად მიმავალი ქალის გულში ჩაკვრას და დამშვიდებას რომ ცდილობდნენ. მოკლედ, მოიცადეს, ვიდრე ორთვალა შემობ- რუნდებოდა და დასავლეთით, ქალაქისკენ აიღებდა გეზს. სიტყვასაც ჟერ გაიგონებდით ლილინებდნენ, უსიტყვოდ ლილინებდნენ.

უნდოდა ბეიბი საგზს, გაქცეულიყო, ორთვალას კვალდაკვალ ჩა-
მომხტარიყო ვერანდის კიბიდან და ეყვირა: არა, არა, ნაბოლარაც
არ გაატანოთო. უნდოდა, ასე ექნა, დააპირა კიდეც, მაგრამ როცა
იატაკიდან წამოდგა და ეზომდე მიაღწია, ორთვალა უკვე წასული-
ყო და ვიღაცის ოთხთვალაც უახლოვდებოდათ ვიღაც თმაწითული
ბიჭი და ერთი ყვითელთმიანი გოგო ოთხთვალადან ჩამოხტნენ და
ბრძოში სირბილით გაიკვლიეს ბეიბი საგზისკენ გზა. ცალ ხელ-
ში სანახევროდ შეჭმული ტკბილი წიწုკა ეჭირა ბიჭს, მეორუში კი
წყვილი ფეხსაცმელი.

— დედამ, ოთხშაბათსო, — თქვა ბიჭმა, ენებით რომ შეკტყუპები-
ნა ხელში ფეხსაცმელები, — ოთხშაბათს უნდა იყოს მზადო.

ბეიბი საგზმა ბაჟშვეს შექედა, მერე კი ქალს, გზისკენ რომ ექაჩე-
ბოდა ატოკებულ ცხენს.

— ოთხშაბათსო, გესმის, ბეიბი? ბეიბი?

გამოართვა ბეიბი საგზმა ბიჭს ჭუჭუიანი მაღალყელიანი ფეხსაც-
მვლები, თან ამბობდა, მომიტევე, უფალო, მომიტევე, მერე კი დას-
ძინა, რა თქმა უნდა, გაუკეთებო.

მიჭრიალებდა ბლუსთოუნ-როუდზე თვალს მოფარუბული ორ-
თვალა. ვინც ზედ იყო, ყველა დუმდა. რწევა-რწევაში ჩასძინებო-
და ჩვილს. ზედ შეახმა მცხუნვარე მზისგან სველი კაბა გაშეშვბულ
გვამს დამსგავსებულ სითუს.

ასეთი პირი არა აქვს.

ვინც არ იცნობდა, ანდა ვისაც მხოლოდ რესტორნის ჭუჭრუტა-
ნიდან შეველო სითუსთვის თვალი, შეიძლებოდა ეფიქრა, რომ მას
სწორედ ასეთი პირი პქონდა, მაგრამ სხვებზე უკეთ იცნობდა სითუს
პოლ-დი. კარგი, შუბლი კი მიუგავდა იმ ქალს სითუს, რაღაცნაირი
სიმშეიდე რომ ეფინა ხოლმე სახეზე, მაგრამ პირზე ვერანანაირად ვერ
იტყოდით, სითუსიაო და პოლ-დიმაც იუარა. არ პგავს სითუს პირსო,
უთხრა სტემპ პეიდს, ყურადღებით რომ აკვირდებოდა.

— არ ვიცი, კაცო. ვერ გამსგავსებ და... სითუს პირი ვიცი, ეს კი
სხვანაირია.

თითები გადაუსვა პოლ-დიმ გაზეთიდან ამოჭრიდ სურათს და
სრულად შშვიდად დააცქერდა, თუმცა ხედავდა სერიოზულ გამო-
მეტყველებას, რომელიც სტემპს პქონდა, დაკუცილ ფურცელს რომ

შლიდა მაშინ, ხედავდა, როგორ სათუთად ასწორებდა მოხუცი ქალალდის ნაკეცებს, ჯერ მუხლზე, მერე კი ქაღალდის გახვრუტილ დასტაზე და ხვდებოდა, რომ გულს აუფორიაქებდა ეს ფურცელი. იცოდა, შეაძრწუნებდა, რაც უნდა ყოფილიყო მასზე დაწერილი.

არხში ღორები ჭყიოდნენ. პოლ-დი, სტემპ პეიდი და კიდევ ოცი გამაკაცი მთელი დღე მიერეკებოდნენ არხისკუნ ღორებს, როგორმე სასაკლაოსთან რომ მიეყვანათ მიუხედავად იმისა, რომ მარცვლეულის მწარმოებელი ფერმერები დასავლეთთ გადასულიყვნენ და სენტ-ლუისსა და ჩიკაგოში ამ საქმვს ბევრი მისდევდა, მათ, ვინც ოპაიოში ცხოვრობდა, ცინცინატი უწინდებურად მეღორეუბისთვის აშენებული პორტი ეგონათ. აქ ძირითადად იღებდნენ, კლაუდნენ და მდინარით ეზიდებოდნენ ქოსმენებს, რომელთა გარეშე ჩრდილოეთში ცხოვრება ვერ წარმოედგინათ. ზამთარში, ასე ერთი თვის განმავლობაში ნებისმიერი უსახლკაროსთვის მოიძებნებოდა სამუშაო, თუკი შიგნეულის მყრალი სუნის სუნთქვა და თორმეტ-თორმეტი სათი ფეხზე დგომა შეეძლო, ამეებში კი პოლ-დი საუცხოოდ გახლდათ გაწაფული.

რასაც მიეკარებოდი, ყველაფრიდან მოჟონავდა ღორის ნეხვი და ცოტ-ცოტა პოლ-დისაც რჩებოდა წალებზე. თვითონაც იცოდა, ასე რომ იყო, მაგრამ იდგა და მუშაობდა, ტუჩის კუთხებზე კი ზიზღნარუვი ოდნავი ღიმილი ეტყობოდა. შინ წასკლამდე წალებს ჩვეულებრივ ფარდულის კუთხეში ტოვებდა და დაბალყელიან ფეხსაცმელსა და საგარეო ტანსაცმელში გამოწყობოდა ხოლმე. გზად ძველზე ძველი სასაფლაო უნდა გაუკლო, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა, როგორ შფოთავდა მაიამის დახოცილი ხალხი, სამარხებში განსვენება რომ აღარ უნდოდა. აბიჯებდნენ თვებზე უცხოტომელები, გზებს დაესერა მათი განსასვენებელი, ჭებს იღებდნენ, სახლებს აშენებდნენ და ასე არ აყენებდნენ საუკუნო სამყოფელში. ოდესლაც სჯეროდათ, რომ წმინდა მიწაზე ცხოვრობდნენ და ახლა უფრო საკუთარი უგუნურებით შეურაცხყოფილები, ვიდრე იმით, რომ ვიღაცას მათთვის მყუდროება დაერღვია, გუგუნებდნენ მდინარე ლიკინგ-როვერის ნაპირებზე, გმინავდნენ კეტრინ-სთრითის ხეებს შეფარებულები და საღორუების თვზე მიერეკებოდნენ ქარს. ესმოდა პოლ-დის მათი ხმები, მაგრამ სამუშაოს თვს არ ანებებდა. ისე, ცუდი სამუშაო არ იყო, მით უფრო ზამთარში, როცა ცინცინატი

ისეუ ხდებოდა სასაკლაოებისა და მდინარის გემების დედაქალაქი. ლორის ხორციზე გაზრდილი მოთხოვნა მანიას ემსგავსებოდა ქალების ყველა დიდ ქალაქში. მეღორეუბიც, თუკი საკმარისი პირებულის გაზრდა და მისი შორ მანძილზე გაყიდვა შეუძლოთ, სარგებელს ნახულობდნენ. გერმანელებმა, სამხრეთ ოპაიო ლამის რომ წალკეს, უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანეს ლორის ხორცის დამშადების მათ მიერვე დანერგილი მეთოდები. ჩახერგილი იყო მდინარე ოპაიო ლორით დატვირთული გემებით ისეთთვე ჩვეულებრივი ამბავი იყო, ლორების ღრუტუნის ფონზე რომ უკიოდნენ კაპიტნები კრიმანეთს, როგორც წყლის რაკრაკში გადაფრენილი იხვების ხმაური. მიცურავდნენ და მოცურავდნენ მდინარეზე ცხვრებიც, ძროხებიც და შინაური ფრინველებიც და ნებისმიერი ზანგიც, როგორც კი სადმე მოვიდოდა, უმაღლ შოულობდა სამუშაოს, დამწყვდება გინდოდა, დაკვლა, დანაწერება, გატყავება, დაფასოება თუ შიგნეულის შენახვა.

იდგა ორი მამაკაცი უესტერ-როუზე, ასი იარღის მომორებით აჭყოვლებული ლორებისგან, ფარდულის უკან, და უკვე გასავები იყო, რატომ არ ამორებდა თვალს სტემპი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სამუშაოზე თვალს პოლ-დის, რატომ უსაფრდებოდა მის ყველა მოძრაობას და რატომ ითრუვდა ფეხს, როდესაც ლამის ცვლა იწყებოდა. გადაწყვიტა სტემპ პეიდს პოლ-დისთვის ქალალდის, უფრო სწორად, გაზეთის ნაგლეჯის ჩვენება, რომელზეც ქალი იყო დახატული, პირის გარდა ყველაფრით სითუს რომ მოგავონებდათ საერთოდ არ მიუგავდა იმ ქალს პირი სითუსას.

გამოაცოცა სტემპის ხელისგულის ქვეშ მოქცეული ამონაჭრი პოლ-დიმ. ნაბეჭდისთვის არც კი დაუხედავს — არაფერს ნიშნავდა მისთვის და იმიტომ. უბრალოდ სახეს დასცექერიდა და უარყოფის ნიშნად თავს აქნევდა. არა, ხომ გესმით, პირი არ იყო მისი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას იუწყებოდა შავ-შავი ნაკაწრები, ფურცელს რომ ემჩნეოდა, არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რისი თქმა უნდოდა მისთეთის სტემპ პეიდს. შეუძლებელი იყო, შავკანიანის სახე გაზეთის ფურცლებზე მოხვედრილიყო, თუკი მისი ამბავი ყურიდან ყურში შეიმვებოდა. შიშის ზარი გაგკრავდათ გულის კუთხე-კუნჭულში, როგორც კი გაზეთში ზანგს დაინახავდით — ვინ დაწერდა გაზეთში, ამა და ამ ზანგს ჯანმრთელი ბაჟშვი შეეძინა ანდა ქუჩის თავყრილობაზე უკან ჩამოიტოვათ. არც იმას დაწერდნენ, ესა და ეს ზანგი მოკლეს,

დასახირეს, დაიჭირეს, დაწვეს, დააპატიმრეს, გაშოლტეს, გამოასახლეს, გათულეს, გააუპატიურეს, ანდა თაღლითურად მოატყუესო — რა გაზეთში დასაწერი ახალი ამბავი კი იქნებოდა. ზანგის შესახებ გაზეთში რომ დაწერათ, რამე უჩვეულო უნდა მომხდარიყო, რამე ისეთი, თეთრკანიანებს რომ დააინტერესებდა, მართლა განსხვავებული რამ, ისეთი, სულს თუ არ შეუხუთვდათ, შემფოთუბის ნიშნად პირს მაინც რომ გაწკლაპუნებინებდათ ერთი-ორჯერ. ძნელი იყო ზანგების შესახებ ისეთი ამბის გამოჩერეკა, ყელში რომ გაეჩირებოდა ცინცინატის თეთრკანიან მოქალაქეს.

მაშ, ვინ იყო ქალი, სხვანაირი პირი, მაგრამ თითქმის ისეთოვე შევიდი თვალები რომ პქონდა, როგორიც სითქ? ვისი თუ იყო მოტრიალებული მის კისერზე ისვევე, როგორც სითუმ იცოდა ხოლმე? ისე ძალიან უყვარდა სითქს მოღერებული კისრის ცქერა პოლდის, რომ თვალები უწყლიანდებოდა ხოლმე.

და თქვა პოლ-დიმ, არ არისო ეს მისი პირი; ვიცი, როგორი პირი აქვს, ეს კი მისი პირი არ არისო. ვიდრუ სტემპა პეიდი რამეს იტყოდა, იქამდე თქვა ასე პოლ-დიმ და მერუც ასე იმეორებდა, როცა სტემპი ლაპარაკობდა. ყველაფერი ესმოდა, რასაც ხნიერი მამაკაცი ამბობდა, მაგრამ რაც უფრო მეტი ესმოდა, მით უფრო ეუცხოებოდა გაზეთში დახატული ქალის ტუჩები.

მოყოლა სტემპმა წვეულებით დაიწყო, ბეიბი საგზმა რომ გამართა, მაგრამ მერე გაჩერდა და მაყვალი რომ ქსენებინა, ცოტა უკან დაბრუნდა. უნდოდა, მოყვოლა, სად, რომელ მიწაზე ხარობდა ასეთი ჟწკრა.

— მჩეს ენახვებიან, მაგრამ ჩიტებს — არა. იციან ჩიტებმა, დაბლა გველები რომ არიან და მაყვალიც შევიდად იზრდება, მსხვილდება. ტკბილია. შემწუხებელი ჩემ გარდა არავინ ჰყავს იქაურობას — არავის უნდა იმ წუმპეში შესვლა, არც მაყვლის საკრეფად უნდა ნაპირზე სრიალ-სრიალით ჩასვლა ბევრს. არც მე, მაგრამ იმ დღეს მინდოდა. რატომდაც მინდოდა. ხომ გეუბნები, გაშმოლტეს იმ დღეს მაყვლის ბუჩქებმა, ხორცი დამაგლიჯეს, მაგრამ მაინც აუკვეთ ირი ჟღრო და ბეიბი საგზს მოუტანე შინ. მაშინ დაიწყო ყველაფერი. მაგდენ საჭმელს ვერასოდეს ნახავ. რა არ გამოუცხვეთ, რა არ შევწყოთ და ჩაუშუშეთ ვინ არ მოვიდა. გამოძღა ხალხი. იმდენი საჭმელი ჟუჟუჟუ, მეორე დღისთვის ერთი ღერი ფიჩხიც აღარ დარჩა. შეშის

საქმე შე აფილე თუ ჩემ და მიკედი კიდევ, როგორც დაკპირდი, მეორე
დილით

იძღვნაშ ეს შეხი პირი არ არის, — თქვა პოლ-დიმ, — საერთოდ
არ აჯავბ შეხ პირი.

შექედა პოლ-დის სტეპან პეტრები. აპირუბდა, მისთვის მოკუროლა,
როგორ კერ პეტერიძე იმ ლილით ადგილს ბეიბი საგზი, როგორ
აფურადებდა რადიკას, როგორ ეჭირა თვალი მდინარისკენ, სიმინ-
დების იქით რომ ჩაძილითდა, როგორ იქნებდა თუ დ სტემპი ნა-
ჯახს და თან წარამარია იქით იხედებოდა, საითაც მიემართა შეერა
ბეიბის. ამიტენაც გამოიყარიათ მათი მოსველა. იქით არ იყერებოდ-
ნენ, ხაითაც საჭირო იყო. წყლისკენ იკერებოდნენ სტემპ პეტიდი
და ბეიბი საგზი, იხინი კი გზიდან მოვიდნენ. ოთხნი იყვნენ. ახ-
ლო-ახლო მოჟყვავდათ (კენები, მუშტად შეკრული ხელიკით მჭიდ-
როდ მოდიოდნენ). ალალ-მართალი ხალხი გეგონებოდათ. აპირუბდა
ამჯების მოყოლას პოლ-დისთვის მოხუცი, რადგან თვლიდა, რომ
მნიშვნელობა პეტენდა იმას, რისთვისაც გამორჩენოდათ მას და ბეი-
ბის იმათა მოსველა. წვეულებაზეც აპირუბდა მოყოლას, რადგან ამით
შეიძლებოდა აგქასნათ რატომ არავინ მოვიდა სირბილით მათთან,
როგორც კი მოწყერუბელი (კენები და მხედრუბი დაინახეს, ხალხს
კითხვებს რომ უსვამდნენ, რატომ არავინ გაგზაუნა თუ ისი ფეხმარდი
ვაჟი, მინდორი რომ გადაერბინა. არც ელა, არც ჯონი, არც არა-
ვინ გაქცეულა ბლუსთოუნ-როუდზე, ვიღაც თეთრკანიანი ცხენოს-
ნები. ალალ-მართალ ხალხს რომ პგვანან, ეძებენო ვიღაცას. დედის
რძესთან ერთად ითვისებდა ყავლა ზანგი, როგორ უნდა გამოეცნო
მაგათა ალალმართლობა. დროშასავით აფრიალებდა ეს ალალ-მარ-
თალი ხალხი თუ ის გადაწყვეტილებებს, ზოგს ფიჩხის კონით, ზოგს
მათრახით, ზოგს მუშტით, ზოგს კი ცილისწამებით რომ ემუქრუბო-
და გაცილებით ადრე იქამდე, ვიდრე ხალხი რამეს გაიგებდა. ბეიბი
საგზის ოჯახი არავის გაუფრთხილებია და სტემპ პეტიდსაც ყოველ-
თვის სწამდა, რომ ეს დილიდან დაღამებამდე ფაშვის გამოვსების კი
არა, სხვა რამის ბრალი იყო, სულმდაბლობის თუ რაღაც ჯეთის
ბრალი, ისეთი რამის, რის გამოც თუ შინ დარჩენის უფლება მის-
ცეს, ანდა ოთხ ცხენოსანს ყურადღება არ მიაქციეს, ანდა თუ ის
თუ უთხრეს, ალბათ კინძე სხვას უკვე მიაქვსო ამბავი ბლუსთო-
უნ-როუდზე, სახლში, რომელშიც თოთქმის ერთი თვეა ცხოვრობსო

ახალგაზრდა, ლამაზი, ყოჩალი ქალი, ოთხი შვილი რომ პყავს, რო-
მელთაგან ბოლო აქ ჩამოსელამდე ერთი დღით ადრე მარტომ გა-
ჩინა, ახლა კი სრულ განკარგულებაში პყავს ბეიბი საგზი, მთელი
მისი ხელგაშლილობითა და დიდი, ბებერი გულით შეიძლება, უბრა-
ლოდ უნდოდათ გაუვოთ, მართლა იყო თუ არა განსაკუთრებული ბე-
იბი საგზი, მართლა პქონდა ისეთი ზეგარდმო ბოძებული ნიჭი, მათ
რომ არ გააჩნდათ ამის თქმა უნდოდა სტემპ პეიდს, მაგრამ პოლ-დი
იცინოდა და ამბობდა: „არა, კაცო. შეუძლებელია. ცოტათი პგავს
შებლის არეში, მაგრამ პირი არაა მისი“.

პოდა, აღარ მოუყოლია სტემპ პეიდს, როგორ გავარდა სითუ, რო-
გორ წამოავლო ქორცით ოთხივე შვილს ხელი, ფრინველის ნის-
კარტივით როგორ წაუწვეტდა სახე, როგორ დაეკლანჭა თითუბი,
როგორ მოაგროვა ყველა ერთად, ერთი მხარზე, ერთი იღლიაში,
ერთიც გვერდით, ერთი კი ყვირილ-ყვირილით შეაგდო ფარდულში,
სადაც არაფერი იყო მზის სინათლისა და ბურბუშელას მეტი. ცა-
რიელი იყო ფარდული — წვეულების სამზადისში დაწესებული მთელი
შეშა. ამიტომაც აპობდა შეშას სტემპიც. დილაადრიან შესულიყო
ფარდულში და იცოდა, რომ შიგნით არაფერი იყო მზის სინათლის
გარდა. არაფერი მზის სინათლის, ბურბუშელასა და ნიჩბის მეტი.
ნაჯახი თავად გამოეტანა ფარდულიდან, შიგნით კი არაფერი იყო
ნიჩბის და, რა თქმა უნდა, ხერხის გარდა.

— გვიწყდება, რომ ადრე ვიცნობდი, — ამბობდა პოლ-დი, —
მაშინ, კენტუკიში. პატარა გოგო რომ იყო. რამდენიმე თეის წინ კი
არ გამიცნია. დიდი ხანია, ვიცნობ და დანამდვილებით შემიძლია
გითხრა, ეს არაა მისი პირი. შეიძლება პგავს, მაგრამ ის არაა.

აღარ უთქვამს სტემპ პეიდს ბოლომდე სათქმელი. ერთი ჩაისუნ-
თქა, სურათზე გამოსახული ქალისკენ დაიხარა, პირი სითესას რომ
არ მიუგადა, და ნელა ამოიკითხა ის, რაც გაზეთის ფურცელზე
წერა. არ იცოდა კითხვა პოლ-დიმ. როცა მოხუცი კითხვას მორჩა,
პირვანდელზე მეტი გზნებით წარმოთქვა პოლ-დიმ:

— მაპატიე, სტემპ. რაღაცა შეცდომაა იმიტომ, რომ ეს არ არის
მისი პირი.

ჩახედა სტემპმა პოლ-დის თვალებში და ისეთი სისათუთუ და
რწმენა დაინახა მათში, რომ ეჭვი შეუპარა, ვაითუ, თვრამეტი წლის
წინ სულაც არაფერი მომხდარაო, ვაითუ, ვიდრე მე და ბეიბი საგზი

სხვა მხარეს კი ხედებოდით ტანძლისად. ლამაზ მოს ჭირა არ უნიო მომხდევის ქადა და არ გაჲცემა ფრთხეული მყიდვის დასხვეცად.

— აქ რომ ჩამოვდი, ფრთხოება უკავ ესწეოდა. ქრისტიანი, კიდე უფრო ნაკლები. და პატარას, რომელსაც დაჯდომას და კურია-ალის მეტი არაფრის თუმი არ ჰქონდა როგორ მატარებული ჩატენი. შევე ფრთხოება ესწავლა. ქრისტიანჯერ იყო. კიბეზე რომ არ გამ-რიცლიყო. დღეს, დაიბადება თუ არა ბავშვი. მამინჯე ფრთხე დავის, მაგრამ თუმი წლის წინ, ჩემს ახალგაზრდობაში. ბავშვების ბავშვობა უფრო დიდხანს გრძელდებოდა. ცხრა თვეებზე კურ იმაგრებდა თუმი პოვარდი. იცი, ბეიბი საგზი ამბობდა. ხაკუების ბრალიათ. რძის მეტი სხვა თუ არაფრი გაქვს, ბავშვს რომ აჭამო, ასე სწრაფად კურსაფრის ათვისებს. რძის მეტი არასოდეს არაფრი მქონია. მუქონა, კბალუ-ბი თუ ამოეჭრებოდათ ღეჭუასაც შეძლებდნენ. რჩეუა რომ მეტითხა, ისეთი არავინ მყავდა. მისის გარნერს შეიღები არ ჰყავდა, თან ჩუქმ გარდა, მთელ კარ-მიღამოში ქრისტიან ქალიც არ იყო.

ჩემ-ჩემ მიღი-მოღიოდა თოახში ხით. ხაზუდი და ხაზუდა წრების. ჯერ ბუფეტს ჩაუკლიდა წინ, ჯემიან ქილებს რომ ინახვ-და შიგ, მერე ფანჯარას, მერე შესასელებ კარს, მერე ფანჯარას, სერვანტს, ხასტუმრო თოახის კარს, ნივარას, რომელშიც წყალი არასოდეს მოდიოდა, ქურას და ისევ ბუფეტის ბრუნდებოდა. ჯემი-ან ქილებს რომ ინახავდა შიგ. იჯდა მაგიდასთან პოლ-ლი და თვალს აღვენებდა ქალს, ბორბალით ნელა, თანაბრად რომ ტრიალებ-და, ხან გამოჩნდებოდა, ხანაც მის ზურგს უკან უჩინარდებოდა. ხან დროდადრო ერთმანეთზე გადაჭრობილ ხელებს დაიღავებდა წელ-ზე, ხან ეურებზე იჭრებდა, ანდა გულხელდაკრუფილი აკრძელებდა სიარულს. დროდადრო თებოებს იზელდა და აღვიღზე ისე ტრიალ-დებოდა, მაგრამ გაჩერებით ერთხელაც არ გაჩერებულა.

— დეიდა ფილისი გახსოუს? მინოუკილიდან? მისტერ გარნერი გაგზაუნიდათ ხოლმე რომელიმეს, რომ კემმობიარებინე. სხვა დროს არ მინახავს. ბევრჯერ მინდოდა, მასთან შემუვლო. უბრალოდ დავი-ლაპარა კებდით ჩაფიქრებული მქონდა, მისის გარნერისთვის მეთხო-ვა, ვიდრე თვითონ ღვთისშახურებაზე იყო, მინოუკილში გაუშვი, მერე კი უკანა გზობაზე ჩემთვისაც გამოვალო. ასე მგონა, რომ

გეთხოვა, გამიშვებდა. არასოდეს მითხოვია, იმიტომ, რომ მარტო კვირას თუ ვნახავდით ერთმანეთს მე და პალე დღის სინათლეზე. ჰოდა, რჩებაც ვეღარავის ვკითხე, ანუ ისეთს ვერავის დაველაპარაკე, ვისაც ეცოდინებოდა, როდის იწყებდა ბავშვი ცოტა-ცოტა ღეჭვას, როდის უნდა მიგეცა მაგარი საჭმელი, როგორც კი კბილები ამო-ეჭვებოდა, თუ უნდა მოგეცადა, ვიდრე წესიერად არ ამოუვიდოდა. ახლა ვიცი — ბეიბი საგზი აჭმევდა ჩემს გოგონას ისე, როგორც საჭირო იყო და აქ რომ ჩამოვედი, ერთ კვირაში უკვე ფორთხვა ის-წავლა. იმისი გაჩერება არ იყო. კიბეზე ადი-ჩადი ისე უყვარდა, რომ საფეხურები ისეთ ფერზე გადავდებეთ, კიბის თვიც რომ გამოჩენი-ლიყო, — ამის მოგონებაზე გაიღიმა სიუმ, მერე მოღიმარი სახე მოელრიცა და ერთბაშად ახროტინდა. ხროტინებოდა ისე, რომ არც შემკრთალა, არც თვალები დაუხუჭვას, თან წრეზე სიარულს აგრძე-ლებდა, — ნეტავ კი მეტი მცოდნოდა, მაგრამ აკი გითხარი, ჭკუის დამრიგებელი არავინ მყავდა. ერთი ქალიც არ იყო ირგვლივ ავდექი და ვცადე, გამქასენებინა, რასაც იქ აკეთებდნენ, სადაც „სყვარულ სახლში“ მოსვლამდე ვცხოვრობდი. ვცადე, გამქასენებინა, იქაური ქალები როგორ იქცეოდნენ. იმათ კი ყველაფერი იცოდნენ ბავშ-ვის მოვლაზე. იცოდნენ, როგორ უნდა მოგწინა რაღაცა, ბავშვს შიგ რომ ჩასვამდი, ხეზე ჩამოჰკიდებდი, თან მინდორში მუშაობდი და თან თვალს აღევნებდი — შშვიდად იყავი, რომ საფრთხე არ ემუქრე-ბოდა. რაღაცის ფოთლებსაც აძლევდნენ ბავშვებს დასაღეჭად. მგო-ნი, ან პიტნა იყო, ანდა ანისული, შეიძლება, ლაშქარაც. დღესაც არ ვიცი, როგორ აკეთებდნენ იმ კალათებს, არც მჭირდებოდა — ან კარაქსადღვებში მქონდა საქმე, ან სახლში. აი, რის ფოთლებს აღეჭვინებდნენ, ევ კი დამავიწყდა, არადა, მეც ხომ დაუაღეჭვინებდი. როცა ლორის ხორცი უნდა შეგვებოლა, ბაგლერს გაბამდი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცეცხლი ენთო, ის კი ყველგან თავით გარდებოდა. იმდენჯერ იყო, ლამის ხელიდან რომ გამომეცალა. ერთხელ ჭაზე აძრა, ზედ ჭაზე. მოვარდი, დროზე წაჭალე ხელი. ჰოდა, როცა ვი-ცოდი, რომ ხორცი გვექონდა შესაბოლი და ვერ მოვხედავდი, თოქს ვიღებდი და კოჭზე ვახვევდი. იმხელა თოქს ვიღებდი, ცოტ-ცოტა რომ ეთამაშა, მაგრამ ჭას ან ცეცხლს ვერ მისწვდომოდა. არ მომ-წონდა, დაბმულს რომ ვხედავდი ხოლმე, მაგრამ არ ვიცოდი, სხვა რა უნდა მექნა. ძნელია. ხომ გესმის ჩემი? ყველაფერი შენით უნდა

გააკეთო და ირგვლივ ერთი ქალიც არ არის, რომ რაშეზე ხელი წა-
გიკრას. პალე კი შექმარებოდა, მაგრამ ყალის გადასახდელად ხან
ხად შუშაობდა, ხან სად და კოტა ხანს დასაძინებლად თუ მიღებდა
თავს, არ მინდოდა, მისთვის თავი მეც მოძებეზრუბინა. ყველაზე მე-
ტად სიქსო შექმარებოდა. ეჭვი შეპარება, რომ გახსოვდეს, მაგრამ
ერთხელ პოვარდი საწველში შევიდა და, მგონი, წითელმა კორამ ხე-
ლი დაუწინდა. ცერი ამობრუნებული პქონდა. მე რომ შევედი, ცო-
ტაც და, მოაძრობდა ცერს. დღემდე არ ვიცი, როგორ გამოუწინებ
მისი თავი. ბავშვის კოვილი სიქსომ გაიგონა და სირბილით შემოუკა-
და. იცი, რა ქნა? პოვარდს ამოტრიალებული ცერი გაუსწორა და
ნუკზე მიუბა. გესმის, ასეთ რამეს ვერასოდეს მოუიფიქრებდი. ბევრი
რამე მასწავლა სიქსომ.

თავბრუ ქვეეოდა პოლ-დის. თავიდან იფიქრა, სითუს ბრალი იყო,
ოთახში წრეზე რომ დადიოდა. ისევე უტრიალებდა პოლ-დის გარ-
შემო, როგორც სათქმელს. დადიოდა და დადიოდა. ერთხელაც არ
შეუკვლია მიმართულება, არადა, მეორე მხარეს რომ წასულიყო,
შეიძლება პოლ-დისთვისაც გაევლო თაბრუსხვევას. მერე ჩათვალა
პოლ-დიმ, არა, სითუს ხმა არ არისო საქმე, მეტისმეტად ახლოდან
ჩამესმისო. სულ მცირე, სამი იარდი აშორებდა სითუს იმ ადგილის-
გან, სადაც პოლ-დი იჯდა, ის კი უსმენდა ქალს და ასე ეგონა, იმ-
დენად ახლოს ეჩურჩულებოდა ვიღაც ბავშვი ყურში, რომ ტუჩების
მოძრაობას გრძნობდა, აი, სიტყვებს კი მეტისმეტი სიახლოების გამო
ვერ არჩევდა. მარტო აქა-იქ იჭერდა, რასაც სითუ ამბობდა. ძალია-
ნაც კარგი. მთავარი რაც იყო, იქამდე ვერა და ვერ მიეღწია სითუს,
ვერა და ვერ მიეღწია კითხვის პასუხამდე, ირიბად რომ დაესვა მის-
თვის პოლ-დის, პასუხამდე, გაზეთის ამონაჭურში რომ იმაღლებოდა,
რომელიც მამაკაცმა აჩვენა. იგივე პასუხი იდგა პოლ-დის ღიმილის
მიღმაც. პოლ-დიც ხომ იღიმებოდა, გაზეთიდან ამონაჭურს რომ აჩ-
ვენებდა, მერე კი, როცა სითუს სიცილი წასკდა, აქაოდა, ხუმრო-
ბაა, ვიღაც ფერადკანიანი ქალის ადგილზე ჩემი სახე დაუხატავოთ,
პოლ-დიც შხად იყო, მასთან ერთად ეცინა. „წარმოგიდგენია?“ —
იკითხავდა პოლ-დი, ის კი ხითხით მიუგებდა: „სტემპი მართლა
გაგიჟდაო. სულ მთლად გაგიჟდაო“.

არადა, ამ ღიმილის იქით რომ არ წასულა პოლ-დი. სახეზე ოდ-
ნავი, ეული ღიმილი დასთამაშებდა და ელოდა, როდის მორჩებოდა

სითუ გაზეთის ფურცლის თვალიერებას, მერე სითქმაც დაუბრუნა
მამაკაცს ამონაჭერი.

იქნებ ამ ღიმილის ბრალი იყო, ანდა უპირობო სიყვარულის, პოლ-დის თვალებში რომ ხელჯდა, რომ ადამიანი აღვა და ისეთი
რამის მრავლა დაიწყო, რაც ბეიბი საგზისთვისაც არ უამბია, ერთა-
დერთი ადამიანისთვის, ვის წინამედეს თუ მოყვალედ თვლიდა, რამე
აქსნა. იქნებ ძალდაუტანებელი და უპირობო სიყვარულის ბრალი
იყო ყველაფერი, ხბოებს, გვანგელისტებსა და ბავშვებს რომ ეტყო-
ბათ ხოლმე გამოხედვაში, სიყვარულის, რომელიც მაშინაც კი შე-
ნია, როცა არ იმსახურებ. ასე რომ არა, სითუ იმასვე გაუმეორებდა
პოლ-დის, რასაც გაზეთში მის ნათქვამად მოიხსენიებდნენ და მეტს
არაფერს. მხოლოდ სამოცდათხუთმეტი ნაბეჭდი სიტყვის წაკითხ-
ვა შეეძლო სითუს, რომელთაგან ნახევარი გაზეთიდან ამონაჭერშიც
ჩანდა. ნახევარს ვერ კანობდა, მაგრამ იცოდა, ვერანაირი უცხო
სიტყვა ვერ ახსნიდა მასზე უკეთ სათქმელს. პოლ-დის ღიმილი და
მისი გულწრფელი სიყვარული იყო, სითუს მოყოლა რომ აიძულა.

— „საყვარულ სახლზე“, იქაურ ამბებზე ლაპარაკი არ მჭირდება,
მაგრამ შეიძლება არ იცოდე, ჩემთვის იქიდან წასვლა რას ნიშნავდა,
— დაიწყო სითუმ და ნიკაპსა და ტუჩებზე ხელი აიფარა. შეუცადა,
ხელახლა გაეაზრებინა სასწაული, თაყად რომ გადახდენოდა ოდეს-
ლაც თუს, კიდევ ერთხელ შევგრძნო თუისუფლების გემო, — მე ეს
გუკეთუ. ყველამ გამოვალწიეთ, თან პალეს გარუშე. იქამდე ჩემით
სხვა არაფერი გამეკეთებინა. გადავწყვიტე და ყველაფერი კარგადაც
გამოვიდა, ისე, როგორც იყო ჩაფიქრებული. მოვედით ყველა ჩემი
შეილი და მე. მე გავაჩინე და მე წამოვიყვანე, თანაც შემთხვევით
არაფერი მომხდარა. მე გუკეთუ ეს. რა თქმა უნდა, მქმარებოდნენ,
მაგრამ მაინც მე ვაკეთებდი ყველაფერს. მე ვამბობდი, აბა, მიდი,
დროა-მეთქი! მე უნდა ვყოფილიყვაი ფხიზლად. მე უნდა გამენძრია
თუი, მაგრამ ამის გარდაც იყო რაღაც, რაღაცა თუკურძაობისთანა,
რომლის მსგავსიც მანამდე არაფერი გამომეცადა. კარგად ვიყავი.
ვგრძნობდი, რომ კარგად ვიყავი და თან მართალიც. იმხელა ვიყავი,
პოლ-დი, იმსიღრმე და იმსიგანე, ოთხთვე შვილს ვწვდენდი გაშლილ
ხელებს. იმსიგანე ვიყავი. თოთქოს მას მერე უფრო შემიყვარდნენ,
რაც აქ მოვედი. შეიძლება, ვერ მიყვარდა კენტუკიში ისინი ისე, რო-
გორც საჭირო იყო — იმხელაზე არ იყვნენ ჩემები, რომ მყვარებოდა,

მაგრამ როცა აქ მოვედი, როცა იმ ოთხთვალადან ჩამოვხტი, ქუჭანაზე არავინ იყო ისეთი, ვისაც ვერ შევიყვარუბდი, თუ მენდომებოდა. ხვდები, რას გამბობ?

პოლ-დის პასუხი არ გაუცია — არც უნდოდა და არც ელოდა სითუ მის პასუხს. აი, მიხვედრით კი ხვდებოდა პოლ-დი, რასაც გულისხმობდა სითუ. უსმენდა ხოლმე აღფრუდში, ჯორჯიის შტატში, მტრუდებს და არც უფლება პქონდა, არც ნებართვა, მათი ღუღუნით დამტკიბარიყო — ნისლიც, მტრუდებიც, დღის სინათლეც, სპილენძისფერი ტალახიც, მთვარეც, ყველაფერი თოფიანებს ეკუთვნოდათ, ტანმორჩილებსაც, ტანსრულებსაც, რომელთაგან ნებისმიერს წნელოვით გადატეხდა პოლ-დი, რომ ნდომოდა. იმათი იყო ყველაფერი, ვინც იცოდა, იარაღში რომ იყო მთელი მათი კაცობა და არც კი ქამუშებოდათ, თოფის ხმა რომ არა, მელიაც რომ მასხარად აიგდებდა. პოდა, თუ რომ დაგეცემა, მცირედის სიყვარულს უნდა დასჯერუბოდით მთელ ცაზე ყველაზე ნამცეცა გარსკვლავებს ამოარჩევდი და იმათ დაეპატრონებოდი, მერე კი დაძინებამდე თუმოლრუცილი იწექი, როგორმე შენი რჩეულებისთვის რომ გეცქირა, ნათხარის კიდის იქით რომ მოჩანდა. მორცხვად აპარუბდი თვალს ხეებს შორის სატრფოსკენ და თან ჯაჭვში ებმებოდი. ბალახის ღეროებიც შეიძლებოდა, რომ გყვარებოდა, ობობებიც, კოდალებიც, ხოჭოებიც და ჭიანჭველების თუნდაც მთელი სამეფო, მაგრამ მათზე დიდი შესაყვარებლად სხვა არაფერი გამოგადგებოდა. შეიყვარუბდი აღფრუდში, ჯორჯიის შტატში, ქალს, ბაჟშვს, ძმას და ამოდენა სიყვარული შუაზე გაგგლეჯდა. ზედმიწევნით ხვდებოდა პოლ-დი, რასაც ამბობდა სითუ. ხვდებოდა, რას ნიშნავდა ისეთ ადგილამდე მიღწევა, საღაც, რასაც გინდოდა, იმას შეიყვარუბდი, თან ნატვრის საგანი რომ გქონდა, ამისთვის ნებართვა არ გინდოდა. თუვისუფლებაც ეს იყო.

დადიოდა და დადიოდა სითუ წრეზე და იმის ნაცვლად, საქმეზე ელაპარაკა, ღეჭვუდა და ღეჭვუდა სათქმელს:

— მისის გარნერმა რაღაცა მომცა. ჩითა. ზოლებიანი იყო და ზოლებს შორის წვრილ-წვრილი ყვავილები პქონდა. ასე, ერთი იარღი იქნებოდა. თუსახვევის გარდა, არაფერს ყოოფოდა, მე კი მინდოდა, ჩემი გოგონასთვის კაბა შემეკრა. ულამაზესი ფერუბი პქონდა. არც კი ვიცი, რა პქვია მაგ ფერს — გარდისფერია, თან შიგნით ყვითელი დაჰყვება. უსაშველოდ დიდხანს მინდოდა, მისთვის ამ კაბის შეკურ-

ვა და იცი, ნაჭერი სულელოვით იქ დაკტრებუ. ერთ იარღზე მეტი არ იყო და სულ სამერქერდ კლებდი, ან დაღლილი ვიდავი ხოლმე, ან არ მეცალა. პოდა, აქ რომ ჩამოვედი, იქამდევ კი, ვიდრე საწოლიდან ადგომას შევძლებდი, ბეიბი საგზის მოკერძული ნაჭრისგან რაღაცა შევუყრე. აკი სულ იმას ვამბობ, რაღაცნაირი თუკურდა სიამოვნებაა-მეთქი, რომლისთანა ადრე არაფერი ვამომეცადა. ვერ დაკუშვებდი, რომ ყველაფერი უწინდებულად ყოფილიყო. ვერც იმას დავუშვებდი, რომ მას ან რომელიმე მათგანს სკოლის მასწავლებლის ნებაზე ეცხოვრათ არა და არა.

იცოდა სითემ, რომ ოთახში წრეზე სიარულით, პოლ-დისა და სათქმელის გარშემო სიარულით არაფერი შეიკვლებოდა, წრე იმადვი დარჩებოდა, რაც იყო — ვერც შეამცირებდა და ვერც კითხვის დასმას დაუშლიდა ვინმეს. რაკი მაშინვე ვერ მიუხვდნენ, ვერასოდეს აუხსნიდა ვინმეს რამეს. მარტოვი იყო სიმართლე და არაფერი ჰქონდა საერთო დაჩითულ კაბებთან, გალიებთან, თუკურდაობასთან, კოჭზე გამობმულ თოკებსა და ჭებთან. მარტოვად იყო ყველაფერი. იყო უბრალოდ ბოსტანში ჩაკუცქული სითე და როცა მოახლოებული ცხენების ფლოქვების ხმა გაიგონა, სკოლის მასწავლებლის ქუდი იცნო, თან ფრთუბის ხმაურიც გაიგონა — ნემსივით წვრილი ნისკარტებით ატანდნენ პატარა კოლიბრები ნაჭერში, სითეს თუზე რომ წაეკრა და ფრთუბს აფრთხილებდნენ. მერე, თუკი საერთოდ რამეზე შეუძლო ფიქრი, ერთი ის გაიფიქრა, არაო. არა, არა, არა. მარტოვად იყო ყველაფერი. ადგა და უბრალოდ გაიქცა. ერთად შეკრიბა ყველა სულიერი, რომლებისთვისაც სიცოცხლე ეჩუქებინა, ყველა ძვირფასი, სუფთა და ლამაზი ნაწილი მოაგროვა საკუთარი არსებისა და წაიყვანა, ჯიკუ-ჯიკუით გაიგდო წინ, რის გაი-გაგლახით გაატარა საბურველში, შორს, სხვაგან, იქით წაიყვანა, სადაც ვერავინ დაუშავებდა რამეს. იქით, საზღვრუბს იქით, სადაც უსაფრთხოდ იქნებოდნენ, კოლიბრები კი გაუჩერებლად სცემდნენ და სცემდნენ ფრთუბს. ისევ შედგა მოფერხულე სითე და ფანჯრიდან გაიხედა. გაახსენდა, ოდესლაც ეზოს ჭიშკრიანი ღობე რომ ჰქონდა და სულ რაზის გახსნა-დაკუტვაში იყვნენ. გაახსენდა დრო, როცა 124 ნომერში პატარა საღურუოით სულ გარბი-გამორბი იყო. არ დაუნახავს სითეს თეთრკანიანი ყმაწვილები, ღობე რომ დაარღვიეს, ბოძები ამოვლიჯეს, ჭიშკარი მოსპეს და 124 ნომერი ერთ გავერანებულ სახლად აქციეს,

სადაც დღე-ლამის ნებისმიერ მომენტში ნებისმიერს შეუძლო შესვლა. არადა, ბლუსთოუნ-როუდზე ამოსული უზარმაზარი სარყელების გარდა არათერს მოუწყდა გული ამ სახლისკენ.

გაუხარდა, ციხიდან დაბრუნებულს ღობე რომ არ დახვდა. აյი სწორედ ღობეზე მიებათ იმ კაცებს (ჰენები, მესერს იქით დაუნახა ჩაცუცქულ სითეს სკოლის მასწავლებლის პაერში მოლოდოვე ქუდიც. მერე, როცა ამ კაცის პირისპირ აღმოჩნდა, როცა თვალი თვალში გაუყარა, ხელში ისეთი რამე ჰქონდა, რომ სკოლის მასწავლებელი ადგილზე გაშემდა. გაიტართხალებდა თუ არა ბაჟშვის მკერდში გული, თითო ნაბიჯით უკან იხუდა სკოლის მასწავლებელი. ბოლოს საერთოდ შეუწყდა ბაჟშვების გულისცემა.

— გაუაჩერუ, — თქვა სითემ, თან იმ ადგილს არ აშორებდა თვალს, სადაც ოდესლაც ღობე იდგა, — ჩემი შეილები იქ წარიყვანე, სადაც საფრთხე არ დაემუქრებოდათ

გრუვინვა-გრიალი გაუდიოდა პოლ-დის თავში, მაგრამ მაინც გაარჩია, როგორი თავდაჯერებით წარმოთქვა ბოლო სიტყვები სითემ და აზრად მოუვიდა, ამ ქალს თავისი შვილებისთვის სწორედ ის უნდოდა მიეცა, რაც 124 ნომერში არ მოიპოვებაო. შევიდა თუ არა პირველოვე დღეს კარში, უმაღლ ამცნო სახლმა, აქ თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობო. უკანა პოლ-დის, რომ მოესპონ საფრთხე, ხითათ თავიდან აეცილებინა, კუდით ქვა ესროლინებინა მისთვის და ყველასთვის დაენახვებინა, ვინ იყო ოჯახში მთავარი. და რაკი პოლ-დის მისვლამდე სითეს ეს საქმე თავისით არ მოუგვარებინა, თვლიდა მამაკაცი, რომ არ ძალუძღავ ქალს ამის მოგვარუბა. ფიქრობდა, 124 ნომერში სითე ასეთ უმწეო, შემრიგებლურ და მორჩილ ცხოვრებას იმიტომ წარა, რომ არჩევანი არ გააჩნიაო; არც ქმარი ჰყავსო გვერდით, არც ვაჟები, არც დედამთილი და თავის ბენტერა ქალიშვილთან ერთად მარტო მიათრევსო ცხოვრებას. ფიქრობდა პოლ-დი, რომ ფხუკიანი და მორცხვთვალება გოგო „საყვარელი სახლიდან“, რომელიც მისთვის ოდესლაც პალეს ქალი იყო, პალესაუით გამგონი, პალესაუით მორიდებული და პალესაუით მუშაობაზე გადაყოლილი გახლდათ ცდებოდა პოლ-დი. სხვა იყო აქაური სითე და ამ ახალ სითეს იმავე მიზეზით არ აწუხებდა აჩრდილი, მის სახლში რომ სახლობდა, რა მიზეზითაც გულითადად მასპინძლობდა ცინცხალ ფქსაცმელებში გამოწყობილ კუდიანს, პანსონის სრული

პოსტმანური რომ სარგებლობდა. ნებისმიერი სხვა ქალოვით ლა-კარაკომდა აქაური ხითე სიყვარულზე. ნებისმიერი სხვა ქალოვით ლაპარაკომდა ბაჯშის ტანისამოსის ჩეკი, მაგრამ ტკაცატკუცი გაუდიოდა პოლ-დის ძელებს იმის გაფრიქრებაზე, რასაც არ ამბობდა, რა-საც შხვლოდ გულისხმობდა. რაღაც ხერხსა და უსაფრთხოდ ყოფ-ნაზე ლაპარაკომდა აქაური ხითე. არ იკოდა აქაურმა ხითემ, სად მიუკრდებოდა დანარჩენი სამყარო და სად იწყებოდა მისი საკუთარი მე. ერთბაშად მიხვდა პოლ-დი, რაზეც სტემპ პეიდი მიუთითებდა; მიხვდა, რომ შინანი იყო ჩადენილზე მნიშვნელოვანი და შეუშინდა.

— მეტისმეტად მსუებეა შენი სიყვარული, — თქვა მამაკაცმა, თან ფიქრობდა, ახლა ის ძუკნა ჩემს თავს ზემოთ ზის, თვალებით იატაკს ხერულს და ისე შხედავსო.

— მეტისმეტად მსუებე? — იკითხა ხითემ, თან მდელოზე ფიქრობდა, სადაც ბეიბი საგზის ბრძანებაზე ხეჭები სცენიოდა ცხენისწაბ-ლებს. — სიყვარული ან არის, ან არ არის. უყუათო სიყვარულიც საერთოდ არ არის სიყვარული.

— ჰო, მაგრამ არ გაამართლა, არა?! გაამართლა? — არ მოეშვა ხითეს პოლ-დი.

— გაამართლა, — მიუგო ქალმა.

— როგორ? არ იკი, ბიჭები სად წაყიდნენ. ერთი გოგონა მკვდა-როა, მეორე კი ეზოდანაც არ გადგამს ფეხს. როგორ გაამართლა?

— „საყვარულ სახლში“ არ არიან. სკოლის მასწავლებელი არ არის მათი ბატონ-ჟატრონი.

— უარესი რამეებიც არსებობს.

— რა ჩემი საქმეა, რა არის უარესი?! ჩემი საქმე მარტო ისაა, ერცოდე, რა ხდება და მოყარიდო ისინი იმას, რაც საშინელია. ასეც გუაკეთე.

— ის, რაც შენ გააკეთე, შეცდომა იყო, ხითე.

— უკან უნდა დავბრუნებულიყავი? ჩემი ჟატარუბი უკან უნდა მი-მებრუნებინა?

— სხვა გზაც შეიძლებოდა ყოფილიყო, რამე სხვა გზა.

— რომელი გზა?

— ორფეხი ხარ, ხითე, ოთხფეხი არა, — თქვა პოლ-დიმ და მათ შორის ერთბაშად მიული ტყე ამოიშარდა. არც გზა ჩანდა სადმე ამ ტყეში, არც ხმა ისმოდა საიდანმე.

უკვირდა მოგვიანებით პოლ-დის, ეს რამ მათქმუვინაო. იქნებ საფურუ ხბორებმა, ახალგაზრდობიდან რომ შერჩენოდა მის მქასიერებას? იქნებ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ჭურში ვიღაცის გამჭოლი შეერა ატანდა? უკვირდა პოლ-დის, როგორ სწრაფად დაუკიიწყე საკუთარი სირცხვილი და სითუს შერცხვენაზე დავიწყე ფიქრიო, როგორ ერთბაშად გადავხტიო საკუჭნაოს საიდუმლოდან სითუს მსუყე სიყვარულზე.

ამასობაში კი იზრდებოდა და ივსებოდა მათ შორის გაჩენილი ტყე.

მაშინვე არ დაუხურავს პოლ-დის ქუდი თუზე. ჯერ თითები შეახო ქუდს, თან ფიქრობდა, როგორ უნდა წასულიყო, უბრალოდ უნდა დაეტოვებინა აქაურობა თუ უნდა გაქცეულიყო, თან უკანმოუხედავად უნდა მოქერხებინა წასვლა. ფეხზე წამოდგა პოლ-დი, შემობრუნდა და თეთრ კიბეს ახედა. და აი, ისიც. იქ იყო, იდგა სართით გაჭიმული და ზურგი პოლ-დისკენ მიეშვირა. არ მიჭრილა პოლ-დი კართან. ნელა გაიარა ოთახი, მერე კი, ვიდრე კარს გააღებდა, სითუს სთხოვა, ვახშამი შემინახე, შეიძლება ცოტა დამაგვიანდესო. მხოლოდ ამის მერე დაიხურა თუზე ქუდი.

„კეთილია. ალბათ, ფიქრობს, პირდაპირ თუ იტყვის, ვერ გადავიტან. ალბათ, ფიქრობს, რომ ყველაფრის შემდეგ, რაც ვუამბე, მას შემდეგ, რაც მითხრა, რამდენი ფეხი მაქვს, მისი წასვლა გამტეხს. სიკეთეა ეს, აბა, რა?!“ — გაიფიქრა სითუმ, მერე კი გაუვალ ტყეს ამოფარუბულმა დაიჩურჩულა:

— ჯერჯერობით

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკავი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ବ୍ୟାକ୍‌ରୂପ II

124 ნომერიში ხმაურით იყო. გზაზე მიმავალ სტემპ პეიდსაც კი ეს-მოდა იქიდან გამოსული ხდები. თუკადაც 124 ნომრისკენ მიღიოდა, თან სალახანასავით მოიპარებაო, არაუის რომ არ ეთქვა, ცდილობდა, თუვი რაც შეიძლებოდა მაღლა დაეჭირა. არადა, ერთხანად აფორიაქებული იყო და საკუთარი თუვი სწორედ რომ სალახანად წარმოედგინა მას შემდეგ, რაც გაზეთიდან ამონაჭრი ეჩვენებინა პოლდისთვის და გაუვო, რომ ამ უკანასკნელს იმავე დღეს დაეტოვებინა 124 ნომერი. ადგილს ვერ პოულობდა. მას შემდეგ, რაც საკუთარ თუს ეჭიდავა, მოყვოლა თუ არა მამაკაცისთვის სიმართლე მისთვის რჩეულის შესახებ, მას შემდეგ, რაც თუვი დაეჯერებინა, სწორედ ასე უნდა მოვიქცეო, ახლა სითუზე ჯავრობდა. მე ხომ არ მოვუღე ბოლო მცირედი ბედნიერების უკანასკნელ შანსს, კარგ კაციან ერთად ყოფნას რომ შეიძლებოდა მისთვის მოეტანაო, ფიქრობდა სტემპი. ნეტავ გული თუ წყდებოდა სითუს იმის გამო, რაც დაკარგა, იმის გამო, ასე დაუპატიჟებლად, უთხოვნელად რომ გააცოცხლა ყველა ჭორი ადამიანმა, მდინარეზე გადმოსვლაში რომ დახმარებოდა, კაცმა, რომელიც მისი მუკობარიც იყო და ბეიბი საგზისაც?

— მეტისმეტად ბებერი ვარ იმისთვის, რომ თუში ყველაფერი
რიგზე მქონდესო, — ფიქრობდა სტემპ პეიდი. სასაკლაოს ეზოში
საიდუმლოსთვის ფარდა რომ უნდა აქმადა, განვმარტოვდეთ, დაე-
ჟინებინა, ახლა კი ფიქრობდა, ნეტავ ვის დაცვას ვფიქრობდიო მა-
შინ. პოლ-დი ერთადერთი ადამიანი იყო ქალაქში, ვინც სიმართლე
არ იცოდა. როგორ გადაიქცა გაზეთში მოთხრობილი ამბავი საი-
დუმლოდ, რომელსაც საღორუშიც ჩურჩულით თუ გაანდობდი ვინ-
ძეს? მერედა, ვისგან უნდა დაგემაღა? ვისგან და სითესგან. სალა-
ხანასავით სითეს ზურგს უკან სჩადიოდა ამას სტემპ პეიდი, მაგრამ
ზურგს უკან, ჩუმ-ჩუმად რაღაცების კუთხა მისი ცხვრუბის საქმე
იყო, თუმცა მუდამ ნათელი და მართლი მიზნისთვის კი ირჯებოდა.
ომამდე მარტო იმას აკეთებდა, რომ მაღლულად აგვარუბდა რაღა-
ცებს, ხან გაქცეულები გადაპყავდა სამალავში, ხან საიდუმლო ინ-
ფორმაციის გამეღაწნებას უწყობდა ხელს. ბოსტნეულის ქვეშ, სრუ-
ლიად ლეგალურად რომ ეზიდებოდა, კონტრაბანდა გადაპქონდა,
ანუ ადამიანები გადაპყავდა მდინარუზე. თუის მიზანს მაშინაც არ

თვიწყებდა, გაზაფხულზე ღორებში რომ მუშაობდა. ერთდღოულად რამდენიმე ოჯახს გაპქონდა ხოლმე თავი სტემპ პეიდის დარიგებული ძვლებითა და შიგნეულობით. მათ მაგივრად წერდა წერილებს და იმასაც უკითხავდა, რასაც მათ სწერდნენ. იცოდა, წყალმანკი ვის პქონდა და შეშა ვის სჭირდებოდა ღუმლისთვის. იცოდა, რომელი ბავშვი იყო ნიჭიერი და ხელის წაკვრა რომელს სჭირდებოდა. ყველა საიდუმლო იცოდა, რომელსაც მდინარე ოპაიო და მისი ნაპირები ინახავდა; ყველა სახლის საიდუმლო იცოდა, ცარიელისაც და ისეთისაც, შიგ ვინმე რომ ცხოვრობდა. იცოდა, ყველაზე უკეთ ვინ ცეკვავდა, ყველაზე ცუდად ვის გამოსდიოდა ლაპარაკი, ვის პქონდა სიძლერის საუცხოო ნიჭი და საერთოდ, ვინ ვერ უშვებდა პირიდან ხმას. ფეხებს შორის საინტერესო აღარაფერი პქონდა, მაგრამ ის კი ახსოვდა, ადრე როგორ იყო საქმე, როგორ მიერუკებოდა ბუნება თავისას. ახსოვდა და სწორედ ამიტომაც იფიქრა დიდხანს და სერიოზულად, ვიდრე ხის კოლოფს ახსნიდა თავს და შიგნით თვრამეტი წლის წინანდელი გაზეთის ამონაჭერს მოძებნიდა, პოლ-დისთვის დამამტკიცებელი საბუთოით რომ ეჩვენებინა.

მხოლოდ ამის შემდეგ და არა მანამდე დაფიქრდა სტემპ პეიდი სითუს გრძნობებზე. პოდა, გვიან რომ იაზრა, ამიტომაც გრძნობდა თავს ასე ცუდად. იქნებ ყველაფერს უნდა შეშვებოდა, იქნებ სითუს თავად უნდა გამოეძებნა დრო პოლ-დისთვის ყველაფრის მოსაყოლად, იქნებ ქრისტეს დიდსულოვანი მეომარი კი არ იყო, როგორადაც თავი წარმოედგინა, არამედ ერთი ჩვეულებრივი, უბრალო არამკითხე მოამბე გახლდათ, რომელსაც სიმართლისა და სიფრთხილის გამო, ანუ ისეთი რამებისთვის, რასაც დიდად თავადაც არ დაგიდვედათ, მშვენიერი საქმისთვის შეეშალა ხელი. ისეთოვე იყო ახლა 124 ნომერი, როგორიც პოლ-დის ქალაქში ჩამოსვლამდე — გასაქანს არ აძლევდნენ სითუსა და დენვერს სახლში დასტად ჩასახლებული აჩრდილები, რომელთა ხმები გზიდანაც კი ესმოდა სტემპ პეიდს. სულის დაბრუნებასთან შევუება სითუს რომც მოქურნებინა, არ სჯეროდა სტემპს, რომ მისი ქალიშვილიც შეძლებდა იმავეს. ნორმალურ ადამიანთან ურთიერთობა სჭირდებოდა დენვერს. ალალბედზე ყოფილა ახლოს სტემპ პეიდი, როცა გოგონა ის-ის იყო დაბადებულა, იქამდე, ვიდრე სიცოცხლეს შეიგრძნობდა. ამიტომაც იყო, გულგრილად რომ ვერ ეკიდებოდა გოგონას ბედ-ილ-

ბალს მოხუცი. განა არ იცით, ოთხი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც დედა-შვილი მდინარეზე გადმოიყვანა, ისე გაახარა საღ-საღამათი ბავშვის დანახვამ სტემპი, რომ რამდენის წამოღებასაც შეძლებდა, იმდენი მაყვალი დაკრიფა, მთელ ოლქში საუკეთესო მაყვალი იყო, და ორი ცალი ჯერ პატარა დენვერს ატაკა პირში, მერე კი რის ვაი-ვაგლახით მოწეული მოსაყალი ბეიბი საგზს მიართვა. დღემდე სჯე-როდა, კენკრის გამოისობით იყო, დენვერი აქამდე ცოცხალი რომ გახლდათ, კენკრისა, რომლის გამოც ჯერ ლხინი გააჩაღეს, მერე კი შემის ჩეხამ მოუწია. მაშინ იქ რომ არ ყოფილიყო შემის დასაჩქად მისული სტემპი, მოფიცრულ კედელზე მიასხმევინებდა სითუ ჩვილ ბავშვს თავს. იქნებ სითუზე თუ არა, დენვერზე მაინც უნდა ეფიქრა მოხუცს, ვიდრე პოლ-დის ისეთ რამეს ეტყოდა, რამაც ეს კაცი გა-აქცია, გააქცია ერთადერთი ნორმალური ვინმე, ვინც კი გოგონას ბეიბი საგზის სიკვდილის შემდეგ ცხოვრებაში ენახა. სწორედ ეს ესობოდა ეკალიფით გულზე სტემპ პეიდს.

დენვერსა თუ სითუზე დაგვიანებულ ჯავრზე უფრო ღრმა და მტკიცნეული ბეიბი საგზის მოგონება გახლდათ. ისევე უშანთავდა ეს მოგონება მოხუცს გულგვამს, როგორც ბრიყვს უწვავს ხოლმე ჯიბეს შიგ მოხვედრილი ვერცხლის დოლარიანი. ზეაზიდულ მთა-საუით სწვდებოდა ამ ბეიბის ხსოვნა ზეცას, რომელიც სტემპ პეიდს მართლაც ზემოთ ეგულებოდა. სწორედ ბეიბი საგზის ხსოვნის, მისი პატივისცემის გამო იყო, თავაწეული რომ შევიდა 124 ნომრის ეზოში სტემპი, არადა, გზაზეც კი გამოდიოდა იქაური ხმები.

ბობოქარ რეაქციას, რომელიც სითუს ჰქონდა გაქცეული ზანგების შესახებ მიღებულ კანონზე, სტემპ პეიდი სატანჯველს ეძახდა. ჰოდა, ამ სატანჯველის შემდეგ მოხუც ზანგს მხოლოდ ერთხელ დაედგა ფეხი 124 ნომერში და ისიც იმისთვის, რომ ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანი, გამოესვენებინა იქიდან. ცხედარი ხელში რომ ასწია, მოეჩვენა, რომ საჩუქარი ეჭირა და ბეიბი საგზის მაგივრად გაუხარდა, აქაოდა, მენჯში კრაჭუკრუჭი აღარ ექნება, რადგან ბოლოს და ბოლოს მასაც დაატარებს ვიღაცა ხელითო. კიდევ ცოტა ხანსაც რომ მოეცადა ბეიბი საგზს, ომის დამთვრებასაც მოესწორებოდა და თვალში საცემ შედეგებსაც, უცბად რომ მოპყვა ომის დამთვრებას. ერთად იზეიმებდნენ; საგანგებო ქადაგების მოსასმენად წვიდოდნენ, არადა, ახლა სახლიდან სახლში დადიოდა სტემპი და

იმას სკამდა, რასაც გახარჯელი ხალხი სოუპაზობდა. პოდა, რომ არ შოიკადა ბეიბიძ და სტემპიც ისე დაესწრო, მის დაკრძალვას, დაობლებული ადამიანის დარღზე მეტად წყენას გრძნობდა. სითხს და მის ქალიშვილს ამ ამბის გამო არ უტირიათ ერთი ის თქვა სითქმ, მდელოზე გადაასკუნეთო და სტემპ პეიდმაც, სკადა დამორჩილებოდა მის ნებას, მაგრამ ხელი თუთო კანიანების მიერ დადგენილმა წესმა შეუშალა, აქა და აქ უნდა განისცენებდნენო მიცვალებულები. ყელგამოჭრილი ბავშვის გვერდით დაიკრძალა ბეიბი საგზი, სტემპი კი არ გახლდათ დარწმუნებული, რომ მოწმონებოდა ასეთი სამეზობლო ბეიბის.

ჯდომა ეზოში პქონდათ სტემპის გარდა არაუინ შევიდოდა 124 ნომერში და იმიტომ. შეურაცხყოფას შეურაცხყოფით უპასუხა სითქმ, არ დაესწრო ლვთისმსახურებას, ლირსი პაიკი რომ ატარებდა. ამის ნაცვლად სასაფლაოს მიაშურა და დუმილით შეურწყა იქაურ სიჩუმეს. იდგა და არ აყოლებდა ხმას დანარჩენებს, მთელი გულით რომ გალობდნენ საეკლესიო პიმნებს. იშვა დამცირებისგან დამცირება: 124 ნომრის უკანა ეზოში შეკრუბილი დამტირებლები თვის მოტანილ საჭმელს ჭამდნენ, სითხსას კი არ ეკარუბოდნენ, რომელიც თვადაც არ ეკარუბოდა მათსას და დენვერსაც აუკრძალა რამეზე ხელის ხლება. პოდა, ბეიბი საგზი, ლვთისმოსავი ადამიანი, გათვისუფლებულს თვისი სიცოცხლე თანხმობისთვის რომ შეწირა, ჩვეულებრივი სიამაყის, შიშის, ბრალდებებისა და ლურძლის დაკლურით დაიკრძალა. თითქმის ყველა იმას ნატრობდა ქალაქში, იქნება სითუ შავ დღეში ჩატარდესო. თითქოს მისი აღმაშფოთებვლი მოთხოვნები, მისი თვედაჯერება მოითხოვდა ამას და სტემპ პეიდიც, რომელსაც მთელი თვისი შეგნებული ცხოვრება ოდნავი სიმდაბლეც არ გაუვლია გულში, ფიქრობდა, ასე თუ ისე, მეც ხომ არ გადმომედო იმათი იმედი, ვინც ქალაქში ფიქრობს, სიამაყე კაცს კარგს არაფერს უქადისო. ამით კი აიხსნებოდა, რატომ არ გაეწია მოხუცს ანგარიში სითხს გრძნობებისთვის და იმისთვის, რაც დენვერს სჭირდებოდა, როცა პოლ-დის გაზეთიდან ამონაჭერს აჩვენებდა.

ოდნავი წარმოდგენაც არ პქონდა, რას მოიმოქმედებდა, ანდა რას იტყოდა, თუკი სითუ კარს გააღებდა და თვალებში შეხედავდა. უნდოდა, დახმარება შევთავაზებინა სითხსთვის, თუკი სჭირდებოდა სითხს მისგან შეველა; ანდა უნდა მიელო მისი გულისწყრომა, თუკი სითუ

საერთოდ უწყირუბოდა. გარდა ამისა, საკუთარი გულის კარნახსაც ენდობოდა სტემპი პეილი, გული კი კარნახობდა, რომ უსამართლოდ მოქმედობდა ბეიბი საგზის ოჯახს, და ამის გამოსასწორებლად უნდა შესულიყო 124 ნომერში, სადაც აჩრდილების მომრავლებას ის ხმებიც ადასტურებდა, გზიდან რომ ისმოდა. სხვა მხრივ იმედი პქონდა, რომ იესო ქრისტეს წყალობით დასძლვედა იმას, რაც უხსოვარი დროიდან არსებობს, მაგრამ არც ისე ძლიერია.

მიღიოდა სტემპი პეილი ვერანდისკენ, ჩაესმოდა ხმები, მაგრამ რას ამბობდნენ, ვერ არჩევდა. ვიდრუ ბლუსთოუნ-როუდზე იყო, უფრო, მჭახე ხმები აუცილებელ რამეზე ლაპარაკობდნენ ხმამაღლა, თანაც ყველა ერთდროულად. ამიტომაც იყო, რომ ვერ გაარჩია, ვის ან რაზე ელაპარაკებოდნენ. ნამდვილად არ ჰგავდა ეს ხმები უაზრო ლაპარაკს, არც რომელიმე დიალექტს ჰგავდა, მაგრამ ვიღაცას სიტყვები ერთმანეთში ერთოდა და თვითი სიცოცხლეც რომ ყოფილიყო სასწორზე, სტემპს არც ამ სიტყვების გადმოცემა შევძლო, არც მათი გაშიფრა. „ჩემია“ იყო ერთადერთი სიტყვა, რომელიც სტემპი პეილმა გაარჩია. სხვა დანარჩენს ვერ სწოდებოდა მისი გონება, მაგრამ უკან მაინც არ დაუხვევია. კიბესთან რომ მოვიდა, ხმები ერთბაშად მიიღია და ლამის ჩურჩულიც აღარ ისმოდა. ფეხი აითრია მოხუცმა. ახლა შიგადაშიგ ბუტბუტი ისმოდა, ქალის ხმას ჰგავდა, რომელსაც ჰგონია, რომ მარტოა და სამუშაოში გართულს არავინ აღეუნებს თვალს. ხან უკმაყოფილო „ნწუ“ ისმოდა, თითქოს ვიღაცას ნემსში ძაფის გაყრა ვერ მოქმედი ინა; ხან სუსტი წამოკვნესება, აქაოდა, ჩემი ერთადერთი ხეირიანი სინი კიდევ ერთგან ამოტქილაო; ხანაც ხმადაბალი, მეგობრული გარჩევის ხმები მოღიოდა, თითქოს ვიღაც ქალი ქათმებს ემუსაიფებოდა. არც სისასტიკისა ეტყობოდა ამ ხმებს რამე და არც საზარული მოსასმენი იყო. მარადიული, სხვებისგან დაფარული საუბარი იყო, ისეთი, საქმეში გართული ქალები საკუთარ თვეს რომ გაუბამენ ხოლმე.

იმ კარზე დასაკაკუნებლად ასწია სტემპი პეილმა ხელი, ზედ რომ არასოდეს დაეკაკუნებინა — შეიძლება, მარტო მისთვის იყო ასე, მაგრამ ეს კარი სულ დია ხვდებოდა. ვერ შეძლო დაკაკუნება სტემპმა. ერთადერთი, რასაც დაკალებული ზანგებისგან დახმარების სანაცვლოდ მოელოდა, ის იყო, რომ მათთან ურთიერთობაში ფორმალობების გარეშეც იოლად უნდა გასულიყო. მოგიტანდათ სტემპ

პერი პალტოს, გადმოგავიშდათ წერალის, გადაგარისებდათ ან წერის
ბაქს შევისუბდათ და გაგიშინაურდებოდათ კიდევ ისე, თითქოს ხა-
კუთარ სახლში გრიხობდა თქვენთვის თუ ცა. რა კი ისი ყველა მოსეკვის
რაღაც სახიერო ახლდა თუ. გადააბიჯებდა თუ არა რეიმელის ზო-
გის სახლის ზღურიბლზე, ან დაკკიულებდა თუ არა მასაბინძლის გას-
გონად. უძალ გულთბილად ვაბებუბოლებუნს. ერთადერთი პრივიულუსი
რომ არ დაკარგა, რომელიც რდებოდა მიუკოხებია, ხტებმა პატიში
ჩერელი ხელი დაბლა დაუშეა და კურანდას გაეციალა.

ზედიზედ რამდენჯერმე სცადა სითქ სანახაურად მისულია. გადაწყ-
ვიტილი პქონდა, ენახა. გაარიღებუდა ხელმე მქახე ხმების ხამურ-
კულს. მიაყურადებდა ბუყბუყს. სახლიდან რომ ისმოდა და წერდე-
ბოდა. ცდილობდა. გამოეცნო, კარამდე მისულს, მერჯ რა უნდა ექნა.
ექვსი დღის განმავლობაში ზედიზედ ექვსჯერ მოუიდა და, რა კი მკუ-
ლი ჩვეულება უკვე მიეტოვებინა. 124 ნომრის კარზე დაკაკუნებაც
ექვსჯერ სცადა. ერთბაშად დარია ხელი სიკიფებ სტემპ პეიდს —
მიხვდა. დაკაკუნებდა და აღიარებდა. რომ ნამდვილად უკინო იყო
ამ კარ-მიდამოსთვის. მიუყვებოდა უკან თოვლზე დატოვებულ საკუ-
თარ ნაკულებს მოხუცი და ოხრავდა. გული ერჩოდა, მაგრამ სხე-
ულს დაძაბუნება შესჩენოდა.

ვიდრე სტემპ პეიდი საკუთარ თუ აჯერებდა, 124 ნომერში ბეი-
ბი საგზის გულისთვის უნდა მოიდეო, სითქ ცდილობდა, იმავე ბე-
ბით საგზის რჩებას მიჰყოლოდა და ფარ-ხმალი დაეყარა. მარტო
იმის აღიარებას კი არ ცდილობდა, რომ ბეიბი საგზი მართალი იყო,
არამედ სინამდვილეში უნდოდა, რომ მიჰყოლოდა მის რჩებას. ოთხ
დღეში, მას შემდეგ, რაც პოლ-დიმ უთხრა, ამდენი და ამდენი ფეხი
გაქვსო, სითქ ვიღაცების ძველ-ძველ ფეხსაკმელებში იჩხრიკებოდა.
საღლაც ციგურები ჭულებოდა და იმათ ეძებდა. აფასურებდა ხელს
ფეხსაცმლის გროვაში და საკუთარი თუ ისაგდა, ასეთი მიმნდობი
რომ იყო, ასე სწრაფად რომ დანებდა პოლ-დის, ღუმელთან ზურგს
რომ უკოცნიდა. უნდა სცოდნოდა, გაიგებდა თუ არა სიმართლეს
პოლ-დი, ისიც ისვევ მოიქცეოდა, როგორც სხვები იქცეოდნენ ამ
ქალაქში. დიდი ხნის წინ ჩაპარებოდა წარსულს ის რცდარები დღე.
როცა დაქალებიც ჰყავდა, დედამთოლიც და შვილებისთვისაც ერთად
მოჟარა თუ; ოცდარება დღე, როცა ერთი მთლიანი სამეზობლოს

ნაწილი გახდათ, როცა სინამდვილეში პყავდა ირკელი ხალხი, რომელებზეც ეთქმოდა, ჩემი მეზობლები არიანო. მდელოზე გამართული არავითარი ცეკვები და ქეიფები, არავითარი ხან ბობოქარი, ხანაც შევიდი პაექრობები გაქცეული მონების შესახებ კანონის ნამდვილ არსზე, დასახლების სანაცვლოდ გადასახდელ გადასახადზე, უფლის გზებსა და ეკლესიაში ზანგებისთვის გამოყოფილ მერხებზე. არავისთან მოუწევდა კამათი მონობასთან ბრძოლაზე, მონების გათვალისწილებაზე, არჩევნებში კანის ფერის მიხედვით მონაწილეობაზე, რესუბლიკულებზე, დრედ სკოტზე, წიგნიერებაზე, დროებით ჩამოსახლებულთა დიდბორბლება ეტლებზე, „დელავერის ფერადკანიან ქალბატონებზე“, ოპაიოსა და სხვა საჭიროობოტო საკითხებზე, სკამზე გაუნძრევლად ჩამომსხდრები რომ არჩევდნენ და იატაკზე ფეხებს აწრიპინებდნენ, ანდა სასიკეთო ამბით გამხნვებულები აქეთიქით ბოლთას სცემდნენ. აღარ დაელოდებოდა სულმოუთქმელად სითუ არც „ნორთ-სტარს“, არც წარუმატებლობის ამბებს. აღარც მუხანათობის გამო მოჰყვებოდა ოხვრას, აღარც მცირედი გამარჯვების გამო შემოჰკრავდა ხელს ხელზე.

ოცდარვა ბედნიერ დღეს კვალად გაკიცხვისა და განდევილობის თვრამეტი წელიწადი მოჰყვა. მერე იყო რამდენიმე გასხვოსნებული თვე, გზაზე ხელჩაკიდებულ ჩრდილები რომ პპირდებოდნენ. იყო პოლ-დის ნაცნობ-მეგობრების ფრთხილი მისალმებებიც, იყო პირადი ცხოვრებაც, მერე კი დენვერის მეგობრის გარდა ყველაფერი პირწმინდად გაქრა. ნუთუ სულ ასე უნდა იყოსო, ეკითხებოდა თუს სითუ. ნუთუ თვრამეტი წელიწადში ერთხელ უნდა შეჭრილიყო მის გაუსაძლის ცხოვრებაში ხანმოკლე ბედნიერება?

რაც გაწერია, ვერ გაექცევი.

სითუ მუხლებზე იდგა და იატაკს ხეხავდა, დენვერი კი შმრალი ჭინჭებით დასდევდა კუდში, როცა ოთახში საყვარელი გამოჩნდა და იკითხა: „ეს რისთვისაა?“ იდგა მუხლებზე სითუ, ხელში ხეშეში ჯაგრისი ეჭირა და გოგონას უყურებდა, ციგურები ზემოთ რომ აწია. საერთოდ არ შეეძლო ციგურებით სრიალი სითუს, მაგრამ გადაწყვიტა, ბეიბი საგზის რჩევას მიჰყოლოდა და ფარ-ხმალი დაჟარა. ვედროს თუ მიანება, დენვერს შალების მოტანა დაუკალა და ციგურების კიდევ ერთი წყვილის ძებნას შეუდგა, რომელიც, დარწმუნებული იყო, ფეხსაცმლის იმავე გროვაში იმალებოდა. ვინ-

მე გადაშემატკიცარს ანდა უბრალოდ გამვლელს, მათ შორის პოლ-ლისაც. ახლა მისი სახლის ფანჯარაში ცალი თვალით რომ შექედა და დაეწიას. რას აკეთებდა სითუ, ჩათვლიდა, შეიღების სიყვარულშა მესაძედ შეაცდინაო ეს ქალი ჭკუიდან, ქალი, რომელიც ცოტა ხან-ში ძელნიერად დაქროდა პატარა, გაყინულ მდინარეზე.

ჩქარ-ჩქარა, დაუდვერად მიყარ-მოყარა ფეხსაცმელები და ცალი ციგურაც იპოვა. კაცის ციგურუბი იყო.

— კარგი. — თქვა სითუმ, — რიგრიგობით ვიზამთ ერთს ოროვე ციგურა ექნება, მეორეს — ცალი, მესამე ფეხსაცმელებით ისრია-ლებს.

წაქცეულები არავის დაუნახავს.

ერთმანეთისთვის ხელები ჩაეჭიდათ, ხელს აშველებდნენ ერთმა-ნეთს და ყინულზე ისე ტრიალებდნენ.

საყვარელს ოროვე ფეხზე ეკეთა ციგურუბი; დაპკრავდა ფეხსაცმ-ლიან ფეხს მყიფე ყინულზე დენვერი და მისრიალებდა ციგურიანი ფეხით უვონა სითუს, ოროვე ფეხზე ფეხსაცმელი თუ ეცმებოდა, უფ-რო მყარად იდგებოდა, უვონა, ფეხსაცმელი დაიჭერდა. ცდებოდა სითუ. ფეხის ორი გადადგმა და ზურგზე დაეცა წონასწორობადაკარ-გული. მასთან ერთად დაუყარნენ ყინულზე გოგონებიც, სიცილიდან კოვილზე რომ გადასულიყვნენ. წამოდგომა მოინდომა სითუმ და აღ-მოაჩინა. რომ ყინულზე რაიმეს მოტქა კი არა, უბრალო წაქცეულ მტკოვნეული იყო. სადაც არ ელოდა, იქ სტკიოდა ძვლები. სადაც არ ელოდა, იქ ეცინებოდა. წრეში ტრიალებდნენ, თუ სწორ ხაზზე მისრიალებდნენ, სამიდან ვერც ერთი ვერ ახერხებდა ერთი წუთის განმავლობაში ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერებას, მაგრამ წაქცეულები არავის დაუნახავს.

თითქოს სათითოდ ქმარებოდნენ ერთიმეორეს ფეხზე დგომაში, თუმცა დაენარც ხებოდნენ თუ არა ძირს, ერთიორად უფრო ხალი-სობდნენ. სანაპიროზე ამოსული ღონიერი მუხები და შრიალა ფიჭ-ვები გარს შემოსჯაროდნენ და მათ სიცილს ნთქავდნენ, ისინი კი ერთმანეთს ხელებზე ეპოტინებოდნენ და თავგამოდებით ქწინააღმ-დევებოდნენ დედამიწის მიზიდულობის ძალას. ფრთებოით ფრია-ლებდა პაერში მათი ქვედაკაბები და რაკი დღის სინათლე იღვრდა, სიცოისგან სამიეს მოეკალა კანი.

წაქცეულები არავის დაუნახავს.

ქანკების მოლოს სულის მოსათქმელად ზურგებზე და-
უძღვნებ. თოთქოს სხვა სამყაროს ეკუთვნოდა ზეცა. შნის ჩასვლამ-
დე გამოჩენილიყვნენ ზამორის სუსხიან პაერს მიღმა გარსკვლავები.
ისე ახლოს იყვნენ. გჯონებოდა, ხელს გაიშვერდი და დაიჭრები
ნებისმიერს. იყურებოდა კაში სითუ და წამით გარსკვლავების აბ-
სოლუტურ სიშვიდეშიც შეაბიჯა. მერე დენვერი წამოდგა ფქნე
და დაძრუკიდებლად სრიალი სკადა. უნდოდა, შორს გასრიალებუ-
ლიყო. ციგურის წვერით ამოშვერილ ყინულს წამოედო და დაეცა.
ისე გააფიქრებით და უიმედოდ ააფართხუნა ხელები, რომ სამოებ,
სითუმ, საყვარელმა და თაქად დენვერმაც იქამდე იცინეს, სანამ ხვე-
ლა არ აუკარდათ დაოთხდა სითუ. სიცილისგან მკერდი ერთბაშად
აუდ-ჩაუდიოდა. ცრუმლიც სდიოდა თვალებიდან. კიდვ ცოტა ხანს
იდგა ასე დაოთხილი. სიცილის თვეი აღარ ჰქონდა, ცრუმლი კი მა-
ინც მოხდიოდა. გვიან მიხედნენ საყვარელი და დენვერი, რომ აღარ
იცინოდა სითუ. მიხედნენ და ოდნავ შექნენ კიდეც ქალს ხელებით
მხრებზე.

ტყის გაულით შინ რომ ბრუნდებოდნენ, გოგონები აქეთ-იქით
ედგნენ სითუს, მას კი ოროვესთვის მოქვეია ხელი. მათც შემოეჭ-
დოთ სითუსთვის ხელები წელზე. ბორძიკ-ბორძიკით მიიკვლევდნენ
გზას დამშხალულ თოვლზე. რომ არ წაქცეულიყვნენ, მაგრად უნდა
ჩაბდაუჭებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ წაქცეულები არავის დაუნა-
ხავს.

შინ შესულები მიხედნენ, რომ სციოდათ ფქნსაცმელი და სკელი
წინდები გაიხადეს და შალის შშრალი წინდები ამოიცვეს. დენვერმა
ცეცხლს შეუკეთა. სითუმ ქვაბით რძე შეათბო და ლერწმის სიროფი
და განილი შეურია. ისხდნენ დალიანდაგებულ და მატყლის საბნებ-
ში გახვეულები ღუმლის წინ, სუამდნენ განილიან რძეს და ცხვირუბს
იხოცავდნენ, მერე კი ისვე სუამდნენ და ისვე იხოცავდნენ ცხვირუბს.

— შეგვეძლო, ღუმელში კარტოფილი შეგვწინა, — თქვა დენვერმა.
— ხვალ. ძილის დროა უკვე, — მიუგო სითუმ და გოგონებს ცოტ-
ცოტა ცხელი, ტკბილი რძე დაუმატა. ტკაცატკუცი გაპქონდა ღუ-
მელში ცეცხლს.

— თვალები გაჩერდნენ? — იკითხა საყვარელმა, რაზეც სითუს
გაეღიმა და უპასუხა:

— ჟო, გაჩერდნენ. ბოლომდე დალიე. დაწოლის დროა.

თბილი საბნიდან გამოძრომა არც ერთს არ უნდოდა. არც ერთს არ უნდოდა, ცეცხლსა და რძიან ფინჯანს შეღეოდა და ცოვ ლოგინში ჩაწოლილიყო. პოდა, წრუპვა-წრუპვით შექცნენ რძეს, თან ცეცხლს უყურებდნენ.

რაღაცამ გაიტკაცუნა. ვერ მიხვდა სითქ, რისი ხმა უნდა ყოფილიყო. მერე დღესავით ნათელი გახდა, რომ ჭაქტში ატკაცუნებდა ვიღაც თითებს. იქამდე მოეგო გონს სითქ, ვიდრე სიმღერას მოჰკრავდა ყურს, ვიდრე პირველი სამი ნოტი მისწვდებოდა მის სმენას, ვიდრე მელოდია გამოიკვეთებოდა. ოდნავ წინ დახრილიყო საყვარული და ტკბილად ღიღინებდა.

და აი, მაშინ, როცა საყვარული ღიღინს მორჩა, გაახსენდა სითქს, თვალაც როგორ ატკაცუნებდა ხოლმე თითებს სიმღერის ნაწყვეტებს შორის, მარტო თვისი პატარებისთვის რომ მოეგონა და მათ გარდა სხვას რომ არავის უმღეროდა. წვეთო რძე არ დაუქცევია ფინჯნიდან სითქს. არ უკანკალებდა ხელები და იმიტომ. უბრალოდ თვი მიაბრუნა და საყვარულის პროფილს შეხედა. უყურებდა სითქ გოგონას ნიკაპს, ცხვირს, მის პირსა და შუბლს, ცეცხლის შუქშე უზარმაზარ ჩრდილს რომ სცემდა კედელს. უყურებდა საყვარულის თმას, დენვერს ოც თუ ოცდაათ ნაწილად რომ დაწინა და მხრებისკენ მკლავებით მოეკავებინა. იმ ადგილიდან, სადაც თვალ იჯდა, არც საყვარულის თმის ღერების გარჩევა შეეძლო სითქს, არც მისი წარბების, ანდა ტუჩების...

„მარტო ის მახსოუს, — ეთქვა ბეიბი საგზს, — რომ პურის მიმწვარი ძირი უყვარდა, მის პატარა ხელებს კი მაშინაც ვერ ვიცნობდი, ჩემთვის სახეშიც რომ ერტყათ“.

...არც ხალი, არც ღრძილების ფერი, არც ყურის ფორმა...

„აქეთ აქეთ შემომხედე. მე დედაშენი გარ თუ სახეზე ვერ მიცნობ, ამ დაღით მიხვდები“.

...არც თითები, არც ფრჩხილები...

კიდევ ექნებოდათ დრო გასახსენებლად, თანაც უკვე მომხდარიყო მოსახლენი — ყველაფერი თვ-თვის ადგილზე დაბრუნებულიყო და ჰაერში გამოკიდებული ელოდვებოდა წუთს, როცა მკვდარი წერტილიდან გასხლტებოდა.

— ეს სიმღერა მე მოუიგონე, — თქვა სითქმ, — ვიცი, ეს სიმღერა.

სითქსთვის რომ შეხედა, საყვარულმა მისკენ იბრუნა პირი და მიუგო:

ხის ფულუროში ნაპოენი შეჩექშის ლურსამნით დაჭრდილ ზარდახებას სანამ გახსნი, იქამდე ხელით კარგად უნდა მოხინჯო. დაუანგებული ან დაფშვნილი საჭრი შეიძლება ხულაკ არ პქონდეს შერჩენილი შესაკრავზე. კიდრე ბოლომდე არ ამოიღებო სამაღლავიდან, არც იფიქროთ ნაჯახის თავით მისი გატქა. არა იფიქროთ ამ ნამდევილ სასწაულზე ხელის წავლება, რადგან მოული სასწაულიც ის არის, რომ იცოდით იმთვეითვე თქვენ გელოდათ ფულუროში ზარდახმა.

სითუმ ქვაბის კედლებზე მოდებული ატლასთვით პრიალა პკე ამოწმინდა და სასტუმრო ოთახიდან გოგონებს ბალიშები გამოუტანა. ხმა ოდნავადაც არ უკანკალებდა, როცა დაუბარა, ცეცხლი არ ჩავიქრეთ, თუ არა და ზემოთ ამოდითო.

ეს თქვა და მატყელის საბანი აქეთ-იქიდან იღლიებში ამოიჩარა და პატარძალთვით აუყვა შროშანისფერ კიბეს. ნაირ-ნაირ ნარნარ ფორმას იღებდა და ისე ქვავდებოდა გარეთ თოული. გვერდი გვერდი, ზამთრის ცოვი პაერის მიღმა მოციქუიმე ვარსკვლავებიდან რომ გამოსჭვიოდა, მარადიული იყო.

თან ბაფთას ატრიალებდა ხელში სტემპ პეიდი და თან ხელახლა უახლოედებოდა 124 ნომერს. ადამიანის კანის სუნსაც გრძნობდა.

„ძვალ-რბილი ჩემი აღარაა, — ფიქრობდა მოხუცი, — მოული ჩემი დღე და მოსწრება დაღლილი ვარ, საშინლად დაღლილი, მაგრამ ახლა მოულ ტანში გამიჯდა დაღლილობაო“. ალბათ, ბეიბი საგზიც იმავეს გრძნობდა, როცა ლოგინად ჩაუარდა და დარჩენილი წუთისოფელი ფერუბზე ფიქრში გაატარა. როცა ბეიბიმ სტემპს თვისი მიზანი გაანდო, მამაკაცმა ჩათვალა, რომ რცხვენოდა და ამ სირცხვილზე ლაპარაკიც მეტისმეტად ერცხვინებოდა ქალს. ჩვეულებრივი მქადაგებელთვით არასოდეს უქადაგია ბეიბი საგზს — გინდა თუ არა, ამისთვის მეტისმეტად უვიცი ვარო, მაგრამ აუტორიტეტი, რომელიც როგორც მქადაგებელს ჰქონდა, ცეკვები, მისი მითითებით მდელოზე შეკრუბილები რომ ცეკვაუდნენ ხოლმე, მისი ლონიერი დაბახილიც, ყველაფერი დასაწუნი და სამასხარაო გახდა მისი სახლის უკანა ეზოში დაღვრილი სისხლის გამო. თვეგზა აებნია ღმერთს მის-თვის და ამისთვისაც რცხვენოდა მისი ბეიბი საგზს. ადგა და სტემპ

პეიდს უთხრა, უნდა ვიწყე და ფერუბზე უნდა ვიფიქროთ. ჯვალა სტემპი მის გადარწმუნებას. სითუ ციხეში იყო ძუძუთა ბაჟმეთან ურთად, რომელიც სტემპს გადაერჩინა. შეშინებული ბიჭუბი ხელასკილებულები დაღიოდნენ ეზოში და ერთმანეთს არაფრით უშებდნენ. ნაცნობ-უცნობებიც შეიყლიდნენ ხოლმე, კიდევ ერთხელ რომ მოესმინათ, რა და როგორ მოხდა, მაგრამ ერთხელაც ბეიბი საგზმა შევიდობა გამოაცხადა. სრულიად მოულოდნელად აღგა და სტერუბი მიატოვა. როცა სითუ გამოუშვეს, ბეიბის დაღლილ-დაქანცულ, გალურჯებულ სახეზე გურიანი ყვითელი ლაქები ეტყობოდა.

თუ იდან იშვიათად ოუ დაინახავდა სტემპ პეიდი ეზოში ბეიბის, ანდა მაშინ, როცა ამ უკანასკნელს ან საჭმელი მიპქონდა ციხეში, ანდა ქალაქში ვინმესთვის წალები უნდა დაებრუნებინა. დარწმუნებული იყო მაშინ სტემპ პეიდი, რომ სირცხვილმა ჩაავდო ბეიბი საგზი ლოგინად, ახლა კი, რვა წლის შემდეგ მისი დაკრძალვიდან, ლამის ჩხებით რომ დამთვრდა, სატანჯველიდან თვრამეტი წლის შემდეგ, სტემპმა აზრი შეიცვალა. ძვალ-რბილი აღარ უკარგოდა ბეიბი საგზს და მისი გულის დამსახურება იყო, რვა წელი რომ დასჭირდა, ვიდრე არ შეერწყმებოდა ფერუბს, რომელთა ნახვაც ასე სწყუროდა. ისევე, როგორც სტემპ პეიდს, ბეიბისაც მოულოდნელად დასცხრომოდა მრავალწლიანი დაღლილობა თუს. სამოცი წლის განმავლობაში მიჰყავდათ მისი შვილები ადამიანებს, რომლებიც ერთს გაღეჭვდნენ მავანის ცხოვრებას და თუმცის ფხასავით გადააპურჭყებდნენ; ხუთი წელი გაეტარებინა თუისუფლად და ეს თუისუფლება მისი ნაბოლარას საჩუქარი გახლდათ, სწორედ იმისი, ვისაც საკუთარი მომავლით გამოესყიდა ბეიბის მომავალი, ასე ვთქვათ, საკუთარ მერმისზე გადაეცვალა მისი მერმისი, რომელშიც თვად ან იქნებოდა, ან არა. მერე ეს შვილიც დაკარგა და ქალიშვილი შეიძინა, შვილიშვილებიც. მერე ისიც ნახა, როგორ დახოცა ამ ქალიშვილმა ბაჟვები, ანდა შეუცადა მათ დახოცვას. გამოცადა, რას ნიშნავდა, სხვა თუისუფლი ზანგების გვერდით ცხოვრება, გამოცადა, რას ნიშნავს, როცა გიყვარს და უყვარხარ, ურჩევ და გირჩევენ, იცავ და გიცავენ, აჭმევ და გაჭმევენ. მერე კი ამათაც უკან დაიხიეს და შორს დაიჭირეს თუი. ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანიც კი, გაცვდებოდა ასე.

— მისმინე, ჩემო კარგო, — უთხრა სტემპ პეიდმა ბეიბი საგზს, —

ღვთის სიტყვას ვერ მიატოვებ. ლაპარაკის ნიჭი გაქვს. ღვთის სიტყვას ვერ მიატოვებ და სულ არ მენაღვლება ის, რაც შენ გადაგხდა თქვს.

რიჩონდ-სორითზე იდგნენ, კოჭებამდე ფოთლებში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მოსაღამოებული იყო, ფართო სახლების ქვედა სართულის ფანჯრებს ნათერუბის შუქი ანათებდა და მის ფონზე სიბ-ნელეც უფრო ბნელი ჩანდა. შესანიშნავ სურნელს აფრქვევდა ცეცხლმოკიდებული ფოთლის გროვები, აქა-იქ რომ მოჩანდა. ის იყო, წერილის მიტანისათვის ფეხის ქირად ნაჩუქარ ცენტიან მონეტას სტემპ პეილმა ჯიბეში ჩაუძახა, რომ ქუჩის გადაღმა სრულიად შემ-თხვევით დალანდა ნაცნობი. ქალი, ხტუნვა-ხტუნვით რომ მიუყ-ვებოდა გზას, მისი ძველი მეგობარი გახლდათ რამდენიმე კვირის განმაჟლობაში არ ენახა ეს ქალი. სწრაფად გადაკვეთა სტემპმა ქუ-ჩა, მიდიოდა და მიაჭრაჭუნებდა ფეხქვეშ მოყოლილ წითელ-წითელ ფოთლებს. მიესალმა და ასე გააჩერა გზად მიმავალი ქალი, სალამშე მანაც სალმით უპასუხა, ოღონდ სახეზე ინტერესის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ასეთი არაფრის მოქმედი შესახედაობა რამე უსახურ, ბრტყელ თეთქმის შეიძლება პქონდეს. ქალს ხელში წაღაწულებით სავ-სე სამგზაურო ჩანთა ეჭირა და ელოდებოდა, როდის დაიწყებდა ან გააგრძელებდა საუბარს მამაკაცი, ელოდებოდა, მასაც როდის აიყო-ლიებდნენ ლაპარაკში. ბეიბი საგზის თვალებში დარდი რომ დაენა-ხა, ყველაფერი გასაგები იქნებოდა სტემპისათვის, მაგრამ დარდის ადგილზე ახლა გულგრილობა გახლდათ დაბუდებული.

— ზედიზედ სამჯერ არ მოხვედი შაბათს მდელოზე, — უთხრა სტემპმა ქალს, მან კი სახე მოარიდა და ქუჩაზე ჩამწკროვებულ სახ-ლებს დაუწყო გულდასმით თვალიერება, — ხალხი იყო.

— ხალხი ყოველთვის მოდის და მიდის, — მიუგო ბეიბი საგზმა.

— მისმინე, წაგალებინებ, — არ შეიმჩნია სტემპ პეილმა და ბეიბის დიდი ჩანთის აღება სცადა, მაგრამ არ დაანებეს.

— სადღაც აქ შეკვეთა უნდა ჩამებარებინა, — თქვა ბეიბიმ, — ტაკერები არიან გვარად.

— აგე, იქ, — დაანახვა ტაკერების სახლი სტემპ პეილმა და დას-ძინა, — ეზოში ორი წაბლის ხეა, თან აკადმყოფი ხეებია.

ცოტა ფეხით გაიარეს. მოხტუნავე ბეიბი საგზისთვის ფეხი რომ შეწყო, ნაბიჯს უკლო სტემპმა.

— ჰოდა...

— ჰოდა, რა?

— შაბათი მოდის. დაუძახებ ხალხს თუ რას იზამ?

— რომც დავუძახო. რომც მოვიდნენ, რა ჯანდაბა უნდა კუთხოს?

— ღვთის სიტყვა გადაეცი! — ლამის ყვირილით თქვა სტემპი პე-იდმა და ხმას დაუწია. მეტისმეტად გვიან მიხვდა. რომ ყვირილა — ორმა თეთრკანიანმა. ფოთლებს რომ წვეუდა, მისეუნ მიატრიალა თვი. სტემპიც დაიხარა და ჩასჩურჩულა ბეიბის. — ღვთის სიტყვა! ღვთის სიტყვა!

— ესეც წამერთვა, — თქვა ბეიბი საგზმა. აი, მაშინ კი მოჟ-ვა სტემპი პეიდი მის შევონებას, ხვეწია-მუდარას. ღვთის სიტყვა არათრისდიდებით არ მიატოვო. ნაბოძები პქონდა ეს ნიჭი ბეიბის და რაკი ასე იყო, უნდა გაეცა კიდეც, უნდა გადაეცა სხვებისთვის ღვთის სიტყვა. ვალდებული იყო.

ტყეც წაბლის ხესა და მათ უკან მოფარუბულ თეთრ სახლთან მი-სულიყვნენ უკვე,

— ხომ გესმის, რასაც გეუბნები? — გააგრძელა სტემპი პეიდმა, — ამხელა ხეებია, ორი ხეა ერთად, მაგრამ ახალგაზრდა არყის ხის ფოთლებს მაინც ვერც ერთი ვერ გამოიტანს.

— მესმის, რისი თქმაც გინდა, — უპასუხა სტემპს ბეიბი საგზმა და ნაცვლად იმისა, მისთვის შეეხედა, თეთრ სახლს მიაშტერდა.

— ვალდებული ხარ, — თვისისას არ იშლიდა მოხუცი, — ვალდე-ბული ხარ. შენსავით ვერავინ დაუძახებს ხალხს. იქ უნდა იყო.

— მე საწოლში უნდა ჩაუწევ და აღარასოდეს ავდგე. აი, რა უნდა გავაკეთო. მინდა, უწყინარ რამეზე ვიფიქრო.

— მერე სად გზაულება ვერთი რამე? ამ ქვეყანაზე უწყინარი არა-ფერია.

— არის. ლურჯი. არავის ვნებს. არც ყვითელია მავნებელი.

— საწოლში იმისთვის წვები, რომ ყვითელზე იფიქრო?

— მომწონს ყვითელი.

— მერე რაღას იზამ? ლურჯსა და ყვითელს რომ მოისტუმრებ, მერე რაღას იზამ?

— ვერ გეტყვი. ვერ დაგვემავ ასეთ რამეს.

— ვა ღვთის გმობაა, — თქვა სტემპმა, — ღმერთს გმობ. აი, რას აჟოთებ.

- არა, სტემპ. არ ვგმობ.
 - ამბობ, რომ თუთოკანიანებმა გაიმარჯვეს? ასე ამბობ?
 - მე ვამბობ, ჩემს ეზოში მოუიდნენ-მეთქი.
 - ამბობ, რომ აღარაფერს აქვს მნიშვნელობა.
 - მე ვამბობ, ჩემს ეზოში მოუიდნენ-მეთქი.
 - სითქა ის, ვინც ასეთი რამ ჩაიდინა.
 - რომ არ ჩაედინა, მერე რა იქნებოდა?
 - ამბობ, რომ ღმერთმა მიგვატოვა? აღარაფერი დაგვრჩენია საკუთარი სისხლის დაღვრის გარდა?
- მე ვამბობ, ჩემს ეზოში მოუიდნენ-მეთქი.
- ღმერთს სჯი, არა?
- ისე არა, როგორც თვითონ მსჯის
- ასე არ შეიძლება, ბეიბი. არ არის ასე სწორი.
- იყო დრო, როცა ვიცოდი, ეს რაც იყო.
- ახლაც იცი.
- მე ის ვიცი, რასაც ვხედავ, მე კი ზანგის ქალს ვხედავ, ფქაც-მელებს რომ დაათრუვს.

— ვაიმე, ბეიბი, — თქვა სტემპ პეიდმა და ტუჩები ისე მოილოკა, თითქოს ენის წვერით ეძებდა სიტყვებს, ბეიბი საგზს რომ შემოაბრუნებდა, ტვირთს რომ შეუმსუბუქებდა, ისეთს, — მეღგრად უნდა ვიყოთ „ესეც გაივლის“. რას ეძებ? სასწაულს?

— არა. იმას ვეძებ, რისთვისაც ვარ აქ. უკანა კარს ვეძებ, — თქვა ქალმა და სათადარიგო შესასვლელისკენ ხტუნვა-ხტუნვით გასწია. შიგნით არ შეუშვეს. ფქაც-მელები კიბეზევე გამოართვეს და ვიდრე თუთოკანიანი ქალი ათცენტიანისთვის იყო შინ შებრუნებული, ბეიბი საგზმაც მოასწრო მოაჯირზე თუძოთი მიყრდნობა.

სხვა გზით გადაწყვიტა უკან დაბრუნება სტემპ პეიდმა. მეტის-მეტად გაბრაზებული გახლდათ საიმისოდ, რომ ბეიბი საგზი შინაც გაეცილებინა და თან მისი ლაპარაკიც მოესმინა. ერთი წუთის განმავლობაში უყურა მამაკაცმა კიბეზე ჩამომდგარ ქალს, მერე კი წასასვლელად იქამდე შემობრუნდა, ვიდრე თუთოკანიანი, შეშფოთებული სახით რომ იცქირებოდა მეზობელი ფანჯრიდან, რამე დასკვნას გააკეთებდა.

ჟეკე მეორულ ცდილობდა 124 ნომერში მისვლას სტემპ პეიდი და ნანობდა, მაშინ ასეთი საუბარი რომ გამოუვიდა ბეიბი საგზ-

თან. ნანობდა, ხმამაღლა რომ ლაპარაკობდა; ნანობდა, უარს რომ ახსობდა, იმ ქალის ძველსა და რბილში გამჯდარი დაღლილობის შედევების დანახვაზე, თუად მთად რომ წარმოედგინა. ახლა, როცა უკვე შეტისმეტად გვიანი იყო, ესმოდა სტემპ პეიდს ბეიბი საგზის. გელი სისხლს კი არა, სიყვარულს ატრიალებდა, პირი, რომელიც ადამიანებს ლვთის სიტყვას გადასცემდა, სათვალაუში არ იყო. მაინც მცვიდნენ მის ეზოში, მას კი არც სითუს ბობოქარი არჩევნის მოწონება შევძლო, არც მისი განსჯა. ამ ორიდან ერთ-ერთი რომ აერჩია, შეიძლებოდა, გადარჩენილიყო, მაგრამ ერთიც თუისას მოითხოვდა და მეორუკი. ადგა ორ ცეცხლს შეა გატანჯული ბეიბი საგზი და საწილში ჩაწერა. როგორც იქნა, გამოკვალათ თეთრკანიანებს მისთვის ქანცი.

ახლა თვითონ სტემპ პეიდი. ათას რეას სამოცდათოთხმეტი წელი იდგა და ჯერაც დაბოგინობდნენ თეთრკანიანები. არაერთი ქალაქი გაწმინდათ პირწმინდად ზანგებისგან. მარტო ჟენტეკი-ში ერთი წლის განმავლობაში ოთხმოცდაშეიდი კაცი გაესამართლებინათ ლინჩის წესით ფერადკანიანების ოთხი სკოლა დაწინა და გაესწორებინათ მიწასთან; ზრდასრულ მამაკაცებს ბავშვებით შოლტავდნენ, ბავშვებს — მოზრდილებით; ჯგუფურად აუპატიურებდნენ შავკანიან ქალებს; იმას, რაც სხვისი იყო, ითვისებდნენ, მითვისებულის პატრონებს კი კისრებს უმტკრულდნენ და ისე ტოვებდნენ. კანის სუნი კაც სტემპ პეიდს, კანისა და სისხლის. კანი ერთია, მაგრამ ადამიანის თვითგასამართლების ცეცხლში გამოცცხვარი სისხლი სულ სხვა. ხრისტოლაუდა პაერში სიმყრალის სუნი. ასდიოდა სიმყრალე „ნორთ-სტარის“ გვერდებზე დახატული თვითმხილველების პირებს, ბატიფექურით დაწერილ წერილებს. ყარდა ნებისმიერი ჩინოვნიკისთვის წარდგენილი თხოვნები და საბუთები, რომლებშიც ყველა მეორე სიტყვის შემდეგ ქვერა, იმის გათვალისწინებით, რომ... მაგრამ ამის გამო არ ჰქონია წამხდარი ძალ-რბილი სტემპ პეიდს. კარგი ერთი! ბაფთის ბრალი იყო ყველაფერი. აბამდა თვის ბრტყელძირიან ნავს მდინარე ლიკინგის სანაპიროზე, ცდილობდა, რაც შევძლო მაგრად მიება, როცა ნავის ფსკერზე წითელ რაღაცას მოჰკრა თვალი. თან ხელით ეპოტინებოდა, თან ფიქრობდა, კარდინალის ბუმბული თუ ჩაერჭობოდაო ნავის ფიცარში. მოქაჩა სტემპ პეიდმა და ხელში სკელ, კანიანად

ამოგლეჯილ კურტურულ კულურულზე გამობმული წითელი ბაფთა შერს. სტემპმა ბაფთა გახსნა და ჯიბეში ჩაიდო, კულური კი სარუკულა ბალახში დააგდო. შინისკენ რომ მიდიოდა, გაჩერდა. სული ქუთებოდა და თვებრუ ქვეოდა. მოიცადა, ვიდრუ შეტევამ არ გაუარა და გზა ისე გააგრძელა. წუთიც და, ისევ გაუძნელდა სუნთქვა. ამჯერად ღობესთან ჩამოჯდა, დაისვენა და ფეხზე წამოდგა, თუმცა ვიდრუ ნაბიჯს გადადგამდა, უკან მიტრიალდა, გზას გახედა და გაყინულ ტალახსა და შორს დარჩენილ მდინარეს გასძახა: „რა ხალხია? მითხარი, უფალო, რა ხალხია?“

სახლში რომ მოვიდა, ისეთი დაღლილი იყო, იმისი თვეიც არ ჰქონდა, თვისი დისა და დისწულების მოშზადებული საჭმელი ეჭამა. დაღამებულზე გვიანობამდე იჯდა სიცივეში ვერანდაზე და მერუც იმიტომ დაწვა დასაძინებლად, დაუძახებდა თუ არა და, სულ უფრო მეტად რომ ეშლებოდა ნერვები. ეჭირა ხელში ბაფთა, ვეღარ უძლებდა კანის სუნს და დაძაბუნებული ძვალ-რბილიც ახსენებდა, როგორ ნატრობდა ბეიბი საგზი უწყინარ რამეზე ფიქრს. იმედი ჰქონდა სტემპს, რომ ლურჯზე, ყვითელზე, შეიძლება, მწვანეზე ფიქრს არასოდეს გასცდენია ბეიბი საგზი, არასოდეს მიჯაჭუულა მისი გონება წითელზე.

არ ესმოდა ოდესლაც სტემპ პეიდს მისი, ლანძღავდა ოდესლაც, აუღდებულებდა, ახლა კი როგორმე უნდა გაეგებინებინა მისთვის, რომ თვად ყველაფერს მიმხვდარიყო, როგორმე თვი უნდა ემართლებინა მის წინაშეც და მისი შთამომავლობის წინაშეც. პოდა, თვისი ილაჯგამოცლილი ძვალ-რბილის მიუხედავად, 124 ნომრის კარზე დაკაკუნება კიდევ ერთხელ ისე სკადა, თითქოს სახლიდან გამოსული ხმები არც ესმოდა. ამჯერად ერთი სიტყვის მეტი ვერაფერი გაარჩია, მაგრამ დარწმუნებული იყო, იცოდა, ვისი ხმებიც იყო. ვისი და კისერმოტებილი ადამიანების, ცეცხლში გამოცხვარი სისხლისა და ბაფთადაკარგული შავკანიანი გოგონების.

როგორ ხმამაღლა ხმიანობდნენ.

სხეზე ღიმილი ეფინა დასაძინებლად წასულ სითქ. ერთი სული ჰქონდა, როდის დაწვებოდა და დაუმტკიცებდა თვის თვეს საკუთარი დასკვნის სისწორეს. ერთი სული ჰქონდა, ალერსით როდის გაიხსნებდა, როდის და როგორ გაჩნდა მათთან საყვარული, რო-

დის გაიხსენებდა, როგორ აკოცა გოგონამ მდელოზე. ამაზე ფიქრის ნაცვლად სითუს ჩაეძინა, გაღვიძებული კი ისევ უღიმოდა თოვლით გადათუთრუბულ დილას. ისე ციოდა, პირიდან ორთქლი გამოსდიოდა. ერთი წუთი მოიცადა, გამბედაობა მოიკრიბა, საბნები მიყარ-მოყარა და ცო იატაკს ფეხი დაპკრა. პირველად აგვიანდებოდა სამ-სახურში.

ქვემოთ მძინარე გოგონები იქვე დახვდნენ, სადაც დაეტოვებინა, ოღონდ ამჯერად მატყლის საბნებში მაგრად გახვეულიყვნენ, ზურ-გი ზურგზე მიედოთ და ცხვირუბით ბალიშებში ჩარგულიყვნენ. სა-მოე ციგურა შემოსასვლელ კართან ეწყო, წინდები კი ქურის გვერ-დით ეკიდა გასაშრობად ლურსმანზე.

შეზედა სითუმ საყვარელს სახეზე და გაეღიმა.

ფრთხილად, უხმაუროდ შემოუარა სითუმ საყვარელს და ცეცხ-ლი დაანთო. ჯერ ქაღალდის ნაგლეჯს მოუკიდა ცეცხლი. ბუუტავ-და და მეტი არა ნელი ცეცხლი, მერე გაძლიერდა, გაჩაღდა და სი-თუმაც იქამდე ამატა და ამატა აცეკვებულ ალს შეშა, სანამ ღუმელი ერთბაშად არ განათდა და გაჩირალდნდა. როდესაც ფარდულიდან შეშის მოსატანად გარეთ გავიდა, არ შეუნიშნავს მამაკაცის ნაკვა-ლევი, გაყინულ თოვლზე რომ მოჩანდა. ზურგისკენ ფეხების ჭრაჭაჭ-რუჭით შებრუნდა და პირით ერთად დალაგებული შეშისკენ დადგა, ზედ გვარიანი თოვლი რომ დაედო. ფხეკა-ფხეკით მოაშორა შეშას თოვლი და რაც შეიძლებოდა მეტი შეშა დაიიღლიავა. ოდნავადაც არ არიდებდა სითუ თვალს ფარდულს და იღიმებოდა, იღიმებოდა, რადგან აღარ უწევდა რაიმეს გახსენება. ფიქრობდა, არც კი მიჯავ-რდება, საერთოდ არ მიჯავრდებაო.

აშკარა იყო, რომ ხელჩაკიდებული ჩრდილები, სითუს გზაზე რომ დაენახა, პოლ-დის, დენვერისა და თვად სითუს ჩრდილები არ ყოფი-ლა. იმათი ჩრდილები გახლდათ ვინც წინა საღამოს ციგურაობისას ერთმანეთს ებლაუჭებოდა, იმათი, წრუპვა-წრუპვით რომ მიირთმევ-დნენ სურნელოვან რძეს. და რაკი ასე იყო, რაკი მისი ქალიშვილი დაბრუნებულიყო იქიდან, სადაც დრო არ არსებობს, რა თქმა უნ-და, დაბრუნება შეეძლოთ სითუს ვაჟებსაც, დაბრუნდებოდნენ კიდეც იქიდან, სადაც წასულიყვნენ.

წინა კბილებზე, სიცოისგან ლამის რომ დასძრობოდა, სითუმ ენა მოისვა და მძიმე ტვირთისგან მოკუზული უკან დაბრუნდა. სახლს

ისე შემოუარა და ვერანდას ისე მიადგა. ისევ არ შეუნიშნავს გაყინული ნაფეხურები, რომლებშიც თავადაც აბიჯებდა.

ისევ ეძინათ გრიგონებს, თუმცა სითქმის არყოფნაში ადგილი მოენაცვლებინათ და ორივე ცეცხლისკენ მიჩრჩებულიყო. მთელი იღლია შემა ჩამოცალა სითქმ ყუთში, ისინი კი ხმაურზე ოდნავ შეიშმუშნენ. გაღვიძებით კი არ გაუღვიძიათ ახლა ქურა აანთო სითქმ. რაც შევძლო, უხმაუროდ ფუსფუსებდა. არ უნდოდა, დები გაეღვიძებინა. უხაროდა, ვიდრე თავად საუზმეს ამზადებდა, გოგონები იქვე, ახლოში რომ ჰყავდა. ძალიან ცუდი იყო, სამსახურში რომ იგვიანებდა, მეტისმეტად ცუდი. თუქვესმეტი წლის განმავლობაში პირველად უნდა მისულიყო გვიან, მაგრამ მაინც ცუდი იყო, რომ იგვიანებდა.

ვიდრე დენვერი საბოლოოდ გაიღვიძებდა და ავიშვიშდებოდა, სითქმ წინა დღის ლომში ორი კვერცხი ჩაეჭალა, კვერებად ამოეგუნდავებინა და შაშხის ნაჭრებთან ერთად დაებრაწა.

— ზურგი გაგიკავდა?

— ჰო, ჰო.

— იატაკზე წოლა შენთვის კარგი უნდა იყოს.

— საშინლად მტკიცა, — თქვა დენვერმა.

— ალბათ რომ დაეცი, იმის ბრალია.

— ვიმხიარულეთ კი და... — გაეღიმა დენვერს, მერე საყვარელისკენ მიბრუნდა და დახედა. ოდნავ ხვრინავდა საყვარელი, — უნდა გვაღვიძო?

— არა, აცალე, დაისვენოს.

— უყვარს, დილაობით რომ გაცილებს.

— კიდევ მოასწრებს, — მიუგო ქალიშვილს სითქმ და გაიფიქრა: „კარგი იქნება, ჯერ თუ დავფიქრდები და მერე დაველაპარაკები, მერე თუ გავაგებინებ იმას, რაც ჩემთვის გასაგებია. კარგი იქნება, თვიდან იმაზე თუ დავფიქრდები, რისი გახსენებაც აღარ მომიწვეს, ისე თუ მოვიქცევი, როგორც ბეიბი საგზი ამბობდა, დავფიქრდები და სამუდამოდ დავთიწყებ. პოლ-დი მარწმუნებდა, რომ არსებობს სხვა სამყარო, რომელშიც შემეძლო მეც მეცხოვრა. მას უკეთ უნდა სცოდნოდა, რა და როგორ იყო, მე კი ნამდვილად ვიცოდი. ის, რაც ჩემი კარის იქით ხდება, მე არ მექება. ამ ოთახშია მთელი სამყარო. აქ არის სხვა სამყაროც და საერთოდ ყველაფერი, რაც აქ უნდა იყოს“.

კაცებით ხარბად, მონდომებით ჭამდნენ. ცოტას ლაპარაკობდნენ და იმითაც კმაყოფილები იყვნენ, საყვარელთან ერთად რომ იყვნენ და მისთვის თვალებში ცქერა შეეძლოთ.

როცა სითემ თვი მოიფუთნა და ქალაქში წასასვლელად თბილად ჩაიცვა, უკვე კარგა ხნის გათენებული იყო. სახლიდან გასულს არც ნაფეხურები დაუნახავს, არც ხმები გაუგონია, ქამანდოვით რომ შემოხვეოდნენ 124 ნომერს.

ძლივს მიათრევდა ფეხებს ნაურმალზე და აღელვებისგან ლამის თვებრუ დახვეოდა — აღარ მოუწევდა რაღაცების გახსენება.

აღარაფერი უნდა მახსოვდეს, აღარც არაფრის ახსნა მომიწვეს. იმას ყველაფერი ესმის. შემიძლია, დავითიწყო, როგორ გაუტყდა ბეიბი საგზს გული; შემიძლია, დავითიწყო, როგორ შევთანხმდით, რომ ჭლექი იყო, ოღონდ ჭლექის ყოველგვარი ნიშნების გარეშე. შემიძლია, დავითიწყო, როგორი თვალები ჰქონდა, საჭმელი რომ დაპქონდა ჩემთან, როგორ მეუბნებოდა პოვარდი და ბაგლერი კარგად არიან, მაგრამ ერთმანეთს ხელს არ უშვებენო. ხელჩაკიდებულები თამაშობენ და სულ ასე არიან, მით უფრო მაშინ, როცა სძინავთო. კალათიდან მაწვდიდა გისოსებში გასატევად პატარ-პატარა ფუთებში გახვეულ საჭმელს და თან ჩურჩულით ახალ ამბებს მიყვებოდა. მეუბნებოდა, მისტერ ბოდუინი მოსამართლესთან შეხვედრას მისივე კაბინეტში აპირებსო. ისე იმეორებდა და იმეორებდა, კაბინეტშიო, თითქოს ან მე, ან მას გვცოდნოდა, რას ნიშნავდა კაბინეტში შეხვედრა. მეუბნებოდა, „დელავერის ფერად კანიანმა ქალბატონებმა“ პეტიცია შეადგინეს, როგორმე ჩამოხრიობას რომ გადაგარჩინონო. ამბობდა, ორმა თეთრკანიანმა მღვდელმა შემოიარა, შენთან დალაპარაკება უნდოდათ, უნდოდათ, შენთვის ელოცათო. ამბობდა, ჟურნალისტიც იყოო. ახალ ამბებს მიყვებოდა, მე კი ვეუბნებოდი, ვირთხებს უნდა მოვუხერხო რამე-მეთქი. უნდოდა, დენვერი გარეთ გავჭვანა და ხელი ხელს დაპკრა, როცა არ დავანებე. მითხრა, შენი საყურე სად არისო? შევინახავო, მე კი ვუთხარი, რომ ციხის ზედამხედველმა წაიღო, თავისთვის რამე რომ არ ამეტქა. იმ კაცს ჰონა, საყურის შესაკრავებით დავუშავებდი ჩემს თვეს რამეს. ბეიბი საგზმა პირზე ხელი აიფარა. თქვა, სკოლის მასწავლებელმა ქალაქი დატოვაო, სარჩელი შეიტანა და წავიდაო. თქვა, დაკრძალვაზე აპირებენ შენს გამოშვებასო. მარტო დაკრძალვაზე, ეკლესიაში არაო.

ასეც მოიქცნენ. შერიფი გამაყოლეს, ის კი განზე იხედებოდა, როცა დენვერს გაჭმული ოთხთვალაზე. არც ჰოუარდი მიკარუბდა, არც ბაგლერი, თმაზეც კი არ მაკიდებინებდნენ ხელს. მგონი, ბევრი ხალხი იყო, მაგრამ კუბოს მეტი არაფერი დამინახავს. ღირსი ჰაიკი მართლა ხმამაღლა ლაპარაკობდა, მე კი არაფერი გამიგონია პირველი ორი სიტყვის გარდა. სამ თვეში, როცა დენვერს უკვე შეეძლო, მაგრა საჭმელი ეჭამა და მეც სამუდამოდ გამომიშვეს, წავედი და საფლავის ქვა გიყიდე, მაგრამ ზედ რაღაცების ამოსაკვეთად საკმარისი ფული არ მქონდა და მეც აქაქს ის მოვეცი, ასე ვთქვათ, გავუცვალე, რაც ნამდვილად მქონდა. დღემდე ვნანობ, რომ ვერ მოუიფიქრე, მეთხოვა და თვითდან ბოლომდე ამოეკვეთა ყველაფერი, რაც ღირსმა ჰაიკმა თქვა, „საყვარულს სიყვარულითო“. საყვარული ხარ შენ ჩემთვის და მე აღარ მომიწვეს სინანული იმის გამო, რომ მარტო ერთი სიტყვა ამოუაჭრევინე, აღარც სასაკლაოს გახსენება მომიწვეს და აღარც ქალების, შაბათობით იქაურ ეზოში რომ მუშაობდნენ. შემიძლია, დაუივიწყო, რომ ბეიბი საგზის ცხოვრება იმან შეცვალა, რაც მე გავაკეთე. აღარც მდელოზე დადიოდა, აღარც შინ ეპატიუებოდა ვინმეს. მარტო რეცხავდა და წაღებს აკერუბდა. ახლა შემიძლია, ყველაფერი დაუივიწყო, რადგან როგორც კი საფლავის ქვა თავის ადგილზე დაუდგი, მაშინვე მოხვედი, გვაუწყე შენი არსებობის შესახებ — ყველას საშინლად შემოგვიჩნდი. მაშინ ვერ ვხვდებოდი. მეგონა, მიჯავრდებოდი, ახლა კი ვიცი, თუ მიჯავრდებოდი კიდეც, ახლა აღარ მიჯავრდები. შენ ჩემთან დაბრუნდი, მე კი იმთვითვე მართალი ვიყავი — არ არსებობს სხვა სამყარო ჩემი კარის იქით მარტო ერთი რამე მინდა ვიცოდე. ძალიან უშნოა ნაჭრილობევი?

მიდიოდა სითუ სამსახურში, თუქვსმეტი წლის განმავლობაში პირველად იგვიანებდა და არ არსებობდა მისთვის არაფერი აწმყოს გარდა, არც წარსული, არც მომავალი. ამასობაში სტემპ პეიდი დაღლილობასთან ერთად ერთ ოდინდელ ჩვეულებასაც ებრძოდა. ბეიბი საგზი მდელოზე წასვლაზე უარს იმიტომ ამბობდა, რომ სჯეროდა, იმათ გაიმარჯვესო. სტემპ პეიდიც უარზე იდგა, არ აღიარუბდა იმათ გამარჯვებას. არავითარი სათადარიგო გასასვლელი არ ჰქონდა ბეიბის სახლს, პოდა, სტემპიც არ შეეპუა სიცივეს, არც მოლაპარაკე ხმებს შეეპუა და ერთადერთ კარზე დააკაკუნა, ამ სახლს რომ ჰქონდა. გამბედაობა რომ მოეკრიბა, წითელი ბაფთა ჩაებლუჯა ჯიბეში

ჩაყოფილ ხელის. ჯერ ნუკრა დააკაკუნა, მერე უფრო მაგრად. ბოლოს გაშემაგრებული იჩინახებულდა და თუმადაც არ სუჯირდა, რომ შეიძლებოდა, მის წის მაშინევე ფრთხოდ არ გაღებულიდო ფერად- იანიახების სახეობის ფარი. ფრანგიანთან მოვიდა სტეპპი. ტირილი უნდოდა. დასტურებულებული იყო, რომ შინ იყვნენ და ქრისტუ არ გა- დაუდგამს უქიმი ფარისებრნ. მოხუკი შემობრუნდა და კიბეზე დაეშვა, თას წილები ბარეთას ისე ჩაჭრებდა ხელში, ლამის ნაკუნებად აქცია. ახლა ხირკხევილისა და მიუკალებობის გრძნობას ცნობისმოყვარეო- ბაკ დაუშატა. იხედებოდა ფრანგიანთი და ხედავდა ორ მოკუნტულ ადამიანს. ერთის თავი იკარი, მეორის დანახვაზე კი შეშფოთდა. არ იკოდა, ვინ იყო, არა არაუინ გვულებოდა ისეთი, რომ უფიქრა, ის არისთ. არაუინ, საერთოდ არაუინ სტუმრობდა ამ სახლს.

უგემურად ისაუჩბა და ელასა და ჯონთან წავიდა. უნდოდა გაე- გო, მათ რა იკოდნენ. ამდენი წელი ყველაფერი მკაფიო და ნათელი ეჩვენებოდა, ახლა კი იქნებ ელასა და ჯონთან მიმხვდარიყო, რომ თავისი თავისთვის სათანადო სახელი ვერ დაერქმია, სინამდვილეში სტეპპ პეილი არ გახლდათ, ტყუილად დაეუინა, დამდა „გადახდი- ლიაო“ და ჯერაკ მართებდა რაღაც. დაბადებიდან ისო ერქვა, მაგ- რამ მერე, როკა ცოლი საკუთარი პატრონის ვაჟს დაუთმო, სახელი გადაირჩქა. იმ გაგებით გადასკა, რომ არაუინ მოუკლავს, არც სხვა, არა საკუთარი თავი — ცოლი მოითხოვდა მისგან, უნდა იცოცხ- ლოო. ასე განსჯიდა ქალი, სხვანაირად სად და ვისთან უნდა დაუბ- რუნდე, როკა ბიჭი თავისას მოიყირჭებსო. აჩუქა ცოლი პატრონის ვაჟს ადამიანშა და გადაწყვიტა, არაუისი არაფერი მმართებსო. რაც უნდა გალდებული ყოფილიყო, ყველა გალდებულება შესრულებული პქონდა. ფიქრობდა, ამოდენა უვალობა ურჩისა და მუხანათს გამხ- დის, იქნებ გამალოთოს კიდეცო და გარკვეულწილად ასეც მოხდა. რა გაწყობოდოდა. მოუნდებოდა, კარგად იმუშავებდა, მოუნდებოდა, აკად; მოუნდებოდა, ცოტ-ცოტას გაირჯებოდა, მოუნდებოდა, სულ არ გაანძრუცდა ხელს. უნდოდა, ჭკუით იქნებოდა, უნდოდა, საერ- თოდ არ მიაყოლებდა არაფერს ჭკუას. უნდოდა, დაიძინებდა და უნდოდა, იფხიზლებდა. უნდოდა, მოქანებოდა ვიღაც, უნდოდა, ერთდროულად რამდენიმეს შეიძულებდა. დიდი ვერაფერი ცხოვ- რება იყო, მაგრამ ასეთი ყოფა კმაყოფილებას პგვრიდა. მერე ადგა და საკუთარი უვალობა სხვებზეც გაურცელა — ტანჯულ ცხოვ-

რებაში აღემული გალების პირწმინდად გასტუმრებაში ქმარებოდა ყველას. გადაპყავდა მდინარეზე გაუბედურებული გაქცეული მონები და აქაოდა, გადახდილია, ასე ვთქათ, თავ-თავიანთი ნახევილობის სიგელებით ისტუმრებდა. ეუბნებოდა, ყველაფერი გადახდილი გაქცეთ, ახლა თავად ცხოვრებას მართებს თქვენიო. სამაგიუროდ, კარზე დაუკავენებლად შედიოდა ყველა სახლში; სიხარულით ხვდებოდნენ ყველგან ისევე, როგორც ჯონსა და ელასთან. ახლაც იდგა მათ კართან მოხუცი ზანგი და ერთადერთხელ იკითხა, არის შინ ვინმე? მაშინვე მოქაჩა კავს ქალმა.

— კი, მაგრამ სად იყავი? ჯონს ვეუბნებოდი, ალბათ, მართლა ციკა, რახან სტემპი სახლიდან არ გამოდის-მეთქი.

— ვიყავი გარეთ, — თქვა სტემპ პეიდმა, მერე ქუდი მოიხადა და თვის ქალა ხელით დაიზილა.

— სად გარეთ? აქ არ ყოფილხარ და... — სიტყვა შეაგება ელამ, თან ორი წყვილი თეთრული თოქზე გადაკიდა ლუმლის თავზე.

— ბეიბი საგზსისას ვიყავი ამ დილით.

— იქ რა გინდა? — იკითხა ელამ, — დაგპატიუა ვინმე?

— იქ ბეიბის ოჯახობაა. მისიანების მისახედად მიწვევა არ მჭირდება.

რაღაცის თქმა დააპირა ელამ. სახეზე გულგრილობა ეტყობოდა. ბობოქარი ჟამის დადგომამდე თავადაც ბეიბი საგზის მეგობარი იყო, სითესიც. კარნავალზე თვის დაკვრას თუ არ ჩაუთვლით, მას შემდგა აღარც დაუკარგავს ელას სითეს გამო დრო.

— ვიღაცაა სახლში. ქალია. ვიფუქრე, შეიძლება იცოდნენ, ვინ არის-მეთქი.

— ქალაქში ერთთ ახალი ზანგიც არ არის ისეთი, მე რომ არ ვიცოდე მის შესახებ, — თქვა ელამ, — შესახედად როგორია? დარწმუნებული ხარ, რომ დენვერი არ იყო?

— დენვერს ვცნობ, ეს გოგო კი წვრილია.

— დარწმუნებული ხარ?

— ვიცი, რაც დავინახე.

— 124 ნომერში ყველაფერი შეიძლება ნახო.

— მართალია.

— ჯობია, პოლ-დის პკითხო, — თქვა ქალმა.

— ვერ ვპოულობ, — მიუგო სტემპმა. მართლაც ვერ პოულობდა

მოხუკი პოლ-დის ილინდ მის მოხატვის აღარსებ; არ არგებოდა. შეად არ იყო. პირისასი შესუასწილის აუქის მიზანი კი არ თიღან აძონაჭრის ცხვირწინ აუფრიადის და ცხვირის აუჭყოს დაუდენა.

— ეკლესიაში აზრებს დამეს. — განდო სტეპან კალა.

— ეკლესიაში? — დაიხსალოს სტეპანი. დალან ეტანს გვედო.

— ჰო, ლირს პაიკ ჰკითხს. თუ შეიძლება. სარდაფში რომ გაჩერდეთ.

— სარდაფი კი არა. საფინულება.

— აღმართ თვითონაც ხვდება მაგდენს.

— რასთვის აჯოუბს ამას?

— როგორც ჩანს. ცოტა აძაყია.

— ასე არ უნდა იქცეოდეს. ნებისმიერ ხახლში მაიღებდნენ.

მოხუცისთვის რომ შეეხდა. ელა შემობრუნდა და უთხრა:

— შორიდან სხვის აზრებს კერაუინ კითხულობს. მარტო ის უნდა ქნას, რომ ვიღაცას და ხმარება ხოთხულის.

— რატომ? რატომ უნდა ხოთხულის? არ შეიძლება. რომ ვინმებ თვითონ შესთავაზოს? რა ხდება? როდის აქეთა. ქალაქში ჩამოსულ შავკანიანს ძალლოვით უწევს სარდაფში დაძინება?

— ნუ ბრაზობ, დაწყნარდი, სტემპ.

— ვერ დავწყნარდები, იქამდე ვიქნები გაბრაზებული. ვიღრუ ვინმე არ მოუგება გონს და სხვა თუ არაფერი, ქრისტიანოვით მაინც არ მოიქცევა.

— სულ რამდენიმე დღეა, რაც იქ არის.

— ერთ დღესაც არ უნდა ყოფილიყო! შენ ყველაფერი იცი და დახმარების ხელი მაინც არ გაუწოდე? რანაირად ლაპარაკობ, ელა?! ოც წელზე მეტხანს ვექაჩებოდით მე და შენ წყლიდან ფერადკანიანებს, ახლა კი მეუბნები, რომ ადამიანს დასაწილს ვერ შესთავაზებ? თანაც კაცს, რომელიც მუშაობს? რომელსაც შეუძლია, გადაგიხდოს კიდეც?

— რაც უნდა ეთხოვა, მოცემდი.

— ასე ერთბაშად რატომ გახდა თხოვნა აუცილებელი?

— იმდენად კარგად არ ვიცნობ.

— მაგრამ იცი, რომ ფერადკანიანია!

— სტემპ, ნუღარ მოშმლი ამ დილით მაგის გუნებაზე არა ვარ

— იმის გამო, არა?

— ვის გამო?

— სითესის გამო. სითესის იყო, მის სახლში ცხოვრობდა და არ გინდა...

— მიდი, გააგრძელე, ოღონდ ვიდრუ რამეს იტყვი, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭური.

— კარგი რა, მორჩი. მეტისმეტად დიდი ხანია ვმუშობრობთ იმის-თვის, რომ ასე იქცეოდე.

— აბა, ვინ იცის თავიდან ბოლომდე რა ხდებოდა იმ სახლში? მომხედე, არც სითე ვიცი ვინ არის, არც მისიანებს ვიცნობ.

— რაო?!?

— მარტო ის ვიცი, რომ ბეიბი საგზის ბიჭის იყო გათხოვილი, მაგრამ არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მასე იყო. სად არის ის ბიჭი, განა? არასოდეს მოუკრავს სითესთვის ბეიბის თვალი იქამდე, ვიდრუ ჯონმა გულზე მიკანილ ბავშვთან ერთად კართან არ მიუყვნა.

— მე მოუკანე გულზე ის ბავშვი, აი, შენ კი საერთო არაფერი გქონდა იმ ოთხთვალასთან. შენ თუ არ იცნობდი, შვილებმა იცნეს.

— რა მერუ? არ ვამბობ, მათი დედა არ ყოფილა-მეთქი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ თვითონ ისინი ბეიბი საგზის შვილიშვილები იყვნენ? როგორ გადმოლახა მდინარუ ქმრის გარეშე? ერთი ისიც მითხარი, ტყეში ბავშვი მარტომ როგორ გააჩინა? თქვა, ხეებიდან ვიღაც თუ-რკანიანი ქალი გამოვიდა და მომქმარაო. თქვი ერთი, შენ თვითონ თუ გჯერა. ვიღაც თუთოკანიანი ქალი? ვიცი, როგორი თუთოც იყო.

— ვაიმე, არა, ელა.

— ტყეში ვინმეს თუთოს თუ გადაეყრუბი და ხელში საფანტის თო-ფი არა აქვს, მისი არაფერი გინდოდეს.

— ყველა მეგობრობდით

— ჰო, ვიდრუ თავისი სახე არ გამოაჩინა.

— ელა.

— არა მყავს მეგობრუბი, რომლებიც ხერხით ჭრიან ყელს საკუ-თარ შვილებს.

— ეს რა დაგმართნია, ელა.

— მყარ მიწაზე ვდგავარ და აქედან ფქის მოცვლას არ ვაპირებ. თვითონ რა დაგმართნია, სტემპ.

- შენი ნათქევამიდან, რომელს აქვს საერთო პოლ-დისტანცია?
 - სახლიდან რამ გააქცია? მითხარი ერთი.
 - მე გაუაქციე.
 - შენ?
 - მე მოუუყვით. გაზეთი გაჩვენე... სითეზე რომაა. წაუუკითხე. სწორედ იმ დღეს წაუიდა.
 - ჩემთვის არ გითქვამს. მუგონა, იცოდა.
 - არაფერი არ იცოდა. მარტო ის იცოდა სითეზე, რაც იქ ხდებოდა, საიდანაც ბეიბი საგზი მოვიდა.
 - ბეიბი საგზს იცნობდა?
 - რა თქმა უნდა. მის ბიჭხაც იცნობდა, ჰალეს.
 - და წაუიდა, როცა გაიგო, სითემ რა ქნა?
 - როგორც ჩანს, შეიძლებოდა ბოლოს და ბოლოს ერთად რომ ყოფილიყვნენ.
 - გისმენ და სხვა თვალით ვხედავ ყველაფერს. მუგონა...
 - იცოდა სტემპ პეიდმა, რაც ჟონა ელას.
 - პოლ-დის ამბის საკითხავად არ მოსულხარ, — შენიშნა ქალმა,
 - ვიღაც ახალი გოგოს გამო მოხვედი.
 - ასეა.
 - პოდა, პოლ-დიმ უნდა იცოდეს ვინ და რა არის.
 - სულებით გაქვს გამოტენილი თვეი. სადაც გაიხედავ, ყველგან სული გელანდება.
 - ჩემი არ იყოს, შენც იცი, მიწაში არ ჩერდებიან ისინი, ვინც ცუდი სიკვდილით კვდება.
- ამას ვეღარ უარყოფდა სტემპ პეიდი. თვითონ იესო ქრისტეც არ დარჩენილა საფლავში. პოდა, შენ არაფერს გერჩიო, ელასთვის რომ ეჩვენებინა, მისი მომხადებული ერთი ნაჭერი ღორის თვის ლაბა მიირთვა და პოლ-დის საძებნელად გაემართა. მაცხოვრის ეკლესიის კიბეზე იპოვა. იჯდა და მუხლებს შორის მოექცია მაჯები. თითქოს თვალები ჩაწითლებული ჰქონდა.

სამხარეულოში შესულ სითეს სოიერმა დაუყვირა, მან კი უბრალოდ ზურგი შეაქცია და წინსაფრისკენ წაიღო ხელი. სულ არ ენალვლებოდა, რას ყვიროდა სოიერი. არც ბზარი იყო სადმე, არც ნაპრალი, რომ სოიერის ყვირილს მის გულამდე მიეღწია. თვეს არ ზო-

გავდა, ისინი ახლოს რომ არ მიეშვა, მაგრამ მაღიან კარგად იციდა, ნებისმიერ წუთს შეეძლოთ მისი შეჯანჯდანება, ხებისძიება, წუთს შეეძლოთ მისი ღუზიდან მოხსნა, თმაში მოფრინხვადებუ ჩიტების ხელახლა მიჩენა მისთვის. შეეძლოთ, ისეკე ამოქცალით მიხოვის რიც, როგორც გაეკეთებინათ უპვე. კოცხალი ხეც შეეძლოთ ხელიახლია დაეხატათ მის ზურგზე. აკი წაჟურნათ კიდევიც ტექში მუკალეგაბერილი სითუ და იქ დაეხატათ შოთხევი, ზურგით რომ ატარებდა. რასაც გაიგებდა მათზე, ყველაფერში ხიდაშპლე მოძვრებოდა. იმათ წაგლისეს პალეს კარაქი სახეზე; იმათ ჩასჩარეს რეინა პოლ-დის საცოხნელად პირში; დედამისიც იმათ ჩამოახრისეს. აღარაფრის გაგონება არ უნდოდა თუთრკანიანებზე; არ უნდოდა სკოლისოდა, რა იცოდნენ ელამ, ჯონბა და სტემპა პეიდმა; არაფერი უნდოდა სკოლის სამყაროზე, თუთრკანიანებს თავიანთ ჭკუაზე რომ მოუროთ და მოეკაზმათ.

ოდესლაც, დიდი წნის წინ, რბილი და შიმნდობი ხასიათი პერსონა სითუს. ენდობოდა მისის გარნერს. მის ქმარსაც ენდობოდა. თან რომ წაეღო, საყურე ქვედაკაბაში გამონასკა. უფრო შესანახად უნდოდა, კიდრე სატარებლად. სწორედ ამ საყურებ აღიქრებინა, შემიძლია, მათ შორის გამოვირჩეოდეთ. ამ საყურის გამო იყო, რომ ფუქრობდა, ყველა სკოლის მასწავლებელზე მოდისო თითო ემი და ყველა შეგირდს ჰყავს თავისი გარნერი, ან ბოდუინი, ანდა თუნდაც ისეთი შერიფიო, როგორიც თავად სითუს ნაზად ქვებოდა იდაყვვზე, მაშინ კი, როცა ბავშვს ძუძუს აჭმევდა, თავი გვერდზე მიაბრუნა. თუმცა, შერე ისე მოხდა, რომ ბეიბი საგზის უკანასკნელი სიტყვები სათითაოდ დაიჯერა და თუ რამ კარგი ახსოვდა, ყველაფერი დაფინწყა. დაივიწყა ისიც, იღბალი რომ არსებობდა. აი, პოლ-დიმ კი ყველაფერი ამოჩიჩენა, სითუს სხეული დაუბრუნა, დახლეჩილ-დაპობილი ზურგი დაუკოცნა, მოგონებები აუშალა და ახალ-ახალი ამბები ამცნო. ჩუმა-მაწონზე, პირში გაჩრილ რკინის ლაგამსა და მოღიმარ მამლებზე უამბო, მაგრამ როდესაც მისი ამბავი შეიტყო, ნახვამდისო, ისიც არ უთქვამს; ადგა და ფეხები დაუთვალა.

— ნუ მელაპარაკებით, მისტერ სოიერ. ამ დილით არაფერი მითხრათ.

— რაო? რა? რა? ენას მიბრუნებ?

— გეუბნებით, არაფერი მითხრათ-მეთქი.

— გირჩევნია, ღვეზელები გააკეთო.

სითუმ ხილეულს ხელი შეავლო და სათლელი დანა აიღო. როცა ღვეზელებიდან გამოჟონილი წვენი ღუმლის ძირზე აშიშხინდა, სითუ უკვე კარტოფილის სალათს ამზადებდა. მერე სოიერიც შემოუიდა და თქვა:

— ასე ძალიან ტკბილი არა. მეტისმეტად ტკბილს აკეთებ და არ ჭამენ.

— ისე ვაკეთებ, როგორც ყოველთვის.

— პო, მეტისმეტად ტკბილს.

ერთი ძეხვიც არ მიუბრუნებიათ დახელოვნებული იყო ძეხვის კეთებაში იქაური შზარუული და სოიერს რესტორანშიც არასოდეს რჩებოდა ძეხვი. რამდენიმე ცალის წაღება თუ უნდოდა სითუს, მაშინვე გადადებდა ხოლმე გვერდზე, როგორც კი გაშაადდებოდა. ცოტა ჩაშუშულიც მორჩენოდათ, ისეთი, რომ არა უშავდა, პრობლემა კი ის იყო, რომ სითუს წილი ღვეზელებიც მთლიანად გაყიდულიყო. არათერი დარჩენოდათ სამშარუულოში ბრინჯის პუდინგისა და ნახევარი ტაფა კოჭას თაფლაკვერუბის გარდა, დიდი ვერაფერი შვილი რომ გამოსვლოდათ მთელი დიღა რომ არ ეოცნება და ყურადღებით ყოფილიყო, სადილისთვის კიბორჩხალოვით ნარჩენების ძებნა აღარ მოუწევდა. საათის ცნობა მაინცდამაინც კარგად არ იცოდა, სამაგიეროდ იცოდა, ისრები ლოცვისთვის მომზადებული ხელებივით ერთდროულად რომ აღიმართებოდა ზემოთ, იმ დღეს სამუშაო დამთავრუბული იყო. სითუს ლითონისთვიანი ერთი ქილა პქონდა. ეს ქილა ჩაშუშულით გაავსო და კოჭას თაფლაკვერუბიც გადაახვია. ყველაფერს გარეთა ქვედაკაბის ჯიბუბში ჩაუძახა და ჭურჭლის რეცხვას შეუდგა. არც კი შეედრებოდა ულუფა, სითუს რომ გადაენახა იმას, რაც შზარუულსა და ორ ოფიციანტს მიჰქონდათ თან. მისტერ სოიერის მიერ დაწესებული სამუშაო პირობები შუადღეზე სადილობას ითვალისწინებდა, თან კვირაში სამ დოლარს და ორმოც ცენტსაც უხდიდა, მაგრამ სითუმ თავიდანვე აგრძნობინა უფროსს, რომ სადილს შინ წაიღებდა. ათასში ერთხელ ასანთი, ცოტაოდენი ნაკთი, მარილი და კარაქიც მიჰქონდა, თან რაკი შეეძლო საკუთარი თავისთვის ამეების ყიდვის უფლება მიეცა, რცხვენოდა, არადა, უბრალოდ არ უნდოდა ფელპსის მაღაზიის უკან სხვებთან ერთად მდგარიყო და თუეი უხერხულად ეგრძნო — თუ სადმე ზანგი

იყო ოქაიოში, მაღაზიის პატრონი ჯერ იმას მოემსახურებოდა, მერე მიუბრუნდებოდა ერთად შექუჩიებულ ზანგებს, უკანა კარში გაჩენილი ჭუჭრულანიდან რომ უჭვრიტინებდნენ. კიდევ იმიტომ რცხვენოდა სითუს, რომ რასაც აყეთებდა, იმას ქურდობა ერქვა. ერთობოდა, როცა ახსენდებოდა, როგორ ასაბუთებდა ქურდობას სიქსო, მაგრამ თუ მაინც სირცხვილნაჭამი ეფონა. ზუსტად ასე ვერ გამხდარიყო სიქსო ვერაფერს სკოლის მასწავლებელთანაც.

— ის ახალდაბადებული გოჭი მოიპარე? ის გოჭი შენ მოიპარე,
— შევიდად, მაგრამ ურყევად ამბობდა სკოლის მასწავლებელი, ისე,
თოთქოს თავს იკატუნებდა და სინამდვილეში ხეირიან პასუხს არც
ელოდებოდა. იჯდა სიქსო და არც კი წამომდგარა, არც შეწყნარე-
ბას ითხოვდა, არც უარყოფდა იმას, რასაც აბრალებდნენ. უბრა-
ლოდ იჯდა, ხელში მჭკლე ხორცის ზოლი ეჭირა, თუნუქის თუთუშე
კი ერთად მოქუჩებული ხრტილები ძვირფასი ქვებიუით ეყარა. ბალ-
ნიანი, დაუმუშავებელი ხრტილები იყო, მაგრამ მაინც ნაალაფევს
ჰგავდა.

— შენ მოიპარუ ის ახალდაბადებულ გოჭი, არა?

— არა, სერ, — თქვა სიქსომ, თუნ თუგაზიანობის გამო ხორცს არ აშორებდა თვალს.

— მეუბნები, რომ არ მოგიპარავს, მე კი თვალებში გიყურუდ.

— առա, Տղան, — տվյալ ենթածոմ, — առ մռմուկարազե.

სკოლის მასწავლებელმა გაიღიმა და განაგრძო:

— გადასინ?

— ፩፻፬, ፳፭

- ନୁହିବାର କାନ୍ଦିଲା

= ପ୍ରାଚୀ ଶୁଣ

1888, 89, &
— 1889-90, 2

= ప్రాథమిక శాసనం

— ఎందుకు వీరిలో నువ్వు లేదు.

— ՏՐԱ, ՏԵՐ, ՏՐ ՏՐՈՍ.

— մաք, ու արօս?

— တွေ့သော် အကျဉ်းချုပ်မှုပါ။

- 65?

— სიქსო თესავს ჭვავს, რომ მაღლობ ნაკვეთაც უკეთესი შახია ქონდეს. სიქსო იღებს მოსავალს და თესავს ყანას, უკეთესი მოსა-

გალი რომ მოგცეთ სიქსო აჭმევს საჭმელს სიქსოს, მეტი რომ იმუშაოს თქვენთვის.

ჭკვიანურად კი გამოუვიდა სიქსოს, მაგრამ მაინც გალახა სკოლის მასწავლებელმა. უნდოდა, დაენახვებინა მისთვის, რომ განსაზღვრუბებზე უფლება მათ ჰქონდათ, ვინც ისინი მოიგონა და არა იმათ, ვინც განესაზღვრათ მას შემდეგ, რაც მისტერ გარნერი ყურში გაჩენილმა ნახვრუტმა მოკლა, რომელიც მისის გარნერის თქმით, დარტყმის გამო გამსკდარი ყურის დოლურას ბრალი გახლდათ, რაზეც არ უნდა მოეკიდათ მონებს ხელი, ყველას უვონა, რომ იპარავდნენ. ვერც სიმინდის ტაროს აიღებდნენ, ვერც ეზოში დადებულ ერთი-ორ კვერცხს, ისეთს, ქათამსაც რომ დაუიწყებოდა, სრულიად ვერაფერს. სკოლის მასწავლებელმა „საყვარული სახლის“ მონებს იარაღი ჩამოართვა და მათც, რაკი ჩვეულებროვი რაციონის, ანუ პურის, ლობიოს, ლომის, ბოსტნეულისა და დაკვლის სეზონზე ცოტაოდენი ხორცის შევსების შესაძლებლობა მიეცათ, გვარიან წვრილმან ქურდობას მიჰყვეს ხელი. ქურდობას მარტოოდენ უფლებად კი არ უთვლიდნენ საკუთარ თვეს, არამედ ვალდებულებადაც.

მაშინ კი ესმოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა სითუს, მაგრამ ახლა, როცა ანაზღაურუბადი სამუშაო ჰქონდა და ისეთი კეთილი დამსაქმებელი ჰყავდა, რომ შეუძლო, ყოფილი მსჯავრდადებულიც დაეჭირავებინა სამუშაოზე, საკუთარი თვი სძაგლა ამპარტავნობისთვის, რომლის გამოც ქურდიცაცობა ერჩია შერული საქონლის მაღაზიის ფანჯარასთან სხვა ზანგებთან ერთად რიგში დგომას. არც მათთვის მუჯლუგუნის კვრა ეპიტნავებოდა სითუს, არც მათგან მუჯლუგუნის მიღება. არც ის უნდოდა, მათი შეხედულებები ანდა მათი გულისტკიუილი გაეთავისებინა, მით უფრო ახლა. შუბლზე მაჯა მიიღო და ოფლი მოიწმინდა. სამუშაო დღე დასასრულს მიახლოებოდა და სითუ ღელავდა. არასოდეს ყოფილა ასეთი გამოცოცხლებული მას შემდეგ, რაც „საყვარული სახლიდან“ გამოიქცა. აჭმევდა ნარჩენებს ხეივანში მოხეტიალე ძალლებს, თვალს აღვენებდა გააფთრებულ ცხოველებს და ტუჩებს მაგრად კუმავდა. დღეს იქნებოდა ის დღე, როდესაც სითუ თვეს არაუის წაყვანინებდა, ვინმეს ოთხთვალათი წაყვანა რომ შევთავაზებინა კიდეც. არც არაუინ შესთავაზებდა, თან თექვსმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაუშვია სიამაყეს, რომ ეთხოვა, წამიყვანეოთ, მაგრამ დღეს, დღეს... სისწრაფეს

სოხოვდა ახლა გული სითქს, უნდოდა, ამხტარიყო, დამხტარიყო, ბოյლ გზას გადავლებოდა და სახლში ჩამხტარიყო.

ძლის ესმოდა სითქს სოიერის, როცა აფრთხილებდა, მეტი არ დაიგვიანო. კეთილი კაცი იყო, მომთმენი, გულისხმიერი, რბილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოშში ვაჟიშვილი მოუკვდა, წლიდან წლამდე უფრო და უფრო უინიანი ხდებოდა. ისე იქცეოდა, თთქოს ყველაფერი სითქს შავი ცხვირ-პირის ბრალი ყოფილიყო.

— კარგი, კაცო, — თქვა სითქმ, თან ფიქრობდა, ნეტავ დრო როგორ შევამოკლოო.

რა სადარდებელი ჰქ იყო. მაგრად მოფუთნილი და მოკუზული ლადგა შინისკენ მიმავალ გზას, თან გაუთავებლად იმაზე ფიქრობდა, რისი დავიწყებაც არ შეეძლო.

მადლობა ღმერთს, არაფრის გახსენება ან თქმა არ მჭირდება — შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ არასოდეს მიგატოვებდი. არასოდეს. მეტი ვერაფერი მოვიფიქრუ. ჩამოიარა მატარებელმა და მეც შზად უნდა ვყოფილიყავი. სკოლის მასწავლებელი ისეთ რამეებს გვასწვლიდა, ჩვენ რომ ვერ ვსწავლობდით სულ არ მენაღვლებოდა, სიგრძის საზომი ბაწრით რას ზომავდნენ. ჟეთ რამეებზე სიქსოს გარდა ყველა ვიცინოდით ის არაფერზე იცინოდა, მე კი სულ არ მენაღვლებოდა ეგეთები. თუზე შემომახვია სკოლის მასწავლებელმა ის ბაწარი, ცხვირზეც დამადო, უკანალზეც შემომატარა. კბილები დამითვალა. მუკონა, სულელი იყო, თან ყველაზე სულელურ კითხვებს იძლეოდა.

მერე მე და შენი ძმები მეორე ნაკვეთიდან გამოვედით პირველი ნაკვეთი სახლთან ახლოს იყო და იქ საადრუო რამეები იზრდებოდა: ცერცეი, ხახვი, ბაღის არჯაკელი. მეორე ნაკვეთი უფრო დაბლა პქონდათ და იქ უფრო საგვიანო რამეები მოპყავდათ კარტოფილი, გოგრა, ბამი და სალათა. ბევრი არაფერი იყო მეორე ნაკვეთში. ადრე იყო ჯერ. შეიძლება, ცოტა ქორფა სალათა იყო და მორჩა. სარეველები მოვთხარეთ და ცოტა-ცოტა ყველაფერს შემოვუთოხნეთ წელი რომ მოედგა. მერე სახლისკენ გაუწიე. მეორე ნაკვეთთან მიწა იყო ამოზრდილი. მოლად გორაკი არა, მაგრამ რაღაცა ეგეთი იყო. ბაგლერსა და პოვარდს კი პყოფნიდათ — აირბენდნენ და ჩამოგორდებოდნენ ხოლმე, აირბენდნენ და ჩამოგორდებოდნენ. სიზმარშიც ასე კხედავდი, იცინოდნენ და კოტიტა ფეხებით არბოდნენ გორაკზე.

ახლა მარტო ზურუიდან ვხედავ რკინიგზაზე მიმავლებს. მიდიან ჩემ-
გან შორს. ყოველთვის მიდიან ჩემგან. აი, იმ დღეს კი გახარუბულები
იყვნენ, არბოლნენ და დაბლა გორდებოდნენ. ჯერ კიდევ ადრე იყო.
ზაფხული ძალას იკრუბდა, მაგრამ ბუვრი არაფერი. მახსოვს, ჯერ
კიდევ ყვავილში იყო არჯაყელი. ბალახი კი იყო მაღალი, თუთრი
კოკრუბით და გრძელ-გრძელი წითელი ყვავილებით გადატენილი,
ხალხი დიანებს რომ ეძახის. აქა-იქ ლილილოსავით ცისფერი რა-
ღაცებიც მოჩანდა, ოღონდ მკრთალი, მკრთალი, მართლა მკრთ-
ლი. ალბათ, უნდა ავჩქარუბულიყავი, იმიტომ, რომ სახლთან, ეზო-
ში მყავდი დატოვებული კალათაში. ეზოში გაშვებული ქათმებისგან
შორს კი იყავი, მაგრამ რა იცი. ასე იყო თუ ისე, უკან ნელ-ნელა
ვბრუნდებოდი, გადავდგამდი ორ-სამ ნაბიჯს და პაცქერდებოდი ცა-
სა და ყვავილებს. ვერ ითმენდნენ შენი ძმები და წინ გარბოდნენ, მეც
არ ვუშლიდი. რაღაცნაირი ტკბილია წელიწადის ამ დროს პაერი
და თუ ნიავიც უბერავს, სახლში ვერ გაჩერდები. შინ რომ დაუბ-
რუნდი, მესმოდა, როგორ იცინოდნენ ჩვენს სადგომთან პოვარდი და
ბაგლერი. თოხი ძირს დაუდე და შენთან რომ მოვსულიყავი, ეზო
გადავჭრი. ისე გადადიოდა ადგილიდან ადგილზე ჩრდილი, როცა
მოგაკითხე, მხე პირდაპირ თავზე დაგნათოდა. ზედ სახეში განათებ-
და, მაგრამ არ გეღვიძა. ისევ გეძინა. თან მინდოდა, ხელში ამჟყვანე
და თან მძინარესთვისაც მინდოდა, მეყურებინა. ვერ გადამეწყვიტა.
ულამაზესი სახე გქონდა. იქით, ცოტა მოშორებით, მისტერ გარნერს
კაზი აჟყვანა ტალავერზე. ამ კაცს სულ რაღაც სერიოზული გეგმები
ჰქონდა. უნდოდა, საკუთარი ღვინო დაჟენებინა და დაელია. ერ-
თი კარდალა ჯემის მეტი არასოდეს მიუღია რამე იმ ვაზიდან. არა
მგონია, სავენახე მიწა ყოფილიყო. მამაშენი ფიქრობდა, რომ წვი-
მის ბრალი იყო და არა მიწის, სიქსო კი ამბობდა, ბაღლინჯოების
ბრალიაო. ისეთი პატარა და მჭიდრო მტკვნები იყო, თან ძმაროვით
მჟავე, მაგრამ ტალავრის ქვეშ ერთი პატარა მაგიდაც იდგა. ავდექი,
შენი კალათა ჟიღე და ვაზის ტალავერში წაგიყვანე. იქ სიგრილეც
იყო და ჩრდილიც. მაგიდაზე დაგსვი და ვიფიქრე, ნეტავ მიტკელის
ნაჭერს თუ ვიპოვი, რომ გადავაფარო და ბაღლინჯოები და რამერუ-
მეები ვერ მიეკარონ-მეთქი. მისის გარნერს რომ არ დაჟჭირვებოდი
სამზარეულოში, მოვიტანდი სკამს და მე და შენ ერთად ვისხდებო-
დით, ვიდრე ბოსტნეულის გარჩევას არ მოვრჩებოდი. უკანა კარის-

კენ წაული. მიტკლის სუფთა ნაჭერი უნდა მომეტანა, სამშარულო წნებში რომ ვინახავდით მსიამოვნებდა, ფეხებზე ბალახი რომ მეღებოდა. კარს მოუახლოვდი და ხმებიც გავიგონე. ყოველდღე, შეადღისას დასხამდა ხოლმე სკოლის მასწავლებელი შევირდებს და კარგა ხანს აკითხებდა წიგნებს. თუ საკმარისად კარგი ამინდი იყო, სახლის გვერდით ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ვერანდაზე. სამოვეს ერთდ დასვამდა. თვითონ ლაპარაკობდა, ისინი კი წერდნენ, ანდა თვითონ კითხულობდა, ისინი კი მის ნათქვამს იწერდნენ. არასოდეს არავისთვის მითქვამს ამის შესახებ, არც მამაშენისთვის და არც არავისთვის. კინაღამ მოუყვევი მისის გარნერს, მაგრამ მაშინ ისე სუსტად იყო. სუსტდებოდა და სუსტდვებოდა. ახლა პირველად ვყვები ამაზე, თან შენ გიყვები იმიტომ, რომ შეიძლება, ასე უფრო ადვილად აგიხსნა რაღაც, თუმცა ვიცი, რომ ჩემი ახსნა არ გჭირდება. ჩემგან ამაზე ლაპარაკი ანდა თუნდაც ფიქრი არ გჭირდება. თუ არ გინდა, არც ჩემი მოსმენაა შენთვის საჭირო. არადა, არ შემეძლო, არ მომესმინა იმისთვის, რაც იმ დღეს გავიგონე. შევირდებს ელაპარაკებოდა და გავიგონე, როგორ თქვა: „რომელზე წერ?“ და ერთ-ერთმა ბიჭმაც უპასუხა: „სითუზე“. გაუჩერდი, რადგან ჩემი სახელი თქვეს. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი იქით, საიდანაც დავინახავდი, რას აკეთებდნენ. სკოლის მასწავლებელი თვაზე დასდგომოდა ერთ-ერთ მათგანს და ცალი ხელი უკან შემოედო. საჩვენებელი თთო ერთი-ორჯერ გაიღოკა და რამდენიმე ფურცელი გადაშალა. ნელა შლიდა ფურცლებს. ის იყო, უნდა შემოვბრუნებულიყავი და მიტკლის ასაღებად გამურძელებინა გზა, რომ გავიგონე, როგორ თქვა: „არა, არა. ასე არა. გითხარით, მისი ადამიანური თვისებები მარცხნივ ჩამოწერეთ, ცხოველური — მარჯვნივ-მეთქი. ერთმანეთის ქვეშ რომ უნდა ჩამოწეროთ, არ დაგაუიწყდეთ“. უკან-უკან ისე წამოვედი, რომ ზურგს უკან არც კი მიმიხედავს. უბრალოდ ავწვდი და გადავდგამდი უკან ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხს. ხეს შევასკდი და თვის ქალაში ეკალივით შემესო ტკიფილი. რომელიღაც ძალლი ქვაბს ტლეკდა ეზოში. საკმაოდ სწრაფად მოვედი ტალავერთან, მაგრამ მიტკალი თან არ მქონია. მთელ სახეზე გესოვნენ ბუზები და ფეხებს აცმაცურებდნენ. საშინლად მექავებოდა თვი. თთქოს წვრილ-წერილ ნემსებს მარჭობდა ვიღაც კანში. არც ჰალესთვის მითქვამს ოდესმე, არც არავისთვის. აი, იმ დღეს კი მისის გარნერს რაღაც

ვკითხე. სუსტად იყო. ისე სუსტად არა, როგორც ბოლოს, მაგრამ მაინც. ტომარასავით ჰქონდა ყბის ქვეშ ჩამობერილი რაღაც. თითქოს არ სტკიოდა, მაგრამ ასუსტებდა კია. თავიდან დილაობით დგებოდა და ყოჩალადაც იყო, მაგრამ მეორე მოწვევის დრო რომ მოდიოდა, ფეხზე კელარ იყო. მერე გვიანობამდე ძილი დასჩემდა. მასთან რომ აუედი, იმ დღეს მთელი დღე იწვა. ვიფიქრე, ცერცვის წვნიანსაც აუუტან და თან ვკითხავ-მეთქი. როდესაც საძინებლის კარი შევაღე, ღამის ჩაჩის ქვემოდან გამომხედა. უკვე აღარ ეტყობოდა თვალებში სიცოცხლის ნიშანწყალი. ფეხსაცმელები და წინდები იატაკზე ჭარა და მოხვდი, ტანზე ჩაცმა ეცადა. ვუთხარი, რომ ცოტა ცერცვის წვნიანი მოუტანე, მან კი მიპასუხა:

- არა მგონია, გადაყლაპვა შევძლო.
- ცოტა გასინჯეთ-მეთქი.
- მეტისმეტად სქელია. დარწმუნებული ვარ, მეტისმეტად სქელია.
- გინდათ ცოტა წყლით გავათხელო?
- არა. წაიღე. ცოტა ცოვი წყალი მომიტანე. მეტი არაფერი.
- დიახ, მემ. მემ, შეიძლება რაღაც გკითხოთ?
- რაშია საქმე, სითუ?
- რას ნიშნავს თვისებები?
- რა?
- სიტყვა — თვისებები.
- ოკ, — ბალიშზე გადააბრუნა მისის გარნერმა თავი, — თვისებებს. ვინ გასწავლა ვ სიტყვა?
- გვიგონე, სკოლის მასწავლებელმა რომ თქვა.
- წყალი გამოცვალე, სითუ. თბილია.
- დიახ, მემ. თვისებები?
- წყალი, სითუ. ცოტა უფრო ცოვი წყალი.

დოქი იმავე ლანგარზე დაუდგი, რომელზეც ცერცვის წვნიანი იყო და ქვემოთ ჩავედი. მოუტანე ახალი წყალი და სანამ სვამდა, თუს ვუჭრდი. უცებ ვერ დალია — სიმსონე უშლიდა ყლაპვაში ზელს. ისევ დაწვა და პირი მოიწმინდა. ეტყობოდა, წყალი ეამა, მაგრამ კოპი შეყარა და თქვა:

- თითქოს ვერ ვიღვიძებ, სითუ. თითქოს სულ ძილი მინდა.
- მერე დაიძინეთ-მეთქი. მე მოხედავ-მეთქი ყველაფერს.

მერუ გააგრძელა, ისაო, ესაო, ჰალეზე არ ვჯავრობო, მაგრამ სკოლის მასწავლებელი ნეტავ სიქსოსა და დანარჩენებს წესიერად თუ ექცევა.

— დიახ, მემ-მეთქი, — ვუპასუხე, — როგორც ჩანს-მეთქი.

— უჯერუბენ, რასაც ეუბნება?

— თქმა არ სჭირდებათ.

— კარგია. ღვთის წყალობაა. ერთ-ორ დღეში ისევ ჩამოვალ დაბლა. უბრალოდ ცოტა კიდევ უნდა დავისვენო. ექიმი ხელახლა უნდა მოვიდეს. ხვალ მოვა, არა?

— თქვენ თქვით, თვისებებიო, მემ?

— რა?

— თვისებებიო.

— ჰმ! ყველაფერს აქვს თვისება. ზაფხულის თვისება სიცხეა. თვისებაა თავისებურებაც, ის, რაც რაღაცას ბუნებრივად ახასიათებს.

— ერთ თვისებაზე მეტი შეიძლება გქონდეს?

— კარგა ბლომად, იცი. აი, ბავშვმა თითოს წოვა იცის. ეს ერთი თვისებაა, მაგრამ სხვა თვისებებიც აქვს. მოაშორე ბილი წითელ ქორას. მისტერ გარნერი ყოველ მეორე წელს არასოდეს აგებინებდა. სითე, გესმის ჩემი? მოშორდი მაგ ფანჯარას და მომისმინე.

— დიახ, მემ.

— ჩემს მაზლს სთხოვე, ნავაზშმევს ამოვიდეს.

— დიახ, მემ.

— თუზე თმა თუ გინდა შევრჩეს, ტილები მოიშორე.

— ტილები საერთოდ არ მყავს თავში, მემ.

— რაც გინდა, იყოს, ერთი კარგი დაბანა უნდა და არა ფხანა. არ მითხრა, რომ საპონი გაგვითავდა.

— არა, მემ.

— აბა, მოვრჩეთ ვიღლები ლაპარაკით

— დიახ, მემ.

— კიდევ გმადლობ, სითე.

— დიახ, მემ.

მეტისმეტად პატარა იყავი იმისთვის, რომ ჩვენი სადგომი გახსოვდეს. შენს მმებს ფანჯრის ქვეშ ეძინათ მე, შენ და მამაშენი კეღლთან ვიძინებდით როცა გავიგე, რისთვის მზომავდა სკოლის

მასწავლებელი, მთელი ღამე ვბორგავდი. პალე რომ მოუიდა, იმას ვკითხე, სკოლის მასწავლებელზე რას ფიქრობდა. ასე თქვა, საფიქრალი არაფერიაო. ასე თქვა, თუთოკანიანი არ არისო, თუ? მე კი ვუთხარი, იმას გეუბნები, მისტერ გარნერს თუ პგავს-მეთქი.

— რა გინდა, რომ იცოდე, სითუ?

— ადრე რომ მინახავს, იმ თუთოკანიანებს არ პგავნან, იმათ, დიდ სახლ-კარში რომ ცხოვრობდნენ, სადაც აქ მოსვლამდე ვიყავი.

— რითო არ პგავნან?

— ჯერ ერთი, რომ ხმადაბლა ლაპარაკობენ.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, სითუ. ხმამაღლაა თუ ხმადაბლა, ესენიც იმავეს ამბობენ, რასაც ისინი.

— მისტერ გარნერმა დედაშენის გამოსყიდვის უფლება მოგცა.

— ჰო, მოგცა.

— მერუ?

— მასე რომ არ ექნა, ერთხელაც წიქცეოდა და ღუმელში ჩა-
ვარდებოდა.

— ასე თუ ისე, გამოსყიდვის უფლება მოგცა. გამოსასყიდად მუ-
შაობის უფლება მოგცა.

— დიდი ამბავი.

— გონს მოდი, პალე.

— დიდი ამბავი-მეთქი.

— შეეძლო, არაო, ეთქვა. არ უთქვამს, არაო.

— არა, არაო, არ უთქვამს. ათი წელი მუშაობდა აქ. გგონია,
შეძლებდა, კიდევ ათი წელი რომ ემუშავა? ბოლო წლებია მის თავ-
ში ფულს ვუხდი, მან კი სანაცვლოდ შენც მიგიღო, მეც და ჩვენი
სამი შეიღლიც. კიდევ ერთი წელი უნდა ვიმუშაო ვალის გადასახდე-
ლად, მეტი არა. სკოლის მასწავლებელმა მითხრა, გეყოფაო. ჩიტი
ბდლუნად არ ლირსო. დამატებით აქ იმუშავე, „საყვარულ სახლშიო“.

— გადავიხდის, მეტს თუ იმუშავებ?

— არა.

— აბა, ვალი როგორ უნდა გადაიხადო? რამდენია?

— ას ოცდასამი დოლარი და სამოცდაათი ცენტი.

— არ გთხოვს?

— სხვა რამეს გთხოვს.

— რას.

— არ ვიცი. სხვა რაშეს, მაგრამ აღარ უნდა, რომ „საყვარელი სახლიდან“ წავიდე ხოლმე. ამბობს, სანამ შენი ბიჭები პატარები არიან, სადმე სხვაგან მუშაობა არ ღირსო.

— მერე ფული, შენ რომ გმართებს?

— სხვა გზაც ეცოდინება მაგ ფულის მისალებად.

— რა გზა?

— არ ვიცი, სითუ.

— აბა, მარტო ის მითხარი, როგორ? როგორ უნდა დაიბრუნოს ფული?

— შენ სხვა რამე იკითხე, სითუ.

— რა უნდა ვიკითხო?

პალე წამოიწია, გადმობრუნდა და ლოყაზე დაკოურილი თითები მომითათუნა.

— შენ ის იკითხე, შენ ვინ გიყიდის, ან მე, ანდა იმას, — თქვა ჰა-ლემ და იქით მანიშნა, სადაც შენ იწექი.

— რა?

— თუ „საყვარელი სახლის“ გარდა არსად უნდა ვიმუშაო, არც ისე და არც დამატებით, გასაყიდი რაღა მექნება?

მერე უკან გადაბრუნდა და ისევ დაიძინა. ვიფიქრე, არ დავიძინებ-მეთქი, მაგრამ ცოტა ხანს მეც მეძინა. მისმა ნათქვამმა გამაღვიძა. შეიძლება, იმან გამაღვიძა, რაც არ უთქვამს. ისე წამოუჯექი, თით-ქოს ვიღაცას დაერტყა ჩემთვის. შენც გაიღვიძე და ტირილი მორთუ. ცოტა დაგარწიე, მაგრამ შიგნით პატარა ადგილი იყო და გარეთ გუედი. ვიფიქრე, გუატარ-გამოუტარებ-მეთქი. დაუდიოდი წინ და უკან, წინ და უკან. სრული სიბნელე იყო. მარტო ერთ ფანჯარაში მოჩანდა შუქი, იმაში, ყველაზე ზემოთ რომ იყო. ალბათ ჯერაც არ ამდგარიყო ქალბატონი. ვერაფრით ვიგდებდი თვეიდან იმას, რამაც გამაღვიძა: „სანამ შენი ბიჭები პატარები არიანო“. აი, ევ თქვა ჰა-ლემ. მაგ სიტყვებმა წამომავდო ზეზე. სარეველებს ვთხრიდი, ძრო-ხას ვწველიდი თუ შეშა მომქონდა, შენი მმები მთელი დღე კუდში დამდევდნენ. ჯერჯერობით იყო ასე. ჯერჯერობით

აი, მაშინ უნდა დაგვეწყო გვემების დაწყობა, მაგრამ არ დაგ-ვიწყია. არ ვიცი, რაზე ვფიქრობდით, მაგრამ წასვლა ჩვენთვის ფუ-ლის ამბავი იყო, თვეი უნდა გამოგვესყიდა. გაქცეუა აზრადაც არ გვქონდა. ყველა ერთად? ნაწილ-ნაწილ? სად? როგორ? ბოლოს სიქ-

სომ დაიწყო გაქცევაზე ლაპარაკი, მას შემდეგ, რაც საქმეების გამოსასწორებლად მისის გარნერმა პოლ-ეფი გაყიდა. უკვე მთელი ორი წელი იყო, რაც პოლ-ეფში აღტელი ფულით ცხოვრობდა. მაგრამ, მგონი, ფული გაუსუადა და მანაც მისწერა სკოლის მასწავლებელს, ჩამოდი და ყყელაფურს მიხედეო. ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მისი მაზლიც საჭირო იყო და იძისი ბიჭებიც. ოთხ მონასაც სჯეროდა ამის. ხალხი ამბობდა, ზანგებთან ერთად მარტო კერ იქნებაო. პოდა, ის კაციც მოუიდა. თავზე ფართო ქუდი ეხურა, სათვალეც ეკეთა და თან ქაღალდით ჰქონდა კოფო საუსე. ხმადაბლა ლაპარაკობდა და თვალს არ გვაშორებდა. პოლ-ეის სცემა. არც მაგრად უცემია, არც დიდხანს სცემდა, მაგრამ ასეთი რამე პირველად მოხდა. აკრძალული ჰქონდა მისტერ გარნერს ცემა. ამის მერე რომ ვნახე, მარტო არ იყო ჰალე. ულამაზესი ხეები იყო ირგვლი. გვეთი ლამაზი ხეები არასოდეს გინახავს. ცაში დაიწყო ყურება სიქსომ. სიქსო ერთადერთი იყო, ვინც ღამლამობით იპარებოდა ხოლმე და მატარებელზეც ასე გაიგო.

— იქით — საჯინიბოს იქით იშვერდა ჰალე ხელს, — იქით, სადაც დედაჩემი წაიყვანა. სიქსო ამბობს, რომ იქ თავისუფლებაა. მთელი მატარებელი დადის და ზედ რომ მოჰხვდეთ, თავის გამოსყიდვა აღარ დაგვჭირდება.

— მატარებელი? ეს რა არის? — ვკითხე მე.

მაშინ კი შეწყვიტეს ჩემი თანდასწრებით ლაპარაკი. ჰალეც კი აღარ ლაპარაკობდა, მაგრამ ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. სიქსო ცაში იყურებოდა. ზემოთ არა, ხის წვეროებს უყურებდა. გვერდოდა, ფიქრებით „საყვარელ სახლში“ კი არა, სადღაც სხვაგან იყო.

კარგი გვემა იყო, მაგრამ გაქცევის დრო რომ დადგა, დენვერი მყავდა მუცელში. ცოტათი შევცვალეთ გვემა. ცოტათი, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჰალეს სახე კარაქით მოეთხვარა ისე, როგორც პოლ-დი მეუბნება, სიქსოს კი ბოლოს და ბოლოს გაეცინა.

წამოგიყვანე. ბიჭებიც წამოვიყვანე. როცა ნიშანი იყო, მატარებელი მოდისო, მარტო თქვენ იყავით შხად. ვერც ჰალე ვიპოვე და ვერც ვერავინ. არ ვიცოდი, სიქსო თუ დაწვეს, პოლ-დის კი ისეთი საყელური ჩამოაცვეს, რომ ვერ წარმოიდგენ. დიდხანს არ ვიცოდი. ავდექი და თქვენი თავი მატარებლისკენ იმ ქალს გაუატანე, სი-

მინდებში რომ იკვიდიდა. პა-პა. არც უბის წიგნაკში ჩაიწერდა ჩემს კატარჯბზე ვინმე რამეს, არც სიგრძის საზომი ბაწრით გაზომავდა. მერე რაც გამოვიარე, ყველაფერს შენი გულისთვის გუვუძელი. ხე-ებზე ჩამომხრჩვალი ბიჭების გვერდით ჩავიარე. ერთ-ერთს პოლ-ეის პერანგი ეცვა, მაგრამ არც ფეხები მიუგავდა, არც თვი. შევძელი და ჩავუარე გვერდით იმიტომ, რომ მარტო მე მქონდა შენთვის რძე და თან, ყველაფერი ღვთის ნებაა, მომქონდა ის რძე შენთვის. გახსოვს, რომ გაჭამე, არა? გახსოვს, როცა მოვედი, იმდენი რძე მქონდა, ყველას გეყოფოდათ?

ერთი მოსახვევიც და, სითემ თუისი სახლის საკუმური დაინახა, ეულად რომ აღარ მოჩანდა. ვიწრო ზოლად ასდიოდა კუმლი ცე-ცხლს, სითესთან დაბრუნებულ სხეულს ისე რომ ათბობდა, თითქოს მას არც არასოდეს შეწყვიტა არსებობა, არასოდეს დასჭირვებოდა სამარის ქვა, თითქოს ერთი წუთითაც არ შეწყვიტა სითეს ხელებში ამ სხეულში მოქცეულ გულს ძგერა.

სითემ კარი გააღო, სახლში შევიდა და ისევ მაგრად ჩაკეტა კარი.

იმ დღეს, როცა ფანჯარაში ორი ზურგი დაინახა, მერე კი ჩქარ-ჩქარა დაეშვა კიბის საფეხურუბზე, დარწმუნებული იყო სტემპ პე-იდი, რომ განაწყენებული დახოცილი შავკანიანები ბუყბუყებდნენ სახლის გარშემო გაურკვეველ ენაზე. ძალიან ცოტა იყო ისეთი, ვინც ბეიბი საგზივით ლოგინში მომკვდარიყო და არც ერთი არ გახლდათ ისეთი, არც ბეიბი საგზი, ვისაც ადამიანური ცხოვრებით ეცხოვრა. განათლებულ ფერადკანიანებსაც კი, მართლა ნასწარებ ხალხს, ექი-მებს, მასწავლებლებს, უურნალისტებსა და საქმოსნებსაც გვარი-ნად მოხვედროდათ ცხოვრებისგან. გარდა იმისა, რომ წარმატების მისაღწევად თუი უნდა გაენძრიათ, მთელი რასის ტვირთიც უნდა ეტარებინათ ორი თუი უნდა პქონოდათ თეთრკანიანები თველიდ-ნენ, როგორი მანერებიც უნდა პქონოდა ადამიანს, მისი მუქი კანის ქვეშ გაუკალი ტყე იმაღლებოდა, თვისი გემუგალი ლამაზი მდინარუე-ბით, ტოტებზე მოქანავე მკუანა ბაბუინებითა და მძინარე გველებით თველიდნენ, რომ მზად იყვნენ წითელლრძილება ზანგები მათი, თეთ-რკანიანების ტკბილი სისხლის დასაღვევად. გარკვეულწილად მარ-თლები არიანო, ფიქრობდა სტემპი. რაც უფრო მეტად ირჯებოდნენ

ფერადკანიანები თუთოკანიანების საკუთარ სიკეთეში, გონიერებაში, ალერსიანობასა და ადამიანურობაში დასარწმუნებლად, მით უფრო მეტად იხარჯებოდნენ იმის დასამტკიცებლად, რაც ზანგებისთვის საკითხავიც კი არ იყო, მით უფრო ღრმა და დახლართული ხდებოდა გაუგალ ტყეში ყველაფერი, მაგრამ გაუგალი ტყები თან არ მოჰყოლიათ ზანგებს იქიდან, სადაც ცხოვრება ასატანი იყო. თუთოკანიანებმა გააშენეს მათ სულებში გაუგალი ტყე და ისიც იზრდებოდა და დიდდებოდა. ადამიანის სიცოცხლეშიც და მის შემდგაც იშლებოდა ეს ტყე, იქამდე იშლებოდა, ვიდრე თუთოკანიანებსაც არ შეუსია, იმათ ვისაც თავისი ხელით გაეშენებინათ სათითოდ ყველას შექო, ყველა შეცვალა და გადაასხვაფერა. ისე ეშინოდათ საკუთარი ხელით დარგული გაუგალი ტყის, რომ პირსისხლიანები და უგუნურები გახდნენ, იმაზე უარესები, ვიდრე თავად სურდათ მათი კანის ქვეშ სახლობდა ტოტებზე მოქანავე მკოუნა ბაბუინი, წითელი ღრძილებიც მათი გახლდათ.

ფარულად, უხმაუროდ იზრდებოდა ახალი გაუგალი ტყე, თუთოკანიანების ტყე და მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გაიგონებდით 124 ნომრის მსგავს ადგილებში მის ბუყბუყს.

მას შემდგა, რაც კარჩე კაკუნით თითები იტკინა და სახლში არ შეუშევს, სტემპ პეიდმა სითუზე ზრუნვას თავი დაანება და დაანება თუ არა, მაშინვე დარჩა 124 ნომერი საკუთარი ფანდების ამარა. საკმარისი იყო, სითუს კარი ჩაეკეტა, რომ ყველას, ვინც მის სახლში იყო, შეუძლო ისე მოქცეულიყო, როგორც უნდოდა, ის დაენახა, რის დანახვაც უნდოდა, ეთქვა ის, რაც გულში ჰქონდა.

თითქმის ასე იყო. ტრიალებდნენ სახლის გარშემო ხმები, სტემპ პეიდი რომ ცნობდა, მაგრამ რას ამბობდნენ, ვერ ხვდებოდა. და ირუოდა ამ ხმებში ქალების ფიქრები 124 ნომრიდან, ენით უთქმელი და გამოუთქმელი ფიქრები.

ჩემი შვილის საყვარელი, ჩემია. ზედაც თავისით დამიბრუნდა და თან არაფრის ახსნა არ მჭირდება. აღრე ახსნის ღრო არ მქონდა — სწრაფად უნდა მომეთავებინა ყველაფერი. სწრაფად. უსაფრთხოდ უნდა ყოფილიყო და მოუჩინე კიდეც ადგილი, მაგრამ ძალიან მიყვარდა და დამიბრუნდა კიდეც ახლა. ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდა. პოლ-დიმ გააქცია და არჩევანი აღარ ჰქონდა — ხორციშესხმული

უნდა დაბრუნებულიყო ჩემთან. სანაძლეოს ჩამოვალ, ბეიბი საგზი
მიექმარა იქიდან. არასოდეს გაუშვებ. ავუხსნი, თუმცა ახსნა არ
მჭირდება, რატომ მოვიქეცი ასე. როგორ მოკვდებოდა, მე რომ არ
მომეკლა?! ვერ გადავიტანდი მის სიკვდილს. გაიგებს, როცა ავუხს-
ნი, იმიტომ, რომ ყველაფერი ესმის უკვე. ისე მოუკვლი, არც კრთ
დედას შვილისთვის, ქალიშვილისთვის რომ არ მოუკვლია. ვეღარა-
სოდეს ვერავინ მიიღებს ჩემს რძეს ჩემი შვილების გარდა. არასოდეს
დამჭირვებია ვინმეს ჭმვა. ერთადერთხელ იგემა სხვამ ჩემი რძე და
მაშინაც წამართვეს რძე, დამიჭირუს და წამართვეს. ჩემი პატარას
რძე იყო. ნანი თეორეკანიან ბავშვებსაც აწოვებდა და მეც, რადგან დე-
დაჩემი ბრინჯში მუშაობდა. თავიდან პატარა თეორეკანიანები ჭამდ-
ნენ, მერე კი იმას ვჭამდი, რაც რჩებოდა, ანდა საერთოდ არაფერს.
სად იყო საჩემო დედის რძე. ვიცი, როგორია ურძეოდ დარჩენა, რო-
გორია, როცა იმისთვის, რომ კუთვნილი რძე მიიღო, უნდა იბრძო-
ლო და იღრიალო. ვიცი, როგორია, როცა ძალიან ცოტა გრჩება.
მოუკვები საყვარელს ამას. გაიგებს. ჩემი შვილია, ის, ვისთვისაც
რძე ჩამიდგა მჭურდში, ვისაც მას შემდეგაც კი მოუტანე რძე, რაც
მომპარუს, მას შემდეგ, რაც ისე მომექცნენ, თთქოს ძროხა ვყოფი-
ლიყავი. არა, ძროხასავით კი არა, თხასავით მომექცნენ, საძაგელ
თხასავით — საჯინიბოს უკან მომწვეველეს იმიტომ, რომ შიგნით,
ცხენებთან არ გავიჩერებოდი. მაშინ კი არ ვძაგდი, საჭმელს რომ
ვუმშადებდი და მისი გარნერს რომ ვუკლიდი. ისე ვუკლიდი, რო-
გორც დედაჩემს მოუკვლიდი, თუკი საჭირო გახდებოდა, თუკი ბრინ-
ჯის ყანიდან გამოუშვებდნენ, აქაოდა, მისი თავი ერთადერთ შვილს
სჭირდება, რომელიც არ გადაუგდიაო. ვერაფერს გაუჟეთუბდი ამ
ქალს იმაზე მეტს, ვიდრე დედაჩემს გაუჟეთუბდი, აუდ რომ გამხდა-
რიყო და ჩემი თავი დასჭირვებოდა. იქამდე დავრჩებოდი მასთან,
ვიდრე არ გამოჟეთდებოდა, ანდა არ მოკვდებოდა. დავრჩებოდი კი-
დეც მასთან სიკვდილის შემდეგ, ნანს რომ არ დაკლი ჩემთვის ხე-
ლი და იქამდე არ გამოვეთრიე, სანამ ნიშანს შევამოწმებდი. ის იყო,
მაგრამ დიდხანს არ ვიჯერებდი. ყველგან იმ ქუდს ვეძებდი. მაგის
მერე ენის ბორიძიკიც დამჩემდა და იქამდე მებორკებოდა ენა, სანამ
ჰალე არ გავიცანი, მაგრამ ახლა ყველაფერი მორჩა. აქა კარ
ცოცხალმა გავატანე. ჩემი გოგონაც დაბრუნდა შინ. ახლა კი შემიძ-
ლია ისვე მოვიხედ-მოვიხედო იმიტომ, რომ ის აქ არის და ჩემსავით

ყველაფრის დანახვა შეუძლია. არაფერი დამინახუს იმის მერე, რაც ფარდულში იყო. ახლა, ამ დიღით თან ცეცხლს კანობდი, თან ფანჯრიდან მინდოდა, გამჭედა. მინდოდა, გამჭო, შეიანი დღეა თუ არა. მინდოდა, დამენახა, ტუმბოს სახელურს ეცემოდა მჩის პირველი სხვები თუ ონკანს. მინდოდა, დამენახა რა ფერი იყო ბალახი, რუხ-მწვანე, ყავისფერი თუ კიდევ რამე სხვა. ახლა ვიცი, რატომ გაატარა ბოლო წელი ფერებზე ფიქრში ბეიბი საგზმა. არასოდეს პქონია ფერების დანახვის დრო, რომ არაფერი ვთქვათ ფერებით დატყბობაზე, და იმიტომ. დიდხანს არ მოპარებოდა ლურჯი, მერე ყვითელი, მერე მწვანე. რომ მოკვდა, კარდისფრის მეტი არაფერი უნდოდა. არა მგონია, წითელზეც მიმდგარიყო ჯერი. ისიც მესმის, რატომ. იმიტომ, რომ ერთად გადავაჭრობეთ მოლოდინს წითელმა ფერმა, მე და საყვარელმა. სინამდვილეში მოვარდისფრო საფლავის ქვის მეტს, ფერადს სხვას ვერაფერს ვიხსენებ. ახლა კი გავფაციცები. წარმოიდგინე, რად ელირება ჩვენთვის ფერადი გაზაფხული! სტაფილოს დავთესაუ და თალგამს. უნდა ვაჩვენო, როგორია. გინახავს ოდესმე, პატარავ? რა უნდა იყოს ამაზე ლამაზი?! მაგარი, მოთეთრო-მოძონისფრო თავი და ასეთვე ფერის რბილი კუდი. კარგი დასჭრია ხელში, მაგრამ სუნი ნაპირებიდან გადმოსულ მდინარეს უგავს, თან მძაფრია, თან გსიამოვნებს. ერთად ვნახავთ როგორი სუნი აქვს, საყვარელო. საყვარელო. შენ ჩემი ხარ და მე უნდა ვაჩვენო ყველაფერი, მე უნდა გასწავლო ის, რაც დედამ უნდა ასწავლოს შვილს. სასაცილოა, როგორ გავიწყდება ერთი რაღაცა და იმახსოვრებ სხვას. იმ თეთრყანიანი გოგოს ხელები არასოდეს დამავიწყდება, ემის ხელები, მაგრამ არ მახსოვს, თავზე რა ფერის თმა პქონდა. აი, თვალები კი ნაცრისფერი უნდა პქონოდა. თითქოს ასე მახსოვს. მისის გარნერს ღია წაბლისფერი თვალები პქონდა, სანამ ჯანმრთელად იყო. აკად რომ გახდა, მერე ჩაუშავდა. ძლიერი ქალი იყო. თავისთვის ლაპარაკს რომ შეჰყვებოდა, ასე ამბობდა: „ჯოროვით ძლიერი ვიყავი, ჯენი“. ღმერთმანი, ბუტბუტებდა და ჯენის მეძახდა. მაღალი და ძლიერი ქალი იყო. რაღა შემის კონები, ჩვენ რომ ვეზიდებოდით და რაღა ორ-ორი მამაკაცის მოტანილი შემა. ისე საშინლად სტკიოდა, ბალიშიდან ვერ იღებდა თავს. დღემდე ვერ გამიგია, რატომ ვეონა, რომ სკოლის მასწავლებელი რამეში სჭირდებოდა? ნეტავ ისიც თუაცოცხალი? ბოლოს რომ ვნახე, ტირილის მეტი არაფერი შეუძლო

და მეც ვერაფრით ვშველოდი. მარტო თვალები მოუწინდე. როცა მოუკეთეს, რაც გამიკეთეს. უნდა სკოდნოდა ეს ამბავი ვიღაცას. ვიღაცას მაინც უნდა მოესმინა. იქნებ ცოცხალია. არ მოექცეოდა მას სკოლის მასწავლებელი ისე. როგორც მე მექცეოდა. ჯრობელ მცემა და პირველი და უკანასკნელი იყო. ვერავინ დამაშორებს შვილებს. სულ მის მოვლაში რომ არ ვყოფილიყავი, შეიძლება, გამეო, რა მოხდა. შეიძლება, ცდილობდა, ჰალე ჩემამდე მოსვლას. ვკლექი მისის გარნერს საწოლთან და ველოდი, როდის მოისაქმებდა. მერე ისევ ჩავაწვინე ლოგინში. მცემა, თქვა. ცეცხლოვით იყო გაუარვარებული და დალიანდაგებული საბანი დამატარეო, ამბობდა. ფანჯარა დაკეტეო. ვუთხარი, არა-მეთქი. იმას სკიორდა. მე კი სული მეხუთებოდა. არა მიშავდა, სანამ გრძელი ყვითელი ფარდები ირხეოდა. მას კი სულ ყურადღება სჭირდებოდა. შეიძლება ხმაური, გასროლას რომ ჰგავდა, მართლაც თოფის ხმა იყო. ნეტავ რამე ან ვინმე დამენახა. ასე იყო თუ ისე, ჰალესთან ერთად თუ მის გარეშე, ჩემი ჰატარები სიმინდებში წავიყვანე. ღმერთო. მერე იმ ქალის ბოხი ხმაც გვიგონე, კიდევ არის ვინმეო? არ ვიცი-მეთქი. მთელი ლამე აქ ვიყავიო, მითხრა. ვეღარ მოუიცდიო. ვცადე, გამეჩერებინა. ვერაო, მითხრა. წავედითო. მარტო ის ქალი იყო. კაცის ჭაჭანება არ იყო. ბიჭებს ეშინოდათ შენ ზურგზე მყავდი მოკიდებული. გეძინა. დენვერსაც ეძინა ჩემს მუცელში. ორად ვიხლიჩებოდი. იმ ქალს ვუთხარი, რომ ყველა წავიყვანეთ მე უკან უნდა დაუბრუნებულიყავი. ყოველი შემთხვევისთვის უნდა დაუბრუნებულიყავი უკან. ქალმა ერთი კი შემომხდა. რაო? ენა მოუიკვინიტე, ზურგი რომ დამაგლიჯეს. ძაფზე მეკიდა. ძალით არ მიქნია. კბილი დაკაჭირე და მორჩა. ვითიქრე, ღმერთო ჩემო, ასე თავს შევიჭამ-მეთქი. ბავშვს რომ არაფერი დაშავებოდა, მიწაში ჩემი მუცლისხელა ორმო ამოთხარეს და ისე დამაწვინეს. დენვერს არ უყვარს, ამაზე რომ ვლაპარაკობ ხოლმე. თავისი დაბალების ამბის გარდა ყველაფერი ეჯავრება, რაც „საყვარელ სახლს“ ჟება, მაგრამ შენ ნამყოფი ხარ იქ და თუ მეტისმეტად ჰატარა იყავი, იქაურობა რომ გახსოვდეს, მე მოგიყვები. ვაზის ტალავერი იყო. გახსოვს? ისე ჩეარა გამოურბოდი... გამახსენდა, ბუზები რომ გეხვია. მაშინვე უნდა მომხვდარიყავი, ვინ იყავი. შენ ზუსტად ისე გეცემოდა სახეზე, როგორც მაშინ, ვაზის ტალავერში რომ წაგიყვანე. მაშინვე უნდა მომხვდარიყავი, როცა შარდი ვეღარ შევიკავე. დაგინახე თუ

არა ძირკვზე, მაშინვე წამომიუიდა. მერე, როცა შენი სახე დაუინახე, რაღა ფიქრი უნდოდა, როგორი იქნებოდი ამდენი წლის მერე?! მაშინვე უნდა მომხვდარიყავი, ვინ იყავი, იმიტომ, რომ წყლით სავსე ჭიქას ჭიქაზე ცლიდი, ეს კი იმას ჰგავდა, სახეში კამკამა დუქს რომ მაყრიდი იმ დღეს, როცა 124 ნომერში მოუედი. მაშინვე უნდა მომხვდარიყავი, მაგრამ პოლ-დიმ სხვა რამეზე გადაიტანა ჩემი ყურადღება. ასე რომ არა, დაუინახავდი შენს შუბლზე ჩემი ფრჩხილებისგან მთელი ქვეყნის დასანახად დატოვებულ კვალს. გარეთ, ფარდულში შუბლით მეჭირე და თუს ისე გაწევინებდი. მერე, როცა საყურებე მკითხე, იმათზე, ხელში რომ ვაჯანჯლარებდი და გეთამაშებოდი, რომ არა პოლ-დი, მაშინვე უნდა მომხვდარიყავი, ვინ იყავი. ასე მგონია, თუიდანვე უნდოდა შენი გაგდება, მაგრამ მე არ დაუანებებდი. შენ რას ფიქრობ? დახე, როგორ გაიქცა, როცა გაიგო, რა შევვემთხვა ფარდულში მე და შენ. მეტისმეტად ძნელი მოსასმენი იყო მისთვის. მეტისმეტად მსუყეო, მითხრა. მითხრა, რომ მეტისმეტად მსუყე იყო ჩემი სიყვარული. ნეტავ მაგაზე რაღა იცის პოლ-დიმ? არის ვინმე ამ ქვეყანაზე, ვისთვისაც სულს მისცემდა? დაუთმობდა ვინმეს თუის სასირცხოებს, ოღონდ კი რამე ამოეჭრათ ქვაზე? სხვა გზაცო, თქვა. სხვა გზაც შეიძლებოდა ყოფილიყო. აბა, ერთი მაგისი თუი წაეთრია სკოლის მასწავლებელს უკანალის გასაზომად, სანამ შეაზე გაგლეჯდა? მე ვიცი, ეს რაც არის და ვერაუინ, ვერც ორფეხი, ვერც მცოცავი ვერ გამოგაცდევინებს იმავეს. ვერც შენ, ვერც ერთს ჩემი შვილებისგან და როცა ვამბობ, რომ ჩემი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ მეც ვარ შენი. წუთსაც არ ვიცოცხლებდი ჩემი შვილების გარეშე. ბეიბი საგზსაც ეს ვუთხარი, ის კი მუხლებზე დადგა და ჩემს პატიებას ევედრუბოდა ღმერთს. მაინც ასე და... მინდოდა, ყველა იქ წავსულიყავით, სადაც დედაჩემია. დამიშალეს, შენ კი ვერ დაგიშალეს აქ მოსვლა. ჰა-ჰა-ჰა... კარგი შვილივით დაბრუნდი უკან, ქალიშვილივით, რომლისთანაც მინდოდა, ვყოფილიყავი და ვიქნებოდი კიდეც, დედაჩემს ბრინჯის ყანიდან დროულად რომ გამოეღწია, იქამდე, სანამ ჩამოახრჩობდნენ და მარტო დამტოვებდნენ. იცი, რა? იმდენჯერ პქონდა დედაჩემს პირში ლაგამი, რომ იღიმებოდა. მაშინაც იღიმებოდა, როცა არ იღიმებოდა, მისი ნამდვილი გაღიმება კი არასოდეს მენახა. ნეტავ რას აკეთებდნენ, როცა დაიჭირეს? გგონია, გარბოდნენ? არა. მასე არ იქნებოდა. მას მე

კულტი. არც ერთი დედა არ გაიკცება და არ დატოვებს თავის ქალამ-
კილს. გაიკცება ნეტა? დატოვებდა ეზოში კალსელი ქალთან ერ-
თად? მერე რა, რომ ერთო-ორი კვირის მეტი არ უჭირა თავისი შეა-
ლისთვის და სხვა ქალისთვის გადაელოცა, რომელსაც არახელებ
ჰქონდა ძუძუში ყველას სამყოფი რძე?! ამბობდნენ, ლავშის გამო,
მაშინაც რომ იღიმება, როცა გაღიმება არ უნდაა. ხასკლას ეზო-
ში შაბათობით რომ მუშაობდნენ, ის ქალებიც ასე იყვნენ. კიხიდან
რომ გამოვედი, ყველაფერი გუიგე იმ ქალებზე. შაბათობით მოხი-
ლდნენ, როცა ცვლა იცვლებოდა და მამაკაცებს ფეხს უხდიდნენ.
ლობის უკან, საპირისურებოს იქით მუშაობდნენ. ზოგი ფქრზე დაძი-
გარი მუშაობდა და იარაღების შესანახი სათაურის კარს ჯუდეკოდა.
ზოგი ხუთცენტიანს, ზოგიც ათანს უტოვებდა ბრიგადირს წასვლი-
სა. ისინი აღარ იღიმებოდნენ. თავის დასაუიწყებლად ზოგიერთი
სახმელს ეტანებოდა. ზოგი წვეთხაც არ ხემდა — მისხალ-მისხალ
მიჰქონდა ფული ფელპსონს, დედებისა და შეიღებისთვის მიტანი-
ლი აუცილებელი რამების გაღი რომ დაეფარა. ასეა, როცა სალო-
რები მუშაობ. სხვა რა უნდა ქნას ქალმა?! კიხიდან რომ გამოვედი
და, ასე ვთქვათ, შენი სახელი ვიყიდე, სალორები მისვლას მეც ბური
არაფერი მაქლდა. მერე ბოლეინებმა მიშოეს შზარუელის აღვილი
სოიერთან და მეც შემეძლო, ჩემს ჭკუზე გამელიმა ზუსტად ისე,
როგორც ახლა. ვფიქრობ შენზე და მეღიმება.

თუმცა, ყველაფერი იმიტომ იცი, რომ საზრიანი ხარ, როგორც
ყველა ამბობდა — აქ რომ ჩამოვედი, ფორთხვა გესწყველა უკვი. კი-
ბეზე ცდილობდი ასვლას. ბეიბი საგზმა კიბე თეორიად გადაღება,
კიბის თვი სიბნელეშიც რომ გამოჩენილიყო, მამინ, როცა ლამპის
შექი ვერ სწორდებოდა. ღმერთო, როგორ გიყვარდა კიბეზე აღი-ჩადი.

ცოტაც, ცოტაც და მეც სასაკლაოს ეზოში ვიმუშებებდი შაბა-
თობით კალატოზთან უკვი მემუშავა და რა დიდი განსხვავება იყო
სასკლაოზე მუშაობისგან?! საფლავის ქვა რომ დაუდგი, მინდოდა,
ქვემოთ შენთან ერთად ვწოლილიყვავი, ჩემს მხარზე მიმჯდო შენი თ-
ვი და გამეთბე. ასეც ვიზამდი, მაგრამ ბავლერს, პოვარს, ღენურს
ვჰირდებოდი. მიუსაფარი იყო მამინ ჩემი აზრი და გონი. როგორც
უნდა მნდომებოდა, შენთან ვერ ვიწვებოდი. შმეიდად მამინ ვერსად
ვიწვებოდი. ღმერთო მოწყალეო, ახლა შემიძლია. შემიძლია, გაგა-
ღულივით ვიძინო. ჩემი შეიღლი დამიბრუებდა. ის ჩემია.

ჩემი და არის საყვარელი. დედის რძესთან ერთად მოუიღე მისი სისხლი. ჯერ არაფერი შესძოდა, მერე კი პირველი, რაც გაუიგონებ, ის იყო, კიბეზე როგორ შიბობლავდა. პოლ-დის მოსვლამდე ის იყო ჩემი უჩინარი მეგობარი. პატარაობიდანვე ჩემი უჩინარი მეგობარი იყო. შამაჩემის ლოდინს მიადგილებდა. ერთად ველოდით მე და ის მამაჩემს. მიყვარს დედაჩემი, შაგრამ ვიცი, რომ თუისი ქალიშვილებიდან ერთ-ერთი მოკლა. ამიტომაც მეშინია მისი, თუმცა ჩემთან კი აღერსიანია. ჩემი ძმების დახოცეა არ გამოუვიდა. თვითონაც იცოდნენ, ასე რომ იყო. კუდიანებზე იგონებდნენ რაღაცებს და მას-წყლიდნენ, როგორ უნდა მომეკლა ვინმე, თუკი დამჭირდებოდა. შეიძლება, იმიტომ, რომ სიკვდილს ასე ახლოს ჩახედეს თვალებში, ომში წასვლა მოუნდათ შითხრეს, ომში წასვლას ვაპირებოთ. მგონი, კაცებს უფრო დახოცავდნენ, ვიდრე ქალებს, აი, დედაჩემში კი ნამ-დვილად არის რაღაც ისეთი, შვილებსაც რომ დაახოცვინებს. სულ მეშინია, რომ შეიძლება ისევ მოხდეს ისეთი რამე, რამაც დედაჩემს ჩემი და მოაკვლევინა. არ ვიცი, რა ქნა, ვინ ქნა, მაგრამ ვაითუ, კიდვე არის რაღაც ისეთი საშინელი, რომ ხელახლა ჩაადენინოს დედაჩემს ასეთი საქმე. უნდა ვიცოდე, რა შეიძლება იყოს ასეთი, მაგრამ არ მინდა ცოდნა. რაც უნდა იყოს, ამ სახლს, ამ ეზოს არ ეკუთვნის, ოღონდ, როცა კი მოისურვებს, მაშინვე შეუძლია შიგნით შემოსვლა. ამიტომაც არასოდეს გავდოურ სახლიდან, ამიტომაც არ ვაშორებ თვალს ეზოს. შეიძლება, ის რაღაც ისევ მოხდეს და თუ ფხიზლად ვიქნები, დედაჩემს აღარ მოუწვეს ჩემი მოკვლაც. ლედი ჯონსის სახლში რომ დაუდიოდი, მას შემდეგ 124 ნომრიდან ფქი მარტოს არ გამიდგამს. არასოდეს. სულ ორად ორჯერ ვიყავი გარეთ და ისიც დედაჩემთან ერთად. ერთხელ მაშინ წავედი, როცა ბებია ბები საგზი საყვარელის გვერდით დაკრძალეს. ჩემი და არის საყვარელი. მეორედ პოლ-დიც გვახლდა და შინ რომ დაუბრუნდით, მეგონა, სახლი ისევ ისე ცარიელი იქნებოდა, როგორც მაშინ, იმ კაცმა ჩემი დის აჩრდილი რომ გააგდო. როცა 124 ნომერში დაუბრუნდი, იქ იყო საყვარელი. მელოდებოდა. აქეთობისას დაღლილიყო. ოღონდ კი ვინმეს ეზრუნა მასზე, ოღონდ კი დამეცვა. ახლა კი უნდა მოყარიდო დედაჩემი. ძნელია, მაგრამ მომიწვეს. ახლა ყველაფერი ჩემზეა. მახსოვს, დედაჩემი ერთ ბნელ აღგილას იყო. ფხაკურის ხმა ისძოდა. სუნი მახსოვს, მის კაბას რომ ასდიოდა. ისეთ ადგილას ვიყავი მასთან ერ-

თად, სადაც კუთხეებიდან პატარ-პატარა რამეები არ გვაშორებდნენ თვალს. გვეხებოდნენ კიდეც. ზოგჯერ გვეხებოდნენ. იქაურობა დიდ-ხანს არ მახსოვდა, ვიდრე ნელსონ ლორდმა არ გამახსენა. ვკითხე, სიმართლე თუ არის-მეთქი, მაგრამ პასუხი ვეღარ გავიგონე. აღარ ჰქონდა აზრი ლედი ჯონსთან ისევ სიარულს, თუ სხვისი ნათქვამი არ გეხმოდა. ისეთი სიჩუმე იყო. სახეზე ვატყობლი ყველას ყველა-ფერს; იმის გამოცნობა ვისწავლე, რასაც ადამიანები ფიქრობდნენ და აღარც იმის გაგონება იყო საჭირო, რასაც ისინი ამბობდნენ. აი, ასე დაუიწყეთ ერთად თამაში მე და საყვარელმა. უსიტყვოდ ვთამა-შობლით ვერანდაზე, პატარა მდინარესთან, საიდუმლო თუშესაფარ-ში. ახლა ყველაფერი ჩემზე იყო, მაგრამ უნდა ჰქონოდა კიდეც ჩემი იმედი. მეგონა, იმ დღეს მდელოზე მის მოკვლას, სამაგიეროს გა-დახდას ცდილობდა, მაგრამ მერე კისერზე აკოცა და მეც მისი გაფ-რთხილება დამჭირდა: ნუ გიყვარს ასე ძალიან, ნუ გიყვარს-მეთქი. იქნებ ისევ ჰყავს შეჩენილი ის რაღაცა, შვილებს რომ ახოცვინებს. უნდა ვუთხრა. უნდა დაუიცვა. ყოველლამე მაჭრიდა თუს. ბაგლერი და ჰოუარდი მეუბნებოდნენ, მოგაჭრისო და ასეც იყო. ისე მიყურებს თვისი ლამაზი თვალებით, თითქოს უცხო ვიყო. კი არ ვძაგვარ ან რამე, მაგრამ ისე მიყურებს, თითქოს ვიღაცა ეპოვოს და ეცოდებო-დეს; ისე, თითქოს არ უნდა ამის გაკეთება, მაგრამ უნდა გააკეთოს, თან არ მეტკინება. თითქოს უფროსები სულ ასე იქცვიან, თით-ქოს ხელიდან ხიჭვი უნდა ამოიღოს, ანდა თვალში მოხვედრილი ხენჯის ამოსაღებად ჰირსახოცი ამოისვას. ბაგლერს და ჰოუარდს აკვირდება, აბა, კარგად თუ არიანო. მერე ჩემკენ მოდის. ვიცი, ყვე-ლაფერს მარჯვედ იზამს, ფრთხილად. მომაჭრის თუს და არ მეტ-კინება. მომაჭრის თუს და ერთი წუთით ზედ დამიტოვებს. მერე თმა-რომ დამიწნას, თუი დაბლა მიაქვს. ვცდილობ, არ ვიტირო, მაგრამ ისე მტკიცა, როცა მუარცხნის. გარცხნას რომ მოათვებს და დაწვნას დაიწყებს, ძილი მეკიდება. მინდა, დაუიძინო, მაგრამ ვიცი, ვეღარ გავიღვიძებ. ჰოდა, იქამდე უნდა ვიყო ფხიზლად, სანამ ჩემი თმის გარცხნას არ მორჩება. მერე შემიძლია, დაუიძინო. ყველაზე საშინე-ლი ის არის, რომ ელოდები, როდის მოვა და მოგაჭრის თუს. საში-ნელება ის კი არ არის, როცა ამას აკეთებს, არამედ ის, როცა ელო-დები, რომ ასე იზამს. ერთადერთი ადგილი, სადაც ლამე ხელს ვერ მახლებს, ბებია ბების თუხია. ზედა ოთხში, სადაც ჩვენ გვძინავს,

ადრე, როცა აქ თეთრკანიანები კხოურობდნენ, მოსამსახურუ იღვა. სამშარუულოც გარეთ პქონდათ, მაგრამ ბებია საგზმა. აქ რომ გადმოვიდა, იქაურობა შეშისა და იარაღების შესანახ ფარდულად გადააკეთა. უკანა კარიც აჭედა, ფარდულში რომ გადიოდა. ამბობდა, ასე წინ და უკან აღარ ვთვლიო. კარის უკან საკუჭნაო მიაშენა. ვისაც 124 ნომერში უნდოდა შესვლა, ბებიასთან უნდა შეკუდა. ამბობდა, არ მენაღვლება, ხალხი თუ ამბობს, ორსართულიან სახლს ქოხმახს ამსგავსებს, ისეთს, საჭმელსაც შიგ რომ ამშადებენო. ამბობდა, ლაპარაკობენ, ლამაზად ჩაცმულ ხალხს, ჩემთან სტუმრად რომ დადის, არ ეპიტნავება იმავე ოთახში ჯდომა, სადაც სამშარუულო ქურაც დგას, ბოსტნეულსაც ფცექვნიან და კვამლისა და ცხიძის სუნიც ირუვაო. ყურადღებას სულაც არ ვაქცევო, ამბობდა. უსაფრთხოდ ვიყავი ლამლამობით მასთან ერთად. ჩემივე სუნთქვის ხმის მეტი არაფერი მესმოდა, მაგრამ ზოგჯერ დღისით ვერ ვარჩევდი, ჩემი სუნთქვის ხმა იყო თუ ჩემ გვერდით სუნთქავდა ვიღაც. ვუყურებდი ხოლმე, როგორ აუდიოდა და ჩამოუდიოდა ძალლს, სახელად „ბიჭი“, მუცელი. მაინტერუსებდა, თუ ემთხვეოდა მისი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა ჩემსას. სუნთქვას ვიკავებდი და ისვე ვსუნთქავდი — ვცდილობდი, ძალლის სუნთქვას აკყოლოდი. ის მინდოდა, გამეგო, ჩემ გვერდით ვინ სუნთქავდა. ბოთლში პაერის ოდნავ, თანაბარზე თანაბარ ჩაბერვას ჰგავდა. მე ვსუნთქავ ასე? პოვარდია? ვინ არის? ასე მაშინ ხდებოდა, როცა ჩემთვის ყველა დუმდა და მათი ნათქვამი არ მესმოდა. არც ვჯავრობდი. სიჩუმეში უფრო მეადვილებოდა მამაჩემზე ოკება. ყოველთვის ასე ვიცოდი, რომ ჩვენთან მოდიოდა, მაგრამ სულ რაღაც აბრკოლებდა. ხან ცხენი არ უვარეოდა, ხან მდინარე გადმოვიდოდა ნაპირებზე, მის ნავს წაიღებდა და ახალი უნდა გაეკუთხდინა. ზოგჯერ ლინჩის წესით გასამართლების მოსურნეთა ბრბო უშლიდა ხელს, ხან ქარიშხალი. საიდუმლო იყო, მამა რომ მოდიოდა. იმას, რაც დაუფარავი იყო, დედას რომ არ მოვეკალი, ერთთავად მის სიყვარულს ვუძღვნიდი. მაშინაც კი მიყვარდა, ლამლამობით თმას რომ მიწნავდა. არასოდეს მითქვამს მისთვის, რომ მამაჩემი მოდიოდა ჩემთან. ბებია ბეიბისაც ჯონა, რომ მოდიოდა. ცოტა ხანს ჯონა ასე, მერე ამაზე ფიქრს თვით დაანება. მე არასოდეს დამინებებია, მაშინაც კი, როცა ბაგლერი და პოვარდი გაიქცნენ. მერე პოლ-დი მოვიდა. მესმოდა ქვემოდან მისი ხმა, დედაჩემის სიცილი და მჯონა,

ის იყო, მამაჩემი. აღარავინ მოდიოდა ამ სახლში. თუმცა, ძირს რომ სამოვედი, ხელში პოლ-დი შემრჩა, თანაც ჩემთან არ მოსულიყო. დედაჩემი სჭირდებოდა. თავიდან. მერჯ ჩემი დაც დასჭირდა, მაგრამ იმან მიაბრძანა და მეც ისე მიხარია, რომ წავიდა. ახლა მარტო ჩქენ გართ, ვიდრე მამაჩემი არ მოვა და არ მომქმარება, რომ დედაჩემზეც მეჭიროს თვალი და ყველაფერზეც, რაც კი ეზოში შემოვა.

რას არ იშამდა მამაჩემი თოხლოდ შემწყარი კვერცხისთვის. პურს აწობდა ხოლმე შიგ. მამაზე ბებია მიყვებოდა ხოლმე რაღაცებს. ამბობდა, მისთვის სულ აღდგომა იყო, როცა კვერცხს ნახურად შევუწვდიო. ისე გაუხარდებოდათ. ამბობდა, რომ ცოტა ყოველთვის ეშინოდა მამაჩემის. მეტისმეტად კარგი იყოო, ამბობდა. ამბობდა, თავიდანვე ყველაფერში კარგი იყოო. ეშინოდა ბებიას მისი. უკონა, თავს ვერასოდეს ვერაფრისგან დაიძვრუნსო. აღბათ, თეთრკანიანებიც ასე ფიქრობდნენ, რადგან დედა-შვილი არასოდეს დაუშორებიათ ჰოდა, ბებიასაც მიეცა მისი გაცნობის, მასზე ზრუნვის შესაძლებლობა, ის კი სულ რაღაცას ელოლიავებოდა და აშინებდა. ცხოველები უყვარდა, იარაღი, მარჯვლეული და ანბანი. ფურცელზე ანგარიში შეეძლო. პატრონმა ასწავლა. სხვებსაც შესთავაზა, გასწავლითო, მაგრამ მარტო მამაჩემმა მოინდომა. ბებია ამბობდა, სხვებმა თქვეს, არაო. ერთ-ერთმა, რომელსაც სახელის ნაცვლად ნომერი ჰქონდა, თავგზა დამებნებაო, რაც არ უნდა დამავიწყდეს, ის დამავიწყდება და იმას დავიმახსოვრებ, რაც არ უნდა მახსოვდესო; არ მინდა, ტვინი ამერიკები. აი, მამაჩემმა კი თქვა, ვისაც ანგარიში არ შეუძლია, იმის მოტყუება აღვილიაო; ვისაც კითხვა არ შეუძლია, იმისი ცემაა აღვილიო. იმათ უკონათ, ეს ამბავი სასცილო იყო. ბებია ამბობდა, არ ვიცოდი, ასე თუ იყოო, მაგრამ მამაჩემმა წერა-კითხვა და ანგარიში რომ იცოდა, იმის დამსახურება იყო, ბებიას იქიდან გამოსყიდვაც რომ შეძლო. ამბობდა ბებია, სულ ვნატრობდი, რომ ბიბლიის ნამდვილი მღვდლებით წაკითხვა შეძლებოდაო. კარგი იყო, მე რომ ვსწავლობდი და ვსწავლობდი კიდეც, სანამ ყველაფერი არ მიჩუმდა და მარტო ჩემი სუნთქვის ხმა არ მესმოდა და იმისი, მაგიდაზე რომ იჯდა და სარძვე გადააყირავა. ახლოს სხვა არავინ გაპკარებია. დედამ ბაგლერი გაწყვეპლა, მაგრამ იმას სარძვეზე ხელიც არ დაუდვია. მერჯ დაუთოებული ტანსაცმელი აურ-დაურია და ნამცხვარში ჩაალაგა ხელები. თითქოს იმწუთას

ანგლიური ქართული იყო მასთან. შემ ბრძოლა იყო არა რა, რა არა
რა და გიმპერია. რადგან ჩატარებული აქცია მკაფიოდ მოვარდო
გაიღვიძებოდა. ხელი რომ მოუჭირა იყო გარე აუსა. საკუთროდ კა-
კოს, ბება თანამარტო რომ მდგრადი იყოდა უჩება. აქცია არა არა,
გოველოვის მემინია. კინგი იყო არა არა ჩატარებული აუსა. არა არა
აუსა და დამაჯდებელი. გადავიდობოდა, არა არა „საკუთრო სახელი“
არა; არა არა აკუთხდა არა, არა; არა არა კუტებელი. არა, არა არა
არა არა უზარეს გარე რომ იყო არა არა არა გადავიდობოდა. არა კი
კი სანამდელოს ჩატარება, რომ კლეივის მერიება. არა არა კი მე-
გორმ, მამაჩების შედელება. არა არა ქართული. კინგი მერიება კარტები
უნდა ვიდოთ — მე, მარა და საკუთრო. დებას მერიება კარტები
ანდა პოლ-ლიხონ ერთად წარიდება. თუ უნდა, იცით მარა თვითი
უნდა უნდოდებ მახოან. მაგრამ არა მაროა. არა მოუწევის. რადგან
პოლ-ლი შეუძვა თავის ლოგიობის დაკავ. ბება ბება არა არა.
ბებ-ი ზემოდან იმიტობ მიუკრია. რეა მცირო რომ მერიება სხვადასხვა
კაცისგან. ფერად კანიანებიც და თეორიანებიც. კაცება ზემოდან
უყურებს ამისთვის. გვერნება, არ შეიძლება. ხამტები გრინდები
რომ პეტონები გვერნება, სხვანაირად არის მოწყობილი მათ სხვ-
ულები, არ, შვილები კი პატრონების სამეცნიერო. რაბდებაც შე-
ძლებებ, იმდენი უნდა გააჩინოს. გვერნება, არ შეიძლებოდა მოწყი-
გულით მათაც პეტონებოდათ ვინდე. ბებია მერიებნებოდა. შეს მაგრაბი
არ მოუსძინო, კლეივის მერიების შენს სხეულს მოუსძინეთ, შენი სხეული
გიყვარდებო.

როცა ბებია ბებიბი გარდაიცვალა. ჩემს საიდუმლო თავშესაფარში წავიდი. ეზოში გასვლას და სხვებთან კრისად ჭაბას დედა არ დაძანებებდა. შინ დაურჩით და გული მეტყინა. ვიცოდი. ბებია ბების პურის ჭაბაც რომ მოქარინებოდა და ხალხიც, იმ დღეს რომ მოჰყოა. მავარდნილი იყო. რადგან არა არავის ხედავდა, არა არსად დადიოდა.

გარტო გლოვობდა და ფერუბზე ფიქრობდა, კიდევ იმაზე, შეცდომას რომ უშვებდა, როცა იმაზე ფიქრობდა, რაც მისი აზრით ადამიანის გულსა და სხეულს შეეძლო. მაინც მოვიდნენ თუთოკანიანები. მის ეზოში მოვიდნენ. ყველაფერი რიგიანად გაეკეთებინა, ისინი კი მაინც მოვიდნენ მის ეზოში. აღარ იცოდა, რა უნდა ეფიქრა. ერთი გული ჰქონდა დარჩენილი და იმათ ისიც ისე გაუტეხეს, რომ ომმაც ვერ შეუფეცხუნა.

მამაზე ყველაფერს ბებია მიყვებოდა. მიყვებოდა, რამდენს მუშაობდა, მისი თვეი რომ გამოესყიდა. მას შემდევ, რაც ნამცხვარი გაფუჭდა და დაუთოებული ტანსაცმელი აირ-დაირია, თან ისიც გავიგონე, როგორ ადიოდა თვეისი საწოლისკენ ბობლვით ჩემი და, ბებიამ ჩემზე მიამბო რაღაცები. მითხვა, რომ გრძნებით ვიყავი შეკრული. დაბადებიდან მოყოლებული, სულ კახერხებდი გადარჩენას. მითხვა, აჩრდილის არ უნდა გეშინოდესო. შენ არაფერს დაგიშავებს, რადგან მისი სისხლი გაქვს გასინჯული, როცა დედაშენი ძუძუს გაჭმევდაო. თქვა, რომ აჩრდილი დედაჩემზე იყო შეჩენილი და კიდევ ბებიაზეც, რადგან დედას გასაჩერებლად მას არაფერი გაეკეთებინა.. უბრალოდ, უფრთხილდიო, ასე მეუბნებოდა. ევ აჩრდილი ხარბიაო და დიდ და ნამდვილ სიყვარულს ითხოვსო. ვარ კიდევაც ფრთხილად, მიყვარს კიდეც. მიყვარს. ერთად ვთამაშობდით და სულ ჩემთან იყო, როცა მჭირდებოდა. ჩემია საყვარელი. ჩემია.

მე საყვარელი ვარ და ის ჩემია. ვხედავ, როგორ აცლის ყვავილებს ფოთლებს. ვხედავ, მრგვალ კალათაში როგორ აწყობს. ფოთლები თვეისთვის არ უნდა. ბალახსაც მისწი-მოსწევს. ვუშველიდი, მაგრამ ღრუბლებია და რა ვთქვა იმაზე, რაც სათქმელი კი არა, დასანახია. მე ცალკე არა ვარ. არსად არის ადგილი, მე რომ შემეძლოს გაჩერება. ჩემი საკუთარი სახეა მისი სახე და მინდა ვიყო იქ, სადაც ის არის. მინდა ვუყურო, ძალიან მინდა.

ყველაფერი ახლაა და ყოველთვის ახლა იქნება. არასოდეს დადგება დრო, როცა მე არ გავეკვრები მიწას და არ შევხედავ იმათ, ვინც ჩემსავითა მიწაზე გაკრული. სულ ასე ვარ. სახეზე რომ მაწევს, ის კაცი მკვდარია. არ არის მისი სახე ჩემი სახე. პირიდან მოტკბო სუნი ამოსდის, მაგრამ თვალები დახუჭული აქვს. საზიზღრად შექცევიან მისი თვალები მისოვე თვალებს, მე კი არ ვჭამ. გატყა-

ვერელ კაცებს დიღით შარდი მოაქვთ ჩვენთან დახასულება. სულ არა გავქვა წყალი. ვერ ვხედავ მკვდარ კაცს, სახეზე რომ მარჯვე. ჭუჭრულანებიდან დღის ხინაოლებ შიგნით აღწევს და ვხედავ, რომ იმ კაცს თვალები დახუჭული აქვს. დიღი არა ვარ, არ უკვდიან პატარა ვირობები, როდის დაიძინებოთ. აქეთ-იქით ჩვედება ვიღაც, მაგრამ სამაგისო აღვიდი არ არის. დახალები წყალი რომ გვიჩინდებს, ცრუმლიც გაკეთებოდა. არც თველი მოგვდის, არც შარდის გაქცევი პოდა, გატყაჯტულ კაცებს მოაქვთ ჩვენთან თავისი შარდი. ერთხელ ტკბილი ქვები მოგვიტანებს საწუწნალ. ყველა ჩვენ-ჩვენი სხეულებს დატოვებას ვცდილობთ კაცმა, სახეზე რომ მარჯვე, ასე გააკეთა. მხელია, სამუდამოდ რომ მოკვდე. ცოტას დაიძინებ და ბრუნდები ისევ, თავიდან გვასაქმებდა ხოლმე. ახლა აღარ არის ასე. ჩაუწიკწიკებია ძალიან თუთრი კბილები. ვიღაც კახცახებს. აქაც კი ვგრიმნი, როგორ გამეტებით იბრძვის, პატარა ჩიტის აცახცახებული სხეული რომ დატოვოს. იმისი ადგილიც კი არ არის, რომ იკანკალო. პერა, ვერ კვდება ისიც. მოუშორებიათ ჩემი სახიდან მკვდარი კაცი. ვერ ვხედავ ძალიან თუთრ, ჩაუწიკწიკებულ კბილებს.

მიწას აღარ ვეკვრით. ახლა ფქრზე ვდგავართ, მაგრამ იმ მკვდარი კაცის თვალებთვითა ჩემი ფქრებიც. წაქეცვა არ შემიძლია — წასაქცვი ადგილი არა მაქვს. ხმაურისძენ გატყაჯტული კაცები. მკვდარი არა ვარ. ზღვის ფერი აქვს პურს. ძალიან შმია საიმისეოდ, რომ ზღვისფერი პური ვჭამო. შხისგან თვალები მქრაჭება. გროვად ყრიან ისინი, ვისაც სიკვდილი შეუძლია. ვერ ვპოულობ ჩემს კაცს. ძალიან მიყვარდა მისი კბილები. მაგარი რამეა მკვდრების პატარა გორა. გატყავებული კაცები ჯოხებს ასობენ შიგნით ისიც იქ არის, ქალი, ის სახე რომ აქვს, მე რომ მინდა და ჩემი რომაა. ზღვაში ცვლიან, პურისფერ ზღვაში. ყურებს იცარიელებს ის ქალი. იმ კაცის კბილები რომ მქონდეს, სახეზე რომ დამაკვდა, კისერს შემოუკვნეტდი იმ ქალს. ვიცი, არ მოსწონს ეს ამბავი. ახლა საკმარისი ადგილია იმის-თვის, რომ მიწას მიეკრა და უყურო, სხვები როგორ ეკვრიან მიწას. სულ მიწას ეკვრიან ახლა. შიგნით ვართ. ზღვაშია ქალი ჩემი სახით

თავიდან ვხედავდი იმ ქალს. ვერ ვქმარებოდი იმიტომ, რომ ღრუბლები იყო. ვხედავდი თავიდან. ვხედავდი, როგორ გამოდიოდა სინათლე მისი ყურებიდან. არ მოსწონს, კისერზე რგოლი რომ აქვს. ვიცი. თვალს არ ვამორებ. ეცოდინება, ღრუბლები რომაა. დარწმუ-

ნებული გარ დამინახა. ვუჭურებ, რომ მხედავს. იცარიელებს თვალებს. იქ გარ სადაც მისი სახეა და ვეუბნები, რომ გრუხუნა ღრუბლები იყო გზაზე. თავისი საყურე უნდა. თავისი მრგვალი კალათა უნდა. ძალიან მინდა მისი სახე. თავიდან ქალები კაცებისგან შორს არიან, კაცები კი ქალებისგან არიან შორს. ქარიშხალი გვანჯლრევს და ერთმანეთში ურუვს ქალებს და კაცებს. აი, მაშინ კი მოვაქცევი დიდი ხნით იმ კაცს ზურგზე. ზემოთ მარტო მის კისერს და განიერ მხრებს ვხედავ. მიყვარს იმიტომ, რომ ერთ სიმღერას მღერის. მოსაკვდომად რომ გადაბრუნდა, მისი კბილები დავინახე. კბილებში კრიდა სიმღერას. ალერსით მღეროდა იმ ადგილზე, სადაც ვიღაცა ქალი ფოთლებს ყვავილებს აცლის და მრგვალ კალათაში ღრუბლის წამოსელამდე აწყობს. ჩვენთან ახლოს ეკვრის ქალი მიწას, მაგრამ იქამდე ვერ ვხედავ, ვიდრე კაცი არ დახუჭვს თვალებს და სახეზე არ დამაკვდება. და ვართ ასე. ოდნავადაც არ სუნთქვავს. მოტკბო სუნი ამოსდის პირიდან სუნთქვის მაგივრად. არ იციან სხვებმა, რომ მკვდარია. ვიცი, იმ სიმღერას აღარ იმღერებს. ახლა მისი სიმღერა კი არა, მისი პატარა, ლამაზი კბილები მიყვარს.

ვეღარ დავკარგავ მის თავს. გრუხუნა ღრუბლებით მოდის ჩემი მკვდარი კაციც. სახეზე რომ მაკვდება, მაშინ იმ ქალის სახეს ვხედავ, აპირებს, გამიღიმოს. აპირებს და... აღარ აქვს თავისი წვეტიანი საყურე. გატყავებული კაცები ხმაურობენ. ხელს ჰერავენ კაცს, ჩემი რომაა. არ ჰერავენ ხელს იმ ქალს, ჩემი სახე რომ აქვს. თვითონ მიდის. თვითონ უერთდება გროვას. აპირებდა, ჩემთვის გაეღიმა. ძალიან უნდოდა, ჩემთვის გაეღიმა.

ისინი აღარ ეკვრიან მიწას. ჩვენ ვეკვრით წყალზე ტოტივებენ. ირლვეული და წინ მიიწვეს მკვდრების გორა. ჩემს ლამაზ კბილებას ვერ ვპოულობ. შავ სახეს ვხედავ, გაღიმებას რომ აპირებს. ჩემი შავი სახე აპირებს ჩემთვის გაღიმებას. კისერზე რკინის რეოლი გვაქვს. აღარ აქვს ყურებში თავისი წვეტიანი საყურე. არც მრგვალი კალათა აქვს. შედის წყალში და ჩემი სახე აქვს.

მოდის წვიმა, მე კი ვდგავარ. სხვები წაიყვანეს, მე — არა. ვეცემი ისე, როგორც წვიმის წვეთები ეცემა. ვუყურებ, როგორ ჭამს ის კაცი შიგნით მიწას ვეკვრი, თან რომ არ წამიღოს დაბლა წვიმამ. დავიშლები. მტკენს. მძინარეს თთოს მარჭობს და საჭმელი ხელიდან მოურდება. ვიშლები. იმ ქალმაც წაიღო ჩემი სახე. არავის ვუნდოვარ

არავის უნდა, სახელით რომ დამიძახოს. ხიდზე იმიტომ ვიცდი, რომ
ის ქალი ხიდქეშაა. თუნდება. ღამდება. მერე ისვე თუნდება. ვიცდი.
არა მაქვს კისერზე არავითარი რკინის რგოლი. არც ერთი ნავი არ
დაკურავს ამ წყალზე. არც ერთი გატყავებული კაცი არ ჩანს. აქ
არც ჩემი მკვდარი კაცი ტოტოვებს. იქ არის, ქვემოთა მისი კბილე-
ბი, იქ, სადაც სილურჯეა და ბალახი. ასეა ის სახეც, მე რომ მინდა,
სახე, რომელიც აპირებს, გამიღიმოს. აპირებს. დღისით ბრილიან-
ტები იმ წყალშია, სადაც ის არის. რამდენიმე კუც არის. ღამით მეს-
მის, როგორ ღეჭვავნ და ყლაპავენ რაღაცას. სიცილიც მესმის. ჩემი
სიცილია. ის არის სიცილი. მე მეცინება. ვხედავ მის სახეს. ჩემი
სახეა. ის სახეა, ჩემთვის გაღიმებას იქ რომ აპირებდა, სადაც მიწას
ჰეკვროდით ახლაც აპირებს. წყალში მოდის მისი სახე. ჩემი სახეა
მისი სახე. არ იღიმება. ღეჭვავს და ყლაპავს. მე უნდა მქონდეს ჩემი
სახე. წყალში შევდოუარ. აქეთ-იქით იწვა ბალახი. მან მისწი-მოს-
წია. მეც წყალში ვარ და ისიც მოდის. არც მრგვალი კალათა, არც
რკინის რგოლი აქვს კისერზე. იქ მიდის, სადაც ბრილიანტებია. მეც
მოყვები უკან. ბრილიანტებში ვართ მისი საყურის ბრილიანტებ-
ში. და აი, მოდის ჩემი სახეც. უნდა დავიბრუნო. დროს ველოდები,
რომ ერთნი გავხდეთ. ისე ძალიან მიყვარს ჩემი სახე. ჩემი შავი სახე
ახლოსაა ჩემთან. მინდა, ჩურჩულში ავყვე. მეჩურჩულება. მეჩურჩუ-
ლება. ხელს მისკუნ ვიშვერ, ის კი ღეჭვავს და ყლაპავს. მეტება. იცის,
რომ მინდა ერთნი გავხდეთ მღეჭვავს და მყლაპავს. მე აღარა ვარ
მისი სახე ვარ მე. დამტოვა ჩემმა საკუთარმა სახემ. ვხედავ, როგორ
მოცურავ შორს. ვხედავ ჩემს ფეხისგულებს. მარტო ვარ და მინდა,
ორივე ერთდროულად ვიყო, ისიც და მეც. მინდა, ერთნი გავხდეთ

ამოვდოვარ ღურჯი წყლიდან მას შემდევ, რაც ჩემოვ ფეხისგუ-
ლები ჩემგან შორს გაცურავენ. ამოვდოვარ. გასაჩერებელ ადგილს
ჰედებ. მძიმე პაერია. მკვდარი არა ვარ. არა ვარ. სახლია. ის არის,
რაზეც მეჩურჩულებოდა. იქა ვარ, სადაც მითხვა. მკვდარი არა ვარ
ვზოგარ. თვალებს ვახელ და ისვე მეტუჭება შისგან. ვხედავ სახეს,
რომელიც დაკარგე. სითეს სახეა სახე, მე რომ მიმატოვა. მხედავს
სითე, რომ ვხედავ და მეც ვხედავ ღიმილს. მისი მოღიმარი სახეა
ადგილი, სადაც უნდა ვიყო. ის სახეა, რომელიც დაკარგე. ჩემი სა-
ხეა და მიღიმის. უკანასკნელად მიღიმის. ახლა შევიძლია ერთნი
გავხდეთ.

მე საყვარელი ვარ და ის ჩემია. სითქა ის, ვინც ყვავილებს კრუფ-
და, ყვითელ ყვავილებს, სანამ მიწას გაეკვრებოდა. იმან დააცალა
ყვავილები მწვანე ფოთლებს. დალიანდაგებულ საბანზეა ახლა ის
ყვავილები, იმაზე, ახლა ჩვენ რომ გვაფარია. ლამის გამილიმა, როცა
გატყავებული კაცები მოუიდნენ და მკვდრებთან ერთად შეუში გაგ-
ვიყვანეს. ზღვაში შეყარუს მკვდრები. სითუც შევიდა ზღვაში. შევიდა.
მისთვის არ უკრავთ ხელი. წავიდა. ემზადებოდა, ჩემთვის რომ გა-
ელიმა, მაგრამ როცა დაინახა, როგორ ერეკებოდნენ ზღვაში მკვ-
დრებს, თვითონაც წავიდა. ისე წავიდა, არც თუისი სახე დამიტოვა,
არც ჩემი. სითქა ის სახე, რომელიც ვიპოვე და რომელიც დავკარგე
ხიდის ქვეშ. წყალში რომ შევედი, დავინახე, როგორ მოდიოდა მი-
სი სახე ჩემკენ. ჩემი სახეც იყო. მინდოდა, ერთნი გავმხდარიყავით.
ვცადე, ერთნი გავმხდარიყავით, მაგრამ სინათლის სხივებად გაიშა-
ლა წყალზე. ისევ დავკარგე მისი თუი, მაგრამ ის სახლი ვიპოვე,
რომელზეც მეჩურჩულებოდა და ისიც იქ დამხვდა. როგორც იქნა,
იღიმებოდა. კარგია, მაგრამ ვეღარ დავკარგავ. მარტო ის მინდა ვი-
ცოდე, რატომ შევიდა წყალში იქ, სადაც მიწას ვეკვროდით რატომ
მოიქცა ასე მაშინ, როცა ის-ის იყო, უნდა გაელიმა ჩემთვის? მინ-
დოდა, მასთან ერთად ვყოფილიყავი ზღვაში, მაგრამ ვერ ვიძვრო-
დი; მინდოდა, მივხმარებოდი, ყვავილებს რომ კრუფდა, მაგრამ თო-
ფებიდან აკარდნილმა კვამლმა თვალები დამიბრმავა და დავკარგე.
სამჯერ დავკარგე: ერთხელ, როცა ყვავილებს კრუფდა და კვამლის
გრუხუნა ღრუბელი წამოვიდა; ერთხელ, როცა ზღვაში შევიდა იმის
მაგივრად, ჩემთვის რომ გაელიმა; ერთხელ ხიდქვეშ, როცა წყალში
შევედი, ერთნი რომ გავმხდარიყავით, ისიც წამოვიდა ჩემკენ, ოღონდ
არ იღიმებოდა. მეჩურჩულა, დამღეჭვა და ცურვით გამეცალა. ახლა
ამ სახლში ვიპოვე. მიღიმის, ჩემი სახე მიღიმის, როცა მას ეღიმება.
აღარ დავკარგავ. ჩემია.

სიმართლე მითხარი. იქიდან არ მოსულხარ?

კი. მე ვიყავი იქ.

ჩემ გამო მოხვედი?

კი.

გახსოვარ?

კი. მახსოვხარ.

არასოდეს დაგვიწყებოვარ?

შენ ჩემი სახე გაქვს.

მაპატიებ? დარჩები? ახლა აქ უსაფრთხოდ ხარ
სად არიან გატყავებული კაცები?

იქ. შორს.

აქ მოსვლა შეუძლიათ?

არა. ერთხელ სცადეს, მაგრამ გაუჩერე. მეორედ არასოდეს მოვლენ.
ერთ-ერთი იმავე სახლში იყო, რომელშიც მე. მატკინა.

მეტს ვეღარ გვატყენენ.

სად არის შენი საყურე?

გამომართვეს.

გატყავებულმა კაცებმა გამოგართვეს?

ჰო.

მინდოდა, მოგხმარებოდი, მაგრამ ღრუბლები მოდიოდა.

აქ არ არის ღრუბლები.

ყელზე რკინის რგოლს თუ დაგადებენ, შემოგაკვნეტ.

საყვარელო.

მრგვალ კალათას მოგიწნავ.

დაბრუნდი. შენ დაბრუნდი.

გავიღიმებთ?

ვერ ხედავ, ვიღიმებით?

მიყვარს შენი სახე.

პატარა მდინარესთან ვთამაშობდით

წყალში ვიყავი.

უშფოთველი ჟამი იყო და ვთამაშობდით

გრუხუნა ღრუბლები მოდიოდა.

როცა მჭირდებოდი, მოდიოდი და ჩემთან იყავი.

მისი სახე მჭირდებოდა, რომ გამეღიმა.

მარტო სუნთქვის ხმა მესმოდა.

სუნთქვა აღარ ისმის; მარტო კბილები დარჩა.

შენზე მითხრა, არაფერს დაგიშვებსო.

მე დამიშავა.

მე დაგიცავ.

მე მისი სახე მინდოდა.

ნუ გიყვარს ასე ძალიან.

მე ის ძალიან მიყვარს.

თვალი არ მოაშორო; შეუძლია, თვებრუ დაგახვიოს.

ღეჭვეს და ყლაპავს.

არ დაგეძინოს, როცა თმას გიწნავს.

ის სიცილია; მე მეცინება.

მე სახლს ვუყურუბ, ეზოსაც ვუყურუბ.

მიმატოვა.

მამა მოგვაკითხავს.

საყვარელო შენ ჩემი და ხარ

ჩემი შვილი ხარ

ჩემი სახე ხარ; შენ მე ვარ

ისევ გიპოვე; დაბრუნდი ჩემთან

შენ ჩემი საყვარელი ხარ

ჩემი ხარ

ჩემი ხარ

ჩემი ხარ

მე შენი რძე მაქვს

შენი ღიმილი მაქვს

მე ვიზრუნებ შენზე

ჩემი სახე ხარ; შენ მე ვარ. მე რატომ მიმატოვა?

მეტს არასოდეს მიგატოვებ

მეტი არასოდეს მიმატოვო

მეტს არასოდეს მიმატოვებ

წყალში შეხვედი

დავლიე შენი სისხლი

შენი რძე მოგიტანე

გალიმება დაგავიწყდა

მიყვარდი

მატკინე

შენ დამიბრუნდი

შენ მიმატოვე

გელოდი
ჩემი ხარ
ჩემი ხარ
ჩემი ხარ

ერთი ციცქა უკუნა იმ, მდიდარი გაფას სიკარისი იმას
ხელა და მეტი არა. კრისტ სკომის სასურველი არ არის ის, რომ
კულტურის გუნდმის ისინი ძლიერდნენ. კინგ აქტორის მოვა
ერქა, დასაჯდომების არ წარმოადგინა და სასტურება. კინგის
პლატფორმის მოწყობაზე ერთეული ძლიერი სიკარი მოვა
საძღვრიდე დუიდის მაღლა რომ კონკრეტული ხელში მაგრა გადა
აუცილებელი არც ეს გახდეთ — იქტეობის მარჯა საძღვრა
თითო მუხის ჯარის უკა დაუკავშირის სამართლებრივი მაღლა და
ლი. შენობაში, რომელმის მაკვიცის უკუნა განვითარება არ
ნამდე ქსევილების მაღანა კონკრეტულია. ასაკითი ხელში მარ
მაშინ გვერდით ფანჯრები. მარტინი წინ იმარტის აუცილებელი სა
ქონლის გამოსავევნად. მეტი. კინგ კონკრეტულის წერტილი არა
ფიქრობდნენ, რა აჯობებს. ფანჯრები მდგრადი იყ იმარტის ჩა
გაფრთხოთ, აღვნენ და მინებზე ქალადი გაჭრე. ას განასახი
ბასც მოსხისებდნენ და განვიტოსას გამოსავევნა ცოტოდები
დღის სინათლეს შეუკავშიროთ მიზნის მიზნებით უკუნა რომ
განიაკვეთეთ, კარგის ღიას ტელევიზი. პარონის ხელის მარტ
დატოვებულ გასასვლელში დაგდებული რიგის ღიას იყ იმარტ
და იქაურობას, როგორც შევძლო. წინ შემოქმედ უკუნა მარტ
ნამები კერანდა პქონდა, ხდეს არც მაღანის კონკრეტის ხელ
ოდათ ხოლო ჩამოსხდომა, ბუმბუბი კი ხელ კრი ბაზე იყონე
ნენ, თავით მოაჯირის გიხესხებში რომ გაჭროდოთ. ანგარიში. იყ
შეიანი და უქარი დღე თღა, თანაც ღიას საკუთრებული არ ახერხდები.
გარეთ უქარი თბილობა, კინგ კალებაში. ნებებან სისხლი გა
რიანად თბილობა ხოლო, მაგრა სინათლის რა მოვახდით —
კურუ ჩაღის ღების დაინახდით, კურუ ხელსახის. კურუ კურ
ზე მიჭიდებულ ღებისახის, აღმანის უკა ტანატერები რომ ჩამო
კიდა. ბაზმაც ძლიერ ბერებული. პრდა, იჯო პრდა-დაც კურნალებ
ასასელექ კიბეზე და გასახომოდ ხელოვის ჯიბული ჩატარები
ბორლიდან სახმელს ხვადა. თან თბილობა, თან თვალები უწინ

დებოდა. მაჯები შუხლებს შორის მოექცია. არა, განა იმიტომ, რომ არ ეკანკალა, ხელის მოსაჭიდებელი არაფერი ჰქონდა და იმიტომ. იფანტუბოდა და იფანტუბოდა ყველაფერი, რაც მკერდში დამალულ თენუქის თაქახდილ საოუთუნეში შეენახა პოლ-დის, პაერში ლოვ-ლოვებდა და თვის ჭკუაზე აცეკვებდა პოლ-დის, ნადავლოვით რომ ჩაეცდო ხელში.

კერ გაუგო პოლ-დის, ამდენ ხანს რატომ გაჭიანურდა საქმე. შე-ეძლო, სიქსოსთან ერთად გადამხტარიყო ცეცხლში. გემოზე იცი-ნებდნენ ერთად. მაინც მოუწევდა დანებება და სიცილით და ყი-უინით მაინც შეხვედროდა მარცხს. რატომაც არა? რატომაც არა? რისი მაქნისი იყო ამდენ ხანს დაყოვნება? უკვე დაენახა, როგორ უქნევდა გამოსაშვიდობებლად საზიდრიდან თვისი ძმა ხელს, თან ჯიბეში შემწვარი წიწილა ედო, თვალზე კი ცრუმლი მოსდგომოდა. დედა. მამა. ერთი არ ახსოვდა. არასოდეს ენახა მეორე. სამ ნა-ხევარძმას შორის ყველაზე უმცროსი თვად გახლდათ. ერთი დედა ჰყავდათ და სხვადასხვა მამა. მისი თვი გარნერს მიჰყიდეს და ოცი წლით აეკრძალა მისი კარ-მიდამოდან ფეხის გადგმა. ერთხელ მე-რილენდში მონების ოთხ ოჯახს შეხვდა. ას წელიწადს სულ ერთად ყოფილიყვნენ: დიდი ბებია-ბაბუები, ბებია-ბაბუები, დედები, მამები, ბიძა-ბიცოლები, ბიძაშვილები და შვილები. მულატები, კვარტერონები, წმინდა სისხლის ზანგები და ინდიელებთან ნაჯვარები. შიშით და შურით უყურებდა მათ პოლ-დი. წაწყდებოდა თუ არა სადმე შუკანიანების დიდ ოჯახს, აყოლებდა და აყოლებდა, ვინ ვინ იყო და ვინ ვისი რა იყო.

„აგე, ის ჩემი მამიდაა. ეს მისი ბიჭია. იქ მამაჩემის ბიძაშვილია. ეს ჩემი ნახევარდაა — დედაჩემი ორჯერ იყო გათხოვილი. ეს ჩემი დისშვილებია. ესეც ჩემი ცოლია...“

მსგავსი არასოდეს არაფერი ჰქონდა პოლ-დის და ისიც ისე იზ-რდებოდა „საყვარელ სახლში“, რომ ამეებს სულაც არ მოისაკლისებდა. ძმები იქ ჰყავდა, ორი მჯობარიც, ბეიბი საგზიც, სულ სამხარეულოში რომ ტრიალებდა და პატრონიც, რომელიც მონებს სროლასაც ასწავლიდა და მათ სათქმელსაც ისმენდა. ქალბატონიც ჰყავდა, რომელიც ყველას სამყოფ საპონს აკეთებდა და ხმამაღლა სიტყვასაც არ ამბობდა. ოცი წელიწადი ცხოვრობდნენ ამ საყანეში, იქამდე, ვიდრე ბეიბი სითუმ არ შეცვალა და მასაც პალე არ დაეუფ-

ლა. დაოჯახდნენ, სიქსო კი ტყაუში ძვრუბოდა, ოღონდ კი ოჯახი შეუქმნა იმ ქალთან ერთად, „ოცდამეათუ მილიდან“ რომ გახლდათ როცა პოლ-დი მთლად უფროს ძმას გამოსამშვიდობებლად ხელს უქნევდა, „საყვარელი სახლის“ პატრონი მკვდარი იყო, ქალბატონს ნერვები აღარ უვარეოდა და იქაურ სავანესაც გასჩენოდა ბზარი. სიქსო ამბობდა, ქალბატონი ექიმმა დაუკადმყოფაო. ამბობდა, იმავე წამალს ასმევს, რასაც საფანტის უქონლობის გამო ფეხმოტებილ ულაყებს აძლევენო. ამბობდა, სკოლის მასწავლებლის ახალი წესები რომ არა, ქალბატონს ყველაფერს მოუყვებოდიო. დასკინოდნენ სიქსოს. საქმეში ჩახედული კაცით ლაპარაკობდა ყველაფერზე, მათ შორის იმაზეც, რამაც მისტერ გარნერი მოკლა. ამბობდა, დარტყმისგან დოლურა კი არ გაუსკდა, რომელილაც შურიანმა მეზობელმა ესროლაო ყურში ტყვია.

„აბა, სისხლიო?“ — ეკითხებოდნენ სიქსოს.

არ ყოფილა სისხლი. თუის ფაშატზე ჩაბლაუჭებული მივიდა მისტერ გარნერი შინ. ოფლი ასხამდა და მოლურჯო-მოთეთრო ფერი ედო. წვეთი სისხლიც არსად ეტყობოდა. ბურტყუნებდა სიქსო. ერთადერთი იყო, ვისაც პატრონის სიკვდილის გამო გული არ სწყდებოდა. თუმცა, მოგვიანებით, სხვების არ იყოს, მასაც გვარიანად დასწყდა გული, მისტერ გარნერი ცოცხალი რომ აღარ გახლდათ.

— რისთვის დაუძახა? — კითხულობდა პოლ-დი, — რაში სჭირდება სკოლის მასწავლებელი?

— ანგარიში რომ იცოდეს, ისეთი სჭირდება ვინმე.

— ანგარიში შენც იცი.

— ისე არა.

— არა, კაცო, — პასუხობდა სიქსო, — უნდოდა, თუთოკანიანი ყოფილიყო სახლში ვინმე.

— რისთვის?

— შენ როგორ გგონია? შენ როგორ გგონია?

პოდა, ზუსტად ასე იყო. არავის ეგონა, რომ გარნერი მოკვდებოდა. არავინ ფიქრობდა მის სიკვდილს. ვინ წარმოიდგენდა?! ყველაფერი მასზე იყო ჩამოკიდებული. ის თუ არ იქნებოდა, გაქრებოდნენ დანარჩენებიც. მოდი ახლა და თქვი, რომ მონობა არ არის ეს. მონობაა, აბა, რა?! სწორედ მაშინ, გაფურჩქნის ხანაში რომ ბრძანდებოდა, გამორჩეულად მაღალსა და გვარიანად ლონი-

ერ პოლ-დის ფრთხები შეუკვეცეს. ჯერ საფანტის თოფი ჩამოართვეს, მერე ფიქრის უფლება — არაფერში სჭირდებოდა სკოლის მასწავლებელს ზანგების ნაფიქრალი და მათი რჩევა-დარიგებები. მათ სიტყვებს ყოველთვის უტიფარ სიტყვა-პასუხს ეძახდა და ახლებურად რომ აღეზარდა, ათასნაირადაც უსწორებდა ნათქვამს, თან ყველაფერს უბის წიგნაკში იწერდა. ჩიოდა, მეტისმეტად ბევრს ჭამენ, მეტისმეტად ბევრს ისვენებენ და მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობენ. უთუოდ მართალიც გახლდათ. მათთან შედარებით სკოლის მასწავლებელი ცოტას ჭამდა, ნაკლებს ლაპარაკობდა და დასვენებით ხომ სულ არ ისვენებდა. ერთხელ დაინახა, ბურთს როგორ სტყორცნიდნენ და ისეთი შეურაცხყოფილი სახე მიიღო, რომ პოლ-დის თვალების დახუჭვამ მოუწია. შევირდებთან ისეთივე მკაცრი იყო, როგორიც მონებთან, ოღონდ სიტყვა-პასუხს არ უსწორებდა ხოლმე.

დიდხანს სჯეროდა პოლ-დის, რომ გარნერის გაზრდილი კაცები სკოლის მასწავლებელს გაეტქა და პატარა ბავშვებად გადაექცია. სჯეროდა, რომ სწორედ ამის გამო გაქცეულიყვნენ კიდეც. ახლა, როცა მკერდში გაჭუქილი თუნუქის სათუთუნე და მისი შიგთავსი არ აძლევდა გასაქანს, ფიქრობდა პოლ-დი, ნეტავ სინამდვილეში რამხელა განსხვავება იყო იმას შორის, რაც სკოლის მასწავლებლის მოსვლამდე ხდებოდა და მისი მოსვლის შემდგომ. გარნერი მათ კაცებს ეძახდა და კაცებად მოიხსენიებდა, ოღონდ კაცები მხოლოდ „საყვარელ სახლში“ იყვნენ და ისიც მხოლოდ პატრონის ნებართვით ნეტავ იმას არქმევდა სახელს გარნერი, რასაც ხედავდა, თუ თხზავდა იმას, რასაც ვერ ხედავდა? სიქსოსაც იგივე თვასატები ჰქონდა, პალესაც კი. მიუხედავად იმისა, გარნერი რას დაუძახებდა, სიქსო და პალე კაცები რომ იყვნენ, პოლ-დისთვის ყოველთვის ნათული გახლდათ. ფიქრობდა პოლ-დი საკუთარ კაცურკაცობაზე და წუხდა. ვერ იყო ისეთი ამ საკითხში, თვითონ რომ უნდოდა და იმიტომ. არა, ვაჟკაცურად კი ირჯებოდა ხოლმე, მაგრამ ვერ გაჟო, გარნერს ებოძებინა მისთვის ასეთი ნიჭი თუ საკუთარი ნებით მოქმედებდა ასე. მაინც როგორი იქნებოდა პოლ-დი, რომ არა „საყვარელი სახლი“ და გარნერი? რა კაცი დადგებოდა მისგან სიქსოს ქვეყანაში, ანდა თვალ დედამისის ქვეყანაში რომ ეცხოვრა? ანდა, ღმერთ, შეწიე, რა იქნებოდა მის თვას, გემზე რომ აღმოჩენილიყო? ნუთუ

თუთრკანიანის სიტყვაზე იყო დამოკიდებული ყველაფერი? ვთქათ და, სხვა ჭკუაზე გაღვიძებოდა ერთ დილით გარნერს? ვთქათ, უკან წაეღო თუისი სიტყვა? ნეტავ მაშინ თუ გაიქცეოდნენ? ანდა ისევ ძველებურად რომ ეფიქრა გარნერს, დარჩებოდა ყველა პოლი მთელი სიცოცხლე მის კარ-მიდამოში? რატომ გაატარეს ძძებმა მთელი ღამე სჯა-ბაასში, ვიდრე რამეს გადაწყვეტდნენ? რატომ იფიქრეს მთელი ღამე, შევრთებოდნენ თუ არა სიქსოსა და პალეს? იმიტომ, რომ ლამაზი ტყუილი მოქმედიათ მათთვის თვზე, თანაც არც იმას უწევდნენ ანგარიშს, რა ცხოვრებით ეცხოვრათ „საყვარელ სახლში“ მისვლამდე ბეიბი საგზსა და პალეს. ფიქრობდნენ, იმათ უბრალოდ არ გაუმართლაო. თუად მსგავსი არაფერი გამოეცადათ და სიქსოს მონათხოვი საზარელი ამბებით ერთობოდნენ. თვის დაცულად გრძნობდნენ და სჯეროდათ, რომ განსაკუთრებულები იყვნენ. ეჭვადაც არასოდეს პქონიათ, რომ არსებობდა ალფრედი ჯორჯის შტატში ყველა თუისი სატკიფრით ეჭვადაც არასოდეს პქონიათ, რას ნიშნავს გიყვარდეს ის, რასაც ირგვლივ ხედავ და ყველასა და ყველაფერს იტანდე, ოღონდ კი თვი გაიტანო იქ, სადაც პოლ-დის მთვარის დანახვის უფლებაც კი არ პქონდა, მთვარუ კი ანათებდეს და ანათებდეს. პატარ-პატარა რამეები უყვარდა და ისიც მალულად. რა თქმა უნდა, ერთი პატარა ხეც უყვარდა, ოღონდ ძამია ხესავით ბებერი და ფართო არა. არც ძამია ხესავით უხმობდა თუისკენ ის ხე პოლ-დის.

ალფრედში, ჯორჯის შტატში ერთი ვერხვი იყო. მეტისმეტად ნორჩი გახლდათ იმისთვის, რომ ნერგიაო, გეთქვათ უბრალოდ ყლორტი იყო და ასე, წელამდე თუ უწევდა პოლ-დის. აი, ისეთი გახლდათ, ცხენის გასაშოლტად რომ მოჭრიდა კაცი. მღეროდა პოლ-დი სიმღერას, სიცოცხლეს რომ კლავდა და უყვარდა თუისი ვერხვი. იმისთვის ცოცხლობდა, ის სიმღერა რომ ემღერა, სიცოცხლეს რომ კლავდა, თან ვერხვს აღვენებდა თვალს, ცოცხლის არსებობას რომ ადასტურებდა და წუთითაც კი არასოდეს უფიქრია, რომ შეეძლო, გაქცეულიყო. ასე იქამდე იყო, ვიდრე იწვიმებდა. მერე, მას შემდეგ, რაც ჩეროკებმა ხელი გაიშვირეს და მოყვავილე ხეებისკენ სირბილით გაისტუმრეს, მარტო ის უნდოდა, არ გაჩერებულიყო, მთელი დღე თუგამეტებით ვლო და მომდვერო დღეს სადმე სხვაგან აღმოჩენილიყო, დამორჩილებოდა სიცოცხლის ნებას ისე, რომ არც

მამიდა-ბიცოლები ჰყოლოდა, არც ბიძაშვილ-მამიდაშვილები, არც შვილები. სითემდე არც ის უნდოდა, ქალი ჰყოლოდა გვერდით.

მერე იმან გამოაგდო პოლ-დი. სწორედ მაშინ გამოაგდო, როცა ეჭვი, ნაღველი და ყველა დაუსმელი კითხვა მონელებული ჰქონდა, მაშინ, როცა კარგა ხანი იყო, დაუჯერუბინა, საკუთარ ნებაზე შემეძლია, ვიცხოვრო. სწორედ იმ სახლიდან გამოაგდო, სადაც ფეხის მოკიდება ენებებინა პოლ-დის, თანაც მაშინ, როცა იქ დარჩენა მთელი გულით სურდა. ოთახიდან ოთახში ერუყებოდა. ნაჭრის ტიკინა-სავით დაათვალიერდა.

იჯდა ქსოვილების მაღაზიის ადგილას მოწყობილი ეკლესიის კერანდაზე ოდნავ ნასვამი პოლ-დი უსაქმოდ და ამეუბზე ფიქრით იქცევდა თუს. ხან რაზე გაიფიქრებდა, ნეტავ რა იქნებოდაო, ხან რაზე. ნელ-ნელა, ღრმად იჭრუბოდა მის არსებაში ყველა კითხვა, ოღონდ შიგნით, მასში არაფერი იყო ისეთი, კაცს მოსაჭიდებლად რომ გამოსდგომოდა. პოლა, იჯდა პოლ-დიც და მაჯები მუხლებს შორის მოექცია. წაეყრუებინა იმ ქალის ცხოვრუბისთვის, შეებიჯებინა მის ცხოვრუბაში, თუის ცხოვრუბაშიც შემოეშვა და საკუთარი წუთისოფელი ისე მოწყვო, რომ დაცემა გარდაუვალი გახლდათ უჩვეულო იყო, მთელი სიცოცხლის ერთადერთ ქალთან გატარების სურვილი და როცა მიხვდა, რომ ეს სურვილი აღარ ჰქონდა, ტირილი მოუნდა. უნდოდა, ღრმად შეჭრილიყო ყველა ფიქრი მის არსებაში, სადაც არაფერი იყო ისეთი, რომ ჩასჭიდებოდა. როცა დინებას მიჰყვებოდა, როცა საჭმლისა და ღამით დაძინების მეტი საფიქრალი არაფერი ჰქონდა, როცა ყველაფერი მჭიდროდ ჰქონდა მკერდში გაჭუქილი, მარცხის შეგრძნებაც არ ჰქონია, არ ჰქონია შეგრძნება, რომ რაღაცები არ გამოსდიოდა. ახლა იმას ფიქრობდა, ნეტავ რა არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. გვემიდან მოყოლებული არაფერი ყოფილა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, თან კარგი გვემა იყო. წვრილმანებიც კი გაეთვალათ და შეცდომა შეუძლებელი გახლდათ ისევ აღაპარაკებულა ინგლისურად სიქსო. აბამს ცხენებს და თან ჰალეს უყვება, რა უთხრა ქალმა „ოცდამეათი მილიდან“. შეიდი ზანგი იმ ქალის სახლიდან კიდევ ორ ზანგს შეურთებია, ჩრდილოეთში მიმავლებს. უყვება, რომ ის ორი მანამდეც ყოფილა ჩრდილოეთში და გზა იციან. ერთ-ერთი მათგანი ქალია. სიმინდის ყანა რომ გაიზრდება, იქ დაელოდება დანარჩენებს. მთელ

ლამეს მოიცდის და კიდევ ნახევარ დღეს. თუ მოვლენ, ქარაფანთან წაიყვანს, იქ კი სხვებიც იქნებიან დამალულები. ყანაში რომ მოვა, ნიშანს მისკემს. ჩხრიალს დაიწყებს. სიქსო აპირებდა წასკლას, მისი ქალიც. ჰალეც მიდიოდა მთელ თავის ოჯახთან ერთად. პოლებიდან ორივე ამბობდა, მოსაფიქრებლად დრო გვჭირდებაო. უნდა დავთიქრდეთ, ბოლოს სად ვიქნებითო, როგორ ვიცხოვრებთო, სად ვიმუშავებთო, ვინ შეგვიფარუბსო, ხომ არ აჯობებს, პოლ-ეიმდე მისელა ვცადოთო. ახსოვდათ, მისი პატრონის კარ-მიდამოს „გზა“ პქვიაო. საღამოს ერთს დაუიღაპარა კებთ და გადაუწყვეტთო.

ახლა მარტო ის დარჩენიათ, იქამდე მოიცადონ, სანამ გაზაფხული გავა, სიმინდი აიყრის ლეროს და ცაზე საუსე მთვარე გამოვა.

ესეც გვმა. ნეტავ რა ჯობია, სიბნელეში გაუდგნენ გზას, ხელი რომ არაფერმა შეუშალოთ, თუ გამთენისას წავიდნენ, როკა გზა უკეთ მოჩანს? ამის გაგონებაზე სიქსო იფურთხება. ღამით დროც მეტი ექნებათ და არც სიბნელეში გამოჩნდებიან. არ ეკითხება, თუ გეშინიათო. ერთი-ორჯერ ახერხებს ღამით ყანაში წინასწარ წასკლა-წამოსკლას. პატარა მდინარის ახლოს, მიწაში, საბნებსა და ორ ცალ დანას მარხავს. ეკითხებიან, სითუ თუ შეძლებსო მდინარის გადაცურვას? როცა ყანა მაღალი იქნება, მდინარე დამშრალი იქნებაო, პასუხობს. იმდენი საჭმელი არა აქვთ ცოტ-ცოტა რომ გადადონ სამერეოდ, მაგრამ სითუ ამბობს, წასკლის დრო რომ მოვა, ერთ კოკა ლერწმის სიროვს ან ბადაგს ვიმოვი და ცოტა პურხო. მხოლოდ ის უნდა იცოდეს ზუსტად, სად იქნება საბნები, — დასჭირდებათ, თავის პატარა ზურგზე რომ მიაკონონ, თან საბნები ისე-დაც საჭიროა. ტანზე რაც აცვიათ, იმის მეტი სხვა ტანსაცმელი არა აქვთ რა თქმა უნდა, ფეხსაცმელიც არ გააჩნიათ შესაჭმელად რამეს გამოსჭრიან გადამალული დანებით ყელს, თან თოკსა და ქვაბსაც მარხავენ. კარგი გვემაა.

თვალი უჭირავთ სკოლის მასწავლებელსა და მის შევირდებზე. იმახსოვრუბენ, როდის მიდიან და მოდიან; რისთვის მიდიან და საქმეზე წასულებს რამდენ ხანს აგვიანდებათ. მთელი ღამე ვერ ისვენებს მისის გარნერი, მერუ კი მთელი დილა ძილს ვერ ართმევს თავს. ზოგჯერ შევირდები და მასწავლებელი საუზმობამდე მეცადინეობენ. კვირაში ერთ დღეს საერთოდ არ საუზმობენ და ათ მიღლს გადიან ეკლესიაში მისასკლელად. შინ დაბრუნებულებს დიდებული სადილი

უნდა დახვდეთ ნაკაბშემცველს სკოლის მასწავლებელი უბის წიგნაკანი წერს ხოლმე რაღაცას, შევირდები კი ამასთამი იარაღებს წმენდებ. აქეთებენ და ლესაცენ. ყველაზე არუელ-დარუელად ხითეს საქმეა — არ იცის, როდის იხმობს მისის გარნჯი. შეიძლება. ლაშითაც დაუძახოს, როცა ტკოვილი, დაძაბუნება ან მარტოთა შეტისმეტად აუტანელი ხდება. ასე რომ, სიქსო და პოლები ნაკაბშემცველს წაულენ და პატარა მდინარესთან მოუცდიან ქალს „ოცდამესთე მილიდან“. ალიონამდე, იქამდე ვიდრე მშე ამოვა, ვიდრე ქათმები და მეწველი ძროხები იქნება მისახედი. მიიყვანს ჰალე სითეს და სამ შვილს. ანუ მაშინ, როცა სამხარეულოს ღუმლიდან პირველი კუმლი უნდა ამოვიდეს, ისინიც სხვებთან ერთად იქნებიან მდინარესთან. ასე სითეც შეძლებს მისის გარნერისთვის პასუხის გაცემას. თუკი ამ უკანასკნელს ღამით დასჭირდება და დაუძახებს. მარტო იქამდე უნდა მოიცადონ, სანამ გაზაფხული გავა.

არადა, ორსულად იყო სითე გაზაფხულზე, აგვისტოში კი ისე დამძიმდა, შეიძლებოდა, ვერ გაჰყოლოდა ფეხდაფეხ კაცებს, რომლებსაც ბავშვების ხელით ტარება კი შეუძლოთ მაგრამ სითესი არა.

არადა, გარნერის სიცოცხლეში ნირწამხდარი მეზობლები, ახლა თვეისუფლად რომ მიდი-მოდიოდნენ „საყვარელ სახლში“, შეიძლებოდა, სრულიად შეუფერებელ დროს წასდგომოდნენ გაქცეულებს თვეზე.

არადა, სითეს ბავშვებსაც რომ უშლიდნენ სამხარეულოში თამაშს. ჰოდა, დაქრის სახლსა და თვის სადგომს შორის აწრიალებული სითე. საქმე ისე არ მიდის, როგორც უნდა. ცდილობს, არ მოაშოროს ბავშვებს თვალი. ბიჭუბი მეტისმეტად პატარები არიან იმისთვის, რომ კაცებთან ერთად იმუშაონ, პატარა გოგონა კი ცხრა თვისა. მისის გარნერი ვეღარ ქმარება, სკოლის მასწავლებელს კი სულ უფრო დიდი მოთხოვნები აქვს. სითესაც საქმე ემატება.

არადა, მას შემდეგ, რაც ძემუს გოჭზე მოუხდათ ლაპარაკი, ღამლამობით სიქსოს საქონელთან ერთად აბამენ. ბეღლის თვალზე, ქარაბაკზე, ფარდულზე, საქათმეზე, თულაში მოსართვების შესანახ სათუსზე, საძროხეზე საკეტები ჩამოკიდეს. ერთი ადგილიც არაა, უცებ თვის რომ შეაფარო და დაიღაპარაკო. პირში ლურსმანს ინახვს ახლა სიქსო, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თუკი რომ გახსნას.

არადა, პალეს უთხრეს, „საყვარელ სახლში“ ზედმეტად იმუშა-

კურა და კურსად წავა სკოლის მასწავლებლის უნებართვოდ. ან მისი დაყალებით თუ წავა სადმე. მარტო სიქსომ და ჰალემ იციან, რა ხდება „საყვარელი სახლის“ გარეთ მარტო იმათ იციან, როგორ უნდა გაიგნონ გზა. ერთი თავისი ქალის სანახავად დაიპარება ხოლმე, მეორე წლების განმავლობაში მუშაობდა ქირაში.

კარგი გვემაა. სკოლის მასწავლებლისა და მისი ყურებდაც ქვეტილი შეჯირდების ცხვირწინაც კი შეიძლება მისი განხორციელება.

არადა, უნდა შეცვალონ ეს გვემა. სულ ცოტათ. თავიდან წასვლის დრო უნდა შეცვალონ. იმახსოურებენ ჰალეს მითოთებებს. დრო სჭირდება სიქსოს, თოკი რომ მოხსნას, კარის საკეტი გატეხოს და თან ცხენებიც არ დააფრთხოს. მოგვიანებით წავა. ჰატარა მდინარესთან შეუერთდება დანარჩენებს ქალთან ერთად, „ოცდამე-ათე მიღიდან“ რომ არის. ოთხოვე პირდაპირ სიმინდის ყანისკენ წავა. სითეს გამო ჰალესაც მეტი დრო სჭირდება ახლა. გადაწყვეტს, შეის პირველ სხივებს კი არ დაელოდოს, ღამით წაიყვანოს ბავშვები და სითე. პირდაპირ ყანისკენ წავლენ. აღარ შეიკრიბებიან ჰატარა მდინარესთან. მხრებამდე უწევთ სიმინდები. მეტს რაღას გაიზრდება. კუშიანი მთვარე მოჩანს ცაზე. კერც მოსავლის აღებას უდებენ გულს, კერც მოჭრა-მოტქა-მოტანას. ჩხრიალს აყურადებენ, არც გველის რომ არის, არც ჩიტის. ჰოდა, ერთ დღესაც, გათენებულზე ესმით ჩხრიალი. შეიძლება, პირველად ჰალეს ესმის და დანარჩენებს სიმღერით ეუბნება: „ჩუმად, ჩუმად. მე მეძახის ვიღაც. ჩუმად, ჩუმად, ჩუმად. ღმერთო ჩემო, რა ვქნა?“

სადილისთვის ანებებენ სამუშაოს თავს და ჰალეც მიდის მინდვრიდან. უნდა უთხრას სითეს, ნიშანი რომ გაიგონა. ზედიზედ ორი ლამე მისის გარნერთან გაუტარებია სითეს, ჰალე კი კერ დაუშვებს, რომ სითეს არ გააგებინოს, ამაღამ დიასახლისთან კერ იქნებიო. ხედავენ პოლები, როგორ მიდის ჰალე. სხედან ძამია ხის ქვეშ, სიმინდის ხმიადს შეექცევიან, აქეთ-იქით ირწევიან და ხედავენ, როგორ მიდის ჰალე. გემრიელი პურია, ოლონდ უფრო მარილიანი რომ ეჩვენოთ, ტუჩებიდან ენით იწმენდენ ოფლს. სკოლის მასწავლებელი და მისი შეჯირდები უკვე შინ არიან და სადილობენ. მიდის ჰალე რწევა-რწევით და აღარ მღერის.

არაუინ იცის, რა მოხდა. უკანასკნელად პოლ-დიმ ნახა კარაქ-სადღვებთან ჰალე. მანაც მარტო ის იცოდა, რომ ჰალე ისე გამქ-

სითუხსთვის არაფერი ეთქვა, მერე კი ნახა, როგორ იყო დაცუცქელი კარაქით პირმოთხვრილი ჰალე. იქნებ, როცა ჭიშკართან მოვიდა და სითუს ნახვა ითხოვა, სკოლის მასწავლებელმა ხმაში აღელვება შეატყო, შეატყო და საფანტის თოფს წამოაკლო ხელი, სულ ჩახმახზე რომ პქონდა შეყენებული. იქნებ ჰალებ დაუშვა შეცდომა, თქვა, „ჩემი ცოლიო“ და ამით აუხილა სკოლის მასწავლებელს თვალი. სითუ ახლა ამბობს, რომ რამდენიმე გასროლა გაიგონა, მაგრამ მისის გარნერის საძინებლის ფანჯრიდან არ გაუხედავს. არადა, ჰალე იმ დღეს არც მოუკლავთ, არც დაუჭრიათ რადგან მოგვიანებით პოლ-დიმ ნახა; მას შემდეგ ნახა, რაც სხვის დაუხმარუბლად გაიქცა სითუ; მას შემდეგ, რაც სიქსომ იკინა და მისი ძმა გაქრა. ნახა გაპოხილი ჰალე, თუვზივით არაფრისმომარტინია ტყვია, ფეხებში დაახალა, აქაოდა, სხვის საკუთრების უფლებას ხელყოფო. იქნებ შევიდა ჰალე საძროხეში, დაიმალა და სკოლის მასწავლებლის საქონელთან ერთად ჩაჲტეს. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ჰალე გაქრა და ყველას თვისი თვისთვის უნდა მიეხედა.

ნასადილევს ისევ ხეტყის გადასაზიდად მიდის პოლ-ეი. ვახშმად თუიანთ სადგომთან უნდა შეწვდნენ ერთმანეთს, მაგრამ პოლ-ეი არ ჩანს. დანიშნულ დროს მიდის პატარა მდინარისკენ პოლ-დი, თუ ჰერნია, იმედი აქვს, რომ წასულია პოლ-ეი. ნამდვილად რაღაც გაიგო სკოლის მასწავლებელმა. მიდის პოლ-დი მდინარესთან. დამშრალია წყალი, როგორც სიქსო პპირდებოდათ სიქსოს და პოლეს იმ ქალთან ერთად ელოდება, „ოცდამეათუ მილიდან“ რომ არის. მარტო სიქსო მოდის. მაჯებიდან სისხლი სდის. ცეცხლის ენებოვით აღისფერ ენას ისევამს ტუჩებზე სიქსო.

- პოლ-ეი ნახე?
- არა.
- ჰალე?
- არა.
- არაფერია მათგან?
- არაფერი. სადგომშიც არავინაა ბავშვების გარდა.
- სითუ?
- ბავშვებს სძინავთ აღბათ, ისიც ისევ იქ არის.

- პოლ-ეის გარეშე ჰურ წავალ.
- კერ მოგექმარები.
- უნდა დაუბრუნდე და ყველა მოუძებნო?
- კერ მოგექმარები.
- შენ რას ფიქრობ?
- მე მგონია, პირდაპირ ყანაში წავიდნენ.

მერე სიქსო ქალს მიუბრუნდება, ერთმანეთს ეკვრიან და ჩურჩულებენ. რაღაცნაირ კაშკაშა შუქს ასხოვებს ეს ქალი, არადა, მანამდე, როცა პოლ-დისთან ერთად იყო მდინარუსთან რიყის ქვებზე დაჩოქილი, ერთი უსახური ვინმე გახლდათ, რაღაცა ფიგურა, სიბნელეში ძლივს რომ სუნთქვდა.

ლამის ფორთხვით ეძებოს სიქსომ მიწაში დამარხული დანები. რაღაც ესმის. მერე სიჩუმეა. დანები ერთბაშად ავიწყდება. დროა. ნაპირზე ცოცვით ადის სამოვე, იქ კი სკოლის მასწავლებელია, მისი შევირდები და კიდევ ოთხი თეთრკანიანი. მათკენ მოდიან. ფარნები აქვთ ხელს პკრავს სიქსო ქალს „ოცდამეათე მილიდან“ და ისიც სირბილით მიუყვება პატარა მდინარის კალაპოტს. მეორე მხარეს, ტყისკენ გარბიან პოლ-დი და სიქსო. ორივეს აღყაში აქცვენ და თოკით კოჭუვენ.

ტკბილი სურნელი ტრიალებს პაერში, ისეთი, მუშა ფუტკრებს რომ იზიდავს ხოლმე. ჯოროვითა დაბმული პოლ-დი და მაინც ხედავს, როგორი ლამაზია დაცვარული ბალახი. ლამაზ ბალახსა და გაუჩინარებულ პოლ-ეიზე ფიქრობს და ამასობაში შემობრუნდება სიქსო, მათკენ მიშვერილი შაშხანის ლულებიდან უახლოესს სტაცებს ხელს. სიმღერას იწყებს. ორი თოფიანი ხელს პკრავს და ხეზე აბამს პოლ-დის. ამბობს სკოლის მასწავლებელი: „ცოცხალი, ცოცხალი მჭირდებაო“. ერთს გაიქაჩება სიქსო და ნეკნებს უმტკრუვს რომელილაცას, მაგრამ დაბორკილი ხელებით თოფს თოფოვით ვერ მოიხმარს. ლოდინის მეტი თეთრკანიანებს სხვა არაფერი სჭირდებათ. რას უნდა დაელოდონ, როდის მორჩება სიქსო სიმღერას? თან უსმენენ, თან ხუთი თოფი მიუშვერიათ მისკენ. ვერ ხედავს მათ სახეებს პოლ-დი, ვეღარ სწვდებათ ფარნის შუქი და იმიტომ. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი შაშხანას ურტყამს თვეში სიქსოს. ხედავს გონებაზე მოსული სიქსო, როგორ უკიდია ზუსტად მის წინ პიკრის წკნელს ცეცხლი. წელით არის მიბმული ხეზე. გადაუფიქ-

რების ხელის მასწავლებელს. ამბობს სიქსოზე: „არასოდეს თურ-გაბსო”. აღმართ სიძლერამ აფიქრებინა ასე.

იმუტება ცეცხლი. საკუთარ თავზე ბრაზობენ თუთრკანიანები. არ ვონათ, ასეთ გასაჭირო თუ ჩაცეცდებოდნენ და იმიტომ. და-ჭრა ერთია და მოკვლა მეორე. ცეცხლიც ისე ბჟუტავს, ლომს თუ მოხარმავ ზედ, სხვას ვერაფერს იზამ. შმრალი ფიჩხი ცოტაა და დაცვარელი ბალახიც ცურავს.

წელში იმართება საღომე ცეცხლთან სიქსო. სიძლერით აღარ ძლიერის, იცინის. სითეს გაუებმა იციან ასე რაკრაკით სიცილი, რო-ცა თუაში ჯოტრიალობენ, ანდა წვიმის წყალში დაატყაპუნებენ ფე-ხებს. წვის ფეხები სიქსოს. ბოლი ასდის მის შარვალს. იცინის. რა-ღაცაზე ეცინება. მერე სიცილს თავს ანებებს, ყიუინებს და პოლ-დიც ხვდება, რა აცინებდა სიქსოს.

ჯიუტად აგრძელებს ხრჩოლვას ცეცხლი. ესვრიან, პირი რომ დაკუტვინონ — სხვანაირად არ გაჩუმდება.

მიაბიჯებს დაბორკილი პოლ-დი მუშა ფუტკრების საყვარელ სურნელებაში და იმ კაცების ლაპარაკი ესმის. პირველად იგებს, რა ლირს მისი თავი. ყოველთვის იცოდა, ანდა ვონა, რომ იცოდა თავი-სი ხელების, თავისი შრომის ფასი, რომლითაც ნებისმიერი კარ-მი-დამოსთვის შეიძლებოდა, სარგებელი მოეტანა, მაგრამ ახლა სხვა ფასი აღმოაჩინა, საზღაური, რომელიც მასში შეიძლებოდა, გადაე-ხადათ გაიგო, რა ლირდა დოლარებში მისი წონა, მისი ძალ-ლონე, გული, გონება, მისი ასოც, მისი მომავალიც.

მიაღწევენ თუ არა თუთრკანიანები ადგილს, სადაც თავიანთი ცხენები დაუბამთ, უმაღ შოშმინდებიან. ლაპარაკობენ ერთმანეთში სირთულეზე, რომლის წინაშეც დგანან. პრობლემებზე. ახსენებენ სკოლის მასწავლებელს, როგორ ირყვნებოდნენ ეს მონები გარნე-რის ხელში. რასაც ის სჩადიოდა, კანონის დარღვევააო, ამბობენ. საკუთარი თავის გამოსასყიდად მონებს ქირაში მუშაობის უფლებას აძლევდაო. იარაღის ტარებიც უფლებასაც კი აძლევდა! გგონიათ, თავის ზანგებს იმისთვის აჯვარებდა, რომ მეტი მონა ჰყოლოდა? ჯანდაბა, არა! არც მეტი, არც ნაკლები, მათი დაქორწინება ნებავ-და! ოხრავს სკოლის მასწავლებელი და ამბობს, განა არ ვიციო? იმისთვის მოსულა, რომ ყველასა და ყველაფერს თავ-თავისი ად-გილი მიუჩინოს. გარნერმა რაც საქმე დაუტოვა, დაუტოვა, მაგრამ

ახლა მეტი პქონდა თავში სახლელი. სულ ცოტა, ორი ზანგი დაკარგათ შეიძლება. სამიც — დარწმუნებული არ არის, რომ იპოვიან იმას. ჰალე რომ პქია. რამდიც მეტისმეტად სუსტადაა, რამეში რომ მიქმაროს. ჯანდაბა. ეს გაქცევაც მის კისერზეა ახლა. აგერ ამისი გაყიდვა მოუწის ცხრას დოლარად, თუ გამოვიდა, მერე კი მაკედ რომა. იმაზე უნდა ეჭიროს თვალი, თავის კვიციანად და იმაზე კიდევ. რომ კერ პოულობენ. „აგერ ამისი“ თავის სანაცვლოდ მიღებული ფულით ორ ახალგაზრდა მონას იყიდდა, თორმეტი-თხუთმეტი წლისებს. შეიძლება, იმასთან, მაკედ რომ არის, ყველა მის ნაშიერთან ერთად მას და მის ძმისშვილებს შვიდი ზანგი ყორლებათ და უკვე „საყვარული სახლიც“ ელირება ამდენ ვაი-ვაგლახად.

- გგონია, ლილიანი მომჯობინდება?
- არც იქით არის, არც აქეთ არც იქით, არც აქეთ
- მისი მული გყავდა ცოლად, არა?
- მყავდა.
- ძალიან აკადმყოფობდა?
- ცოტას. ციებ-ცხელება შეჭარა.
- აღარ უნდა იცხოვოს ქვრივოით
- ამწუთას მარტო „საყვარულ სახლზე“ ვფიქრობ.
- მესმის შენი. გვარიანი კარ-მიდამოა.

სამმანიანი რეოლი ჩამოაცვეს პოლ-დის კისერზე ისე, რომ კულარ დაწოლილიყო. კოჭებიც მიუბეს ერთმანეთზე. ის, რაც ყურით მოისმინა, ახლა თავში უტრიალებს. ორიო? ორი? ასე პგონია პოლ-დის, ამოუხტება საგულედან გული. ჰალეს მოძებნას აპირებენ, პოლ-ეისას — არა. აღბათ, იპოვეს პოლ-ეი, არადა, თუთრკანიანმა თუ გიპოვა, წასულია შენი საქმე.

ვიდრე ქოხმახის კარს დახურავს, დიდხანს უყურებს სკოლის მასწავლებელი პოლ-დის. ყურადღებით უყურებს. შეერაზე შეერით არ პასუხობს პოლ-დი. უინულავს. ზუსტად ისე წვალობს ამინდი, აგვისტოში რომ იცის ხოლმე — გგონია, სადაცაა თავსხმა წამოვა, არადა, უინულავს და უინულავს. მეც უნდა მემღერაო, ფიქრობს პოლ-დი. სიქსოს უნდა უყოლოდი და ხმამაღლა მემღერა და მემღერაო. არადა, სიმღერის სიტყვებს რომ ვერაფერი გაუგო. არ ესმოდა, რას ნიშნავდა ესა თუ ის სიტყვა, თუმცა მნიშვნელობაც არ პქონდა

ამს რადგან აფრიკული ჯუბას მოცეკვესაცით ფრთხოგაშლილი ხი-
ჭულვილის ხმა ესმოდა სიქხოს ხმაში პოლ-დის.

წამოკა და გადაიღებს, გადაიღებს და წამოკა თბილი წევიძა. პა-
ნა, პოლ-დის, რომ ქვითინის ხმა ესმის მიხის გარნერის ფანჯრი-
ლა. ყველაფერი შეიძლება იყოს, თუგინდ ატეჭილი დედალი კატაკ-
დაიღალა თაქჩიერი ყოფნით პოლ-დი და საყელურს ნიკაპი ჩამო-
ადო. ანგარიშობს, როგორ უნდა მიყიდეს კურიასთან, კოტა წყალი
წამოადეულოს და ერთი მუჭა მსხვილად დაფქერლი ფქვილიც როგორ
ჩაგაროს შიგ. სწორედ კურიასთან საქმიანობს, როკა გალუმპული
სით შემოდის თავისი გაბერილი მუკლით. ეუბნება სით, გაქცევას
გაპირებო. ეს-ეს არის, ყანიდან მოდის, სადაც ბაკმუები ჩააბარა იმ
ქალს. თეორიანიანები ახლომახლო არ იყვნენო. პალე კრ ვიპო-
ვო. ვინ დაიჭირეს? სიქსომ თუ უშველაო თავს? პოლ-ეიძო? უკვე-
ბა პოლ-დი სითეს, რაც იცის: სიქსო მკვდარია; ქალი „ოცდამეტი
მილიდან“ გაიქცა; პოლ-ეისა და პალეს ამბავი არ ვიციო. „სად შე-
იძლება იყოს“, — კითხულობს სით.

თავის გაქნევა არ შეუძლია. ამიტომ მხრებს იჩეჩს პოლ-დი.

— ნახე, სიქსო როგორ მოკვდა? დარწმუნებული ხარ?

— დარწმუნებული კარ.

— გონებაზე იყო, როცა ეს მოხდა? მიხედა, რომ კვდებოდა?

— იყო. გონებაზე იყო და იცინოდა.

— სიქსო იცინოდა?

— უნდა მოგეხმინა, როგორ, სით.

პატარა ცეკველზე ადეულებს წყალს პოლ-დი. სითეც იქვეა და ოხ-
მოური ახდის მის კაბას. ძნელია მოძრაობა, როკა კოჭებზე ბორ-
კილები გადვის, ყელზე კი ასეთი მოსართვი გაქვს შემოჭდობილი.
რკხვენია და თვალს არიდებს სითეს, მაგრამ როკა კი გადაჟურება
შეერა შეერას, სითეს თვალებში მარტო სიშაკეს ხედავს — საერთოდ
აღარ უჩანს თეორი გარსები სითეს. ამბობს, გაურბოჭარო, პოლ-დი კი
ფუქრობს, ჭიშკრამდეც კი ვერასოდეს მიქაო. არჯ სითეს გადარწმუ-
ნებას ცდილობს. იცის, მეტად ვეღარასოდეს ნახავს. სწორედ მაშინ
გაჩერდა პოლ-დის გული.

აღბათ, მაშინვე წაიყვანეს სით თავის შესაქცევად საძროხეში,
მურუ კი, როკა სითებ ყველაფერი მისის გარნერს უაშბო, ადგნენ და
ძოლხის ტყვაის მათრახებით სცემეს. ვინ ოხერი იფიქრებდა, რომ

მაინც გაიქცეოდა სითუ. ალბათ, დარწმუნებული იყვნენ, ამხელა მუკლით და ასეთი ზურგით ვერსად გაიქცებათ. არ გაპკვირვებია პოლ-დის, როცა გაიგო, რომ კინკინატიში დახდგომოდნენ სითუს კალს. ახლა რომ უფრისებოდოდა, ხვდებოდა, რომ სითუ მასზე ძვირი ღირდა, უფასო თვითმწარმოებელი იყო სითუ, მომგებიანი საკუთრება.

ზეპირად ახსოვდა, თაქად რამდენი დოლარისა და ცენტის მოტანა შეჯდო სკოლის მასწავლებლისთვის და ფიქრობდა, ნეტავ სითუ რა ელირუბოდათ. ნეტავ ბეიბი საგზი რა ღირდათ? ნეტავ პალეს რამდენი მართებდა, გარდა იმისა, რასაც მუშაობდათ? რამდენი აიღო მისის გარნერმა პოლ-უიშიო? კერაას დოლარზე მეტიო? რამდენით მეტიო? ათი დოლარითი? ოცითო? სკოლის მასწავლებელს ეცოდინებოდათ. იმან ყველაფრის ფასი იცოდათ. ხმაზე ეტყობოდა, მართლა რომ ჯაյრობდა, სიქსოზე რომ თქვა, არ ივარგებსო. აბა, ვინ გაბრიყებულდა და იყიდდა თოფიან მომლერალ ზანგს, სულ რომ ყიჟინებდა და ყიჟინებდა, რაკი ქალი „ოცდამეათუ მილიდან“ წასულიყო და თან წაედო მისი გაღვივებული თუსლი. რას იცინდა?! ზეიმობდა, თაქანკარა წყაროსავით რაკრაკებდა, წინ ვერანაირი ცეცხლი რომ ვერ დაუდგება. სწორედ სიქსოსა და მის სიცილზე ფიქრობდა პოლ-დი და არა პირში გაჩრილ რკინაზე, როცა ოთხთვალასჭენ მიერუკებოდნენ.

მერე იყო პალე, მერე — მამალი, ისე რომ ულიმოდა, თითქოს ეუბნებოდა, ეს მხოლოდ დასაწყისიაო. საიდან უნდა სცოდნოდა მამალს ალფრედზე, ჯორჯის შტატზე?!

— სალაში.

ისევ აწვალებდა შარვლის ჯიბეში ჩადებულ ბაფთას სტემპი.

აიხედა პოლ-დიმ, დაინახა, როგორ მიდი-მოდიოდა მოხუცის გვერდითა ჯიბე და დაიფრუტუნა. — კითხვა არ ვიცი. ისევ რამე გაზეთი თუ მომიტანე, დროს ტყუილად კარგავ.

სტემპმა ბაფთა ამოილო და კიბეზე ჩამოჯდა.

— არა. სხვა რამეა, — თქვა მოხუცმა და წითული ქსოვილი საჩუნებელსა და ცერა თითებს შორის გაიტარა, — სხვა რამეა.

არაფერი უთქვამს პოლ-დის. ასე ისხდნენ ორნი რამდენიმე წუთის განმავლობაში სიჩუმეში.

— მიჭირს, — წამოიწყო სტემპა, — მაგრამ უნდა გითხრა. ორი ასე უნდა გითხრა. უფრო იოლი სათქმელი რომელიცაა, თუ იდან იმას გეტყვი.

ჩაიხითხითა პოლ-დიმ და მიუგო:

— შენ რისი თქმაც გიჭირს, იმის მოსმენა, მე, ალბათ, მომკლავს.

— არა, არა. მასეთი არაფერია. პატიება რომ მეთხოვა, იმისთვის გეძებდი. ბოდიშის მოსახლელად.

— რისთვის? — ბოთლის ამოსაღებად ჩაიყო სეროუკის ჯიბეში პოლ-დიმ ხელი.

— ნებისმიერი სახლი აირჩიე, ნებისმიერი მთელ ცინცინატიში, სადაც კი ფერადკანიანები ცხოვრობენ. აირჩიე და სიხარულით გაგაჩერებენ თვისთან. ბოდიშის იმისთვის გიხდი, თვითონ რომ არ გითხრეს და არ შემოგთავაზეს, მაგრამ სადაც კი მოისურვებ ყოფნას, ყველგან სიხარულით მიგიღებენ. ჩემი სახლიც შენად იგულე. ჯონისა და ელას სახლიც, მის ლედისიც, აბელ ვუდრაფისაც, უილი ჰაიკისიც... ვისიც გინდა. აირჩიე. სარდაფში არ უნდა გეძინოს. ყველა ღამისთვის გიხდი ბოდიშის, რომელიც სარდაფში გაათიე. არ ვიცი, ამ მღვდელმა როგორ დაგანება. პატარაობიდან ვიცნობ.

— მოიცა, სტეპა. შემომთავაზა.

— შემოგთავაზა? მერე?

— მერე ის, რომ მე მინდოდა, არ მინდოდა, უბრალოდ, მინდოდა, ცოტა ხანს მარტო ვყოფილიყავი ჩემს თვითან. შემომთავაზა. სულ მთავაზობს, როცა ვხვდები.

— ლოდივით მქონდა გულზე. მუკონა, ყველა გადაირია.

— მარტო მე, — თვით გააქნია პოლ-დიმ.

— რამეს აპირებ?

— აბა, დიდი გუგმები მაქვს, — ორჯერ მოყლუპა სასმელი ბოთლიდან პოლ-დიმ.

დალეულზე დაგეგმილით შორს ვერ წახვალო, გაიფიქრა სტემპა, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რამდენად უსაგნო იყო სასმელს მიძალებული ადამიანისთვის იმის თქმა, აღარ დალიოო. იღლიებში ხელი გამოისვა და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ ეთქვა ის, რაც კიდევ დარჩენოდა სათქმელი. თითო-ოროლა კაცი დადიოდა იმ დღეს ქუჩაში. არხში წყალი გაყინულიყო და ნაკებიც აღარ დაცურავდნენ. მოახლოებული ცხენის ფლოქვების თქარათ-

ქური გაიგონეს. მაღალ აღმოსაკლურ უნიგინის შოთავაოურებულის, იხენოსანი, თუმცა სხევაფრთვ ყავლიაფრით თანის ხელის მკვიდრის პგავდა. ჩაუარა კერანდას, შექედა პოლ-დისა და სტერლ პეის და ერთბაშად მოუქორა სადაკუჯბი იხენს. მერე კალებებების მიმრეც ბილიკს დაადგა და წინ გადაიხარა.

— ეი! — დაიძახა მამაკაცმა.

სტემპმა თავისი ბაუთა ჯიბუში დააბრუნა და შექმიანა:

— დიახ, სერ.

— ერთ გოგოს კედებ. ჯუდი პქვია. სადღაც სასაკლაოზე მუშაობს.

— არა მგონია, ვიკინობდე. არა, სერ.

— თქვა, პლენკ-როუდზე კი ხოურობო.

— პლენკ-როუდი. დიახ, სერ. ცოტა იქითაა. შეიძლება იქამდე ერთი მილიც იყოს.

— არ იცნობ? ჯუდი პქვია. სასაკლაოზე მუშაობს.

— არა, სერ, მაგრამ პლენკ-როუდი ვიკი. იქამდე ასე, ერთი მილია.

პოლ-დიმ ბოთლი მოიყედა და სასმელი მოყლუპა. ერთი შეხედა მხედარმა, მერე კი ისევ სტემპ პეიდზე გადაიტანა შხერა, თან ბარ-ჯვენა მხარეს მოუშვა სადაკუეს და კხენი გზისკენ შემოაბრუნა. მერე გადაიფიქრა და ისევ კერანდასთან დაბრუნდა.

— მომხედე, — უთხრა უცნობმა პოლ-დის, — ჟერ ჯარია და მგონი, აქ ეკლესიაა, ანდა იყო. მგონი, ცოტათო მაინც უნდა სკე პატოი აქაურობას. გამიგე?

— დიახ, სერ, — თქვა სტემპმა, — მართალი ბრძანდებით სწორუდ მაგაზე ველაპარაკები. სწორუდ მაგაზე.

მხედარმა ენა გააწკლაპუნა და კერანდას ჩორთოთ გაეკალა. მარ-ჯვენა ხელის თითქბს მარცხენა ხელისგულზე წრიულად იტარუბდა სტემპი.

— უნდა აირჩიო, — თქვა მოხუცმა, — ვინც გინდა, არჩიე. და-გაყენებენ თავისთან, შენ თუ მოინდომებ. ჩემი სახლი. ელა. უილი პაიკი. არც ერთს არა გვაქვს თაქზე საყრელი, მაგრამ ერთი კაცის ადგილი ყველას გვაქვს სახლში. როკა შედლებ. ცოტ-ცოტას გადა-იხდი, როკა ვერა, არ გადაიხდი. მოიტიქრე. ბავშვი აღარ ხარ რაც არ გინდა, ძალით ვერ გაგაჭუბინებ, მაგრამ მოიფიქრე.

პოლ-დის არაფერი უთქვამს.

— რამე თუ დაგიშავე, აქ იმისთვის გარ, რომ დანაშაული გამო-
კისწორო.

— არ არის საჭირო. საერთოდ არ არის საჭირო.

გზის მეორე მხარეს ვიღაც ქალმა გაიარა. თან ოთხი ბაჟშვი ახ-
ლდა. ხელს უქნევდა და უღიმოდა მოხუცს:

— ჰე-ჰე. ვერ გავჩერდები. დანარჩენებთან ერთად გნახავ.

— მოუალ, — უპასუხა სალამზე სტემპმა, — აი, კიდევ ერთი, —
უთხრა მოხუცმა პოლ-დის, — ბიბლია ჰქვია. ბიბლია ვუდრაფი,
აბელის დაა. ფაბრიკაში მუშაობს, საღაც ჯაგრისებს აკეთებენ და
ცხიმს ამუშავებენ. ნახავ. ცოტა ხანს დარჩები და ნახავ, რომ ამაზე
ყოთლ ფერადკანიანებს სხვაგან ვერსად ნახავ. კი, ბატონო, ცოტას
ზედმეტად ამაყობენ ხოლმე. შეუძლიათ, უნიროდაც მოიქცნენ, რო-
ცა თვლიან, რომ ვინმე მეტისმეტად ამაყია, მაგრამ საქმე საქმეზე
რომ მიდგება, კარგი ხალხია და შინაც ნებისმიერი მათგანი შეგიშ-
ვებს.

— ჯუდიზე რაღას იტყვი? შემიშვებს?

— გააჩნია. შენ გუნებაში რა გაქვს?

— იცნობ ჯუდის?

— ფლითს. მე ყველას ვიცნობ.

— პლენკ-როუდზეც?

— ყველას?

— პოდა, შემიშვებს?

სტემპი დაბლა დაიხარა და ცალი ფეხსაცმელი შეიხსნა. თასმა
ჯერ თორმეტ შავ მარყუეში იყო გატარუბული, თითო მხარეს ექვს-
ექსში, ყელთან კი ოთხი წყვილი გასაყრელი ჰქონდა. მთელ სიგრ-
ძეზე მოუშვა სტემპმა თასმა, ფეხსაცმლის ენა ფრთხილად გაისწორა
და ისვე შეიკრა ფეხსაცმელი. თასმის გასაყრელებს რომ მიადგა,
ვიდრე თასმას ნახვრუტებში გაატარებდა, ჯერ წვერები დაუტრიალა
თთებით.

— მოდი, მოგიყვები, ეს სახელი როგორ დავირქვი, — დაიწყო
სტემპმა. თასმა მაგრად მოჭიმა და ნასკვიც მაგრად გამოკრა, —
ისოს მეძახდნენ, — თქვა მოხუცმა, — სახელი გადავირქვი და მინ-
და მოგიყვე, ასე რატომ მოვიქეცი, — და უამბო სტემპმა პოლ-დის
გაშთიზე, — მთელი ის ხანი ერთხელაც არ შევხებივარ ერთხელაც.

თთქმის მთელი წელიწადი. თუსვის დრო იყო, ეს ამბავი რომ და-იწყო და მკის დრო იყო, როცა დამთავრდა. მეგონა, უფრო დიდხანს გრძელდებოდა ყველაფერი. უნდა მომექლა ის კაცი. იმან კი თქვა, არაო, მაგრამ უნდა მომექლა. ისეთი მომთმენი არ ვიყავი, ახლა რომ ვარ, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ სხვასაც არ ჰქონდეს მაინცდამაინც დი-დი მოთმინება-მეთქი, აი, მაგალითად, მის ცოლს-მეთქი. ჩემს თუ ჩაუნერგე, აბა, ვნახოთ, იმ ქალს ჩემშე მეტად თუ მოსწონს ეს ამბა-ვი-მეთქი. დღისით ერთად ვიყავით მე და ვაშთი მინდორში, მაგრამ წარამარა მიღიოდა მთელი ლამით. ხელს არ ვახლებდი და ჯანდაბა ჩემს თუ ს, მთელი დღები სამი სიტყვა მაინც თუ მეთქვას მისთვის. სულ იმის ცდაში ვიყავი, ბატონის სახლთან ახლოს მოვსულიყავი და ის ქალი დამენახა, ახალგაზრდა ბატონის ცოლი. ერთი ვამო-უცდელი ბიჭი იყო. ჩვიდმეტის, შეიძლება, ოცი წლისაც. ბოლოს და ბოლოს, თვალი მოვკარი იმ ქალს. უკანა ეზოში ღობესთან იდ-გა, ხელში ჭიქა ეჭირა და წყალს სვამდა, თან ეზოს გასცემეროდა. მოვედი. მოშორებით გაუჩერდი და ქუდი მოვიხადე. ვთქვი, უკაცრა-ვად-მეთქი, მის, უკაცრავად-მეთქი. მობრუნდა და შემომხედა, მე კი ვიღიმები და უკაცრავად, ვაშთი ხომ არ გინახავთ-მეთქი, ვამბობ. ჩემი ცოლი, ვაშთი-მეთქი. პატარა, მოკუნტული ვინმე იყო. შავი თმა ჰქონდა. ჩემი ხელისხელა ჰქონდა სახე. მითხვა, რაო? ვაშთიო? მე კი ვთქვი, პო, ვაშთი-მეთქი. ჩემი ცოლი-მეთქი. ამბობს, რომ რამ-დენიმე კვერცხი მართებს თქვენი. ხომ არ იცით, მოიტანა-მეთქი? იცნობთ, თუ დაინახავთ, კისერზე შავ ბაფთას ატარებს-მეთქი. წა-მოწითლდა და მოხვდი, რომ იცოდა. იმ კაცის ნაჩუქარი იყო შავ ბაფთაზე ჩამოკიდებული კამეა. ყოველთვის იკეთებდა, როცა მასთან მიღიოდა. ისევ დავიხურე თუშე ქუდი. თუ ნახავთ, უთხარით, რომ მჭირდება-მეთქი. გმადლობთ-მეთქი. გმადლობთ, ქალბატონო-მეთ-ქი. იქამდე გუვეცალე იქაურობას, ვიდრე რამეს მეტყოდა. უკან მი-ხედვა ვერ გუბედე, სანამ ხეებს არ მოუეფარე. ზუსტად ისე იდგა, როგორც დაუტოვე, თან წყლიან ჭიქაში იყურებოდა. მეგონა, უფრო კმაყოფილი დაურჩებოდი, ვიდრე დაურჩი. ისიც მეგონა, ახალგაზ-რდა ბატონის ცოლი ამ ამბავს ბოლოს მოუღებდა, მაგრამ იქამდე გაგრძელდა ყველაფერი ძველებურად, სანამ ერთ დიღას ვაშთი არ შემოვიდა და ფანჯარასთან არ ჩამოჯდა. კვირა დღე იყო. კვირას ჩვენ-ჩვენს პატარ-პატარა ნაკვეთებში ვმუშაობდით ხოლმე. დაჯდა

ფანჯარასთან და თან გარეთ იხედებოდა. დაუბრუნდიო, თქვა. დაუბრუნდიო, ისო. კეთაზე შევხედე. მართლა წვრილი კისერი პქონდა. ეთვიქრე, კისერს მოუტეხ-მეთქი. აი, წნელივით გადამეტება, ერთი ტკაცანი და მორჩია. დავუცი. არასოდეს დაუცემულგარ სულით ისე, როგორც მაშინ დავუცი.

— მერე? მოატეხე კისერი?

— არა, კაცო. სახელი გადავირჩვი.

— იქიდან როგორ გაიქეცი? აქ როგორ მოხვდი?

— ნავით მისისიპს ავყვვი მემფისამდე. მემფისიდან კამბერლენდამდე ფეხით ვიარე.

— გაშთომაც?

— არა. გაშთო მოკვდა.

— აუპ! მეორე ფეხზე შეიკარი!

— რა?

— შეიკარი ევ ოხერი ფეხსაცმელი! დაბლა დაიხედე! შეიკარი!

— ახლა უკეთ ხარ?

— არა, — პოლ-დიმ ბოთლი მიწაზე მოიქნია და ზედ დაკრულ ოქროსფერ ეტიჟუტზე გამოსახულ ეტლს დააცემერდა. უცხენო ეტლი იყო. ლურჯფარდებიანი ოქროსფერი ეკიპაჟი და მეტი არაფერი.

— გითხარი, შენთვის ორი რამე მაქვს სათქმელი-მეთქი. მარტო ერთი გითხარი. მეორე ჯერაც სათქმელი მაქვს.

— არ მინდა. არაფრის ცოდნა არ მინდა. მარტო ის მითხარი, შემიშებს თუ არა თუვისთან ჯუდი.

— მე იქ ვიყავი, პოლ-დი.

— სად იყავი?

— ეზოში. მაშინ, როცა ეს ჩაიდინა.

— ჯუდიმ?

— სითემ.

— უფალო.

— ისე არაა, შენ რომ ფიქრობ.

— შენ არ იცი, მე რას ვფიქრობ.

— გიუი არ არის. უყვარდა ის ბავშვები. ცდილობდა, მომხდურისთვის რომ დაესწრო.

— გჭოფა.

- და გააკეთა კიდევ.
- სტეპა, მომეშვი. პატარა გოგო რომ იყო, იმ დროიდან ვიცნობ. მაშინებს, თან იმ დროიდან ვიცნობ, პატარა გოგო რომ იყო.
- არ გემინია შენ სითუსი. არ მჯერა შენი.
- ხითუსი მეშინია. ჩემი თავის მეშინია, ყველაზე მეტად კი იმ გოგოსი მეშინია, სახლში რომ ჰყავს.
- ვინ არის ის გოგო? საიდან არის?
- არ ვიცი. საიდანლაც გამოტყველა ერთ დღეს. ძირკვწე იჯდა.
- პო... ისე გამოდის, თითქოს იმათგან, ვინც 124 ნომერში არ ცხოვრობს, მარტო მე და შენ გვყავდეს დანახული.
- არსად დადის. სად უნდა გენახა?
- იატაკზე ეძინა სამხარულოში. შევიჭვრიტე.
- იმწუთას, როგორც კი დაკინახე, მინდოდა, მისგან შორს ვყოფილიყავი. რაღაცნაირი უცნაურია. უცნაურად ლაპარაკობს. უცნაურად იქცევა, — პოლ-დიმ თითქმის ქუდის ქვეშ შეიყო და საფეხქლის თვეზე თვი მოიქექა, — რაღაცას მაგონებს. ისეთ რამეს, თითქოს რომ უნდა მახსოვდეს.
- არასოდეს უთქვამს, საიდან იყო? ოჯახი სად ჰყავს?
- არ იცის, ანდა ამბობს, რომ არ იცის. მაგისგან მარტო ის გამიგონია, ტანსაცმელი მოუიპარე და ხიდზე ვცხოვრობდიო.
- რომელ ხიდზე?
- მე მეკითხები მაგას?
- ახლომახლო ერთი ხიდიც არ არის ისეთი, მე რომ არ ვიცოდე, მაგრამ აქაურ ხიდებზე არავინ ცხოვრობს, არც მათ ქვეშ. რამდენი ხანია, რაც სითუსთანაა?
- გასული აგვისტოდან. კარნავალის დღეს მოუიდა.
- ცუდის ნიშანია. კარნავალზე იყო?
- არა. უკან დაბრუნებულებს დაგვხვდა — ძირკვწე ეძინა. აბრუშუმის კაბა ეცვა. ახალთახალი ფეხსაცმელები. მაზუთთ გვანებოდა გაპოხილი.
- რას ამბობ, კაცო?! იყო ერთი გოგო, რომელიც თუთოკანიან მამაკაცს ირმის წყალთან ჰყავდა სახლში გამოყეტილი. გასულ ზაფხულს მკვდარი ვიპოვე ის კაცი, გოგო გაქცეული დამხვდა. იქნებ ჯ არის? ხალხი ამბობს, მთლად ბავშვი იყო, იმ კაცმა რომ გამოამწყვდიაო.

— პოდა, ახლა ძუკნაა.

— მაგის გამო გამოიქეცი? იმიტომ არა, რაც სითუზე გიამბე?

ერუანტელმა დაუარა მთელ ტანში პოლ-დის. გაიყინა და სხეული ისე მოეკრუნჩხა, მუხლს მუხლს ვეღარ აშორუბდა. ვერ გაუგო პოლ-დის, ცუდი ვისკის ბრალი იყო, ასე რომ სჭირდა, სარდაფში გატარებული ღამების, ღორის ჭირის, რკინის ღაგმის, მოღიმარი მამლაყინწების, ცეცხლშენთებული ფეხების, გაცინებული მიცვალებულის, ბალახის შარიშურის, წვიმის, მოჯვავილე ვაშლის ხეების, საყელურის, ჯუდის, სასაკლაოზე რომ მუშაობდა, კარაქში ამოსვრილი ჰალესი, მოჩვენებასავით თუთარი კიბის, შოთხვების, კამეების, ვერხვების, პოლ-ეის სახის, ოდესლაც მირთმეული ძებვის თუ იმისი, წითელი გიზგიზა გული რომ აღარ ჰქონდა.

— ერთი რამე მითხარ, სტემპ, — წამოიწყო თვალცურუმლიანმა პოლ-დიმ, — ეს ერთი რამე მითხარი. რამდენი შეიძლება, ერთმა ზანგმა რომ აიტანოს? მითხარი. რამდენი?

— რამდენსაც შეძლებს, — თქვა სტემპ პეიდმა, — რამდენსაც აიტანს.

— რატომ? რატომ? რატომ? რატომ? რატომ?

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაშილი III

124 ნომერში სიჩუმე იყო. აქამდე დენვერს ევონა, რომ ყველა-ფერი იცოდა სიჩუმის შესახებ, ახლა კი გაკვირვებული გახლდათ, თურმე ნუ იტყვით და, ადამიანის დაღლა და დაღუმება შიმშილსაც შეეძლო. აი, სითუ და საყვარელი არად დაგიდევდნენ იმას, რაც მათ თუს ხდებოდა. ოროვე მეტისმეტად დაკავებული ბრძანდებოდა საკუთარი ძალ-ღონის მოზომვით, როგორმე ერთმანეთს რომ დასტაკებოდნენ. პოდა, სწორედ ამის გამო იყო, პირველად დენვერი რომ უნდა გასულიყო გაღმა, პირველი ის უნდა მომკვდარიყო, თუ არა და, ყველანი დაიხოცებოდნენ. დედამისს ხელზე, ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის, ჩინური აბრეშუმივით სიფრიფანა ტყავილა შერჩენოდა. სახლში არანაირი ტანსაცმელი არ მოეპოვებოდათ ისეთი, ჩამოკიდებული რომ არ ჰქონდა სითუს ტანზე. საყვარელი, თუ რომ არ ჩამოვარდნოდა, ხელისგულებს იშველიებდა და სადაც მოუწევდა, იქვე იძინებდა, თან სულ ჩიოდა, ტკბილეული მინდაო, არადა, დღითი დღე დიდდებოდა და სუქდებოდა. ორი ცალი კვერცხის მადებარი ქათმის გარდა აღარაფერი ებადათ და ცოტა ხანში რომელიმე მათგანს იმის გადაწყვეტა მოუწევდა, რომელი ჯობდა, — ორი შემწვარი ქათამი, თუ აქა-იქ კვერცხის ჭამა. რაც უფრო მეტად შიოდათ, მით მეტად სუსტდებოდნენ; რაც მეტად სუსტდებოდნენ, მით მეტად ყუჩდებოდნენ. ეს კი ნამდვილად სჯობდა გაცხარებულ შეხლა-შემოხლას, კუდელზე ცეცხლის საჩხრეკის შემორეკებას და წივილ-კივილს, იმ ბედნიერ იანვარს რომ მოჰყვა, როცა ერთად ერთობოდნენ ხოლმე. დენვერიც მხიარულობდა სითუსა და საყვარელთან ერთად, ცოტა თუშეკავებულად, როგორც იცოდა ხოლმე, თუმცა ამაზე მეტად არასოდეს ემხიარულა. თუმცა, მას შემდეგ, რაც სითუმ ნაჭრილობევი დაინახა, რომლის წვერსაც დენვერი სულ ხედავდა, როცა კი საყვარელი ტანთ იხდიდა, როგორც კი დაინახა და ხელით შეეხო, თვალები დახუჭა და დიდხანს იყო ასე. მერე ოროვემ ერთად გამოთიშეს დენვერი თამაშებიდან. პატარა, დაკლაკნილი ნაჭრილობევი ისე მოჩანდა, თითქოს საყვარელი იღიმებოდა და ნიკაპქვეშ, ღაბუა ღაბაბთან, ჩრდილი ეცემოდა. აღარც შზარეულობას ანებებდნენ დენვერს, აღარც კერვას, აღარც თმის გარცხნასა და აღარც ჩაცმა-დახურვას. ისე შეუყ-

კარგი დედამისის ეს თამაშობები. რომ ყრულდედა უფრო და უყრო
მეტად იგეიანებდა სამსახურში, იქამდე, კიდევ ის არ მოხდა. რაც
მოხალოდნელი გახდეთ — ხელურია გამოიკინდა. აღარ მოხ-
ვიდეთ. სითუკი, ნაკველად იძისა, სხვა ხაშუშაც მოიქცებია. უყრო
და უფრო მეტს ეთაშაშებოდა საყვარელს. რომელსაც არახელებ
არაფერი ჟირფნიდა, არა სითუკი ხაშუერი ძირისაპირულები, არა
ახალ-ახალი საკეთოა, არა ტაფაზე დარჩენილი ხაშუხერის ძირი,
არა რძეზე მოხდილი ნაღები. ქათაში მარტო ის კაცობრის თუ დებ-
და, ორივე მისი იყო. თითქოს სითუ ისეკი შემცირავი ჭირიდან,
როგორც ბებია ბები, ჩვეულ საქმეებზე ხელი რომ აედო და ხელ
რამე კარგისფერი მაჩვენეოთ, ითხევდა. მთლად ბები საგზირ-
თვე არ იყო სითუ, ბებისგან განსხვავებით მას დენეკერი საერთოდ
არ ახსოვდა. იმ სიძლერასაც კი, დენეკერს რომ უძლესოდა ხოლმე,
ახლა მხოლოდ საყვარელისთვის მღეროდა: „დიდო ჯონი, ჩემო
ჯონი, არ მოშმორდე გვერდიდან“...

თავიდან ერთად თამაშობდნენ. მთელი თვე იყო ასე და დენეკერსაც
მოსწონდა ეს ამბავი. იმ ღამიდან მოშორდებული. კარსკელაკებით
მოჭრდილი ცის ქვეშ ყინულზე რომ კიგურაობდნენ და ღუშელთან
ტკბილ რძეს სვამდნენ, იმ დღემდე, როცა ნაშეაღლუს სითუ მათ
თასმებით ათასგარ თავსატებს უგონებდა. მწუხრისას კი ჩრდი-
ლებს უხატავდა კედელზე. შეა ზამთარი იყო. სითუს კი სიცხიანი-
კით უელავდა თვალები და იმაზე ფიქრობდა, როგორი ბალ-ბოს-
ტანი უნდა გაეკეთებინა. სულ იმას ლაპარაკობდა, რანაირი ფერე-
ბით აუსებოდა იქაურობა. იქამდე ეთამაშებოდა სითუ საყვარელს
თმაზე, უწნავდა, უჩეჩდა, უკრავდა და ზეთს უსვამდა, ვიდრე მისი
შემხედვარე დენეკერი არ გალიზიანდა. ერთმანეთის საწოლში წვე-
ბოდნენ. ტანისამოსსაც ცვლიდნენ ერთმანეთში. მკლავგაყრილი
დადიოდნენ და სულ იღიმებოდნენ. დათბა და დღებს სახლის უკან
ატარებდნენ, ეზოში — იდგნენ მუხლებზე ისეთ გამომხმარ მიწაზე,
ჟრაფრით რომ კერ დაამუშავებდი და გევმავდნენ. როგორი ბალ-
ბოსტანი უნდა გაეშენებინათ მთელი დანაზოგი. ოცდათვრამეტი
დოლარი, პირის სანახუებში, ბაფთუბსა და საკაბუებში დახარჯეს,
რომლებსაც სითუ ისე ჭრიდა და კერავდა, თითქოს სადმე წასკლა
ექვანებოდათ ლია ფერის ტანისამოსი იყო, ლურჯი ზოლებით და
თვალში საცემი ნახატებით ჯონ შილიტოს მაღაზიაში ყვითელი

ლნენ, ანდა ბეიბი საგზის ნაკუწებისგან შეკერილ ძეელ საბანს რომ
აკერუბდნენ ახალ ნაჭრუბს და ვერ იგებდა, რომელი რომელი იყო.

მერე ზნე იცვალეს და შეხლა-შემოხლაც დაიწყო. ერთბაშად
არ გადასულან ჩხუბზე. დაიჩიელებდა საყვარელი და ბოდიშს მო-
იხდიდა სითეც. ნაკლებად მოსწონდა ამ ორიდან უფროსს უმც-
როსისათვის დიდად გარჯა. ძალიან ხომ არ ცივა გარეთ-გარეთ
სასიარულოდო, იკითხავდა სითე და საყვარელიც ერთს ისე შეხუ-
ბუდა, სახეზე ეტყობოდა, ვითომ რაო? ძილის დრო კარგა ხანია
დაღვა და საკერავად სინათლეც არ კმარაო, იტყოდა სითე, მაგ-
რამ ძვრასაც არ იზამდა საყვარელი, თან მიუგებდა, კერვა გა-
ნაგრძეო. ჰოდა, სითეც ემორჩილებოდა. ყველაფერი საუკეთესო
საყვარელს ხედებოდა. თვიდან იყო ასე. საუკეთესო სკამი, საჭ-
მლის ყველაზე დიდი ულუფა, ყველაზე ლამაზი თუფში, ყველაზე
ხასხასა ბაფთა თმაზე დასაბნევად... რაც მეტს იღებდა საყვარე-
ლი, მით მეტად უმატებდა ლაპარაკს სითე, ათასნაირად ჰყვებო-
და, შვილებისთვის რამდენი ეტანჯა, რამდენი რაშ გადაეტანა.
ჰყვებოდა, როგორ უქნევდა ხელს ბუზებს ყურძნის ტალავერში
და მუხლებზე ფორთხვით როგორ მისულიყო ჩამოხურულამდე.
საყვარელზე ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც სითე მოელოდა,
არც ტალავრისა და არც ბუზების ამბავი ტოვებდა და არც ჩა-
მოხურულში ჩოქვით მისვლის. საყვედურობდა საყვარელი, თან
არ წამიყვანაო, კეთილად არ მექცეოდაო, არ მიღიმოდაო. ერთი
ვართო, ამბობდა, ერთი სახე გვაქვსო და აბა, როგორ დამტოვაო?
ჰოდა, სითეც ტიროდა, ამბობდა, არც არასოდეს მიმიტოვებიხარ
და არც შენი მიტოვება მიფიქრიაო. ამბობდა, იქიდან უნდა წამო-
მეყვანეთო, რძე ისევ მქონდა, საფლავის ქვის ფულიცო, ოღონდ
საკმარისი არაო. ამბობდა, რომ ყველანი სამუდამოდ ერთად
უნდა ყოფილიყვნენ მდინარის მეორე მხარეს. არ აინტერესებ-
და საყვარელს, რას ამბობდა სითე. ამბობდა, მე რომ ვტიროდი,
იქ არავინ იყოო, მკვდარი კაცი ზემოდან მაწვაო, საჭმელი არა-
ფერი მქონდაო, გატყავებული აჩრდილები თითებს მარჭობდნენ,
სიბნელეში საყვარელს მეძახდნენ, დღის სინათლეზე კი ძუკნა-
სო. ეხვეწებოდა პატიებას სითე და გაუთავებლად უსახელებდა
მიზეზებს. ამბობდა, რომ საყვარელი უფრო მნიშვნელოვანი გახ-
ლდათ, უფრო მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე მისი საკუთარი

სიცოცხლე. ამბობდა, რომ ნებისმიერ წამს გაუცვლიდა ადგილს საყვარელს. მთელ სიცოცხლეს დათმობდა, ყოველ წუთს, ყოველ საათს, ოღონდ კი უკან დაებრუნებინა საყვარელის მიერ დაღვრილი თუნდაც ერთი ცრებლი. იცოდა კი საყვარელმა, როგორ სტკიოდა გული სითქს, როცა კოდოები კბენდნენ მის პატარას? იცოდა, რომ ჭკუიდან გადადიოდა სითქ, როცა ბატონების სახლში გასაქცევად მიწაზე ტოვებდა თავის ციცქნას? იცოდა, „საყვარელი სახლიდან“ გაქცევამდე ყოველდამ სითქს მკერდზე ანდა მის ზურგზე მორგოლილს რომ ეძინა? ყველაფერს უარყოფდა საყვარელი. ამბობდა, რომ არასოდეს მისულა სითქ მასთან, არასოდეს უთქვამს სიტყვა მისთვის, არასოდეს გაუღიმია და, რაც ყველაზე უარესია, არასოდეს დაუქნევია ხელი გამოსამშვიდობებლად, არაც კი გაუხედავს მისკენ, ვიდრუ გაექცეოდა.

სცადა ერთი-ორჯერ სითქმ, თავი ისე დაეჭირა, აქაოდა, დედა ვარ და ჩემს უფლებებში ეჭვი არავის შეეპაროს, ჩემი სიტყვა კანონია და ვიცი, ვისთვის რა ჯობსო. პასუხად საყვარელმა ყველაფერი მიყარ-მოყარა, მაგიდიდან თეფშები ერთოანად მოიფრიალა, მარილი იატაკზე მოიქნია და ფანჯრის მინა ჩაამსხვრია.

მათნაირი არ იყო საყვარელი. გარეულ ნადირს ჰგავდა, თანაც არავის უთქვამს მისთვის, აბა, აქედან მიბრძანდი, გოგონი, და მაშინ დაბრუნდი, როცა ცოტა ჭკუაზე მოხვალო. არავის უთქვამს, ასწევ ხელს ჩემზე და ისეთს მოგდებ, არ დაგზოგავო. მოჭრი ხეს და ტოტებიც ზედ შეახმებაო. პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გვეოს შენ და დღუგრძელ იყო ქვეყანასა ზედა. კარის სახელურზე მიგაბამ და არავინ გიშველის, თან ღმერთსაც არ უყვარს, როცა საძაგლად იქცევიანო.

არა, არა. გატეხილი თეფშები შეაწებეს, მარილი მოხვეტეს და ნელ-ნელა დენვერიც მიხვდა, სითქს თუ არა, ერთ მშვენიერ დილით, შეიძლებოდა, საყვარელს გაჰვევიძებოდა და სწორედ მას წამოევლო დანაზე ხელი. თან ეშინოდა დენვერს იმის, რაც სითქს შეეძლო ხელახლა მოემოქმედებინა, თან რცხვენოდა, როცა უყურებდა, როგორ ემსახურებოდა დედამისი თავისზე ოდნავ უფროს გოგოს. დაინახავდა თუ არა, როგორ გაჰქონდა სითქს საყვარელის ღამის ქოთანი, გაიქცეოდა და ხელიდან გამოსტაცებდა, მაგრამ ტკიუილი აუტანელი იყო, როცა საჭმელი გამოელიათ და აღარა-

ფერს ჭამდა დედამისი. რაღაცებს კუნკავდა მაგიდისა და ქურის კიდეებიდან, ხან ქვაბის ძირზე მიმწვარ ლომს თუ შეჭამდა, ხანაც გამხმარი პურის კანს თუ ნათალებს. ერთხელ დაინახა, ვიდრე გამორუცხავდა და შეინახავდა ჯემის ცარიელ ქილას, როგორ ურუვდა ყველაზე გრძელ, შეათითს შიგნით სითუ.

დაიღალნენ და საყვარელიც კი, რომელიც დიდდებოდა და დიდდებოდა, ისეთივე გაწამებული ჩანდა, როგორიც თავად სითუ და დენვერი გახლდნენ. ასე იყო თუ ისე, იმის მაგირად, ცეცხლის საჩხრეკი მოექნია, გოგონა ახლა მხოლოდ იღრინებოდა ან კბილებს შორის ენას გაწკლაპუნებდა ხოლმე. პოდა, 124 ნომერშიც სიჩუმე იყო. ხედავდა შიმშილისგან მოვარდნილი და დაუძლურებული დენვერი, როგორ უჭირნებოდა ხელები სითუს. ხედავდა მის მოელვარე, მაგრამ უსიცოცხლო თვალებს, თან შფოთვა რომ ეტყობოდათ, თან თითქოს არაფერი ადარდებდათ. ყველაფერს აქცვდნენ ეს თვალები ყურადღებას, რაც საყვარელს ეხებოდა, — მის გლუვ ხელისგულებს, შუბლს, ღაბაბს, რომლის ნაკეცი ფართოდ გაღიმებული ადამიანის ღიმილს მიუგავდა. ყველაფერს აქცვდა ყურადღებას სითუ, საყვარელის კალათასავით ჩამრგვალებული სტომაქის გარდა. ხედავდა დენვერი, როგორ უფარავდა საკარნავალო ინგლისური ბლუზის სახელოები სითუს თითებს; კაბის ქობით, ერთ დროს კოჭებამდე რომ უწევდა, ახალა იატაკს გვიდა დედამისი. ხედავდა დენვერი, თვითონ და დედამისი გამოპრანჭულ ძვალსა და ტყავს რომ დამგვანებოდნენ, კოჭლობ-კოჭლობით დადიოდნენ და შიოდათ. ისეთი სიყვარულის ტყვეობაში ჩავარდნილიყვნენ, ქანცს რომ აცლიდათ. მერე, როცა დაინახა, როგორ ამოარწყია სითუმ ის, რაც არ ეჭამა, დენვერი ტყვიანაკრავით შექანდა. საქმე, რომელსაც დენვერმა თავიდან მიჰყო ხელი, ანუ საყვარელის დაცვა სითუსგან, საყვარელისგან დედამისის დაცვამ შეცვალა. ახლა აშკარა იყო, რომ შეიძლებოდა, დედამისი მოქვდარიყო და ორივე მიეტოვებინა. მერე რაღას იზამდა საყვარელი? რაც ხდებოდა, სამივეს თავს ხდებოდა, ორი ამ საქმეს არ ეყოფოდა და რაკი სითუ იმით ხარობდა, რომ გახარებული იყო საყვარელი, საყვარელი კი მის ერთგულებას რძის ნაღებოვით ნთქავდა და არც ერთს არ ეტყობოდა, რომ ხვალინდელი დღის ჯავრი პქონდა, არც მეორეს, ხვდებოდა დენვერი, რომ ჯერი მასზე იყო. ეზოდან

გასვლა, საკუთარი სამყაროს მიღმა გასვლა მოუწყდა, მოუწყდა, უკან მოეტოვებინა სითუ და საყვარელი და სხვა აღამიანისთვის ეთხოვა შველა.

ვინ უშველიდა დენვერს? ვის დაუდგებოდა წინ ისეთს, ვისიც არ შერცხვებოდა, როცა ეტყოდა, რომ იჯდა დედამისი ნაჭრის ტიკინასავით უსაქმოდ, რომ ბოლოს და ბოლოს, გატეხილიყო ამდენი ზრუნვითა და იმის ანაზღაურებით, რაც საყვარელისთვის დავკლო. დედამისისა და ბებიამისის საუბრებიდან რამდენიმე აღამიანის სახელი ახსოვდა დენვერს, მაგრამ პირადად მხოლოდ ორს იცნობდა: მოხუც მამაკაცს, თეთრი თმა რომ პქონდა და სტემპი რომ ერქვა და ლედი ჯონსს. პო, ცხადია, პოლ-დისაც იცნობდა, კიდევ იმ ბიჭს, სითეზე რომ უამბო, მაგრამ ისინი არაფერში გამოადგებოდნენ. გულმა რუჩხი უყო დენვერს და ერთბაშად ჩახრაკული ყელი რომ დაეამებინა, რაც კი ნერწყვი პქონდა პირში, ადგა და გადაყლაპა. ისიც არ იცოდა, საით უნდა წასულიყო. როცა სითუ, რესტორანში მუშაობდა და როცა ჯერ კიდევ პქონდა ფული საყიდლებზე სასიარულოდ, მარჯვნივ უხვევდა ხოლმე. აღრე, როცა თვად დენვერი ლედი ჯონსის სკოლაში დადიოდა, მაშინ მარცხნივ უხვევდა ხოლმე.

შმვენიერი დღე იდგა. თბილი დარი იყო. აპრილი გახლდათ და ირგვლივ ცოცხალი ყველაფერი ფრთხილობდა. თავი და მხრები მოიფუთნა დენვერმა. იდგა ვიღაცის ფეხსაცმელებსა და ყველაზე ხასხასა საკარნავალო კაბაში გამოწყობილი 124 ნომრის ვერანდაზე და შზად იყო, შთანთქმულიყო სამყაროში, ვერანდის იქით რომ ეგულებოდა. სწორედ იქ იყვნენ პატარ-პატარა რაღაცები, რომ დაფხაკურობდნენ და ზოგჯერ ეხებოდნენ კიდეც დენვერს. იქ ამბობდნენ ისეთ რამებს, აღამიანის ყურთასმენის დახშობა რომ შეეძლო. იქ, თუკი მარტო იყავი, შეიძლებოდა გრძნობას ხელი და-ერია შენთვის და ჩრდილოვით ჩაგბლაუჭებოდა. იქ იყო აღგიღები, სადაც იმდენად ცუდი ამბები მომხდარიყო, ახლოს თუ მიხვიდოდი, ყველაფერი ხელახლა დაიწყებოდა. „საყვარელი სახლის“ არ იყოს, დრო იქაც გაჩერებულიყო და, დედამისის თქმის არ იყოს, სხვა ყველაფერთან ერთად სიავეც ჩასაფრებულოვით ელოდა. როგორ უნდა ეცნო ეს აღგიღები? მეტიც, გაცილებით მეტიც, იქ თეთრკანიანები იყვნენ და აბა, რა უნდა გეთქვა მათზე? სითუ ამ-

ბობდა, ადამიანს პირით შეიცნობო, ზოგჯერ ხელებითაც. ბებია ბეიბი ამბობდა, მათგან თუს კერ დაიცავო — შეუძლიათ თუკის ნებაზე იბოდიალონ, ხან ერთ აზრზე იყვნენ, ხან მეორეზე და როგორ კვონიათ, რომ მათი მოქცევაც მოქცეუა, ძალიან ბევრი აკლიათ ნამდვილი ადამიანების ყოფაქცევამდეო.

— იმათ ციხიდან გამომიყვანეს, — უთხრა ერთხელ სითუმ ბეიბი საგზს.

- ციხეშიც იმათ ჩავსვეს, — უპასუხა დედამთილმა რძალს.
- იმათ მდინარეზე გადმოგიყვანეს.
- ჩემი შეიღის ხარჯზე.
- იმათ ეს სახლი მოგცეს.
- ჩვემთვის არავის არაფერი მოუცია.
- სამსახური მაშოვნინეს.
- იმ კაცს აშოვნინეს მზარეული, გოგონი.
- ო, ზოგიერთი კარგად გვექცევა.
- და ყოველ ჯერზე გვიკვირს, რომ კარგად გვექცევიან, არა?
- ასე არ ლაპარაკობდი ხოლმე.
- ნუ მეჭიდავები. იმაზე მეტი ჩვენიანი გაატანეს წყალს, ვიდრე დასაბამიდან ყოფილან ქვეყანაზე მათიანები. დაყარე იარაღი. ეს შერკინება არაა, ეს გაცამტვერებაა.

იდგა მზისგულზე, ვერანდაზე, დენეერი, ახსენდებოდა სითუსა და ბებიის საუბრები, ბეიბი საგზის ბოლო და უკანასკნელი სიტყვებიც ახსენდებოდა და ფეხს კერ იცვლიდა. ყელი წწვოდა, გამალებით უცემდა გული და აი, ბეიბი საგზმაც გაიცინა. ნამდვილად მისი სიცილი იყო.

„გინდა, თქვა, რომ კაროლინაზე არასოდეს არაფერი მითქვამს? მამაშენზეც? არაფერი გახსოვს იმაზე, როგორ მოხდა, რომ ისე დაუდოარ, როგორც დაუდოარ და იმაზე, რაც დედაშენს სჭირდა ფეხებზე, მის ზურგზე რომ არაფერი ვთქვათ? ეს ამბები შენთვის არასოდეს მითქვამს? ამის გამო ვერ ჩადიხარ კიბეზე? ლმერთო ჩემო!“

აბა, მათგან თუს კერ დაიცავო?!“

„ვერ დაიცავ“.

მაშინ რა ვქნა?

„გახსოვდეს, მაგრამ გადადი ეზოდან. მიდი“.

სარსელი გაცოცხლდა. თორმეტი წელი გასულიყო, დენვერმა
კი უძალ გაიხსენა გზა. მარჯვენა მხარეს ერთმანეთთან ლობებუ-
რალებით ახლო-ახლო მიწყობილი ოთხი სახლი იღვა. პირველ
სახლს ორი საფეხური ჰქონდა, ვერანდაზე კი სარწყელა იღვა; მე-
ორე სახლში სამსაფეხურიანი კიბით ადიოდით, ვერანდის ლატან-
ში ტარიანი ცოცხლი გაეჩარათ, თუმც ვერანდაზე ირი გატებილი
სკამი იღვა. გვერდზე კი გაბურდული ფორზიცია მოჩანდა. ერთი
ფანჯარაც არ ჰქონდა ამ სახლს წინა მხარეს. მიწაზე პატარა ბიჭი
იჯდა და ტკბილ ბატონს ლეჭვდა. მესამე სახლს წინა ორ ფანჯა-
რაზე ყვითელი დარაბები ჰქონდა. მიჯრით მიეღვათ ერთმანეთზე
მწვანეფოთლება მცენარის ქოთნებიც, ზოგს თეთრი, ზოგსაც წი-
თელი გულის ფორმის ყვავილები რომ გაეშალა. დენვერის სმენას
ქათმების კრიახი და ანჯამებზე ცუდად მორგებული ჭიშკრის ტკა-
ცუნი სწოდებოდა. მეოთხე სახლის სახურავზე ერთბაშად დაშვებუ-
ლიყო ლელესულელის კვირტები. მათ გამო იყო, ეზო ბალახიანი
რომ გეგონებოდათ ქალმა, ღია კართან რომ იღვა, სალმის ნიშ-
ნად ცალი ხელი სანახუროდ ასწია, მერე კი, როცა წინ დაიხა-
რა, აქაოდა, ხელს ვის ვექნევო, მხრამდე ატანილი ხელი ჰაერში
გაუშემდა. დენვერმა თვით დახარა. მეოთხე სახლის შემდეგ ერთი
ბეჭრ შემოღობილი ნაკვეთი მოდიოდა. შიგნით ძროხა იყო. ნაკვეთი
ახსოედა დენვერს, აი, ძროხა კი არა. დაძაბულობისგან თვითს კა-
ნი ერთოვად გაოფლიანებოდა თვეშეფუთნილ გოგოს. შორს ხმები
ისმოდა, კაცების ხმები იყო. ლოვლოვ-ლოვლოვით უახლოვდებოდა
ეს ხმები ყველა ნაბიჯის გადადგმაზე დენვერს. გზაზე ეჭირა თვა-
ლი, ვაითუ, ის კაცები თეთრკანიანები იყვნენო, ვაითუ, მათ გასავ-
ლელ გზაზე დაუდიყარო, ვაითუ, რამე მკითხონ და პასუხის გაცემა
მომიხდესო. ვაითუ, ცხენებით ტლინები აუყარათ, ხელი ეტაცათ
და გაეთოკათ სულ უფრო ახლოდან ისმოდა ხმები. იქნებ გზა
უნდა გადაეჭრა ახლა დენვერს. ნეტავ ისევ თუ იღვა ღია კარში
ის ქალი, სანახუროდ რომ დაუქნია ხელი? უშველიდა ის ქალი,
თუ გაბრაზებული იყო, აქაოდა, საღამზე შენც ხელის დაქნევით
რატომ არ მიპასუხეო? უარს ეტყოდა დახმარებაზე? იქნებ უნდა
შემობრუნებულიყო და უფრო ახლოს მისულიყო იმ ქალის სახლ-
თან, ხელს რომ უქნევდა, მაგრამ ამაზე ფიქრი უკვე მუტისმეტად
დაგვიანებული გახლდათ — მამაკაცები, ვისი ხმებიც ესმოდა, ზე

იბერინინ ედგნენ. ორნი იყვნენ. ზანგები. ამოისუნთქა დენვერმა. ორუები ქადებთან მიიტანა ხელი და წაიღულლულა: „დილა შშვილისა. დილა შშვილობისაო“. დარწმუნებული იყო დენვერი, რომ თვალებზე ეტყობოდა. რამდენად მაღლიერიც გახლდათ აი, პასუხის გასაცემად დროულად პირის გაღება კი ვერ მოახერხა. კაცებმა მარჯვნივ ჩაუარეს და გზა განაგრძეს.

ახეთი ძალდაუტანებელი შეხვედრით გაგულისებულმა და გულმოცემულმა დენვერმა ნაბიჯს მოუმატა, თან ფრთხილად აკვირდებოდა ირგვლივ არემარეს. გაოგნდა, როცა აღმოაჩინა, რამდენად პატარა იყო საგნები, რომლებიც მანამდე დიდი უვონა: ლოდი, გზის პირას რომ უდო და იმის იქით ოდესლაც ვერაფერს ხედავდა. ერთი ჩამოსაჯდომი ქვა ყოფილა; არც სახლებისკენ მიმავალი ბილიკები იყო სიგრძეში რამდენიმე მილი; მუხლამდეც ვერ სწვდებოდნენ ძალლები, ხოლო წიფლებსა და მუხებზე ამოჭრილი ახოები, გოლიათების ნახელავი რომ უვონა, თვალის სიმაღლეზე ჰქონდა.

მაინც ცნობდა ყველაფერს დენვერი. ბოძებიცა და სამხერხაოს ღობეც ახლა თეთრი კი არა, რუხი იყო, მაგრამ მაინც იცნო. სუროში შევუშული ქვის ვერანდა, გახუნებული ყვითელი ფარდები ფანჯრებზე; წინკარისკენ მიმავალი აგურით ფენილი ბილიკი და ფანჯრების ქვეშ ხის ფიცრები, რომლებითაც უკანა ეზოში გადიოდი. ამ ფანჯრების ქვეშ იდგა ხოლმე ფეხის წვერებზე, როგორმე რაფის იქით რომ დაენახა რამე. ის იყო, უწინდებურად უნდა მოქცეულიყო დენვერი, რომ მიხვდა, რამდენად დიდი უგუნურება იქნებოდა, მისის ლედი ჯონსის სასტუმრო ოთახში ჭურიტინისას თუ წააღებოდნენ თუს. კმაყოფილება, რომელსაც ამ სახლის პოვნის გამო გრძნობდა, უეცრად ეჭვში აირია. ვთქვათ და, აღარ ცხოვრობდა ლედი ჯონსი იმ სახლში? ან ახსოვდა კი ყოფილი მოწაფე ამდენი ხნის შემდეგ? ნეტავ რას იტყოდა? აცახცახებულმა დენვერმა შუბლზე გამოსული ოფლი მოიწმინდა და დაკაკუნა.

ლედი ჯონსი კართან მოეიდა. უვონა, ქიშმიში მომიტანესო. ისე ნაზად აკაკუნებენ, ალბათ, ვინმე ბაჟშეი თუ არის, რომელსაც დედამისმა ქიშმიში გამოატანაო. ვახშმისთვის მისი წვალება წვალებად რომ ლირუბულიყო, ლედი ჯონსს ქიშმიში სჭირდებოდა. რამდენიც გინდა, იმდენი უბრალო ნამცხვარი და კარტოფილის

ლვეზელი იქნებოდა. საკუთარი განსაკუთრებული რეცეპტით ნამ-
ცხერის მოშადება უნდილად აეღო ლედი ჯონსს თავზე, მაგრამ
ისიც ეთქვა, ქიშმიში არ მაქვსო. პოდა, თუმჯდომარევი დაპპირე-
ბოდა, ქიშმიშს ადრიანად მოგართმუვენ, ასე რომ, თავს ვეღარაფ-
რით იმართლებო. შიშის ზარს სცემდა მისის ჯონსს იმაზე ფიქრი,
რამდენად დამღლელი იყო თხელი ცომის თქვეფა და იმედი პქონ-
და, რომ თუმჯდომარეს პირობა დაავიწყდებოდა. მთელი კვირა არ
გაქნურებინა საცხობი ლუმელი და სათანადო ტემპერატურამდე
მისი გაცხელება საშინელება იქნებოდა. მას შემდეგ, რაც ქმარი
მოუკვდა და თვალებზეც ლიბრი გადაეკრა, საათოვით აწყობილი
საოჯახო მეურნეობა მიუშვა და მიუშვა. ახლაც ვერ გადაწყვიტა,
გამოეცხო რამე ეკლესიისთვის თუ არა. ერთი მხრივ, უნდოდა, ყვე-
ლასთვის შეეხსენებინა, საშარეულო საქმეში რა შეეძლო, მეორე
მხრივ კი, არ უნდოდა, იძულებით გაეკეთებინა. ამოიოხრა, კარის-
კენ წავიდა და ინატრა, ნეტავ ქიშმიში გარჩეული მაინც იყოსო.

გოგონას, რა თქმა უნდა, ასაკი მომატებოდა და ტანზეც მეძავი-
ვით ეცვა, მაგრამ ლედი ჯონსმა უმაღლ იცნო. ცოტა-ცოტა ყველას
ჰგავდა ეს სახე. ხუთცენტიანოვით მრგვალი, გაბედული, თუმცა
უნდობელი თვალები და დიდრონი კბილები, მუქ, გამოქანდაკე-
ბულ ტუჩებს შორის რომ მოუჩანდა. ცხვირის ფუძესა და ლოყებზე
ეტყობოდა, ადვილად რომ ატკენდა კაცი გულს. ახლა კანი. უნაკ-
ლო, თითქოსდა მოძირნედ განაწილებული კანი თითქოს ჰყოფ-
ნიდა სახეზე და მეტი არა. თვრამეტი-ცხრამეტი წლისა იქნებაო,
გაიფიქრა ლედი ჯონსმა, თან სახეს უყურებდა, რომელიც იმდენად
ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თორმეტი წლის ბავშვისააო,
შეიძლებოდა, გეფიქრათ სქელი წარბები, ახალშობილოვით ხშირი
წამწამები და სიყვარულის სურვილი, რომელიც არაფერში შეგემ-
ლება და რომელიც იქამდე დასციმციმებს ბავშვებს თავზე, ვიდრე
უკეთ არ შეიცნობენ ცხოვრებას.

— ლმერთო, დენვერი, — თქვა მისის ჯონსმა, — აბა, უყურე.

შინ რომ შეეყვანა, ლედი ჯონსს დენვერისთვის ხელის ჩაკიდება
და მისი ლამის ძალით შეთრევა მოუხდა. გეგონებოდათ, გოგონას
გალიმების მეტი სხვა არაფრის თავი პქონდა და იმიტომ. ვიღაც-
ვიღაცები დენვერზე ამბობდნენ, უგ ბავშვი მოსულელოაო, მაგრამ
ლედი ჯონსს არასოდეს სჯეროდა ამის. მასწავლებელი იყო და თა-

ესი თქალით ხედუდა, როგორ ისრუტავდა გოგონა ყველაფერს. წასაკითხი იქნებოდა, დასამახსოვრებელი წესი თუ რაიმე ციფრი. სხვებზე უკეთ იცნობდა დენვერს ლედი ჯონსი. როცა გოგონამ უკირად შეწყვიტა მასთან სიარული, ლედი ჯონსმა ყველაფერი გადასახდეს ხუთ ცენტს მიაწერა. ერთ დღესაც ადგა და ქუჩაში გოგონას წერა-კითხვის უკოდინარ ბებიას, მღვდელს, ტყეში რომ ქადაგებდა და წაღების შეკეთება რომ შეუძლო, იმისთვის მიუახლოვდა, რომ ეთქვა, არა უშავს, მერე თუ გადაიხდით. იმან კი უკასუხა, არა, საქმე ფული კი არა, ის არის, რომ ბავშვი დაყრევდათ. პოდა, იქამდე გვონა ლედი ჯონსს დენვერი ყრუ, ვიდრე დაჯდომა არ შესთავაზა და მანაც არ გაიგონა მისი ნათქვამი.

— კარგია, ჩემს სანახავად რომ მოხვედი. რამ მოგიყვანა? — დაიწყო ლედი ჯონსმა.

დენვერს პასუხი არ გაუცია.

— სტუმრად წასასვლელად მიზეზები რა საჭიროა?! მოდი ერთი, ჩაის მოქადულებ.

ლედი ჯონსი ნარევი სისხლისა გახლდათ ნაცრისფერი თვალები და ყვითელი გაპუნული თმა პქონდა, რომლის ყველა კულული სათითოდ სძაგდა, თუმცა არ იცოდა, ფერის გამო ეჯავრებოდა თუისი თმა ასე თუ იმიტომ, რომ გაპუნული იყო. ცოლად ყველაზე შავ კაცს გაპყოლოდა, რომელიც ოდესმე ენახა და ხუთი სულ სხვადასხვაფერი შეიღი გაეჩინა. სხვა ბავშვებთან ერთად, მისი სახლის სასტუმრო ოთახში რომ ისხდნენ ხოლმე, შეიღებს ყველაფერი ასწავლა, რაც იცოდა, მერე კი უიღბერფორსმი გაგზავნა. ლია კანის გამო იყო, პენსილვანიაში ფერადკანიანი გოგონების პედაგოგიურ სასწავლებელში გასაგზავნად რომ შეარჩიეს, ახლა კი მადლიერების ნიშნად, იმისთვის, ასე რომ მოხდა, თუად ასწავლიდა იმათ, ვისაც არ შეარჩევდნენ. ბავშვებს, ტალახში თამაშით იქამდე რომ ერთობოდნენ, ვიდრე სახლის საქმეების გაკეთებას არ შეძლებდნენ, აი, ვის ასწავლიდა ლედი ჯონსი. ცინცინატის ფერადკანიან მოსახლეობას ორი სასაფლაო და ექვსი ეკლესია პქონდა, მაგრამ რაკი მათი მომსახურება არც ერთ სკოლას და არც ერთ საჯადმყოფოს არ უვალებოდა, ისინიც შინ სწავლობდნენ და შინკე იხორცებოდნენ. ფიქრობდა გულის სილრმეში ლედი ჯონსი, რომ თუისი ქმრის გარდა, მოელ სამყაროს, შეიღების ჩათვლით,

ეზიშლებოდა ისიც და მისი თმაც. პატარაობიდანვე, როცა ლა-
მისფერი ბაჟშვებით საუსე სახლში ცხოვრობდა, ესმოდა, როგორ
ამბობდნენ, „რამდენი ყვითელი საღებავი გაუფუჭებიათ“, „დახე,
თეთრი ზანგიო“ და ადამიანები გვარიანად არ ეპიტნავებოდა, რად-
გან თვლიდა, მისი თმა სხვებსაც ისევე სძაგლათ, როგორც თვითონ.
მერე, რაკი განათლებაც ჰქონდა და მიზანსწრაფულიც გახლდათ,
ადამიანებთან ურთიერთობაში გულში დამარხული სიბრაზის გა-
რეშეც იოლად გადიოდა და განურჩევლად ყველასთან ზრდილობი-
ანად ეჭირა თვეი, თუმცა ნამდვილი სიყვარულით ის ცინცინატელი
ბაჟშვები უყვარდა, ვისაც არასოდეს შეარჩევდნენ. იჯდა ახლა მის
წინ ერთ-ერთი მათგანი და ტანზე ისეთი მყვირალა კაბა ეცვა, რომ
ყაისნალით ნაქსოვ სკამის გადასაფარუბელსაც კი ქამუშებოდა.

- შაქარი გინდა? — იკითხა ლედი ჯონსმა.
- დიახ. გმადლობთ, — ერთიანად გადახუხა დენვერმა ჩაი.
- კიდევ დაგისხა?
- არა, მემ.
- აბა, დაიწყე.
- დიახ, მემ.
- ოჯახში როგორ ხართ, ძვირფასო?

ვეღარ გადაყლაპა დენვერმა ყელში გადასაშვებად მომზადებუ-
ლი ყლუპი. ვერაფრით ეტყოდა ლედი ჯონსს თვისი ოჯახის ამ-
ბავს. პოდა, ადგა და ის უთხრა, რაც პირველად მოუვიდა თვეში:

- სამუშაო მჭირდება, — მის ლედი.
- სამუშაო?
- დიახ, მემ. რაც გინდა, იყოს.
- ლედი ჯონსმა გაიღიმა.
- რისი გაკეთება შევიძლია?
- არაფრის გაკეთება არ შემიძლია, მაგრამ თქვენი გულისთვის
ვისწავლიდი, კიდევ ცოტას თუ მომცემდით.
- ცოტას?
- საჭმელს. დედაჩემი ცუდადაა.
- ოი, პატარავ, — თქვა მისის ჯონსმა, — ოი, პატარავ.
- ახედა ლედი ჯონსს დენვერმა. მაშინ ვერ მიხვდა, მაგრამ სწო-
რედ სინაზით და სიკეთით ნათქვამი სიტყვა „პატარავ“ იყო, რო-
გორც ქალს, ისე რომ შეუძლვა დიდ სამყაროში. ბილიკი, ამ გა-

ბუნებით, მიმზიდველი აღაგის ქნ რომ მოუყვებოდა, ქალალდის საენტიტეტით იყო მოვენილი, ხევადასხვა სახელი რომ დაწერათ ზედ. ლედი ჯონსმა ცოტაოდენი ბრინჯი. ოთხი კვერცხი და ჩაი მახუა. დენვერმა თქვა. რომ დედამისის ძღვომარეობის გამო სახლიდან დიდი ხნით კურ წავიდოდა. შეეძლო კი სახლის საქმეების დაღაობით მოისულა? ლედი ჯონსმა უთხრა. რომ ვერავინ, ვერც თვითონ, კურც ხევა ვინმე. კურ გადაუხდიდა სხვას რამეს იმ საქმები. რომელსაც თავადაც აკეთებდა.

— მაგრამ თუ მარტო ჭამაა საქმე, ვიდრე დედაშენი არ გამოკუთდება, შენ მარტო უნდა თქვა. — ლედი ჯონსმა თავის ეკლესიანთა ასებული კომიტეტი ახსენა, რომელიც იმაზე ზრუნავდა, რომ შპილი არაუინ ყოფილიყო.

ამაზე იხე აღელდა დენვერი. თითქოს უცხო ხალხისთვის დახმარების თხოვნა შეიძლის უარესი ყოფილიყოს. ლედი ჯონსი გოგნას დაემშვიდობა და ხთხოვა, როცა გაგიხარჯეს, მოდი, შენ როცა გაგიხარჯეხო.

ორთ დღის შემდეგ იდგა დენვერი ვერანდაზე და შენიშნა, რომ უზოს ბოლომი ძირკვებული რაღაც იდო. მივიდა, რომ ენახა, რა იყო და თეორი ლობითი საუსე ტომარა დახედა. მეორედ ცოდი კურდლის ხორცი იპოვა. ერთ დილითაც კურცხებით საუსე კალათა დახურდება. აიღო თუ არა დენვერმა კალათა, ქვემოდან გრძელი ქაღალდი გადმოფარებულია მიწაზე. გოგონამ ქალალდი აიღო და დაცუქრდა.

„მ. ლუსილ უილიამსი“, — დიდრონი, ბატიფეხური ასოებით მექანი ფერცველზე. კალათის უკან უმარილო ცომის გუნდა იდო. პირა, დენვერიც მეორედ წნვია სამყაროს, ვერანდის იქით რომ იყო, თუმცა კალათა რომ დააბრუნა, მადლობის მეტი ვერაფერი თქვა.

— არაფრთხო, — მიუგო მ. ლუსილ უილიამსმა.

მოული გაზაფხული წარამარა ხან ეისი სახელით გამოგზავნილი ძლიერი ხვდებოდა დენვერს, ხან ვისი. აშკარად იმისთვის ტოკობრნენ ქაღალდის ნაგლეჯებს თვითანთ სახელებით საჭმელში ან მის გვერდით, რომ მერე ტაფა იქნებოდა. თუფში თუ კალათა, ჟან დაებრუნებინათ კიდევ იმისთვის, რომ სკოდნოდა გოგონას, თუმცა ამას დაგიდვედათ, ვისგან იყო ესა თუ ის საჩუქარი. ზოგ-

ჯერ მოსაკითხი ქაღალდში იყო გახვანლი და დასაბრუნებელიც არაფერი იყო, არადა, ფურცელი ზედ გამომგზავნის სახელით მაინც თან ახლდა. ბეჭრი უბრალოდ ჯვარს სვამდა და ნახატებით რთვდა, ლედი ჯონსს კი იმის გამოცნობა უწევდა, ასეთ შემთხვევაში, ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო თუმცი, რაფა ან ჭურჭლის ტილო, რომელშიც ამანათი გაეხვიათ. მაშინ, როცა გამომგზავნის გამოცნობაზე ლედი ჯონსი თავს იმტკრულდა ხოლმე, დენვერი მის მითითებებს ემორჩილებოდა და მაღლობის მოსახდელად მიდიოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სწორად გამოიკან გოგონას კუთილისმყოფელი ლედი ჯონსმა თუ არა. როცა ეშლებოდა, როცა ეუბნებოდნენ, არა, ჩემო კარგო, ეს ჩემი ჯამი არ არის, ჩემსას ლურჯი ზოლი აქვსო, პატარა საუბარიც გაიბმებოდა ხოლმე. ბებიამისს ყველა იცნობდა, ზოგიერთს კი ეცეკვა კიდეც მასთან ერთად მდელოზე. ზოგიერთს ის დროც ახსოვდა, როცა 124 ნომერი პატარა სადგურივით იყო. აქ იყრიდნენ თავს ახალი ამბების მოსასმენად, ხარის კუდის წვნიანის დასაგემოვნებლად, ბავშვების დასატოვებლად და ქვედაკაბის თარგზე გამოსაჭრელად. ვიღაცას ის ახსოვდა, როგორ გადაერჩინა მისი ნათესავი 124 ნომერში შეზავებულ მატონიზებელ სასმელს. ვიღაცამ ბალიშისპირი აჩვენა დენვერს, კიდეზე ამოქარგული ბაცი ცისფერი ყვავილების მტკრიანები ფრანგული გვირისტით რომ გამოეყვანათ. თურმე ბეიბი საგზის სამზარეულოში ლამპის შუქზე ყოფილა ის ბალიშისპირი მოქარგული მაშინ, როცა დასახლების სანაცვლოდ გადასახდელ გადასახადზე დაკობდნენ. ის წვეულებაც გაიხსენეს, თორმეტი ინდაური და რამდენიმე გეჯა ათქვეფილი მარწყვი რომ იყო. ერთმა თქვა, რომ მაშინ შეეხვია დენვერი, როცა ეს უკანასკნელი სულ ერთი დღის დაბადებული ყოფილა და ფეხსაცმელები გადაეჭრა, როგორმე დედამისისთვის გაუბედურებულ ფეხებზე რომ მოერგო. შეიძლება, დენვერი ენანებოდა ამ ხალხს, შეიძლება, სითუ. შეიძლება, ის წლები ენანებოდათ, სიძულვილში რომ გაეტარებინათ თავად. შეიძლება, უბრალოდ კეთილი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც შეეძლოთ დიდხანს ეფიქრათ უგვანოდ ერთიმეორუზე, მაგრამ როცა გასაჭირი უბელო ცხენივით ჩამოუქროლებდათ, მაშინვე ბევრი მიდებ-მოდების გარეშე გამოუდებდნენ კვანტს. ასე იყო თუ ისე, სიამაყეს, ქედმაღლობას, 124 ნომერში რომ იჩემებ-

დნენ, მათ თვალში თითქოს თავისი მოეჭამა. ცხადია, რაღაცებზე ჩერჩელებდნენ, რაღაცები უკვირდათ და თავებსაც აქნევდნენ. ზოგიერთი დაუფარავად იცინოდა კიდეც ტანსაცმელზე, რომელშიც დენვერი კახპას ჰგავდა, მაგრამ ეს ხელს არც იმაში უშლიდათ, რომ მოეკითხათ, ნეტავ თუ ჭრაო, არც იმაში, რომ კმაყოფილება განეცადათ, როცა გოგონა ნაზად იტყოდა, გმადლობთ.

კვირაში ერთხელ მაინც მიდიოდა დენვერი ლედი ჯონსთან, რომელიც ისე გამოცოცხლდა, რომ საგანგებოდ ტკბილეულის მოყვარული დენვერისთვის აცხობდა ხოლმე ქიშმიშიან ფუნთუშებს. ბიბლიაც აჩუქა გოგონას და უსმენდა ხოლმე, როგორ კითხულობდა ლულლუღით, ანდა როგორ გაჰკიოდა. ონისისთვის დენვერს ორმოცდათორმეტივე გვერდი წაეკითხა და დაემახსოვრებინა — წელიწადის თითო კვირაზე თითო გვერდი მოდიოდა.

სახლის გარეთ დენვერის ცხოვრებაში რაღაცები მოგვარდა, შინ კი ყველაფერი სულ უფრო და უფრო ცუდად იყო. ცინცინატის თეთრკანიანებს თავიანთ საგიუეთში ზანგები რომ შეუშათ, 124 ნომერში იქაურობის კანდიდატების პოვნა არ გაუჭირდებოდათ არც სითქ ანალვლებდა, საიდან მოდიოდა საჭმელ-სასმელი, არც საყვარულს. არადა, მომაგრდნენ კი და საშინელი სამსჯავროს დღემდე ოხერი და ტიალი ზავიც დადეს. იჯდა ხოლმე უსაქმოდ საყვარული, ჭამდა და ხან ერთ საწოლზე გორავდა, ხან მეორეზე. ზოგჯერ წამოიკიდებდა, წვიმა, წვიმაო და იქამდე იკაწრავდა ყელს, ვიდრე კუნაპეტოვით შავ კანზე სისხლის წვრილ-წვრილი ხასხასა ლალისფერი წვეთები არ დაემჩნეოდა. მერე სითქ აყვირდებოდა, არა, არაო, სკამებს მიყრი-მოყრიდა და მიეჭრებოდა საყვარულს, მძივებივით ჩაწიკწიკებული სისხლის წვეთები რომ მოწმინდა მისთვის. ზოგჯერ იატაკზე მოირგოლებოდა ხოლმე საყვარული, მაჯებს მუხლებს შორის მოიქცევდა და იწვა ასე საათობით, ან პატარა მდინარესთან მიდიოდა, ფეხებს წყალში ჩადგამდა და აშხაპუნებდა და აშხაპუნებდა. მერე სითქსთან მიდიოდა, თითებით უსინჯავდა ქალს კბილებს, თან ცრუმლები მოსდიოდა დიდრონი, შავ-შავი თვალებიდან. მერე და მერე ეჩვენებოდა დენვერს, რომ მოსახდენი მომხდარიყო — სითქ თავზე დახრილი საყვარული დედას ჰგავდა, სითქ — ბავშვს, ის-ის იყო, კბილები რომ ამოსდიოდა. სხვა დროს,

როკა არ სჭირდებოდა ხაყურებელს ხითქ, იჯდა ხელძე თავისთვის ეს უკანასკნელი კუთხეები მიღებულ ხამატებ. რაც უფრო დადგებოდა ხაყვარელი, მით მეტად იღებოდა ხითქ. რაც უფრო უბრწყინვადა ხაყვარელს თვალები, ხითქს თვალები, ხაყვარელის გარდა, სხვას კურათების რომ ხედუკონებ, უძილობისგან ხულ უფრო მეტად ემსგავსებოდა ორ უხილულ ხაპრალს. აღარ იყრკვნიდა თმას ხითქ, აღარკ წყალს ისხამდა პირზე. იჯდა სკაშებ და ტუჩებს გალახული ბუშვიური ილოკურდა, ხაყვარელი კი ნოქაუდა მის სასიცოცხლო ძალას, მეტს და მეტს იღებდა, ხევდებოდა და დიღდებოდა. პოდა, ამ ორიდან უფროსიც ხიტყვის უთქმელად თმობდა სკუთარ ხილულებს.

ოროვეს ემსახურებოდა დენვერი. რუკხაუდა, საჭმელს ამხადებდა, აძალებდა დედამისს, კოტი მაინც რომ ეჭამა, ხანაც თავს მოუქონაუდა ხითქს და ისე შეაჭმულდა რამეს. ხაყვარელი რომ დაეცხო, როცა კი ახერხებდა, ტკბილეულიც მოჰქონდა დენვერს მისთვის. ვერ გაიგებდი, როდის რას მოიმოქმედებდა ხაყვარელი. როკა ჩამოცხა, შეუძლო, შიძველს კლო სახლის გარშემო, ან ზენარშემოფარებულს, თან მადის აღმძვრელი ნესვთვით პქონდა მუცელი წინ გაბზევილი.

ფიქრობდა დენვერი, რომ იცოდა, რა აკაშირებდა ქრისტანულთან ხაყვარელსა და ხითქს — ხითქ იმას კდილობდა, რომ ხერხით ყელგამოჭრილი გოგონასთვის აქნაზღაურებინა როგორმე დანაკლისი, ხაყვარელი კი აზღვებინებდა და აზღვებინებდა მას. ბოლო არ უჩანდა ამ ამბავს, დაკნინებული ხითქს ყურება კი ერცხვინებოდა და ახელებდა დენვერს. არადა, იცოდა, რომ ყველაზე მეტად ხითქსაც იმისი ეშინოდა, რისაც თუადაც ეშინოდა თუიდან — შეიძლებოდა, წასულიყო ხაყვარელი. შეიძლებოდა, იქამდე წასულიყო, ვიდრე აუხსნიდა ხითქ, რა მოხდა, რად დაუჯდა პატარა ნიკაპქვეშ ხერხის გარჩარება; რად დაუჯდა ხელებზე გადასხმული გოგონას ბლანტი სისხლის შეგრძნება; რად დაუჯდა, როკა მისი სახე ისე კურია ხელით, აქაოდა, თავი არ მოხვდებოთ; რად დაუჯდა, როცა გულში იკრავდა და გრძნობდა, როგორ იკრუნჩხებოდა სახიკვდილოდ განწირელი პურიკუნა, მანამდე ხილულისთვის საუსე სხეული, რომელსაც აღმძროულია. შეიძლებოდა, იქამდე წასულიყო ხაყვარელი, ვიდრე მიახვდებოდა ხითქ, რომ ამაზე უარესი, გაცილე-

ბით უარესი ის იყო. რამაც ბეიბი საგზი მოკლა, ის, რაც ელამ იკრდა. რაც ხტემპს ენახა და რის გამოც ცახცახებდა პოლ-დი. ამზე გაცილებით უარესი იყო ის, რომ ნებისმიერ თეორიანიანს შეკლო. თუკი მოისურვებდა, თუით ფქნებამდე დაუფლებოდა შენს თუმ. თეორიანიანს მარტო ის კი არ შეკლო, რომ ემუშავებინე, მოკალი ან დაესახიჩრებინე, შენი წაბილწვაც შეკლო. შეკლო, ისე წაგ-ბილწვედნენ. სამუდამოდ დაივიწყებდი, ვინ იყავი და უკანაც ვე-რასოდეს მოხედავდი. და რაკი სხვებთან ერთად ეს ყველაფერი ხოთხაც გადაეტანა და გამოვლო, ვეღარ დაუშვებდა, რომ მის შეილებსაც იგვე გადახდენოდათ თუმ. შეილებზე უკეთესი არა-ფერი გააჩნდა სითხეს. შეკლოთ თეორიანიანებს თვითონ სითუ წაე-ბილწათ მაგრამ იმას, რაც მის ცხოვრებაში საუკეთესო იყო, თუი-ხი არსების ლამაზსა და ჯადოსნურ ნაწილს არაფრით დაანებებდა. აღარც ხეზე ჩამოკიდებული ადამიანის უთავო და უფეხო სხეული დაესიზმრება, ზედ გამოსახული ნიშნით, რომ ვერ გაიგებს, თუისი ქმრისა თუ პოლ-ეისი. აღარც თუისი გოგონა დაესიზმრება სხვა ტანადუღებულ მოწაფებთან ერთად ფერადკანიანების სკოლიდან, ჰატრიოტებმა ცეცხლს რომ მისცეს; არც ის დაესიზმრება, რო-გორ მოუფათურებენ ხელებს თეორიანიანი ყაჩაღები მის გოგონას სასირცხოზე ხელებს, როგორ დაანთხევენ თესლს მის თეძოებზე და როგორ მოისვრიან ოთხთვალადან. თვითონ შეიძლება იმუშაოს სასკლაოს ეზოში, მისმა ქალიშვილმა კი — არა.

არავინ, ქვეყანაზე არავინ ჩამოწერს მისი ქალიშვილის თუი-სებურებებს ორად გაყოფილ ფურცელზე ცხოველური თუისებუ-რებების მხარეს. არა. არა. შეიძლება, შეჭირვებულ ბეიბი საგზს შეკლო ნახურად ადამიანური ცხოვრებით ცხოვრება, აი, სითხე კი უარი ეთქვა ასეთ სანახურო ცხოვრებაზე და ახლაც უარზე გახლდათ.

კიდევ ბევრი რამ მოისმინა დენერმა დედამისისგან, როცა ეს უკანასკნელი კუთხეში იჯდა და ცდილობდა, დაეჯერებინა საყვა-რული, ერთადერთი ადამიანი, რომლის დარწმუნებაზეც უნდა ეზ-რუნა, რაც ჩავიდინე, სწორი იყო, რადგან სიყვარულით იყო ნა-კარნახევიო.

გამოეშვირა სითხეს წინ დამჯდარ საყვარულს ჩასუქებული ფქნე-

ბი, დაუღარავი ხელები მუცელზე ჩამოწერ და ისე შესცეკეროდა სითუს. არაფერი უნდოდა სცოდნოდა, გარდა იმისა, რომ სითუ იყო ქალი, რომელსაც სახე წაერთმია მისთვის, მიწაზე გაკრული სიბნელეში, ბნელ ადგილას მიეტოვებინა და გაღიმებაც დავიწყებოდა.

რაკი ბოლოს და ბოლოს მამამისის შვილი გახლდათ, გადაწყვიტა დენვერმა, ის გაეკეთებინა, რაც აუცილებელი იყო. გადაწყვიტა, სხვების სიკეთისა და ძირკვზე დატოვებული მოსაკითხის იმედად აღარ ყოფილიყო. სადმე ქირაზე უნდა ემუშავა და მიუხედავად იმისა, რომ სითუსა და საყვარელის მთელი დღით მარტო დატოვება ეშინოდა, ვინ იცის, ან ერთი, ან მეორე რა უბედურებას დაატრიალებდა, მიხვდა, სახლში მისი ყოფნით არაფერი იცვლებოდა. მისით იყო, პირში სული რომ ედგათ, ისინი კი ზედაც არ უყურებდნენ. ღრიალებდნენ, როცა მოქასიათებოდათ, ხან უხასიათოდ გახლდნენ, რაღაცას უმტკიცებდნენ ერთმანეთს, ითხოვდნენ რაღაცას და გაბლენბილები დადიოდნენ, ხანაც მოიკუნტებოდნენ, ტიროდნენ, ბოლოს კი ერთმანეთს ძალადობისკენ უბიძგებდნენ. შენიშნა დენვერმა, მაშინაც კი, როცა ჩუმად იყო, ფიქრებით სადღაც დაფრინავდა და თავის თავზე ფიქრობდა, სითუ შეუფუცხუნებდა ხოლმე. ჩურჩულებდა, თავის გასამართლებლად რაღაცას ლუდლულებდა, თითქოს უხსნიდა საყვარელს, რა გამოსცადა და რატომ და როგორ მომხდარიყო ისე, როგორც მოხდა. გეგონებოდათ, სითუს სინამდვილეში არც უნდა, რომ აპატიონ, უნდა, პატიებაზე უარი უთხრანო.

რომელიმე მათგანი უნდა გადარჩენილიყო, მაგრამ დენვერი თუ სამუშაოს არ იშოვიდა, გადასარჩენიც არავინ დარჩებოდა, არავინ დარჩებოდა ისეთი, ვინც შინ დაბრუნებულს სახლში დახვდებოდა, მერე კი თავად დენვერიც აღარ იქნებოდა. ახალი აზრი მოუვიდა თავში, თავის თავზე უნდა ეზრუნა, საკუთარი თავი უნდა გადაერჩინა. ამას არც იფიქრებდა, ნელსონ ლორდი რომ არ შეხვედროდა, რომელიც სწორედ მაშინ გამოდიოდა ბებიამისის სახლიდან, როცა დენვერი ნახევარი ღვეზლისთვის მადლობის სათქმელად აპირებდა შიგნით შესვლას. ყმაწვილმა მხოლოდ გაიღიმა და თქა: „თავს გაუფრთხილდი, დენვერ“. ასე ეგონა გოგონას, ადამიანებს ენა იმისთვის მიეცათ, მე რომ ეს სიტყვები მომესმინაო. ბოლოს რომ ელაპარაკა ნელსონს დენვერი, ბიჭის ნათქვამა სიტყვებმა

ეურთასმენა დაუხმო, ახლა კი ისევ ნელსონ ლორდის სიტყვებმა გაუხსნა გონება. სარუკელებს თხრიდა ბოსტანში, ბოსტნეულს იღებდა, შზარუულობდა, თუ რეცხავდა, სულ იმაზე ფიქრობდა დენვერი, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა. ყველაზე მეტად ბოდუინების იმედი ჰქონდა, რადგან ორჯერ უკვე დახმარებოდნენ მის ოჯახს. ერთხელ ბეიბი საგზისთვის გაწვდინათ დახმარების ხელი, მეორედ — დედამისისთვის. მესამე თაობამ რაღა დააშავა?

ცინცინატის ქუჩებში იმდენჯერ დაიკარგა, ალიონზე წასულმა დანიშნულების ადგილამდე მხოლოდ შუალლისას მიაღწია. სახლი ტროტუარიდან მოშორებით იდგა. დიდ-დიდი ფანჯრები ხმაურიან ქუჩაზე გამოდიოდა, ზედ სულ მიღი-მოდი რომ იყო. კარი ზანგის ქალმა გააღო და თქვა:

- გისმენ.
- შეიძლება, შემოუიდე?
- რა გინდა?
- მისტერ და მისის ბოდუინების ნახვა მინდა.
- მის ბოდუინი. და-ძმა არიან.
- ვაი...
- რა საქმეზე ხარ?
- სამუშაოს ვეძებ. ვიფიქრუ, იქნებ რამე ჯულებოდეთ-მეთქი.
- ბეიბი საგზის შეილიშვილი ხარ, არა?
- დიახ, მემ.
- შემოდი. ბუზები შემოდიან, — საშარუულოსკენ გაუძლვა ქალი დენვერს, თან ეუბნებოდა, — უპირველესად ის უნდა იცოდე, რომელ კარზე უნდა დაკაკუნოო. სანახუვროდ ესმოდა დვნვერს, რასაც ზანგის ქალი ელაპარაკებოდა — რბილსა და ლურჯ რაღაცაზე მიაბიჯებდა და იმიტომ. ირგვლივ ყველაფერი ბარაქიანი, რბილი და ლურჯი იყო. შუშის კარადები ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა რამეებით გაეძეძგათ. მაგიდებსა და თაროებზე წიგნები ქწყო. სადაფისფერი სანათურების ქვეშ ლითონის კაშკაშა ძირუბი მოჩანდა. ახლა სუნი, სახლში რომ იდგა... ოდეკოლონის სუნს ჰგავდა, ზურმუხტისფერ საკუჭნაოში რომ ასხამდა ხოლმე დენვერი, ოლონდ იმ ოდეკოლონისას ეს სუნი სჯობდა, — დაჯექი, — უთხრა ქალმა, — იცი, რა მქვია?
- არა, მემ.

- ჯენი. ჯენი ვაგონი.
- როგორ გიკითხოთ?
- შმვენივრად. გაუიგე, დედაშენი გამხდარა აკად. ასეა?
- დიახ, მემ.
- ვინ უვლის?
- მე, მაგრამ სამუშაოც უნდა მოვძებნო.

გაეცინა ჯენის.

— იცი, თოთხმეტი წლიდან აქა ვარ და გუშინდელი დღესავით მახსოვს, ბეიბი საგზი, ღვთისმოსავი ადამიანი, რომ მოუიდა და სწორედ იმ ადგილზე დაჯდა, სადაც ახლა შენ ზიხარ. თუთრკანიანმა კაცმა მოიყვანა. ასე აღმოჩნდა იმ სახლში, სადაც ახლა ყველანი ცხოვრობთ. სხვა რამეებიც აქაურობის წყალობით ჰქონდა.

— დიახ, მემ.

— სითუს რა სჭირს? — იკითხა ჯენიმ, თან შინ შემოტანილი სამშარეულო ნიჟარისკენ დაიხარა და ხელები გულზე დაიკრიფა.

ბევრს არაფერს სთხოვდნენ, მაგრამ ჯენის კითხვაზე პასუხის გაცემა მეტისმეტად ეძნელებოდა დენვერს. არავინ აპირებდა მის დახმარებას იქამდე, ვიდრე ყველაფერს თავიდან ბოლომდე არ მოჰყვებოდა. გასაგები იყო, რომ სხვანაირად არც ჯენი დაეხმარებოდა, არ დაანებებდა ბოდუინებთან შეხვედრას. პოდა, ამ უცხო ქალს დენვერმაც ის უამბო, რაც ლედი ჯონსისთვის ეთქვა, რის სანაცვლოდაც ჯენიმ იქვე იურაუდა, ბოდუინებს მოსამსახურუ სჭირდებათო, ოღონდ თავად ბოდუინებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. სახლში ჯენის გარდა სხვა მსახური არ ჰყავდათ, იმათ, ვინც ქირაობდა, ხანი ემატებოდათ და ჯენისაც აღარ შეეძლო მათი უწინდებურად მოვლა. სულ უფრო ხშირად უწყვდა ღამით ასაკოვან და-ძმასთან დარჩენა. იქნებ დაერწმუნებინა ჯენის უფროსები, რომ დენვერისთვის ღამის ცვლაში მუშაობის ნება მიეცათ, ზუსტად ნავახშმევს მოსულიყო და, ვთქვათ, საუზმეზეც დარჩენილიყო. ასე დენვერი სითუსაც მიხედავდა და ღამით მუშაობის სანაცვლოდ ცოტაოდენ ფულსაც იშოვიდა. აბა, როგორი იყო?

დენვერმა თქვა, რომ გოგო, სახლში რომ ჰყავდათ, სტუმრად მოსული ნათუსავი იყო. თქვა, რომ ის გოგო დედამისსაც უჭირვებდა საქმეს და საერთოდ, ოროვეს აბეზრებდა თვეს. თითქოს სითუს მდგომარეობა უფრო აინტერესებდა ჯენის. დენვერის ნაამბობიდან

დაასკვნა, რომ ეს ქალი ჭკუიდან შემციდარაო. სხვანაირი სითუ ახ-სოფლა. ხითქ, რომელზეც მისი ქალიძვილი ლაპარაკობდა, აზრი და გონი დაუდარება. იკოდა ჯენიმ, ბოლოს ასეც რომ იქნებოდა — მეტისმეტად დამოუკიდებელი ბრძანდებოდა სითუ, თან მეტისმეტად იბზუებდა (უხეირას. ისმენდა დენცერი, როგორ აკრიტიკებდნენ დედამისს და სკამხე ერთიანად მოიკრუნჩხა, აწრიალდა, თან შინ შემოტანილ ნიჟარიას არ აშორებდა თვალს. იქამდე იღაპარაკა ჯენი ვაგონბა სიამაყეზე, ვიდრე ბეიბი საგზსაც არ მიადგა, რომელზეც კარგის მეტი არაფერი პქონდა სათქმელი.

— არასოდეს კყოფილვარ ტყეში გამართულ ღვთისმსახურებაზე, მაგრამ ყოველთვის კუთილად მექცეოდა. ყოველთვის. მისნაირი მეორე არ დაიბადება.

— მეც მენატრება, — თქვა დენცერმა.

— აბა, რა იქნება. ყველას ენატრება. კარგი ქალი იყო.

მეტი არაფერი უთქვამს დენცერს. ერთხანს უცქირა ჯენიმ გოგონას, მერე კი იკითხა:

— შენი ძმებიდან თქვენს სანახავად არც ერთი არასოდეს მოსულა?

— არა, მემ.

— არასოდეს შეგ ხმიანებიან?

— არა. მემ.

— ალბათ, იმ სახლში შავ დღეში იყვნენ. მითხარი, იმ ქალს, აი, ნათესავს, ხელზე ხაზები თუ ემჩნევა?

— არა, — თქვა დენცერმა.

— ჴო, — გააგრძელა ჯენიმ, — ყოფილა, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაზე ღმერთი.

კითხვა-პასუხის დასასრულ ჯენიმ დენცერს უთხრა, რამდენიმე დღეში ისევ მოდიო. დრო სჭირდებოდა, თუისი დამქირავებლები რომ დაერწმუნებინა, მათთვის რა აჯობებდა. ღამის ცვლაში უნდა აეყანათ დამატებით ვინმე, რადგან თუის ოჯახშიც საჭირო იყო ჯენი.

— არ მინდა, ამ ხალხს რომ შევეშვა, მაგრამ დღისითაც და ღამითაც მათთან ვერ ვიქნები.

რა უნდა გაეჭეობინა დენცერს ღამით?

— აქ უნდა იყო. ყოველი შემთხვევისთვის.

— რომელი შემთხვევისთვის?

ჯენიმ მხრები აიჩინა, მერე თქვა, იმ შემთხვევისთვის, სახლს ცეცხლი თუ წაეკიდება და ნაცარტუტად იქცევაო, თან გაეღიმა.

— ანდა ავდარში გზები ისე თუ დაიტბორება, რომ დროულად ვერ მოგალ. იმ შემთხვევისთვის უნდა იყო, გვიანობამდე შემორჩენილი სტუმრების გამასპინძლება თუ იქნება საჭირო, ანდა სახლის მიღავება, მათი წასვლის შემდეგ. ყველა შემთხვევაში აქ უნდა იყო. არ მკითხო, რა შეიძლება თეთრკანიანებს რომ დასჭირდეთ ღამით

— კუთილი თეთრკანიანები იყვნენ.

— ჰო, ჰო. კუთილი ხალხია. ვერაფერს ვიტყვი. მათ თუს სხვა თეთრკანიანებში არ გავცვლიდი, აბა.

დაიმედებული დენვერი შინ წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ვიდრე გზას დაადგებოდა, უკანა კართან შემაღლებულ ადგილზე ბიჭუნა დაინახა, პირი ფულით რომ პქონდა გამოტენილი. თავი ისე გადაეგდო უკან, ლამის მოსწყდომოდა, ხელები კი ჯიბულებში ჩაეჩარა. დაფრჩენილი წითელი პირის ზემოთ დაკარკლული თვალები მოუჩანდა, წყვილ მთვარეს რომ მიუგავდა. თავზე აქა-იქ მოუჩანდა ყალყზე დამდგარი მეჩხერი თმა. მუხლებზე იდგა. ფინჯანით და-ეფრჩინა პირი, შიგნით კი წვრილმანი სამსახურისთვის გადასახდელი მონეტები ეყარა. შეიძლებოდა, მონეტების ადგილზე ღილებიც ყოფილიყო, ქინძისთვებიც ან ტყის ვაშლის მურაბაც. კვარცხლბეკზე, რომელზეც ბიჭს დაეჩოქა, წარწერა მოჩანდა: „გთხოვთ, მიმსახუროთ“.

ახალი ამბავი, ჯენის რომ ჩაუვარდა ხელში, სხვა ფერადკანიან ქალებსაც მოედო. სითეს მკვდარი ქალიშვილი, აი, ის, რომლისთვისაც ყელი გამოეჭრა, დაბრუნებულიყო, პასუხი რომ მოეთხოვა დედამისისთვის, სითე კი წამხდარიყო, ერთიანად ლაქებით დაფრულიყო, კვდებოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ხან რა სახეს იღებდა, ხან რას და საერთოდაც, მოჯადოებულივით იტანჯებოდა. თურმე სცემდა თვისი მკვდარი ქალიშვილი სითეს, საწოლს მიაბამდა და თმას არ უტოვებდა თავზე. რამდენიმე დღე დასჭირდათ იქაურ ქალებს, სითეს ამბავი სათანადოდ რომ შეეფასებინათ, აღელვება დასცხომოდათ და საქმის ვითარება მართებულად შეეფასებინათ რამდენიმე გუნდად გაიყვნენ: ისინი, ვინც შზად იყვნენ, ყველაზე უარესიც დაეჯერებინათ; ისინი, ვისაც საერთოდ არაფრის სჯე-

როდათ და ისინი, ვინც, ელასი არ იყოს, სიმართლის გარკვეულ
ცდილობდნენ.

- ელა, ეს რა ამბები მესმის სითუზე?
- მარტო ის ვიცი, რომ შინ ჰყავს.
- ქალიშვილი? რომელიც მოკლა?
- ასე მითხვეს.
- საიდან იციან, რომ ის არის?
- შინ უზის. სძინავს, ჭამს და ერთ ამბავს უტქს. ყოველდღე
შოლტავს სითუს.
- ღმერთო ჩემო. პატარა ბავშვი?
- არა. დიდია უკვე. სწორულ იმ ხნისაა, ახლა რომ იქნებოდა.
- ხორციელზე მელაპარაკები?
- ხორციელზე.
- შოლტავს?
- ისე ურტყამს, გეგონება, ცომი იყოს.
- ეკუთვნის კი.
- ასეთ რამეს არავინ იმსახურებს.
- მაგრამ, ელა...
- არავითარი „მაგრამ“. აუცილებელი არ არის, ის, რაც სა-
მართლიანია, სწორიც იყოს.

- ვერ ადგები და ვერ დახოცავ შენს შვილებს.
- ვერა. ვერც შვილები ადგებიან და მოკლავენ დედას.

სხვებზე მეტად ელა ირწმუნებოდა, სითუს უნდა ვუშველოთ. პრაქტიკული ქალი ბრძანდებოდა და სწამდა, რომ ყველა სწორულების წამალი არსებობდა. განსჯის, როგორც თუად ეძახდა, შე-
ღუი იყო, ზოგჯერ ადამიანები ყველაფერს მეტისმეტად როულად
რომ წარმოიდგენდნენ და მოქმედებას არ აყენებდნენ საშველს.
არავის უყვარდა ელა და არც მოწიონებოდა, ვინმეს რომ ჰყვარე-
ბოდა, რადგან თვლიდა, რომ სიყვარული ერთი დიდი უუნარობა
გახლდათ. სქესობრივი სიმწიფისთვის იმ სახლში მიეღწია, სადაც
მის თუს მამა-შვილი იყოფდა. სწორულ შვილზე ამბობდა ხოლმე,
„ყველაზე ზნედაცემული ის იყოო“. პოდა, ხორციელი სიყვარუ-
ლიც ელას „ყველაზე ზნედაცემულმა“ შეაზიშდა, იმან, ვინც მის-
თვის ყოველგვარი სიმხეცის საზომი გამხდარიყო. ისმენდა ხოლმე
ელა მკვლელობის, გატაცების, გაუპატიურების ამბებს და თუს

აქნებდა. ვერაფერი შეედრებოდა იმას, რასაც „ყველაზე ზნედაცე-მული“ სჩადიოდა. ესმოდა ელას, რატომ იყო ასე გააფირებული ოცი წლის წინ ფარდულში სითუ, მაგრამ იმის გაგება, რაც სითუმ ჩაიდინა, არ შეეძლო. ელასთვის რომ გეკითხათ, ყველაფერი ამ-პარტაუნობის, არასწორად მიმართული გრძნობების და სითუს მე-ტისმეტად როგორი ხასიათის ბრალი იყო. ციხიდან რომ გამოვიდა, სითუ ზედაც არავის უყურებდა. ისე ცხოვრობდა, თითქოს ქვეყანა-ზე მის გარდა არავინ იყო და ელამაც სანაგვეზე მოისროლა ყვე-ლაფერი, რაც მასთან აკავშირებდა, არც კი ესალმებოდა.

აი, სითუს ქალიშვილი კი, ასე იყო თუ ისე, ცოტას აზროვნებ-და. სხვა თუ არაფერი, კარის ზღურბლზე მაინც გადმოედგა ფეხი, ადამიანებს და ხმარებას სთხოვდა და სამუშაოს ეძებდა. გადაირია ელა, როცა გაიგო, 124 ნომერში რაღაც ისეთია დაბუდებული, სი-თუს რომ უბარტყუნებსო, თან კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლო-ბა, გაერკვია, რომელი რომელს სჯობნიდა, „ყველაზე ზნედაცე-მული“ იმას, რაც ეშმაკის განსახიერება შეიძლებოდა ყოფილი-ყო თუ პირიქით ერთი ძალიან პირადული მიზეზიც პქონდა ელას ასეთ გადარუყას. რაც უნდა პქონოდა ჩადენილი სითუს, წარსულის შეცდომების აწმყოზე დაპატრონების იდეა არ მოსწონდა ელას. განსაცვიფრებელი იყო სითუს დანაშაული, მაგრამ კიდევ უფრო განსაცვიფრებელი მისი სიამაყე გახლდათ. ვერაფრით უშვებდა ელა, რომ გაცოცხლებულიყო ოდესლაც ჩადენილი ცოდვა 124 ნო-მერში და ახლა თვეხედურად, თვეის ნებაზე დანაურდობდა. ყო-ველდღიური საქმეები მთელ ძალას აცლიდა ამ ქალს. მომავალი მისთვის მზის ჩასვლას ჰგავდა, წარსული კი, იცოდა, სამუდამოდ უნდა მოეტოვებინა უკან და თუკი ის, რაც უკვე იყო, არ დაქსნე-ბოდა, სულ წიხლით მიაბრძანებდა ყველა მოგონებას. მონობაში იყო თუ გათვაისუფლების შემდეგ, ყოველი დღე მისთვის გამოცდა და სასამართლო იყო. ვერაფრის იმედი ვერ გექნებოდა სამყარო-ში, სადაც მაშინაც კი პრობლემას წარმოადგენდი, როცა საქმის მოგვარება მხოლოდ შენ შეგეძლო. „ყველა დღეს ეყოფა თვეისი საზრუნავი“ და მეტი ჭირ-ვარამი არავის სჭირდება. არავის სჭირ-დებოდა მაგიდასთან დასკუპებული უკმაყოფილო, დიდობაში შე-სული სიავის ნახვაც. იქამდე სცემდა ელა აჩრდილს პატივს, ვიდრე ეს უკანასკნელი გამოტყვრებოდა ხოლმე, ტირილ-ტირილითა და

ზრიალ-ზრიალით ერთს შეაზანზარუბდა ყველაფერს, მერე კი ისევ თვის სამალავში გაუჩინარდებოდა. აი, ხორცს თუ შეისხამდა და გის სამყაროში შეაბიჯებდა, პო, მაშინ ნახაუდა სეირს. არა უშაუდა ელასთვის, ამიერსა და იმიერს შორის ცოტას თუ გაინაუარდებდა ვინმე, მაგრამ ის, რასაც 124 ნომერზე ამბობდნენ, განაუარდება კი არა, თვიდასხმა იყო.

— უნდა ვიღოცოთ? — ეკითხებოდნენ ქალები.

— აბა, — ამბობდა ელა, — ჯერ უნდა ვიღოცოთ და საქმეზე მერე უნდა გადავიდეთ.

იმ დღეს, როცა დენვერი პირველად უნდა დარჩენილიყო ღამით ბოდუინებთან, მისტერ ბოდუინს რაღაც საქმე ჰქონდა ქალაქის განაპირას და ჯენის უთხრა, ვახშმობამდე ახალ გოგოს მე გამოვუვლი და წამოვიყვანო. იჯდა დენვერი ვერანდაზე და კალთაში ფუთა ედო, საკარნავალო კაბა კი მზეს ისე გაეხუნებინა, რომ მყვირალა ფერუბის ადგილას ახლა უფრო შშვიდი, ნაირ-ნაირი ფერუბი მოჩანდა. მარჯვნივ იხედებოდა დენვერი, იქით, საიდანაც მისტერ ბოდუინი უნდა მოსულიყო. ვერ დაინახა, ქალები ორ-ორად, სამსამად რომ მოდიოდნენ სახლისკენ მარცხენა მხრიდან. მარჯვნივ იხედებოდა დენვერი. ცოტას ღელავდა, ნეტავ მოუწიონები თუ არა ბოდუინებსო. ცმუკავდა კიდეც, რადგან ტირილით გაღვიძებოდა იმ დღეს. დასიზმრებოდა, თვისით როგორ გარბოდნენ ფეხსაცმელები. სუდა, იმ სიზმარმა რომ დაუტოვა, მთელი დღე ვერ ჩამოიბერტყა დენვერმა, თანაც სახლის საქმეებს რომ მიჰყო ზელი, დასცხა და კიდევ უფრო დაითრგუნა. მეტისმეტად ადრიანად გამოკრა გოგონამ ფუთაში ღამის პერანგი და სავარცხელი. ნერვიულობდა, ფუთაზე გაკეთებულ ნასკვს აწვალებდა და მარჯვნივ იყურებოდა.

ვისაც რა ჰქონდა, ის მოპქონდა. ისეთი რამევბიც მოპქონდათ, მათი აზრით, საქმეს რომ უშველიდა. ზოგს საჭირო ნივთები წინ-საფრის ჯიბეებში ჩაეტენა, ზოგს კისერზე ჩამოეკიდა მძივივით, ზოგსაც მკერდში დაემალა. ზოგიც ფარ-ხმალივით მოიძღვანიებდა ქრისტეს რწმენას. ქალების უმეტესობას საჭირო ნივთებიც ჰქონდა თან და არც რწმენის უქონლობას უჩიოდა. წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რას იზამდნენ 124 ნომერში რომ მივიდოდნენ. უბრალოდ ადგნენ და წამოვიდნენ, ბლუსთოუნ-როუდი გამოიარეს და დათქმულ დროს შეიკრიბნენ. სიცხის გამო ერთი-ორი ქალი, წამოსვ-

ლის პირობა რომ დაედოთ შინ დარჩეულიყო. სხვები ფიქრობდნენ, რომ იმას, რაც 124 ნომერში ხდებოდა, კიდევ მეტი დაპირის-პირება არაფერში წააღებოდა და დარსა თუ ჯედარში მოვიდოდნენ ამ აღგიღას. იყვნენ ლევი ჯონსისონებიც, რომლებსაც არ სჯეროდათ, რასაც ხითესა და შის ხტუმარზე ამბობდნენ და ვინც ამნაირ უმეცრებას აძყვებოდა, ყველა სძაგდათ. მოკლედ, ოცდათი ქალი შეიკრიბა და ნელ-ნელა დაიძრა 124 ნომრისკენ.

პარასკევი დღე გახლდათ დღის საში საათი. ისეთი ჩახუთული სიცხე იყო, რომ სიმყრალე, მანამდე მხოლოდ კინცინატის პაერი რომ გაეფლინთა, მოუღ ქვეყანას მოედო. ყველაფერი ყარდა, წყალიც, არხში რომ მიედინებოდა, ხორცეულიც, კავებსა თუ ჭურჭელში რომ ლპებოდა, მინდორში დახოცილი პატარ-პატარა მხეკებიც, ქალაქის საკანალიზაციო მილებიც და ფაბრიკა-ქარხებიც. ყროლის სუნი, სიცხე, ნესტი... მოკლედ, ყველაფერს ერთდროულად მოეცალა. სხვათრიც ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო და შეიძლებოდა, ეს ქალები ობოლთა თავშესაფარში ანდა საგიშეთში წასულიყვნენ სარეცხის გასარეცხად, წისქვილში — სიმინდის ტაროებზე ფუჩეჩის მოსამორებლად, თუვზის გასასუფთვებლად, შიგნეულობის გასარეცხად, თეთრკანიანების შვილების დასარწყებად, მათი სახლების სართულ-სართულ დასახვეტად, ღორის ტყავის საფხეკად, ქონის დასაბეჭდად, ძეხეულის ყუთებში ჩასაწყობად ან სამიკიზნოების სამზარეულოებში შესაყუებად, ვაითუ, თეთრკანიანებმა დაინახონ, მათვის საჭმელს როგორ ვამზადებთ.

შეიძლებოდა, მაგრამ იმ დღეს არა.

წამოეწიუნენ ერთმანეთს, ოცდაათივე ერთად შეიკრიბა და 124 ნომერსაც მიუახლოვდნენ. პირველად კიბეზე ჩამომჯდარი დენვერი კი არა, თავიანთი თავები დაინახეს. უფრო ახალგაზრდები იყვნენ, უფრო ღონივრები და ისეთი მშვიდები, მინდორში ჩაძინებული გოგონები რომ არიან ხოლმე. ტკაცატკუცი გაპქონდა ტაფაზე ცხიმიან ღლავს. დაინახეს, როგორ ხაპავდნენ თვალ საერთო ჯამიდან კარტოფილის სალათს და როგორ იღებდნენ თვა-თვიანთ თეფუშებზე. კბილებს უღებავდათ ლიმონიანი და პიტ-ნიანი ძოწისფერი კოქტეილი. ისხდნენ ვერანდაზე, გარბოდნენ პატარა მდინარისკენ, კაცებს აწვალებდნენ, ბავშვებს ისკამდნენ

თუმოებზე, ისინი კი, ვინც თავადაც ბაჟშეები გახლდნენ, ფეხებზე ექონწიალებოდნენ მოხუცებს, პაწაწინა ხელებს ჩასჭიდებდნენ და ისინიც აჩუ-აჩუო, ეთამაშებოდნენ ცხენობანას. იცინოდა და ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა მათ შორის ბეიბი საგზი. მეტი, კიდევ უფრო მეტი უნდოდა ბეიბი საგზს. მათი დედები, ახლა ცოცხლები რომ აღარ იყვნენ, მხრებს მაღლა სწევდნენ და ტუჩის გარმონებზე იწყებდნენ დაკვრას. აღარსად იდგა ლობე, ზედ რომ ყუდებოდნენ და აქეთ-იქით დაძვრებოდნენ ხოლმე. მარაოსავით გაპობილიყო კაკლის ხის ძირკვი. სამაგიეროდ, თვითონ იყვნენ იქ. ერთობოდნენ ახალგაზრდები და ბედნიერები ბეიბი საგზის ეზოში და არ იცოდნენ, რა იყო შური, მეორე დღეს რომ ამოტივტოვდა მათი გულებიდან.

დენვერს ბუტბუტის ხმა ჩაესმა და მარცხნივ გაიხედა. ფეხზე წამოდგა ქალების დანახვაზე. ერთად შექუჩებულიყვნენ, ბურტყუნებდნენ და ჩურჩულებდნენ, აი, ეზოში კი ფეხს არ ადგამდნენ. ხელი დაუქნია ქალებს დენვერმა. რამდენიმე მათგანმაც დაუქნია პასუხად გოგონას ხელი, მაგრამ ნაბიჯიც არ გადაუდგამთ წინ. ისევ ჩამოჯდა დენვერი და გაიფიქრა, ნეტავ რა უნდა ხდებოდეს. მუხლებზე დაეცა ერთი ქალი. ასე თხუთმეტმა ქალმაც მას მიპაპა. ხედავდა დენვერი დაბლა დახრილ თავებს, მაგრამ რაზე ლოცულობდნენ, არ ესმოდა. მარტო გულმხურვალედ წარმოთქმული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები სწვდებოდა მის სმენას, ლოცვას რომ ეხმიანებოდა: „პო, პო, პო. შეისმინე ჩემი. შეისმინე ჩემი, შემოქმედო, შეისმინე ჩემი“. ელაც იმათ შორის გახლდათ, ვისაც არ დაეჩოქა, ფეხზე იდგა და 124 ნომერს თვალს არ აშორებდა. ისე უყურებდა სახლს, თითქოს ცდილობდა, დაენახა, კუდლებს მიღმა, კარს იქით რა ხდებოდა, რა იყო სინამდვილეში შიგნით მართლა სიუს მკვდარი ქალიშვილი დაბრუნებულიყო? თუ თავს იკატუნებდა ვიღაც? მართლა შოლტავდა ის გოგო სიუს? რითი გინდათ, თვითონ ელა რომ არ ეცემათ, მაგრამ ვერ გაეტეხათ. ახსოვდა, როგორ დაეყრევინეს საჩეჩლით კბილები, იმდენი ურტყეს მიღმაბრათ, რომ წელის გარშემო თოკის სიმსხო ნაიარევი ემჩნეოდა. ბავშვი გაეჩინა, მაგრამ ძუძუ არ ეჭმია მისთვის. პატარა, თეთრი, თმიანი რაღაც იყო, „გველაზე ზნედაცემულის“ შვილი. ხუთი დღე ისე იცოცხლა, ერთხელაც არ ამოუღია ხმა. იმის გაფიქრუბაზე,

რომ მის გახაშეღებად ის თეოზეანიანი ლექციის შეიძლებოდა დაბრუნებულიყო, ესამ პირი დააღია და ესა აძლიადგა.

უმაღლ აუკანებ ყვიტოვში ელას დახილებულებიც და ისინიც, კინ ფაქტები იღვნებ. ლოკას თავი მიანებუს და ერთი ნაბიჯით უკან დაიხებ. უხდა დაწყეოს თავიდან ხიტყვები არ ისძლია. თავიდან მარტო ხელ ისძლია. ყველა მათგანისთვის ხალხობი რომ გახლდათ

რისოდათ მოდიოდა ბლუსთოუნ-როულებელ ედჯარიდ ბოდუინი. დიდად არ მოხსენდა ეს ამბავი, ერჩივნა, „პრინცესაზე“ ყოფილი ამხედრულები. იჯდა წელში მოხსილი და საღავები ხელში ჩაუბლუჯა. ასაკი დასტურებოდა ედჯარიდ ბოდუინს.

არადა, დას ახალი გოგოს წამოსაყვანად შეკლას დაპჰირუბოდა. გზა კარგად ახსოვდა — იმ სახლში მიღიოდა, სადაც დაბადებულიყო. შეიძლება, ამის გამო იყო, დროის მდინარებაზე რომ დაიწყო ამ კაცმა ფიქრი, იძაზე, თუ როგორ გადიოდა, როგორ გარბოდა დრო. ოკედაათი წელიწადი არ ყოფილა ამ სახლში. არც კაკლის ხისთვის მოეკრა თვალი. სახლის წინ რომ იდგა, არც მდინარისთვის ეზოს უკან რომ ჩამოდიოდა და არც ძელური ქოხისთვის. არც იმ მდელოზე ყოფილა, გზის გადაღმა რომ გახლდათ ძალიან ცოტა რამ ახსოვდა, რა პქონდათ სახლში — სამი წლის იყო, როცა მისი ოჯახი ქალაქში გადავიდა საკეოურუბლად. აი, ის კი ახსოვდა, საჭმელს სახლის უკან რომ ამზადებდნენ, ჭასთან თამაშს რომ უკრძალავდნენ და ქალები რომ დაიხოცნენ: დედამისი, ბებიამისი, მამიდა და ბაბუა, მასთან და მის პატაწინა დასთან ერთად სამოცდაშვიდი წლის წინ გადასულიყვნენ ქორთ-სტრიტზე. რა თქმა უნდა, მთავარი მიწა იყო, ბლუსთოუნ-როულის ორივე მხარეზე გადაჭიმული ოთხმოცი აკრი, მაგრამ ტკბილი და ღრმა გრძნობები მაინც სახლთან აკავშირუბდა. სწორულ ამიტომ იყო, სახლს სულ იაფად რომ აქირაკებდა, ანდა სულაც უფასოდ — მდგმურები თუ იცხოვრუბდნენ შიგ, პატრონებისგან მიტოვებული სახლი აღარ დაიქცეოდა.

იყო დრო, როცა რაღაც-რაღაცებს მიწაში მარხავდა ხოლმე. ისეთ რამეები იყო, რომ ეძვირფასებოდა და უნდოდა, სხვებისგან დაემალა. ბავშვობაში რაც გააჩნდა, ყველაფერზე მიუწვდებოდა მის ოჯახს ხელი. მარტო უფროსებს შეიძლებოდა, საიდუმლო

რომ პქონოდათ, მაგრამ როცა თვეადაც გაიზარდა, თითქოს დასა-
მალიც აღარაფერი დარჩა.

მიდიოდა ჩორთით ცხენი და ედვარდ ბოდუინიც ლრმად სუნთ-
ქვდა. შშვენიერი ულვაში პქონდა. მონობასთან მებრძოლ საზოგა-
დოებაში გაწვრუბული ქალები ერთხმად თანხმდებოდნენ, რომ ამ
კაცის გარეგნობაში ხელების გარდა ყველაზე მიმზიდველი სწო-
რედ ულვაში გახლდათ. მუქი, ხავერდოვანი ულვაშის სილამაზეს
მკაფიოდ გამოყვანილი, სუფთად გაპარსელი ნიკაპიც გამოკვეთდა.
არადა, თმა მისტერ ბოდუინსაც დასავით თეთრი პქონდა. ახალ-
გაზრდობაში გაჭალარავებულიყო. თეთრი თმისა და ხშირი შავი
ულვაშის დამსახურება იყო, ყველა თავყრილობაზე ყველაზე დასა-
მახსოვრუბელი ვინმე რომ ბრძანდებოდა და კარიკატურისტებსაც
უმალ მისი თვეი ახსენდებოდათ, როდესაც ერთმანეთთან დაპირის-
პირუბული ადგილობრივი პოლიტიკოსების გამოსახვაზე მიდგებო-
და ჯერი. ოცი წლის წინ, როცა მონობასთან ბრძოლის საზოგა-
დოება მოწოდების სიმაღლეზე იყო, მისტერ ბოდუინის თმისა და
ულვაშის შეფერილობა ზუსტად ქმიანებოდა მისი და მისი თა-
ნამოაზრუების ჩანაფიქრს. „გათეთრუბულ ზანგს“ ეძახდნენ მტრუ-
ბი და ერთხელაც, არკანზასში რომ მიდიოდა, მისტერ ბოდუინი
ზანგი მენავეუბისგან გაცოცებულმა ხალხმა დაიჭირა — მენავეუბი
და ისინი, ვინც მისისიპის სანახებში ცხოვრობდნენ, სულ ექიმპე-
ბოდნენ ერთმანეთს, — და თვ-პირი ფეხსაცმლის შავი საღებავით
შეუღება. ახლა სხვა დრო იდგა. უწინდელი დროებისგან მარტო
ის დარჩენილიყო, რაც მტრობას დაელექა ძირზე — წყეული იმედი
და გადაულახავი სირთულეები. შშვიდი ცხოვრუბა რესპუბლიკაში?
პო, ამას კი ვეღარ მოესწრებოდა მისტერ ბოდუინი.

ამინდი რომ ამინდია, ისიც მეტისმეტად მოქმედებდა ედვარდ
ბოდუინზე. ხან სცხელოდა, ხანაც იყინებოდა, იმ დღეს კი შის-
გან მთლად დაეფუფქა კანი. ქუდს უკან ექაჩებოდა, აქაოდა, კი-
სერი არ დამეწვასო, არადა, სულ ადვილად შეიძლებოდა, შის
დაკვრაც მიეღო. სამოცდაათზე მეტის იყო და სიკვდილ-სიცოცხ-
ლეზეც ბევრს ფიქრობდა, მაგრამ მაინც ღიზიანდებოდა, როცა
სიკვდილის აზრი გაუელვებდა თვეში. უახლოედებოდა ძველ კარ-
მიდამოს, ადგილს, სიზმარში აქამდე რომ ხედავდა და კიდევ უფ-
რო ცხადად აღიქვამდა, რამდენი დრო გასულიყო. ომიდან ომამდე

ცხოვრობდა, თუმცა თავად არ უბრძოლია და დროც ზღაბუნით მიიწყედა წინ. ხან მაიამის ტომის ინდიელების წინააღმდეგ იყო ომი, ხან ესპანელების, ხანაც კავშირიდან გასვლის მოსურნე საბ-ხრეთელების. არადა, ნამალავიდან ნამალავამდე რომ გაგებომა, ბაქშვობაში მიწაში რომ მარხავდა, დრო თვალის ერთი დახამხა-მება იყო. ნეტავ ზუსტად სად დაემალა თუნუქის ჯარისკაცებიანი კოლოფი, ანდა საათის ძეწკვი, საათი რომ არ ეკიდა ზედ? ნეტავის უმალავდა ამ ყველაფერს? აღბათ, მამას, ღრმად მორწმუნე კაცს, რომელმაც იცოდა, რა ნებავდა ღმერთს დაა ყველას ამც-ნობდა ამას. ედვარდ ბოდუინისთვის რომ გეკითხათ, ყველაფრით უცნაური კაცი გახლდათ მამამისი, მაგრამ ერთი წესი ჰქონდა და იმ წესს არასოდეს გადაუხვევდა — ღვთისგან არის ბოძებული ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლეო, ამბობდა. იმავე აზრისა იყო მისი ვაჟიც, თუმცა სულ უფრო ნაკლები მიზეზი რჩებოდა იმის-თვის, რომ ასე ეფიქრა. მონობასთან ბრძოლის მოძრაობას ახლა მხოლოდ ძველი წერილები ასულდგმულებდა... პეტიციები, შეხ-ვედრები, დაყა-კამათი, ახალ-ახალი ხალხის გაწყვრება, შეხლა-შემოხლა, სამაშველო ღონისძიებები და პირდაპირი მოწოდებები ამბოხებისკენ. ასე იყო თუ ისე, მეტ-ნაკლებად გაამართლა მათმა მეცადინეობამ. როცა ხელი არ ემართებოდათ, ის და თავისი და მა-ინც ცდილობდნენ, რამენაირად გამკლავებოდნენ ათასნაირ დაბრ-კოლებას. ასე უმკლავდებოდნენ სირთულეებს, როცა მის კარ-მი-დამოში დედამთილთან ერთად გაქცეული მონა ქალი ცხოვრობდა, თუმცი ათასგვარ გასაჭირში რომ ჩაიგდო. მონობასთან ბრძოლის საზოგადოებამ მოახერხა და ბაკშის მკვლელობის საქმეცა და სისასტიკის სურვილიც, ამ ამბავმა ადამიანებში რომ აღძრა, რა-ღაცნაირად შემოაბრუნა, თან გვარიანი მაგალითოც შექმნა, აქა-ოდა, მონობა გასაუქმებელიაო. კარგი წლები იყო, მაგრამ არც ლანძღვა-გინება აკლდათ, არც შეურაცხყოფა. ახლა მარტო იმის ცოდნა უნდოდა, სად იყო მისი ჯარისკაცები და უსაათო ძეწკვი. გაუსაძლის სიცხეში იმითაც კმაყოფილი დარჩებოდა, ახალი მო-ახლე შინ რომ მიეყვანა და ზუსტად გაეხსენებინა, სად იყო და-მარხული თვისი განძი. მერე, ღმერთია მოწყალე, შინ მივიდოდა, იუხშმებდა და შეცეც დაეშვებოდა, თან კიდევ ერთხელ დალოცავ-და, ღამე შშვიდობისაო.

იდაყვეთით მოხვეულ გზას დაადგა. სახლს რომ მიუახლოება, ჯერ სიმღერის ხმა შემოვსმა, მერე მომღერლებიც დაინახა.

როცა ქალები 124 ნომერთან იკრიბებოდნენ, სითუ ყინულის დიდ ნატეხს ჩეჩქვავდა. მერე ყინულის სამტვრევი წინსაფრის ჯიბეში ჩაიგდო და პატარ-პატარა ნამსხვრევები წყლიან თასში ჩაუშვა. როცა სიმღერის ხმამ ფანჯარაში შეაღწია, საყვარელისთვის შუბლზე დასადებ ცუ ტილოს წურავდა სითუ. ძალიან ოფლიანობდა საყვარელი. სასტუმრო ოთახში გაშხლართულიყო საწოლზე და ხელში ქვამარილის ნატეხი ეკავა. სიმღერა ორივემ გაიგონა. ორივემ ასწია თავი. სულ უფრო ხმამაღლა მღეროდნენ. წამოჯდა საყვარელი, მარილი მოლოკა და დიდ ოთახში გავიდა. მან და სითუმ ერთმანეთს გადახედეს და ფანჯრისკენ დაიძრნენ. დაინახეს დენვერი, კიბეზე რომ იჯდა, იქით კი, სადაც ეზო გზას ემიჯნებოდა, სიმღერით გატაცებული ოცდაათი მეზობელი ქალის სახუბი დაინახეს. ზოგიერთს თვალები დაეხუჭა, ზოგი კი გავარვარებულ, უღრუბლო ცას შესცეკეროდა. სითუმ კარი გამოაღო და საყვარელის ხელისკენ წაიღო ხელი. ერთად იდგნენ კარის ზღურბლზე. ასე ეგონა სითუს, ბეიბი საგზის მდელო მოსულიყო მასთან თავისი სიმხურვალითა და შეზე აშიშხინებული ფოთლებით. უწინდელოვით ცდილობდნენ ქალები, ხმა შეწყოთ ერთიმეორისთვის, უწინდებურად მოეძებნათ სათანადო ნოტი და, ბოლოს და ბოლოს, გაერღვიათ სიტყვების ჯაჭვი. იქამდე აყოლებდნენ ხმას ხმას, ვიდრე საჭირო ბგერას არ მიაგნეს, მერე კი ხმების ისეთი ტალღა დაიძრა, ზღვას რომ აამღვრევდა და წაბლის ხეებს ნაყოფს დააყრევინებდა. თვს დაატყდა სითუს ქალების სიმღერა და ისიც ემბაზში მოსანათლად ჩაშვებული ჩვილივით აცახცახდა.

მაშინვე იცნეს მომღერლებმა სითუ და მაშინვე გაუკვირდათ, რატომ არ გვეშინია იმის, გვერდით რომ უდგას სითუსო. ჭკვიანია ეს ეშმაკეულიო, ფიქრობდნენ, თან ლამაზიო. ორსულ ქალს ჰგავდა საყვარელი, იდგა შუადღის შზის ქვეშ ტიტლიკანა და იღიმებოდა. საწვიმრად მოშზადებული ღრუბელოვით შავი და ლაპლაპა კანი ჰქონდა, მაღალ, სწორ ფეხებზე იდგა და გაბერილი მუცელიც ლამის გადასკდომოდა. ვაზის ლერწებოვით ეხვეოდა წვრილ-წვრილად დაწნული თმა თავზე. ღმერთო, თვალისმომჭრელი ღიმილი ჰქონდა. თვალები წწვის სითუს და ზემოთ იხედება. იქნებ იმისთვის იქ-

იქნა ასე, უკეთესად რომ დაინახოს. ეს ლურჯია და მოწმენდილი. ხასხასა ფოთლების სიმწვანეს არსად ეტყობა სიკვდილის იოტი-სოდენა კვალიც. პოდა, დაბლა დახრის თვალებს სითქ, კიდრე იმ კაცებს დაინახავს, ისევ რომ შეხედოს მოხიყვარულე სახეებს. ანგ-ლებს ის კაცი გაჭინებულ ფაშატს. სახეს შავი, ფართოფართლი-ანი ქუდი უფარავს, მაგრამ მაინც ეტყობა, რისთვისაც მოხულა. სითქს ეზოში შემოდის. იმას მოაკითხა, რაც ყველაზე საუკეთესო სითქს ცხოვრებაში. ფრთების ხმა ესმის სითქს. ნემსიერით წვრილი ნისკარტებით ატანენ პატარა კოლიბრები ნაჭერში, თავზე რომ წა-უკრავს და ფრთებს აფრთხიალებენ და თუ რამეზე ფიქრის თვი აქვს ახლა სითქს, არა, არა, არაო, ფიქრობს. მიღრინავს. აღარ უჭირავს ხელში ყინულის სამტვრევი, თვითონ სამტვრევია ახლა მისი ხელი.

დგას მარტო ვერანდაზე საყვარული და იღიმება. აღარ უჭირავს ახლა სითქს ხელი ხელში. გაურბის სითქ, გაურბის და გრძნობს, რომ აღარაფერი აქვს ხელში, მანამდე სითქს ხელს რომ ეჭირა. ზედ ახტება სითქ გარეთ თავმოყრილ ხალხს, მათთან მიღის და უკან ტოვებს საყვარულს. მარტოს. ისევ ტოვებს. მერე დენვერიც გარბის. გარეთ შექუჩებული ხალხისკენ გაურბის საყვარულს. გო-რად იქცევა ადამიანების გროვა. შავკანიანების გორაა. მერე ყვე-ლანი ეცემიან, მათ თავზე კი გატყავებული კაცი წამოიმართება, ხელში მათრახი უჭირავს და უყურებს, საყვარულს უყურებს.

შიშკელ უქებზე გვირილის წვენი...
უქხსაცმელს ვიხდი და ვიხდი ქუდსაც.
შიშკელ უქებზე გვირილის წვენი...
თუ დამიბრუნებ, მითხარი, ქუდსაც.
ტომარაზე დაუდებ თვეს,
თან ეშმაკიც აქვე მყავს,
შვიყვარებ მეც ამ ქალს,
ვიდრე თვალი ჩინი მაქვს,
ვიდრე პირში სული მაქვს.
თავგზა დამაკარვეინა
მე ერთმა პანწინამ
„საყვარული სახლიდან“.

იმავე გზას გადის სახლში დასაბრუნებლად პოლ-დი, რა გზითაც წავიდა. ჯერ ცოტად შესანახი პროდუქტების საკუჭნაოში იხიზნება, მერე ჩვეულებრივ საკუჭნაოში, მერე კი, ვიდრე ლოგინს მიადგება, სამხარეულოშიც ათევს ღამეს. ძალლი, სახელად „ბიჭი“, დაუძლურებულა და ალაგ-ალაგ სცვივა ბეწვი. წყლის ტუმბოსთან სძინავს ძალლს და ხვდება პოლ-დი, რომ მართლაც წასულია საყვარელი. გაქრაო, ამბობენ ვიღაცები, ზედ ჩვენ თვალწინ აფეთქდაო. დანამდვილებით ვერაფერს ამბობს ელა. შეიძლება, კიო, ამბობს, შეიძლება, არაო. შეიძლება, ხეებში იმაღება და ელოდება, შანსი ხელახლა როდის მიეცემაო. მაგრამ ხედავს გადაღრმუებულ ძალლს პოლ-დი, არც მეტი, არც ნაკლები, თვრამეტი წლის რომაა, და ეჭვი აღარ ეპარება, 124 ნომერში იმისი ჭაჭანებაც არ არის. აი, აღებს ცოტად შესანახი პროდუქტების საკუჭნაოს კარს და თითქოს ელოდება კიდეც, როდის ეტყვიან: „შემეხე. შემეხე. შიგნიდან შემეხე და სახელი დამიძახე“.

აგერ ძველი გაზეთებით მოფენილი ჩალის ლეიბიც. გაზეთის კიდევები თაგვებს მოუღრღნიათ აგერ ღორის ქონით სავსე თუნუქელაც. აგერ კარტოფილის ცარიელი ტომრუებიც ყრია ჭუჭყიან იატაკზე გროვა-გროვად. უჭირს დღის სინათლეზე იმის წარმოდგენა, როგორი იყო აქაურობა სიბნელეში, როცა მთვარის შუქი იპარებოდა ხოლმე ნაპრალებიდან. ვერც ჟინს იხსენებს, ამ საკუჭნაოში რომ დაერია მისთვის ხელი, ჟინს, რომელიც აიძულებდა, ზედ ისე აჩხორილიყო იმ გოგოზე, თითქოს ეს უკანასკნელი ზღვიდან მობერილი კამკამა ჰაერი ყოფილიყოს და მის გარეშე ვერაფრით გაიტანდა თვეს. სასიამოვნოც კი არ იყო მასთან შეერთება. ჩლუნგი რომ თვეის გადარჩენას მოინდომებს, იმას უფრო ჰგავდა პოლ-დის ლტოლვა. ყოველთვის, როცა კი მოვიდოდა ის გოგო და კაბას აიწევდა, სიცოცხლის დაუღებელი სურვილი შეიპყრობდა ხოლმე პოლ-დის და აქოშინებული თვეს ვეღარ აკონტროლებდა. მერე, დინება ნაპირზე რომ გარიყავდა და ჰაერსაც ხარბად დაწაფებოდა, როცა ერთდროულად ზიზღსა და სირცხვილს გრძნობდა, მადლიერიც იყო ხოლმე, რადგან ოკეანის სიღრმეში წაჟუგანათ, იქ, სადაც თვალდაც ჰქონდა ადგილი.

იჭრება ნაპრალებში დღის სინათლე და მოგონებებიც იფანტება, სინათლეში მოლოდოვე მტვრის ნაწილაკებად იქცევა. კარს

ხურავს პოლ-დი. ხახვისებეგნ იყერება და უკვირს, ხახლიც რომ
არ იხედვება მისები. ჯარისებია 124 ხომენი. კრისტი უბრალი მრა-
კოფისის ხურავი ხახვია, ხელის შეკეთება რომ სწორდება. ხიჩქება
შეგ, როგორიც ხტება პერი პერი.

— იხტველი ხურავ ჩემი მისი ისმითა ხელშე. ახლა ხიჩქება, — თქვა
ხტება პერი.

— რამდენჯერმე იქით გულარე და არაუკერი გამიგონია. მგონი,
დააღვა ხამუკელი — მისხურ ბოდუინი ამბობს, მაშინკე გუციდი,
როგორც კი მყიდველი გამოიჩინდებათ.

— მაგ კაცის დაჭრა ხცადა? მაგისი?

— ჟო. მაგ კაცის დაკ ამბობს, ხახლს პრობლემა პრობლემაზე
ძიაქვს. ჯენის უთხრა, თავიდან უნდა მოვიმოროთ კე ხახლით.

— მერჯ ის კაცი? — იკითხა პოლ-დიმ.

— ჯენი ამბობს, წინააღმდეგიაო, მაგრამ დას ხელს არ შეუმ-
ლის.

— რა პერნიათ, ვის მოუნდება მაგ ხიმორეზე ხახლი? ფული ვი-
საც აქვს, მანდ ცხოურება არ მოუნდება.

— მართალი ამბობ, — მიუგო პოლ-დის ხტემპმა, — ასე მგო-
ნია, მოჯაღოუებულივით არ ეშვება კე კაცი იმ ხახლს.

— არ აპირებს, ხამართალში რომ მისკენს?

— არა მგონია. ჯენი ამბობს, მარტო იმის ცოდნა უნდა, მიშ-
ველი შავკანიანი ქალი ვინ იყო, კერანდაზე რომ იდგაო. ისეთი
გამტერებული უყურებდა იმ ქალს, რომ კერ შენიშნა, ხითე რასაც
უპირებდა. მარტო ის დაინახა, რამდენიმე ფერად კანიანი ქალი
რომ ძიგილაობდა. როგორც ჯენი ამბობს, უფიქრია, ხითე ეჩე-
ბება რომელიმეს.

— არ უთქვამს ჯენის, ასე არ ყოფილაო?

— არა. ამბობს, ძალიან მიხარია, ჩემი უფროხი ცოცხალი რომ
გადარჩაო. ამბობს, ელას რომ არ უთქვა, მე მოუდებდიო. საშინ-
ლად შეძემინდა, იმ ქალს ჩემი უფროხი არ მოეკლაო. ის და დენ-
ვერი ხამუშაოს ეძებენ ახლა.

— იმ შიშველ ქალზე რა უთხრა ჯენიმ იმ კაცს, ვინ იყო?

— არავინ დამინახუსო, უთხრა.

— შენ გჯერა, რომ დაინახებ?

— რა ვიკი. რაღაცა დაინახებ. ყოველ შემთხვევაში, ელასი მჯე-

რა, ის კი ამბობს, თვალებში ვუყურებდიო. ზუსტად სითუს გვერდით იდგაო, მაგრამ როგორც ევენი ამბობენ, ასეთი და ასეთი იყოო, არა მგონია, ის გოგო ყოფილიყო, მე რომ სახლში დავინახე. მე რომ დავინახე, ის გოგო წვრილი იყო, ეს კი — დიდი. ელა ამბობს, ხელჩაკიდებული იდგნენ და მის გვერდით სითუ პატარა ბავშვს ჰგავდაო.

— პატარა ბავშვი ყინულის სამტვრევით რამდენად ახლოს მივიდა იმ კაცთან?

— ამბობენ, თუს დაესხაო. ვიდრე დენვერი და სხვები დაიჭირდნენ და ელა ყბაში მუშტს მოსდებდაო.

— უნდა სცოდნოდა, სითუ რასაც იზამდა. უნდა სცოდნოდა.

— შეიძლება. არ ვიცი. შეიძლება, იფიქრა კიდეც, ასე რომ იქნებოდა და, ალბათ, გადაწყვიტა, ნებაზე მიეშვა. ასე იქნებოდა. მაგას ჩვენ არასოდეს დაუუმცირებოვართ. მაგ კაცის იმედი უნდა გქონდეს, თუ უნდა გქონდეს. გეუბნები, ჩვენთვის ყველაზე დიდი საშინელება ის იქნებოდა ამქვეყნად, სითუ რომ მისწვდომოდა. იცი, არა, ყველაზე მეტად ეს კაცი გაისარჯა, სახრჩობელას რომ გადაერჩინა სითუ?

— ჰო. ჯანდაბა. გიჟია ეს ქალი. გიჟია.

— თან ჩვენც რომ გიჟები ვართ, არა?

იცინეს. ერთ ხრინწიან ჩახითხითუბას ჩახითხითუბა მოჰყვა, მერე კი იქამდე იხარხარეს, სანამ სტემპმა ჯიბიდან ცხვირსახოცი არ ამოიღო და თვალები არ მოიწმინდა, პოლ-დიმ კი ცრუმლები რომ შეეკავებინა, თვალებზე ხელისგულები მიიჭირა. სულ უფრო ცხადად უდგებოდათ თვალწინ ის, რაც პირადად არ ენახათ. რაც უფრო მძაფრად აღიქვამდნენ მომხდარს, მით მეტად იბნეოდნენ და იცინოდნენ და იცინოდნენ.

— დაინახავს თუ არა კართან თუთრკანიანს, მოსაკლავად იწვეს?

— რა ვიცი, ფულის ასაკრეფად რომ დადის, იმ კაცს ხელს არ ახლებს.

— კიდევ კარგი, ფოსტას კარდაკარ რომ არ დაატარებენ.

— წერილზე არავის შეახედებდა.

— თვითონ ფოსტალიონის გარდა.

— აბა, ის წაიღებდა წერილს, თუ წაიღებდა.

— კი, მოუსავლეთში.

სიცილის თავი რომ აღარ ჰქონდათ, თავები აქეთ-იქით გადააქნიეს.

— თან მაინც ათვეინებს ის კაცი დენვერს თავის სახლში ლამეს? ვა!

— აბა-აბა, დენვერს თავი დაანებე, პოლ-დი. ჩემი გულია ვე გოგო. ვამაყობ მაგ გოგოთი. პირველად პირველი ვე დაეტაკა დედამისს, ვიდრუ ეშმაკის განზრახვას მიხვდებოდა ვინმე.

— გამოდის, გადაურჩენია ის კაცი და ვე არის.

— გამოდის. ასე გამოდის, — თქვა სტემპა, თან გაახსენდა, როგორ გადახტა და როგორ გამოსტაცა ხელიდან სითეს კედელზე შემოსარუკებლად გამეტებული თმახუჭუჭა ბაჟშეი, — ვამაყობ. შვენივრად ართმევს ყველაფერს თავს. შვენივრად.

მართალი იყო სტემპი. მეორე დილით სამსახურში მიმავალმა პოლ-დიმ დენვერი დაინახა, რომელიც ამ დროს სამუშაოდან ბრუნდებოდა. შეფერთხილი იყო, თვალებში სიმშვიდე ჩასდგომოდა და კიდევ უფრო მეტად დამსგავსებოდა ჰალეს.

პირველად დენვერმა გაულიმა.

— დილა შვენიდობის, მისტერ დი.

— შვენიდობა, — უპასუხა პოლ-დიმ. გოგონას უწინდელი დამცინავი ლიმილი, კარგად რომ ახსოვდა პოლ-დის, გულითად გაღიმებას შეუცვალა, თან ძალიან უგაუდა პირი სითეს. ქუდთან მიიტანა ხელი მამაკაცმა და მოიკითხა:

— როგორ ხარ?

— ვერ დავიწუწუნებ.

— შინ მიდიხარ?

არაო, თქვა დენვერმა. პერანგების სამკერვალოში დღის ცვლაში სამუშაო არისო, გაეგო და იძედი ჰქონდა, ლამღამობით ბოდუინებთანაც თუ იმუშავებდა და სხვა სამსახურიც ექნებოდა, ცოტა ფულსაც გადადებდა და დედასაც დაეხმარებოდა. როცა პოლ-დიმ ჰკითხა, ის ხალხი კარგად თუ გექცევაო, კარგზე კარგადო, უპასუხა დენვერმა. მის ბოდუინი ათას რამეს მასწავლისო. მაინც რასო, დაინტერესდა მამაკაცი, გოგონას კი გაეცინა და მიუგო, რაც წიგნებში წერიაო.

— ამბობს, რომ ობერლინში შემიძლია წასვლა. ექსპერიმენტს ატარებს ჩემზე. აღარ უთქვამს პოლ-დის, ფრთხილად, ფრთხილად

იყავიო. ქვეყნად არაფერია თეთრკანიან სკოლის მასწავლებელზე უფრო სახიფათოო. უბრალოდ თუვი დააჭნია და ის იკითხა, რაც აინტერესებდა.

— დედაშენი კარგადაა?

— არა, — თქვა დენვერმა, — არა. არა, საერთოდ არ არის კარგად.

— როგორ ფიქრობ, შეიძლება, შემოგიაროთ? წინააღმდეგი არ იქნება?

— არ ვიცი, — უპასუხა დენვერმა, — ასე მგონია, დედაჩემი დაუკარგე, პოლ-დი.

ცოტა ხანს ორივე დუმდა, მერე კი ისევ პოლ-დიმ წამოიწყო:

— ოი, ის გოგო, საყვარელი, ხომ იცი?

— მერე.

— გგონია, მართლა შენი დაა?

დენვერი საკუთარ ფეხსაცმელებს დააჩერდა და თქვა:

— ზოგჯერ. ზოგჯერ მგონია, რომ ის იყო... დაზე მეტიც იყო, — ინგლისური ბლუზის ფეხებს მოჰყვა დენვერი, ზედ ლაქა რომ ემჩნეოდა. მერე ერთბაშად ასწია თუვი და თვალები პოლ-დის შეანათა, — თქვენზე უკეთ ვის ეცოდინება, პოლ-დი? იმას ვამბობ, რომ მას ნამდვილად საკმაოდ კარგად იცნობდით.

— ჰო, ჩემი აზრი თუ გაინტერესებს... — ტუჩები მოილოკა პოლ-დიმ.

— არა, — მოუჭრა დენვერმა, — მე ჩემი აზრი მაქვს.

— გაზრდილ ხარ.

— დიახ, სერ.

— კარგი. აბა, წარმატებას გისურვებ სამსახურში.

— გმადლობთ. ჰო, პოლ-დი, გარე-გარე სიარული არ არის საჭირო, ოღონდ დედაჩემთან ლაპარაკს დაუკვირდით, გესმით?

— ნუ დარდობ, — თქვა პოლ-დიმ და გაეცალა დენვერს, უფრო სწორად, დენვერი წავიდა — ვიღაც ახალგაზრდა გამორბოდა მის-კენ და ეძახდა: „მოიცათ, მის დენვერ, მოიცათ!“

სახეაჭარხლებული მიბრუნდა დენვერი ყმაწვილისკენ.

უხალისოდ შორდებოდა დენვერს პოლ-დი — კიდევ უნდოდა ლაპარაკი. უნდოდა, თუვი და ბოლო გაეგო იმ ამბების, სითუზე რომ ესმოდა: თეთრკანიანი კაცი დენვერის სამსახურში წასაყვა-

ნად მიუიდა, ხოთებ კი დაჭრაო; ბაჟშეის გამორჩეული აჩვეული დაბრუნება და ხოთებ ლაშის მოაკელებებისა ის ფაქტი, ჩაითხოვთხას რომ გადაარჩინათ. ყველა, ვინც კი ხოთები უკეთოდა, კრის რამე. ზე თანხმდებოდა: თავიდან კედლავდით მეტე კი აძალი, ხოთების რომ დააგდეს, ყინულის სამტკრეპი ხელოდას რომ გამოაკვლევეს და ისევ სახლისკენ მიიხედვებ, ის იქ აღარ იყო. მოჯვაინებით კრისთმა პატარა ბიჭი თქვა, 124 ნომრის უკან, პატარა სფინაციურის თვეზის ბისატყუებლად ჭიალუას კუძებდი და შიმული ქალი დაქინახა ტყეში. ტყეში გარიბოდა და თავზე თმის მაჯირიად ტყეშები პატარა.

კაცმა რომ თქვას, არც ანალკლიუბს პოლ-ლის, როგორი წევიდა, ანდა რატომ წევიდა. იმას ჯავრობს, თეთრობ როგორ და რატომ წევიდა. როცა თავის თავს გარნერის თეთრობი უყორებს, კრის რამეს ხედავს, სულ სხვას ხედავს სიქსოს თეთრობი კრის შემოხვევაში, თავი სათხო, პატიოსანი კაცი პეტიონი, მერიუში — რეზენტია. ზექტად ისე გრძნობს თავს, როგორც თმის დროს, ჯერ კრის შხარებს რომ იყო, მერე მეორე მხარეს. ნორთმოინტის ბანკისა და სარკინიგზო კომპანიისგან გაქცეული ტენებიში ფერადკანიანთა თანადელ-დამეოთხე პოლკს შეუერთდა. თავი იმათოანი კვირა, სულ მაღლ კი თავი ფერადკანიანთა სულ სხვა პოლკში ამოვთ, ჩიუ-ჯერსიში რომ იქმნებოდა. იქ ოთხი კვირა გაჩერდა. პოლკი იქამდე დაიშალა, ვიდრე რამეს გააკეთებდა — კერ შეიანხმდნენ, უნდა ეტარებინათ თუ არა ჯარისკაცებს იარაღი. არაო, გადაწყვიტეს და თეთრკანიან მეთაურსაც რამე ისეთი უნდა მოეფიქრებია, რახაც ფერადკანიანებს უბრძანებდა — კერაფრით დაახორციებდა იმათ სხვა თეთრკანიანებს. ათი ათასი ფერადკანიანი ჯარისკაცი იყო. მათი ნაწილი დარჩა და რაღაცების დასუფთავებაში, გადაზიდვას და შშენებლობაში მონაწილეობდა. ნაწილი სხვა პოლკში გადაბარებდა, ჯარისკაცების უმეტესობის ბედ-ილბალი და ჯამაჯორი კი არავის ანალკლიუბდა. თვითონაც ფიქრობდა პოლ-ლი, რამე მოეფიქრებინა, როცა ნორთმოინტის ბანკის აგენტი წამოწერა და დელავერში დაბრუნდა, სადაც ერთი წელიწადი მონურ შრომაში გაატარა. მერე სამასი დოლარი აიღო ნორთმოინტმა იმაში, რახაც პოლ-ლი ალაბამაში აკეთებდა. მეამბოხებებს ემსახურებოდა ალაბამაში პოლ-ლი. ჯერ მიცვალებულების დახარისხება კარლებოდა, მერე რკინას ადნობდა. დადიოდნენ ბრძოლის ველზე ის და მისნა-

ორები, ჩხრუჯდნენ იქაურობას და დაჭრილ კონფედერატებს ერთ გხარეს მიათვალიდნენ, დახოცილებს — მეორე მხარეს. მოუარეთო, აყალებდნენ, კარგად მოუარეთო. ფერადკანიანებიც და თეთრკანიანებიც სახეებს თვალებამდე იფუთნიდნენ და ისე მიიკვლევდნენ გზას ფარნებით მდელოებზე, სიბნელეში აყურადებდნენ ცოცხლების გმინვას, ამასობაში კი მკვდრები უდარდელად დუმდნენ. უმეტესად ყმაწვილები იყვნენ, ზოგიერთი სულ მთლად ბავშვი იყო და, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა პოლ-დის, რადგან ეცოდებოდა ისინი, ვინც შეიძლებოდა, იმათი შვილები ყოფილიყვნენ, მას რომ ედგნენ დარაჯებად ალფრედში, ჯორჯის შტატში.

ხუთჯერ სცადა და ერთხელაც არ გაუმართლა. „საყვარელი სახლიდანაც“ გაიქცა, ბრუნდიუაინსაც გაექცა, ალფრედიდანაც გაიქცა, ჯორჯიდან, უილმინგტონიდანაც, ნორთპოინტისგანაც და ხუთჯერვე გაწილდა. მარტოდმარტო იყო. კანის ფერს ვერ შეიცვლიდა, არც შენიღბვა გამოსდიოდა, ვერც თმას მოუხერხებდა რამეს, თან არც თეთრკანიანი მფარველობდა ვინმე. პოდა, ხუთჯერვე დაიჭირეს. ყველაზე ხანგრძლივი გაქცევა მაშინ პქონდა, მსჯაურდადებულებთან ერთად რომ გაიქცა, ჩეროკის ტომის ინდიელებთან დარჩა, მათ რჩევას მიჰყვა და სამ წელიწადს მქსოვლ ქალთან ცხოვრობდა უილმინგტონში, დელავერში. ხუთჯერ გაიქცა და ყოველ ჯერზე აოცებდა იმ მიწის სილამაზე, მისი რომ არ გახლდათ ამ მიწის უბეში იმალებოდა, მის ნიადაგს სინჯავლა ხელით, იქნებ საჭმელს წამოვედო რამესო, მისი მდინარეების წყალს წაფებოდა და ცდილობდა, აქაურობა არ ჰყვარებოდა. თავისოუე ვარსკვლავების ტყვეობაში ჩავარდნილი პოლ-დი ცდილობდა, არ ჰყვარებოდა ცა, რომელსაც ღამლამობით არავინ ეცილებოდა. ცდილობდა, არ ჰყვარებოდა აქაური სასაფლაოები და ბარის მდინარეები. ცდილობდა, არ ჰყვარებოდა სახლი, ალუბლის ხის ქვეშ განმარტოებით რომ იდგა, ანდა ჯორი, იქვე რომ აბამდნენ და მხისგულზეც გვარიანად რომ ითბობდა ხოლმე ტყავს.

მას შემდგა, რაც რამდენიმე თვე ალაბამაში ბრძოლის ველზე გაატარა, სამას ფერადკანიანთან ერთად, რომელთა შორის ზოგი ტყვე იყო და ზოგი დაქირავებული, სელმაში გაუშვეს, ლითონის ჩამოსასხმელ სამქროში. სწორედ სელმაში მოუსწრო პოლ-დის ოშის დამთვრებამ. გამოუცხადეს, რომ თვისეუფალი ბრძანდებოდა

და ალაბამიდან წასვლაც სულ ადვილი უნდა ყოფილიყო. ხელმი-
დან, სადაც ლითონის ჩამოსასხმელ სამქროში მუშაობდა, პირ-
დაპირ ფილადელფიაში უნდა წასულიყო. ფეხით დაადგებოდა დად
გზებს, მატარებელში ჩაჯდებოდა თუ ნაკში, ფილადელფიაში უნდა
წასულიყო. ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში სხვაგვა-
რად მოხდა. ორ ფერადკანიან ჯარისკაცთან ერთად, ორმოცდა-
მეოთხე პოლკს რომ ჩაურდნოდნენ, რომელსაც პოლ-დი ვძებდა,
სელმიდან მობილში ფეხით წავიდა. ვიდრე პირველ თვრამეტ მილს
გაილიდნენ, გზაზე თორმეტი შავკანიანის გვაში ნახეს. ორი მათ-
განი ქალი იყო, ოთხი — პატარა ბიჭი. ნამდვილად ჩემი ცხოვრე-
ბის მთავარ გზას გავდოვარო, ფიქრობდა პოლ-დი. ჩრდილოელები
თავიანთ ჯარს აკონტროლებდნენ, აი, მეამბოხები კი მიეშვათ მო-
ბილის მისაღვომებთან ზანგები ნახეს, მანამდე მეამბოხეთა ბრძა-
ნებით მოშლილ რკინიგზაზე ლიანდაგს ხელახლა რომ აგებდნენ.
პოლ-დის ერთ-ერთ თანამგზავრს, რიგითს, სახელად კინს, მას-
ჩუსეტსის ორმოცდამეთოთხმეტე პოლკში ემსახურა. მან უთხრა
პოლ-დის, ფერადკანიანებს თეთრებზე ნაკლებს გვიხდიდნენო. მწა-
რედ ახსოედა რიგითს, რამდენიმე კაცმა ერთხმად ვთქვით უარი
ჯამაგირში განსხვავების ანაზღაურებაზეო. იმხელა შთაბეჭდილე-
ბა მოახდინა პოლ-დიზე მებრძოლისთვის ფულის გადახდის იდე-
ამ, გაკვირვებული შურით შესცემეროდა კინს.

სკინმა და მისმა მუკობარმა, სერუანტმა როსიტერმა ვიღაცას
პატარა ნიჩბებიანი ნაკი ჩამოართვეს და პოლ-დისთან ერთად იმით
დაცურავდნენ მობილის ყურუში. მერე რიგითმა მოკავშირუთა კა-
ნონერს მიაწვდინა ხმა და გადაიყვანეს კიდეც სამოვე კანონერის
ბორტზე. თავიანთი მეთაურების მოსაძებნად კინი და როსიტერი
მემფისში ჩამოხდნენ. კანონერის კაპიტანმა პოლ-დის უილინგამ-
დე, უესტ-ვირჯინიამდე, ბორტზე დარჩენის ნება მისცა. ნიუ-ჯერ-
სიმდე თავისით ჩავიდა პოლ-დი.

მობილში რომ ჩავიდა, მკვდარი მეტი ჰყავდა ნანახი, ვიდრე
ცოცხალი, აი, ტრუნტონში უამრავი ცოცხალი ადამიანი დახვდა
— არც არავის დასდევდნენ და არც არავინ დასდევდათ. მაშინ კი
მიხვდა, რა იყო თავისუფლება, შეიგრძნო მისი გემო და მერე არა-
სოდეს დავიწყებია. მიუყვებოდა ხალხმრავალ ქუჩას, თეთრკანია-
ნებით რომ იყო სავსე, და არავინ კითხულობდა, ეს კაცი აქ რატომ

ჩა რისთვის არისო. მარტო იმისთვის თუ გააყოლებდნენ თვალს, საძაგელი ტანისამოსი რომ ეცვა და თმაც ისეთ დღეში პქონდა. ადამიანს რომ არ ეპატიება. თუმცა, განგაში არავის აუტებია. და აი, საოცრება თუ გინდა, დგას პოლ-დი ქუჩაში, ერთმანეთის გვერდით ჩამწკროვებული აგურის სახლების წინ, და ვიღაც თუთრკანიანი ეძახის, ეი, შენ! აქეთ! ეტლიდან ეს ორი სკორი ჩამომაღებინეო! მერუ მონეტაც აჩუქა იმ თუთრკანიანმა. რამდენიმე საათი იარა აქეთ-იქით იმ მონეტით პოლ-დიმ — არ იცოდა, ნაჩუქარი ფულით რა მოუვიდოდა, პიჯაკი, საჭმელი თუ ცხენი. არც ის იცოდა, მიჰყიდდა თუ არა ვინმე რამეს. ბოლოს მემწვანილე დაინახა, ოთხთვალაზე ბოსტნეულს რომ ყიდდა. კონად შეკრული თალგამისკენ გაიშვირა პოლ-დიმ ხელი. მიაწოდა თალგამი მემწვანილემ და მიხვდა პოლ-დი, რომ არც თვად აინტერუსებდა ვინმეს, არც „შეცდომა“, მემწვანილემ რომ დაუშვა. ბედნიერმა განაგრძო გზა, თან თალგამს ღეჭვდა. მარტო რამდენიმე ქალბატონმა ჩაუარა, ისეთებმა, სახეზე დაბნეულობა და ზიზღი რომ ეტყობოდათ ერთიანად ბრწყინვადა პოლ-დი. პირველად ეყიდა თავისი ნაშოვნი ფულით რაღაც და არად დაგიდევდათ თალგამი გამხმარ-გაჩიჩინებული რომ იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, ცხოვრება ცხოვრებად ღირს, თუკი მავანს იქ შეუძლია ჭამოს, იაროს და დაიძინოს, საღაც გაუხარდებაო. პოდა, შვიდი წლის განმავლობაში დადიოდა, ჭამდა და იძინებდა თავის ჭკუაზე, ვიდრე სამხრეთ ოპაიოში არ ამოყო თვი, იქ, საღაც მისი ნაცნობი მოხუცი ქალი და გოგონა წასულიყვნენ.

იმავე გზას გადის შინ დასაბრუნებლად პოლ-დი, რა გზითაც წავიდა. დგას სახლის უკან, ციფად შესანახი პროდუქტების საკუჭნაოსთან და გაოგნებულია, ბოსტანში ზაფხულის მიწურულს ეს რამდენი მიხაკი, ხვართქლა და ქრიზანთემაო. უცნაურად დალაგებულ თუნექელებში გაბუჩქული მცენარეების დამპალი ღეროები მოჩანს, ყვავილები ზედ ფუფხებთვით რომ შექმობია. ლობიოს სარებსა და კარის სახელურებზე უსიცოცხლო სურო შემოხვეულა. სახტუნაოს სიგრძის თოკი სარეცხ გარცლთან დაუგდიათ ქილები, მკვდარი ციცინათელებით სავსე ქილებია ყველგან. აქაურობა სათმაშო სახლს ჰგავს, ძალიან მაღალი ბავშვის სათმაშო სახლს მიდის და აღებს საღარბაზო კარს პოლ-დი. სამარისებური სიჩუმეა სახლში. არაფერია იმ აღგილას, საღაც ერთხელ სვეტად

დაღვრეობა წითელი სინათლეებ გააშება. ხევის გარეთა სხვა
არაფეროვანი ძიგნის რაღაც აკეთი პეტ-დის და ამ აბბავებისაც
შეუპრეცენდებ უნდა გაუმჯობესდეს. როგორც აჭირების ბეჭდები
თავდები შეაძიგა ხოუჩე მინდობობის ფქვი. ოქალს შეავლებს
თვალში საცემად ოქალი კიბებს და ბეჭდებს. რომ მიუკი მოაჯირი
ბაფოუბით თანამდებობა და თავდების მიუწოდები სახლში შედის
პოლ-დი. მასთან ერთად აღწევს შიგ ხელი ხორ და ბატონებს არ-
ხევს. დიდად არ ჩქარობს, მაგრამ დროისავ არ კარგდებს. ფრთხი-
ლად ადის გაპრიალებულ კიბებები. ხოუჩე თოახში შედის. არ არის
თოახში ხითე, თან საწოლიც ისეთია პატარა ეჩქენება. უკვირს, თრ-
ნი როგორ ვიწევითი ზედ. ზემანი არ არის საწოლზე და რაკი
ჟურში დატანებული ფრანგებიც არ იღება, თოახში ჩახურელი
ჰაერი დგას. იატაკზე ჰყაორელა ტანისაძის ყრია. კლდელზე მი-
მაგრებულ საკიდზე ის კაბა კიდია. საყვარელს რომ ეცა, როცა
პოლ-დიმ პირველად ნახა. კუთხეში კალათაში წყვილი ციგურა
შეუეულა. ისევ საწოლზე გადააქვს მშერა პოლ-დის და ერთხანს
არ აშორებს თვალს. ასე პგრინია, მისი ადგილი აქ არ არის. თუ ს
ძალას ატანს, ცდილობს. წარმოიდგინოს, როგორ იწვა ხოლმე ამ
საწოლზე. თფლი ასხამს და უკეთეს გუნებაზე დგება. შეორე საძი-
ნებელში გადის. რამდენადაც არუელ-დარუელია პირველი საძი-
ნებელი, იმდენად მიკოტავებულია დენკერის თოახი, მაგრამ სითე
აქაც არ არის. იქნებ საძსახურში დაბრუნდა, იქნებ რამდენიმე
დღეში, მას შეძღვ, რაც დენკერს ელაპარაკა. უკეთესად გახდა.
ახლა დაბლა ჩამოდის კიბით პოლ-დი და კიწრიო საწოლზე სა-
კუთარ ხატს ტოვებს, იქ. სადაც მისი ადგილია. სამხარეულოში
მაგიდასთან ჯდება. რაღაც აკლია 124 ნომერს, რაღაც იმათზე
დიდი, ვინც შიგ ცხოვრობდა; საყვარელსა თუ წითელ სინათლეზე
დიდია ის რაღაც. ზუსტად კერ იტყვის, რა არის, მაგრამ წამით
პგრინია, რომ იმის იქით რასაც მისი გონება სწვდება, თვალის-
მომჭრელად ციალებს ის, რაც იმიერიდანაა, თან ბრალს ხდებს,
თან გულში იკრავს.

მისგან მარჯვნივ, იქ, სადაც სასტუმრო თოახის ოდნავ მოღე-
ბული კარია, ზუზუნის ხმა ისმის. ზუზუნით მღერის ვიღაც. ნელი.
ტკბილი ხმით მღერის. იავნანას პგავს სიმღერა. რამდენიმე სიტყ-
ვასაც არჩევს. თოთქოს მღერიან: „დიდო ჯონი, დიდო ჯონი... თუ ი

დახარუ, მიხაკო". რა თქმა უნდაო, ფიქრობს პოლ-დი. იქ არის, ფიქრობს. მართლაც იქ არის. წევს ფერად-ფერადი ნაკუნების-გან შეკრილი საბნის ქვეშ და მარგებელი მცენარის სათუთა, მუქი ფესვებით გაუშლია საბანზე ხვეული თბა. მეტისშეტად ბჯრი სინათლეა ოთახში. რაღაც-რაღაცები გაუყიდიათ.

— მაღალია პურის ხე, მხრაძდე მიწვეს ფუტკარა, ბაია და სამ-ყურა ერთად აყვავებულა, — მღერის სითუ და თან გრძელ, გაპუ-წულ თმაზე ისვამს ხელს.

ხმას იწმენდს პოლ-დი, სიმღერა რომ გაწყვეტინოს სითუს.

— სითუ?

— პოლ-დი, — ამბობს პირით მამაკაცისკენ შემობრუნებული ქალი.

— გაიმე, სითუ.

— მელანი გაუკეთე, პოლ-დი. ვერაფერს დაწერდა, მე რომ მე-ლანი არ გამეკეთებინა.

— რომელი მელანი? ვისზე ამბობ?

— პირი გაიპარსე?

— პო. არ მიხდება?

— არა. გიხდება.

— მე და ეგეთები ვის გაუგია? რაები მესმის შენზე, საწოლიდან არ დგებაო?

იღიმება სითუ, მერე უქრება სახიდან ღიმილი და ისევ ფანჯარას მიაჰყრობს თვალებს.

— უნდა დაგელაპარაკო, — ეუბნება მამაკაცი ქალს.

პასუხს არ აძლევს სითუ.

— დენვერი ვნახე. გითხრა?

— დღისით მოდის. დენვერი. ჩემი დენვერი ისევ ჩემთანაა.

— უნდა ადგე, გოგონი, — ნერვიულობს პოლ-დი. რაღაცას აგონებს დაწოლილი სითუ.

— დავიღალე, პოლ-დი. ძალიან დავიღალე. ცოტა ხანს უნდა დავისვენო.

ახლა კი ხედება პოლ-დი, რასაც აგონებს დაწოლილი სითუ და უყვირის:

— ჩემს ხელში სიკვდილი არ გაბედო! ეს ბეიბი საგზის საწოლია! რა ჩაიფიქრე? — ისეა გაბრაზებული პოლ-დი, შეიძლება,

მოკლას კიდეც სითუ, მერე ახსენდება, დენვერმა რომ გააფრთხილა
და ჩურჩულებს, — რა ჩაიფიქრე, სითუ?

— ო, არაფერი. საერთოდ არაფერი არ ჩამიტიქრებია.

— მომხედე, — ამბობს პოლ-დი, — დღისით დენვერი იქნება
შენთან, ღამით — მე. ამ წუთიდან მე ვიზრუნებ შენზე, გესმის?..
კარგი სუნი არა გაქვს. აქ დარჩი. არ გაინძრუ. ცოტა წყალს გა-
ვაცხელებ, — ჩუმდება პოლ-დი. მერე ისევ განაგრძობს, — არა
უშავს, სითუ, ცოტა წყალს თუ გავაცხელებ?

— და ფეხებს დამითვლი? — ეკითხება ქალი.

უფრო ახლოს მიდის მამაკაცი.

— ფეხებს დაგიზელ.

თვალებს ხუჭავს სითუ. მაგრად კუმავს ტუჩებს. არაო, ფიქ-
რობს. ფანჯარასთან ამ პატარა ალაგისა და მოსვენების გარდა
სხვა არაფერი მინდაო. არც დასაზელი მაქვს რამე და საჭიროც
არ არის, რამე რომ დამიზილონო. რომც შეეძლოს პოლ-დის ჩე-
მი დაბანა, ჩემგან დასაბანიც აღარაფერი დარჩაო. ნაწილ-ნაწილ
დამბანსო? ჯერ სახეს, მერე ხელებს, მერე თეძოებს, ტერფებსა
და ზურგსო? ბოლოს მომჩვარული ძუძუების ჯერიც დადგებაო?
თან ნაწილ-ნაწილ თუ დამბანს, განა ნაწილებად არ დავიშლებიო?
თვალებს ახელს სითუ და ეშინია, პოლ-დის არ შეხედოს. უყურებს
ქლორიტის ფიქლისფერ კანს, გაფაციცებულ გულისხმიერ თვა-
ლებს და ხედავს იმას, რაც შიგნით აქვს პოლ-დის. ხედავს, რომ
მაღლიანია ეს კაცი — შედგამს მავანის სახლში ფეხს და იქაური
ქალებიც გულს გადაუშლიან, ატირდებიან, რადგან მისი თანდასწ-
რებით ტირილი შეიძლება. შეუძლიათ იტირონ და ისეთი რამეები
უთხრან, მარტო ერთმანეთს რომ ეუბნებიან: დრო არ ითმენსო.
სითუსაც შეუძლია, უთხრას, ვეძახდი, მაგრამ მაინც მიდიოდნენ
ლიანდაგზე პოვარდი და ბაგლერი და ჩემი არ ესმოდათო. შეუძლია
უთხრას, ემის ჩემთან დარჩენის ეშინოდა, რადგან ფეხები საშინელ
დღეში მქონდა და ჩემი ზურგიც საშინელი სანახავი იყოო; დედა-
ჩემმა გული მატკინა, მისი ქუდი კი მაინც ვერ ვიპოვეო...

— პოლ-დი?

— რაო, პატარავ?

— მიმატოვა.

— არ იტირო, სითუ.

— მასზე უკეთესი არაფერო გამაჩნდა.

ჯდება პოლ-დი სარწყელაში და აკვირდება კარნაულის ფერებით აჭრულებულ საბანს. ძლივს იმორჩილებს მუხლებს შორის მოქცეულ ხელებს. იმდენნაირი გრძნობა აკავშირებს ამ ქალთან. თუ ი სტკოუ პოლ-დის. უცებ ახსენდება, როგორ უხსნიდა სიქსო, რას გრძნობდა ქალის მიმართ „ოცდამეათ მიღიდან“ რომ გახლდათ „ჩემი სულიერი მუჟობარიაო. ძალას მაძლევს. ყველაფერს, რაც გამაჩნია, ერთად აგროვებს და თუ-თუის ადგილზე ანაწილებსო. იცი, კარგია, როცა ისეთი ქალი გყავს გვერდით, შენი სულიერი მუჟობარი რომააო“.

უყურებს ნაკუნებისგან შეკერილ საბანს პოლ-დი და ფიქრობს სითუს ნათუგ ზურგზე და ელას მუშტისგან გასოვებულ ლამაზ ტუჩებზე, ჯერაც რომ არ დასცეხობია. მორცხვ, შავ თვალებზეც ფიქრობს და სველ კაბაზეც, ცეცხლის პირას ოხშოური რომ ასდიოდა.

ახსენდება, როგორ ნაზად მოექცა სითუ, როცა საყელური ჩამოაცვეს კისერზე, ჩხრიალა გველის წიწილებით ორ ფუტზე გამოშვერილი სამ-სამი დაკლაკნილი წვეტი რომ პქონდა გამოჩრილი. როგორ ახერხებდა სითუ, რომ არასოდეს ქასენებინა ის საყელური, არასოდეს შექტედა ზედ, აქაოდა, არ შერცხვეს პოლ-დის, მხეცივით დამადგეს უღელიო. მარტო მას, სითუს შეეძლო მასში კაცურკაცობის, ღირსების შენარჩუნება. უნდა პოლ-დის, ერთი ცხოვრებით რომ იცხოვონ მან და სითუმ.

— სითუ, — ამბობს მამაკაცი, — წარსულში სხვებზე მეტი გვაქვს მე და შენ დატოვებული. ხვალეზე უნდა კიზრუნოთ ახლა.

საწილისკენ იხრება პოლ-დი, ცალი ხელით მის ხელს იღებს ხელში, მეორით სახეზე ქუბა.

— საუკეთესო, რაც გაგაჩნია, შენი თუია, შენი თუია, სითუ.

ხელიდან არ უშვებს პოლ-დი სითუს თითებს, ის კი ეკითხება:

— მე? მე?

არსებობს მარტობა, რომელიც შეიძლება დაარწიო, დააძინო. დაიკრუფ გულზე ხელებს, ოდნავ მოხრი მუხლებს და ირწვევი, ირწვევი. სულ სხვა, გემი რომ ირწვევა. შენით რომ ირწვევი, გული გიამდება და საგულეში დგება. თითქოს შიგნიდან გარწვევს ვიღაც.

მოდის შიგნიდან მოძრაობის ტალღა, გამოძრავებს და კანიკით გეტმასნება. კიდევ არსებობს მოხეტიალე მარტოობაც. იმას კურანაირი რწევით დააოკებ. ცოცხალია, არ გემორჩილება. ცოდა და ყოვლისმომცველი. ერთი თუ შემოგეპარა, საკუთარი ფეხის ხმაც შორიდან ჩაგესმება.

ყველამ იცოდა, რასაც ეძახდნენ, მაგრამ არსად არაუინ იცოდა მისი სახელი. ყველასგან დავიწყებული და მიტოვებულია. სად დაიკარგება, როცა არაუინ ეძებს და რომც ეძებდნენ, რა უნდა დაუძახონ, თუკი მისი სახელი არ იციან? თავისას კი ითხოვს, მაგრამ მის თავს არაუინ ითხოვს. იქ, სადაც მაღალი ბალახია, გოგონა, სიყვარულსა და გულიდან სირცხვილის ტირილით ამორუცხვას რომ ელოდა, ნაწილებად იფანტება — როგორმე უნდა გაუადვილოს თავისი თავის გადაყლაპვა იმას, რომ ლეჭავდა და იცინოდა.

რას დატოვებ ამ ამბავს ასე.

ცუდი სიზმართვით დაიკიწყეს. იმ დღეს ვერანდაზე რომ დაინახეს, იმათ ჯერ რაღაც ზღაპრები მოიგონეს, გადააკეთეს, გადმოაკუთეს, შეალამაზეს, შემოალამაზეს, მერე კი წინდახედულობა გამოიჩინეს და სასწრაფოდ დაიკიწყეს. შედარებით დიდხანს ახსოვდათ იმათ, ვისაც ელაპარაკა, ეცხოვრა მასთან, ვისაც შეჰყვარებოდა. იქამდე ახსოვდათ, ვიდრე არ მიხვდნენ, ერთი სიტყვის გახსენება და გამეორება რომ არ შეეძლოთ იქიდან, რასაც ის ამბობდა. ერთს ფიქრობდნენ და მეორე დაიჯერეს. დაიჯერეს, რომ საერთოდ არაფერი ეთქვა. პოდა, ბოლოს თვითონ გოგოც დაიკიწყეს. უგუნურება უგონათ, მისი თავი თუ ემახსოვრებოდათ არ იცოდნენ, სად და რატომ ეკვროდა მიწას, ანდა ვისი სახე იყო წყალში, ასე ძალიან რომ სჭირდებოდა. არ იცოდნენ, რას შეიძლებოდა გაეჩინა მის ღაბაბზე ლიმილის ჩრდილი. ჩაიკეტა ურდული და ლითონსაც ლიქენის ისრიმისფერი ყვავილები დაეფინა. რამ აფიქრებინა, რომ ფრჩხილებით გახსნიდა საკეტებს, წვიმა რომ ასველებდა და ასველებდა?

რას დატოვებ ამ ამბავს ასე.

ისე დაიგინეს, ძილში რომ შფოთავ, ცუდ სიზმარს ნახავ და დაგავიწყდება. ვიდრე გამოიფხიზლებენ, დროდადრო მაინც ესმით კაბის შარიშური, იმასაც გრძნობენ, როგორ უთათუნებთ ვიღაცა ლოყაზე თითებს და ჰელიათ, თვითონ ითათუნებენ. ზოგჯერ, დიდხანს რომ უყურებენ ახლო მეუბრის ანდა ნათესავის სურათს, ფოტოზე აღბეჭდილი მათთვის ძვირფასი სახე განზე გაიწვეს და მის ადგილზე რაღაცა უფრო ახლობელი ჩნდება. შეუძლიათ, შეეხონ, თუ მოუნდებათ, მაგრამ არ ეხებიან — იციან, ასე თუ იზამენ, უწინდებურად არაფერი იქნება.

რას დატოვებ ამ ამბავს ასე.

ხან გაჩნდება, ხანაც დაიკარგება 124 ნომრის უკან მისი ნაკვალევი. ცნობენ ამ ნაფეხურებს. ბავშვი ჩადგამს თუ მოზრდილი შიგნით ფეხს, უმაღლ მოერგება ნაფეხური მისი ტერფის ზომას. ამოყოფ ფეხს და ნაფეხურიც აღარ არის, თითქოს იმ ადგილზე არასოდეს არავის გაუვლია.

კველანაირი კვალი ქრება ბოლოს. მარტო ნაკვალევს კი არა, წყალსაც იუიწყებენ, იმასაც, რაც მის სილრმეშია. მერე ხან დარია, ხან ავდარი. დაუიწყებულისა და მიტოვებულის სუნთქვა კი არ ეფინება არემარეს, ქარია, ანდა გაზაფხულზე გაყინული წყალი, ადვილად რომ ლხვება. ხან დარია, ხან ავდარი. ნამდვილად არავინ ითხოვს კოცნას.

საყვარელი.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკავი ციცქიშვილმა**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარჩევი

ნაწილი I.....	12
ნაწილი II.....	209
ნაწილი III.....	288